1980 №10

ISSN 0132—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

10 | 1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი
დაბადებიდან 275 წლისთავის გამო
ქანდაკება მერაბ ბერძენიშვილისა

ეროვნული

უოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფელიეადი 57-ე № 10 ოქტომბერი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

კოსტა მარგიევი — ლექსები. თარგმ. ბესიკ ხარანაულმა 3
ივანე თარგა — ამზაბა. რომანი. დასასრული. თარგმ. ანა წვინარია-აბრამ ჯალია და ჯუმბერ თითმერიამ 5
ხუტა ბერულავა — ქარიშხლიანი დუმილი. დრამატული პოემა 31
გურამ გეგეშიძე — ხმა ფლავანებლისა. რომანი. გაგრძელება 51
კოლაუ ნანიტაძე — ლექსები 69
ლადო სულაბერიძე — დრო სიყვარულის... ლექსი 71
ზაურ გოლეგვაძე — ლექსები 73
ნოდარ შამანაძე — რეზა მიქელაძის ნაამბობი. ლექსი 77
ვიტალი დარსანია — სადღაც იქ, შორს... მოთხრობა 81
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება 93
ავთანდილ უურაშვილი — ლექსები 112
ზაალ ეგანოიძე — ლექსები 115
გრიგოლ ჩიქოვანი — რწმენა. რომანი. გაგრძელება 118

სკკპ და საქართველოს კპ XXVI ყრილობების შესახვედრად

მირონ ხერგიანი — მთიელი თავისი სიტყვის პატრონია 129

275 დავით გურამიშვილი 275

სარგის ცაიშვილი — დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში 138
ზალვა მარკოზაშვილი — გურამიშვილის ნაკვალევზე 174

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

გურამ გენაშვილი — „აჰა, მოვაგო ესე საუნჯე“ 181
ლუიზა გოჩაკოვა — საუბარი მზესთან 188

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ქ. მარქსის სახ. ხაკ. ბიბ. საბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აგაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გოგმიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლეგანიძე, ლ. მრევლაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელია, ნ. წულუკიძე, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რუსუდან ჩაკვეტაძე

გადაეცა ასაწყობად 4/IX-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X-80 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108$^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 01209. ტირაჟი 19.350. შეკ. 2412.

ნაბეჭდი ფურცელი 13. საალრ-საგამომცემლო საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

● საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოსტა მარგიევი
სამხრეთ ოსეთი

წყარო

გარდასულ დღეთა ნაკადულო,
ისევ მოველი,
შენ ჩემი სიყრმის საუნჯედ და
ხსოვნად მეგულვი,
მინდა წყურვილი მოვიკლა
და შენს სახეს მწველი
შევახო ბაგე,
გამომშრალი, მონატრებული.
სად არ ვყოფილვარ,
რა მთა-ღელე არ მოვიარე,
ბევრგან შემისვამს წყაროს წყალი
დიდად ქებული,
შენ მარტო წყურვილს
კი არ მიკლავ,
მირჩენ იარებს
და ძალას მაძლევ,
გინდაც ვიყო დაბრიყვებული.
წყაროებს სად არ შეეყრები, —
მთაა თუ ბარი,
ტყისპირას, გზასთან,
გემოს მქონეს, ანდა არ მქონეს,
ყველას თავისი ჰყავს მეხოტბე
და მეგობარი
და მასპინძელიც
თავის წყაროს გულით გაწონებს.
მაგრამ შენ ყველას მირჩევნიხარ,
შენი ხმიანი
სულისკვეთებაც თითქოს
დროზე უფრო სწრაფია,
წყალი კი არა,
შენ ხარ კაცი, ადამიანი,
გაქვს შენი გზა და
ურთულესი ბიოგრაფია...
ბევრჯერ დამშრალხარ, დალეულხარ...
თითქოს თოკები
წაუჭირესო შენს ბობოქარ
და ამაყ სხეულს,
მაგრამ ჩვენ მაინც მოვდიოდით
შენთან კოკებით
და წვეთ-წვეთ ვკრეფდით
ცრემლებს შენსას — ოდითგან ჩვეულს.
კვლავ აღსდგებოდი,
ბრუნდებოდი თითქოსდა მკვდრეთით,
კვლავ გზასა ჰკვეთდი,
ყვავილები კვლავ გესხდნენ ფერხთით...
გარდასულ დღეთა ნაკადულო,
ყრმობისა წყაროვ,
სად არ ვიყავი,
სად არ მცემდა ქარი და თქეში,
კვლავ შენთან მოველ,
მინდა შენს წინ მუხლი ვიყარო
და ნაოჭები დავითვალო
შენს თეთრ სარკეში...
გსვამ, გეწაფები,
ისევ ისე მონატრებული,
კვლავ მიბრუნდება სიჭაბუკე
და ისევ ვხარობ,
ბევრია ქვეყნად წყაროს წყალი
დიდად ქებული,
მაგრამ შენ სხვა ხარ,
შენ ხარ ჩემი ცხოვრების წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ლ ა მ ა ზ ე

ის ჩვენ გვჭირდება, როგორც ჰაერი
და როგორც ვარდის მწველი სურნელი,
უმისოდ ჩავჭრეთ სანთლისნაირად,
დარდი დაგვაჩნდეს განუკურნელი.

ის ჩვენ გვჭირდება ყველა საქმეში,
ხვნაში თუ მკაში, თუ ლექსის ქმნისას,
მზიან ამინდში, ავდარში, თქეშში,
ყველგან დავეძებთ ნაპერწკლებს მისას...

ის ჩვენ გვჭირდება საროდ ნაზარდი,
სულით მაღალი, საქმით ქებული,
ის ჩვენ გვჭირდება, როგორც აზარტი,
და როგორც ლალი, ყელს კიდებული.

ის ჩვენ გვჭირდება ყველგან,
ყოველთვის,
როგორც ყველაზე დიდი ქონება,
ის ჩვენ გვჭირდება — ვით სიცხეს
ერთვის
გრილი ნიავის ჩამოქროლება.

ის ჩვენ გვჭირდება სულ შორს, სულ
ახლოს,
ჩვეულებრივიც და დიდებულიც
და გულიც — სადაც იგი არ სახლობს,
ჩვარია, ხეზე გარინდებული...

ც რ ე მ ლ ე ბ ი

ეს მართალია, —სხვადასხვაა მიზეზი ცრემლის,
არის ცრემლები სიხარულის და არის ტკენის...
მინდა ცრემლები არ დააჩნდეს შენს ღაწვებს მწველი,—
ისე იცხოვრო, ისე განვლო შენ შენი დღენი.
მაგრამ ვინ არის, რომ ცხოვრება ლხინით იარა,
ვის არ მსხვრევია იმედების ბროლის კოშკები,
ცხოვრებამ ვის არ დაამჩნია გულზე იარა,
ლხინი და ურვა ერთურთს სცვლიან ხანგამოშვებით.
მაშ იყოს ცრემლი — სიხარულის, სევდისაც იყოს,
ერთად იქროლონ, რაკი ასე უბრძანებთ რჯული,
მე მხოლოდ მინდა, რომ იმ ქარმა კი არ გაგრიყოს,
არამედ გნახოს გულამაყად ხმალჩაბღუჯული.
მართალი იყო, მე ის მინდა, მცოდნე ძმობისა,
თორემ კაცს დარდებს რა დაულევს — დიდსა თუ
წვრილთა,
სიმართლეს ფრთები მაგარი აქვს, ფრთებზე მოგისვამს,
გადაგაქროლებს ბნელ ნაპრალებს, შუბლწამოწვდილთა.
ეს მართალია, სხვადასხვაა ამ ქვეყნად ცრემლი,
ტკენისაც ვიცი, სიხარულის ცრემლიც მდენია,
ვერსად წაუველ, ტკბილია თუ ცეცხლივით მწველი,
არ გამიგია, ვაჟკაცურად მომითმენია.

ოსურიდან თარგმნა ბესიკ ხარანაულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე თარგა
ოფიცერი

ამზაჯა

რომანი

15.

დილით სოფლის საბჭოში რომ მივედი, ადა იქ დამხვდა. ფოსტას ათვალიერებდა, კარებში ფეხი ავითრიე.

— გამარჯობა, ადა!

— გაგიმარჯოს!

იქნებ, ჩვენი საუბარი აეწყოს-მეთქი და ოთახში შევედი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

— ალხას, მოგივიდა, რასაც ელოდი, — მან ერთ წერილზე მიმითითა.

— არა, მაგისთვის არ მოვსულვარ, — თავის მართლებას მოვყევი, — მე, ადა...

— ვიცი, ვიცი, ალხას, — მომიჭრა, — აიღე, რისი გრცხვენია, შე კაცო... ზედ ლამაზად მხატვრის ხელით აწერია გამომგზავნის გვარი და სახელი...

— ვერ გავიგე!

— რას მელაპარაკები! მართლა ვერ გაიგე? — ირონია არც დაუმალავს. ადგა და გავიდა ოთახიდან.

ნათელას წერილი იყო.

ავიღებ და დავხევ-მეთქი, ვიფიქრე ერთი გაფიქრება. სისულელე იქნებოდა — ნათელა რა შუაში იყო, რა დააშავა, რა!

თითქოს ხელში აფეთქების მეშინოდაო, ის წერილი ფრთხილად ავიღე, გულის ჯიბეში ჩავიდე და გამოვედი ოთახიდან.

ადა წასულიყო.

საავადმყოფოსთან ფეხი შევანელე. იქით ვიცქირებოდი, — იქნებ, ადა გამოჩნდეს-მეთქი თავს ვიტყუებდი, რომც გამოსულიყო და დამენახა, ვითომ, რაო, — გრძელ-გრძელ მასლაათს გამიბამდა, თუ რა?

გამოვბრუნდი და ბილიკს მივყევი.

გზაში წერილი წავიკითხე.

ნათელა იწერებოდა — ამზაჯაში უნდა ჩამოვიდეო. გამეხარდა — სახლში დავაყენებ, მუშაობაშიც დავეხმარებით ერთმანეთს, ადაც დარწმუნდება, რომ ჩვენს შორის მხოლოდ და-ძმური ურთიერთობაა და მერე იქნებ, რამე ეშველოს ჩემს გაფუჭებულ საქმეს.

მაგრამ უცხო ქალიშვილის, თუნდაც დასავიო, მეგობრისა და, თუნდაც, დროებით, ოჯახში მოყვანას, ძალიანაც რომ მდომებოდა, მე ვერ გადავწყვეტდი. ეს ოჯახის უფროსებს უნდა გადაეწყვიტათ.

სახლში რომ მივედი, ყველაზე ადრე

---

* დასასრული. იხ. „მნათობი", № 9.

ბებიას ველაპარაკე.

ბებია მაინცდამაინც არ გადარეულა სიხარულით.

— ჩვენთან? ჩვენთან რატომ უნდა მოიყვანო?

— რატომ და, — მოულოდნელობისგან დავიბენი, — რატომ და ჩვენ ერთად ვსწავლობდით, კარგად ვიცნობ...

— ვისაც კარგად იცნობ, სახლში ყველას ვერ შემოიყვან, ალხას. სახლი ყველას ვერ დაიტევს.

ცარუმ რომ ეს ამბავი გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

რა გზა მქონდა, ნათელა ჩვენი ვეტექიმის — ალოუ ნანბასა და მისი მეუღლის, აბრა მასწავლებლის ოჯახში დავაბინავე.

შინ მოკამული ვბრუნდებოდი.

გზაში ცარუ და ადა დავლანდე. ალბათ, შემამჩნიეს, — მაშინვე დაშორდნენ ერთმანეთს, ცარუ იქაურობას გაეცალა. ადა ჩემსკენ წამოვიდა.

— მომილოცავს, წერილს თვითონვე ჩამოჰყვა, — შორიდანვე მესროლა, — აბა, იქით ხომ არ გაგრძელდა?..

— რას ამბობ, ადა...

— ვიცი, ალხას, ყველაფერი ვიცი, — ამ სიტყვებმა სილასავით გამილაწუნა სახეზე.

— ადა!

ვინ დაგიგდო ყური.

16.

უშველებელი ბეღელი სანახევროდ გაევსო დაურჩეველ სიმინდს.

იმ ღამესვე შევუდექით დარჩევას.

ვინლა არ იყო აქ, — ამზაჭელი უხუცესები, დარბაისელი ბერიკაცები გინდა, ხარზამან ახბას თავკაცობით, ჩვენსოფლელი გოგო-ბიჭები თუ სტუმრები — ნატალკა და ნათელაც გვეხმარებოდნენ. ექიმი ადაც მოვიდა.

მთასავით დაყრილი სიმინდი თანდათან პატარავდებოდა და ახლა ამ მთის აქეთ-იქით მსხდომნი უკვე ერთმანეთს ხედავდნენ.

გვიანამდე შევრჩით. რა და ვინ არ გავიხსენეთ. დათა სულ ქალიშვილებთან ტრიალებდა, ართობდა, აქებდა მათ.

ნათელა აქ ყველაზე ახლოს მე მიცნობდა და, ბუნებრივია, ახლოს მომიჯდა და ვმუსაიფობდით. ადა ყურადღებით უსმენდა დათას, მაგრამ სხვების შეუმჩნევლად ჩვენსკენაც იყურებოდა.

მალე ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

ისე მოხდა, რომ მე და დათაღა შევრჩით ერთმანეთს. წავიდეთო, მითხრა. წავიდეთ-მეთქი.

ვგრძნობდი, რომ ან მე უნდა დამეწყო საუბარი, ან — დათას. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, დათასთვის რა მქონდა სათქმელი, ადას რატომ არ ჩამოსცილდები-მეთქი, ხომ არ ვეტყოდი.

დათას რა ენაღვლება რა, მის მოსახვევამდე ერთი გზა გვაქვს, მისი სახლი, აგერ, ახლოსაა, მე კი კაიძალი გზა მიდევს.

იმ ღამეს არაფერზე გვილაპარაკნია, ისე დავცილდით ერთმანეთს.

ერთი სული მქონდა, როდის შევყოფდი თავს ლოგინში — ახლა ძილი მერჩივნა ყველაფერს და ერთ გემრიელ სიზმარსაც თუ ვნახავდი, ხომ აშენდებოდი კაცი.

ფეხებშეკრული ცხენივით მივლასლასებდი, არადა, ეს ოხერი გზაც რომ არ ილეოდა.

მიწიდან ამ წუთას ამოსვეტებულივით დამიდგა ვიღაც თვალწინ. მიხა ალტარბა ვიცანი.

— ვერ წახვალ, ალხას! — კბილებიდან გამოსცრა მიხამ. — ნაბიჯსაც ვერ გაადგამ.

— რას ამბობ, მიხა, როგორ თუ ვერ წავალ?

— როგორ და ჭრელად. ნაბიჯს ვერ გაადგამ-მეთქი. შენ ბებიაჩემი უპატრონო ხომ არ გეგონა, ქვეყნის სასაცილოდ რომ გახადე.

ამის თქმა იყო და უროსავით მომხვდა თავში რაღაც. წავბარბაცდი, უკან დავიხიე და წავიქეცი, მაგრამ იმდენი კი მოვახერხე, რომ ჩემსკენ გამოქანებულ მიხას ვუგანე. იმან თავი ვერ შე-

იკავა და წაიქცა, მაგრამ მაშინვე ადგა და ჩემსკენ რომ გამოქანდა, მთელი ძალით დავარტყი... ერთი, ორი. სამი და დაჭრილი დათვივით აღრიალდა.

...თვალი რომ ავახილე, დასინჯლიანებული ხევში ვეგდე. ტბასავით სქელი, ამღვრეული ცა მაწვებოდა და მახრჩობდა. მეტი არაფერი მახსოვს.

...დილით საავადმყოფოში მოვედი გონს. საწოლთან ჩემსკენ გადმოხრილ ბებია მეჯდა. თვალი რომ ავახილე, სახე გაუბარჩხალდა.

— აქა ვარ, ნან, ალხას! — შემეხმიანა მაშინვე, — არაფერი გიჭირს, ნან, არაფერი.

„თუ არაფერი მჭირს, აქ, საავადმყოფოში, რა მინდა“.

მაგრამ რაკი ბებიას შევარცხვინე, რომ რაიმეს თქმას საჭიროდ არ თვლიდა, მეტი არც არაფერი მითქვამს.

— რამე გტკივა, ნან? მოტეხილობა ხომ არა გაქვს? — მაინც მკითხა ცოტახნის შემდეგ.

— არა, ბებია, — ორივენი ისევ გავჩუმდით.

გვერდზე რომ გავიხედე, ჩემსკენ ზურგით მჯდარი ნუგთასი გავარჩიე.

„ალბათ, მიხა წევს აქ, აბა, სხვას ვის დაუჯდებოდა ნუგთასი?“

მიხა როგორ იყო, გარკვევით არ ვიცოდი. „ეტყობა, იმასაც გვარიანად მოხვდა, თორემ აქ რატომ დააწვენდნენ?“

ისევ ბებიას შევხედე. მიმიხვდა, გამამხნევა:

— არაფერია, ალხას, ნან. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდა, ყველაფერი.

— ბებია, დაიღალე შენ და წადი სახლში, დაისვენე, — ვთხოვე მე.

— მაგაზე ნუ დარდობ, ნან. რამ დამღალა, ნეტაი, ვთოხნიდი თუ ვხნავდი. შენ გვერდით რომ ვზივარ, ესაა ჩემი დასვენება, ნან.

ოთახში თეთრხალათიანი ადა შემოვიდა, ექიმი ადა ნაზბა. ექთანიც ახლდა. ადამ საერთო სალამი თქვა.

ბებიაჩემი წამოხტა:

— გაგიმარჯოს, შვილო.

— გაგიმარჯოს, — ნუგთასიც მიესალმა ექიმს.

ადა შემოსვლისთანავე მერე ავადმყოფისკენ წავიდა, — მე, თითქოს, არც შევუმჩნევივარო.

— როგორ არი? — ჰკითხა ავადმყოფზე ნუგთასს.

ადა ავადმყოფის წინ დაჯდა. საბანი ეადაუწია და სანჯვა დაუწყო.

— მოტეხილობა ხომ არა აქვს? გაჯავრებით, ყინჩად ჰკითხა დოინჯშემოყრილმა ნუგთასმა.

— საშიში არაფერია, მოიკეთებს, — აშკარად არ ეამა ნუგთასის ტონი ექიმს, მაგრამ ოავი შეიკავა.

მერე მე ჩამომიჯდა, მაჯაზე მომკიდა ხელი და საათს დაუწყო ცქერა.

ხელი გამიშვა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს. არც მე მიკითხავს არაფერი. მაჯა რომ ამიჩქარდა, გადამერია, აშკარად ვგრძნობდი, ამის მიზეზი ხომ ვიცოდი, ისიც მიხვდა, ალბათ, დალოცვილი ყველაფერს, მაგრამ რას მეტყოდა. ახლა მკერდზე მიკაკუნებდა თითს — თუ მაწყნარებდა!

ჩემი და მიხას ამბავი მთელ სოფელს მოედო. სიმართლე ბოლომდე არავინ იცოდა.

ნათესავებსა და ახლობლებზე უფრო ადრე ჭორის მოყვარულები მოაწყდნენ საავადმყოფოს, მაგრამ მხოლოდ ოჯახის წევრებს უშვებდნენ ჩვენთან.

მერე მეც რომ მოვიხედე და მიხაც, ჩვენი ერთად ყოფნა არ იქნებოდა.

მოვიდა დათა და სხვადასხვა პალატებში გადაგვიყვანეს კიდეც.

17.

დილაა, ოდის უკან, აივანზე ვზივარ.

უსასრულო ბედნიერება არ არსებობს, თორემ, მთელ ჩემს სიცოცხლეს ამზაჭას დილაში გავცვლიდი!

მაგრამ ბუნება ჩვენს ნება-სურვილზე არ ჰკიდია და დილაც დროით მოზომილია.

ოუ ოდნავ, ოულ ოდნავ მაინც გემუ-

შავება კაცს, ასეთ დილას ხელიდან როგორ გაუშვებ.

ვზივარ და ვმუშაობ. ჩემს ფეხებთან ბზის სხივებს ეთამაშება ფანა ოთეებზე დასკუპებული კატა. ლამის წამოხტეს და ბზის სხივებს ააფრინდეს, მაგრამ, ეტყობა, მოთენთილა და შორიდან ენებივრება. ამასობაში მზეც ძალუმად ამოვიდა, სხივებმა დაჰკარგეს დილის პეწი და ხიბლი, კატამაც ზმორება-ზმორებით გაიარ-გამოიარა აივანზე, თითქოს უნდოდა ეთქვა, მე, ბატონო, ამით მოვრჩი დილის საქმესო.

მეც მოვრჩი დილის საქმეს.

უკვე სხვაგვარად, სხვა თვალით ვუყურებდი ქვეყანას, თითქოს ეს-ესაა გამოვედი ტკბილი სიზმრიდანო. ჰოდა, იმავ წამს ჭიანჭველებივით დამესია ის ფიქრები, რომლებიც დილის სიმშვიდეს დაეკიწყებინა.

„მაინც რას ვაკეთებ ისეთს, რომ ყველაფერი ცუდად მიტრიალდება. განა ისეთი რა დავაშავე, რომ მიხამ ასე გამიმეტა?“

— აქა ხარ, ნან, ალხას? — მოულოდნელად თავს წამომადგა ბებია, — მეგონა, წახვედი.

— აქა ვარ, ბები, — ისე დავუმოწმე, თითქოს თავისი თვალით ვერ მხედავდა. აქ ვიყავი თუ არა.

— დაისვენე, ნან, ალხას. საქმე სად გაგექცევა.

— ამ ბოლო დროს, ბებია, ნამეტან ბევრს ხომ არ ვისვენებ?

— შენ კარგად იყავ, ნან, და ყველაფერს მოასწრებ. ოღონდ, ალხას, — უცებ ხმა შეეცვალა, — მინდა რაღაც გკითხო, რა მოხდა მაინც, სიმართლე მითხარი.

— კარგი არაფერი მომხდარა, — გამოტეხილად ვუთხარი.

— კი. ცუდი ამბავი მოხდა, მაგრამ ვისი ბრალია?

ისე მელაპარაკებოდა, თითქოს თავისთავად გულისხმობდა, რომ მე ცამდე მართალი ვიყავი. ეტყობა, ჩემი დამშვიდება უნდოდა.

მაგრამ ხალხს პირს ვერ აუკრავ, სმენას ვერ დაუხშობ და თვალს ვერ დაუბრმავებ, — ყველამ ყველაფერი იცოდა.

„ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ გააცხარე...“ მამაჩემიც კი გამოვიდა მოთმინებიდან და...

ცარუს ისღა დარჩენოდა, თავისი ბარგი-ბარხანა შეეკრა და წასულიყო, თუმცა, ბებიაჩემი ძალიან ეცადა, რომ ასე არ მომხდარიყო.

მაშინ კი ძალიან შემეცოდა მამაჩემი, ათასჯერ შევიჩვენე თავი, მართლა და მართლა, რა გავაჭირე საქმე, ამზაჭაში იმისთვის ხომ არ ჩამოვედი, რომ ეს ასე თუ ისე დამშვიდებული ოჯახი ამეფორიაქებინა-მეთქი.

ათას წელიწადსაც რომ ვიცოცხლო, ის დღე არ დამავიწყდება. ცარუ მამისეულ სახლში წასასვლელად რომ გაემზადა, ადამირი და ამინა გაშრნენ, ხან ერთთან მორბოდნენ, ხან — მეორესთან, თითქოს დახმარებას, გადარჩენას გეთხოვდნენ.

— დედა, სად მიდიხარ, სად? — ჭიშკართან მიეწივნენ ბავშვები, — დაბრუნდი, დედა, დაბრუნდი...

— სად მივდივარ და მოუსავლეთში, — საგანგებოდ ეძებდა ბავშვებისთვის გულსატკენ სიტყვებს, — მოუსავლეთსა და ჯანდაბაში, სადაც ჩემს ხმას ვერ გაიგონებთ და ჩემს არსებობას ვერ გაიგებთ.

— სადა, სადა? — ამინას ვერაფერი გაეგო.

— სადა, სადაო? — გაოგნებული იყო ადამირიც.

— მოუსავლეთში-მეთქი, ხომ გითხარით...

— არ წახვიდე! ბავშვები წინ გადაუდგნენ დედას. ვერაფერი გაიგეს, მაგრამ იგრძნეს, მიხვდნენ, რომ ეგ მოუსავლეთი და ჯანდაბა კარგს არაფერს ნიშნავდა, — არ წახვიდე!

— თქვენც წამოდით! აქ რა დაგრჩენიათ? ვის რაში უნდიხართ?

— ჩვენ? — გაუკვირდა ადამირს. — ჩვენ სად უნდა წავიდეთ?

— არც ჩვენ წავალთ და შენც ნუ

წახვალ, — დედას კალთაში ჩააფრინდა ამინა.

— მომშორდი, — ხელი ჰკრა ცარუმ და ეზოდან გავიდა.

— ასე ნუ იზამ, ცარუ, დაბრუნდი, — ვერ მოითმინა ბებიამ.

— თუ აქედან ვინმეს წასვლაა საჭირო, ისევ მე უნდა წავიდე. დაბრუნდი, ცარუ, — ხმამაღლა, ცარუს გასაგონად ვთქვი მე.

— შენ სად უნდა წახვიდე? — გამაჩერა მამაჩემმა, — წასასვლელი უნდა წავიდეს. აი, წყალი რომ მოდის თავისითვე, შეუბრუნებლად, ისე წასულა...

— არ გაუშვა, ალხას, — მომეხვია ამინა, — არ გაუშვა შენი ჭირიმე...

ჭიშკარს იქით გადავყევი, ერთი-ორჯერ ვუთხარი, შენ იყავი, მე დავრჩები-მეთქი, მაგრამ ცარუმ ზედაც არ შემომხედა.

ადამირი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე, ფართოდ გახელილი თვალებით მიმავალ დედას უყურებდა და ხმას ვერ იღებდა.

ამინა ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ხან ბებიას უვარდებოდა მუხლებში, ხან — მამას, ხან — მე... მერე, როცა დედამისი თვალს მიეფარა, უცებ იკივლა და ტყვიასავით გავარდა ჭიშკრისკენ.

თითქოს ახლალა გამოერკვაო სიზმრიდან, ადამირმა გაქცეული ამინა რომ დაინახა, სახე შეეშალა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კიდეც, რომ გაჰკიდებოდა, მაგრამ ჩვენ რომ შემოგვხედა, თავი შეიკავა.

— ამინა! — დაიძახა ადამირმა.

თითქოს ადამირის ხმა მკლავში ჩაეჭიდაო, ამინა მობრუნდა და ძმისკენ გამოიქცა.

— წამოდი, ადამირ! — სუნთქვა ეკვროდა ბავშვს.

— სად წ-ვიდე? სად წ-ვიდე-მეთქი, ამინა?

— აბა, მე წავედი. — ხელიდან გაუსხლტა ბავშვი.

— ამინა, ამინა-მეთქი! — მიაძახა ადამირმა, მაგრამ ამინას უკვე არაფერი ესმოდა, იგი პეპელასავით გაფარფატდა მოსახვევში.

დანა პირს არ გვიხსნიდა. ერთმანეთს თვალებში ვერ ვუყურებდით.

ოჯახში ორი-სამი კაცი მაინც თუა, ოჯახი ჰქვია, ეს ოხერი და, ყველა საქმე ისევ ბებიას დააწვა მხრებზე. სხვები ვიყავით ჩვენ-ჩვენთვის, კრიჭაშეკრულნი, დამუნჯებულნი.

საღამომდე სახლში არაფერი გაფაჩუნებულა. მაგრამ, მოსაღამოვდა თუ არა, გულმა თუ ვერ მოუთმინა ბებიას, სამზადში, კერიაზე ცეცხლი დაანთო. ქვაბის ხეხვის ხმა გაისმა ეზოში, — კერია ჯერ არ ჩამქრალიყო!

სამზადში იმ დროს შევედი, როცა ბებია ღომის დადგმას აპირებდა. ქვაბი კი აწია, მაგრამ წელი ეტკინა, ვეცი ხელში და ქვაბი ლარჭაზე ჩამოვკიდე.

— რა მოგივიდა, ბები, — წელზე მოვეხვიე.

— არაფერი, ნან, — საშინელი ტკივილი ედგა თვალებში, მაგრამ არაფერს ამბობდა.

— წელი გეტკინა, ბებია? ძალიან გეტკინა? — გავაგებინე, რომ დამალვას აზრი არ ჰქონდა.

მაშინ კი სულ სხვანაირად შემომხედა. „თქვე ჩემი ცოდვით სავსენო, ვინც ამ დღეში ჩამაყენეთო...“ — ეწერა ამ გამოხედვაში.

იქნებ, მე მომეჩვენა ასე.

იქნებ, მომეჩვენა, რადგან სიტყვით სულ სხვა რამ მითხრა:

— არაფერიც არ მომსვლია, ნან, ისეთი არაფერია, რომ შენ იდარდო.

18.

მიხა სოფლიდან წავიდა. მისი გზაკვალი არავინ იცოდა.

ერთი შეხედვით, სწორადაც მოიქცა. სოფელში გულს გაუწყალებდნენ მოიარებითა და აქეთურ-იქითურით და, ვინ იცის, კიდევ რას არ ჩაადენინებდნენ კაცს.

მეორე მხრივ, სოფლიდან მისი ასე უგზოუკვლოდ წასვლა კიდევ უფრო

ართულებდა საქმეს და ჩვენს ოჯახებს შორის მტრობას აძლიერებდა.

ამას სასიკეთო პირი არ უჩანდა, ცხადია.

ამით ყველა შეფიქრიანებული იყო, მაგრამ ვის რა შეეძლო. უცდიდნენ რას მოიტანდა ხვალინდელი დღე.

ჩვენი ოჯახი ნაოჯახარს დაემგვანა. გავტყიურდით, დავმუნჯდით, დავყრუ-ვდით, სიცილი გადაგვავიწყდა.

ცარუ, რასაკვირველია, თავისი სურ-ვილით არ წასულა ოჯახიდან. შეიძლე-ბა, ეს სულაც არ უნდოდა, მაგრამ ასე წაეწყო საქმე, რომ აქ უკვე არ დაედ-გომებოდა, — ყველაფერს ელოდა, ყველაფერს, მაგრამ ჩუმი და თვინიერი მამაჩემი თუ ასეთ რამეს შეჰბედავდა, ვერ წარმოიდგენდა.

მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, — ვი-თომ დაუმარცხებელი წავიდა ჩვენგან.

მისი წასვლის ნამდვილი მიზეზი ყვე-ლამ კარგად იცოდა.

ამ საქმეში თავს უადგილო ადგილას ჩაეედილი ეანგიანი ლურსმანივით ვგრძნობდი.

ვინ იცის, მიხა საით წავიდა?

მწვანე ბალახში ჩავარდნილი ნემსი-ვით გაქრა.

ვითომ, რა ჰქნა ამით, — ოღონდ კი აქაურობას მოვცილდე და რაც მომივა, მოგვიდესო?

თავიდან ყველამ ასე იფიქრა. მეც, მომეჩვენა, რომ ეს ცოტათი იოლს გა-ხდიდა ჩემს ცხოვრებას სოფელში, რა-დგან, რაც არ უნდა მოვრიდებოდით ამას, მაინც, ნებსით თუ უნებლიედ, შევეფეთებოდით ერთმანეთს.

კარგად მოიქცა.

— ნან, ალხას, — მორიდებულად მი-თხრა ერთხელ ბებიამ, როცა დამიმარ-ტოხელა, — ფიქრს ნუ შეეეშმევინები. ფიქრი ჭიაა, დარდს აჩენს, დარდი კი ადამიანს სპობს.

— ნეტავ ჩემს ჩამოსვლამდე მომხდა-რიყო ის, რაც მოხდა. ახლა, რა, ოჯახი ჩემი დანგრეული გამოდის.

— გამოსაშვები სისხლი უნდა გამო-ეშვას, ნან, ასეთი ყოფილა ღვთის სუ-რვილი.

— ეგრეც რომ იყოს, ბებო, თავს ვერ მოვიკატუნებ და უარს ვერ ვიტყვი იმ დანაშაულზე, რაც აშკარად მე მაწევს!

— შენი რა ბრალია, ვითომ? — გა-ცეცხლდა ბებია, — ასეთ რამეს ნუ დაიბრალებ, მეორედ არ გამაგონო ეგ!

არაფერი მითქვამს. არ მინდოდა, გული ტკენოდა. შესაძლოა, მართალიც იყო. ვერ შევედავები. გამოცდილი ადამიანია, მეტი უნახავს, მეტი გაუგო-ნია...

თუ საქმეს უშველის, გავჩუმდები, კი, ბატონო.

და, მაინც...

რაც მიხა სოფლიდან წავიდა, მისი სახე სულ თვალწინ რატომ მიდგას? ბებიას, ალბათ, ამ მხრივ, დამშვიდე-ბული ვგონივარ, — რაკი მიხა წავიდა, მოისვენაო, ფიქრობს.

მაგრამ... ალბათ, არ წასულიყო, ისა სჯობდა.

ვინ არის ჩვენს შორის დამნაშავე?

არავინ.

ახლა მიკიდია ცეცხლი. კაცი, მტე-რია ის თუ მოყვარე, თუ თვალწინ გიტ-რიალებს, ხედავ, იცი, როგორ მოიქცე, მაგრამ როცა ვერ ხედავ, ისე აქვს სა-შუალება გითვალთვალოს, რა გინდა ქნა?

მეგონა, მარტო მე ვფიქრობდი ასე, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი.

— ჩვენს ოჯახზე კი არ უნდა იფიქ-რო, ნან, ალხას, ღვთის წყალობით, ავად ვართ თუ კარგად, სული გვიდგას და ცას შევყურებთ. ამას იქითაც, თუ ვინმეს რამე უნდა მოუვიდეს, ჯერ მე უნდა მომივიდეს... მე... ამაზე არ უნდა იფიქრო, ალხას... კაცი ფხიზელი უნ-და, ნან, ფხიზელი... სანამ ნაბიჯს გა-დადგამდე, მანამ უნდა დაიხედო წინ, რომ ფეხი არაფერს წამოკრა. ფრთხი-ლად იყავი, ნან, ხომ ხედავ, ისეთი დროა, სიფხიზლეა საჭირო...

სახლში ყოფნამ, განმარტოებამ და-რდი გამიბევრა. ისე, რომ ვთქვა, ლა-თაიებისა და ლაილაის თავი არ მქონ-

და, მარტოობა ახლა ჩემთვის მისწრება იყო კიდეც, მაგრამ, რაც მართალია მართალია, მეგობრების ყურადღება არ მომკლებია.

დათა ხომ გადამყვა.

აი, ახლაც მოვიდა.

— ძალიან დიდხანს დავრჩით უქმად, ალხას, — პირდაპირ დაიწყო მან, — ზამთარმა ასე იცის, სიზარმაცე ერევა კაცს.

— ალბათ... ეს მე გავზარმაცდი, თორემ შენ ზამთარ-ზაფხულ მოსვენება არა გაქვს.

— მორჩი, ალხას, — მომიჭრა დათამ, — ერთმანეთისთვის სასაყვედურო არაფერი გვაქვს. ბუხრის სითბოზე ვერ შევამჩნიეთ, როგორ მოგვადგა კარს გაზაფხული. თუ არ ვიყოჩაღეთ, აშკარად დავმარცხდებით. მზადა ხარ?

მზადა ვარ-მეთქი. ისევე სწრაფად ვუპასუხე, როგორ მოულოდნელადაც მკითხა.

— კარგია, — ტემპი არ დააგდო დათამ, — ასეც უნდა, შენგან სხვაგვარად არც მოველოდი. ხვალვე უნდა გავიდეთ სამუშაოდ, ხვალვე. გესმის, ალხას?

— გავიგე.

დილით ბებია ჭიშკრამდე მიმყვა, ისე მაცილებდა, თითქოს მანჯურიაში მაინც მივდიოდი.

იმ დღეს უკლებლივ ყველა გამოვიდა სამუშაოდ.

მე ვენახში მომიწია მუშაობა, ბათალ კარბას ბრიგადელებთან ერთად. იმ დღეს დათაც ჩემთან იყო.

ვაზს ვსხლავდით. შესაძლოა, ამ საქმეში დიდი ხვითო არ ვიყავი, მაგრამ ცოტა რამ კი მესმოდა, რადგან პატარაობისას მამას ვენახის მოვლაში ვეხმარებოდი ხოლმე.

— აფერუმ, ალხას, — ხელგარჯა მომიწონა ბათალმა, კარგად სხლავ, გულისყურით. ვაზი, დად, ალხას, ვერ ლაპარაკობს, ვერ ამბობს იმას, რაც გულში აქვს, მაგრამ უადგილო ადგილას რომ მოახვედრო მაკრატელი, ტირილს იწყებს, ცრემლებად ოვრება. დიდი სიფრთხილე უნდა, დიდი. აგერ, შენც უადგილო ადგილას მოგახვედრებია ამ ვაზისთვის მაკრატელი და ტირის. თუმცა, რა მოხდა, ასეთი რამ მეც კი მემართება ხოლმე. ისე, ყოჩაღ, ყოჩაღ! — დაუსვა წერტილი.

ბათალ კარბას სიტყვები არ მესიამოვნა-მეთქი, რომ ვთქვა, არ დამიჯერებთ. შექება და წახალისება კაცს არ უხაროდეს, სად გაგონილა.

— გილოცავ, ალხას, — მითხრა დათამაც, — ბათალი ჰაიჰარად არავის აქებს, ხომ იცი. რაღა მისი სიტყვა და რაღა ბეჭდიანი ქაღალდი!

— ბათალი კეთილი კაცია, თორემ რა ისეთი მსხვლელი მე ვარ.

ვისაც არ უნახავს სოფელი, როცა დიდი და პატარა, ქალი და კაცი სამუშაოდ გამოდის, ჩემი აზრით, არაფერი უნახავს.

სოფელი ახმაურდა, სოფელმა გაიხარა, სოფელს ფილტვი სუფთა ჰაერით დაებერა, სოფელი ამოძრავდა — ჩალა აჩალეს, ძირკვები ამოძირკვეს, სარველა გამოხშირეს, ძველი ფოთლები, ნეშომპალა მოაქუჩეს, მერე ყველაფერი ეს ერთგან აზვინეს, ცეცხლი მოუკიდეს და ჰაერს ბოლის სუნი შეუდგა. გაშლილ მინდორზე ტრაქტორები გუგუნებდნენ, ფერდობებზე, დაღმართებზე გუთნები ხნავდნენ.

პარტიის რაიკომის მდივანმა და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მანქანა მოშორებით დააყენეს და ჩვენსკენ წამოვიდნენ. ეტყობა, კარგ გუნებაზე იყვნენ. აბასი რაიკომის მდივანს ხელების ქნევით რაღაცას უხსნიდა, გაუთავებლად ქაქანებდა რაღაცას.

— გამარჯობა თქვენი. — ხმამაღლა მოგვესალმა რაიკომის მდივანი.

— გამარჯობათ, — მოაყოლა აბასმაც.

— გაგიმარჯოთ, — ყველას მაგივრად უპასუხა ბათალმა.

— დროზე მოგიკიდიათ ხელი ვენახისთვის, — მისალმების შემდეგ დაიწყო მდივანმა.

— მე მგონი გაგურთმევთ თავს საქ-

მეს, — დინჯად თქვა ბათალმა, — მით უფრო, ახალგაზრდობა გვეხმარება.

— ბათალ, ეგ ყმაწვილი ვინაა, ვერ ვიცანი! — მომესმა მდივნის ხმა.

— ეგ ალხას ანბაა, მხატვარი, მე რომ გითხარი, — დაასწრო ბათალს აბასმა.

—ვაზის სხვლაც იცის?

— როგორ არ იცის, გლეხის შვილია.

— კარგია, კარგი, — მდივანმა საკმარისად ჩათვალა ჩემზე ამდენი რამის გაგება.

გავბრაზდი: „თუ ჩემზე რამის გაგება უნდოდა, მე ვერ მკითხა? მნახა რა ასაგდები კაცი!“

თითქოს წყენას მიმიხვდაო, მდივანი ჩემსკენ წამოკიდა. აბასიც გამოპყვა. ბათალმა, ეტყობა, დაასკვნა, მდივანს ჩემთვის საკითხავი სხვა არაფერი აქვსო და საქმეს მიუბრუნდა.

— გამარჯობა, ალხას, — დიდი ხნის ნაცნობივით მომესალმა მდივანი, — სხვლაში მარჯვე ხარ, ვხედავ, მაგრამ ძირითადი საქმე — ხატვა როგორ მიდის?

— ვხატავ ხოლმე, — დავიმორცხვე.

— „ვხატავ ხოლმე?“ თუ შენი ძირითადი სპეციალობა ხატვაა, შენი მთავარი საქმეც ეგ არ უნდა იყოს? ხომ ასეა, აბას? — იხუმრა მდივანმა.

— ეგრეა.

— კარგია, კარგი, — ხაზი გაუსვა მდივანმა, — კულტურის სახლში შენი ნამუშევარი ვნახე და მომეწონა, მართალი გითხრა. მიზანშიც ურტყამს... საქმეს წაადგება...

— ხან წაადგება, ხოლმე, ხან ხელს უშლის, — ეს აბასმა ბრძანა.

— რატომ? — დაინტერესდა მდივანი.

— რატომ და ღიზიანდება ხალხი, ერთმანეთს წაეკიდნენ, აუშარიანდნენ, — აშკარად იჩქარა პასუხის გაცემა აბასმა, ვიდრე მე რამეს ვიტყოდი.

— ეგ არაფერი! საბოლოოდ ეგ საქმისთვის კარგია! — მოუჭრა მდივანმა.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ფოტოგრაფი ბაზალიც აქ გაჩნდა და თავისი მარიფათები დაატრიალა. ჯერ ბათალს გადაუღო, მერე მე დამიმატა, ბოლოგორც გამოჩნდა, ისევ სწრაფად გაქრა.

ბათალი ღიმილით უყურებდა.

— კიდევ შევხვდებით ალხას... მალე, — სიტყვა გაწელა რაიკომის მდივანმა, — მალე... ოღონდ დღესა და ხვალ-მეთქი კი, არ ვამბობ, აი, როცა ახალ სურათებს გამოფენ. ამას დრო დასჭირდება, ნუ იჩქარებ...

— თუ რამეს შევძლებ...

— ნახვამდის, — ამით დაამთავრა მდივანმა.

— ნახვამდის, — მეტი ვერც მე ვთქვი.

...შინ გვიან მივბრუნდით. მაშინვე ლოგინს მივეცი თავი. ცარუს წასვლის შემდეგ ადრე ვწვებოდი ხოლმე, რათა ერთმანეთთან უხერხულად არ გვეგრძნო თავი. თითქოს, ერთმანეთთან საერთო არაფერი გვქონდა და სასტუმროში ღამის გასათევადღა ვიყრიდით თავს.

ცარუ იქით იყოს, უმისობას როგორმე გადავიტანდით, მაგრამ ამინას აქ არყოფნა გვისიებდა გულს. ჩვენი მერცხალი ჩვენთან არ ჭიკჭიკებდა! ადამიანიც შეიცვალა, არავის ეკარებოდა, უამინობა უჭირდა და მერე როგორ უჭირდა ბიჭს!

საბანწამოსხმულს ისევ ამეკვიატა კითხვა.

— ნეტა, საითაა მიხა, სად დაიკარგა?

ისევ დაღლამ მიშველა, როდის, როდის წამართვა თვალი.

19.

გასაოცარია ამზაჭა.

მით უფრო გასაოცარია გაზაფხული,

გასაოცარია თავისი ზღვით, მთებით, ვაკით, ბაღებით, სათიბებით, ხევ-ხუვებით.

„ჩემი სოფელი გაზაფხულზე“, — ასე დავარქვი ახალ სურათს.

ახლოდან შევხედე, შორიდან შევხედე, აქედან ვუტრიალე, იქიდან ვუტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალე, — ძლივს არ მომეწონა ჩემი ნამუშევარი!

დავამთავრე!

ჯერ აქ მქონდეს, სად წავა, როცა საჭირო იქნება, გამოვაჩენ, რაც მთავარია, დავამთავრე.

...რაც არ უნდა იყოს, ადამიანი ადამიანია და მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. თაობებიდან თაობებს გადმოეცემოდა წესები, ადათები, ტრადიციები და, ასე თუ ისე, ნებისმიერი ადამიანი დაკავშირებულია ამ წესებთან, ადათებთან, ტრადიციებთან. ყოველივე ამას ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულსა და ადამიანების ფსიქიკაში.

აბასი, კაცი თუ გულზე ხელს დაიდებს, ვერ იყო კარგ დღეში. კულტურის ხახლში გამოკიდულმა სურათებმა მას მშვიდი ძილი დაუკარგეს, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალეს.

ნუგთასს დავცინე, უფრო სწორად, ჩემს მიერ დახატულ ნუგთასის სურათთან ყველა იცინის. ამას აბასი როგორ მაპატიებდა? მართალია, თავმჯდომარეა, თანამდებობის კაცია, მაგრამ გვარ-ნათესაობაში კი არ გამომწყდარა, უჯილაგო და უთვისტომო კი არ არის!

ვიცი, აბას, ვიცი, რომ შენ ამას არ მაპატიებ, ისე გადამიხდი, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდეს! ბოლოს-დაბოლოს, მართლა და მართლა, ვინ მომცა იმის უფლება, რომ შენი ღირსება ფეხქვეშ გავთელო, ნუგთასი ხომ უპატრონო არ იყო, ასე რომ ვაბურთავე?

ამზაჭაში ცნობილ ქალს — ნუგთასს., კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბებიის დას, რომელსაც ის შენი თავმჯდომარე ალალი შვილიშვილივით გაუზრდია, კალთაში უთამაშებია, ღვიძლ ბებიასავით საყვარელ ნუგთასს აბასი ახლა ზურგს ხომ ვერ შეაქცევდა. ახლა, როცა ძალაუფლება მის ხელშია? კაცს ნათესავი ასეთ დროს სჭირდება, აბა, რა შავ ქვად უნდა? აბასის ბებია მკვდარია, მაგრამ ცოცხალი რომ ყოფილიყო და თავისი თვალით ენახა, თუ როგორ მოექცნენ მის დას, რას ეტყოდა აბასს, ხომ საყვედურით აიკლებდა, აბასი ხომ მას შიშით სათოფეზე ვერ გაეკარებოდა!

ხალხნი ვართ, ჩემო ძმაო!

ყოველივე ამის შემდეგ მე მინდა, რომ აბასმა მაპატიოს?

მოხარშული წაბლიც ხომ არ მინდა შუა ზამთარში?

მიხას რომ აბასის ზურგი არ ჰქონოდა, რაც გამიბედა, იმას გამიბედავდა? შეიძლება, არც მისულა აბასთან და ნებართვა არ აუღია, მაგრამ გულის სიღრმეში მისი იმედი მაინც ექნებოდა! გვარით კი არიან სხვადასხვანი, მაგრამ ერთი სისხლისა არიან და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ერთმანეთის ჭირს მიწაზე არ დააგდებენ.

ბადრა და დათა რომ კარიკატურების დახატვას მთხოვდნენ, რას ეიფიქრებდი, აქამდე თუ მოვიდოდა საქმე.

ჰოდა, ნებსით თუ უნებლიედ, ორი ოჯახი კი გადავამტერე ერთმანეთს და აბასიც გადავიკიდე.

ახლა ეს დღესავით ნათელია. მაგრამ ეს მიხა საით გადაიკარგა მაინც ასე უკვალოდ?

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ადა თვალითაც არ მინახავს, შორიდან კი ისიც აბასივით ცივი მეჩვენებოდა. ჩემს მიმართ ძმის განწყობა, ალბათ, მასაც გადაედო. სად დაიკარგა, მაინც, ეს მიხა?"

— მიხა აუცილებლად და სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ სოფელში, — ჯიქურ დააყენა ერთხელ საკითხი სოფლის საერთო კრებაზე ხარზამანმა.

— უნდა დავაბრუნოთ, უნდა დავაბნოთ! — ასეთი იყო საერთო აზრი.

კრება ამით დამთავრდა. კრება კი დამთავრდა ამით, მაგრამ საქმე არ დამთავრებულა.

რაც მოხდა, მერე მოხდა.

კომუნისტები შინ არ წასულან, კრების მერე იქ დარჩნენ და აბასს ტყავი გააძვრეს — ამდენს თუ გაუბედავდნენ, ნამდვილად არ ელოდა. გგონიათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერიდნენ! მისთვის ასე აჯობებს, სხვა დროს თავს არ გაუვაო! ადგნენ, ყველაფრის საქმის კურსში ჩააყენეს რაიკომი და იქაც არ დაუჭირეს მხარი!

ფრთები შეეკვეცა აბასს, ფეხქვეშ მიწა შეუქანდა.

მერე ვისი ბრალი იყო ყველაფერი ეს, ვისგან მოდიოდა?

ჩემი ბრალი იყო, სხვისი ვისი. რაც მე ჩამოვედი, მას მერე შესუსტდა მისი პოზიცია.

ბევრი ლაპარაკი უნდა ახლა ამას, რომ აბასს გულზე არ ვეხატებოდი?! ჩემს დანახვაზე. ალბათ, ელეთ-მელეთი მოსდიოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა?

ჩვენი ოჯახი ხომ მხარმოტეხილი იყო. ულიმლამოდ, უგემურად მივაზოზინებდით დღეებს.

ერთ საღამოს, დაღლილ-დაქანცული რომ დავბრუნდი სახლში, ძალზე ნაცნობი ხმით დამიძახა ვიღაცამ.

ყური მივუგდე. „ნეტა, ვინაა?“

შორს, ლანდი შევნიშნე. მიახლოვდებოდა.

ისევ დამიძახეს.

ამინა იყო, ჩემი ამინა! გამოიქცა, გამოიქცა, ყელზე ჩამომეკიდა, ჰაერში კარგა ხანს იქნევდა ფეხებს, თითქოს ეშინოდა, მიწაზე რომ დაედგა, გამექცევაო.

სახლისკენ წამოვედით. იტიკტიკა და მერე რა იტიკტიკა! ვერ გავაჩერე!

ალაყაფთან რომ მოვედით, ყელგადმოგდებით მითხრა, თითქოს უჩემებართვოდ ეზოში ფეხის მოდგმის უფლება არა აქვსო.

— სახლში მინდა მოსვლა, ალხას, მაგრამ დედა არ მიშვებს. რამდენს ვეხვეწები, მაგრამ არ მიშვებს. ახლაც გამოვეპარე...

— მოდი, ამინა, მოდი, — ციმციმ შევიყვანე სახლში.

ბებიას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იტირა, იტირა!... ბავშვიც მიეწება, ვერ მოვაცილეთ ერთმანეთს!

მაგრამ ჩვენი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ბავშვს ცარუ მოჰყვა კვალდაკვალ და ჭიშკრიდან დაუწყო ყვირილი:

— გამოდი, ამინა, გამოდი! — ვეძებ მის, რო გეუბნები? გამოდი, გირჩევნია!

ამინამ კარგად იცოდა ამ „გირჩევნიას“ მნიშვნელობა და ჭიშკრისკენ წავიდა.

ბგაზლოუ ყურებდაცქვეტილი და გაკვირვებული მისჩერებოდა ცარუს, არ უყეფდა, მაგრამ ძაღლის თვალებშიც ჩაბუდებულიყო ჩვენი ოჯახის საწუხარი.

ცარუს ხელი ჩაევლო ბავშვისთვის და მიაქანჩალებდა, ის კი ჩვენსკენ ყურებით იტეხდა კისერს. ვიდექით ეზოში და ყელში რომ დანა გამოგესვათ ჩვენთვის, წვეთი სისხლი არ გამოგვიდოდა.

ცარუმ იცოდა, როგორც გვამწარებდა. იცოდა.

20.

მოულოდნელად ბებია გახდა ავად, ბევრი კი არაფერი მესმის ავადმყოფობისა, მაგრამ, გვერდი გაუკავდაო, თქვეს.

ტანს ვერ სწევდა ზევით.

დიდი ფიქრის დრო არ იყო, საავადმყოფოსკენ გავვარდი, — აბა, სად ჯანდაბაში უნდა წავსულიყავი.

მთავარ ექიმთან შევდივარ.

— რა მოხდა, ალხას, რა გაგჭირვებია?

იგი წკიპზე დადგა, ყველაფრისთვის მზად ვარო.

ერთი კარი შეაღო და გავიგონე:

— ადა, მოემზადე...

მე და მთავარი ექიმი გარეთ ველოდებოდით.

ადა ფეხისუმალ გამოვიდა. ისე მომესალმა, თითქოს ჩემგან არცრა სწყენიაო. მერე — ავად ვინ არისო? — იკითხა.

ბებიაა ცუდად-მეთქი.

ალდიზმა და ადამ გულისყურით გასინჯეს ბებია, — რა არ ჰკითხეს! — ბოლოს, დააგინეს, — მძიმე რაღაც

აუწევია და წელი უტკენიაო; ჰოდა, შეიძლება კარგახანს მოუწიოს წოლაო. ასეთი და ასეთი მოვლა დასჭირდებაო; ესა და ეს უნდა ჭამოსო და დალიოსო და კიდევ ვინ მოსთვლის...

თქვენ გაიხარეთ, იცოცხლეთ, მაგრამ ვინ არის ავადმყოფის მომვლელი, ვინ?

ჩვენ ხომ ყველას, „ჩვენი საქმე გვაქვს“, ამ ოჯახში, — ჩვენს ოჯახში, — ყველას გულზე ცეცხლი გვიკიდია, შევძლებთ კი მივხედოთ ბებიას?

და, საერთოდ ჩვენ, ვინც ჯანსაღ ბებიასაც კი ვერ ვშვილიშვილობთ, ავადმყოფ, ლოგინადჩავარდნილ საიმქვეყნო გზას შემდგარი ბებიის პატრონებად ვვარგივართ? ჰა?

ავადმყოფს წამლები გამოუწერეს, დაგვარიგეს, ასეო, ისეო და, მორჩა, — როგორც მოვიდნენ, ისე წავიდნენ.

ადა გამოდიოდა ხოლმე, ავადმყოფს თავისი ხელით ასმევდა წამალს და თბილ შალში ფუთნიდა.

— როგორ გაგაწვალე, ნან, ადა! — ერთ სიკვდილს ათავებდა ბებია.

— რა წვალებაა? — უადვილებდა გქონი.

არადა, ადას ჩემს მიმართაც გადასხვაფერებას ვატყობდი... თითქოს დამითბა, ხან რას დამავალებდა, ხან — რას. მეც ვედექი ყურმოჭრილ მონასავით და გავრბი-გამოვრბოდი.

ბებიაც, ამას რომ ხედავდა, იტრუნებოდა.

მაგრამ, — ვაი, ეს ყველაფერი დროებითი იყო: ბებიას სააქაო პირი არ უჩანდა.

ცათამდე მადლობელი ვიყავი ადასი, ჭიშკრამდე, ალაყაფამდე ვაცილებდი მას და სამადლობლოდ რაღაცას ვლუღლუღებდი, მაგრამ, ეტყობა, უდროოდ და უადგილოდ ვამბობდი იმას, რასაც ვამბობდი:

— მე სამსახურში ვარ, ალხას, გთხოვ, მეტჯერ არ მითხრა, თორემ არ მოვალ, სულ არ მოვალ...

მაინც მოდიოდა.

მოდიოდა და ყოველ გაცილებაზე თავიდან ვიწყებდი იმას, იქნებ, რისი დაწყებაც კი არ იყო საჭირო ამ ვითარებაში.

ბებია? ბებია ნატრობდა:

— ნეტავი, ადასნაირი ქალის შემოსვლას მოვესწრო, ნან, ალხას, ჩვენს ოჯახში და, გაჩენის დღეს რომ ვიყავი, ისეთი ბედნიერი მოვკვდები...

...გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო... მეც ვისწავლე საოჯახო წვრილმანები... რაღა წვრილმანები!...

დღითი-დღე ბებია და მამაჩემი ჩემი და ადამირის საპატრონო გახდნენ.

თანაც, ადამირს ყოველდღე სკოლაში უნდა ევლო, სახლში გაკვეთილებიც ხომ უნდა მოემზადებინა, ჰოდა, ვიჯექი სახლში და დუნიაზე რა ხდებოდა, ღმერთი, რჯული, ვერ ვიგებდი! საიდან!

ბებია წუხდა:

— ცალი ფეხი სამარეში მიდგას და ასე გაწუხებ. გაწვალებ, ნან, ალხასო, — წარამარაობდა.

— ნან, ალხას, — დამიძახა იმ ღამეს...

მაშინვე ავვარდი, ჩავიცვი, სინათლე ავანთე და თავით დავუჯექი.

— რა მოხდა, ბებია?

— მომეხმარე და ჩამოვჯდები, ნან, ალხას, ჰაერზე მინდა გასვლა...

— გაცივდები... გარეთ ნუ გახვალ, ბებია, ჩემი ნუ მოგერიდება.

— როგორ გეკადრება, ნან, ალხას...

დავმუნჯდი.

— მადლობა ღმერთს, ფეხზე ვდგავარ... შენი დახმარებით მაინც... ახლა ის ჯოხი მომაწოდე, ნან...

ჯოხი მოიშველია, მხარში ხომ მე ამოვუდექი და რის ვაი-ვაგლახით ჩავედით კიბეზე.

— ნან, ისე, ამ დღეში არ ჩამეყენებინე და ჯობდა მოვმკვდარიყავი...

— ნუ ამბობ ასე, ბებია, ნუ ამბობ, ექიმმა ხომ გითხრა, მორჩებიო, — ცრემლს გზა არ მივეცი.

— იმას ვენაცვალე, — სახე გაუბარჩხალდა ბებიას, — ადა გაახსენდა!

— ჰოდა, ასე თქვა...

— იმ დღეს მომასწროს ბუნების ძალამ... ღმერთო, შენი სახელის ჭირი-

მე... იმ დღეს მომასწროს ბუნების ძალამ, როცა შენ და ადას ისე გნახავთ, როგორც მე მინდა და მერე, მერე თუ გინდათ, აალიფსას ტალღებშიც გადამაგდეთ, არ დავეძებ! ოღონდ, ძალიან მინდა იმ დღეს მოვესწრო, ძალიან! მანამდე თუ მოვკვდი, ნან, ალხას, ცოდო ვარ, ცოდო!

ბებიას სანახავად საიდან და ვილა არ მოდიოდა!

ერთხელ ხარზამან არშბაც ამოვიდა.

ხარზამანი სოფლის ბოლოს, მთის ძირში, მარტოსულად ცხოვრობდა.

ცხენით შემოვიდა ეზოში.

ბებიამ მოიცოდვილ-მოიკოსტავა თავი: ხარზამანს, მის კბილას დაგონჯებულ-დაჩაჩანაკებულად არ უნდა დანახვებოდა!

თითქოს გუშინ იყო:

ხარზამანი მაყართაგანი იყო, სხვა მაყრებთან ერთად, სიმღერითა და სროლა-სროლით შემოგრიალდა ნეფის — ბასა ანბას ოჯახში.

— ქვეყანა დაიქცა-მეთქი, კი არ ვამბობ, ხალხო, ჰოდა დაიწყო ხარზამანმა, — რაც მოხდა გაუგებრობის გამო მოხდა. ზოგი შეიძლება შორიდან სეირს უყურებდეს და უცდიდეს, — გვაცათ, გვაცათ, რა მოხდებაო. ეს იმათ ნამუსზე იყოს! ჩვენა კიდევ არ შეგვიძლია, — არ შეგვიძლია! უფლება არა გვაქვს! — სეირს ვუყურეთ. ოჯახებს ერთმანეთს ვერ გადავკიდებთ. ალხასი და მიხა უნდა შევარიგოთ. ცარუც თავის სახლში უნდა მოვიდეს. მე მგონი, ამ სახლში სადიასახლისო საქმე მოქუჩდა, ჰა! შენ რას იტყვი, დად, ბაძ? — ჰკითხა ბოლოს ხარზამანმა მამაჩემს.

— ჭკუას საკითხავი ხალხი თქვენა ხართ, — ამოსძახა ქვევიდან მამაჩემმა.

— შენს ნათქვამს როგორ აახტები ბაძი, — ამოიკვნესა ბებიამ.

— ასეა, დად, ბაძ, ასეა, — ბეჭედი დაუსვა ყველას ნათქვამს ხარზამანმა.

ჩემი ივანი აქამდე კი მემსახურა **სახელოსნოდ**, მანდ ბევრი ვინეტარე, — **ბევრი** ოფლი ვღვარე **შთაგონებით მომუშავემ, — მაგრამ** სახელოსნო, ამზაჭის პირობებში შესაძლებელი ნამდვილი სახელოსნო, მჭირდებოდა, მჭირდებოდა და მერე როგორ მჭირდებოდა!

მეზობლის ბიჭები დავიხმარე და იქვე, ჩვენს ეზოშივე, სახელოსნოს გამართვას შევუდექი.

პირველ ქვას ქვეშ ქარი გამოვატარეთ თუ არა, დაბარებულივით დაგვადგა თავზე თავმჯდომარე.

თითქოს ამ ნანინანატრ წუთს ელოდაო, მშვიდად და, თანაც, დაცინვით, ნიშნისმოგებით მკითხა — რა არის, მეგობარო, ეს, რა არისო? გეტყობა, კოლმეურნეობის მიწაზე რომ ხარ, დაგვიწყნიაო, ეგ მიწა, რომელზეც მხარბეჭს შლი, თუმცა შენი მამა-პაპის ნაქონია, მაგრამ დღეს ის ყველას ეკუთვნისო.

— რა მოხდა, აბას? — ვკითხე მე.

— რა მოხდაო, აქეთ მეკითხები? თავს ისულელებ, თუ მე მასულელებ?

— ჩემთან ასეთი საუბარი რა საჭიროა, აბას? საკუთარ ეზოში სახელოსნოს აშენება, რამდენადაც ვიცი, სახელმწიფოს არავისთვის აუკრძალავს. ვილაც-ვილაცებზე ზღვისპირა მიწების, ნაკვეთების უნამუსოდ გაყიდვა რომ კანონით სასტიკად ისჯება, ნამდვილად ვიცი, — გავცხარდი...

— მაგ მიწებსა და ნაკვეთებს თავის დროზე უნდოდა გაფრთხილება...

— ამდენი თუ იცი, ისიც უნდა იცოდე, რომ არც შენ გაქვს იმის უფლება, რასაც შვრები...

ვირზე რომ შეჯდა, არ ჩამოვიდა.

არადა არ დამანება ჩემსავ ეზოში სახელოსნოს აშენება.

რა გზა მქონდა, გავჩერდი. რაზეც მომისწრო, იმის იქით აგური არ ამიმაღლებია.

შარს გადავრჩი.

ხარზამანმა იქამდე ვერ მოისვენა, ვიდრე მიხა არ მოაბრუნა სოფელში.

აბასი გადაირია — სოფელი ვინაა: მე — თავმჯდომარე, თუ ვილაც მოლადელუდე, გზაზე მონაბდე მწყემსი?

აბასი ამის დამვიწყებელი და მპატიებელია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ, ხარზამანმა დაჯაბნოს, ფეხქვეშ გაიგოს აბასი?

ისე, ვამბობ და ვამბობ, მერე მერამდენედ ვამბობ, გაიგონეთ, — თუ ვინმესგან უნდა დაიწყოს, აბასმა ისევ ჩემგან უნდა დაიწყოს!

სად ისა და სად მე!

თავის სოფელში ეგ ერთ უსახელო, გამოუსარჩლებელ მხატვარს ვერ მოერევა?

მე ხომ ვიცი, ვინც აქამომდე მესარჩლებოდა, ისინიც მდუღარე გადასხმული ჭიანჭველებივით დამეფანტებიან!

...— არა! არა! არა! — თითქოს სამი უშველებელი ბოძი დაასოო, რომლებსაც ვერაკაცი ვერ გადაახტებოდა, — სანამ მე ვარ თავმჯდომარე, არ იქნება-მეთქი, არა, არა და არა! არავის მივცემ უფლებას, თუნდაც ერთი მტკაველი მიწა მიიტაცოს, არავის! გაიგეთ?

— გასაგებია, — მშვიდად, თითქოს კვერს უკრავსო, შეეხმიანა ბადრა, — ჩვენც მხარში გიდგევართ: საზოგადო მიწას არავის მივასაკუთრებინებთ, მაგრამ...

— აბა, მე რას ვაკეთებ? — პირში ეცა აბასი.

— შენ ხანდახან აჭარბებ, შეიძლება, უნებლიედ აკეთებ ამას, მაგრამ ასეა, — აუღელვებლად ჩაერთო საუბარში დათაც.

— ჩემთვის ყველა ერთია, მე არავის ვარჩევ, — აბასი ის ჩიტი არ იყო, ვინც ვერ ხვდებოდა, რასაც საყვედურობდა, ასეთ საქმეში არავის დავზოგავ, არავის, — ვინც არ უნდა იყოს, გაიგეთ!

— აბას, — არ შეეპუა ბადრა, — წესი და კანონი წესი და კანონია, მაგრამ ერთიცა და მეორეც მაშინაა ძლიერი, როცა მათ ადამიანები ირწმუნებენ. შენ კი, ვითომ წესისა და კანონის გამოყენებით, უკულმართად გამოიყენე შენი უფლება და ხალხს გული ატკინე...

— ცდები, ბადრა, ცდები. შენ ვერ ერკვევი კანონებში, — იხტიბარს არ იტეხდა აბასი.

ამდენი უკვე ბადრამაც ვერ მოითმინა:

— კანონებში ვინ ერკვევა, ხელის გულზე ჩანს...

— რისი თქმა გინდა, ბადრა? გაცეცხლდა აბასი.

— უკაცრავად, — ჩავერთე დაკადაკაში მეც, — აბას, მე იქ, სადაც სახელოსნოს ვაშენებ, ჩასახლებას სულაც არ ვაპირებდი...

— შენზე კი არ ვამბობ... შენ კი არა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, უნებართვოდ ახალმშენებლობის უფლებას არავის მივცემდი... კანონი კანონია და მისი ძალა ყველამ უნდა იგრძნოს, ყველამ...

— შე კაცო, ასე ცოტა ადრე ვერ ილაპარაკე? ზღაპარივით ზღვისპირა სამოსახლოებში ფეხის დასადგმელი ადგილიც რომ არ დაგრჩათ, ახლა იქნევთ მუშტებს? ჩემგან გინდა ახლა ის ნაკვეთები დაიცვა და გადაარჩინო?! შე კაცო, ვინმეს ეგონება, თითქოს ის ნაკვეთები ამ წუთში მე ზურგზე მქონდეს აკიდებული და ბაზარზე მიმქონდეს გასაყიდად! როცა მართლა ყველაფერი იყიდებოდა, მაშინ სად იყავით, სად? აი, პირადად შენ სად იყავი., აბას, თუ კაცი ხარ?

— მე რა შუაში ვარ?

— „მე რა შუაში ვარ?“ წყლიდან მშრალად ამოსვლა თქვენი მოგონილია...

— ეგ ჩემს დროს არ მომხდარა, ჩემამდე მოხდა, — ხაფანგმა ფეხზე მოუჭირა აბასს.

— ჩემი დრო და შენი დრო არ ვიცი მე... ჩვენ, მე და შენ, ერთ დროში ვცხოვრობთ...

— მე იმის თქმა მინდა, რომ როცა აქაურ მიწებს ვიღაც-ვიღაცები იტაცებდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სხვა იყო...

— სხვაზე გადაბრალება ადვილია. ასეა... ხომ ასეა, რას იტყვი? ცოტაც მოითმინე. იქნება, სხვაგვარად ამღერდე...

— შენა, ძმაო, ჩემს შესაშინებლად

ქ. ზარქსის სახ. სან. სკრ. სახელმწიფო

მოხვედი დღეს აქა? ჯერ ისეთი არაფერი გასჭირვებია ჩვენს ხელისუფლებას, რომ ჩემი საქმე შენი გასარჩევი გახდეს, — ჩემი ხმის გაგონებაც კი ზარავდა აბასს.

— მართალი ხარ, მე არავინ არაფერს მეკითხება, — დავეთანხმე, — ასეა, მაგრამ მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ და ვისმენ. თავს ზევით ძალა არა მაქვს. დაბალი ღობე მნახე, აბას, და გინდა გადამაბიჯო?

— მე კანონს ვიცავ, ამისთვის დამაყენეს აქ, — ხმა გაუმხნევდა აბასს.

— შენ რასაც აკეთებ, ის კანონის დარღვევაა...

— როგორ? მე კანონი დავარღვიე? — შეძრწუნდა აბასი, — გესმით, რას ამბობს? — თითქოს წყალს მოაქვსო, ისე მოეჭიდა ბადრასა და დათას.

— გესმით, რას ამბობს?

არც ბადრას გაუღია ხმა, არც დათას.

გატრუნულნი ისხდნენ.

გამიკვირდა — „ხმა ამოიღეთ, ხალხო, რაღას ელოდებით, მაინცდამაინც უნდა დავცხოთ ერთმანეთს?!“

— შენ ხომ უნებართვოდ აშენებდი სახლს, — გადმოვიდა შეტევაზე აბასი.

— სახლს კი არა, სახელოსნოს ვაშენებდი.

— სახლი... სახელოსნო... გინდ ასე დაუძახე, გინდ ისე... ახალ შენობას ხომ აშენებდი... მე კიდევ იმის უფლებას არ მოგცემ. არ მოგცემ, გაიგე! სახელოსნოს აშენებს ბიჭი! ხატვა მოუნდა, აბა! მერედა, ვის რა შავ ქვად უნდა ის შენი ნახატები?!

— ვხატავ... ჩემი ნახატები ვის რას უშლის?..

— ვის რას უშლისო? ვისა და... მე... ყველას... ვეგმები მაქვს... ვეგმები... თამბაქოს, სიმინდის, საქონლის, თასი რამის... როგორ გგონია, შენი ნახატები შემისრულებს ვეგმებს?..

დათა და ბადრა დუმდნენ.

მე გამოლმა დავრჩი, აბასი — გალმა ...მოქამული ვბრუნდები შინ. „ეხ დავაშავე, რა დავაშავე!“

ჭიშკარი რომ შევაღე, ბგაზლოლ შემომელაქუცა. წინიდან დამიარა, უკნიდან მიტრიალა, კაცის ენაზე ვერ დამელაპარაკა, თორემ რა არ ქნა...

„ბებია!“...

კიბის ბოლოს იწვა მოკუნტული, მომჩვარული, დაპატარავებული ბებია-ჩემი.

— რა იყო, ბებია?

უმწეოდ ამხედა:

— მოხვედი, ალხას? — ისევ ამომკვნესა, თითქოს მოსახედი და საპატრონო მე ვყოფილიყავი.

„დავარდა, გარეთ გასვლა მოინდომა და დავარდა“.

ხელში ავიტატე. მსუბუქი იყო, ისე მსუბუქი, რომ, — ღმერთო, — კიდეც რომ წაქცეულიყო, რა უნდა სტკენოდა!

მაგრამ, ეტყობა, შევეცოდე.

21.

მამაჩემს არასოდეს უყურებია, რას და როგორ ვხატავდი.

ახლა კი ზურგს უკან მედგა და თვალს არ მაცილებდა. იდგა სულგანაბული, თითქოს ეშინოდა, თუ გავინძერი ან ხმა ამოვიღე, სურათი დანაკუწდებაო.

რა წინაგრძნობამ ამოიყვანა მამაჩემი ამ აივანზე? რაღა მაშინ მოინდომა ეყურებინა, თუ რას და როგორ ვხატავდი.

ხომ ვერ ვკითხავდი?

ისე სიხარულით ძალიან მიხაროდა.

ჩემს ზურგს უკან რომ იდგა, ასე მეგონა, მის ჩრდილში ვიდექი და ბეჭებზე რაღაც სხვანაირი სითბო მეფინებოდა. ისიც ჩემსავით თითქოს სულ სხვა სამყაროში იყო გადასახლებული, და მე თითქოს მესმოდა მისი სიტყვები:

„ასე, ალხას, ასე! შენს მეტს ეს არავის შეუძლია. იღბალი მაინც გქონია, რომ დედაშენს აქამდე დახუჭულ თვალებს აუხელ და ქვეყანას შეახედებ. შვილი ვარო, შენ გეთქმის.

აახელს ის საცოდავი თვალს, დაგი-

ნახავს შენ — მის სისხლსა და ხორცს და ეს დაუბრუნებს მარადიულ სიცოცხლეს.

მარცხენა თვალი თუ აეხილა, ნათელი მარჯვენისკენაც გაიკვლევს გზას.

ერთი აეხილა!

მეორეც!

რა ხანია, ამ თვალებს ქვეყნიერება არ უნახავთ!

აცალე, ნელ-ნელა, თანდათან შეეჩვიონ სინათლეს!

„რა ბედნიერი შვილი ხარ, ალხას! შენისთანა ლამაზი დედა არავის ჰყოლია, ღმერთმანი! აგერ დგას შენს წინ. სახლში დაგიბრუნებია შენი ლამაზი დედა, ალხას!“

„მამაჩემო, ერთხელ მაინც რატომ არ წამოგცდა, ჩემი ლამაზი ცოლიო? ის ხომ ჯერ ლამაზ ქალიშვილად, შენს ცოლად შემოვიდა სახლში და მერე გახდა დედაჩემი! რატომ გგონია, რომ იმ ახალილი თვალებით მარტო მე მიყურებს? ვხედავ, ვხედავ, რომ შენც გიყურებს და მისი ხმაც მესმის: „რატომ მოგიწყენია, ბაძ, რატომ? რა დარდს იკლავ იმ გულში? ალხასი როგორაა, ალხასი?“

ამას შენ გეკითხება, მამაჩემო, შენ, თუმცა მეც მის თვალწინ ვდგავარ. შენგან უნდა გაიგოს, მამაჩემო, ჩვენი ოჯახის საქმე! თუმცა, ოჯახი რომ დაგფანტვია, დაგკნინებია, ეს თუ გიკლავს გულს! აბა, მე, შენი შვილი, უცხოსავით რატომ უნდა ვიყო შენს ოჯახში?

„ჩვენი ოჯახისთვის დაკარგული დედაშენი შენ დააბრუნე, ალხას. სიკვდილს მოერიე, ალხას, სიკვდილს... და ახლა აგერ დგას საცოდავი დედაშენი, აგერ დგას ჩვენს წინაშე, თვალახელილი...“

— დედაშენს ასეთი თვალები ჰქონდა, ალხას, — ვერ მოითმინა მამაჩემმა.

— ხოო, მამა?

— ზუსტად, შვილო, ზუსტად.

ეტყობა, გული აუჩუყდა და ცრემლი რომ ჩემთვის არ დაენახვებინა, ოთახიდან გავიდა.

ისიც დავინახე, საითკენაც აიღო გეზი. პირდაპირ დედაჩემის საფლავისკენ გაემართა, ძველი წესით, რომელიც არის ლამაზი, რომ კაცი, შვილების დასანახად, ცოლის საფლავზე მივიდეს. მამაჩემი ამ წესს იცავდა და ჩვენს დასანახად, მართლაც, არ აკითხავდა საფლავს. მაგრამ მე ხომ ყველაფერს კარგად ვხედავდი.

ვხედავდი როგორ მივიდა მამა დედაჩემის საფლავთან.

რაიკომის მდივანმა სიტყვა შეასრულა. იმ დღეებში, როცა დედაჩემის სურათი დავამთავრე, საღამოსპირს, მარტოდმარტო, სოფლის თავკაცების გარეშე მოადგა ჩვენს ჭიშკარს.

მოსვლისთანავე ბებიას ამბავი იკითხა და პირდაპირ მისი ოთახისკენ გაემართა.

ბებიას მისი მოსვლა დიდად ეამა — ხუმრობა საქმე ხომ არ იყო. მის ხელში დავაკაცებული კაცი ახლა მთელ რაიონს ხელმძღვანელობდა და ბებიას მოსანახულებელი დროც მონახა. ბებიასა და ჩვენს სტუმარს სისხლით ნათესაობა არ ჰქონდათ, მაგრამ ადრე მეზობლები იყვნენ, იმათ ჭირსა და ლხინს საერთო ღობე ევლო. ბებია რომ მამის ოჯახში მიდიოდა, ამათაც მოინახულებდა უეჭველად.

აივანზე, სახელოსნოში გავედით. ჩემი ნამუშევრების ნახვა ისურვა.

დიდხანს, გულისყურით ათვალიერა ჩემი ნამუშევრები, სპეციალისტი არა ვარ და მათ შეფასებას არ შევუდგებიო, ეს კია, რომ ძალიან მომწონს და მინდა მუშაობაში ხელი მოგიმართოთ.

როგორ და რანაირად აპირებდა ამას, არ უთქვამს, მაგრამ მე რომ გუნება გამომიკეთა და წამახალისა, არ დავმალავ

ხალხნი ვართ!

დიდხანს უყურა დედაჩემის სურათს.

— დედაშენი, ალხას! — ისე თქვა მან, თითქოს ის სურათი თავისი ხელით დაეკიდოს იმ კედელზე, — დედის თვალები აქვს, მშობელი დედის!..

— ნან, ალხას, ჩვენს სტუმარს რამე უთხარი? — მკითხა ბებიამ, როცა მდივანი გავაცილე.

— არაფერი მითქვამს, — მაშინვე მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

— კარგად მოქცეულხარ, ნან, კარგად, თორემ ჩივილად ჩაგეთვლებოდა...

რაიკომის მდივნის ჩემთან სტუმრობაზე არავისთვის არაფერი მითქვამს, — ვიცოდი, კუდს გამოაბამდნენ. მაინც გაუგიათ — ხალხს თვალი აქვს და ყური აბია!

ჰოდა, აბასმა პირველსავე შეხვედრაზე მომახალა:

—ალხას, რაიკომის მდივანთან სიარული და ჩივილი დაიწყე და მოგადგა კიდეც კარზე?

22.

აბასს ეჭვის ჭია ღრღნიდა, სულ ეჩვენებოდა, — ყველა ჩასაფრებული მყავს და მახეს მიგებენო.

შარზე იყო, ბუზღუნებდა, ენის მიმტანებსა და მლიქვნელებს აჰყვა.

ერთი სიტყვით, ამოვარდა კაცი კალაპოტიდან.

მიხა და ხარზამანი ადრე მეგობრები თუ იყვნენ, ახლა ერთმანეთის დანახვა არ უნდოდათ. მიხა მთლად შეიცვალა. მენახირეთა ცხოვრება არია და აწეწა. ხარზამანი მიხვდა, რომ ამ ამბავს ცუდი პირი უჩანდა, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

საათივით აწყობილი საქმე უკულმა მიდიოდა.

საქონელს ხელი დააკლდა. უპატრონობამ ბევრი ზარალი მოიტანა. წველადობამ იკლო, სიკვდილიანობამ იმატა.

ხარზამანიც, მეტი რა გზა ჰქონდა, თავმჯდომარეს მიადგა. აბასი რატომღაც გაბრაზებულდა, თითქოს ამ საუბარს ელოდა კიდეც.

— ასეა, უპატრონობამ და განუკითხაობამ ასე იცის...

— როგორა თქვი, აბას? — გაოცდა ხარზამანი.

— ეგრეა და! — ხმა აიმაღლა თავმჯდომარემ, — ეგრეა, ბრიეთ და აწეწეთ საქმე!

— მიზეზი უნდა დადგინდეს, დად, აბას!

— დასადგენი რა არის აქა? — აენთო აბასი, — დადგენილია და მორჩენილი. ვინც ბრმა არ არის, ყველა ყველაფერს ხედავს.

— თუ ყველაფერს ხედავთ და ყველაფერი იცით, წამალიც გეცოდინება, და ურიგო არ იქნებოდა, ჩვენც თუ გვასწავლი, — ძლივს იკავებდა თავს ხარზამანი.

— მე მინდა, რომ შენ თვითონ მითხრა, რატომ მოხდა ყველაფერი ეს, — იქით შეედავა აბასი.

— მე? მე რომ ყველაფერი ვიცოდე...

— იცი!..

— როგორ გეკადრება, დად, აბას? — უკვე გაუწყდა მოთმინების ძაფი აბასს, — რა ბავშვსავით მელაპარაკები?

— აბა, რაო, მე რატომ უნდა გითხრა ის, რაც ჩემზე კარგად იცი.

— ნუ დამცინი, აბას!

— არც მიფიქრია. იმ ფერმის საქმე, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ, ჩემზე უკეთ შენ გეცოდინება-მეთქი. სხვა რამე გითხარი?

— რაღა დაგიმალო, აბას, და, მიხას საქციელი არ მომწონს, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ხარზამანი, — რაც დაბრუნდა, იმ დღიდან სულ არივ-დარია ყველაფერი, ღმერთმანი, თითქოს ვიღაცამ დაავალაო...

— რომელ მიხაზე მელაპარაკები? — გაუხარდა აბასს, — იმ მიხაზე ხომ არა, ურომლისოდაც ვერ ძლებდი? შენ არ იყავი, ქვეყანა რომ ააწრიალე და მიხა სოფელში დამაბრუნებინე? რაო, რა ქვეყანას აქცევს ის შენი მიხა, ა?

— არ იქცევა კარგად.

— მიხაო, ა! — ისევ წაართვა პირიდან სიტყვა მოხუცს აბასმა, — ასე ჩქარა მოგბეზრდათ ერთმანეთი? მიხა ვინ არის, რო! მასთან მე რა ხელი მაქვს, ვიცნობ, მიცნობს?

— ამჟამად მასთან გაქვს საქმე, —

ხმაში ტყვია ჩაიდუღა ფერმის გამგემ.

— სულაც არა, — გაკერპდა თავმჯდომარე, — ეიღაც მიხასთან კი არა, ფერმის გამგესთან, პატივცემულ ხარზამანთან მაქვს საქმე.

სიტყვა „პატივცემული“ ახლა აშკარად დამცინავად ჟღერდა.

— კეთილი, დად, კეთილი, — ისევ მოთოკა თავი ხარზამანმა, — თუ საქმისთვის ასე აჯობებს, მარტო ჩემთან გქონდეს საქმე...

— დიახ, დიახ, საქმისთვის ასე აჯობებს, — თითქოს დამშვიდდა აბასი.

ფერმის მუშაობის შემოწმება კომისიას დაევალა, შემდეგ კი საკითხი საერთო კრებაზე განიხილეს.

აბასს უნდოდა ვითარებით ესარგებლა და ხარზამანი გაეთავისუფლებინა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. „სხვა თუ არაფერი, ხანდაზმულია, ამას ჩავეჭიდები და ვინ რა უნდა მითხრასო?“

— ხარზამანს აბრალებთ ყველაფერს, რაც ფერმაში მოხდა? — არავის შეეპუა ბათალ კარბა, — ხარზამან ახბას, კაცს, ვინც ფერმას მისი დაარსების დღიდან უძღვება? კაცს, რომელიც სინდის-ნამუსის განსახიერებაა? ასეთი რამ, თუ გინახავთ, ხალხნო?!

— ჩვენ აქ ხარზამანის სინდის-ნამუსს არ ვარჩევთ, — მაგრად იდგა აბასი, — ჩვენ ფერმის ზარალზე ვლაპარაკობთ, ფერმის ზარალზე! ჰოდა, ფერმა თუ ტიალდება და ნადგურდება, მის გამგეს გვერდს როგორღა ავუვლით?

— მაგრამ ჯერ ხომ უნდა გავარკვიოთ, ვინ ამღვრევს წყალს?

— მე საქმე პასუხისმგებელ პირთან მაქვს. ფერმაში მომხდარ ყველა დარღვევაზე ფერმის გამგემ უნდა აგოს პასუხი!

— ვითომ რატომო? — გაიკვირვა ბათალმა, — ფერმაში ხარზამანს გარდა სხვებიც მუშაობენ და მთელი მუშაობის ავ-კარგზე სხვებიც აგებენ პასუხს.

— მე იმათ სულაც არ ვცნობ!.. მე ხარზამანთან მაქვს საქმე, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელთან, — ტრიბუნის დასმა სცადა თავმჯდომარემ.

— თუ ასეა... — აინთო ბათალი, — კანონს, ხელისუფლებას შენთან ჰქონია საქმე, ღად, აბას! თუ არ იშლი...

— ეს დაცინვაა, ბათალ, — იწყინა აბასმა.

— არა! — ჩაურთო სიტყვა ბადრამ, ბათალი მართალია.

— მართალია, ბათალი მართალია, — გაისმა აქეთ-იქიდან.

ვიღა არ გამოვიდა სიტყვით!

კრების თითქმის ყველა მონაწილე იმის მომხრე აღმოჩნდა, რომ ხარზამან ახბა თავის ადგილზე დარჩენილიყო, მიხა ფერმიდან სხვაგან, ფიზიკურ სამუშაოზე გადაეყვანათ, მის ადგილზე კი უფრო შესაფერისი კაცი დაენიშნათ.

აბასისთვის დანა რომ დაგერტყათ, სისხლი არ გამოუვიდოდა.

ამ საქმემ ნერვები კი დაგვაწყვიტა. მაგრამ ყველას რაღაც გვიხაროდა.

...სახლში ვარ და ვხატავ, მოულოდნელად სიბრაზისგან მთლად გაფითრებული აბასი დამადგა თავზე.

— გიბარებენ, ალხას, — მითხრა მან, როცა უხეირო სალამი მომიგდო.

— სად მიბარებენ? — გამიკვირდა.

— როგორ, არაფერი იცი?

— თქვი, თუ კაცი ხარ...

— შეუძლებელია...

— სად მიბარებენ? — გავცეცხლდი.

— სად და სადაც გინდოდა და მოითხოვე...

— სად მინდოდა, რა მოვითხოვე?

— როგორ, შენ რომ არ გინდოდეს, ისე დაგიბარებდნენ.

— ვინ მიბარებს?

— ვინ და რაიკომის პირველი მდივანი.

— რისთვის?

— ეგ შენ უკეთ გეცოდინება...

რაიკომში ცდა არ დამჭირვებია, მდივანმა მაშინვე მიმიღო.

ვიჯექი და ყურს არ ვუჯერებდი. სოხუმში ახალგაზრდა მხატვრების

საკავშირო გამოფენა იმართებაო, შენც უნდა მიიღო მონაწილეობაო, დიდი იმედი გვაქვს, რომ გვასახელებო.

— მერედა, რომ შეგარცხვინოთ-მეთქი, — ერთი ამოვილუღლუღე.

— შენ შენი არ დააკლო, საშიში არაფერია, — დამამშვიდა მდივანმა, — ახლა კი გზად რაიაღმასკომის თავმჯდომარესთან შეიარე, გელოდება.

მითხრეს, სახელოსნოს აშენების უფლება მოგეცითო.

მეცხრე ცას ვეწიე.

გზაში აბასი წამომეწია მანქანით, თავი გადმოჰყო...

— ვითომ არც იცოდი, რაზე გიბარებდნენ. იჩივლე, ხომ?

— ვის რა ვუჩივლე, რას ამბობ?

— ვიცი, ვიცი... დარეკეს უკვე... სახელოსნოს გულისთვის იკლავ თავს, ხომ...

ადგილს მოწყდა და მტვერში გამხვია.

სახლში რომ მივედი, ერთი ცოდვა ტრიალებდა.

ბებია ცუდად გამხდარა და ექიმები თავს დასტრიალებდნენ.

იმ ღამეს გვიანობამდე ვუჯექი თავთით. ქალებმა ცარუ შემოიყვანეს. ასე ადვილად თუ მობრუნდებოდა, ნამდვილად არ მეგონა. ხარზამანმა თუ დაარჩარა. ცარუს აქ არყოფნაში მის დედამთილს რომ რამე მოსვლოდა, ხალხში როგორღა გამოყოფდა თავს.

— როგორ არის დედა? — შემოსვლისთანავე მივიდა ავადმყოფთან. — რა მოხდა? რა სტკივა? — შეშფოთდა იგი.

პასუხი გვიან მიიღო:

— მძიმე დღეშია ავადმყოფი, ძალიან მძიმე დღეში, — თქვა ალდიზმა და ხელი შეუშვა ავადმყოფის მაჯას.

23.

სახელოსნოს აშენების უფლება მივიღე თუ არა, მაშინვე შევუდექი საქმეს. ბევრი ამომიდგა მხარში. დათამ ხომ თავი არ დაზოგა. ბევრი ხელი კაცს დაასახლებსო, უთქვამთ ღა მეც, მეგობრების დახმარებით, სულ მალე კოხტა სახელოსნო გავმართე.

გამოფენაზე გასატანი სურათები კი მქონდა, მაგრამ ისინი ახალი ნამუშევრებითაც მინდოდა შემევსო.

პირველი, რის ხატვაც ჩემს ახალ სახელოსნოში დავიწყე, ხარზამან ახბას პორტრეტი იყო.

მინდოდა, ამ სურათს წარმოეჩინა ჩემი სოფლის სილამაზე, მისი ძველი და ახალი ყოფა. ოღონდ, ისე, რომ არც ფონს დაეჩრდილა ხარზამანი და არც, პირიქით.

ჰო და, შევხვდი!

რაკი ერთხელ ხმა ამოვიღე, იცოცხლეთ, გული ვიჯერე. შენა-მეთქი, ვიღაცა გატყუებს, ათას ტყუილს გეუბნებიან ჩემზე-მეთქი მინდოდა ყველაფერი კარგად ამეხსნა მისთვის, მაგრამ ყოველ წუთს მაწყვეტინებდა სიტყვას.

— არ მჯერა, მაინც არ მჯერა შენი, ალხას, — თავისას არ იშლიდა ადა, — მე ხომ ვიცი, რომ ნათელა ისე, შემთხვევით არ ჩამოსულა ამზაჭაში. მაგრამ ამაზე საუბარს ახლა რა აზრი აქვს, ერთი...

ფიცი-მტკიცი არაფერში გამომადგა. რაც ენად გავიკრიფე, თითქოს, ყველაფერი ალიფსას ტალღებს გააყოლაო, — ჩვენ სწორედ წყლის პირას ვიდექით.

— იცი, ალხას, რაღაც მინდა გკითხო...

მკითხე-მეთქი.

— ისეთი ცუდი რა გაგიკეთეთ, რომ რაიონის ხელმძღვანელობასთან უჩივლე ჩემს ძმას?..

— რაო, მე შენს ძმას ვუჩივლე? — თუ არ დავიხრჩობოდი, არ მეგონა, — ვინ გითხრა ასეთი სისაძაგლე?

— ვინ მითხრა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რა დაგიშავა, რომ უჩივლე-მეთქი?

— ტყუილია, მოჩმახულია!

— რას ბრძანებთ?

— მე არავისთანაც არ მიჩივლია.

— როგორ, ალხას!... გრცხვენოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი ასეთი რამ იკადრე და იჩივლე, პირდაპირ თქვი, აღიარე მაინც...

— არ არის ეგ მართალი, გაიგე, ადამიანო!

— არ მჯერა, ალხას! ნათელაზე მაშინ რაც მითხარი, მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი გაირკვა.

— მე რაც მაშინ ნათელაზე გითხარი, სულ მართალია, სიტყვაც არ გამირევია ტყუილი.

— სულელი ბგონივარ, ალხას?

— სრულებითაც არა...

ადამ მეტი არაფერი მათქმევინა და ტყვიანაკრავივით მოწყდა ადგილს.

ჭკუაზე არ ვიყავი კაცი — ისეთ ცილს მწამებდნენ. აბასმა ისეთი რაღაც დამაბრალა, რაც ფიქრადაც კი არ მომსვლია.

ხალხი, ალბათ, რას ფიქრობდა ჩემზე!

სახელოსნოში ჩაკეტვა და მუშაობა მშველოდა ცოტას.

ხარზამანმა სულ არ იცოდა, რომ მე მის სურათს ვხატავდი, რომ გაეგო, შეიძლება უარიც კი ეთქვა, რადგან ჩვენებურ მოხუცებს ასე ოლად არამცთუ ვერ დახატავ, სურათსაც კი ვერ გადააღებინებ. „რად გინდა, დად, ჩემისთანა ბერიკაცის ხატვა?“ — მეტყოდა, უეჭველად, ხარზამანი, დაწყებული სურათი რომ დაენახა.

პორტრეტს ვამთავრებდი, როცა ჩემთან, სახელოსნოში, რაიკომის მდივანი თემურ არლანი და აბასი მოვიდნენ. აბასის გამოჩენა დანასავით ჩამესო გულში. რაიკომის მდივანთან ისე გამიბა ჩემს ნახატებზე საუბარი, თითქოს დღედაღამ ჩემზე ფიქრობდა.

ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ველარ მოვითმინე.

— შენი ვერაფერი გამიგია, აბას. ხალხში თავს მჭრი, ზურგს უკან მაბეზღარობას მაბრალებ, თითქოს მე შენთვის რაიკომში მეჩივლოს და აქ კიდევ...

— რაო, რაო? — დაიძაბა მდივანი, — რა მოხდა თქვენს შორის?

— არაფერი, — სწრაფად მიუგო აბასმა.

— როგორ თუ არაფერი... როდის გიჩივლე, აგერ, მდივნის დასწრებით მითხარი, მითხარი, მითხარი! აგერ კაცი და აგერ მე, ბრძანოს, როდის გიჩივლე, ერთი!

— რა მოხდა, ვერაფერი გამიგია, — მხრები აიჩეჩა აბასმა.

— როგორ თუ რა მოხდა? განა შენ არ გამივრცელე ხმა, თითქოს რაიკომში მეჩივლოს?

— მე არაფერი ხმა არ გამივრცელებია შენთვის. ეგ უჩემოდაც ყველამ კარგად იცის.

— რა იციან, ვისგან იციან, საიდან იციან? — მეტის მოთმენა ალარ შემიძლია.

— რა იციანო, აბას? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა.

— აბა, მე ვუშლი ალხასს მუშაობაში ხელს? — გაბედა და კითხვას კითხვითვე უპასუხა აბასმა.

— ასეთი რამ ჩემთვის ალხასს არასოდეს შემოუჩივლია, — დამიმოწმა მდივანმა, — საიდან მოიტანე?

— ყველა ამბობს!

— ყველაზე ადრე ეს შენ მომიგონე, შენ! — უკვე ვუყვირე.

— არ გეკადრება ასეთი რამეები, აბას! — არ ხარ მართალი. არც მაშინ იყავი მართალი, როცა ალხასს სახელოსნოს აშენება დაუშალე და არც ახლა...

— კანონის დარღვევა არ მინდოდა, თორემ ალხასს რას ვერჩოდი?

— კაცს ტყუილ-უბრალოდ გული ატკინე... ჩვენ ეს შემთხვევით, სულ გარეშე ხალხისგან გავიგეთ.

მე არაფერი მათქმევინა. რაც აქამდე მძიმე ტვირთად მაწვა ზურგზე, მომეხსნა. შვებით ამოვისუნთქე.

რაიკომის მდივანმა მომავალ გამოფენაზე გადაიტანა საუბარი, თითქოს არც ისეთი არაფერი მომხდარაო.

...ერთხელ ამბავი ჩამოვიდა — ნათელა პაპბა გათხოვდაო.

მაშინვე ალო ნანბასთან გავვარდი. **მარ**თალია, დამიდასტურეს.

„**კარგი** გოგოა ნათელა, ღმერთო, **აბ**ედნიერე!“

მაგრამ მე რა მიხარია ასე ძალიან?

რა და, იქნებ, ახლა მაინც გაიფან-**ტოს** ავი ღრუბელი, რომელიც ცარუს **წ**ყალობით ჩემსა და ადას შორის ჩა-**მოწვა.**

ისიც გავიგე, ნათელა მხატვარ ტა-**რას** ამპარს გაჰყოლია, აკადემიაში **ჩემს** თანაკურსელს.

ადასკენ მივფრინავ. აგერ, მის სახლ-**თან** ვდგავარ. მინდა დავუძახო, ვუთხ-**რა** ყველაფერი. „იქნებ, ახლა მაინც **დ**ამიჯეროს...“ მაგრამ როგორ გინდა ამ **შ**უალამისას ყვირილი ავტეხო ოჯახის **კ**ართან?

ადას მაგივრად სხვა, ვთქვათ, აბასი **რ**ომ გამოვიდეს, მაშინ რა ვქნა?

ვდგავარ და ვერაფერი მომიფიქრე-**ბ**ია. იმას კი, ალბათ, ღრმა, მშვიდი ძილით სძინავს და ამ წუთში ჩემი არ-**სებ**ობა არც კი ესიზმრება.

„**ახ**ლო რომ მალაპარაკა მასთან... **თ**უმცა, ამისთანა ბედი მე ვინ მომ-**ცა**?..“

უცებ ზურგსუკან მანქანის ღრჭიალის **ხ**მა მომესმა. სანამ რამეს მოვიფიქრებ-**დ**ი, სინათლემ თვალი დამიბნელა. მან-**ქ**ანის კარი გაიღო, აბასი გადმოვიდა, **მ**ინდოდა იქაურობას გავცლოდი, მაგ-**რ**ამ გვიანი იყო.

— **ალ**ხასი ხარ?

ენა ჩამივარდა.

— სად იყავი, ალხას? — ხმას აუწია **აბ**ასმა.

— ნათელა გათხოვდა, — ამოვილუღ-ლუღე.

— ვინ ნათელა გათხოვდა, გათხოვ-**დ**ა და გათხოვდეს? მერე, შენ აქ რა **გ**ინდა?

— ნათელა გათხოვდა...

— მაგის სათქმელად მოხვედი ამ **შ**უალამისას ჩვენთან?

— არა, — მაშინვე მივხვდი, რომ სი-**ს**ულელე ჩავიდინე, — ბებია ცუდად **დ**ა, იქნებ, ადა იყოს-მეთქი სახლში.

— ჯარიმხანი ცუდად გახდა?

— ჰო, იქნებ, ადას ენახა...

— ადა სოხუმშია წასული. იქნებ სხვა ექიმია მოსაყვანი ან ჯარიმხანი იქით წაგვეყვანა?

— არა, ნუ შეწუხდები, — მთლად **დ**ავიბენი, — ალდიზს ვთხოვ.

— ისე, სხვა ხომ არაფერი გინდოდა? — ამათვალიერ-ჩამათვალიერა აბასმა.

— სხვა არაფერი, — თავი ჩავღუნე **დ**ა ავიძარი.

— არაფერი მესმის, — ძლივს გავი-**გ**ე შორიდან მოდევნებული სიტყვები, — ალხას, გაჩერდი! გაჩერდი-მეთქი!

მაგრამ მე ნაბიჯს ავუჩქარე. მართა-**ლ**ი გითხრათ, გული გადამიქანდა, რა **თ**ქმა უნდა, აბასი მიხვდა, რისთვისაც **მ**ივედი მათ სახლთან.

„ვიცი, ალხას, ვიცი, რისთვისაც იდე-**ქ**ი აქ. მეორედ არ დაგინახოს აქ ჩემმა **თ**ვალებმა, თორემ ცუდად წაგივა საქ-**მ**ე. ცუდად!“

ეს სიტყვები აბასს ხმამაღლა არ უთ-**ქ**ვამს, მაგრამ, ღმერთმანი, მე ასე მო-**მ**ესმა.

სახლში მისვლას არ ვჩქარობდი.

ჭიშკრამდე მივათრიე ფეხები. ბგაზ-**ლ**ოუმ ხან აქედან მიტრიალა, ხან — **ი**ქიდან. იმდენი იწკმუტუნა, იმდენი!

რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ძალ-**ლ**ია და მე თვითონ უნდა მივხვედრი-**ლ**იყავი, რაც ხდებოდა ჩვენს სახლში.

ფეხაკრეფით შევედი ოთახში. ბები-**ა**ჩემს მაინც არ გამოპარვია ჩემი მოს-**ვ**ლა და თავისი ოთახიდან შემეხმიანა:

— მოხვედი, ნან, ალხას?

— მოვედი, ბებია, — ჩუმადვე მივუ-**გ**ე, რომ სხვები არ დამეღვიძებინა.

მალე ბებიას ჩაეძინა — თხელი კედ-**ლ**ის იქიდან მისი ფშვინვა მომესმა.

ძილი არ მეკარებოდა — ადას სახეს **ვ**ერ ვიცილებდი თვალიდან.

დათა, სად არის დათა? იქნებ, ეგეც **ა**დასთან ერთად წავიდა სოხუმში? ვიდრე მე გარეგარე დავბორიალებდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან თავისი საქმეები ხომ არ მოაგვარა?

ლოგინში ვერ მოვისვენე. გარეთ გავსავსავდი. ბილიკს დავადექი. დათას სახლისკენ მივდიოდი.

ტყისპირას ორნი იდგნენ. არ მინდოდა ამ დროს ვინმეს ვენახე გარეთ. „თუ არ გავჩერდი, დამინახავენ“.

თუმცა, ეს ხომ ადაა. ეგაა, რასაკვირველია. მაგრამ მეორე ვინაა, ვინაა ის ქალი, ჩემკენ ზურგით რომ დგას? დათა ენადაა გაკრეფილი. შორიდან გარკვევით არაფერი მესმის, მაგრამ „ნატალკაო!“ აშკარად კი გავიგონე.

— ნატალკა ყოფილა! — კინაღამ ვიყვირე და იქაურობას გავეცალე.

ფეხი გამხმარ ტოტზე მომიხვდა, ატკაცუნდა, ალაწუნდა.

— რომელი ხარ მანდ? — ხმამაღლა იკითხა დათამ.

ადგილზე გავილურსე.

— რომელი ხარ-მეთქი? — ისევ იყვირა დათამ.

უკვე გავრბოდი, ბევრი არაფერი მიკლდა.

— რომელი ხარ, ვერ იტყვი? — წამომეწია დათა. — მერე:

— ალხას, შენ ხარ? — სიარულით მიცნო, ალბათ.

— მე ვარ, — მეტი არაფერი მითქვამს. ნაბიჯს ავუჩქარე.

— ხოო! — მგონი დამშვიდდა დათა, — მერე გამაჩერა, — ალხას, შენ, ალბათ, იცი, რომ მე ნატალკა მიყვარს. გაგიქებით მიყვარს.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — სიტყვა არ გავაგრძელებინე მე, თითქოს მეშინოდა, არ გადათქვას-მეთქი.

...ადასი არაფერი ისმოდა. ამზაჭაში ამოსულ ავტობუსს ვხვდებოდი ხოლმე, მაგრამ არ ჩანდა.

ასე ვხვდებოდი მთელი დღეების მანძილზე.

ერთ დღესაც, როგორც იყო, ჩამოვიდა. მინდოდა, თითქოს შემთხვევით შევფეთებოდი, მაგრამ ვინ დაგაცადა! აბასის მანქანა მოგრიალდა და ქორი რომ წიწილას იტაცებს, ისე გაიტაცა!

24.

მეტად ადას ნახვა ვერ მრცხვენია. ვგრძნობდი და ვხედავდი, რომ აბასი მას თვალს არ აცილებდა. აშკარა იყო, ჩემზეც ეჭვიანობდა!

მეც რაღა მაინცდამაინც იმ საღამოს ავეყუდე აბასისა და ადას ჭიშკართან? თაგვმა თხარა, თხარაო, გაგეგონებათ. მე თვითონ გავიყიდე თხასავით და ახლა აბასი რაღას მიმიშვებდა ჩემს ნებაზე! უდღეური ბავშვი აკვანში არ ეტეოდაო, ისე დამემართა.

დრო კი მიჰქრის. გამოფენის გახსნის დღე ახლოვდება.

მანქანა გამომიყვეს და სურათები სოხუმში წავიღე. იქ მხატვართა კავშირი დამეხმარა, სურათები დამიკიდეს, წარწერები გაუკეთეს.

მოვიდა გამოფენის გახსნის დღეც. მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, დამსვენებლები ფუტკარივით ირეოდნენ.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა.

ისე ვღელავდი, ირგვლივ ბევრს ვერაფერს ვხედავდი.

ოღონდ, დედაჩემის პორტრეტისთვის კი თვალი არ მომიცილებია.

მისი იმედი მქონდა!

ისიც თვალს არ მაცილებდა, მამშვიდებდა, გულს მინათებდა.

ხალხი სურათების თვალიერებას შეუდგა.

არასოდეს დამავიწყდება: ერთი ყმაწვილი კაცი მისჩერებოდა დედაჩემის სურათს. დიდხანს იდგა გახევებული. ცოტა აკლდა და ტირილს დაიწყებდა. ამ დროს ერთი ქალი მიუახლოვდა, მკლავში ხელი მოჰკიდა და გასასვლელისკენ წაიყვანა:

— ცხონებული დედაშენის თვალები აქვს!

დავდივარ სხვებთან ერთად დარბაზში. ზოგი ეს-ესაა შემოვიდა და არც მიცნობს. ვინ რას ამბობს, ვინ — რას. ვარ ამ ყოფაში, რომ ვილაც ჩამომეკიდა მხარზე — ვხედავ, კიაპეა!

ისიც სხვებთან ერთად უყურებდა თურმე კარგახანს იმ სურათს, რომლის წინაშეც მეც ისე გაოგნებული დავმდგარვარ, თითქოს მანამდე არც მენახა და მე კი არა, ვინმე სხვას დაეხატოს.

„ჩვენი სოფლის ექიმი“...

ვიდექი ამ სურათის წინ და არც მიფიქრია, ვინმე ნაცნობი ან ჩვენსოფლელი თუ დამინახავდა, ამ წუთებში ჩემთვის ადას გარდა ქვეყანაზე არავინ არსებობდა. ის დალოცვილიც ისე მიყურებდა ჩარჩოდან, თითქოს თვალს თუ მომაცილებდა, უყუნწო ნემსივით დავიკარგებოდი.

მეორე დღეს გაზეთი რომ გადავშალე, ჩემი თავი დავინახე „ჩვენი სოფლის ექიმის“ ფონზე.

ეჰე! ახლა კი მართლა თხასავით გავიყიდე!

ბევრი ამზაჭელი ჩამოვიდა გამოფენის სანახავად, მაგრამ ადა არსად ჩანდა.

მე კი მის მოსვლას ველოდი და, მერე, როგორ ველოდი!

არ იქნა და არა!

ახლა, ჩემი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს დღეებში, ყველაზე მეტად ადა მჭირდებოდა — მისი თანადგომა მჭირდებოდა ჰაერივით, ის კი, თითქოს, უკვალოდ გაქრაო.

გამოფენას წუთითაც ვერ ვტოვებდი. სხვა თუ არაფერი, მეშინოდა, ვაითუ, რომ გავიდე, ადა მაინცდამაინც მაშინ მოვიდეს-მეთქი.

მის სურათთან სულ ხალხი ირეოდა. ეს მსიამოვნებდა და სულ შორიახლო ვტრიალებდი — იმედს არ ვკარგავდი, რომ თვითონაც გამოჩნდებოდა!

საღამოობით, სამსახურის დამთავრების შემდეგ, უფრო მეტი ხალხი შემოდიოდა.

ვხედავ. სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებისა და მათი პედაგოგების ჯგუფი ადას სურათს შემოეხვია. „ალბათ, სცნობენ და იმიტომ!“

მეც იქვე ვტრიალებდი.

ზურგს უკან ვიღაც ახალშემოსულის ჩჩარებული სუნთქვა მომესმა.

თუ დამიჯერებთ, მიეხვედი, ვიგრძენი, ვინც იდგა ჩემს უკან.

ადა იდგა.

— უკაცრავად, — ვთქვი როგორღაც უაზროდ...

— არაფერია, არაფერია, — ძლივს თქვა მანაც.

მეტი არაფერი გვითქვამს.

შევხედე, შემომხედა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. რამდენი ხანი ველოდი ამ წუთს. თითქოს ამ დღეს, ამ ვითარებას ველოდითო ორივენი.

მაგრამ ადა, თითქოს საუბრის გაბმისა შეეშინდაო, მოწყდა და ხალხს შეერია...

ვერ გავინძერი. ლენჩივით მიველურსმე ადგილს.

მართალი გითხრათ, ბევრი სანუგეშო სიტყვა მოვისმინე იმ დღეებში. ზოგი ქათინაურს პირში მეუბნებოდა, ზოგის ნათქვამი შორიდან მესმოდა.

მაგრამ... ერთ კედელთან გაუთავებლად კამათობდნენ, ბუზღუნებდნენ, ხორხოცებდნენ, ან... სულაც დუმდნენ.

ვფიქრობდი კიდეც, რომ ასე მოხდებოდა.

„ესენიც ჩვენები არიან“ — ასეთი რუბრიკა ჰქონდა ამ კედელზე დაკიდებულ სურათებს.

„ესენიც ჩვენები არიანო?“

ვინ „ჩვენები“ არიან?

მავანმა და მავანმა თავისი თავი იცნო!

აქ, სწორედ რუბრიკის ქვეშ, გამოვკიდე სატირული სურათი „თავმჯდომარე ბრაზობს“.

აბასი მშვიდად ათვალიერებდა გამოფენას, მაგრამ ამ სურათს შეხედა თუ არა, ფერ-ფური წაუვიდა, წახდა კაცი! შურდულივით გავარდა დარბაზიდან, ეტყობა, ვერც შემამჩნია — სულ ახლოს კი ჩამიარა!

რა გინდა ახლა ქნა! ეგ თავმჯდომარეა და ძალი შესწევს ქადილისა!

მე კი ისევ ჩემი ყალმის გარდა სხვა იარაღი რა მაბადია!

გამოფენამ ერთ თვეს გასტანა. ამ ერთ თვეში ვინ არ მოვიდა, ვინ არ ვნა-

ხე. მხატვრებს ხომ ყოველდღე ვხვდებოდი.

ერთხელ ყანსოუც კი მოვიდა, იმ მეურნეობის დირექტორი, რომელთანაც პირველად დავიწყე მუშაობა. სისხლი ჰქონდა გამშრალი — ამდენი აღარ შემიძლია, ასეთი რამ სად გაგონილა, ეს ხომ საშინელი განუკითხაობაა.

მაინც რა მოხდა ასეთი-მეთქი.

რომ ვიცოდე, ვინ ოხერი იტყოდა რამეს, არც ვიცი, რატომ გამათავისუფლესო. ახლა ბიუროდან მოვდივარ, ტყავი გამაძვრეს, ესაო, ისაო, შენი ხელმძღვანელობა ზედაპირული იყო, საქმე ისე მიგყავდა, რომ გარეგნულად ყველაფერი ბრწყინავდა, მაგრამ შიგნით ყველაფერი დააჭიანეო. ჩაის პლანტაციები უყურადღებობით გააოხრეო, მოკრეფილ ჩაის, ვიცით, ვიცით, სარფიანად გვერდზე ყიდდიო. ახლა წადი, რაც შეგრჩა, იმაზეც მადლობა გვითხარი, ჩვენი ჭირი წაგიღიაო, აბა!

— ვერ გავიგე!

— რა ვერ გაიგე, ოთხივ კუთხით გზა თავისუფალი გაქვსო.

— აბა, უმუშევრად დაგტოვეს?

— რაიკომს დაავალეს, ისეთი სამუშაო გამოუძებნეთ, რომ დანაშაულის გამოსყიდვა შესძლოსო. ერთი ხანი ვაცადოთ და მერე ისევ ვიმსჯელოთ მასზეო. ეს რასაც ნიშნავს, მოგეხსენება, მათხოვრად მტოვებ ალხას ჩემო...

— ასე როგორ იქნება, — მინდოდა მისი გამხნევება, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

— რაღა დაგიმალო, ალხას და, შენს გამოც მომხვდა, — შევატყვე, შორიდან უვლიდა.

—მე რა შუაში ვარ?

— რა შუაში ხარ და მისი გაფუჭებაც გინდოდაო.

— შეუძლებელია!

— შეუძლებელია, იძახე შენ, მე კი საბუთებში ეს შავით თეთრზე ჩამიწერეს.

— რა ჩაგიწერეს? სად ჩაგიწერეს? — ყელში ბურთი მომეჯინა — ამისთანა საქმეებში გარევა რა შავ ჭირად მინდოდა.

— სალაროში მთელი თანხა მის სახელზე რად ჩარიცხეო? ვიცით, ვიცით, რომ ის ფული მთლიანად ალხასს არ აუღია, თორემ მკაცრად დავსჯიდითო. შენაო, კანონი დაარღვიეო — მხატვრების ნამუშევრის საფასური საფასადო დაწესებულებაში უნდა ჩაგერიცხა და მხატვრებზე პირდაპირ სალაროდან არ უნდა გაგეცაო. არ უთქვამთ, მაგრამ წილში გასულადა მთვლიან, ალბათ. დროზე გადარჩაო, თქვა შენზე მდივანმა და შეგაქო კიდეც. მომილოცავს, ჩემო ძმაო!

— რას მილოცავ?

— რასა და მდივანმა რომ შეგაქო. ჩემი თავი წყალსა და მეწყერს წაუღია... შენ მაინც გაგიმართლოს...

— გამაგებინე, თუ კაცი ხარ, ეს რა ნეგატიური მოვლენები აუტყდათ, ნეტავი!

— მე კი ასე ვიცი, რომ ესენი უნამუსო და გასვრილ ხალხს ებრძვიან, სიმართლეს გზას უხსნიან. სწორადაც იქცევიან და მეც მათთანა ვარ.

— ოჰო! — თითქოს ახლაღა აეხილა თვალიო, — შენც შეგეყარა ეგ სახადი?

— ეგა სახადი კი არა, წამალია, მალამო

ყანსოუ გაჩუმდა. ეტყობა ჩემგან ამისთანა საუბარს არ ელოდა.

სასტუმროსთან უხმოდ დავცილდით ერთმანეთს.

...ეკალზე ვიჯექი. კიაჭს უნდა შევხვერდოდი. არადა, ვაგვიანებდი.

აგერ კიაჭიც.

სანაპიროს ერთ მყუდრო ჩრდილში ჩამოვსხედით.

— ახია მაგაზე! — მოულოდნელად გაცეცხლდა კიაჭი. — ჯერ სად არი? მალე მის ძმაკაცებსაც კაი დღე დაადგებათ!

უცებ ვერ მივხვდი, ვისზე ლაპარაკობდა.

— ყანსოუზე ვამბობ, სხვა ვილაზე.

ახლა თავი შეგაცოდა, ალბათ. ერთი მამა აბრამის ბატკანი ეგა მყავს, მისმა მზემ!

— კიაჭ! — სხვა რამეზე მინდოდა საუბრის გადატანა.

— არა, მეც რომ გავყავდი იმ თავის ბინძურ საქმეებში!

— რა საქმეებში?

— რა და, საიდან არ ჩამოსდიოდა ოგეთ-ეგეთი ქალები. თვითონ რომ აშკარად ვერ ხვდებოდა, მე მახვედრებდა იმათ და მერე იყო ერთ ამბავში. ზოგჯერ კაპიკებსაც გადმომიგდებდა, ხოლმე. მე სულელი როდის მივხვდი ყველაფერს.

ყანისოუს ლანძღვით გული რომ იჯერა, თითქოს ამქვეყნად ალარაფერი აწუხებსო, გუნებიერად მითხრა:

— კარგად იყავი, ალხას. მატარებლის მოსვლის დროა და მეშინია, არ დამაგვიანდეს.

...ამზაჭა დიდ აშლილ სკასა ჰგავდა. დიდი და პატარა ჩემს გამოფენაზე ლაპარაკობდა. ვისაც როგორ უნდოდა, ისე ჭრიდა და კერავდა.

სიხლეზეც არ დამხვედრია დიდი ალრეზიური. ბებია კი გამოკეთდა, მაგრამ ჯერ ისევ სუსტად იყო, იჯდა შინ, თავისთვის, მოკამული.

ცარუ ხომ ცხვირჩამოშვებული, დამდუღრულივით დადიოდა, — აქაოდა, მე ჩემთვისა ვარ, თქვენ თქვენთვის იყავითო. ნუგთასის კარიკატურა რომ საქვეყნოდ გამოვაქენე, როგორ მაპატიებდა!

— რა მოხდა, ნან, ალხას, — მოთმინების ძაფი გაუწყდა ბებიას, — რას არ ჰყვებიან, აქეთურს — იქითურს, არ იტყვი მაინც, რა მოხდა? რაღაცა გამოფენაო, ალხასი მონაწილეობდაო...

— აბა, მე რა გითხრა, ბებო? — მხრები ავიჩეჩე.

— მე რაღას გავიგებ, ნან,... — დამეთანხმა, — მაგრამ იმდენ რამეს ლაპარაკობენ, თითქოს ქვეყანა თავდაყირა დამდგარიყოს. ალხასმა აბასს ძალიან აწყენინაო, ნან, ალხას, მართალია?

— მართალი ხარ, ნან, მართალი, მაგრამ შენგან რად გაბრაზდა?

— რა ვქნა, ახლა, მე! შენს გამო ვღელავ, ნან, შენს გამო!

— როგორც ქუხს, ისე არა წვიმსო, ნათქვამია, ბები!

...აბასს პირისპირ უნდა შევხვედროდი — მორჩა, დრო არ ითმენდა.

მაგრამ ჩვენი შეხვედრა გადაიდო.

დათამ მოულოდნელად ითხოვა ნატალკა ოლეინიკი და კომკავშირული ქორწილი გადავუხადეთ. ჩვენს სოფელში ასეთი რამ პირველად მოხდა და კიდევაც მოეწონათ. მაგრამ, — ნურას უკცრავად! — ახალგაზრდებმა უკრაინაშიც ისურვეს ქორწილის გადახდა და მაყრიონში მეც გახლდით.

ადაც იყო მაყრიონში!

კიევში ჩავფრინდით, იქიდან მანქანით ნატალკას შობლების სოფელში ჩავედით. გველოდებოდნენ. ლამაზი ქორწილი გადაიხადეს.

ნატალკას სოფელი დნეპრის ნაპირზეა, სულ მწვანეშია ჩაფლული.

სოფელი კი არა, ხამოთხეა.

გემით ავედით ტარას შევჩენკოს სოფელში, კობზარის საფლავზე ყვავილები მივიტანეთ.

მოვიგონეთ, როგორ ამოვიდა აქ დიმიტრი გულია.

ტარასისა და დიმიტრის ლექსები წავიკითხეთ. მეორე საღამოს დნეპრის ნაპირზე გავისეირნეთ, მარტო დავრჩით.

დრო ვიხელთე და გავბედე:

— ადა, ახლაც არ გჯერა ჩემი?

— მე შენი ყოველთვის მჯეროდა, მაგრამ სულ ბოლომდე არა... ეჭვის საბაბი ყოველთვის მრჩებოდა...

— ახლა?

— ახლა როგორ გითხრა?

— ადა, შენ იცი...

— არ მინდა, ალხას! ნურაფერს იტყვი!

— რატომ, ადა, რატომ? მე...

— ყველაფერი გასაგებია.

მე ვერაფრით ვერ გავიგე, რა ყველაფერი იყო გასაგები!

— რას გაიგებენ?

— რას და იმას, რისი თქმაც გინდა.

— გაიგონ, თუ გაიგებენ.

— მე არ მინდა, გაიგონ.

— რატომ?

— ნახე, ალხას, ნახე, — ბანზე ამიგდო სიტყვა, — დნეპრი დღისით ხომ ლამაზია, ღამე გადასარევი ყოფილა, გოგოლი გახსოვს, ალხას! — ადა მთელი არსებით დნეპრისკენ მიიქცა, — უნდოდა ჩემი გულისყურიც იქით მიექცია.

ერთმანეთის სუნთქვა გვესმოდა და... დნეპრს გადავყურებდით.

— ალხას, — თვითონ დაარღვია სიჩუმე, — რა საოცრებაა ბუნება? საიდან მოდის დნეპრის ამდენი ტალღა ან საით მიედინება?!

— საოცარია, — კვერი დავუკარი, — საოცარია!

არაფერი უთქვამს.

გატრუნული ვიდექით.

— რას აპირებ? — მოულოდნელად მკითხა ადამ. — მინდა ვიცოდე.

— გულში ბევრი რამა მაქვს, შენ თუ თანახმა იქნები, ამზაპაში რომ დავბრუნდებით...

— საკმარისია, ალხას, დღეს საკმარისია...

...მაყრიონი ამზაპაში დაბრუნდა.

გულში იმედის სხივი ამიკიაფდა.

მაგრამ აქ ისეთი რამ მოხდა, რამაც ისევ დამირღვია სიმშვიდე.

ცარუ თავის მშობლებთან წავიდა. ისევ წავიდა.

ნუგთასმა ის ჩემი გამოფენა რომ ნახა, მორჩა, ვერ მოისვენა, ჩემი წყევლა-კრულვა საქმედ გაიხადა. გადმოდგებოდა თავისი ეზოს ფერდობზე და იმდენს იწყევლებოდა, მეოთხედსაც რომ მოეღწია ჩემამდე, ყარამან ყანთელიც რომ ვყოფილიყავი, აქამდე ასჯერ გამძვრებოდა სული!

ისე მწყევლიდა მე, თითქოს მის თვალწინ მომეკლას მისი შვილი — ცარუ.

ჰოდა, ამ ერთხელაც წავიდა ცარუ. წავიდა და ჩემი პატარა დაიკო — ამინაც წაიყვანა.

უამინოდ, აბა, ჩვენი ოჯახი — ბოლო.

სახურავგადამძვრალ სახლს დაემსგავსა ჩვენი სახლი.

...ბევრი ვიფიქრე და თემირ ალანთან წავედი.

მირჩია, ყველაფერს გულთან ნუ მიიტანო, გული მუშაობას გადააყოლე, შეეცადეო... ასეთი მოუცლელი კაცის დიდხანს გაცდენა არ მინდოდა... ავდექი. ამ დროს ფეთიანივით შემოვარდა ოთახში თვალებგადმოქაჩული აბასი.

მე რომ დამინახა, თითქოს, ამაზეღა ოცნებობდაო, რაღაცნაირი ნეტარი სახით გადაუშალა მდივანს ჟურნალი, რომელიც კაბინეტში დაკეცილი შემოიტანა.

— აგერ, ა, ესეც მე ვარ!

მდივანმა ჩახედა და მიტკალივით გაუხდა სახე. დიდხანს, დიდხანს უყურა ჟურნალის იმ გვერდზე დაბეჭდილ სურათს.

ხმა არ გაუღია.

თავს ვერ მოვერიე და მეც ჩავხედე.

ვიცანი ჟურნალ „ნიანგში“ ჩემს მიერ გაგზავნილი ნახატი.

სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა — „რაიკომის მდივნის მანქანა ლაფში ჩაეფლო“.

მართალია, აქ არ იყო დასახელებული კონკრეტულად რომელიმე რაიკომის მდივანი, მაგრამ თემირ ალანს ხომ ახსოვდა როგორ ჩაეფლო მისი მანქანა ჩემს თვალწინ მეზობელ სოფელში, შემთხვევით რამდენიმე კაცი შევესწარით და ძლივს ამოვათრიეთ მანქანა.

ვის დაემართა ეს სასეირო ამბავი?

მას!

მოწმე ვინ იყო?

მე!

როგორც იქნა, მოაცილა თვალი ნახატს, მერე მისი კბილების ღრჭიალი მომესმა... სათქმელს თავი ვერ მოუყარა, ლამის დაეგლიჯე-

— აი, რა გითხრათ... ამხანაგო ანბა... მგონი, გადააჭარბეთ... წადი! — თვალით არ დამენახოო, იგულისხმებოდა, რასაკვირველია.

რა მეთქმოდა — ავდექი და წამოვედი.

დაბლა რომ ჩამოვედი, ხალხი კიოსკს ესეოდა — ჟურნალს ყიდულობდნენ. ვისაც უკვე ეყიდა, სხვებს უჩვენებდა...

არ მესიამოვნა, მაგრამ რა მექნა, რა — შეუმჩნევლად ვერ გავეცლებოდი იქაურობას. ვინც აქამდე მილოცავდა და მაქებდა, ახლა თვალს მარიდებდა, რადგან ერთმანეთისაც ეშინოდათ, — მე რომ დამლაპარაკებოდნენ, ვაითუ, რაიკომის პირველი მდივნის ყურამდე მისულიყო და მერე რა უნდა ექვათ?

მე კი, მე გულუბრიყვოდ მეგონა, რომ ალალად მიწონებდნენ ჩემს სატირულ ნახატებს!

ქალაქში უარესი ამბავი დამხვდა.

— „ნიანგში“ თუ ნახეთ ნახატი?

— რა გაბედა იმ ღლაპმა, ჰა? აპატიებენ, ვითომ?

— ყურებზე ხახვი არ დააჭრან. სახელს არავისას ასახელებს და გვარს.

— თავისი გვარი რომ მოაწერა. ესეც ეყოფა, რომ ყური აუწიონ! ციმბირელ რაიკომის მდივანს ხომ არ გულისხმობდა, ჩვენი მდივანი ჰყავს „ნიანგში“ გახატული!

— გამოეკიდებიან, ვითომ?

— გამოეკიდებიან და ვერ გაექცევა, თუ რა?

— რა მაგის ბრალია, წესიერი გზები რომ ყოფილიყო, ასეთ სურათსაც არ დახატავდა, რაც ნახა, ის დახატა, რა გინდა ახლა უქნა?

...მანქანამ ჩვენი სოფლის შესახვევთან რომ დაამუხრუჭა, ცოტათი სული მოვითქვი.

ბილიკს გავყევი. სახლში მისვლა მეშინოდა, მაგრამ არც ის მინდოდა, რომ გზაზე ვინმე შემხვედროდა.

ბედზე ასეც მოხდა.

მაგრამ სახლში უკვე ყველაფერი გაეგოთ.

— რა მოხდა, ნან, ალბას? ჯოხზე დაყრდნობილი ბებიაჩემი არც ცდილობდა შიშის დამალვას.

— რაიკომის მდივანთან შელაპარაკება მოგივიდა? — დააყოლა მამაჩემმა.

— თემირ ალანის კარიკატურა დაბეჭდა „ნიანგშიო“, მთელი სკოლა ლაპარაკობს, — დაამატა ადამირმა.

მეც მოვყევი რაც მოხდა და როგორც მოხდა.

— არ უნდა მოგსვლოდა, ნან, ეს, — უკმაყოფილება არ დაუმალავს ბებიას, — მაგრამ არა უშავს, თემირ ალანი ჭკვიანი კაცია და გაგიგებს, რომ განგებ არ გიქნია ეგ!

— რაიკომის მდივანს, ვინც ხელი გამოგიწოდა და ამაგი დაგდო, დაგიცვა, რატომ უყავი ასეთი ამბავი, — მისაყვედურა მამაჩემმა.

ადამირი ხმას არ იღებდა.

იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, შამფურივით ვტრიალებდი ლოგინში. თეთრად გავათენე.

აივანზე გავედი.

მზემ მთა ყიანტაზს სხივები მოაბარჩხალა და ყიანტაზიც მთელი თავისი დიდებით ამაყად გადმოადგა ამზაჭას.

თვალს ვერ ვაშორებდი ჩემს სოფელს, ჩემს ამზაჭას, რომელმაც ქვეყნიერებას გააგებინა, რომ მეც კაცი ვარ და ქუდი მხურავს.

ოღონდ დილის სიმშვიდე, ეს გასაოცარი ნეტარება, ვერ ახშობდა იმ ერთადერთ კითხვას, რომელიც ამეკვიატა და ვერა და ვერ მოვიშორე:

— მოვისვენებ კი მე, ასე ბედნიერი, ამას იქით?

თუმცა, ერთი, თუნდაც ერთი კაცი დამანახეთ, ვინც მოსვენებისგან შვებას გრძნობდეს.

დამანახეთ თუნდაც ერთი თავისუფალი პროფესიის კაცი!

რა ვიცი, იქნებ, თქვენ გეგულებათ ასეთი კაცი!

თარგმანი ანა ფვინარია-აბრამიშვილისა და ფუმბერ თითმერიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

ქარიშხლიანი დუმილი

დრამატული პოემა

კარი პირველი

პროფესორ ზანელის კაბინეტი.
პაპიროსის კვამლი. **გამოჩნდება** ფორმეტი-ცამეტი წლის ყმაწვილი.

პროფესორი:
მობრძანდით. აგერ **სავარძელი...**
ვახუშტი:
მადლობელი ვარ!
მე უნებართვოდ შემოვედი თქვენს კაბინეტში
და სავარძელშიც უნებართვოდ მოვიკალათებ.
პროფესორი:
ამას ვის ვხედავ? მოგანიჭათ ვინმემ უფლება,
ასე თამამად, კადნიერად მელაპარაკოთ?
სადაური ხართ, ვინ ბრძანდებით? რად გაისარჯეთ?
ვინ მოგასწავლათ ჩემი ბინა?
ვახუშტი:
არ არის ძნელი,
გამოჩენილი მეცნიერის კარებს მიადგე.
პროფესორი:
მაინც ვინა ხართ, შუაღამით რად მომეევლინეთ?
ვახუშტი:
თქვენ უჩემოდაც თავის დროზე მიხვდებით, ალბათ.
პროფესორი:
შუაღამეა, ვარსკვლავებიც გვისმენენ თითქოს.
უხერხულია მათ წინაშე კამათი ცხარე.
ო, ვარსკვლავები ვერ იტანენ უაზრო დავას!
ბრძანე, **ყმაწვილო...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახუშტი:

გვახელით, რომ შეგახსენოთ
მოვალეობა, დღემდე თქვენგან დავიწყებული.

პროფესორი:

თქვენ ლამის არის დამავიწყოთ მასპინძლის როლი...
მაინც რა გნებავთ შემახსენოთ?

ვახუშტი:

მოვალეობა
მეცნიერის და პირუთვნელი მემატიანის.

პროფესორი:

ნუთუ იმისთვის მომეკლინეთ, რომ გამაჯავროთ?

ვახუშტი:

დიახ, ამისთვის, სხვა მიზანი არცა მქონია!

პროფესორი:

რა დაგიშავეთ, ახალგაზრდავ, მაინც ისეთი,
რომ დამირღვიეთ მყუდროება...

ვახუშტი:

საფუძველი მაქვს.

პროფესორი:

საფუძველიო? მაინც რისი, ვერ გამიგია.
გთხოვთ, განმიმარტოთ, თორემ გული სავსეა ჭმუნვით,
ისედაც ხედავთ, პაპიროსის ბოლში ჩაფლული,
როგორც აჩრდილი, მეხატებით უცნობი ბიჭი.

ვახუშტი:

უცნობი ბიჭი? მაშ, ეს მე ვარ უცნობი, განა?
არ გახსენდებათ სახე ჩემი, თვალები, მზერა?
ნუთუ არასდროს ანდა არსად მოგლანდებივართ?
ვერ მოიგონეთ?

პროფესორი:

იქნებ სადმე გნახეთ კიდევაც.
სკოლაში ანდა პიონერთა სასახლის წრეში.
დღე როგორ გავა, ახალგაზრდებს არ ვესაუბრო.
ნუ გეწყინებათ, ყველას როგორ დავიმახსოვრებ.

ვახუშტი:

ამას ნუ დარდობთ და მაუწყეთ მხოლოდ, ბატონო,
ეს ვინღა არის, ეს ბიჭუნა ხუჭუჭთმიანი?
მე გეკითხებით ამ პატარა ფოტოსურათზე...

პროფესორი:

მას თქვენ არ იცნობთ, ან საიდან გეცოდინებათ?

ვახუშტი:

ეს იმ ბიჭუნას მამასა ჰგავს, თუ არა ვცდები!

პროფესორი:

დიახ, აგრეა, მამა გახლავთ იმ ყმაწვილისა.
მაოცებს თქვენი გულთმისნობა, უცხო სტუმარო!

ვახუშტი:

დანარჩენებზე რას მეტყოდით, აქ რომ მოჩანან?
ვინ ბრძანდებიან, ანდა ახლა სადღა არიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი:

ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე. ზოგიც მანამდე
უკულმართობამ შეიწირა და უბედობამ.

ვახუშტი:

შეიწირაო? დააშავეს იქნებ რაიმე?

პროფესორი:

არა და არა, მათ უყვარდათ დედასამშობლო
მთელი არსებით, მთელი გულით, ფანატიკურად.

ვახუშტი:

ფანატიკური სიყვარული არ ძალუძს ყველას,
ეს არის ხვედრი გენიოსთა, გმირთა, მამაცთა,
მე ეს წიგნებშიც წამიკითხავს.

პროფესორი:

არა, ესენი
გენიოსობის პრეტენზიას არ აცხადებდნენ.

ვახუშტი:

მაინც ვინ იყვნენ?

პროფესორი:

მეომრები რევოლუციის,
რომლებმაც მხრებით მოიტანეს ჩვენს ქვეყანაში
თებერვლის დილა, გაზაფხული საქართველოსი.

ვახუშტი:

რისთვის იბრძოდნენ? რაი სურდათ?

პროფესორი:

სიკეთე ხალხის.

ვახუშტი:

მაინც რა მოხდა? დალოცვილთა გზა ცხოვრებისა...

პროფესორი:

ცილისწამების ქარაშოტმა წალეკა უცებ!

ვახუშტი:

აი ეს კაცი, მეგობართა შუაში რომ ზის,
ვინ იყო, ანდა თავის დროზე რას აკეთებდა?

პროფესორი:

მასწავლებელი. განათლების განყოფილებას
განაგებდათ რაიონში, გამიგონია.
შრომისმოყვარე, მეოცნებე, კეთილშობილი,
გაუტეხელი ბოლშევიკი ყოფილა თურმე.

ვახუშტი:

მის უკან რომ დგას?

პროფესორი:

დამავიწყდა, არ მახსენდება.

ვახუშტი:

გადაგავიწყდათ იქნებ ესეც...

პროფესორი:

ხომ არ დამცინით?

ვახუშტი:

არ დაგცინით. ვის აქვს უფლება,
მეხსიერების დაკარგვისთვის დასცინოს ვინმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი:

ეს მამაჩემის სურათია, საბრალო მამის.

ვახუშტი:

რატომ საბრალო? მას საბრალო რისთვის უწოდეთ?
გთხოვთ, დაწვრილებით გაიხსენოთ თქვენი ამბავი.

პროფესორი:

ძველი ამბავი, სევდიანი, გულისმომკვლელი,
მსურს, გავატანო დროისა და მდინარის ტალღებს.

ვახუშტი:

რაიც თქვენ ბრძანეთ, ნაჩქარევი ფიქრია მხოლოდ.
ადამიანის სიცოცხლე და ყველა ნაბიჯი,
თუნდაც სწორი და გონიერი, თუნდაც უსწორო,
მისი შემდგომი თაობისთვის გაკვეთილია.

პროფესორი:

ეს გაკვეთილი მეტისმეტად მწარეა ზოგჯერ.

ვახუშტი:

მწარე სიმართლე კაცს აფხიზლებს, სიცრუე ბოჭავს,
ბოჭავს, აბრუებს, ამახინჯებს და ძალას ართმევს.

პროფესორი:

ძმაო და შვილო, დამეხსენით, მე ეს არ ძალმიძს,
განა ცოტა მაქვს სადარდელი და საფიქრალი.

ვახუშტი:

ცოტა როდი გაქვთ. და ძმა მაინც არა ვარ თქვენი,
არცა ვარ შვილი.

პროფესორი:

მაშ, ვინა ხართ, ლანდი? აჩრდილი?

ვახუშტი:

აი, შეხედეთ იმ ყმაწვილსაც, კედლიდან მზირალს...

პროფესორი:

ეს ხომ თვით მე ვარ!

ვახუშტი:

მე კი ვინ ვარ?

პროფესორი:

ნუთუ? რას ამბობთ?

ვახუშტი:

მაოცებს მხოლოდ, რომ აქამდე ვერ შეიცანით
სახე თქვენი და სიყმაწვილე...

პროფესორი:

ჩანს, დავიღალე...
ან კიდევ... კიდევ უარესი: ამ შუაგზაზე
დრო სიბერისა ძუ მგელივით წამომეწია!

ვახუშტი:

გთხოვთ, მაპატიოთ, თავს დაგესხით ანაზდეულად
და ოცნებათა მორევიდან გამოგიყვანეთ.
მაგრამ მწადია, მიპასუხოთ დაუყოვნებლივ:
რად დაივიწყეთ ის ქალაქი, სადაც დამტოვეთ,
ანდა ის ქუჩა, სადაც ხშირად ცრემლი გიღვრიათ,
ანდა მდინარე, რომლის ზვირთებს თავს ევლებოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა ის კაცნი, ბავშვობაში რომ გყვარებიათ...

პროფესორი:

იმათგან ბევრი აღარ არის. მათ შორის მამაც...

ვახუშტი:

რამდენი ჰყავდა მეგობარი, თანამებრძოლი,
რომელთა შრომაც საქართველოს დაამშვენებდა!

პროფესორი:

რომელთა ყოფნაც მათ შვილებსაც გაახარებდა!

ვახუშტი:

თქვენ, ვინც ყოველდღე სხვებს ასწავლით ბრძოლას,
ცხოვრებას,
რატომღა დუმხართ?

პროფესორი:

ეს დუმილი ქარიშხლიანი
არის ვულკანი, ამოხეთქვას რომ ელოდება!

ვახუშტი:

ორმოცდაათი კარზე გადგათ. უნდა იჩქაროთ!
მეხსიერება მაცდურია და მატყუარა.
ბიოგრაფიას გადახედეთ მამაჩემისას,
მისთა ძმობილთა ცხოვრებაშიც რომ ჩაიხედოთ,
აჯობებს კიდეც... და თუ რამე დაგავიწყდებათ,
შეგეშველებით, პროფესორო. ახლა ნახვამდის!

პროფესორი:

ნახვამდის, ბიჭო, ესე იგი, ჩემო ბავშვობავ!

ვახუშტი:

მხოლოდ გახსოვდეთ, პროფესორო, ეს მე გავალებთ,
რომ დაარღვიოთ აწ დუმილი ქარიშხლიანი!

(გაუჩინარდება).

პროფესორი:

მესმის... გავიგე... ეს ზმანება იყო თუ ცხადი...
ეგ სულ ერთია, სიმართლეა. მეც მევალება,
ვამცნო, ვაუწყო ხვალის დღეს და შთამომავლობას,
რაიც მიხილავს, რაც მიგრძვნია, რაც განმიცდია!
ვის ააღელვებს გზა და ფიქრი რიგითი მოძღვრის?
ადამიანთა სიხარული თუ მწუხარება
ცას შეჰღაღადებს... შევეცდები, მეც ვიღაღადო
სიკეთისა და სიყვარულის სადიდებელი!

(სინათლე ქრება).

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ორსართულიანი შენობა, სადაც სამაზრო გლეხკომია მოთავსებული. დარბაზი. გლეხები. გლეხკომის თავმჯდომარე მიხეილ ზანელი.

მიხეილ:

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ამხანაგებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრია:

მადლობელი ვართ მოწვევისთვის!
გთხოვთ, მიპასუხოთ:
ეს ვარდისფერი საოცრება საიდან არის?

მიხეილ:

გრამოფონია. თბილისიდან ჩამოვიტანე,
რათა ყამიყამ გაიგონოთ ხმა მშობლიური.

ანდრია:

მე კი მეგონა სამკაული ამ დარბაზისა.
მრცხვენია, მაგრამ არ მიხილავს აქამდე იგი.

მიხეილ:

არაფერია, მახარია!* გრამოფონები
დღემდე თავადთა და მდიდართა სახლებში იდგა.
ჯერ არ გიხილავს? რამდენ რამეს იხილავ იმგვარს,
რომ საოცრებად მოგეჩვენოს!

ანდრია:

ბატონო მიხა!

მიხეილ:

გთხოვთ, მეგობარო, ნუ მეძახი ასე...

ანდრია:

მაშ, როგორ?

მიხეილ:

შენც ამხანაგი დამიძახე, ანდა უბრალოდ
მიხა, მიხეილ, ვით მიხმობენ მთაში მწყემსები...

ანდრია:

მწყემსებშიც გყვანან ნაცნობები და მეგობრები?

მიხეილ:

ვინა გგონივარ, მახარია, მწყემსის ქალამნით
მაქვს შემოვლილი სამეგრელო-სვანეთის მთები.
მე პროფესორი ან მწერალი ხომ არ გეგონე?

ანდრია:

არა... რუსულად საუბრობდით უცნობ სტუმართან,
მასწავლებელი თუა-მეთქი, ეს გავიფიქრე.

მიხეილ:

მე პედაგოგი არ ვყოფილვარ, ჩემო კეთილო!

ანდრია:

სად შეისწავლეთ, მაშ, რუსული?

მიხეილ:

უფრო რუსეთში, პეტროგრადში, როცა ლენინმა
ააფრიალა უძლეველი დროშა ოქტომბრის.

ანდრია:

თუ იქ იყავით, მაშ, ლენინსაც ნახავდით, ალბათ.

მიხეილ:

ვერ მოგატყუებთ, არ მქონია ბედნიერება,
მეხილა იგი. სმოლნის ახლოს თუ გამივლია,
თანამებრძოლებს ლენინისას კი შევხვედრივარ,
ვნახე სვერდლოვი, სტალინი და ორჯონიკიძე.

---

* **მახარია** — გენაცვალე, გეთაყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ჩვენებური კაცი იყო მაშინ კომისრად,
რომელმაც მომცა მათი ხილვის საშუალება.

ანდრია:

ასე ამბობენ, რომ სტალინი ქართველიაო.
დანამდვილებით კი არ ვიცი.

მიხეილ:

მართალი გახლავთ,
ჯულაშვილია წარმოშობით, გორელი კაცი.
სიჭაბუკეში ზუგდიდშიაც ყოფილა იგი...

ანდრია:

ამბობენ, ლენინს უყვარდაო ის ჩვენებური.

მიხეილ:

ლენინის საქმეს რომ განაგრძობს ამჟამად, ძმაო,
ჩანს, ჰყვარებია.

ანდრია:

დაელოცოს გზა და სავალი.

მიხეილ:

დაელოცება, თუკი შენ და შენსავით ბევრი
მშობლიურ მიწას ააყვავებთ, ბაღნარად აქცევთ...

(გამოჩდება კირილე).

კარგ დროს გამოჩნდი, ამხანაგო კირილე!

კირილე:

ძმაო,
მოვედი შენთან, რომ გაუწყო ცუდი ამბავი.

მიხეილ:

ისეთი რაღა მოხდებოდა ამ ერთ საათში,
რომ გაგვიფუჭოს საზეიმო განწყობილება.

კირილე:

გზაზე აგიხსნი, დაყოვნება არ შეიძლება.
ჩემი ჯაგლაგი გველოდება.

მიხეილ:

ამდენ ხალხს ხედავ?
ჩამოვიყვანეთ სოფლებიდან გლეხები, რათა
აქ, ამ დარბაზში, მოისმინონ ხალხის ჰანგები.

კირილე:

მათ მოისმინონ, ჩვენ წავიდეთ, ძმაო მიხეილ!

მიხეილ:

(ლევანს)

გთხოვთ, ამხანაგო, მიესალმოთ სასურველ სტუმრებს
და ჩვენებური სიმღერებით დაატკბოთ ყველა.
მხოლოდ გრამოფონს, სხვა თქვენ გარდა, არ მიეკაროს.

ლევან:

წაბრძანდით, მიხა, ნურაფრისა ნუ გენაღვლებათ!

მიხეილ:

აბა, წავიდეთ და ვიჩქაროთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირილე:

წავედით, ლევან!

ლევან:

ნუ გედარდებათ, დღესასწაულს დროზე დავიწყებთ...
ფანატიკოსებს დავარქმევდი ამ ხალხს! რა ძალა,
რა ენერგია ამოძრავებთ! დღითა და ღამით.
ოღონდ საქმეზე, ოღონდ ხალხზე ალაპარაკე,
ალაპარაკე, ამუშავე მათდა იმედად!

(მიმართავს შეკრებილთ).

ამხანაგებო, მეგობრებო, მოგესალმებით,
როგორც ახალი სოფლის შვილებს. აგერ დაბრძანდით
და მოუსმინეთ ამ ფირფიტებს, რომლებიც მიხამ
ჩამოიტანა თბილისიდან. ისიც მოგვისწრებს
და წაიკითხავს მოხსენებას ახალ ამბებზე!

(ისმის „ჩელას“ ოდნავ სევდიანი სიმღერა).

მოხუცი გლეხი:

რა ჯადოქარი რამ ყოფილა ეს გრამოფონი!

ახალგაზრდა გლეხი:

მაშ რა გეგონა, ძია დათო, ეს დალოცვილი
განა სიმღერას მარტოოდენ, ჩვენს საუბარსაც
იმეორებსო სიტყვა-სიტყვით, ვით თუთიყუში.

ლევანი:

(იცინის)

თუთიყუშიო? ეს რა გვითხარ, ჯვარელო მწყემსო.

ახალგაზრდა გლეხი:

სხვა ვერაფერი მოვიგონე, მაშ, რაღა მექნა?

(გრძელდება სიმღერა).

მიხეილ:

(ბრუნდება კირილესთან ერთად)

გთხოვთ, მაპატიოთ, მეგობრებო, მე და კირილეს
მოულოდნელად ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდა!

ლევან:

როგორ თუ ბრძოლა ხელჩართული! ვისთან და რისთვის?

გლეხები:

გაგვაგებინეთ, თუ არ გახლავთ რამ საიდუმლო?

მიხეილ:

არავითარი საიდუმლო! მამცნეთ, გლეხებო,
რამდენი ხეა თქვენს სოფელში სამასწლოვანი,
ორასწლოვანი, ასწლოვანი...

მოხუცი გლეხი:

ბატონო მიხა,
ეს თქვენც მშვენივრად, ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ!

ახალგაზრდა გლეხი:

რად გვეკითხებით? ვინ დაითვლის, არც დაგვითვლია.

მიხეილ:

ჰოდა, მაუწყეთ, მახარია, თუკი გინახავთ
ერთი ხე მაინც, თავადების ხელით დარგული?

მოხუცი გლეხი:

თავადს და ბატონს საზრუნავი უფრო სხვა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა გლეხი:

ხის დასარგავად მხოლოდ გლეხი თუ მოიცლიდა.

მიხეილ:

ზოგიერთ დიდკაცს კი არ ესმის, რომ ხეთა მოჭრა
სამშობლო მიწის ღალატია, დანაშაული.
რა გავაგრძელო, მისდგომიან ამ ჩვენს ხეივანს
და დაუწყიათ ჩეხვა ხეთა უზარმაზართა.

ლევან:

რაო, რას ბრძანებთ?

მიხეილ:

(იცინის)

ვიდრე არ ვიძვრე მე ნაგანი შესაშინებლად,
ვერ მოვაშორე ის რეგვნები ჩვენს ძველ ხეივანს,
დავაყრევინე ნაჯახიც და ხერხიც საჩქაროდ.
ბუზღუნ-ბუზღუნით გაილალნენ და მუქარითაც.

კირილე:

რა სასაცილოდ აგვიყვირდა ერთი მათგანი:
შენ, ძია მიხა, თავადების მხარეს იჭერო,
თორემ მათ მიერ დარგულ ხეებს არ დაიცავო.
ხალხის სურვილის წინააღმდეგ რად მიდიხარო.

მიხეილ:

ვკითხე, ვინ ხალხმა დაავალა ამ ცაცხვის მოჭრა,
მხოლოდ იმიტომ, რომ დაურგავთ იგი ოდესღაც?
ხალხი მე ვარო, მიპასუხა. ხალხის სურვილით
ვჭრი ამ ხესაო, სამასწლოვანს და ტანახოვანს.

კირილე:

სამწუხაროა, რომ ის ბიჭი მარტო არ იყო.
სხვებიც ჯიუტად და უგონოდ იძეორებდნენ,
ვიღაც ერისთავს დაურგავსო ცაცხვი ვეება.
მისი ბრძანებით შეიქმნაო ეს ხეივანიც.

მიხეილ:

როდესაც ვკითხე, თუ ვინ იყო ის ერისთავი,
ვერ მიპასუხა, დარცხვენილად თავი დახარა.

კირილე:

როცა რაფიელ ერისთავი ახსენა მიხამ
და წაიკითხა მისი ლექსი იქვე ზეპირად,
შეცბა ყმაწვილი, ეს სკოლაში მისწავლიაო.
შეცბა, გაიქცა.

მიხეილ:

მეგობრებო, ამხანაგებო,
ხეც და ტაძრებიც საუნჯეა ჩვენი ხალხისა,
საუნჯე დიდი, მოსავლელი თვალისჩინივით.
ჩვენ ეკლესიას არ ვუყურებთ ვით ეკლესიას, —
ის ძველთაძველი ნიმუშია ხელოვნებისა, —
ხელოვნება კი ხალხის ხელით არის შექმნილი.
გთხოვთ, მოუაროთ, უპატრონოთ, დაიცვათ. ხატი...

კირილე:

ხატი ჩამოვხსნათ, შევინახოთ, მაგრამ ტაძრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავარჩინოთ, ვით სიცოცხლის ჩვენის ნაწილი.

მიხეილ:

ჩვენ ახალ სოფელს, ახალ ქალაქს ვქმნით და ვაშენებთ.

ლევან:

ახალ ცხოვრებას წინაპართა სიბრძნეც სჭირდება,
ვით საფუძველი.

მიხეილ:

მართალი ხარ, ლევან! სიახლე
გულისხმობს ძველთა საგანძურთა შენახვას, დაცვას.
თქვენც დაიცავით, მახარია, ჩვევა თუ განძი,
რაც ადამიანს სასიკეთოდ ემსახურება.
სხვა რომ არა ვთქვათ, სიმღერა ხომ სულია ხალხის.
ძველ სიმღერებში გულისთქმაა ადამიანის.
მომავლისაკენ, ხვალინდელი დღისკენ, მზისაკენ
ლტოლვა მარადი, დაუმცხრალი, დაუღალავი.
ნუთუ ქარს უნდა გავატანოთ ძალა სიმღერის?
არა, გლეხებო, უსიმღეროდ ვერ გაძლებს კაცი.
ჩვენც ნუ გვაცხოვროს უსიმღეროდ და უხალისოდ.
მოდით, გრამოფონს მოვუსმინოთ. განაგრძე, ლევან!

სიმღერა.

კარი მესამე

სანდრო:

მაშ, მიხა მოდის?

ფოთოლა:

შემოთვალა გუშინწინ ასე.
ო, რა ხანია, არ მიხილავს და მენატრება!

სანდრო:

იმ დალოცვილმა დაივიწყა ცოლიც, შვილებიც,
საქვეყნო საქმეს არ ეშვება... ღამეებს ათევს...

ფოთოლა:

რაღა ქნას, ძმაო. ხალხისათვის დაბადებულმა
სიყრმის წლები და სიჭაბუკე ბრძოლას შესწირა.
ხან პეტროგრადი, ხან თბილისი და ზოგჯერ განჯა.
სამოქალაქო ომის წლები, რევოლუცია.
მეთაურობა პარტიზანთა რაზმის. დღედაღამ
საფრთხე, შიმშილი...

ხანდრო:

მერე და განა არა კმარა, რაიც იწვალა.
გაიმარჯვეს და ვერა ვხედავ სიმშვიდეს მისას.

ფოთოლა:

გთხოვ, გეეედრები, მის საყვედურს ნუ გამაგონებ,
გამარჯვებულებს დასვენების არ აქვთ უფლება.
მგზნებარე სიტყვით, მოწოდებით და წმინდა გულით
ადამიანებს რაიც უთხრეს, უნდა შესრულდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო:

ფოთო, ფოთოლა, დაო ჩემო, როგორცა ვხედავ,
სიძე-ბატონმა პარტიაში ჩაგწერა უკვე.

ფოთოლა:

მე პარტიაში ჩავეწერე იმ დღიდან, სანდრო,
როდესაც გული მას მივუძღვენ...

სანდრო:

მეც მასთან ვიყავ,
როდესაც წითელ პარტიზანებს წვრთნიდა, რაზმავდა.

ფოთოლა:

რა ძმობა გქონდათ, რა ერთობა და რა თანხმობა!

სანდრო:

რევოლუციას ადიდებდნენ ძმადნაფიცები
და როგორც ხატზე ფიცულობდნენ...

ფოთოლა:

ბედნიერი ვარ,
რომ გაუმართლდათ...

სანდრო:

მაგრამ ყველა როდი დაბრუნდა
ბრძოლის ველიდან.შეეწირნენ თავისუფლებას.

ფოთოლა:

რას იზამ, ძმაო, დიდი საქმე მსხვერპლსაც მოითხოვს.

სანდრო:

რომ გავიხსენებ იმ ვაჟკაცებს, გული მიკვდება,
ძარღვებში სისხლი მეყინება. ავაი, ვაი!

ფოთოლა:

რამდენჯერ ცრემლი დამიღვრია გმირთა საფლავზე,
რამდენი შიში და ხიფათი მიხილავს მაშინ,
როდესაც ჩუმად, ბილიკ-ბილიკ მივქროდი ტყეში,
მჭადი და ყველი რომ მიმქონდა პარტიზანებთან!

მაკრინე:

(მოულოდნელად შემოდის)

შენ კი ამბობდი, მეზობლებში გადავირბენო,
მეც მატყუებდი და შენს თავსაც, ჩემო სიცოცხლევ!

ფოთოლა:

რა მექნა, ნანა. სიყვარული ძნელია თურმე!

მაკრინე:

ძნელია, შვილო: მე კი არა, მთელი სოფელი
თანაუგრძნობდა ამ სიყვარულს და მეზობლები
მორიგეობით მოგყვებოდნენ ფეხდაფეხ, რათა
არ შეგხვედროდა ხიფათი და საშიშროება.

ფოთოლა:

რას ამბობ, დედა? მოღალატე რომ გამყოლოდა,
ხომ დავღუპავდი მიხასაც და მის მებრძოლებსაც!

სანდრო:

არა, დაიკო, შორიახლო მეც მოვდიოდი.
ბიჭი იყო და გაებედა ვინმეს ღალატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოლა:

(ძახილი ეზოდან):

მამიდა... მამა... ცხენოსანი მოგვიახლოვდა.
მიხა ბიძია უნდა იყოს... გამოიხედეთ...

ფოთოლა:

(წამოხტება).

ვაიმე, მიხა... მე ჭიშკართან შევეგებები,
თქვენ კი საჩქაროდ,ელვის უმალ გაშალეთ სუფრა.
განა არ იცით, არავინ ჰყავს, აჭამოს პური,
მშიერ-მწყურვალი მოვიდოდა, ჩემს ნანას ვფიცავ.

სანდრო:

ისე გაფრინდა, თითქოს ახლა მოდის პირველად...
ო, როგორ უყვართ ერთმანეთი... ღმერთო, დალოცე
მათი ოჯახი, სიყვარული და თავდადება.
დედი, მე წავალ, ამოვიტან ღვინოს მარნიდან!

მაკრინე:

გაიქეც, შვილო, ჩემი კატოც აქ მოიყვანე,
ლელვის ფოთლებში გახვეული ღომი ექნება.
მუხუდოიან მჭადს აცხობდა, მგონი, სამზადში.
ჩვენს მიხას უყვარს კეცის მჭადი...

(ძახილი ეზოდან):

მიხა.... ფოთოლა...

მიხეილ:

რა ამბავია? ისე მხვდებით, ვით უცხო სტუმარს.
აფორიაქდით, თითქოს იყოს დღეობა.

ფოთოლა:

(აღტაცებული)

მიხა!
აი, ამ ტახტზე წამოწექი, დაღლილი ჩანხარ.

მიხეილ:

რა დროს ეგ არის, გოგო-ბიჭებს მივეფერები.
ხომ არა სძინავთ?

ფოთოლა:

შენ გელოდნენ. რა დააძინებთ!

მიხეილ:

დღეს ჩვენ სამაზრო კომიტეტის პლენუმი გვქონდა
და ამჯერადაც ამირჩიეს ბიუროს წევრად.

ფოთოლა:

ნუთუ არავინ გამოჩნდება შემცვლელი შენი.
სხვა აერჩიათ, ცოტას მაინც დაისვენებდი.

მიხეილ:

(ღიმილით)

არ ავერჩიეთ? მაშინ გული ხომ დაგწყდებოდა?
იტყოდი, შენმა მეგობრებმა დაგივიწყესო,
დაგიკარგესო ამაგი და დამსახურება.
ამირჩიეს და მებუტები, ვითარცა ბავშვი.
დასვენებისთვის ვის სცალია ახლა, ფოთოლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოთოლა:

არ გებუტები, მიხარია, ჩემო ძვირფასო!
უკმაყოფილოს ვერ მიხილავ, ვიდრე ვიცოცხლებ.
ოღონდ შენ იყო ბედნიერი. განა არა ვგრძნობ,
რომ თავსაყრელი საქმე გაქვს და ბედნიერებაც
შენთვის ეს არის — ფუტკარივით ფუსფუსი მუდამ.

მიხეილ:

მადლობელი ვარ, ჩემო კარგო, ამ ალერსისთვის.

სანდრო:

(შემოდის)

აი, ეს ღვინო, შენ რომ გიყვარს, სიძევ-ბატონო.
შენი ხელადით ამოვიღე ამ წუთს ქვევრიდან.

მიხეილ:

ჯერ გამარჯობა უნდა გეთქვა, შენ კი ხელადით
მხვდები, თითქოსდა ვიყო ლოთი თავაწყვეტილი.
მოდი და ხელი ჩამომართვი. როგორ გიკითხო,
ძმაო, ერთგულო მეგობარო და პარტიზანო!

სანდრო:

(გადაეხვევა)

არა მიჭირს რა. მეც ვეჩვევი ახალ ცხოვრებას.

ფოთოლა:

(შემოჰყავს ექვსი ბავშვი).

ჩვენი შვილები შენს ლოდინში დანაღვლიანდნენ...

ვახუშტი:

მამა... მამილო...

მიხეილ:

აბა, მოდით, შემომეხვიეთ.
თორემ უთქვენოდ, მომეწყინა და ვერ ანჯღები.
თქვენ გენაცვალეთ, ზეგ ზუგდიდში მივემგზავრებით
ჩემი ცოლისძმა თავის ურემს არ დაიშურებს.

ფოთოლა:

მაშ, ზეგ მივდივართ. რა ხანია ამ დღეს ველოდი!

მაკრინე:

(შემოდის)

გეყოთ ყაყანი. მიუსხედით სუფრას ახლავე
და ჩემი რძალი დაგვაპურებს. სადა ხარ, კატო?

კატო:

ვისაც შია და ან სწყურია, დაჯდეს სუფრასთან.
ვისაც არ შია, ფეხზე იდგეს, რა მენაღვლება.
დაიღლება და არც ამაზე ვიდარდებ დიდად.
რაიც გვაქვს, აგერ მაგიდაზე იხილეთ თვითონ.

მიხეილ:

(სიცილით)

დაო, კეთილო, შენებურად დაგვაწიოკე?
სიკეთითა და სათნოებით სავსე ქალი ხარ
და ტკბილი სიტყვა შენგან ჯერ არ გამიგონია.
ოთარაანთ ქვრივს გადარებენ შენ ხიბულაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სოფლელები, დამიჯერე, არა ცდებიან.
ენა მწარე გაქვს, პურმარილი ტკბილია შენი.
შენი ჭირიმე, ჩემო კატო, მიტომ გვიყვარხარ.

კატო:

თუ გეყვარები, ამიშენებ სასახლეს განა.

მიხეილ:

მე შვილებისთვის ერთი სახლი ვერ ამიგია.

ფოთოლა:

სახლს ვინღა ითხოვს, ძველი ქოხი რომ გვქონდა
კირცხში,
ისიც ინგრევა და პატრონი არავინ არის!

სანდრო:

მე საყვედური არ მეკუთვნის, დაო, ფოთოლა.
ორიოდ თვეში ავაგებდი ხის ოდას, მაგრამ
ამ შენმა ქმარმა ამიკრძალა: კომუნისტები
საკუთარ სახლებს არ აგებენ სხვებზე უწინო.

ფოთოლა:

მაშ, სად ვიცხოვრებთ? ვის მივადგეთ ამდენი ბავშვით?

მიხეილ:

ნუ გეშინია. მეგობარმა ოჩამჩირელმა
ორი-სამი წლით დამიტოვა თავისი სახლი...
ამასობაში იქნებ ქოხიც წამოვდგათ სადმე.

ფოთოლა:

ოღონდაც სადმე შევაფაროთ თავი დროებით,
მერე ჩემები მომაწვდიან უთუოდ ხე-ტყეს.

მიხეილ:

როცა ღარიბნი და მაშვრალნი სულს მოითქვამენ,
ჩვენც გვეშველება და ვიპოვით თავშესაფარსაც.

კატო:

თქვენ, ჰეი, ხალხო, ამ პურმარილს თუ არ კადრულობთ,
ხელს წამოვავლებ და სამზადში წავიღებ ისევ.

მიხეილ:

არიქა, ხალხო! ვიღუპებით. გაშლილი სუფრა
ჩვენ გველოდება და ტყუილად დაიკარგება.

(ყველანი შემოუსხდებიან მაგიდას)

კატო:

კიდევ კარგი, რომ მოასწარით...

სანდრო:

კატო, ძვირფასო.

მიხეილ:

ილაპარაკოს, ძმაო, სანდრო. სოფელ გაშფერდში
ასე იციან, ააკსებენ სუფრას თავამდე
და არც გეტყვიან ჩვენებურად, პური ჭამეო.
ჩვენი რძალიც ხომ იმ სოფელში გაზრდილი გახლავთ...

კატო:

ნუ გეშინიათ, არ წავიღებ სუფრას გაშფერდში.
ამ გაცივებულ მუხუდოს მჭადს ძაღლიც არა ჭამს.
გაქვავებულ ღომს ინდაურიც არ ეკარება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგემურ საცივს მეზობლებსაც ვინ გაუბედავს,
თორემ გგონიათ, განა თქვენთვის გავიმეტებდი?
რადგან არ ვარგა არავისთვის, თქვენ ჭამეთ ბარემ.

გიორგი:

(მოულოდნელად გამოჩნდება)

მე გეახლები იმ უგემურ საცივს, ძალუავ,
თუ გადმომიღებ შენი ხელით აი ამ თეფშზე.

კატო:

ისემც მეხი კი დაგაყარე...

მიხეილ:

აგერ დაბრძანდი.
როგორც გეტყობა, ცოცხალია შენი სიდედრი...
სანდრო, ფოთოლა, მეგობრებო, ჩემო შვილებო,
ეს გაუმარჯოს შემოსწრებულ სტუმარს, რომელიც
კეთილი გულით და სურვილით შედის ოჯახში.
ჩვენი გიორგი ვადღეგრძელოთ და თამადობაც
მას დავულოცოთ. სულერთია, ერთ ჯამს რომ დაცლის,
თვითონ აიღებს ამ სუფრაზე ძალაუფლებას.
არა სჯობია, რომ ჩვენივე ნებით ჩავბარდეთ.
აბა, გიორგი, გვიწინამძღვრე, დაგვალევინე.

კარი მეოთხე

სოფლსაბჭოს შენობა. აივანი. ჩაფიქრებული მიხეილი გადაჰყურებს ხობისწყლის ხეობას.

მიხეილ:

აი ამ სოფელს ახსოვს ჩემი ახალგაზრდობა.
აი ამ სოფელს ახსოვს ბრძოლა პარტიზანული.
რამდენი გმირი და მედროშე თავისუფლების
გაზრდილა ხობის ნაპირებზე! აი ეს დროშა;
წითელი დროშა — მაშვრალ კაცთა გამხარებელი
რამდენჯერ ჩუმად ფრიალებდა ამ ულრან ტყეში!
დადგა ჟამი და გაგვითენდა დილა ნანატრი:
თავისუფლებამ საქართველოც გააჩირაღდნა,
თავისუფლებამ გაანათა ჩემი სოფელიც!
ვიდრე ცხოვრება ახალი გზით წარიმართვოდა,
ვიდრე ამ გზაზე ბევრ სიძნელეს გადავლახავდით,
ვიდრე თვით ხალხი აიღებდა ძალაუფლებას,
ერთი სული და ერთი ნება გვამოძრავებდა.
ღალატი, მტრობა, გადადგომა, შურიანობა
არა, არ მახსოვს! სიცივესაც ერთად ვიტანდით,
შიშსა და შიმშილს უდრტვინველად, მშვიდად
ეხვდებოდით,
ახლა კი როცა მზე დაგვნათის გაზაფხულისა,
აქა-იქ გაჩნდა უცნაური მეშულლეობა.
აგერ ნაყოფი შურისა და მეშულლეობის.
ამ სახლს, რომელშიც სოფლსაბჭოა მოთავსებული,
ეპატრონება კოლექტივის თავმჯდომარეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლად იმისა, რომ ორივე მშვიდად შრომობდეს
და ერთი საქმე აღელვებდეთ, ერთი მიზანი,
ვერ გაუყვიათ ამ სოფელში ძალაუფლება.
ამ შენობისთვის ორი კიბე მიუდგამთ, ხედავთ?
მარცხენა კიბით სოფლის თავი სარგებლობს თურმე,
მარჯვენა კიბით — მეთაური კოლექტივისა.
ორი მებრძოლი, კომუნისტი და პარტიზანი
დაობს, ბობოქრობს, აღარც ერთმა არ იცის, რისთვის!
აგერ მოდიან, თუმცა ერთურთს სალამს აძლევენ,
ვამჩნევ, ვგრძნობ, ვხედავ, რომ ერთმანეთს ხელსაც
უშლიან.

თედო:

(ამოდის მარჯვენა კიბით)

ბატონო მიხა, უთენია რამ მოგიყვანათ?
ხომ არ მომხდარა იქ რაიმე მოულოდნელი?

მიხეილ:

(ცივად)

მე მიხა მქვია, ბატონობას არ ვარ ჩვეული.

თედო:

ამხანაგ მიხას არ შეჰფერის ეს გულცივობა.

მიხა:

არც თედოს შვენის უხეირო ამპარტავნობა.
თედოს ვიცნობდი, მაგრამ ასეთს პირველად ვხედავ...

თედო:

რა დავაშავე ამის ფასი, ძმაო კეთილო?
გამთეხიიდან დავტრიალებ მშობლიურ სოფელს.
ავატალახე რაიკომის მდივნის კარები,
რაიალმასკომს არ ვეშვები და ვეომები,
რომ გამოგვიყოს გლეხებისთვის ხე-ტყე, ლურსმანი.
თქვენც შეგაწუხეთ არაერთხელ...

მიხეილ:

მე სხვა მაწუხებს.

თედო:

მიბრძანეთ, მიხა, და მოგისმენთ კვლავ მოთმინებით.

მიხეილ:

ჯაბაც მობრძანდეს და ორივეს ერთად გაუწყებთ,
რაც დამაბარა რაიკომმა...

თედო:

აჰანდე ჯაბაც.

მიხეილ:

დიახ, გამოჩნდა ვაჟბატონი. მარჯვენა კიბით
ამოდის ჩვენი ძმადნაფიცი და პარტიზანი.
მარცხენა კიბე დაგიტოვა თავაზიანად.
გიყურებთ თქვენ და მირჩევნია გამისკდეს მიწა...

ჯაბა:

გამარჯობა და დღეგრძელობა ამხანაგ მიხას!

მიხეილ:

შენ მიხას თავი დაანებე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა:

მაინც რა მოხდა?

თედო:

იყუჩე, ჯაბა! ვერა ხედავ, რა დღეში არის!

მიხეილ:

მადლობა უფალს, რომ ხმა გაეც შენს თანამებრძოლს.
არცა გრცხვენიათ და თვალებსაც მისწორებთ, ვხედავ.

ჯაბა:

მიხა, ძვირფასო!

თედო:

ჩუმად-მეთქი... ეს ორი კიბე
თავსა გვჭრის, ძმაო, და სიმართლეს სად გაექცევი?

მიხეილ:

ეს ორი კიბე ერთი გზაა ყოფილ მებრძოლთა,
რომელთაც სიტყვას უღალატეს და ქოთქოთებენ
აფხორილები, ვით მეზობლის ინდაურები...

ჯაბა:

მეტისმეტია რისხვა თქვენი და გაჯავრება.
განა ბრძოლაში მაშინებდა ტყვიის ზუზუნი?
ანუ დავღლილვარ უღრან ტყეში და უგზო-უკვლოდ
ათეულობით კილომეტრებს რომ გავდიოდით?
რევოლუციის ჯარისკაცებს რომ გვიწოდებდით,
ხომ არ ცდებოდით, მეთაურო?

მიხეილ:

არა ვცდებოდი...

ჯაბა:

ახლა, როდესაც ცა გვახურავს მშვიდობიანი...

მიხეილ:

(გამოჯავრებით)

ახლა, როდესაც ცა გვახურავს მშვიდობიანი!
იქნებ გგონია, ოცდაერთის თებერვლის ბოლოს
რევოლუცია დავასრულეთ აწ და მარადის?
რევოლუციის ქარიშხალი ძლევამოსილი
ჯერ არ ჩამდგარა და წინა გვაქვს გზა უძნელესი...

თედო:

ჩვენ კი...

მიხეილ:

და თქვენ კი დიდკაცობას თამაშობთ ხალხში,
რომელსაც ერთ დროს თქვენც განუყრელ ძმებად
მიაჩნდით.
რაღაც პირადულ და უაზრო დავას უნდებით,
ნაცვლად იმისა, რომ ხელები დაიკაპიწოთ,
მხარი მხარს მისცეთ და ეს მიწა აქციოთ ბაღად.

ჯაბა:

ჩვენ მონდომება არ გვაკლია...

მიხეილ:

გაკლიათ ჭკუა.
მეხსიერებაც, როგორც ვატყობ, გღალატობთ, ხალხო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ერთმანეთს კინკლაობას არ დაუწყებდით.
სოფელი ხედავს თუ რარიგად გადასხვაფერდით.
ასე ეჭირათ თავი ძველად მამასახლისებს...

ჯაბა:

აჰ, რასა გვკადრებთ...

მიხეილ:

მე კი არა, თქვენ არა ზოგავთ
იმ ლამაზ წარსულს, ღამისთევებს ტყეში, კარვებში...

თედო:

არა მგონია, დაგავიწყდეთ ასე უბრალოდ.
ძმაო მიხეილ, რაიკომშიც ასე ფიქრობენ?

მიხეილ:

ისე ფიქრობენ, როგორც ფიქრობს მთელი სოფელი!

თედო:

ცუდად წასულა ჩემი საქმე.

მიხეილ:

ჯაბას ქცევასაც
არ იწონებენ თქვენი ძველი ამხანაგები.

ჯაბა:

თქვენ მეტისმეტად პირდაპირი იყავით მუდამ.
ახლაც მზადა ხართ, თავზე მეხი რომ დაგვატეხოთ.

მიხეილ:

თედო და ჯაბა! მეგობრებო, გთხოვთ მომისმინოთ:
ვინც ჩვენთან არი და ლენინის აზრებით ცოცხლობს,
ვინც თანაუგრძნობს კოლექტიურ, ახალ ცხოვრებას,
ვინც მაშვრალია და სახალხო საქმეს ადიდებს, —
გულს უკლავს თქვენი სიტყვიერი ფარიკაობაც.
ხოლო იმათგან, ვინც არ არის ჩვენი მოყვარე,
და შიშნეულად მიმალულა სადღაც ბუჩქებში,
ლამობს ერთმანეთს დააშოროს ამხანაგები
რომ უბრძოლიათ ერთმანეთის გვერდით ოდესღაც.

თედო:

მაშასადამე, მტრის წისქვილზე დაგვისხამს წყალი!

ჯაბა:

რას ამბობ, თედო?

მიხეილ:

სამწუხაროდ აგრეა, თითქმის.
ფხიზლობდით, ვიდრე მოიწევდა მუხთალი ჯიქურ.
გამარჯვების ჟამს დაგეუფლათ უდარდელობა.
ძალაუფლებაც ერთმანეთში ვერ გაგიყვიათ.

თედო:

ჩვენ მეწისქვილის თაობაზე მოგვიხდა დავა.
ჯაბამ ითხოვა, ღვარამაძე რომ დაგვენიშნა,
მე კი უარვყავ უხეირო ეს არჩევანი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულირსს და ცოდვილს რა ხელი აქვს სოფლის
წისქვილთან?

მიხეილ:

ვინ ღვარამაძე? — ჯაბა, ხომ არ გადაირეე?
ყველაზე უკეთ უწყი თავად, ვინც არი იგი!

ჯაბა:

მიხა-ბატონო!

მიხეილ:

ზედმეტია თავის მართლება.

ჯაბა:

მე გავჩუმდები, მაგრამ კოსტას რა პასუხს გასცემთ?
ცოტა როდია ამ სოფელში მისი ქომაგი!

მიხეილ:

მით უარესი! თქვენ თვითონ ხართ დამნაშავენი,
რომ ღვარამაძე დაეუფლა სოფლის გონებას!

თედო:

მთელი სოფელი ჩვენ დაგვცინის, მეც და ჯაბასაც,
იმ კოსტაია ღვარამაძის გზას ადგანანო.

მიხეილ:

ვაგლახ, ჩვენს ყოფას. ათას ცეცხლსა და ქარიშხალში
ნუთუ იმისთვის გავიარეთ, რომ კოსტაია,
ან კიდევ მისებრ ნაბირალა სხვა ზოგიერთი,
ხალხის კისერზე დავსვათ ისევ წურბელასავით.

თედო:

ახია ჩემზე...

ჯაბა:

წამებულის როლი გიხდება!

მიხეილ:

იყუჩეთ, ხალხო. გლეხკაცებმა არ გაიგონონ,
თორემ სამივეს მოგვეჭრება თავი... უდანოთ!

თედო:

როგორ მოვიქცეთ?

ჯაბა:

რა ვიღონოთ, მიხა-ბატონო?

მიხეილ:

აბა რა გითხრათ. ერთადერთი რომ გქონდეთ ცოდვა,
მოგიტევებდნენ სოფლელები და რაიკომიც
სალაპარაკოდ არ გახდიდა თქვენს ამ შეცდომას,
მაგრამ არ ძალმიძს არ გირჩიოთ, როგორც მეგობრებს:
სოფლის ყრილობა მოიწვიეთ — დიდს და პატარას
უხმეთ გაშფერდში, იმ ადგილას, იმავ ფერდობზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ჯარობა იმართება დასაბამიდან.
თქვენც ადექით და მოახსენეთ სოთელს ყოველი,
რაიც გაღელვებთ, რაიც გსურთ და რასაც აპირებთ.
მოეთათბირეთ გულახდილად, როგორც ახლობლებს.
არ დაუმალოთ, თუ არა გსურთ, მათაც დამალონ
სატკივარი და საფიქრალი ყოველდღიური.
ხალხის წინაშე ერთმანეთსაც გადაეხვიეთ,
ვითარცა მაშინ, ბრძოლის ველზე როცა მივქროდით.
ხალხი, სოფელი, დამიჯერეთ, გულთმისანია:
თუ რაინდულად მოიქცევით, გულში ჩაგისვამთ
და სიტყვას თქვენსას ოქროს ფასი ექნება მუდამ!
ილაპარაკეთ კოსტაია ღვარამაძეზეც,
სხვა მისთანებიც არ დაზოგოთ, არ შეიწყნაროთ!

ჯაბა:

ნუთუ სოფელი გულის გახსნას სწორად გაიგებს?

მიხეილ:

არ მეეჭვება... აქ ისეთი კარგი ხალხია!
ახლა ნახვამდის. მეჩქარება...

თედო:

ნახვამდის, ძმაო!

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

ხმა მღაღადებლისა

რომანი

ნაწილი პირველი

4.

ახლა მივუბრუნდეთ სიმონას, რომელსაც მთელი ღამე გემრიელად ეძინა, ხოლო ირიკრაკა თუ არა, გამოეღვიძა და ფეხზე წამოდგა. ნალიიდან ძირს ჩამოძვრა. თალხი ნისლი მოდებოდა გარემოს, ჰაერში ნეშომპალას სუნი იდგა. ქვემოდან ზარბაზნების ქუხილი ისმოდა და „ქე დოუწყიათ ომი უჩემოთო", გაიფიქრა სიმონამ. ამით ახსნა იარაღის საშოვნელად წასული ამხანაგების მოუბრუნებლობა. მერე სიმონამ სივრცეს გახედა, ღამენათევ ტყეს თეთრმა ძერამ გადაუარა და თურქთა ბანაკისკენ გაფრინდა. ეს ამბავი სიმონამ გამარჯვების ნიშნად მიიჩნია. მიწაზე დაყრილი მორებიდან ერთი მკლავის სიმსხო, კომბალივით თავმომრგვალებული მორი შეარჩია, მხარზე შეიდო და ბრძოლის ველისკენ დაეშვა. ნისლის ფარდის მიღმა ისმოდა ზარბაზნების გრუხუნი, თოფების ბათქი, მებრძოლთა ყიჟინა და ხმლების ჩახაჩუხი.

როდესაც სიმონა ბრძოლის ველს მიუახლოვდა, ქართველები უკვე მდინარეზე გადადიოდნენ. ქვეითებს ხელჩართული ბრძოლა გაემართათ, მოწინააღმდეგენი ერთმანეთს დარეოდნენ და ხმლებით ჩეხავდნენ. ქვეითების უკან ცხენოსნები იდგნენ და ბრძოლაში ჩასაბმელად ემზადებოდნენ. მდინარის პირზე შეუპოვარი ბრძოლა იყო გაჩაღებული. მაგრამ ეტყობოდა, ქართველებს ეძალათ და ზოგან კარგა გვარიანად შეჭრილიყვნენ მტრის ბანაკისკენ. რუსთა ნაწილებიც ნაჩქარევად გადადიოდნენ გალმა და საბრძოლო პოზიციას იკავებდნენ. მთელი ნაპირი დახოცილებით იყო მოფენილი. მებრძოლთა ყიჟინა, თოფების ბათქი და ხმლების ტრიალი არ ცხრებოდა. სიმონა შედრკა. ის პირველად ხედავდა ბრძოლას, ამდენ დახოცილ-დასახიჩრებულს, ამდენ სისხლს. სწორედ ამ დროს, ერთი ნაწილი ქართველი ქვეითებისა უკუიქცა, თურქების კავალერიისაგან დევნილი. სიმონამ დაინახა, როგორ დაეწია ხმალამოწვდილი ცხენოსანი თურქი მდინარისკენ გამოქცეულ ქართველ გლეხს და თავი გაუპო. მაშინ სიმონამ გადმოიღო მხარზე შე-

გაგრძელება იხ. მნათობი № 9.

დებული გრძელი კეტი, მტერს წინ გადაუდგა და ჯარასავით დატრიალდა. შხუილით მოქნეულმა კეტმა ჯერ ერთ ცხენოსანს გაუხეთქა თავი და მერე მეორე ისროლა ათიოდ ადლის მანძილზე. ხელმეორედ მოქნეულმა კეტმა მოწინავე მხედარი ცხენიანად დასცა ძირს. თურქები წამით შეყოვნდნენ. ამით ისარგებლეს ქართველებმა. რა სული მოითქვეს, მობრუნდნენ უკულტოლვილნი და ბრძოლა უფრო გააფთრდა. ამასობაში ცხენოსნებმაც გადმოლახეს ფონი, ფიცხლად შეებნენ მტერს, ბევრი გაწყვიტეს და საბოლოოდ გააქციეს. სიმონა დაედევნა გაქცეულთ და თან ისეთი სისწრაფით იქნევდა კეტს, რომ ზოგიერთებს ეგონათ ერთი კი არა, სამი კეტი უჭირავსო. თითქოს სათიბში თივას თიბავდა, სიმონას ირგვლივ მოცელილ ძნასავით წვებოდა ჯარი. თავისი შემართებით საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, „ვინ არის ეს კაცი?“ — კითხულობდნენ ქართველი ოფიცრები, როდესაც სიმონამ გურიელთა ქვეითი რაზმის მეთაური თავადი გურიელი უეჭველ სიკვდილს გადაარჩინა. ბრძოლაში გართული გურიელის თავზე აღმართულ, მთელი ძალით მოქნეულ ხმალს სიმონამ თავისი კომბალი შეაგება და მერე იმავე კომბლით გაუპო თავი იმ ხმლის აღმმართველ თურქ მხედარს. ოსმალები მოზვერივით გამძვინვარებულ სიმონას ზედიზედ ახლიდნენ ტყვიას, მაგრამ სიმონას ღმერთი წყალობდა, ვერც ერთხელ ვერ მოარტყეს. მრავალი თურქი იმსხვერპლა იმ დღეს სიმონამ.

ამასობაში ცხენოსნები ღრმად შეიჭრნენ თურქთა განლაგებაში. სიმონა შუადღემდე იქნევდა კომბალს, მერე დაიღალა და ერთ გორმახზე, მტრის დამტვრეულ ზარბაზანთან ჩამოჯდა. იქვე ეყარა თურქი მეზარბაზნეების გვამები. ირგვლივ ქართველი მოლაშქრეები ჩასაფრებულიყვნენ და თოფს ესროდნენ მინდორზე გაფანტულ მტერს, რომელიც თავისი დაქსაქსული რიგების შემჭიდროვებას ცდილობდა. ამ დროს, სიმონასთან ალიამ, თანდილამ და ჯაშინიკამ მოირბინეს. ესენი მთელი რამე ტყვიას უშენდნენ თურქებს — ტყიდან. როგორც კი თავგაბეზრებული თურქები შეტევაზე გადმოვიდოდნენ, ისინი უსიერ ტევრში შერბოდნენ და იმალებოდნენ. თურქებს რომ თავხედი თავდამსხმელები გაფანტული ეგონათ, კვლავ ბრუნდებოდნენ და ისროდნენ. ასე გაგრძელდა სანამ ტყვია-წამალი არ გამოელიათ. მათ საგრძნობლად ააფორიაქეს იმ ღამეს მტრის ბანაკი და აიძულეს ქართველები ომი დათქმულ დროზე ადრე დაეწყოთ, რადგან მტრის ზურგში მოქმედ უხილავ და უცნობ დამხმარეებს მხარდაჭერა სჭირდებოდათ. გარიჟრაჟზე, როცა ბრძოლა გაჩაღდა, ალია, თანდილა და ჯაშინიკა თავიანთი საფარიდან გამოძვრნენ, ხევი გადაირბინეს და მდინარეზე გადმოსულ თავისიანებს შეუერთდნენ. აქ ტყვია-წამალი იშოვეს და ბრძოლაში ჩაებნენ. შეტევაზე გადასულ ცხენოსანთა რაზმს კვალდაკვალ მისდევდნენ, როდესაც მტრის ზარბაზანთან მჯდარ სიმონას მოჰკრეს თვალი. ეს კაცი, გრძელი კეტით მებრძოლი, ადრევე შეამჩნიეს, მაგრამ მხოლოდ ახლაღა იცნეს სიმონა. ერთმანეთის ნახვა გაუხარდათ. თანდილამ ერთი თოფი გამოართვა ალიას და უიარაღო სიმონას გაუწოდა.

— კომბლის ქნევა კაი გცოდნია, მარა... აგერ თოფი ისროლე, თუ გინდა.

სიმონამ თოფის სროლა არ იცოდა, თანაც კომბალი ძლიერ მოეწონა, როგორც საბრძოლო იარაღი, ამიტომ ზედაც არ შეხედა გამოწვდილ თოფს.

— რათ მინდა? ტყვიას რავა ვესვრი ადამიანს?! — თქვა მან.

— კომბალს თუ ურტყამ? — გაუკვირდა თანდილას.

— კომბალი სხვაა. ტყვიას არ ვესვრი მე კაცს, — მტკიცედ განაცხადა სიმონამ.

ამის შემდეგ, ჯაშინიკამ ბეჟანახ სიკვდილი აუწყა სიმონას, ხოლო ალიამ

უამბო, ღამით როგორ დაესხნენ თავს თურქებს.

სანამ ესენი აქ ისვენებდნენ და ბაასობდნენ, შეტევა გრძელდებოდა. კვლავ ისმოდა ზარბაზნების გრუხუნი, ცხენის ფლოქვების თქარათქური, ყვირილი და ყიჟინა. რუსთა რეგულარული ნაწილები მწყობრად უტევდნენ უკან დახეულ მტერს. ბრძოლის ველიდან დაჭრილები ბრუნდებოდნენ, ტყვეებიც ჩამოატარეს. ერთმა, გასისხლიანებული პერანგის ნახევით თავშეხვეულმა გლეხმა ამბავი მოიტანა, ორი სოფელი ავიღეთ და ახლა ბათუმისაკენ გზა ხსნილიაო. მაშინ თანდილა წამოდგა და თქვა:

— აბა, აწი ქე დავბრუნდეთ შინ!

ეს აზრი ყველაზე უფრო სიმონას მოეწონა.

— კაი სიტყვაა, ძამია! გვეყოფა კაცის კვლა, — და სიმონამ მიწაზე გართხმულ დახოცილ მეომრებს თვალი აარიდა.

ჯაშინიკაც დაბრუნებისკენ იყო, მხოლოდ ალია გაჯიუტდა:

— თქვენ წაბრძანდით, ბატონო, სანამ ომი არ დამთავრდება, მე ვერ წამოვალ!

— ომი, ეგება, არასოდეს დამთავრდა, — განაცხადა სიმონამ.

— ომს და უბედურებას რა გამოლევს?! — დაურთო თანდილამ, — ომი და შფოთი ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება, სანამ ეს ქვეყანა ბრუნავს. გვეყოფა რაც ვიომეთ, ყველას თავისი წილი აქვს საომარი, ჩვენ ჩვენი ქე შევასრულეთ!

— აგი თათარი ქე გეიქცა და ჩვენ რას ვუცადოთ აქანა? მე რაცხა შეუძლოდ ვარ და უნდა გავსწიო სახლში, — თქვა ჯაშინიკამ.

— ასე ჯარის მიტოვება რავა შეიძლება? — გაბრაზდა ალია.

— ჩემი ნებით ვარ წამოსული საჩხუბრად და შინაც ჩემი ნებით წავალ! — გაბზარდა სიმონაც.

— წაბრძანდით, ბატონო. მე მერე დეგეწევით! — თქვა ალიამ და მოწინავე ხაზს მიაშურა, სადაც მოჩანდა ცეცხლი და კვამლი, ისმოდა ომის ყიჟინა და სროლის ხმა.

სიმონამ ერთხანს უყურა — გვამებით მოფენილ და სანგრებით დასერილ ველზე მიმავალ ალიას, მერე თავი გააქნია დანანებით, წამოდგა, თავისი ვეება კეტი მხარზე შეიდო და თანდილას და ჯაშინიკას დაემშვიდობა:

— პაწას კიდევ წევიომებ და... ქე დაგეწევით!

— აბა, შენ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ამ სიტყვებით დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. ამის შემდეგ, თანდილა და ჯაშინიკა უკან გაბრუნდნენ, ხოლო სიმონა ალიას მიჰყვა.

იმ დღეს, ომში ჩაბმა მაინც არ ეწერა. როგორც კი მოწინავე ხაზზე გავიდნენ, ალია მსუბუქად დაიჭრა. ბრძოლა უკვე დამცხრალიყო, მაგრამ ბრმა ტყვიამ ალიას მკლავი გაუკაწრა. სიმონამ ახალოხის კალთა ჩამოიხია, ჭრილობაზე თუთუნი და მიწა დააყარა და მკლავი მაგრა შეუკრა. მერე ისინი უკან გამობრუნდნენ, ფერდობზე აუხვიეს და ტყის პირას ჩამოჯდნენ. აქედან თვალშეუდგამი სივრცე მოჩანდა. ჯარები ახალ პოზიციებს იკავებდნენ. დაღლილი ჯარისკაცები მოჩვენებებივით დაბორიალობდნენ საღამოს ბინდში. ზოგი თავის მკვდარს დაეძებდა, ზოგი დაჭრილებს შველოდა. ისმოდა დაჭრილთა კვნესა, ურმების ჭრიალი, ცხენების ჭიხვინი. მებარგულეებს ზარბაზნები და ალაფი გადაჰქონდათ ახალ ადგილზე. მოოხრებულ ბრძოლის ველს ყვავები დასტრიალებდნენ. სანგრებით და ზარბაზნების ჭურვებით განათხარი მიწა ადამიანთა გვამებით და ცხენების ლეშებით იყო მიმოფენილი. ალია და სიმონა ჩუმად გასცქეროდნენ მოწყენილ სივრცეს. წვრილი წვიმა ცრიდა. ახლა, როცა ბრძოლა დამთავრდა და დაღლილ-დაქანცულმა ჯარისკაცებმა აქა-იქ ცეცხლი დაანთეს, გაუგებარი იყო, რატომ დაილვარა ამდენი სისხლი. ტყის განაპირას, შტოებშემხმარ ხეზე შავი ყორანი ჩამომჯდარიყო და ჩხაო-

და. შემოდგომის ბნელი და ცივი საღამო იდგა.

5.

ომიდან გამობრუნებულმა თანდილამ და ჯაშინიკამ შეუსვენებლად იარეს. თანდილას თავისი ნაალაფარი თოფები მხარზე გადაეკიდნა და მხნედ მიაბიჯებდა, ხოლო ჯაშინიკა უხალისოდ იყო. რიყის ქვებით მოხერგილ მტვრიან შარას ურმები მიუყვებოდნენ. ურმებზე დაჭრილები იწვნენ, რომლებიც შინისკენ მიჰყავდათ ჭირისუფლებს. ნარითა და გოქშოთი დაფარულ მინდორზე ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულიყვნენ ცხენოსნები, ქვეითები, ზოგან კარვები გაეშალათ. ბრძოლის ველის სიახლოვეს დიდი თავყრილობა იყო ხალხისა და ყველა აწრიალებული ჩანდა, მაგრამ რაც უფრო შორდებოდნენ ბრძოლის ველს, მით უფრო იშვიათად ხვდებოდათ ურმებიც, ცხენოსნებიც და ქვეითებიც. დღის მიწურულს, თანდილამ და ჯაშინიკამ უკან ჩამოიტოვეს ხალხმრავალი ზღვისპირი და უკაცრიელ მინდორზე გავიდნენ. მინდორს საურმე გზა კვეთავდა და ერთ ადგილზე, ლაფში ჩაფლული კამეჩები შეამჩნიეს. კამეჩები ურემში იყვნენ შებმული, ყაბალახიანი მეურმეები სახრეებს იქნევდნენ და ამაოდ ცდილობდნენ ურმის გამოთრევას მშრალზე. თანდილა და ჯაშინიკა მეურმეებს მიუახლოვდნენ და მიესალმნენ. ესენი ჩოხატაურელი გლეხები იყვნენ, რომლებიც ომიდან ბრუნდებოდნენ. სამნი იყვნენ, ძმები, მეოთხე ძმა ურემზე ესვენა, გულისფიცარშენგრეული. მიცვალებული შინ მიჰქონდათ სახლიკაცებს. იგი დილაადრიან, პირველსავე შეტაკებისას ემსხვერპლნა მტრის ტყვიას.

თანდილა ურემს მიუახლოვდა, ნაბადი აჰხადა გვამს და დაინახა მიტკალიევით გაფითრებული სახე ქერათმიანი ვაჟკაცისა. მეხუთე ძმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაღუპვოდათ, ომის დასაწყისში. ძმები ძალზე დამწუხრებულნი იყვნენ. თანდილამ ანუგეშა, რას იზამთ, ომში მიმავალი კაცი სიკვდილის კერძიაო. ამის შემდეგ თანდილამ შოლტი დასცხო კამეჩებს, დანარჩენებიც დაეჯაჯგურნენ ურემს და რის ვაი-ვაგლახით ლაფიდან ამოათრიეს. ვინაიდან გზა სხვა მხრივ ედოთ, თანდილა და ჯაშინიკა დაემშვიდობნენ ჩოხატაურელ ძმებს და დასცილდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯაშინიკა უგუნებოდ იყო, ხმას არ იღებდა. ამასობაში, გვარიანად დაბინდდა და სულიერი არ ჩანდა არსად, არც მოსახლე ვინმე. ომის გრგვინვა სადღაც, შორს დარჩენილიყო და ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს აქ იყო სიკვდილის საუფლო. უკაცრიელ მინდორს შიშველი თხმელის ხეები შემორტყმოდნენ გარშემო. წინ წასული თანდილა შეჩერდა, უკან მოიხედა და შეამჩნია, რომ ჯაშინიკა ძალზე ჩამორჩენილიყო. თანდილამ დაუცადა ჯაშინიკას. ჯაშინიკა მძიმედ სუნთქავდა და როცა მოახლოვდა, თანდილამ ჰკითხა:

— რა იყო, ბიჭო, რამე ხომ არ გიჭირს?

— რაცხა ვერ ვარ კარგად, ტანში მაჟრიალებს, — მიუგო ჯაშინიკამ.

— გაციებული იქნები, — უთხრა თანდილამ და თვალი გააყოლა ჭილყავების გუნდს, რომელმაც ჩხავილით გადაუფრინა მინდორს.

ჯაშინიკამ არ უპასუხა, რაღაცას დააყურადა და ერთხანს ასე დაძაბული იდგა.

— რა მოგელანდა? — ჰკითხა თანდილამ.

— არაფერი გესმის? — ჩურჩულით იკითხა ჯაშინიკამ. მას თვალები ჩასწითლებოდა, გაფართოებოდა, სახეზე მიწისფერი დასდებოდა.

— რა უნდა მესმოდეს?

— ძახილი!

— რაიო?

— ჰო, ვიღაცა მეძახდა, ჯაშინიკაო! ბეჟანას ხმას ჰგავდა...

— მოგეჩვენა ალბათ, — უთხრა თანდილამ და ახედა საავდრო ღრუბლებით დაფარულ ცარგვალს, — ნამდვი-

ლად წვიმას დასცხებს, — თქვა მან. მერე ჯაშინიკას მიუბრუნდა: — ვინ უნდა გეძახდეს, შე კაცო, ხომ ხედავ, კაცაშვილი არ ჩანს ამ არემარეზე, ამაღამ სად გავათიოთ, არც ვიცი...

ღამე რკინის ჩაჩქანივით დაემხო თავზე დედამიწას. ცოტათი წამოკინკლა კიდეც. სიბნელეში განაგრძეს გზა. ტყის პირს მიუყვებოდნენ. ნორჩი თხმელების იქეთ, ჩამუქებული უღრანი დუმდა, მხოლოდ სადღაც, სიღრმეში, ხმელ შტოებში მოფრთხიალე ჩხართვების ჩხავილი ისმოდა. მერე, უეცრად, ურმის ჭრიალიც მოსწვდა სმენას. იმედი მიეცათ და დაიცადეს. მალე გამოჩნდა ტყიდან მომავალი ურემი, ნიაღვრებისგან ჩამოშვავებულ ღარტაფზე მოხრიგინე. ურემზე თხმელის შეშა აეხუხულავებინა ხანშიშესულ გლეხს, რომელიც ხარებს წინ მოუძღოდა და ქამარში ნაჯახი ჰქონდა გაჩრილი. ისეთი ბნელი, უმთვარო ღამე იდგა, რომ ერთმანეთს ძლივს ხედავდნენ, მხოლოდ მეურმის თეთრი წვერი ელვარებდა წყვდიადში. თანდილა მიესალმა მოახლოებულ მეურმეს. მეურმემაც სალმით უპასუხა. ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და თანდილამ აცნობა, ომიდან მობრუნებული მოხალისეები რომ იყვნენ.

— რაფრა დამთავრდა ჩხუბი? — იკითხა მეურმემ.

— მოვიგეთ, — უპასუხა თანდილამ, — გეიქცა თათარი.

— აგაშენათ ღმერთმა, — თქვა გლეხკაცმა და თანდილა და ჯაშინიკა შინ მიიპატიჟა ღამის გასათევად.

თანდილამ მადლობა მოახსენა, ჯაშინიკას ხმა არ ამოუღია. ურემი მიჭრიალებდა ღამის წყვდიადში, თანდილა და მოხუცი გლეხი აქეთურ-იქითურზე ბაასობდნენ, შორიდან კი ძაღლის ყეფა ახლოვდებოდა.

მასპინძელს სოსიკა ერქვა. სოსიკამ კარგად მიიღო სტუმრები. ფეხზე დააყენა ჯალაბი, ცოლი და რძალი ვახშმის თადარიგს შეუდგნენ, თვითონ სოსიკა კი ომზე ბაასით ართობდა თანდილას, რადგან ჩაფიქრებული და მოწყენილი ჯაშინიკა კერიის ცეცხლთან შემჯდარიყო და საუბარს ყურს არ უგდებდა. სოსიკა ჩოლოქის ომის მონაწილე ყოფილიყო და იმ ღამეს ბევრი რამ მოიგონა.

ვახშმად მჭადი, ჭლაკვი, ლობიო და კაჭიჭის ღვინო მოიტანეს. თანდილა გემრიელად შეექცა ვახშამს, მასპინძლის შემოთავაზებულ სასმისებს ზედიზედ ცლიდა. ჯაშინიკამ მხოლოდ ერთი სასმისი დაცალა და ზედ ორიოდ ლუკმა დააყოლა უგერგილოდ. როცა ვახშამს მორჩნენ, სოსიკა თანდილას შეეკითხა:

— ბოდიში, მარა... ეს შენი ამხანაგი მუნჯი ხომ არ არის?

— ცოტა ავად შეიქნა, ვერ არის გუნებაზე, — უთხრა თანდილამ.

მაშინ ქალებმა ჯაშინიკას ვარცლით ცხელი წყალი დაუდგეს და შიგ ფეხები ჩააყრევინეს. ამის შემდეგ, ქვეშაგები გაუშალეს ორივეს და კარგად მოასვენეს. ჯაშინიკა საბანში მოიკუნტა და აძაგძაგდა. ყველამ დაიძინა, მიწყდა უკანასკნელი ფაჩუნი, თანდათან სიცივე შემოვიდა ქოხში, ჯაშინიკას კი რული არ ეკარებოდა. სხეული ისე უხურდა, რომ გული უღონდებოდა, მაგრამ ამავე დროს ვერაფრით ვერ გამთბარიყო, ერთიანად კანკალს აეტანა. თვალებგახელილი იწვა ჯაშინიკა და ესმოდა წვიმის ჩუმი შიშინი, შრიალით რომ ეღვრებოდა ისლის სახურავს. მერე, მახლობელი ტყიდან, ეზოს რომ აკრავდა, ძახილი მოესმა. „ჰეი, ბიჭო, ჯაშინიკაააა!“ — ეძახდა თითქოს ვილაც და ეს ხმა ისევ ბეჟანას ხმას მიამსგავსა. შეშინდა და ზე წამოიჭრა. დაფეთებული მიაჩერდა წყვდიადს. ქოხში მხოლოდ ხვრინვა ისმოდა და უცბად, ისეთი სიმარტოვე იგრძნო, ისეთი გარიყულობა, რომ ჩუმად ატირდა და ბალიშში ჩაემხო. არავინ იყო გამკითხავი და ნუგეშისმცემელი. აუტანლად მოენატრა საკუთარი სახლი და მერე გამოჩნდა გზა, თითქოს შინისკენ მიუყვებოდა მოწყენილ შუკას. თავშიშველა იყო, თმა გადაკრეჭილი ჰქონდა, ხელ-

ში პურის ნაჭერი ეჭირა და თხის ხორცთან ერთად ჭამდა. მოულოდნელად გავიდა უცნობ მინდორზე და ვამხმარი ლელვის ხე დაინახა, რომელსაც ვაზი შემოხვეოდა. ხესთან თმაგაშლილი იდგა მისი ცოლი მაშო. მოშორებით სარეცელი დაედგათ და ზედ შავი მატყლი გაეფინათ. ერთბაშად ჯაშინიკამ ვერც კი შეიცნო საკუთარი ცოლი, მაგრამ როცა შეიცნო, იგრძნო, რომ ის ჯერ არ იყო მისი ცოლი, ახლა მიდიოდნენ დასაქორწინებლად. მინდვრის ბოლოში მდგარი ეკლესიიდან მღვდელი გამოვიდა და ხელი დაიქნია „აქეთ, აქეთო“. ჯაშინიკა მაშოსკენ გაემართა, მაგრამ ამ დროს გველი გასრიალდა მათ შორის და სოროში შეძვრა. დაბნეული ჯაშინიკა შედგა, უნუგეშოდ გაიხედა ეკლესიისაკენ. მღვდელი მომკვდარიყო და ახლა გულიმა ეგდო მიწაზე. ეკლესიის სახურავზე შავი ანგელოზი ჩამომჯდარიყო და იცინოდა. უსასრულო შიშმა შეიპყრო ჯაშინიკა, შეკრთა და ერთბაშად თვალი გაახილა. დილის ბინდ-ბუნდი შემოდიოდა ქოხში. მამლის ყივილი ესმოდა. ყველაფერი ტკიოდა, კუნთი, სახსარი, ძვალი, რბილი, საკუთარი სხეულის შეგრძნება მხოლოდ ტანჯვას ჰგვრიდა, მაგრამ ისე ახლოს ეგულებოდა მშობლიური სახლი და ისე ენატრებოდა ის, რომ არ უნდოდა დანებებოდა ავადმყოფობას და ხმაგაკმენდილი იწვა მანამდე, სანამ ყველანი არ წამოიშალნენ თავიანთი ლოგინებიდან. ყველაზე გვიან თანდილა წამოდგა. გაიზმორა და კარში გავიდა. აღარ წვიმდა, თუმცა მთელი სივრცე დანისლულიყო და ყველგან გუბეებად იდგა წყალი. გუბეებში ბატები ჭყუმპალაობდნენ და ერთობლივ ყიყინებდნენ. ეს ამბავი დიდი წვიმის ნიშნად მიიჩნია თანდილამ, მაგრამ მაინც შებრუნდა ქოხში და ჰკითხა ჯაშინიკას: „რავა ხარო?“ და პასუხის დაუცდელად განაგრძო: „წევიდეთ თუ დავრჩეთ აქანა? მგონია, წვიმას აპირებს...“

„წევიდეთ, წევიდეთ, — სასწრაფოდ წამოიძახა ჯაშინიკამ და ისეთი გამალებით შეუდგა ჩაცმას, თითქოს ვინმე აჩქარებდა.

ბირკამოდებული ნაბდები მოისხეს, თანდილამ თავისი თოფები გადაიკიდა, მასპინძლებს მადლობა მოახსენეს, დაემშვიდობნენ და გზას გაუდგნენ.

იმ დღეს, ცა ჩამოიქმურტა, წამოვიდა წვიმის თქეში. აყალო მიწა ატალახდა, აიზილა და ფუთიან სიმძიმედ აეწება ქალამნებს. ჯაშინიკას ძლიერ უჭირდა სიარული, ხან აცხელებდა, ხან აციებდა, აძაგძაგებდა, მაგრამ კვლავ ხმის ამოუღებლად მიაბიჯებდა. ტანისამოსი შემოლობობოდათ ტანზე, გაცრეცილი ნაბადი წვიმისა და გამჭოლი ქარისგან ვეღარ იფარავდა სხეულს. ჯაშინიკას უჭირდა სუნთქვა, უჭირდა ნერწყვის ყლაპვა, თითქოს მის სხეულში ჩამჯდარი უხილავი მაჯლაჯუნა ყელში უჭერდა კლანჭებს. ამგვარი ტანჯვით მიაბოტებდა თქორში და ითმენდა, რადგან ძალზე ესწრაფვოდა შინ მისვლას. ბოლოს მაინც ვეღარ გაძლო. ხის ძირას ჩამოჯდა და თანდილას დაუძახა. თანდილა მობრუნდა და თავზე დაადგა თავჩაქინდრულ ჯაშინიკას. ჯაშინიკამ ძლივს-ძლივობით ამოიღო ხმა.

— გლახად ვარ, ბიჭო!

სახეზე უნუგეშობა აღბეჭდოდა და ასე სასოწარკვეთილი რომ დაინახა, თანდილამ ინანა, რატომ სოსიკას ოჯახში არ დავტოვეო.

— თანდილა, თუ კაცი ხარ, არ მიმატოვო აქანა, — შეევედრა ჯაშინიკა.

— მისატოვებელი რა გჭირს, შე კაცო? ადექი, ცოტა გაიჭირვე, საცაა მივალთ, აბა, რა იქნება?! — გაამხნევა თანდილამ.

წამოაყენა, მხარში ამოუდგა და ერთხანს ასე ატარა. ამასობაში, წვიმამაც გადაიღო და ოდნავ გაიოლდა სიარული. დიდის წვალებით იარეს მათ და მწუხრის ჟამს მიიწივნენ საჯავახოს. ბინდი და ბურუსი შემოხვეოდა სოფელს, წყლით გაჟღენთილიყო მიწა, ხეები და ჰაერი. ჯაშინიკას სახლი ფერდობზე იდგა განცალკევებით. ისე მია-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დგნენ ჭიშკარს, რომ გზად არავინ შეხვედრიათ. პატარა ეზოს შუაგულში ისლით დახურული დაბალი ქოხი გამოჩნდა. საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა. ქოხის სახურავზე ყვავი ჩამომჯდარიყო და ჩხაოდა. ჯაშინიკამ ჭიშკარი შეაღო და „მაშოო!“ — ცოლს დაუძახა. პასუხად ძაღლის ყმუილი გაისმა. ქოხის სახურავზე ჩამომჯდარი ყვავი აფრინდა, ყრანტალითა და ფრთების ტყლაშუნით ზარმაცად აიღო გეზი მახლობელი ტყისკენ. თანდილა ქვას დასწვდა და სადღაც, ეზოს ბოლოში, ჯაშინიკას ხმის გაგონებაზე აყმუვლებულ ძაღლს ესროლა. დამფრთხალი ძაღლი წკმუტუნით გადაევლო ღობეს და ქვეყრში მიიმალა. ჯაშინიკამ მხრები აიჩეჩა, უნუგეშო გაკვირვებით შეხედა თანდილას, თითქოს მისგან ელოდა ნუგეშს და პასუხს, მაგრამ თანდილამ თვალი აარიდა, ჭიშკარი მიხურა და ქოხისკენ გაემართა. ფეხქვეშ წყალი ჭყაპუნობდა, კაცის ჭაჭანება არ ჩანდა, თითქოს მიეტოვებინათ იქაურობა. მხოლოდ ცივი ქარი სისინებდა გველისებურად. შუა ეზოში იქნებოდნენ მისული, როცა ქოხის კარი ჭრიალით გაიღო. იქედან არავის გამოუხედავს. მაშინ ჯაშინიკა შეჩერდა, თანდილას მკლავზე წაეპოტინა და ხმაწართმეულმა საწყალობლად უთხრა:

— ეჰ, გლახად არის ჩემი საქმე, თანდილავ!

თანდილამ არც ამჯერად უპასუხა, რადგან ქოხის სახურავზე ჩამომჯდარი ყვავი, პატრონის დანახვაზე აყმუვლებული ძაღლი და თავისთავად გაღებული კარი ავისმომასწავებელ ნიშნად ეჩვენა.

ისინი ქოხში შევიდნენ, სოხანეზე შედგეს ფეხი. შუაცეცხლი ენთო. ნაბდები წინკარში დაყარეს, სველი ყაბალახები შემოიხსნეს და მყისვე ცეცხლს მიუსხდნენ. ცეცხლი საამოდ ტკაცუნობდა. წყლით დამბალ ტანსაცმელს ოხშივარი აუვიდა. ჯაშინიკა კერიის პირზე მიწვა და ისე მძლავრად ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლა.

— რა იყო, ჯაშინიკა? — ჰკითხა თანდილამ.

— არ გამიმართლა ძაღლ[illegible] ... ბოლოკვნესა ჯაშინიკამ, — უპატრონოდ გევიზარდე, აგერ ნახევარი წელია ქალიც ჩემსავით უპატრონო მევიყვანე, ვიფიქრე, ეგება აწი რამე მეშველოს-თქვა, მარა... ხომ ხედავ, თანდილავ, რავა უცბად წამომეწია მიქელ-გაბრიელი...

— ნუ გეშინია, ჯაშინიკავ, აწი გაგიმართლებს.

— შენს მტერს გაუმართლა ისე, თანდილავ, — დამცინავად გაიღიმა ჯაშინიკამ და მიყუჩდა.

თანდილამ ირიბად გახედა ამხანაგს და არ მოეწონა მისი იერი. ცოცხალი შავი თვალები მიმქრალიყო და შიგ უსაზღვრო მოწყენა და გულგრილობა ჩასახულიყო. მოკუნტულიყო, დალეულიყო, ღაწვები ერთმანეთს მიკვროდა. „ეს ვერ არის კარგადო“, გაიფიქრა, მაგრამ მაინც ანუგეშა:

— აწი აფერი გიჭირს, სახლში ხარ.

ამ დროს, უკანა კარი გაჭრიალდა და ქოხში ჯაშინიკას ცოლი მაშო შემოვიდა. თანდილამ მიიხედა მისკენ და ისე ძლიერ მოეწონა ამხანაგის ცოლი, რომ თვალი ვეღარ მოაშორა. ქალს სველი კაბა ტანზე შემოტმასნოდა, შეხსნილი გულისპირიდან თეთრი ყელი მოუჩანდა. თმა მოკლე თავსაფრით ჰქონდა წაკრული. ეტყობოდა, საქონლის მოსარეკად გასულიყო, ხელში წკეპლა ეჭირა და ტალახიანი ქოშები ეცვა. წკეპლა დაადგო, ქოშები გაიხადა და დაბნეულად, გაკვირვებით მიაპყრო დიდრონი შავი თვალები ცეცხლთან მიმჯდარ კაცებს, რომელთაგან ერთს მისკენ მიებრუნებინა თავი და უჯიათად შესცქეროდა, ხოლო მეორე საწყლად მოკუნტულიყო და ყურადღებას არ აქცევდა. და უცებ, კარის ზღურბლზე შეყოვნებულმა მაშომ ჯაშინიკა იცნო და მყისვე მიეჭრა ქმარს დაფეთებული.

— რა დაგემართა ჯაშინიკა, დაჭრილი ხომ არ ხარ?

— აფერი უჭირს, უემური აჰყვა, მგონია, — გაამხნევა თანდილამ და

ფეხზე წამოდგა. ქალმა მორიდებით შეხედა უცხო მამაკაცს. ჯაშინიკას ხმა არ ამოუღია.

ამის შემდეგ, მაშო დაფაცურდა, კედელთან მიდგმულ ტახტზე ქვეშაგები გაშალა და თანდილას დახმარებით ჯაშინიკას სველი ტანსაცმელი გახადა. ჯაშინიკა კვნესოდა, გავარვარებული სხეული ურთთოდა, მაგრამ თვალს არ ახელდა.

— ჯაშინიკა, ამეიღე ხმა, დევიღუპე მგონია! — ეეედრებოდა ატირებული მაშო.

თანდილამ ჯაშინიკა ხელში აიყვანა და ლოგინში ჩააწვინა. მერე ქალს ძმარი მოატანინა და მაგრა დაზილა სნეული, რომელსაც უკანასკნელი ძალა წართმეოდა, მაგრამ ბურანში წასულს ყოველგვარი შეხება აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა მაინც და აძაგძაგებდა. თანდილამ გრილი საფენი მოითხოვა, ავადმყოფს ტანზე შემოახვია და საბანი დაახურა. ამ დროს, ისე საშინლად დაიქუხა, რომ ქოხი შეზანზარდა, შეშინებულმა მაშომ შეჰკივლა. თანდილამ ქოხის კარი გააღო და გარეთ გაიხედა. წყვდიადში ჩაფლულ ტყეში, მეხნაკრავ ხეს ალი მოსდებოდა და ბრიალებდა. წვიმამაც დაუშვა. თანდილამ კარი მიხურა და ცეცხლთან დაჯდა.

— რა უბედური ღამეა, — თქვა მაშომ. იგი მორიდებით შესცქეროდა უცნობ სტუმარს, — დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენი, ჯაშინიკას რომ მიმიხედეთ.

— ამხანაგს უნდა მიხედო, აბა? — გაიღიმა თანდილამ და ისევ უჯიათად მიაჩერდა ქალს. ქალმა ცეცხლთან ტაბლა დადგა, განჯინიდან ცერცვის შეჭამანდი, მჭადი და ყველი გამოიტანა, სტუმარს გაუმასპინძლდა და ბოდიში მოუხადა ღარიბული ვახშმისათვის.

— რას მებოდიშები, შე ქალო? შენისთანა ლამაზი ქალის მორთმეულს ძაღლის ხორცს შევჭამ, — ისევ გაიღიმა თანდილამ.

სანამ თანდილა მადიანად შეექცეოდა ვახშამს და თან ომის ამბებს ყვებოდა, სახეალანძული ქალი ჯორკოზე იჯდა და ხან სტუმარს გახედავდა თავაზიანად, ხან კიდევ ავადმყოფ ქმარს, რომელიც ბორგავდა და ქშინავდა თავის საწოლში.

გადაიქუხა. ქოხში ცეცხლის ტკაცანი ისმოდა. თანდილა ვახშამს მორჩა. მაშომ სუფრა აალაგა, სტუმარს ლოგინი დაუგო, თვითონაც გაიშალა მიწის იატაკზე ჯაშინიკას ტახტის ძირში, და მერე გარეთ გავიდა. თანდილამ ჩოხა-ახალოხი გაიხადა და ნიფხავ-პერანგის ამარა დარჩენილი, საბანქვეშ შეძვრა. ლოგინში რომ ჩაწვა, ისე უცნაურად შეაჟრჟოლა, რომ თვითონაც გაუკვირდა, ბიჭოს, მეც ავად ხომ არა ვარო? მაგრამ როდესაც მაშო ოთახში შემობრუნდა და ახრიალებულ ჯაშინიკას თავზე დაადგა, მიხვდა მიზეზს შეჟრჟოლებისას. ეს ახალგაზრდა, სანდომიანი ქალი მწვავედ უნდოდა. და უცებ თანდილამ გაიაზრა, რომ ჯაშინიკას სიკვდილი სწყუროდა. რას ერჩოდა ამ კაცს? არაფერს! მაგრამ ახლა იგი სრულიად ზედმეტი იყო მისთვის ამ ქოხში და ამ მიწაზე. „ღმერთო, შენ მიხსენი", — ჩაილაპარაკა თავისთვის და ყოვლისმომცველი, დაუოკებელი, მაგრამ უკეთური სურვილისგან აცახცახებული, ლოგინში გაინაბა. თანდათან ქრებოდა ცეცხლი, ბნელდებოდა პატარა ქოხში, მაშო სიბნელეში ფათურობდა, ალბათ, ტანსაცმელს იხდიდა. ქვეშაგებში შემძვრალი. ჯაშინიკა ისევ ბორგავდა, მაგრამ თანდილას არ აწუხებდა ავადმყოფის ტანჯვა. იგი დიდხანს ებრძოდა თავს, წრიალებდა ლოგინში და ვერ ერეოდა ჟინს. შუაღამე გადავიდა. გარედან წვიმის ხმა ისმოდა, მაგრამ თანდილა ამ ქვეყნად აღარ იყო, აღარაფერი გაეგებოდა და აღარც აღარაფერი აკავებდა. მოუთანგავი ვნება აწყვეტილი ნადირივით გამოვარდა მისი არსების ბნელი ჯურღმულიდან. თანდილა წამოდგა, სადღაც წყვდიადში ისკუპა სუნთქვაშეკრულმა, თითქოს უფსკრულში მიექანებაო, და ელვის სისწრაფით დააცხრა ამხანაგის ცოლს. ქალმა შეჰ-

კივლა, გაიბრძოლა, მაგრამ თანდილამ სახეზე დააფარა ღონიერი ტორი და იოლად დაიმორჩილა მოულოდნელობისაგან თავზარდაცმული დედაკაცი. ქოხის დუმილში გაისმა გაქცეული ნადირის ქშენა და კვნესა. და სწორედ ამ დროს, ჯაშინიკას მაჯლაჯუნა დააწვა გულზე. მან თვალი გაახილა, დააღწია წყვდიადს თავი, წამოიწია სასთუმლიდან და იცნო საკუთარი ქოხი, სადაც დაიბადა და სადაც ახლა სულს ლევდა. გონება საოცრად ფხიზელი გაუხდა. მიმქრალი კერიიდან გამომსხლტარი ობოლი სხივის ციმციმა შუქზე, დაინახა თავისი ცოლი მაშო, რომელიც ოდესღაც უყვარდა, და თავისი ამხანაგი თანდილა, რომელსაც ოდესღაც ენდობოდა და პატივს ცემდა, — ერთმანეთს ჩახვეულნი, აფუსფუსებულნი, აკვნესებულნი. არც ეწყინა, არც გაუკვირდა, ისე გულგრილად შეხვდა მათ, ისე უაზროდ მოეჩვენა მათი ფუსფუსი, რომ გულში გაეცინა, რადგან იცოდა: ამაო იყო ის, რაც ახლა მათ ჰპოვეს, თვითონ მისთვის, ეს იყო შორეული და გულუბრყვილო წარსულის აწ აზრდაკარგული [illegible]ინათი, და ამიტომ არაფერი არ იყო, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, არაფერს არ ჰქონდა ახლა აზრი და მნიშვნელობა, გარდა შემდგომი წამისა, რომლის დადგომას დაძაბულად ელოდა გაურკვეველ სივრცეს მიშტერებული, და რომლის უკან ჩამწკრივებულიყო დაუსრულებელი წამების უწყვეტი ჯაჭვი, ერთ შეუცნობელ, შემზარავ და ბნელ მთლიანობად ქცეული. წყალი მოუნდა სიცხისაგან გათანგულს, მაგრამ ეს უბრალო სურვილიც ვერ ალმოთქვა და ვერ აისრულა, სიცოცხლის ნიშატი გამოელია, ბალიშზე დაეცა და ხელი ძირს გადმოუვარდა.

გამთენიისას, როცა თანდილა კიდევ ერთხელ მიუდგა სიამისგან აკვნესებულ მაშოს, სახეზე შეხება იგრძნო, თითქოს ვილაცამ მოუფათურა. თანდილა შეკრთა და ზეაიწია. ზედ მის თავთან ჩამოკიდებული შიშველი მკლავი დაინახა. მაშინ თანდილა მის ქვეშ გართხმული დედაკაცის მსუყე მკერდს დაუჭირა ცალი ხელით, მეორე ხელი ლოგინიდან ჩამოვარდნილ შიშველ მკლავს ააყოლა, მოუსვა ჯაშინიკას გაშეშებულ სხეულს, მერე სახეს, და უეცრად იგრძნო სიკვდილის ცივი სუსხი.

— ადე, ქალო, შენი ქმარი მომკვდარა, — თქვა მან.

6.

მეორე დღეს, ჯაშინიკა მიწას მიაბარეს. ამ სოფელში მოსახლეები ერთმანეთისგან შორი-შორს სახლობდნენ. ამიტომ, ინათა თუ არა, მაშომ კივილი მორთო, რათა შეეტყობინებინა მეზობლებისათვის თავისი ოჯახის უბედურება. მეზობლებმა თანდათან მოიყარეს თავი ჯაშინიკას ეზოში. დედაკაცებმა მხარი აუბეს ქვრივს, წამოიკივლეს კანტი-კუნტად, ზოგიერთებმა ლოყებიც ჩამოიხოკეს. მამაკაცები თანდილას ირგვლივ შეგროვდნენ, რომელიც ნაბადმოხურული იდგა ეზოში და ომის ამბებს ყვებოდა, უქებდა ჯაშინიკას სიმხნევესა და სიმარჯვეს, უამბობდა მეზობლებს, დაბრუნებისას, როგორ იგრძნო ჯაშინიკამ თავი ცუდად და რა გაჭირვებით მოიყვანა შინ. ქოხის უკან, ორი კაცი საკუბოვე ფიცრებს თლიდა. სამი მოლერებული ბიჭი სამარის გასათხრელად გაგზავნეს. ნაშუადღევს კუბო მზად იყო, ჯაშინიკა კუბოში ჩაასვენეს და სასაფლაოზე წაიღეს.

სასაფლაო შორს იყო, ტყით დაფარულ მთის კორტოხზე. წვიმისაგან მოლიპულ ციცაბო ალმართზე ძლივს აიტანეს კუბო კაცებმა. დედაკაცებმა მხოლოდ სოფლის ბოლომდე მიაცილეს მოთქმით მიცვალებული და მერე უკან გაბრუნდნენ. მთის წვერზე, ბებერი ცაცხვებით გარშემორტყმული ძველი საყდარი იდგა. საყდრის ირგვლივ მიწაში ჩაფლული მძიმე ლოდები მოჩანდა. კაცებმა ახალგათხრილ სამარესთან მიიტანეს კუბო და ნელა ჩაუშვეს მიწაში. თანდილა საფლავის კიდეზე იდგა

და ჩუმად იცრემლებოდა. კუბოს ბრახუნით ეცემოდა სველი ბელტები. შორს, მოჩანდა მდინარე რიონი და დანისლული დიდი დაბლობი. სამარე ნელა ივსებოდა, ჭმუნვამორეული თანდილა ჩაფიქრებული გასცქეროდა ულეველ სივრცეს. მას ესმოდა საფლავთან მდგარი დიაკვნის ბუტბუტი: „ვინ სცნა გონებაი უფლისა, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას?“ — და თან ჯაშინიკას ბედზე ფიქრობდა. თუნდაც, გუშინ, ვინ იტყოდა, თუ ასე უკუღმა წაუვიდოდა საქმე? მაგრამ „განაქარვნის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან ღვთისამან“, — განაგრძობდა ბუტბუტს მოხუცი დიაკვანი.

ამასობაში, სამარე ამოივსეს. თავთან დიდი ქვა დაუდეს. კოკით ღვინო მოიტანეს და თითო ჯამი წაუქცეს მიცვალებულს. მერე დაიშალნენ. საღამო ხანი იყო, როცა სასაფლაოდან მობრუნებული გლეხები სოფელს მიუახლოვდნენ. ზოგიერთებს მხარზე ბარები და ნიჩბები ჰქონდათ გადებული. ცოდა და ყველა თავისი სახლისკენ მიიჩქაროდა. საკვამურებიდან თბილი კვამლი ამოდიოდა. ორღობეში თანდილაც გამოემშვიდობა ჯაშინიკას მეზობლებს და აუწყა მათ, რომ დაუყოვნებლივ აპირებდა თავისი სოფლისკენ გამგზავრებას. ერთმა ხანშიშესულმა გლეხმა შინ მიიპატიჟა, ამაღამ ჩემსა გაათიე და დილას გაუდექი გზასო, მაგრამ თანდილამ განაცხადა, არაფერი მიჭირს, ახლავე დავიძვრებიო. მაშინ თანდილას მადლობა მოახსენეს ჯაშინიკას მეზობლებმა უბედური ჯაშინიკას პატივისცემისათვის და გზა დაულოცეს. თანდილამ ჯაშინიკას ქოხისკენ გაუხვია, სადაც ომში ნაშოვნი თოფები ჰქონდა დატოვებული. ქოხის წინ შავად შემოსილი მაშო იჯდა, ხოლო ეზოში ჯიქანდაბერილი თეთრი თხა დაცანცარებდა. მიწა ჯერ კიდევ არ გამშრალიყო წვიმების მერე. თანდილა ქოხში შევიდა, კედელზე მიყუდებული თოფები გამოიტანა და მხარზე გადაიკიდა.

— მიდიხარ? — ჰკითხა მაშომ. პირგამეხებული დედაკაცი მკაცრად შესცქეროდა მას. მისი ხმა მუქარანარევ დაცინვასავით გაისმოდა. — თანდილამ ირიბად გახედა მაშოს და როცა ქალის ბრიალა თვალებს წააწყდა, ისევ დაუარა ტანში იმ უცნაურმა, ყოვლისმომცველმა, მაგრამ უკვე ნაცნობმა ჟრჟოლამ, ჯაშინიკას სიკვდილის ღამეს თავგზა რომ დაუბნია.

— აბა, აქანა ხომ არ დავრჩები?

— მე რას მიპირებ? — კვლავ მუქარასავით გაისმა ქალის ხმა და თითქოს ვიღაცის უხილავ ნებას ემორჩილებაო:

— თუ გინდა, წამომყევი, — წარმოსთქვა თანდილამ თავისდაუნებურად.

ქალი წამოდგა, უსიტყვოდ შევიდა ქოხში, წინასწარ გამზადებული ფუთი გამოიტანა, ქოხის კარი მიხურა და ურდული გაუყარა, თხას საბელი მოსდო კისერზე, თავშალი შემოიხვია, ფუთა მხარზე შეიდო და კბილებამდე შეიარაღებულ თანდილას უბრძანა:

— გავსწოთ, თორემ დაგვაღამდა!

ასე, ამგვარად, დატოვეს სოფელი. წინ თანდილა მიდიოდა, უკან მაშო მიყვებოდა. ერთხელაც არ მოუხედავს ქალს თავისი ქოხისკენ, იოტიოსდენად არ დანანებია მიტოვებული კარ-მიდამო, რომელთანაც ალბათ, აღარაფერი აკავშირებდა. აქა-იქ ჭრაქების შუქი ციმციმებდა, ისმოდა სოფელში შემოსული ნახირის ბღავილი და ძაღლების ყეფა, ისინი კი ჩუმად მიდიოდნენ ბნელ ორღობეში, ხმას არ იღებდნენ, თითქოს ქურდებივით მიიპარებოდნენ. ბოლოს ყოველგვარი ჩქამი მიწყდა, კუპრისფერ ცაზე ობოლი ვარსკვლავი აკიაფდა ღრუბლების ჭუჭრუტანაში და გასცდნენ კიდეც სოფლის სანახებს.

ის ღამე მეველის ფაცხაში გაათიეს, რიონის პირას. ფაცხა ცარიელი იყო. თანდილამ ჩალა მოზვინა და მიწის იატაკზე გაფინა. თხა ხეზე მიაბეს, ფუთა თავქვეშ ამოიდეს, ჩალაში ჩაწვნენ თბილად და ნაბადში გაეხვივნენ ერთმანეთს ჩახუტებულნი. ტკბილად ეძინათ. ყოველივე დუმდა, მხოლოდ მდინარის

მდორე ტალღების ტყლაშუნი ისმოდა.

უთენია, ბორანი მოადგა ნაპირს. მან გალმა მხრიდან ოზურგეთს მიმავალი ქუთაისელი ვაჭრები გადმოიყვანა. ერთმა გაბღენძილმა სოვდაგარმა თანდილას თვალი დაადგა და ამდენი თოფი რომ დაუნახა მხარზე გადაკიდებული, შეეეაჭრა, ერთი ცალი დამითმეო, მაგრამ თანდილამ ალმაცერად გაჰხედა ვაჭარს და ხმა არ გასცა. აღარც ის მისძალებია. ამის შემდეგ, ქუთაისელმა ვაჭრებმა ჩალვადრებს ბარგი აჰკიდეს და ოზურგეთს გაემგზავრნენ, ხოლო თანდილა და მაშო, თავიანთი თხითურთ, ბორანზე ავიდნენ. ბორანი ნელა გაცურდა დაბა ორპირისკენ. ორპირში ბაზრობა იყო გამართული. ამ სოფელში ყოველთვის კარგი ბაზრობა იცოდნენ, რიონის პირა სოფლებიდან ნავებით ამოდიოდნენ გლეხები და თავიანთ ნაწარმს ჰყიდნენ.

— რათ გინდა კაცო, ამდენი თოფი რომ გადაგიკიდებია მხარზე და დაათრევ, გავყიდოთ ბარემ და ფული ავიღოთ! — უთხრა მაშომ თანდილას.

— მაგი არაა შენი საქმე! — უპასუხა თანდილამ.

რაკი თანდილას აღებ-მიცემობა არ აინტერესებდა, ორპირში აღარ შეჩერებულან, დაუყოვნებლივ გააგრძელეს გზა ნაყანარებს შორის. სთველი მოწეული იყო, ყანებში დარჩენილ ჩელტებს და ფუჩეჩს ნიავი აშრიალებდა. დარიც გამოვიდა, თვალსაწიერის ბოლოს გალურჯებული მთები გამოჩნდა. რაც უფრო უახლოვდებოდა მშობლიურ კუთხეს, მით უფრო ჩინებულ გუნებაზე დგებოდა თანდილა. კმაყოფილი იყო, რომ ომიდან ხელდამშვენებული ბრუნდებოდა, კარგი იარაღიც იშოვა და კარგი დედაკაციც.

მთელი დღე იარეს და საღამო ხანს მიაღწიეს თანდილას სოფელს. დაკლაკნილი, მტვრიანი შარა თეთრად პრიალებდა ჩამოწოლილ ბინდში, გზის პირზე ფოთლებშემხმარი ალვის ხეები იდგნენ. სოფელში შესულებმა ბროწეულისა და მაყვლის ბუჩქებით დაბურულ ბნელ შუკაში შეუხვიეს. ამ შუკის ბოლოში იდგა თანდილას ქოხი. ერთ მხარეს, ჯაგნარით შემოკრულ-ლული საძოვრები იყო გაშლილი, მეორე მხარეს — მწირი ეწერი. შუკა გაიარეს და ისე მიადგნენ ეზოს ჭიშკარს, რომ გზად არავინ შეხვედრიათ. მაგრამ მეორე დღეს, სოფლად ხმა გავარდა, თანდილა ომიდან დაბრუნებულა და თან თათრის ქალი ჩამოუყვანიაო. ამ ამბავმა ყველა დააინტერესა, განსაკუთრებით დედაკაცებს მოუნდათ თათრის ქალის ნახვა. ისინი მოდიოდნენ თანდილასას, ზოგიერთებს თავიანთი ბავშვებიც მოჰყავდათ. ლაფაროში დაბალ ჯორკოებზე სხდებოდნენ და ისეთი გაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ ეზოში მოფუსფუსე თათრის ქალს, თითქოს ის სხვა ვარსკვლავიდან მოფრენილი არსება ყოფილიყო. თათრის ქალად მონათლული მაშო ყურადღებას არ აქცევდა ცნობისმოყვარე მეზობლის დედაკაცებს, ეზოში ტრიალებდა, ხან საქონელს უვლიდა, ხან ქოხს ხვეტდა და ასუფთავებდა, ხან კი ჭასთან ჩაცუცქული გულმოდგინედ ხეხავდა და რეცხავდა გეჯას და გობებს, ქვაბს და ჯამჭურჭელს.

— ქართული თუ იცის? — ჩუმად ეკითხებოდნენ დედაკაცები ელპიდეს, თანდილას მოხუცებულ დედას.

— რავა არა, ბატონო!

— აგაშენა ღმერთმა, კარგია ნამეტანი! — და ნიკაპზე ხელმიდებულნი კვლავ გასცქეროდნენ თათრის ქალის საქმიანობას.

ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანს. თანდილა შინ იჯდა და ისვენებდა, წვრილმანი საოჯახო საქმეებით გართული. მორღვეულ ღობეს ერთ ალაგას წკნელი წაუმატა, ყანიდგან ჩალა გამოზიდა და ტირიფის ლერწით შეკრა კონებად, საქონელს საზამთროდ ბაგა შეუკეთა. თანდილა ღარიბი გლეხი იყო, სულ რაღაც ორიოდ ქცევა მიწა ჰქონდა. ოჯახს მარტო უძღვებოდა. ცოლი ორი წლის წინათ მოუკვდა და ძუძუთა ბავშვი და-

უტოვა, რომელიც ახლა მოხუცებული ელპიდეს ანაბრად დარჩენილიყო. ჰყავდა ძროხა, ცალი ხარი, ნეზვი ღორი, ახლა ამას თხაც შეემატა. თანდილას ერთადეთ ვაჟს დარისპანი ერქვა. როდესაც თანდილა ომიდან დაბრუნდა, დარისპანს სამი წელი ჯერ არ შესრულებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, თანდილამ საგარეო ჩოხა ჩაიცვა, ომიდან ჩამოყოლილი ოთხი თოფიდან, ორი გადმოიღო, მხარზე გადაიკიდა და ბატონ ყაფლანს მიადგა. ბატონი ყაფლანი შინ იყო, მაგრამ ისვენებდა. თანდილას სამოახლოში მოაცდევინეს. მხარზე თოფებგადაკიდებული თანდილა ჯორკოზე ჩამოჯდა. მოსამსახურე გოგოები თანდილას დანახვაზე ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ და იცინიოდნენ. მერე სასახლიდან გლახუნა უნდილაძე გამოვიდა და თანდილას გამოელაპარაკა.

— გავიგე, თათრის ქალი გიშოვია ომში?!

— მართალია, — თავი დაუქნია თანდილამ.

— სხვა რამესაც იშოვიდი.

— კი!

— აბა, მე მაქვს იღბალი? — დაიწყო წუწუნი გლახუნამ, — აქანა ქალი გამირიგეს, ჯვარიც დავიწერე, და სანამ თქვენ იქანა ქონებას შოულობდით, მე აქანა ტყვილად გავცდი, ერთი ფარღალალა ქოხის აგებას მოვუნდი.

— ჩვენ, ბიძია, ჩხუბში ქონების საშოვრად კი არ წავსულვართ?! ცოცხალი რომ გადავრჩი, არ გიკვირს?

— შენ თუ გადარჩი, მე რა ღმერთი გამიწყრებოდა? — თქვა გლახუნამ და შურით შეავლო თვალი თანდილას თოფებს.

— შენზე და ჩემზე უკეთესი ბიჭები გაწყდა იქანა, — თქვა თანდილამ.

ამ საუბრის დროს, თანდილა სასახლეში იხმეს. ბატონი ყაფლანი თავის ოთახში ბუხართან იჯდა. ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. თანდილა ყაფლანს მიესალმა და წესისამებრ, მკერდზე აკოცა.

— რა ამბავია, ვეჟო, მთელი თოფხანა რომ აგიკიდებია ზურგზე?

— ოსმალური თოფებია, ძლვნად მოგართვი ბატონო, თუ იკადრებ!

— კადრება რა სათქმელია, მარა... რას წუხდებოდი, ჩემო თანდილავ? — და ბატონმა ყაფლანმა ერთი თოფი აიღო, შეთვალიერა, ლულა და კონდახი გაუსინჯა, ჩახმახი გამოსწია, — მადლობელი ვარ! მაგიერში შენი ყანის უკან რომ ჯაგნარია, ორი ქცევა მომიცია იქედან. გაწმინდავ, გაასუფთავებ და სიმინდს მოიყვან.

— იცოცხლე, ბატონო!

— ბიჭო, შენზე ამბობენ, თათრის ქალი ჩამოიყვანაო, მართალია?

— კი, ბატონო!

— ახლა ერთი, ომის ამბებიც მიამბე!

— კი, ბატონო!

და თანდილამ, რაც იცოდა, ყველაფერი უამბო. ყაფლანმაც გაიხსენა ჩოლოქის ბრძოლა. მერე თანდილა ყაფლანს გამოეთხოვა და შინ დაბრუნდა. ასე და ამგვარად გაიფართოვა ამ კაცმა მამული.

ამასობაში, ზამთარმაც იმძლავრა, პირველი თოვლი დაეფინა ქვეყანას. სოფლად ხმა დაირხა, რუსი და თათარი შერიგებულან, მოლაპარაკება აქვთ გამართული და ამბობენ, ბათუმი ჩვენ დაგვრჩებაო. მოლაშქრეები თანდათან ბრუნდებოდნენ შინ. ერთ მშვენიერ დღეს, სიმონაც გამოჩნდა. მას არც თოფები ჩამოჰყოლია და არც თათრის ქალი. სამაგიეროდ მაჯაზე ოქროს დასტანაგი ეკეთა.

როდესაც სიმონა ომიდან დაბრუნდა, სიმონას მეუღლე აღათი ახალი მოლოგინებული იყო. სიმონამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. და აი, საღამო ხანს, მიადგა სიმონა თავის ეზო-კარიმდამოს ჭიშკარს. თოვლს დაეფარა ყოველივე. გაკვალული ბილიკები კვეთავდნენ მიწის ქათქათა საფარველს ჭიშკრიდან ქოხის კარამდე, ქოხიდან ჭამდე, სასიმინდემდე, ხულამდე, მარნამდე. ხეებს თოვლით დახუნძლული ტოტები ძირს დაეხარათ. არე-მარე გარინდულიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუბზარავი სიჩუმე იდგა. ქოხის სახურავიდან თოვლივით თეთრი კვამლი ამოდიოდა და ერთვოდა შავად შემღვრეულ ცას. საოცარი სიმშვიდე და სიხარული იგრძნო სიმონამ. ჭიშკარი მიიხურა, ქოხისკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა, კარი შეაღო და დაინახა კერიასთან მდგარი აკვანი, რომელსაც დაბალ ჯორკოზე მჯდარი აღათი არწევდა და თან იავნანას დამღეროდა. გაკვირვებული სიმონა კარის ზღურბლზე შედგა. სიმონას დანახვაზე გოგიელა და საბა ადგილიდან წამოიჭრნენ, აღათიმ სიმღერა შეწყვიტა. მოულოდნელი სიხარულისაგან ხმა ვერ ამოეღო ვერცერთს.

— ვინაა ეს? — იკითხა ბოლოს სიმონამ.

— ვინაა და შენი შვილია! — უპასუხა საბამ.

სიმონა აკვანთან მივიდა და ჩვილს დააკვირდა. ლოყებდაბერილი ბალღი, თეთრი და ფუნჩულა, გაკვირვებით ახამხამებდა თვალებს. მერე მაძღარი ცხოველივით გემრიელად დაამთქნარა, ღრძილები გამოაჩინა და იმწამსვე დაიძინა. და უეცრად, სიმონა ისეთი უსაზღვრო სიყვარულით განიმსჭვალა ამ უმწეო და უმანკო არსებისადმი, რომ ცრემლი მოერია.

— ვაჟია თუ ქალი? — იკითხა მან.

— ვაჟია!

— რა დაარქვით?

— მიხაკო!

— აგი, ჩემი მიხაკოს სახელზე იყოს! — მოიხსნა სიმონამ მაჯიდან ოქროს სამაჯური და აკვანზე ჩამოკიდა.

ამის შემდეგ, სიმონა რამდენიმე დღეს შინ იჯდა და ისვენებდა. სოფელში სიწყნარე იყო. სიმონამ სოფლის ამბები გაიკითხ-გამოიკითხა, გაიგო გლახუნა უნდილაძეს ცოლი რომ შერთეს და ქოხიც აუგეს, უკვე ვაჟი შესძენოდა. ბატონიშვილი ჯამბაკური აფხაზეთში შემოჭრილ თურქებს ებრძოდა თურმე, ამბობდნენ ფეხში დაჭრილაო. ბატონიშვილი ნესტორისა კვლავ არაფერი ისმოდა, არც ბეგლარისა იცოდნენ რამე მისმა მშობლებმა და მოყვრებმა.

საღამოობით, სიმონას ქოხი მოყვრებით და მეზობლებით ივსებოდა. შუაცეცხლის ირგვლივ შეეძომსხდარნი ყურს უგდებდნენ სიმონას, რომელსაც უკვე ქვეყნის მნახველ კაცად თვლიდნენ, რადგან მატარებლითაც იმგზავრა, ზღვა და გემებიც იხილა, ომის ფათერაკებიც ილბლიანად გამოვლო, გლეხებს ყველაფერი აინტერესებდათ, რაც სიმონას თავს გარდახდენოდა საშოვარზე გასვლის ჟამს, და სიმონაც დაუზარებლად ყვებოდა თავის თავგადასავალს, სანამ ვინმე ანაზდეული შეკითხვით არ გააწყვეტინებდა თხრობას.

— სიმონა, აგი ოქროს სამაჯური სად იშოვე?

— აგი ოქროს სამაჯური გურიელთა ქვეითი რაზმის მეთაურმა თავადმა გურიელმა მაჩუქა, ჩხუბი რომ დამთავრდა, რადგან უეჭველ სიკვდილს გადავარჩინე. ასე მითხრა, თუ რამე დაგჭირდეს მომაკითხე და მიმსახურეო.

სხვაგვარი შეკითხვებიც იყო. სიმონას ბიძას, ოქროპირას, თავისი უფროსი ვაჟის, რუსეთში წასული ბეგლარის ბედი აინტერესებდა.

— რაო, ყაფლანმა? — ამ შეკითხვას შეკითხვითვე პასუხობდა სიმონა.

— ნუ გეშინია, ცოცხალია და კარგად არისო...

— აბა, **რა გინდა** მეტი?

ერთ მშვენიერ დღეს, თანდილას შეეტყო სიმონას **დაბრუნება** და მოვიდა მის სანახავად. ლაფაროში დასხდნენ, გრძელ მერხზე. თოვლი მზეზე ბრჭყვიალებდა, ქოხის უკან მამლის ყივილი და ინდაურის კივკივი ისმოდა, ხოლო გოგიელა საბანში გახვეულ შვილიშვილს ეზოში დაატარებდა. რაც ეს ბალღი დაიბადა, გოგიელას თავი აღარ ახსოვდა და მზე და მთვარე ამ პატარა არსებაზე ამოსდიოდა. სიმონამ და თანდილამ აქეთურ-იქეთურზე ილაპარაკეს, ომი მოიგონეს, ამხანაგებიც გაიხსენეს.

— ჩვენი ჯაშინიკა რავაა, ნეტავი? — იკითხა სიმონამ.

თანდილამ თვალი თვალში გაუსწორა **სიმონას.**

— რავა უნდა იყოს?..

ამ დროს, ქოხის გვერდით ყონდად დაწყობილ შეშას კაჭკაჭი დააჯდა და დაიჩხავლა. სიმონამ თოვლი აიღო, დაგუნდავა, ესროლა ფრინველს და დააფრთხო. ხელები ჩოხის კალთაზე შეიხოცა და თანდილას ეშმაკური ღიმილით გადახედა.

— ე თათრის ქალი სად იშოვე, შე უკეულმართო?

— გზაში შემხვდა და წამევიყვანე, — ღიმილითვე მიუგო თანდილამ

სიმონამ გაიცინა. მერე მოყვარე სადილზე მიიპატიჟა. კერიის პირზე მიდგმულ ტაბლას შემოუსხდნენ დაბალ ჯორკოებზე მსხდარნი. აღათიმ ციცხვი მოურია ქოთანში ათუხთუხებულ ლობიოს და შეჭამანდი ჯამებში დაასხა, საბამ კეცზე გამომცხვარი ყვითელი მჭადი გადატეხა და ოხშივარი აადინა, გოგიელამ დოქით კაჭიჭის ღვინო მოიტანა და ტაბლაზე დადგა. მერე დაილოცნენ და გემრიელად ისადილეს, გლეხურად, მადიანად. სადილის შემდეგ, თანდილამ მადლობა მოახსენა მასპინძლებს და წამოდგა. სიმონამ ჭიშკრამდე მიაცილა. საღამო შემოპარულიყო ორღობეში. ზამთრის უღონო მზე დანისლულ სივრცეში მიმქრალიყო და ყინვანარევი თოვლი ჭრაჭუნობდა ფეხქვეშ. გზაზე ეტლი მოჩანდა, ზანზალაკების წკარუნით მომავალი. როცა ეტლი მოახლოვდა, სიმონამ და თანდილამ სავარძელში მჯდარი ფეხშეხვეული ჯამბაკური დაინახეს. დაჭრილი ფეხი წინა სკამზე ჩამოედო და ნაბადში გახვეული, ეტლში მსხდარ ნაბდიან კაცებს ეგაასებოდა. ბოგირზე მდგარ სიმონას და თანდილას ჯამბაკური ხმამაღლა მიესალმა:

— გამარჯობათ, მეზობლებო, რავა გიკითხოთ?!

— იცოცხლე, ბატონო, ხომ მშვიდობით დაგვიბრუნდი?

— ქე ვარ გვარიანად, დაკვანჭალებული!

ეტლმა ჩაიარა თოვლიან შარაზე. სიმონა და თანდილა ერთმანეთს გამომემშვიდობნენ და თავთავიანთ სახლებს მიაშურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

ეტლი მიუახლოვდა ყაფლანის მამულს. მიმწუხრის ბინდი შემოხვეოდა თოვლით დაფარულ კოპიტებს; სუროდმოდებულ გალავანს იქეთ, დაბურულ ტევრის სიღრმეში, სასახლის ფანჯრებიდან გამოპარული მოწყენილი შუქი ციმციმებდა. სიჩუმეს შთაენთქა ყოველივე, თოვლის დუმილი იდგა, თეთრ სუდარაში გახვეული და კიდით-კიდემდე უსაზღვროდ განფენილი. გალავნის ჭიშკართან ეტლი შეჩერდა. ჯამბაკურის გვერდით მჯდარი ნაბდიანი კაცები მკვირცხლად გადმოხტდნენ ეტლიდან და ჭიშკარი გააღეს. ესენი ჯამბაკურის ძიძიშვილები იყვნენ, ფარნა და თათრაზან გაბუჩიები, რომლებიც თან ახლდნენ ჯამბაკურს აფხაზეთში ლაშქრობისას და მასთან ერთად იბრძოდნენ გენერალ ალხაზიშვილის რაზმში. შემოდგომაზე, გუდაუთის მახლობლად თურქების მიერ შტუცერის ტყვიით წვივში დაჭრილი ჯამბაკური ძიძიშვილებმა ჩამოიყვანეს აფხაზეთიდან. და აი, ეზოში შესული ეტლი გაუკვალავ თოვლში, ზანზალაკების წკარუნით მიადგა სასახლეს. სასახლის აივანზე ბატონი ყაფლანი გადმოდგა.

— რომელი ხარ, ვეჟო?

— ჩვენ გახლავართ, ბატონო, ჯამბაკური ჩამოვიყვანეთ, — გასცა პასუხი ეტლის საფეხურზე მდგარმა ფარნამ.

— ჯამბაკურიო?! — და მყისვე აფუსფუსდა სასახლე.

მოახლეები და მსახურები ეზოში გამოცვივდნენ, ეტლს შემოეხვივნენ. ძიძიშვილები მხარში შეუდგნენ ჯამბაკურს და კიბეებზე აატარეს. მგზავრობას და სნეულებას თავისი დაღი დაემჩნია ამ ბრგე ჭაბუკისათვის. ოქროსფერი თმა გრძლად მოეშვა, ცისფერი თვალები ამოღამებოდა. მოკლე, კეხიანი ცხვირი და წვეტიანი ნიკაპი ჰქონდა, რომელსაც ღაწვებიდან წვრილ ზოლად

მომავალი ქერა წვერი უფარავდა. ქღალი ჩოხა ეცვა. ორბის ფრთებივით გაშლოდა ნაბადი. აივანზე რომ აიყვანეს, ჯამბაკური ცალ ფეხზე დადგა, მეორე მოხარა, ძიძიშვილებს მხრებზე დაეყრდნო და წელში გასწორდა. შესანიშნავი ვაჟკაცი იყო, მის შეხედვას, მართლაც არაფერი სჯობდა. ჯამბაკური მშობლებს მოწიწებით მიესალმა. მამას მხარზე აკოცა, დედას ხელზე ეამბორა. მერე იგი თავის ოთახში მოასვენეს.

იმ დღის შემდეგ, იწვა ჯამბაკური და ძიძიშვილებს ნარდს ეთამაშებოდა. ძიძიშვილებთან ძალიან შეთვისებული იყო, ვინაიდან ბავშვობის უტკბესი წლები მათთან ჰქონდა გატარებული. ახალშობილი ჯამბაკური ქალბატონმა მენიკიმ, მაშინდელი ჩვეულების თანახმად, სამეგრელოში გააძიძავა, თავის მშობლიურ კუთხეში, სოფელ ფოცხოში. ეს სოფელი დაბა ნოქალაქევის, — ძველისძველი ციხე გოჯის, კოლხი მეფეების ადგილსამყოფელის, — ზემოთ მდებარეობს, მთაგორიან ადგილას, მდინარე ტეხურის ულამაზეს ხეობაში. ძიძიშვილებთან ერთად დარბოდა ჯამბაკური ღრანტეებში, მწყემსავდა თხებს, სწავლობდა თევზაობას და ისმენდა ტკბილხმოვან მეგრულ სიმღერებს, ჩონგურის სიმების სევდიანი წკრიალით მოქარგულს. მან შესანიშნავად აითვისა ქართული ენის მეგრული დიალექტი და შემდეგ, როცა წამოიზარდა, როცა შინ დაბრუნებულმა კუზიანი საბა ნიგურიანისგან ხარის ბეჭზე შეისწავლა ქართული ანბანი და მეგრულის მოსმენა იშვიათად უხდებოდა, ძიძიშვილებს მაინც მეგრულად ელაპარაკებოდა, ასე უფრო ერჩია და ეხერხებოდა. ძიძიშვილები განუყრელად თან ახლდნენ მას. აფხაზეთში დაჭრილი ჯამბაკური ძიძიშვილებმა თავდაპირველად ფოცხოში ჩაუყვანეს ძიძას და გამდელს. მაგრამ ჭრილობა რომ გაუმიზეზდა, შეშინდნენ და მშობლიურ ოჯახში დააბრუნეს. ჭრილობა არც აქ უშუშდებოდა. ყაფლანის მიერ ქუთაისიდან საგანგებოდ მოწვეულმა ხელგანთქმულმა მკურნალმა, ვერაფერი არგო. სისხლი და ბალღამი ისევ მოედინებოდა გახლეჩილი წვივიდან და, ეტყობა, ძალიანაც აწუხებდა, მაგრამ ჯამბაკური ტკივილებს არ იმჩნევდა.

ამასობაში, ყველიერი გათავდა და დიდი მარხვა დადგა. თოვლი გალღვა, შუკები ჭყაპით აივსო. სოფელი მშვიდად ცხოვრობდა, ყველა თავისი საქმით იყო გართული. ერთ მშვენიერ დღეს, გლახუნა უნდილაძე თანდილა ნიგურიანის ჭიშკარს მიადგა და „თანდილაო!“ — დაიძახა. თანდილა შინ არ დახვდა, ყაფლანისგან ნაბოძებ ჯაგნარს კაფავდა. მაშოც თან ახლდა და ეხმარებოდა. მოხუცებულმა ელპიდემ მიასწავლა გლახუნას თანდილას ადგილსამყოფელი და ისიც გაეშურა იქითკენ. მან შორიდანვე დაინახა მუშაობაში გართული თანდილა და მაშო. თანდილა წალდით სხეპავდა შტოებს, მოსხეპილ ტოტებს მაშო ურემზე აწყობდა. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ, გლახუნა, ცოტა არ იყოს, კადნიერად მიაჩერდა მაშოს, რადგან პირველად ხედავდა ამ ქალს და აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა. მერე ცნობისმოყვარეობას დასძლია, თანდილას მიუახლოვდა და უთხრა:

— თანდილავ, ხელი უნდა გამიმართო, შენ, ომში კაი ფული გექნება ნაშოვი და ერთი ხუთი მანეთი უნდა მასესხო ჰატარა ხნით, რაცხა საქმეზე მჭირდება.

თანდილამ გაიცინა.

— იმ ომში, მე ამ ჯაგნარის მეტი არაფერი მიშოვია, — და ამ სიტყვებთან ერთად მაშოს მიაჩერდა, თითქოს მასაც ომში ნაშოვნ ნადავლად თვლიდა, მაგრამ თქმა ერიდებოდა. გლახუნამაც ისე კადნიერად შეხედა მაშოს და მუშტრის თვალით აწონ-დაწონა.

ამ დროს, ჭალიდან ძაღლების ყეფა მოისმა. თანდილას ჯაგნარზე კურდღელმა გადაირბინა. კურდღელს ძაღლები მიყვნენ, ძაღლებს სანადიროდ გამოსული ცხენოსნები. თანდილამ ხელში შე-

რჩენილი ტოტის სხეპვას თავი დაანებ**ბა, წალდი** მხარზე შეიდო და ცხენოსნებს მზერა გააყოლა. ერთ მათგანში, **თეთრი** დოლბანდით ფეხშეხვეული **ჯამბაკური** შეიცნო, დანარჩენ ორში — **თათარხან** და ფარნა. მაშო და გლახუნაც ცხენოსნებს მისჩერებოდნენ. ცხენოსნებმა მინდორი გადაჭრეს და **ისევ** ჭალაში შეჯლიგინდნენ.

— უყურე ამას შენ, რავა დაჯირითობს ჩემ მიწაზე?! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თანდილამ და კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა.

— დიდი ხანია შენი გახდა ეს მიწა? — გესლიანად ჩაიქირქილა გლახუნამ.

— ვინ იყო? — იკითხა მაშომ.

— ჯამბაკური, — უპასუხა თანდილამ, — ამბობენ ფეხი ულპებაო და აგერ, სანადიროდ არ გამოსულა?

— წერას ჰყავს ატანილი ეგ უბედური, მამაჩემის ცოდვა არ ასვენებს, — თქვა ბოღმამორეულმა გლახუნამ.

თანდილას ამაზე არაფერი უთქვამს.

— რა ჭირს ფეხზე? — იკითხა მაშომ.

— დაჭრილია ტყვიით...

— აბა, ტყვიით დაჭრილის მკურნალობა ქე ვიცი მე...

— საიდან? — გაუკვირდა თანდილას და თავი ასწია.

— ცხონებულმა ბებიაჩემმა მასწავლა, — უპასუხა მაშომ.

ამ თემაზე მეტი აღარ ულაპარაკიათ. შეშად ვარგისი ტოტები და ჯირკვები ურემზე დაყარეს და შინისკენ წაიღეს. ორღობეში რომ შეუხვიეს, გლახუნას დაემშვიდობნენ. გლახუნამ კვლავ გესლიანად უთხრა თანდილას:

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ბატონო. რაკი ხუთი მანეთის ნდობის ღირსად არ ჩამთვალე და კაცად არ მცნობ, მეცოდინება აწი. ღმერთმა გადამახდევინოს თქვენი პატივისცემა! — და გლახუნამ თვალები ცისკენ აღაპყრო.

სიბრაზისგან თანდილას სახე დაებრიცა და ფურთხი მიაყოლა ბილიკზე მიმავალ გლახუნას.

ამის შემდეგ, ჯამბაკური ერთი-ორჯერ კიდევ გამოჩნდა თანდილას ჯაგნარში. მაგრამ მესამე საღამოს ნადირობიდან შინ ადრე დაბრუნდა. ცხენი სასახლის კიბესთან შეაჩერა. ცხენის ფლოქვებქვეშ გამდნარი თოვლი ჭყაპუნობდა. ძიძიშვილებმა ჯამბაკური უნაგირიდან ჩამოსვეს, მხარში შეუდგნენ, კიბეები აატარეს და თავის ოთახში შეიყვანეს. თეთრად ქათქათებდა მყუდრო ოთახი, კედლები ახლად შეელესათ. მხოლოდ ვიწრო სარკმლიდან ჯიქურ შემოჭრილიყო დაბინდული სივრცის მუქი და ცივი სილურჯის ანარეკლი. ოთახში თბილოდა, ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა. იატაკზე დათვის ტყავები დაეფინათ, ფართო ტახტზე ჭრელი ხალიჩა დაეგოთ, ზედ მუთაქები და ბალიშები ეყარა, ხოლო კედლებზე აქაც ძველებური თოფ-იარაღი ეკიდა. ტკივილისგან სახედაღმეჭილი ჯამბაკური ძიძიშვილებმა ტახტზე მოასვენეს. ფეხზე შემოხვეული დოლბანდი სისხლით გაჟღენთილიყო. ჯამბაკურმა სახვევი გამომიცვალეთო, თქვა და მუთაქას დაეყრდნო. თათარხანი მკვირცხლად შეუდგა საქმეს. ის საერთოდ, მარჯვე კაცი იყო, ყველაფერი იოლად გამოსდიოდა ხელიდან. მისი უფროსი ძმა ფარნა უფრო მშვიდი, დინჯი და აუჩქარებელი გახლდათ. როდესაც თათარხანი ჯამბაკურს სახვევს ხსნიდა, ოთახში ბატონი ყაფლანი შემოვიდა გლახუნა უნდილაძის თანხლებით. მართალია, გლახუნა კარგა ხანია ცალკე დასახლდა, მაგრამ იმდენად შეჩვეული იყო ყაფლანის ოჯახს, რომ ზოგჯერ მთელ დღეებს აქ უქმად ატარებდა. ყაფლანმა დახედა სისხლით და ჩირქით გაჟღენთილ საფენებს, თათარხანმა იატაკზე რომ დაყარა, მერე ჯამბაკურის სიშავეშერეულ იარას დააკვირდა და საყვედურისაგან თავი ვერ შეიკავა:

— შვილო, შენს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ნადირობა არ უნდა იყოს სასარგებლო.

— მამა ბატონო, ეგება ვკვდები ამ ჭრილობისაგან, სანამ შემიძლია არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვგლიჯო ცხოვრებას სიამოვნება?

— არ არის, ყმაწვილო, ეს გონივრული. მოგერჩინათ ჭრილობა და მერმე გენადირათ რამდენიც გენებებოდათ...

— რომ არ მირჩება, ეს ოხერი?! — მწარედ გაიცინა ჯამბაკურმა და ამ ნაძალადევი სიცილით გამოამეღავნა ის უიმედობა, რომელიც გულში დაგროვებოდა ხანგრძლივი ტკივილისაგან თავგაბეზრებულს. ყაფლანს შეებრალა თავისი ვაჟი. ახლა მას ისევე მწვავედ ეტკინა გული, როგორც თხუთმეტიოდე წლის წინათ, როცა პატარა ჯამბაკურს ნადირობისას, გლახუნა უნდილაძის მამა შემოაკვდა. რამოდენა განსხვავება იყო სადღაც, შორეულ ტყის განაპირას, ჯურღმულივით ჩაბნელებულ წარსულში ჩარჩენილ, შიშისაგან დაბნეულ, თვალცრემლიან, საბრალო ბიჭუნასა და აგერ ტახტზე გაშოტილ, თავშეკავებულ მოწიფულ ვაჟკაცს შორის, მაგრამ შვილისადმი სიბრალულის და დანაშაულის ბუნდოვანი შეგრძნება ისევ ისე უცვლელად დარჩენილიყო ყაფლანის. გულში. ახლა მან კვლავ გაიგონა კენტი სროლის ხმა ტყის სიღრმიდან მომავალი და საგანგაშო ჩოჩქოლი, რაც ამ ერთადერთ გასროლას მოჰყვა მცირე ხნის მერე. გულმა რეჩხი უყო, შემართული თოფი ძირს დაუშვა, მხარზე გადაიკიდა, დამბაჩას ფალია გაუსინჯა, ჩერით გაწმინდა და ქამარში გაირჭო, მერე ცხენი შემოაბრუნა და ნელა გამოჰყვა მოცვის, კუნელის და ცხრატყავას ბუჩქებს შორის გამავალ ბილიკს, რომელსაც ფათალოში გახვეული ტანაყრილი ხეების კენწეროებიდან ბაგირებივით ჩამოშვებული ღვედკეცები თითქმის გაუვალს ხდიდა. გამოღვიძებული ტყე ნებიერად იშმუშნებოდა. ფეხდაუდგამ მოლს უღრანში ჩამოპარული მზის პირველი სხივები ნამით აერეკლა და სარკესავით ბრწყინავდა. ჰაერში ჩიტები ნავარდობდნენ, ჭყანტობში ბაყაყი აყიყინდა, სადღაც მშვიდად მოლიკლიკებდა ნაკადული, ხოლო როცა ბილიკმა ბატონი ყაფლანი ტყის განაპირას გაიყვანა., სადაც პატარა მინდორზე მონადირეებს წრე შეეკრათ და ჩოჩქოლობდნენ, ყაფლანმა გაიგონა ქედნის ღუღუნი და მერე, კაცებმა გზა რომ უტიეს, დაინახა მოლზე გაშოტილი, გასისხლიანებული უნდილაძე.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— ჯამბაკურს თოფი გაუვარდა და... — თვალი აარიდა ერთმა აზნაურმა.

ყაფლანმა გადახედა იქ მყოფთ და უცებ გლახუნას თვალებს წააწყდა. ბიჭი განცალკავებით იდგა, გვამის ირგვლივ შეჯგუფული კაცების უკან. ამ წითური და ჭორფლიანი ბავშვის უფერო, სიმინდის მარცვალივით წვრილ თვალებში, ვერავითარი გრძნობა ვერ ამოიკითხა, გაოცებაც კი, მოულოდნელ უბედურებას ასე ხშირად რომ ახლავს თან, მაგრამ ყაფლანმა მაშინვე იაზრა., რომ მომავალში, ამ უმეტყველო თვალების პატრონი ასჯერ და ასიათასჯერ წარმოიდგენდა გასისხლიანებულ გვამს, სველ მოლზე რომ ეგდო ახლა და ბავშვი თვალს რომ არიდებდა. მაშინ ველარ დაადგებოდა კარგი დღე ყაფლანის ნაშიერს და უცებ, სავსებით ნათლად იგრძნო, რომ კი არ ებრალებოდა დაობლებული ბავშვი, როგორც ეს წესიერ ქრისტიანს შეეფერის, არამედ ალიზიანებდა. ალბათ, ამიტომ არ იცოდნენ ძველ დროში დანდობა, მაგრამ ახლა სხვა დრო იყო. ყაფლანი ცხენიდან გადმოხტა, გლახუნას თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერასავით, და განცალკევებით მდგარი კაცებისაკენ გაიხედა, რომელთა შორის თავჩაღუნული ჯამბაკური შეამჩნია.

— შენ შეგაჩვენა ღმერთმა! — მიაძახა ჯამბაკურს და იმავ წამს ინანა, გული ეტკინა, გლახუნას თავზე მოსაფერებლად დადებული ხელი ისე აუცახცახდა, რომ მოფერების ნაცვლად წარტყმა გამოუვიდა. სინიდისის ქენჯნამ აუტანლად შეაწუხა, რადგან მიხვდა: უნებურ გაჭირვებაში ჩავარდნილ შვილს დაცვის მაგიერ თვითონ ესროლა პირველი ქვა, თვითონ მისცა მაგალითი სხვებს, თვითონ შეაჩვენა და

გაამტყუნა, თვითონ სცნო დამნაშავედ და ცოდვილად, და ყოველივე ეს, თავისი გააზრებული ვარაუდით, ისევ მისთვის გააკეთა, გააკეთა იმიტომ, რომ გლახუნას გული მოეგო, გადმოებირებინა თავის მხარეზე, რათა შემდგომში, თუ საჭირო იქნებოდა, მისგან შენდობა მოეთხოვა. მომავალ მტერში ეძებდა მომავალ მოკავშირეს და ამ უჩვეულო იმედმა კიდევ ერთხელ დაანახა რამოდენა წინააღმდეგობებით იყო აღსავსე ცხოვრება, რა რთული, ბნელი, ამოუხსნელი, უთანმიმდევრო და გაუგებარი იყო ადამიანის ბუნება, ავისგან კეთილს რომ გამოელის და სიკეთის დასამკვიდრებლად ბოროტებას რომ სთესავს ხშირად. არავინ არაფერი იცოდა, მხოლოდ უსაფუძვლო, ფუჭი იმედი და ჭეშმარიტების უცოდნელობა ასულდგმულებდა კაცს, ბედისწერის უხილავი და უმძლავრესი ძალების წინაშე მარტოდ მარტო დაუცველად დარჩენილს. დაუცველნი იყვნენ მისი შვილებიც და ამიტომ გრძნობდა დანაშაულს მათ წინაშე, ეს უმძიმესი ტვირთი, ცხოვრებამ რომ აჰკიდა მხრებზე. ისინი თავისი გზით მიდიოდნენ და არა იმ გზით, რომელსაც მშობლის სიყვარული უსახავდა მათ. ვინ იცის, როგორი იქნებოდა ეს გზა?

ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა. სიკვდილის ვერაგი აჩრდილი, ავბედითად უთვალთვალებდა მისი შვილების თვითეულ ნაბიჯს და მათგან გავლილი მოკლე მანძილი სისხლით იყო უკვე მორწყული. ბედისწერას რომ კაცი ვერ გაექცევა და რომ უგუნურ ამბოხს შეგუება სჯობს, მტკიცედ სწამდა ყაფლანს, ამიტომ ამ ცხოვრებაში უმთავრეს და უსაჭიროეს თვისებად გაძლება მიაჩნდა. გაუძლებდნენ მისი შვილები ჭირს, ეყოფოდათ ხასიათის სიმტკიცე? ყაფლანმა ჯამბაკურს შეხედა. ტახტზე მჯდარი ჯამბაკური შუბლშეჭმუხვნილი შესცქეროდა თავის გახლეჩილ წვივს, საიდანაც სისხლშერეული ბალღამი გადმოდიოდა. ტახტთან ჩაცუცქული თათარხანი ჯამბაკურს ჭრილობას უსუფთავებდა. თათარხანის ხურგს უკან მდგარი გლახუნა წინ გადმოხრილიყო და გამიზეზებულ იარას დასცქეროდა, ფარნა ბუხარს მიჯდომოდა და ხელებს ითბობდა. ხმას არ იღებდა არცერთი. მერე გლახუნა წელში გაიმართა.

— თანდილა ნიგურიანმა რომ თათრის ქალი ჩამეიყვანა, იმას ცოდნია ტყვიით დაჭრილის წამალი, — თქვა მან.

ჯამბაკურმა დამცინავად გაიღიმა.

— თათრის ქალმა კი არა, ფრანგის ექიმმა ვერ მიშველა, შე კაცო!

— გეცადა, ბატონო!

— კარგი, ფარნა, თუ გიყვარვარ! მაგას ჯობია დილისთვის ცხენი და ძაღლები მომიმზადო.

— კიდევ ნადირობას აპირებ, ყმაწვილო?

— რა მოხდა მამა ბატონო, თავს შეიქცევ ცოტას!

— თუ კაცი ხარ, მაგ აღარ იფიქრო. არავითარ შემთხვევაში არ დაგრთავ ნებას. — და გაცხარებულმა ყაფლანმა შვილის ოთახი დატოვა.

დარბაზში გამოვიდა. ბუხარში უზარმაზარი ჯირკვი შეეგდოთ, მაგრამ ცეცხლის სიმხურვალე მაინც ვერ ავსებდა დიდ და ცარიელ ოთახს. ფანჯრებს ძაძებივით აკვროდა გარედან ულიმღამო საღამოს ბინდი. ბუხრის თავზე ჩამოდგმულ შანდალში სანთელი იღვრებოდა.

— გლახუნა! — დაიძახა ყაფლანმა.

— რას მიბრძანებ, ბატონო? — იკითხა ბატონის ძახილზე ჯამბაკურის ოთახიდან მყის გამოვარდნილმა გლახუნამ.

— ბიჭო, წასულიყავი და მოგეყვანა ის ქალი!

— ამაღამ, ბატონო?

— აბა?!

— კაი, ბატონო. თუ გამომატანეს, ქე მოვიყვან.

— ეგება უშველოს რამე, ხომ ხედავ კაცი ხელში გვადნება.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლაუ ნადირაძე

ქრტურ რემბოს

შენ იყავ ბავშვი
და ბავშვურად უცქერდი არეს,
როცა მზისა და პოეზიის გიწამა ღმერთმა!
გიჯადოებდა თვალთა ხედვას
მხატვრობა მთვარის
და ეს სიცოცხლე სხვაგვარ იგრძენ
შენ, ერთადერთმა!

ჰიმნი ცისანი და ვედრება ქერუბიმების
შენ მოგესმოდა ღრიანცელში, თვით ქუჩის ხმებშიც!
შენი მებრძოლი საფრანგეთის
ხმები დიდების,
ქცეულნი ლექსად,
საგალობელს
ჰპოვებდნენ შენში!

შენ, გადახვეწილს
აფრიკაში და უდაბნოში,
თან გაგყოლია დედის დარდი და მწუხარება,
როგორც პირველი სიყვარული და ზიარება.
და ეს ყოველი, მწუხარების,
ტანჯვის გარეშე!
შენ არ გინახავს,
შორეულო ძმად საყვარელო,
ამ დედამიწის ერთი კუთხე —
სამშობლო ჩემი!...
შენ არ გსმენია სიტყვა „თამარ“
და „საქართველო“,
უკვდავ „ლილეოს“ არ გსმენია,
უკვდავი ხმები,
რომ შევირჩინეთ
ზღვა სისხლითა,
ტანჯვით და გვემით!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დაღლილი „მთვრალ ხომალდით“
ნაპირს მოადექ,
როს ფეხმოჭრილი, კვლავ სამშობლოს
ჰაერს ყნოსავდი, —
შენ ისევ ბავშვად გადაიქეცი,
ბავშვად წამოდექ
და პოეზიის საკურთხევლის წინ გაუკვდავდი!

როს სამუდამოდ ჩერდებოდა ტრიალი ბედის,
როცა სიკვდილი გიჩქარებდა
წყვდიდით მოცვას, —
ჩნდებოდა თვალწინ ბრწყინვალება მალარმეს „გედის“,
და დამცხრალ ტუჩებს ადნებოდა ვერლენის ლოცვა!...

გელათის ერთ ფრესკასთან

დავით ალმაშენებელს

არა, არ ვიცი,
არ ვიცი რატომ
დამცქერი ციურ გასხივოსნებით!
არ ვიცი, რატომ
სულს ჩემსას განდობ
ჩუმი ფიქრებით,
ჩუმი ოცნებით?!

ვიცი, შორსა ხარ,
ვიცი, შენს ახლოს
არარაობა სიზმრად იქცევა!!
ვხედავ, ვერ დავძლევ
შენამდე მაღლობს,
ვხედავ ამაოდ გული იწვება!

შენ, მოქცეული ტაძრის ზღუდეში,
სევდით დამცქერი
ტანჯვით შეპყრობილს!...
ო, არც ღიმილი,
აღარც ნუგეში
შენს წინ საბრალოდ
პირქვედამხობილს!

დაკარგულ დღეთა,
მწვავე წუთების
ვიყავი, ვარ და
დავრჩები მწყემსი!
დაფრქვეულ ცრემლთა
ანცმას ვუნდები,
რომ წმინდა ლოცვად
გადმექცეს ლექსი!!

გადმექცეს ლოცვად
და ალმასების
აღარ დამჭირდეს
ძიება არსად,
რომ ჩემს ქვეყანას,
მთელი არსებით,
მეც შევეწირო
მეომრის მსგავსად!!

და, როგორც ელვა,
ღრუბელთ სიღრმეში
ჩნდება წამით და
წამითვე ქრება, —
რაღაც იელვებს
იმედად ჩემში,
ყრმობის ანთების
განმეორებად,
როგორც იმედი,
როგორც ნუგეში —
ჩემი სიცოცხლის დაბოლოებად...

არ ვიცი, არა,
არ ვიცი რატომ
დამცქერი ციურ,
გასხივოსნებით!
არ ვიცი რატომ
სულს ჩემსას განდობ
ჩუმი ფიქრებით,
ჩუმი ოცნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

დრო სიყვარულის...

წიგნიდან „შემოდგომა“

1

ვერ შევეხები მე შენს სხეულს,
აფეთქებულს ზღაპრის ბუხართან.
ვზი შემოდგომის კარავთან და
სევდის ლოდი დამადუღაბდა.

მე გავექეცი დროს, საწუთროს
განაპირა კლდეზე შემომდგარს.
შენს ხეობაში ჩავწრეტ ფერებს
ჩემ მღელვარე სულზე შემომდნარს.

მე ლეგენდების მიწას ვიპყრობ, —
შენს სატახტოდ და შენს სამეფოდ...
ვერ შევეხები აქ შენს სხეულს,
ღვთის ისრებით ნაისარებო!

2

შენს ხეობაში ტაძრებია,
ნანგრევები ძველთა ციხეთა.
იმა კლდეების ქვამარილი
აიტანე დღესაც ჯიხვებთან.

შენი ნიავი შეათრთოლებს
ერისთავთა ჩამჭკნარ ქონგურებს.
არ უღალატებ მაგა ლანდებს,
მათ ციხიონს არ უორგულებ!

ასკილის ბუჩქებს მათი სისხლის
ნაალარი წაკიდებია.
...ჩემი ზღაპრების ჩიტუნები
ჩემი ციდან გაკვირდებიან.

3

ცხელ მიწას ჰშვენი დროით შენით
და ფერებით მოკაშკაშეთი.
მაგ ხეობაში დაგიპყრია
ბულბულეთი, მწყრეთი, შაშვეთი.

ცხელ მიწას ჰშვენი... მე ტახტს გიდგამ
მიწის გარე სამფლობელოში.
დრო დასძრავს თავის მსახვრალ
ლაშქარს, —
ქრობის ქარებს იქ ვერ შემოშლის.

შენი საყდრების გუმბათებზე
შეგადნება სახთლის ღვენთები.
ცხელ მიწას ჰშვენი, მაგრამ უფრო
ჩემი ზღაპრის ცას დაჰშვენდები.

4

იყო დრო სისხლის წვიმებისა,
დრო ნერონის, შაჰ აბასისა,
დრო ხმალთა ლესვის, ციხეთ ნგრევის,
წინ გაწვდენილ შუბის, ბასრისა.

დრო, ოქროს საწმისს როს გაგტაცებს
ხომალდები აფრიანები.
...არის დროც თამარ დედოფლისა, —
ერის კერის აბრიალების.

შენ შენს დროს ჰშვენი, სიყვარულის
დროის ჩემის ტახტის მეუფე.
აღთქმულ ქვეყნისკენ გეზიდება,
ღვთაებრივო, დრო სადეუფლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

შენსა დროს ჰშვენი... შენი დროის
რტოზე ჰყვავი ათასფერადა.
მაგ ყამის ელვა ჩემსა ღრუბელს
გადასხეპდა, გადასერავდა.

მე ვტოვებ ღრუბლებს შენს მიწაზე
და უღრუბლო მიწას დავეძებ.
ჩემს ღრმა მითებში ჰიმნს აღავლენ
თვით ღმერთებზე და უკვდავებზე.

დროის საზღვარი მიწიერი
გახელდება შენკენ ლტოლვითა.
მაგ ხეობაში გრჩება ქვიშა,
დაბერტყილი ოქრო ტომრიდან.

6

აგზიდავ ჩემი სიყვარულის
მარად მწვანე ყამის წალკოტში.
წუთისოფელი ვერ შეგახებს
ხელს დაბეგვილს და ხელს
დაკოჟრილს.

შენს დროსაც ჩანთქავს უძღები და
უმადური შენი ხეობა.
მე გავაჩაღებ უასაკო
სიყვარულის ზღაპრის ღრეობას.

იქ შენს ნაკვალევს ჩემი სულის
ფრთაზე მჯდარი ჩიტი დაკოცნის.
აგზიდავ ჩემი სიყვარულის
მარად მწვანე ყამის წალკოტში.

7

ჩემი პლანეტა, — სიყვარულის
ღმერთისა და ზღაპრის პლანეტა,—
უშემოდგომო და უზამთრო
დროში გიხმობს მაგ ხევ—გარედან.

გასცურავ ჩემი შემოდგომის
ყვითელ ზღვაში ჩამხრჩვალ
დრო-ყამსაც.
ზე შენი ტახტი სიყვარულმა
უკვდავების ჯავშნით მოჯავშნა.

ჩემს მჭკნარ ფოთლებზე აცურდება
გაზაფხული შენი ყამისა.
უშემოდგომოს და უზამთროს
შეადნები ჩემს დედამიწას.

8

დრო საათების ისრებიდან
ყინულივით წვეთავს წუთებად.
წუთისოფელის სამდურავით
ვიღაც მწარედ აწუწუნდება.

ჩემს შემოდგომას დრო ყვითელი
შეადნება ყინვის ლოლუად.
„ბოლოა!“ — ვიღაც დაიბღავლებს...
მერე რაა, აქ რომ ბოლოა?!

ჩემს ლეგენდებში წუთ-წუთობით
ვინ გაზომავს მარადისობას?!
შენ ჩემი ტრფობის რელიგიას
ევლინები ახალ ღვთიშობლად.

9

ჩემს პლანეტაზე სიყვარულის
იზეიმებს დროც და სივრცეცა.
და შემოდგომის სული მჭკნარი
იმ ზღაპარმა მე გამიცეცხლა.

ჩემი მითების მზიურ მხარეს
დააშუქებ ელვარ შარავანდს.
მაგ ხეობიდან ამოწვდება
ჩემსას, — შენი მწვანე შარა—ვანს.

იმ სავანეში ყამი ჩემი
შენს ნორჩ ყამთან გაერთდროვდება.
არ აღმოგხვდება წუთისოფლის
სამდურავის მწარე გოდება.

10

იყო დრო ჭმუნვის, დრო ვარამის,
დრო სევდისა და ხარებისაც.
დრო შეხვედრის და განშორების,
ლოდინის და დახანებისა.

დრო ტირანების, დრო მონობის,
ღმერთთა რისხვის და დრო
წარღვნისაც.
...შემოდგომამდე ყველა ეს დრო
მე საწუთრომ უხვად მადირსა.

ახლა ჩემს მითში მესმის შენი
ღვთაებრივი ზარის ეღარუნი.
აწ მარადიულ სამყაროში
მიმაქროლებს დრო სიყვარულის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ გოლეთიანი

ერეკლე მეორის მიმართვა ქართველთა ლაშქრისადმი კრწანისის ველზე

მამულიშვილებო!
ამ ჩვენს ტანჯულ მიწას
მტერი გვეცილება
დაუძინებელი!

აუცილებელია
დაცვა მამულისა!
სიცოცხლე არ არის
აუცილებელი!

გიორგი სალუქვაძეს

განსაკურნავად გეალერსები,
სიცოცხლე შენი ძმობით მევსება,
სურნელოვანი შენი ლექსები
ზეპირად იცის ჩემმა ლექსებმა!

მანანებად და ელისოებად
ბევრს ჩვენი ძმობა ემახსოვრება!

მოუსვენარი შენი ცხოვრება
ზეპირად იცის ჩემმა ცხოვრებამ!

ერთგულ მეგობრად მყავხარ, იცოდე,
მუდამ იმედად, რწმენად გიხილავ!
ულამაზესი შენი სიცოცხლე
გადაივიწყოს შენმა სიკვდილმა!

* * *

გრძლად წერას ფრთები მოვკვეცე —
სიცოცხლესავით მოკლედ ვწერ!

* * *

დრო მ

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შენ იმიტომ გაქვს ხუმრობის
ასეთი დიდი ხალისი,
რომ იცი, — უნდა იცოცხლო,
რომ უნდა მოკვდე, — არ იცი!

* * *

მარტოობის ტრამალებში
შენი სახე მომელანდა!..
დავჯექ წერად ამ ლექსის
და ქაღალდი მომელანდა!..

ნაღველია ეს მელანი,
ცრემლი არის, სისხლი არის!..
ჩამომშორდნენ მე ყველანი,
დღე დაღამდა ნისლიანი!..

ვიძინებ და — შენით სავსეს —
სულს სიზმარი მისურნელებს...
წლებმა თმები შემიცარცეს —
დანაპირებს მისრულებენ!

უტკბილეს და ნეტარ შენს ხმას
ვიჭერ ნატვრის ანტენებით
და, რადგანაც იგი მესმა,
გაჩნდა შუქი გათენების!..

* * *

სამი დღე-ღამე სიკვდილს ებრძოდა
სოფლის მშვენება — ოცი წლის ბიჭი!..
არ მიდიოდა ხალხი ეზოდან,
ბიჭის აღსასრულს ელოდა შიშით.

შეხედა სახლში შემოსულ ცისკარს,
თქვა ორი სიტყვა: „მგონი,
გავთავდი!..“
და მოკვდა!.. მაშინ სიკვდილმა მისმა
იქვე უსიტყვოდ მოიკლა თავი!..

* * *

ბავშვია ყაცობრიობის
მეგზური უკვდავებაში!
ბავშვით სუნთქავენ იები,
ვარდები სუნთქავენ ბავშვით!

* * *

ჩვენ ჰაერის ოკეანის ფსკერზე
ვცხოვრობთ,
ზემოთ ასასვლელ გზებს ვეძებთ!

* * *

დასრიალებენ მთებზე ნისლები —
ჩემთა სევდიან ლექსთა ასლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უმისამართო წერილებს ვწერდი,
ხან ქარს ვატანდი, ხან კიდევ — ნიავს!..

თურმე სუყველას იღებდა ღმერთი, —
ერთის პასუხიც არ მიმიღია!

* * *

სიკვდილით მეწვის სხეული! —
სიცოცხლე უნდა გავწირო
და ჩემში ჩაძინებული
ლექსები გადავარჩინო!..

ვიჩქარო, უნდა ვიჩქარო! —
გამოვაღვიძო ლექსები! —
ქაღალდზე გადავიტანო,
სანამდე დავიფერფლები!..

* * *

ჩემი ყოფნის ცნობად ხეზე
ხშირად ჯდება ერთი ჩიტი:

ცხოვრებისკენ მომახედებს
და მამხნევებს ღმერთის სიტყვით!

მკმულო საყვარელო!..

გამითავდება დღენი დათვლილი
და ჩემი თხოვნა არ გაგაოცებს:

დასამარხავი ერთი ადგილი
ამინთე შენს თბილ სასაფლაოზე!

* * *

დამავიწყდა, ჩამეწერა
ლექსის ერთი სტრიქონი...

და ფიქრებში დამეკარგა...
ნუთუ, ველარ ვიპოვი?

მეგობარ პოეტს

ბორგავ და მაღლდები ბორგვით,
მე კი მოუთმენლად ველი —

ერუანტელს, რომელსაც შენი
ახალი ლექსები მომგვრის!

* * *

მე ახლაც მტკივა,
ბავშვობაში რაც სოფლად ვნახე:
მკვდრისფერი ედოთ
გაზაფხულის ხეებს, ბალახებს...

გაუქმებული
სასაფლაო საყანედ დახნეს
და უპატრონო
საფლავები ცოცხლად დამარხეს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ჩემი ცხოვრების შავი ზღვა ღელავს!
რა ღელავს მისებრ, დამისახელეთ!

* * *

სხივი მზეზე მეტი აქვს,
მზეზე მეტი სიცხე აქვს —
პოეტს კალამეკლიანს,
პოეტს მელანსისხლიანს!

* * *

უცებ გამახსენდა
სულში მიმალული
პირველი ლექსის დაბეჭდვით
გამოწვეული სიხარული!

* * *

მე მტკივა გული,
ჩემს გულს ტკივა თავისი გული!..
ტკივილისაგან
ფრჩხილიც არ მაქვს თავისუფალი!..

* * *

თ. ც. ვ. — მიწვავს ფიქრებს
ამ სამი ასოს კოცონი!
„თუკი ცოცხალი ვიქენ...“ —
წერდა ყოველდღე ტოლსტოი!

* * *

ორ საქართველოს —
ორ დაჭრილ არწივს —
ჰგავს ორი წიგნი
ოთარ ჭილაძის!

წინამორბედ პოეტებს

ნუ მსაყვედურობთ, ნუ მემდურებით,
მტრებს რომ თქვენსავით თავს ვერ
ვესხმები:
მკბენენ მამულის უბედურებით
გაცოფებული თქვენი ლექსები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

რეზა მიქელაძის ნაამბობი

1

— გვარი?
— მიქელაძე.
— სახელი?
— რეზა.
— ფერეიდანი — დაბადების ადგილი.
— მიწა?
— სპარსული,
სპარსული ეზო.
— ეროვნება?
— ქართველი,
ქართველი ნამდვილი.
— ენით?
— ქართველი,
ქართველი — გულით,
ქართველი მისხის-მისხით,
სამასწლიანი დარდით და წყლულით,
ნაღდი ქართული სისხლით.
— ანკეტობანას ვთამაშობდი
თანატოლებთან
და ჩემს ანკეტას ვავსებდი ასე,
საქართველოზე მწარე ფიქრი არა
მტოვებდა
და ბევრჯერ ცრემლი შემაცივდა
ცრემლიან თვალზე.

— აქედან საქართველომდის
შორია, ძლიერ შორია.
შორია, ძლიერ შორია,
თვალ-მარგალიტი, ბროლია,
ჩახჩახებს დედა-თბილისი,
სიმაღლით ცათა სწორია.
ჩვენს ფიქრებს გურჯისტანისკენ
ერთ წუთში გადუქროლია,
და-ძმებო, თქვენსკენ ვისწრაფვით,
სხვა ნატვრა არა გვქონია.
აქედან და თქვენამდის
ვარდი გვასხია ყელამდის,
სამას წლის ბოროტებასთან
სიკეთის ძალა ვერ გადის...
რომ ვინმე გამოგვიშვებდეს,
სულ ცეკვით მოვალთ თქვენამდის.
სვავი გულს ისევ გვიკორტნის,
თავს დაგვტრიალებს ქორია,
ვერ მოვიშორეთ ვარამი,
სევდა ვერ ჩაგვიქოლია.
აქედან გურჯისტანამდის
შორია, ძლიერ შორია.
გვქონია დიდი სამშობლო,
იქ ბევრი და-ძმა გვყოლია...
ფერეიდანში ვმღეროდით,
ოცნებამ აგვიყოლია.

2

ფერეიდანში ვმღეროდით,
ოცნებამ აგვიყოლია:

3

ფერეიდანს დაფრინავდა ჩიტი ერთი,
ღმერთმა ჩვენთვის გააჩინა ნაღდად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მერცხალს,
ამშვენებდა მკერდი თეთრი,
მესკიაზე ცოტა დიდი ჩანდა.
გაჩნდებოდა როგორც ნატვრა,
ლხენა ჩვენი,
მთიდან მთაზე,
ტყიდან ტყეზე გადმოსული,
წინაპართა სულს ეძახდა პაპაჩემი,
იქნებ მართლა წინაპართა იყო სული?
ბალღობიდან ხსოვნად ჩამრჩა
სიზმარივით,
გვახარებდა,
ყურს ვუგდებდით გულანთებით,
ჭიკჭიკებდა,
დაგვძახოდა დღესცისმარე:
— ნუ თათრდებით!
დაგვწიოდა მგლოვიარე დედასავით:
— ნუ თათრდებით!
— ნუ თათრდებით!
ახლა სად ხარ, ოქრო ჩიტო,
ფრინავ საით?

4

მოვდიოდი გულზე სხივებანაცერი
და ვფიქრობდი სამას წლობით
ნაწამები:
— ქართულ მიწას სიხარულის მოვრწყავ
ცრემლით
და იმ მორწყულ მიწას დავგვი
წამწამებით.
მოვედი და...
ვერ ვიტირე,
ცრემლი დაშრა,
ერთი ხანი გონს ვერ მოველ,
ვიდექ მუნჯად,
ცივგომბორზე ნისლი ჩანდა დედის
თავშლად,
ხელთ მეჭირა ქართული მზე ერთი
ბღუჯა.

5

მარტყოფი ფერეიდანის
მარტყოფს ქართლისას მოჰგავს:
არც მინდვრით,
არცა მოედნით,
არც ნარგავებით მოჰგავს;
არ მოჰგავს მთებით მაღალით,
ქედს მიბჯენილი ქედიდ,
არცა ჯეჯილის ღაღანით,
არც მოღუღუნე მტრედით.
არ მოჰგავს ნისლით,
არც ღრუბლით,
არც მოლის მწვანე ნოხით,
მოჰგავს ქართველთა საუბრით,
ქართველთა მიხვრა-მოხვრით.

6

ჩემო ძენო,
ძეთა ძენო,
ძეთა ძენის ძენო...
არასოდეს დააძველოთ
ხსოვნის სადღეგრძელო
იმ წინაპრის,
ვინაც ღმერთთან
დადო სანაძლეო:
ფერეიდნის ხრიოკებშიც
ჭირს და ნაღველს ვძლეო,
დრო მოვა და გურჯისტანში
კვლავ დაგვხედავს მზეო.
...არასოდეს დააძველოთ
მისი სადღეგრძელო:
ჩემო ძენო,
ძეთა ძენო,
ძეთა ძენის ძენო...

7

ფერეიდნელმა ონიკაშვილმა
ფერეიდანი დატოვა ბალღმა,
ცხოვრება ზომა თავის არშინით,
იხეტიალა აღმა და დაღმა.
სპარსული ქუდი ეხურა თავზე.
სპარსულად ბჭობდა,
წერდა სპარსულად,
როს ჩაესიძა ერთ მდიდარ სპარსელს,
იყოლა შვილი სპარსელ ასულად.
სპარსეთისათვის ოფლი სდენია,
სპარსეთს შესწირა ძალაც და გონიც,
ქართული სიტყვა არა სმენია,
რომ მოესმინა,
არც სურდა მგონი...
და როს კვდებოდა,
სულს ლევდა კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი მოხდა მართლაც ართქმული,
ალაპარაკდა ქართული განცდით,
მკვდარ დედას უხმო სიტყვით
ქართულით.

მაშინ ვთქვი:
— ენავ, გიწამეთ ღმერთად,
ჩვენი სულის და გულის ნაწილო,
სიკვდილი მაინც მოგვიყვანს შენთან,
თუნდ სიცოცხლეში ურცხვად
გაგწიროთ.

8

სრული სიმართლეა,
არ ვამბობ არაკადა:
როდესაც კეცში პურს ბებია
ჩააკრავდა,
ხაზს ჩამოუსვამდა თითით,
მერე გადაკვეთდა იმ ხაზს
და ალამაზებდა დიდხანს.
რას შვრები-მეთქი, ვკითხე,
წესია ასეთიო, მითხრა.
თურმე რა იცოდა ბებიამ:
ქრისტეს შეხმიანებია
წინაპართ ძველი წესით,
ჯვრიანი პურის ხემსით.
ან მე რა ვიცოდი მაშინ,
ვიყავი თითისტოლა ბავშვი.

9

შორეული წინაპრების
გახსენებაც ნაღვლით მავსებს:
ედემ-ბაღის ბინადრები
მოხვდნენ ჯოჯოხეთის გზაზე.
ქვაც დნებოდა მათი ცოდვით,
ქვა მთის ხევში ჩაკარგული,
სადაურნი სად იწვოდნენ,
სად მიჰყავდათ სადაურნი!..
სად დაადეს ბორკილები,
სად დანებდნენ ყიზილბაშებს,
სად იტირეს მოკივლებით,
იგოდეს და იგანგაშეს.
სადაურნი სად ატარეს,
სად მიჰყავდათ საიდანა,
გულში ერთად გაუტარეს
ალესილი ასი დანა.
სად ეხეტნენ,
სად იარეს,
აყრილებმა ქართლიდანა,
ზოგს მზე კლავდა ნაიარევს,
ზოგი ზვავმა დაიტანა.
ზოგი ჯავრით ხრავდა მიწას,
მტრის მახვილი მოხვდა რამდენს?!
მათი ძვლებით მოიკირწყლა
გზა ქართლიდან სპარსეთამდე.
საქართველო დარჩათ ნატვრად,
რა დედული, რა მამული!..
სადაურნი დადნენ სადა,
სად გათავდნენ სადაურნი!..
თვითეული მათი წუთი
ბნელ სიკვდილთან ჭიდილია,
ბალღი მათი დარდით ვწუხდი,
მათი ცრემლით მიტირია.
მწარედ მტკივა სულში დღესაც
სევდა მათი დამდნარ გულის,
სად ითხრიდნენ სამარესა,
სად დამიწდნენ სადაურნი!..

10

გვქონდა მჭადი,
პურიც გვქონდა,
თავი გარჯით გაგვქონდა,
საქართველო გვშიოდა,
საქართველო არ გვქონდა.
გვალვა იყო, ქროდა ქარი,
ან თუ ქარი არ ქროდა,
წყალი გვქონდა,
გვქონდა წყალი,
ხეობიდან აგვქონდა,
საქართველო გვწყუროდა,
საქართველო არ გვქონდა.
აღარა ვარ დღეს მშიერი,
აღარა ვარ მწყურვალი,
ნეტა, ჩემზე ბედნიერი
ქვეყნად ვინმე თუ არი?

11

ფერეიდანის მარტყოფო,
გიხმობს მარტყოფი ქართვლის,
თავის სიხარულს გაგიყოფს,
ძმად და მეგობრად ჩაგთვლის.
აქ მზეა მუდამ საყოფი,
ქარიც საამოდ დაქრის;

ფერეიდანის მარტყოფო,
გნატრობს მარტყოფი ქართვლის.
ცას სცვივა ოქროს ნაყოფი,
ოქროს ოქროზე გვათვლის;
ფერეიდანის მარტყოფო,
გლოცავს მარტყოფი ქართვლის.
შე მარტო მყოფო
მარტყოფო,
გდარდობს მარტყოფი ქართვლის.
ღმერთმა მშვიდობით გამყოფოს,
შუქი დაგადგეს ნათლის.

12

სამი შვილით ჩამოვედი,
აქ მეოთხე შემეძინა,
მეოთხე რომ შემეძინა,
სიხარულით არ მეძინა.
გული ღელვას გადაურჩა
და სიხარულს გადაურჩა,
მთელი ღამე გავათენე
ხეტიალით ქუჩა-ქუჩა.
მშობელ ცისქვეშ კვირტი გაჩნდა
და სიცოცხლე მარადისობს,
შინ რომ მიველ, ჩვილს ანკეტა
შევუდგინე სახალისოდ:
— გვარი?
— მიქელაძე.
— სახელი?
— გურამი.
— თბილისი — დაბადების ადგილი.
— მიწა?
— ქართული,
ქართული ჭურ-მარნით,
— ეროვნება,
— ქართველი,
ქართველი ნამდვილი.
— ენით?
— ქართველი,
ქართველი ჯომარდი,
ქართველი მისხის-მისხით,
მომავლით დიდით,
დიდი მყოფადით,
ნაღდი ქართული სისხლით.
...დღეს გურამი ქართულ ზეცას
ლექსებს უმღერს ერთი ციდა,
გომბორის მთას ფეხს რომ შესდგამს,
რეკვა ესმის ხოლმე ციდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტალი დარსანია

საღლაც იქ, შორს...

მოთხრობა

I

თითქმის მთელი დღის ხეტიალის შემდეგ, არც თუ ისე კომფორტაბელურ, მაგრამ სადა სასტუმრო „ურალში“ მოეწყვნენ. მერაბს სპორტული, შალის პიჟამო ეცვა, ხის გაუშლელ საწოლზე წამოწოლილიყო და თუმცა ცოტა არ იყოს გადაღლილი ჩანდა, მაინც მთელის გულისხმიერებით აგრძელებდა კითხვას. გავიდა ხანი და როცა უფრო მოეძალა დაღლილობა, დაკეცა წიგნი, ღამის სანათთან ფრთხილად დადო და უთავბოლო ფიქრის შემდეგ, თითქოს საკუთარ თავს მიმართავსო, დაბალი ხმით იკითხა, რომელი საათიაო.

— რვა. — უპასუხეს სხვათაშორის, თითქმის ნახევრად უგულოდ და ისე, რომ ჩანდა არც კი აინტერესებდათ დღის რომელი მონაკვეთი იყო. დადუმდა. ისევ მოჰყვა, იმ დღეს ვინ იცის მერამდენედ, თავის გულისგამაწვრილებელ ფიქრებს და ის კაცი ედგა თვალწინ, სისხამ დილით თოფმომარჯვებული, ძალიან მშვიდად ძაღლს რომ მიჰყვებოდა კვალდაკვალ. გაახსენდებოდა თუ არა ძლივს მიმავალი ძაღლი, მის უკან ორფეხზე შემდგარ სიკვდილს რომ გაურბოდა, გუნება უფუჭდებოდა. ძაღლის ბედიც რომ არ იცოდა? იქნებ სულაც ის სჯობდა, ხელი არ შეეშალა და მალევე მოეღოთ ბოლო...

წამოდგა. მივიდა ფანჯარასთან; სქელი ფარდა გადასწია და ქუჩაში გაიხედა. გვარიანად ჩამოღამებულიყო. ლამპიონებსა და პროექტორებს ქალაქი ერთიანად გაენათებინათ და ღამის რეკლამებიც სხვადასხვა ფერებით იუწყებოდნენ სხვადასხვა ამბებს.

გიგის ენის წვერზე ადგა სათქმელი, მაგრამ ვერაფრით გადაეწყვიტა საიდან დაეწყო.

— მერაბ... — ის იყო დააპირა კიდეც სიტყვის ამოღება, ვერ გააგრძელა. მერაბი ზურგშექცევით იდგა; მაინც იგრძნო მის ხმაში რაღაც დაფარული, უცნაური რამ. არ ჩქარობდა, რადგან სურდა რაც შეიძლება მეტ ხანს გაგრძელებულიყო ეს უჩვეულო, იქნებ სულაც სიახლის მომტანი წამი და მასში ასე უკითხავად დაბუდებული მოწყენილობა, უცხო, დიდ ქალაქებში ყოფნისას ძალაუნებურად რომ ეტანება ხოლმე ადამიანს, როგორმე ცოტა ხნით მაინც უკუეგდო. ვინ იცის, როგორი გზები მოიარეს მისმა ფიქრებმა და მოულოდნელად ერთ გზაჯვარედინზე შეკრებილნი და თითქმის ერთ არსებად ქცეულნი, ცნობიერების სიღრმეში ვის

სახელს ან რომელ შეხვედრას ახმიანებდნენ...

— რა იყო... — (ნელა შემობრუნდა, სულ ნელა), ნაგვიანევად და თან ძალდატანებითაც კი იკითხა ისე, თითქოს სურდა საკუთარ თავსაც არ განდობოდა, რომ გუმანით მშვენივრადაც მიხვდა, რა უნდა ეთქვა ახლა გიგის. წამით უცნაურმა, დიდი ხნის წინ განცდილმა სითბომ დაუარა.

— გუშინ, — თვალები აახამხამა გიგამ, — თბილისიდან რომ მოვდიოდით, წერილი მოგვიდა...

გაოცებული ღიმილით შეხედა გიგის. წერილი? დიახაც, ელოდა მერაბი წერილს; დიდხანს ელოდა. შეიძლება თამამად ითქვას: მთელი ცხოვრება წერილის მოლოდინში იყო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი დღეებიც დაუდგებოდა, იმედი გადაეწურებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ერთგულად მოელოდა გაუცნობიერებლად და უნებლიედ აკვიატებული სურვილის ასრულებას. და აი, ახლა აქ, მოსკოვში ეუბნებიან, წერილი მოვიდა შენს სახელზეო...

— ვისგან? — თითქოს რაღაც დაუჯერებელი ხდებოდა.

— მარიმ გამოგიგზავნა... — თქვა გიგამ ოდნავ შესამჩნევი ღიმილით და ისე უბრალოდ, გეგონებოდათ მაინც იცის მაგ ბარათის ფასი და მნიშვნელობაო.

შეტრიალდა. ფანჯარასთან მივიდა. გამოღებული ორმაგი კარებიდან გარეთ გაიხედა. ლამაზად ბარდნიდა. ჩერნიშევსკის ქუჩაზე ხალხი მრავლად ირეოდა, დაჭროდნენ მანქანებიცა და მთელი ეს მოძრაობა გამოუცნობი გრძნობით აივსო. კარიდან და ღია სარკმლიდანაც სუფთა და სუსხიანი ჰაერი შემოდიოდა, რომელსაც ათას ნაწილაკებთან ერთად მისთვის კარგად ნაცნობი, ძალზე ახლობელი და სავსებით რეალური განწყობილება შემოჰქონდა. რაც ჯიქურ უპირისპირდებოდა იმ უთავბოლოდ გათენებულ, მოწყენილობით გასენილ მრავალ ღამეს, რომელთა უსასრულო რაოდენობა, ვინ იცის, როგორი მარტოობით იმუქრებოდა...

ფიქრებიდან ჩქარა გამოერკვა. გამოიცვალა ტანსაცმელი, პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა და თვალი შეავლო უკვე წასასვლელად გამზადებულ, კარებში მდგარ გიგის, თვალი შეავლო-მეთქი ვამბობ, თორემ გულისყური სულ სხვაგან ჰქონდა მიპყრობილი და ნათლად ხედავდა იმ პირველ დღეს, მარის რომ გადაეყარა... და იმ შეხვედრასაც, ახლა რომ ელოდა...

— საიდან იცი? — ჰკითხა მერაბმა, მაგრამ ეტყობოდა მაინცდამაინც არ აინტერესებდა გიგის პასუხი.

— ნანამ მაჩვენა... — წარმოსთქვა ისე, თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობსო.

ნანას გარდა ვინ მოიფიქრებდა ასეთ სისულელეს, — გაჰკრა წყენამ, მაგრამ მხოლოდ წუთით, და როცა ლიფტის კარები დაიხურა, უკვე გაღიმებულმა იკითხა:

— რად დამიმალეთ?

— გამაფრთხილეს არ უთხრაო, — ენადაბმულივით წამოილუღლუღა გიგამ.

ჩქარა ჩავიდნენ ვესტიბულში. ბარაღები მორიგეს ჩააბარეს. ბედად, ცარიელი ტაქსი სასტუმროს წინ იდგა და ჩასხდნენ კიდეც. „ჩერიომუშკებზე", უთხრა მერაბმა მძღოლს და შეაძაგძაგა. აჰა, ხომ ხედავ, ფიქრობდა იგი, მოუწერია, მაინც მოუწერია... რა თქმა უნდა, იმ წუთს არც უფიქრია იმაზე, თუ რას სწერდნენ, ამისთვის ვიღას ეცალა, მაგრამ რახან წერილი ნანამ გადაშალა, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავდა. გაახსენდა, როგორ არ უნდოდა ნანას მისი მოსკოვში გამგზავრება. მაგრამ, ნეტა მან რა იცის!

ფიქრები ერთმანეთს სწრაფად ენაცვლებოდნენ და იგი რატომღაც იმედით იყო ატაცებული. მძღოლმა მოულოდნელად, სწრაფად დაამუხრუჭა მანქანა და მერაბიც მყისვე მოწყდა ადგილს, მინას მიარტყა შუბლი.

— რას გააჩერე, — წამოიძახა ფიქრიდან გამორკვეულმა, და ვიდრე მძღოლი იტყოდა რაიმეს, თავადაც მი-

ხვდა რომ, შუქნიშანის წითელი თვალი ბოროტად ანთებულიყო. მძღოლმაც აუხსნა, ვერ გავასწარით წითელ შუქსო და სიცილით ისე შეიგინა, თითქოს ძალიან მშიერმა გემრიელი ლუკმა გადაყლაპაო. დადუმდნენ. დიდხანს გასტანა ამ ნახევარმა წუთმა. მოუთმენლობა ეუფლებოდა, თან რაღაც უცნაური ძალა უნებურად უკან ექაჩებოდა. მწვანე აინთო და თქვა წავიდეთო, მაგრამ გრძნობდა: მთლად ასე რომ არ იყო ყველაფერი. მაინც ითრგუნებოდა გონება, იმედი ნათელივით უვსებდა სულს და ახლა ერთი ხმა რომ აფრთხილებდა: ასე რატომ ჩქარობ, ცოტა დამშვიდდიო. იქვე, მეორე ხმა დაუყოვნებლივ პასუხობდა: წუთისოფელში სწორედ წუთები, წამები წყვეტენ ყველაფერსო.

მოსკოვის ამ გარეუბანს არ იცნობდნენ, მერაბი სულაც ერთხელ იყო ამ მხარეს ნამყოფი; ცხადია, ის ქუჩაც უცნობი იყო მისთვის, ახლა რომ სჭირდებოდა, მაგრამ მძღოლმა სახლი ადვილად მოაძებნინა. ბინა მეექვსე სართულზე აღმოჩნდა, ასე რომ, სულმოუთქმელად აირბინა კიბეები, მონახა ფურცელზე დაწერილი ბინის ნომერი და... სუნთქვაშეკრულმა მიაჭირა თითი ელექტროზარის ღილაკს...

კარი გაიღო: თმაჩეჩილი მამაკაცის თავი გაკვირვებული და ეჭვებით სავსე თვალებით მას მიაჩერდა.

— მარი მინდოდა, — არ დააყოვნა მერაბმა, მაგრამ ეს ორი სიტყვა კინაღამ ყელში გაეჩხირა.

— არ არის!

დამუნჯებული იდგა და რაღაცნაირი, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები არ ასვენებდა, სადღაც შორეთში მიაქანებდა. ირღვეოდა დროისა და სივრცის პროპორციები და ყოველივე ეს უკვე არარეალურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სხვათა შორის: წამისწამ იცვიფებოდა იქ, თბილისში დატოვებული, მარისთან გატარებული დღეები და მას აქ, ამ კარებთან ძალზე ეხამუშებოდა თუნდაც ხმის ამოღება, ლოდინი და ფიქრიც.

— როგორ, აქ არ ცხოვრობს? — ძლივს ახერხებდა რამდენიმე სიტყვის თქმას, მაგრამ გრძნობდა უკვე: ამ კაცისაგან სასიამოვნოს ვერაფერს მოისმენდა. იმედს კი, როგორც ყოველთვის, ახლაც არ ჰკარგავდა: ელოდა, როდის გააღებდნენ პირს და ორ სიტყვას გაიმეტებდნენ მისთვის. უთხრა რომ, ახლობელი იყო, თბილისიდან ჩამოსული. გაჭრა: ამის შემდეგ უფრო სანდოდ მიიჩნია თმებაჩეჩილმა კაცმა და კარი ნახევრამდე გაიღო. გასაგებად უთხრეს, რომ საერთოდ აქ ცხოვრობდა მარი, ოღონდ ახლა არ იყო შინ. ამხანაგთან თუ იქნებოდა წასული, ღამეც ალბათ მასთან დარჩებოდა.

დაფიქრდა, მაგრამ უაზროდ.

— წერილი დატოვეთ, — დაამატა თმებაჩეჩილმა კაცმა, — თუ გნებავთ, გადავცემ.

გაჩნდა რაღაც იმედის მსგავსი და მერაბი ფეხდაფეხ მიჰყვა მას სამზარეულოში. იქ ვიღაც ბიჭები, თითქოს საფიხვნოს თავზე შეკრებილანო, რაღაცის გამო ლაპარაკობდნენ. შეამჩნიეს თუ არა უცხო, მიხვდნენ საიდანაც იყო ჩამოსული და ჩაიღიმეს. მერაბი ვერ აზროვნებდა, უბრალოდ ქაღალდზე დაწერა სასტუმროს ტელეფონის ნომერი, ქართული ასოებით გაკვრით მიაწერა თავისი სახელი და ოთახიდან ცოტა გაბრუებული გამოვიდა. როცა მიიხურა კარი, შემობრუნდა, კიდევ ერთხელ შეხედა ყავისფერ კარებს (პირველი შეხედვისას გული რომ შეუღონა) და თითქოს ვიღაცა მისდევს უკანო, ჩქარა ჩაირბინა კიბეები, მანქანაში ჩაჯდა. სიგარეტს მოუკიდა, ფანჯარა ნახევრამდე ჩამოაღო და ბოლი ღრმად ჩაისუნთქა.

— ვერ ნახე? — ძლივს ამოიღო ხმა გიგიმ.

— ამხანაგთან ყოფილა. მითხრეს მალე მოვაო. — და უცებ ვერ გაიხსენა, მართლა ასე უთხრეს თუ თავისი სურვილი იყო ასეთი პასუხის მოსმენა და ის ჩარჩენოდა გულში.

მძღოლმა განაცხადა, თუ აქ მალო-

დინეთ, გეგმას ვერ შევასრულებო. ნახევარი საათის შემდეგ მანქანა გაუშვეს და წინ და უკან დადიოდნენ, გაგუდული ხმით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

— ის მანქანა მაინც არ გაგვეშვა, ჰა? — თქვა მერაბმა.

— არ მცალიაო, იქნებ მართლა არ ეცალა. — გაეპასუხა გიგი და იგრძნობოდა: მისთვის ახლაც სულ ერთი იყო: მანქანაში იქნებოდნენ მოყუჩებულები თუ ასე ივლიდნენ მუხლამდე თოვლით მოფენილ ქუჩაში.

— როგორ გგონია, მოვა?.. — ალბათ უფრო საკუთარ თავს ეკითხებოდა გაფითრებული მერაბი.

— რა ვიცი... — დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თქვა გიგიმ, ისე, თითქოს სწორედ მას მიანდეს ყველაზე რთული საქმის გადაჭრა და ყოყმანობს რა ვთქვაო.

— მომე რა სიგარეტი.

გიგიმ უხმოდ გაუწოდა, თან ასანთიც მიაყოლა.

— რომელი საათია? — არ ისვენებდა მერაბი, თავში უწრიალებდა რაღაც, ძალზე უცნაური და გაურკვეველი.

— თერთმეტს თხუთმეტი უკლია. — ისე თქვა გიგიმ, თითქოს სულ დიდი. ოც წუთზე მეტი არ ყოფილიყო გასული, რაც ქუჩაში იდგნენ.

— კანკალებ, თუ გინდა წავიდეთ! — თქვა მერაბმა.

— არა, — დინჯად მიუგო გიგიმ და ოდნავ გაეღიმა, — მოვიცადოთ, იქნებ მოვიდეს...

მათ ვიღაც გოგონები და ბიჭები სიმღერით, სტვენითა და ყვირილით მიუახლოვდნენ. ხმამაღლა იცინოდნენ და ემჩნეოდათ: გადასარევ გუნებაზე იყვნენ ყველანი, ისეთზე რომ, სულ მცირე მიზეზიც კი ეყოფოდათ, ვინმე კარგად რომ შეელამაზებინათ.

გოგონას თავშალის ერთი ბოლო მუხლამდე სწვდებოდა, საკმაოდ გრძელი, რძისფერი თმები უკან გადაეშალა და მომღიმარი სახით მიუახლოვდა გიგის და მერაბს. თოვდა. დიდი ფიფქები სინათლეზე ბზინავდნენ და მძიმედ ეშვებოდნენ ძირს.

— სანაძლეოს ვდებ, ბიჭებო: ამ ორთაგან რომელიღაც შევყაბულია! — შეხეთ — უცხო მერცხლები — ორიან! — მერაბისკენ გაიშვირა სალოკი თითი, სულ ახლოს მივიდა გაწვდილი ხელით და გააგრძელა: — ხომ ასეა? — ბავშვური გულუბრყვილობით, მაგრამ ამავე დროს მოზეიმე ქალის იერით წარმოსთქვა უკანასკნელი ფრაზა. დანარჩენებიც შეჩერდნენ, მშვიდობიანი მზერით უცქერდნენ მერაბს და გაჩუმებულნი პასუხს ელოდნენ. ნეტა ვინ რჯიდა აქ რომ მოდიოდა; ახლა მარის წუთით თვალი რომ მოეკრა დაბნეული მერაბისათვის, ცხადია, სიცილისაგან გაიგუდებოდა. ხალხი რომ არა, იცოცხლეთ, მასაც გაეცინებოდა საკუთარ თავზე. მაგრამ რა დროს ეს იყო: წკიპზე შემართული ნასვამი ბიჭები ღმერთმა იცის ვის და რას ეძებდნენ...

მერაბი სდუმდა. გიგი მით უფრო, მაგრამ ორივენი კარგად გრძნობდნენ, რაღაცა რომ უნდა ეთქვა რომელიმეს.

— ნაცნობს ველოდებით... — ამოღერღა როგორც იქნა ბოლოს მერაბმა და როცა სათითაოდ შეათვალიერა ყველანი, ისევ მოსაუბრეს მიუბრუნდა.

— რას იტყვით ბიჭებო, ხომ ტყუის?! — წამოიძახა ქერათმიანმა გოგონამ. ვიღაცამ სიმღერა წამოიწყო, სხვები აყვნენ და ერთ ხმაში ამღერებულებმა სტვენითა და ყვირილით გააგრძელეს თავიანთი გზა. გათამამებული და ენამჭრელი გოგონა ჩაციებით აკვირდებოდა მერაბს.

— თუ ქუჩაში ხართ დარჩენილები, სახლში წაგიყვანთ. დედაჩემს აინტერესებს ქართველები... მოდიხართ?

გიგი სადღაც ქვევით, თოვლში იყურებოდა, ზედიზედ აფახულებდა თვალებს და იმედი ჰქონდა, მერაბი რამეს იტყვისო.

— დიდი მადლობა, — უთხრა მერაბმა ოდნავი ღიმილით, — ჩვენ ხალხს ველოდებით!

— ელოდეთ თქვენს ნაცნობს ამ ყინვაში! — გამომწვევად, მაგრამ უფრო თავისთვის გადაიკისკისა გოგონამ და

თითქოს ვიღაცას ხელიდან უსხლტებაო, მეგობრებს დაედევნა.

უკვე კარგა შორ მანძილზე იყვნენ წასულნი, მაგრამ მერაბმა მაინც შეამჩნია მათ შორის რაღაც ჩოჩქოლი, შეხლა-შემოხლა რომ დაიწყო და სულ ცოტა ხანში, უცაბედად, თითქოს ვიღაცამ ნიშანი მისცაო, ჩხუბიც გაჩაღდა. ბიჭები ერთმანეთს მოულოდნელად დაერივნენ: ატყდა ნამდვილი წეწვა და გლეჯა. მათკენ გაეშურა, მიუახლოვდა, იფიქრა გავაშველებო, მაგრამ ხედავდა: მოჩხუბრები ბევრნი იყვნენ, იქვე, ავტობუსის გაჩერებასთან მდგართაგან კი არც ერთს არ აინტერესებდა ცხვირ-პირდასისხლიანებულთა ბედი. ქერათმიანმა გოგონამ მერაბი და მის უკან მომავალი გიგი შენიშნა, იმასაც მიხვდა, მერაბს გაკვირვებისაგან პირი რომ დაეღო. მერე გრძელი თავშალი მხრებზე მოხდენილად გაისწორა, გაიცინა და, ანაზდად მოჩხუბრებს შეერია; მარცხნივ ერთს დაუცაცხანა, წაუთაქა კიდეც, მარჯვნივ—მეორეს. და ჩხუბი ისევე მალე დამთავრდა, როგორც დაიწყო.

მერაბი და გიგი ერთ ადგილზე მონუსხულივით იდგნენ, ჯიქურ უყურებდნენ ტანსაცმელშემოფხრეწილ და დალეწილ ბიჭებს, რომლებმაც ერთმანეთს უდარდელად, მეგობრულად გადახვიეს მკლავები და ხმამაღლა ისევ ის სიმღერა წამოიწყეს, რომლითაც მათ შემოეყარნენ.

ბოლოს ყველანი თვალს მიეფარნენ და სიმღერაც აღარ ისმოდა. ისევ მარტო დარჩნენ, ახლა უკვე ერთმანეთს შესცქეროდნენ გაკვირვებულები და რატომღაც უხერხულად ეღიმებოდათ.

შემდეგ ის იყო, ორივე შეციებული და დაღლილი მეტროში ჩამავალ გვირაბში ჩადიოდა, რომ... წამით გაელვებულ ნაცნობ სილუეტს მოჰკრა თვალი. შედგა. თუმცა ქალიშვილს სახე შებრუნებული ჰქონდა, წამსვე იცნო და თავისდაუნებურად, ხმამაღლა წამოიძახა მისი სახელი. საუბარში გართული ქალიშვილი უდარდელად, ტაატით მიდიოდა. თავისუფალ მოძრაობაზე ეტყობოდა: კარგ ხასიათზე იყო. ძახილზე შეჩერდა, ნელა შემობრუნდა და მერაბმა ახლა გარკვევით შეხედა მის სახეს. გაუხარდა რომ არ მოტყუვდა: მოსკოვის შორეულ გარეუბანში, ამ თოვლში, ამ ღამეში თავის ძველ ნაცნობს წააწყდა. ქალიშვილმაც მყისვე იცნო, გაოცებული მისკენ გამოქანდა, მაგრად მოხვია მკლავები და ხმამაღლა წამოიძახა: — მერაბ! ჰკოცნიდა, თან გაუთავებლად, დახარბებულად იმეორებდა მერაბის სახელს. გიგი გაღიმებული უცქერდა ამ მართლაცდა მოულოდნელ სანახაობას და სიხარულისაგან ძლივს იკავებდა სიცილს. ნათელი იყო: დიდი ხნის მეგობრები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მერაბმა, როგორც იქნა, ჩამოაშვებინა მკლავები და ხუმრობით აგრძნობინა კიდეც, ცოტა დამშვიდდიო. რამდენიმე გამვლელი შეჩერდა. გაოცებულნი უცქერდნენ და უცხონიც გრძნობდნენ, აქ რაღაც სხვა ამბავი ხდებოდა.

— მერაბ, აქ საიდან? — ოდნავ დამშვიდდა, მაგრამ ხელი მკლავზე შეახო, თითქოს თავს ირწმუნებდა, რომ ეს სწორედ მერაბი იყო და სხვა არავინ. დააკვირდა კარგად და მხოლოდ ახლა მიხვდა: ოდნავ, სულ ოდნავ ნასვამი იყო ქალიშვილი და ამის გამო უფრო აღგზნებული ჩანდა.

— თანამშრომლებთან ვარ, წამო გაგაცნო!

დაჰყვა მის ნებას და ისინი იქვე, შორიახლო შეჩერებულ ხალხს მიუახლოვდნენ.

— ეს ჩემი შეფია, მერაბ! ეს კი — ჩემი თბილისელი მეგობარი, თბილისელთაგან ჩემი ყველაზე კარგი მეგობარი!... — მერე მერაბს მიუბრუნდა ისევ: ჩვენ ბანკეტზე ვიყავით, ცოტა კარგ ხასიათზე ვართ! ამ გოგონებთან ერთად შინ მივდიოდი, — ტუჩები სულ ახლოს მიუტანა ყურთან და საიდუმლოდ წასჩურჩულა: ახლა კი არსად არ წავალ, — შენთან მინდა! მერაბი ცოტა დაიბნა, ქალიშვილი კი პირიქით — ცოცხლად მიუბრუნდა გოგონებს, ღიმილით მოუბოდიშა, უჩემოდ წადითო.

— გიგი, გაიცანი: გალინა!

ოდნავ სუსხავდა. ქალიშვილი უყურებდა მერაბს და სიხარულისაგან ტოკავდა. დაბნეული გიგი ტროტუარიდან გზაზე გადავიდა მანქანის გასაჩერებლად და უცებ ცარიელი ტაქსიც გამოჩნდა. მერაბი სწრაფად მიუბრუნდა გალინას და ბოდიში მოუხადა:

— თუ გინდა სახლამდე მიგიყვანთ ხვალ კი გნახავ.

უთხრა სასტუმრო, ოთახის ნომერი და კიდევ ერთხელ გაუმეორა:

— დამირეკე და შევხვდეთ.

გალინას ამის თაობაზე თავისი მყარი გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და წამოიძახა: — შენთან მოვდივარ! — და მანქანისაკენ გაეშურა. მერაბი მიხვდა, გალინას ვერაფერს ვერ შეასმენდა.

— შენთან მინდა! — თქვა გულწრფელად გაღიმებულმა ქალიშვილმა და თვალები აუწყლიანდა. მერე უკანა კარი ხმაურით გამოაღო და გახარებული მანქანაში ჩაჯდა. გიგი თავისთვის იდგა და იღიმებოდა. ეღიმებოდა მერაბსაც. ბოლოს ჩასხდნენ: გიგი წინ, მერაბი უკან. გალინამ ჯერ პალტო გაისწორა, მერე კაბა, მოკალათდა კარგად და, ბევრი დრო არ დაუკარგავს, მაშინვე აეღურტულდა: — შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიხარდა შენი დანახვა...

მძღოლი იყურებოდა წინ, ხმას არ იღებდა და თითქმის თავისუფალ გზატკეცილზე დიდი სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას. გიგიმ მიატოვა თვალების ფახული და როგორც იქნა ხმა ამოიღო, მძღოლს გამოელაპარაკა. მერაბი უყურებდა გვერდით მჯდარ თავშალგადახსნილ ქალიშვილს, მის მოელვარე თვალებს, ოდნავ ამობურცულ ბაგეებს, უსმენდა მის გაუთავებელ ტიტინს — (თუ რა საოცრება იყო დღევანდელი დღე, და რომ გალინა ამას დილიდანვე გრძნობდა, და რომ მართლაც არსებობს ქვეყნად რაღაც, ბოლოს და ბოლოს, ამდენი ლოდინისა და ნატვრის შემდეგ ისინი ისევ რომ შეხვდნენ ერთმანეთს...) და არც კი იცოდა რა ეფიქრა.

გალინამ სიგარეტი ამოიღო, მოაკიდებინა, კმაყოფილებით, ღრმად ჩაისუნთქა ბოლი და ისევ გემრიელად ალაპარაკდა. მერაბი, თითქოს პირველად ხედავსო, გაოცებული უცქეროდა მის ეგვიპტურ პროფილს, კულულებს, ირაოს რომ ხაზავდნენ მის თვალწინ სივრცეში და მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული, მზად იყო დაეჯერებინა, რომ მისი დანახვა მართლაც გაუხარდა ვიღაცას...

II

ზარმა გამოაღვიძა. რატომღაც თბილისში, სახლში ეგონა თავი. თვალები გაახილა თუ არა, მიხვდა სადაც იყო და მყისვე გაუქრა სიზმრიდან გამოყოლილი განწყობილება. ისევ განმეორდა ზარის ხმა — (ამჯერად უფრო მკვეთრი): მისწვდა, იქვე, მაგიდაზე დადებულ ტელეფონის ყურმილს, მიმოიხედა, გაოცებულმა მარტო რომ აღმოჩნდა ოთახში და მერე, ნელა, მკაფიო ხმით იკითხა:

— ალო?!

— გამარჯობა, მერაბ! — მოესმა ნაცნობი, ძალიან ნაცნობი ხმა...

— მარი, შენა ხარ?! — მოულოდნელმა განცდამ ტალღასავით გადაუარა.

— ჰო! როგორა ხარ?! — ჩვეული ინტერესითი იკითხა მარიმ და მერაბს მისი სუნთქვაც კი მოესმა.

— ვარ-რა! შენ, შენ როგორა ხარ?

— მეც არა მიშავს. ცოტა გავხდი. გამოცდები ვერ ჩავაბარე. ორი თვე ავად ვიყავი, ვიწექი...

— მერე და, რად არ მომწერე?

მარიმ კითხვას აარიდა თავი.

— წუხელ ამხანაგთან ვიყავი, გვიან დავბრუნდი. შენი ტელეფონის ნომერი გადმომცა სახლის პატრონმა. ძლივს გავარჩიე შენი სახელი... რატომ სდუმხარ?

— ჰო, გისმენ.

— სად შევხვდეთ? იცი რა, სასტუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში ვერ მოვალ, აქეთ გამოდი, ცენტ-
რში. რას გაჩუმებულხარ?

— შევხვდეთ? — დაიბნა მერაბი.

— ჰო! ჩვენ ხომ თითქმის ერთი წე-
ლია არ გვინახავს ერთმანეთი. იქნებ
ჩემი ნახვა არც გინდა?!

— რას ამბობ! სად გამოვიდე?

— ზუსტად ერთ საათში სასტუმრო
„ნაციონალთან" გელოდები, მთავარ
შესასვლელთან. მეორე სართულ-
ზე ავიდეთ, ჩვენს კაფეში. გახსოვს?
(თუმცა მაგისი დავიწყება შეიძლება?)
— პასუხს არც დალოდებია ისე გააგრ-
ძელა: — ახლა რას შვრები?

— შენმა ზარმა გამომაღვიძა. — ნერ-
ვიულად, დააყოვნა და ისე თქვა.

— ო, შე ძილისგუდავ! ამდენი ძილი
გამიგია?!

**მერაბს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგ-
რამ გადაიფიქრა. უფრო სწორად, სათ-
ქმელს ვერ მოაბა თავი.**

— ახლა **თერთმეტია**, ზუსტად ერთ
საათში იქ გელოდები. აბა ჯერჯერო-
ბით... — ისმოდა მარის მხიარული ხმა.
— ერთი სული მაქვს როდის გნახავ...

— თორმეტზე მოვალ. — წაილუ-
ლლუღა მერაბმა და როცა გაიაზრა რომ.
დღეს, ერთ საათში მარის შეხვდებოდა,
უცხო, მძიმე გრძნობა დაეუფლა და ვე-
რაფრით მიხვედრილიყო საერთოდ რა
ხდებოდა მის გარშემო.

ცა ტყვიისფერი ბურუსით იყო და-
ფარული და არც კი მოჩანდა; სველი
ფიფქებით თოვდა. ყინავდა. ქროდა ქა-
რიც და მერაბი ქუჩაში ვერ გამოდიო-
და, სასტუმროს ჰოლში, მჭვირვალ მი-
ნასთან იდგა და ელოდებოდა მანქანის
გამოჩენას. კარგა ხანს მოუხდა ლოდინი.
ბევრს ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით
მოება თავი ამ შეხვედრისათვის. ისე
მივიდა დათქმულ ადგილამდე, ვერც კი
შეამჩნია. როცა მანქანა ზედ სასტუმ-
როსთან გაჩერდა, ჩამოვიდა, ცოტა ხანს
იდგა კარებთან, მერე ქუდი მოიხადა,
მძიმედ ჩამოიფერთხა პალტოზე მიმდ-
ნარი თოვლის წვეთები და სასტუმროს
უზარმაზარ სვეტებიან დარბაზში შევი-
და. მრავალი უცხოელი ირეოდა: ინდო-
ელები თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელ-
ში იყვნენ გამოწყობილები; ისმოდა ინ-
გლისური, ფრანგული; ზანგებიც ბლო-
მად იყვნენ და საერთოდ, რომელი რა-
სის წარმომადგენელი გინდათ, იქ რომ
არ ყოფილიყო. მერაბი ყველას თვალს
ადევნებდა, მაგრამ მაინც თავის ფიქ-
რებში იყო წასული. ერთ მხარეს სუვე-
ნირების ღია კიოსკები ჩამწკრივებულ-
იყო, მეორე მხარეს მოსაცდელი გრძე-
ლი სკამები და მაგიდები ელაგა. იყიდა
სიგარეტი, ჩამოჯდა სკამზე, გააბოლა
და თავის თავს შეატყო თანდათან ნერ-
ვიულობამ რომ აიტანა. გავიდა ქუჩაში
და გაახსენდა: სწორედ აქ, ამ სასტუმ-
როსთან ორი წლის წინ შეხვდა მარის.
მაშინ ის თბილისიდან მერაბსა და ლე-
ვანზე ადრე ჩამოვიდა. კარგად ახსოვ-
და: აპრილის დილა იყო — მზიანი,
თბილი. იდგა და მოუთმენლად გასცქე-
როდა ხალხმრავალ ქუჩას. შორიდანვე
დაინახა მარი: თავისუფლად მოდიოდა
და უღიმოდა. ისე მოისწრაფოდა, თით-
ქოს ეშინია ვინმემ არ მიმასწროსო.
იცინოდა, ველარ მალავდა სიხარულს.
ოქროსფერ სხივებს ერთთავად შეესუ-
დრათ მისი ნატიფი, ნათელი სახე. შე-
მოეხვია, სამჯერ აკოცა მერაბს და —
შეათვალიერა. ისინი შუა ქუჩაში იდგ-
ნენ, გამვლელებს უშლიდნენ ხელს და
მარიმ მკლავში გაუყარა ხელი, ოდნავ
დარცხვენილმა გვერდით გაიხმო და
თქვა:

— მერაბ, არ გამიწყრე, რა?!

როგორც ყოველთვის, ახლაც ვერა-
ფერს მიხვდა.

— რატომ უნდა გაგიწყრე... — ოდ-
ნავ დაძაბულად, ღიმილით წარმოთქვა.

— ჩემი კაბები ყველა დავამოკლე
და... ახლა ასეთი მოდაა!

გაეცინა, შეხედა მის კაბას: მუხლის-
თავები მოუჩანდა; სწორი, ჩამოსხმული
ფეხები ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდ-
ნენ. ვარდისფრად დაწინწკლული მოკ-
ლემკლავებიანი აბრეშუმის ბლუზა ეცვ-
ა; ჩამოწლილი წაბლისფერი თმები
მზის მბრწყინავ სხივებს ირეკლავდნენ
და სავსე, თეთრი მკლავები მერაბისა-

კენ მოიწევდნენ ძალაუნებურად. ჩამოშლილი თმები ზევით აუწია და უთხრა:

— ასე უფრო გიხდება!

მარიმ გაიცინა. მერაბმა მხრებზე მოხვია ხელი, შევიდნენ დარბაზში და ნელ-ნელა აუყვნენ კიბეს. მერაბს უნდოდა ეკოცნა, მკლავზე წაავლო ხელი; მარი დაუსხლტა: გაინთავისუფლა თავი და მერე ისევ მიეჭრა, ისევ აკოცა.

— იცი, აქ ასეთი რამ მიღებულია, ოღონდ აწი მაინც დავწყნარდეთ, ჰო?!

იმ სასტუმროში მეორე სართულზე პატარა, მყუდრო კაფეა მოწყობილი; იქ შევიდნენ. ხალხი ცოტა იყო და მარი მაგიდაზე ჩამოდებულ მერაბის ხელს წასწვდა, ახლოს მისწია თავი, ქურდულად შეხედა, მერე შეაბრუნა თავი და ეუბნება: — უნდა გაკოცო... — ახლა კი მერაბმა დაასწრო და ააყვირა კიდეც წამოწითლებული მარი: — სირცხვილია, გვეყოფა; მე ვიხუმრე, ხალხი გვიყურებს...

ცოტა ხანში ოფიციანტი მოვიდა, კოკტეილი და ყავა შეუკვეთეს. სიჩუმე ჩამოვარდა, რაღაცნაირი სიმშვიდით სავსე სიჩუმე. გრძნობდა, მარისა და მას შორის არსებული სივრცე გამოუთქმელ, იმედით სავსე გრძნობას ამოევსო; გრძნობას, რომელსაც შინაარსი და ერთგვარი, ბავშვობიდან გამოყოლილი ნაცნობი განწყობილება გარეთ გამოჰქონდა და ყველასა და ყველაფერს აზრს ანიჭებდა. და რაც მთავარი იყო, ასეთი სიჩუმის წუთებში მას შეეძლო ყველაფერი ერთად, ერთ აკორდში ეგრძნო: მთელი თავისი ცხოვრება — დღევანდლამდე; ყველა პიროვნება, ვისაც კი ოდესმე შეხვედრია ცხოვრების გზაზე; ყველა წიგნი, რომელიც ოდესმე გადაუშლია და წაუკითხავს. სამყარო მისთვის რაღაცნაირი, თავისთავად გასაგები ხდებოდა. ნებისმიერი გამვლელნი, ნებისმიერი ხე, ნებისმიერი ქუჩა რაღაც იდუმალებით სუნთქავდა.

მერაბმა სიგარეტს მოუკიდა. მარის თითქოს რაღაც გაახსენდაო, გაბადრული სახე წამით მოეღრუბლა, შეშინებული თვალები ძირს დახარა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— რაო, რამე ხომ არ შეგემთხვა? — იკითხა მერაბმა.

— აქედან ფეხს არ გავადგამ...

— არ მესმის. — იცოდა მარი ახლა რაღაცას რომ დაუხეთქებდა.

— ფეხს არ გავადგამ უშენოდ! — მარის ხმა მუქარასავით გაისმა.

— ვერ გავიგე...

— რადა, თან წამიყვან თბილისში, ოღონდ მამიდასთან კი არა, პირდაპირ შენთან! როდემდე უნდა ვიყოთ ცალ-ცალკე?!

თვალები გაუსწორა, გამომცდელად შეაცქერდა მერაბს. მას კი ორაზროვნად ეღიმებოდა, უნდოდა გაებრაზებინა მარი.

— რაო, რას გაჩუმებულხარ? არ წამიყვან?

— როგორ არ წაგიყვან; თუ გინდა ახლავე, ამ წუთას წავიდეთ! — გაეცინა.

— დამცინი?

— ჰო, დაგცინი!

— გეყოფა, მერაბ!

— რა მეყოფა?

— მე კი მეტი აღარ შემიძლია, — თვალები აუწყლიანდა, ხმა კი ნაღვლიანი გაუხდა. — ჩამრიცხავენ ინსტიტუტში თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ხომ წამიყვან? ისე მომბეზრდა აქაურობა, მეტს ვეღარ გავძლებ... აღარ შემიძლია უშენოდ...

— თუ გინდა სულაც ნუ ჩააბარებ გამოცდებს, წავიდეთ.

— არა რა?! ორი კვირა დავრჩეთ აქ; ორი კვირა მაინც ვიყოთ სხვა ქალაქში მე და შენ. სულ მარტონი...

— მე და შენ... —სიცილით გაიმეორა მერაბმა. — ვიყოთ!

— ო შე საძაგელო, იცოდე არ გადამირჩები! — ეცინებოდა მარისაც და თავისი პატარა მუშტი დიდის ამბით მოუღერა, სერიოზულად დაემუქრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

კაცი ვერ გაიგებდა, თოვდა თუ წვიმდა. იდგა იმავე ადგილას, სადაც ორი წლის წინ შეხვდა მარის და გზას გასცქეროდა. ხალხი დაბობღავდა, ძლივს დალასლასებდა. სუსხავდა. ზურგიდან ვიღაცის გამჭოლავი მზერა იგრძნო, შემოტრიალდა. — პალტოში შეფუთული მარი შერჩა ხელში: ნელა მიუახლოვდა, მშრალად აკოცა, ისე, თითქოს ვიღაცა უთვალთვალებსო; როგორღაც განზე გაურბოდა მზერა. მერაბმა ვეებერთელა კარები გამოაღო და ვესტიბიულში შევიდნენ.

— საით წავიდეთ? — ცივად იკითხა მარიმ.

— არ ვიცი.

— წამო, ჩვენს კაფეში ავიდეთ, მაშინ რომ დავდიოდით, იქ.

— წავიდეთ...

კაფეში ასასვლელი მეორე, უკანა მხარესაა. გარეთ გავიდნენ, წითელი მოედნის მხრიდან შემოუარეს შენობას და შევიდნენ. მარი ისე მივიდა გასახდელთან, უკან არ მოუხედავს. პალტო უსიტყვოდ გაიხადა, ჩააბარა და მერაბს დაელოდა (მოკლემკლავებიანი, მოსქელო ძაფისაგან ნაქსოვი ყვითელი სვიტრი ეცვა. შეხედა მარის სუსტ, უფერულ მკლავებს და უცნაური გრძნობა გაუჩნდა).

— რატომღაც ამაკანკალა. ვერ ვიტან სიცივეს... — თქვა ჩქარა, ერთმანეთის მიყოლებით.

— მე კი არ მცივა. მივეჩვიე.

უსიტყვოდ ავიდნენ.

— ჩვენი მაგიდა დაკავებულია. — ნიშნისგებით თქვა მარიმ. შეჩერდნენ.

— მოდი სხვა მაგიდას მივუჯდეთ.

— სხვას?

— ჰო. მაშ ასე ხომ არ აპირებ დგომას და ლოდინს. მე მგონი ისინი ადგომას არც აპირებენ. — თვალით იმ წყვილზე ანიშნა, „მათ“ მაგიდას რომ უჯდა.

მერაბი მძიმედ ჩაეშვა დაწნულ საკარძელში. მაშინ ეს საკარძლები არ იყო...

— რაო, რა სთქვი?

— მაშინ ეს საკარძლები არ იყო აქ...

— ჰო, მე ესენი მირჩევნია. — შეხედა მერაბს.

— რა კარგი სვიტრი გაცვია, იცი?! — მოულოდნელად და ჩუმად თქვა მარიმ, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მარი ძალიან შორს იყო, სადღაც იქ, მეორე ნაპირზე და იქედან ელაპარაკებოდა. ის მართლა სხვაგან წასულს ჰგავდა...

— რითი იყავი ავად? — ჰკითხა მერაბმა ისეთი ნაღვლიანი და დარბილებული ხმით, ზარივით გაისმა თითოეული სიტყვა.

— გლანდები... ხომ იცი, ანგინა მაწუხებდა. დიდი სიცხეები მქონდა, ვერაფრით ვერ დამიგდეს, კინაღამ დავიწვი...

— მერე, რად არ მომწერე? — გააწყვეტინა მერაბმა.

— რა ვიცი, ვიფიქრე აღარ ვახსოვარ და არც ჩამოვა-მეთქი.

გაუგებარი, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩამოხვიდოდი? — ბავშვივით ჰკითხა მარიმ, თან შეფარვით ისევ ათვალიერებდა.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს სულ არ მიცნობდე!

მარის გაფითრებულ სახეს ღია ფერმა გადაურბინა.

— წესიერად არც გითქვამს, როგორ ცხოვრობ...

— ძველებურად... — მერაბს უნდოდა ცოტა გამოფხიზლებულიყო, უფრო ცოცხლად ესაუბრა. მარის თვალებმა წამით სიმშვიდე დაჰკარგეს.

— ცოლი არ შეგირთავს? — ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

— არა. — თქვა სხვათაშორის.

— არც აპირებ?...

— ასეთ სისულელზე არ მიფიქრია.

— ფანჯრიდან სადღაც, შორს, რომე-

ლილაც სიმკვეთრედაკარგულ სახლს მიაპყრო მზერა.

— ცუდია, — თითქოს უდარდელად, დამრიგებლური ტონით თქვა მარიმ. — უნდა იფიქრო! მე კი მყავს ვოვა. ისე, ყველაფერი უნებურად მოხდა; თავს ბედნიერად ვგრძნობ...

მერაბი კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, ძლივს შეიმაგრა თავი.

ოფიციანტი ქალი თავზე წამოადგათ. მჭახე ხმა მერაბს ცივი წყალივით ხვდებოდა გულზე.

— რა გინდათ, მითხარით ჩქარა, არ მცალია!

— ორი კოკტეილი, ორმაგი; ყავაც.

— არა გვაქვს! — თქვა ოფიციანტმა.

მერაბმა მეზობელ მაგიდისკენ გაიხედა.

— იმათ ახლა არ მიუტანეს?

— იმათ მიუტანეს, თქვენთვის არა გვაქვს! — კონიაკი გათავდა. თუ გინდათ ღვინოს მოგიტანთ, — პორტვეინს.

— პორტვეინი სხვებს დასჭირდებათ, ჩვენ კი კოკტეილი...

— კონიაკი გაგვითავდა, თუ გინდათ პორტვეინს მოგიტანთ, მე მოვრჩი!

მერაბი წამოდგა, მივიდა დახლთან. ახალგაზრდა ქალი ცარიელ ბოთლებს თავის ადგილს უჩენდა.

— გამოიხედეთ, კონიაკი მართლა გაგითავდათ?

— გაგვითავდა. — არც მოუხედავს ისე უპასუხა ქალმა.

— როგორ, ამხელა რესტორანში კონიაკი არა გაქვთ? ჯერ ხომ დილაა.

— სწორედ რომ დილაა. — ქალი მორჩა თავის საქმეს და მერაბს შეხედა.

მერაბმა თუმნიანი დახლზე დაუდო, თან დაამატა:

— რესტორნიდან მოიტანეთ ერთი ბოთლი ქართული, ოღონდ ვარსკვლავებიანი არა. ხურდა კი თქვენი იყოს.

— კარგი, დაჯექით.

მაგიდასთან დაბრუნდა, სავარძელში ჩაეშვა, კოლოფი გახსნა და სიგარეტს მოუკიდა. ოფიციანტი სადღაც გამქრალიყო.

მერაბს გაახსენდა თმაჩეჩილი კაცი, სადარბაზოს მყვირალა ფერები...

— კი მაგრამ, მარი, თბილისის შემდეგ იმ სახლში როგორ ცხოვრობ? რა სასტიკი ფერებითაა კედლები და კარები შეღებილი...

— ასეც ვიცოდი, ამას რომ იტყოდი, შენ ხომ დიდი ესთეტი ხარ.

— ვარ!... ან ისეთი კარგი ბიჭები სად იპოვე, სამზარეულოში რომ ვნახე წუხელ... რა ლამაზი ქოჩრები ჰქონდათ. ბრწყინვალე რაღაცაა!

მარის გაეცინა.

— ისინიც ნახე? ეს კი არ უთქვამს სახლის პატრონს. იქ ხომ თითქმის არა ვარ ხოლმე... ახ, რას გაბრაზდებოდი?!

— რას ამბობ, გავბრაზდი კი არა, პირიქით, თორმეტ სათამდე ვტკებოდი სანახობით, შენი მეზობლები როგორ გემრიელად ალამაზებდნენ ერთმანეთს...

— ისინიც ნახე? ყოჩაღ! ერთ საღამოს ბოლომდე შეგისწავლია ჩვენი უბანი...

— სახლშიც კი გვეპატიჟებოდნენ...

—მაგრამ თქვენ არ დათანხმდით, რა თქმა უნდა, უბრალოდ არ იკადრეთ, არა?!

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა ისევ. აუტანელი ეჩვენა მერაბს იქ ჯდომა.

ერთ ადგილზე ვეღარ აკავებდა სხეულს და ნატრობდა, კოკტეილი მალე მომისწრებდესო.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მარიმ.

— ნეტავ კარგი კოკტეილი დაგვიმზადონ!

— სხვა არაფერი?

— გულწრფელად გაინტერესებს?

— ჰო, მართლა მაინტერესებს.

— ნაღდად?

— რა თქმა უნდა!

— ორიგინალობის გარეშე...

— დიახ. თქვა!

— ახლა მე სიკვდილზე ვფიქრობ, ოღონდ გული არ გაგისკდეს.

მარის შეეშინდა, მაგრამ არ დაიმჩნია, ხუმრობით აჰყვა მერაბს.

— ვერ გავიგე რა მოაქვს სიკვდილზე ფიქრს.

— ვერც გაიგებ!

როგორც იქნა კოკტეილი მოიტანეს. მერაბმა მეშველაო და წამსვე წასწვდა თავის ფუჟერს.

— რატომ? — მარიმაც აიღო თავისი და ოდნავ მოსვა.

— თუნდაც იმიტომ, რომ გოგო ხარ, ნამდვილი გოგო, გოგოები კი ვერ ხვდებიან, რა მოაქვს სიკვდილზე ფიქრს...

— შენ წარმოიდგინე, ბავშვობიდან სიკვდილზე ვფიქრობ, მაგრამ კარგი არაფერი მოუტანია, პირიქით!

— აი, ხომ ხედავ! — მოსვა მერაბმა რამდენიმე ყლუპი და სულ ცოტა ხანში სითბომ დაუარა სხეულში; აღარ აძაგძაგებდა.

— რას ვხედავ?...

— რომ ვერ ხედავ.

— რას?

— სიკვდილს!

— ხომ გითხარი ვფიქრობდი-მეთქი.

— ვიცი რომ ფიქრობდი.

— მერე?

— მერე, მაინც ვერ ხედავ, სიკვდილს კი უნდა ხედავდე და მაშინ შეიგრძნობ, რომ ცოცხალი ხარ და არა მკვდარი.

— შენ შენებური ბნელმეტყველება დაიწყე. სიმართლე გითხრა, მომენატრა შენი უცნაური ლაპარაკი. — თქვა მარიმ ოდნავი ღიმილით, ისე, თითქოს თავის თავს ამოწმებს, მართალი ვთქვი თუ არაო.

— გადავეჩვიე უცნაურ ლაპარაკს.

— რაღაც არა მგონია. პირიქით: უფრო დახვეწილი ჩანხარ. სახეც, სახითაც უფრო გალამაზებულხარ; მოგიხდა ტანჯვა! მითხარი ერთი რას აკეთებ, რითი ერთობი.

მერაბი შეფარვით ათვალიერებდა მარის და ყველანაირად გამოცვლილი ეჩკენა. იმასაც მიხვდა, ყასიდად რომ ჰკითხა, რას აკეთებო, თორემ, სულ სხვა ფიქრები ჰქროდნენ მის თავში (უსუსურად მოძრავ მკლავებზე ... ციისფერი ზოლები მოჩანდა).

— არ ეწევი? — ჰკითხა და თვალით სიგარეტზე ანიშნა.

— ერთი რამ, რასაც ვერ შევეჩვიე, ეს სიგარეტია. ვერ დავეჩვიე მაშინ, გახსოვს? ვერც მერე... რას შვრები? შენ არ გიპასუხია.

—არაფერსაც არ ვშვრები! ვარ ჩემთვის.

— ბინა გადაგიცვლიათ. მოგწონს?

— რა თქმა უნდა! — თქვა მერაბმა. — სახლი თითქმის მთასთან დგას, ახლოს კი სოფელია. ხშირად ჩემს ოთახში მთელი ღამე მოისმის იმპროვიზაციები; ჩვენს წინ კომპოზიტორები ცხოვრობენ.

— მითხრეს ცენტრში არიანო.

— სწორია; ჰოდა, — მოსვა რამდენიმე ყლუპი, — მთელი ჩემი სიზმრები... ბრწყინვალე იმპროვიზაციის ქვეშ სრულდება.

— და შენც ალბათ ბედნიერი ხარ ასეთი ცხოვრებით!

— ჰთლად არა, შენ წარმოიდგინე; არის ხოლმე დღეები, როცა...

— რა როცა...

— როცა ვერსად ვერ მივდივარ; ვერ გავდივარ მეორე ოთახში; ვერ გამოვდივარ ქუჩაში; ვერავისთან ვერ მივდივარ; სხვა ქალაქშიც ვერ მივემგზავრები...

— და არაფერი არ გენატრება... — მარის ორივე ხელით ეჭირა ჭიქა და შიგ იყურებოდა.

— ზღვა მენატრება... ალიონზე ნავსადგურთან მომდგარი გემის ბღავილი, მაგრამ იქაც ვერ ჩავდივარ...

— და მეტი არაფერი...

— ამ შემთხვევაში ცდებით... — გაეღიმა მერაბს. — კიდევ, ერთი გოგონა მენატრება და მასთან გატარებული დღეები...

— მერე, რას უცდი... — გაეღიმა მარისაც, მაგრამ ცოტა უცნაურად.

— რასა და, კარგ ზღვაურს, უფრო სწორად, — ზურგის ქარს...

მარიმ როგორც იქნა გადაწყვიტა და მკაფიო ხმით თქვა:

— ხუმრობა იქეთ იყოს, რაღაც უნდა გკითხო და გულახდილად უნდა მიპასუხო, კარგი?

— თქვი.

— აი ახლა, — მცირე დუმილის შემდეგ წამოიწყო მან ნაღვლიანი ხმით, — აი ახლა, რომ გთხოვო, ძალიან რომ შეგეხვეწო, წამიყვან თბილისში?

მერაბს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, შეცბა. ასეთ რაღაცას არ მოელოდა, დაიბნა.

— კი მაგრამ ვოვა?! შენ ხომ ბედნიერი ხარ მასთან; ბედნიერებას როგორ წაგართმევ?..

— რა შუაშია აქ ვოვა! კითხვაზე მიპასუხე: წამიყვან?

— სერიოზულად?

— ფრიად სერიოზულად!

მერაბმა ფეხი ფეხზე გადაიდო, შეხედა მარის, სიგარეტი საფერფლეში ჩააფერფლა და ჩუმად, დაფიქრებით თქვა:

— წაგიყვან, ოღონდ...

— რა ოღონდ...

— ოღონდ... ძველ მარის წავიყვან აქედან. კარგად იცი: გარეგნულ ამბებს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. და თუ შენ გრძნობ... თუ გრძნობ ისევ იმას...

— მშვენივრად გავიგე! ამისი მოსმენა მინდოდა.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი!

— და, რა თქმა უნდა, დაწყნარდი, არა?!

— დიახ, დავწყნარდი.

— თავი ქუდში გაქვს!

— დიახ.

— ყოჩაღ! ახლა კი მართლა დახურე! — თქვა და შემობრუნდა, დახლთან მდგარ ქალს თითებით ანიშნა — გაიმეორეო. მარის თვალები მაგიდაზე რომელიღაც ერთ წერტილს მიეყინა. მერე როგორც იქნა დააღწია თავი, მაგრამ ისე იხედებოდა, თითქოს უკვირდა აქ, ამ მაგიდასთან რომ იჯდა.

უხერხულ დუმილში კარგა ხანმა განვლო. ბოლოს, როგორც იქნა, მეორე ჭიქა კოკტეილი მოიტანეს და მერაბი ახლა მას მიადგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

მძიმე ჯვარი

რომანი

ნიგნი მეოთხე

მუმლი მუხასა

თავი ოცდამეჩვიდმეტე

იმერეთის ტახტის დაუფლების სურვილით აღტკინებული კაცია დადიანი ისევე ადვილად გადაუდგა თანადგომის პირობის დამრღვევ ახალციხის ფაშას, როგორც თავის დროზე სოლომონს და შეიტყო თუ არა რუსეთის საექსპედიციო კორპუსის იმერეთში დაბრუნება, ჯერ ხმა დაყარა, ხელმწიფის იარანალთან მოლაპარაკება მწადიაო, შემდეგ კი თავისი კაცები, ოდიშის წარჩინებული თავადები წარმოგზავნა და ტოტლებენს ბაღდათში აახლა. დადიანის კაცების ტოტლებენის ბანაკში მოსვლისათვის სოლომონს ხელი არ შეუშლია, თუმცა შეეძლო კი ყველა ცოცხლივ შეეპყრო და მძევლებად დაეტოვებინა. რუსების მოსვლის შემდეგ კაციასა და მას შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა და სასურველი იქნებოდა, თუ ამ ზავს მეფე თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა.

დადიანის უფროსი ვაჟი, სალიპარტიანოს ბატონი ბეჟანი, სახლთუხუცესი ჯაიანი, ჩიჩუა, ფალავა და მათთან ერთად დადიანის კარზე მყოფი კაპუჩინელი ბერები, ქუთაისის კათოლიკური მისიონის წევრები, ტოტლებენმა სოლომონთან შეთანხმებით მიიღო, თარჯიმნად ისევ კაპიტანი ლვოვი მოიწვია, თავადი მოურავოვიც დიდსულოვნად დაისწრო და საზავო მოლაპარაკება გააჩაღა.

ბაღდათში ოდიშარები სამ დღეს დარჩნენ. სოლომონი შორიდან ადევნებდა მათ თვალს, მაგრამ უფრო მეტ დროს ციხის იერიშის მომზადებას ანდომებდა.

დადიანის კაცები გრაფს სოლომონთან შუამდგომლობას და შერიგებას თხოვდნენ, თავს რუსეთის უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის ფერხთა მტვრად აცხადებდნენ და პირობას სდებდნენ, რომ თუ „იარანალი“ დადიანს მეფესთან შეარიგებდა და ძმათა სისხლისღვრას შეწყვეტდა, ვალში არც დადიანი დარჩებოდა, არმაღანად ყაბა-

---

გაგრძელება იხ. „მნათობი“ №

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდოული ცხენების რემას გამოუგზავნიდა და ოსმალების წინააღმდეგ ომშიც ყოველნაირ შემწეობას აღმოუჩენდა.

მოლაპარაკების მეორე დღეს უცხოელი ბერები გენერლის კარვიდან დაითხოვეს. ტოტლებენმა პირდაპირ განაცხადა, რომის პაპს აქ არაფერი ესაქმება, ჩვენს თავს როგორმე ჩვენვე მოუვლით, როგორც აქამდე მოგვივლია და მოლაპარაკებაზე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლების შემდგომი დასწრება სასურველი აღარ იქნებაო.

პატრები გაშრნენ. რამდენი დღე დასაათი იყო, ისინი აქ მოღვაწეობდნენ და არც ერთ აქაურ მეფეს ან მთავარს, ან რომელიმე მათს ქვეშევრდომს, მათთვის მსგავსი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. სარდლის კარვიდან უპატიურად გამოძევებულებმა, თითქოს ვინმე მსტოვრები ყოფილიყვნენ და სწორედ დანაშაულზე წაესწროთ, ბერებმა მეფე სოლომონს მიმართეს საჩივრით. სოლომონმა მხოლოდ გულისტკივილი გამოთქვა „იარანალის“ უდიერი საქციელის გამო, დახმარებით კი, სამწუხაროდ, ვერაფერს დაეხმარა, ვინაიდან გრაფი იმერეთის ტახტის ქვეშევრდომი არ იყო და თავისი ხელმწიფის მიერ მოცემული მითითებების მიხედვით მოქმედებდა.

მომდევნო დილისათვის დანიშნული ჰქონდათ ციხის იერიში. დადიანთან შეთანხმებას ამიტომ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა და ოდიშარების სურვილისამებრ ტოტლებენმა მეფეს თავადი მოურავოვი და რწმუნებული ლეონი მიუგზავნა, ოდიშის მფლობელთან დაზავება ურჩია.

სოლომონი ხედავდა, რომ გულზვიად კაცია დადიანს სული კბილით ეჭირა, როდის უზრუნველყოფდა თავისი სამთავროს უშიშროებას და რადგანაც ძალა იმერეთის მხარეზე იყო, კუდი ყავარზე გასდო — დაზავების საფასურად მისი ჯარების მიერ სანახევროდ უკვე დაკავებული ლეჩხუმი მოითხოვა. არა და, სამთავროს ცეცხლითა და მახვილით შემოვესევი, ვერავინ დამიშლის, მთელი ოდიში დავიმორჩილო და დადიანს, თუ ცოცხალი გადარჩა, ყმობის უღელი დავადგა.

შუა კაცები პირში ჩალაგამოვლებული გაბრუნდნენ ბაღდათიდან და ტოტლებენს აღუთქვეს, თუ ნებას დაგვრთავთ, ხვალ-ზეგ ჩვენი ბატონის საბოლოო პასუხით გეახლებითო.

მარიამობისთვე იდგა. ნაადრევი სიცივეები დაიჭირა. ხეზე ფოთოლმა დაიწყო გაყვითლება. უმზეობის გამო ყურძენს სიმწიფე აკლდა. საგვიანო ხილი, ვაშლი, მსხალი თუ ატამი თავისით ცვიოდა და ძირს ჩამოვარდნილიც კი ისე მკვახე იყო, პირში არ ჩაიკარებოდა. ზეკარზე თოვლი დასდო. კიდევ რამდენიმე დღეც და გზა მთლიანად შეიკვრებოდა.

ეს ამბავი არც მოალყეთათვის იყო სახარბიელო და არც იმათთვის, ვინც სიცივისაგან გათანგულ ციხეში იჯდა და დღეს თუ ხვალ შიმშილით სულის ამოხდა ემუქრებოდა.

მეციხოვნე ჯარი, თქმა აღარ უნდა, სასტიკ წინააღმდეგობას გასწევდა, რადგან გასაქცევი გზა არსაით ჰქონდა და მოალყეებიც იძულებული გახდებოდნენ, მსხვერპლს არ მორიდებოდნენ და ციხე როგორმე მტრისათვის ხელიდან გამოეგლიჯათ.

გათენდა მარიამობისთვის თხუთმეტი. კვირა. ტოტლებენის თოფჩებმა დიდი ჯაფა გასწიეს, ზოგან ცხენებით და ზოგან ყევარი ხარ-კამეჩით, ზოგან კი ხელდახელ ახლომახლო გორაკებზე ზარბაზნების განლაგება მოათავეს და ნიშანსლა ელოდნენ, რომ თხმელის გაქვავებული მორებით კედლებამოყვანილ ციხისათვის ყუმბარები დაეშინათ. დილის სრული ათი საათი იყო, ზარბაზნების პირველი ბათქი რომ გაისმა. ციხიდან პასუხი არავის გაუცია. ერთი თოფი ან ზამბულაკი რა არის, ისიც კი არ გავარდნილა. რას ფიქრობდა ნეტავ ციხისთავი უსენი? რით და როგორ აპირებდა თავის გადარჩენას? თხმელისციხე შორაპნის მამაპაპეული ციხე არ იყო. იგი თვით მომხედურმა ოსმა-

ლებმა ააგეს მეფე ალექსანდრეს ზეობაში, მას შემდეგ შიგ ისხდნენ და ფიქრობდნენ, ხელს რომ მოიწყობდნენ, ძველი, ნაკლებად სანდო ციხის მაგიერ ათასი-ათასხუთასი კაცის დამტევი, ქვის მტკიცეკედლებიანი ცოტადელი აეშენებინათ. წელიწადი წელიწადს მისდევდა, ყოვლის განმგებელ ბეგლარბეგებს, წამდაუწუმ ერთმანეთს რომ ცვლიდნენ, საქმე უამისოდაც თავზესაყრელი ჰქონდათ და ეს განზრახვა შეუსრულებელი დარჩა.

— წადით, კითხეთ პრინც სოლომონს, რას უნდა მოასწავებდეს უსეინის დუმილი? — ბრძანა გენერალმა ტოტლებენმა, თანაც თავისი განუყრელი, ბერლინის იერიშის სამახსოვრო დურბინდით ზვერავდა კლდოვან ბორცვზე დაჭრილი ყორანივით ჩამომჯდარ ციხეს. — იქნება დროა, კედლებს კიბეები მივადგათ და იერიში დავიწყოთ?

ერთიმეორეზე წაბმული გრძელი კიბეები უკვე მზად ჰქონდათ. ციხეების გარემოცვისა და იერიშის მომწყობ ოსტატებს, რომელთა ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი მეთვალყურეობდა, წუთიც არ დაუკარგავთ და რამდენიმე დღის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ციხე რაც შეიძლებოდა ნაკლები დანაკარგის ფასად აეღოთ.

მეფესთან ამბის გასაგებად გაგზავნილი შიკრიკი ჯერ მობრუნებული არც კი იყო, რომ ციხის კარიბჭე ჯაჭვებისა და გორგოლაჭების ღრჭიალით გაიღო და იქიდან მესხურ ჩაქურაში გამოწყობილი ვიღაც ყაბალახიანი იანიჩარი გამოვიდა. იანიჩარს ხელში თეთრი ალამი ეჭირა და ჰაერში აქნევდა.

ტოტლებენი ჯერ დააკვირდა, შემდეგ დურბინდი მკვეთრად ასწია, არტილერიის ოფიცერს ანიშნა, სროლა შეწყვიტეო და იქვე მდგომ მაიორ რატიევს მიმართა:

— ვინ არის? რას გვეხვეწება?

— პარლამეტიორი უნდა იყოს, თქვენო მაღალამატებულებავ!.. — მაიორი თავადაც ეჭვობდა, მართლა ასეა თუ არაო და სარდალს ორჭოფულად უპასუხა.

— რას ითხოვს?

— ახლავე მოგახსენებთ. სოლომონმა თავისი კაცები გაგზავნა და, ალბათ, ამბავს მოგვიტანენ! ხედავთ? ღელეში ჩადიან...

ტოტლებენს კვლავ მოადგა დორბლი ტუჩების კუთხეებში.

— რისთვის ეჩრება? ვინ დართო ნება, რომ მტერთან ჩვენს დაუსწრებლად მოლაპარაკებას მართავს?

რატიევი თვალს არ აშორებდა ჩოხოსან მოლაშქრეებს, რომლებმაც ღელის გადაღმა, მაყვლოვანში, ფაფანაკიანი თავები ამოჰყვეს და, თითქოს მიწამ პირი უყოო, უმალ ისევ მიიმალნენ.

—აი, კიდევაც მიუახლოვდნენ, თქვენო მაღალამატებულებავ, ახლა ყველაფერი გამოირკვევა...

— მანდ გაჩერდით, ჯო, — ქართულად, ოღონდ აჭარულ კილოზე დაიძახა იანიჩარმა, როდესაც ფაფანაკიანები მაყვლოვანში ხელახლა გამოჩნდნენ და წელში თამამად გამართულები ციხის გვერდოს აუდგნენ. — იარაღი დააწყვეთ, სროლა არავინ გაბედოს!..

მეფის კაცები შეჩერდნენ, ბრჭყვიალასალტეებიანი გრძელი თოფები, ამ წუთამდე მხარზე თოხებივით რომ ჰქონდათ გადებული, გადმოიღეს და ერთმა მათგანმა ნახევრად ხუმრობით, ნახევრად დაცინვით ასძახა:

— ხანჯლებიც შევიხსნათ, ბიჭო?

— უსეინი მოლაპარაკებას ითხოვს, მიწაწყლიშვილებო, — მოლბა იანიჩარი. — მეფემ წყალობა მოიღოს და ვინმე შემოგზავნოს ციხეში!

— იმე! ჩვენ ხალხად არა გვთვლი, თუ რაშია შენი საქმე! ვერც ამ ზარბაზნებს იხედებით, ტუჩი რომ აქეთ აქვთ მოშვერილი და ვერც რუსის რეგულის ჯარს?

— რომ ვიხედებით, იმისთვინ უნდა უსეინს მოლაპარაკება. გაბრუნდით ახლა, დროს ნუღა გვაკარგვინებთ!

— ამას ვერ უყურებ შენე? რავა

დიდ გულზეა! უსეინთან რა გვაქ, ბიჭო, ჩვენ სალაპარაკო? რაც სათქმელია, ჯანი გავარდეს, აქიდან გეტყვით. თუ გინდა, ქე გეიგონეთ, თუ არა და, ჭირი მამჭამეთ და სატკივარი! მწყალობელმა მეფემ, სოლომონმა, შემოგითვალათ რომეო, ერთი საათის ვადა მამიციაო. თუ გამოსულხართ ამ ერთ საათში ყველა და ციხის გასაღები ჩაგიბარებიათ, ხომ კარგი, თუ არა და, თქვენი და თქვენი ცოლ-შვილის ცოდვა თქვენს კისერზე იყოს, მე ხელი დამიბანიაო. გეიგე შენე, ვინცხა ხარ? შედი და ასე უთხარი, ის უსეინია თუ კვინტრიშა, ჩვენ მეტი აღარ გვცალია, სხვაც ბევრი გვაწუხებს საქმეი!

ამ სიტყვებით მოლაშქრე სანახევროდ მობრუნდა, თოფი ისევ მხარზე გაიდო, ლულით წინ და კონდახით უკან, წასვლა დააპირა.

იანიჩარმა ისევ თავისი თქვა:

— ბატონმა ვინმე დიდებულები შემოგზავნოს, ასე აჯობებს...

— ჩვენზე უფრო დიდებულებს მეფე აქ ვის გამოგზავნის?! ბაჭუა ვარ მე, სოფრომაძე, გორისელი, არ გაგეგონები? ესენიც, რომ უყურებ, ჩვენი მხრის ხალხია, სარეკელი ჭიტაძეები. ჩვენს გადაკიდებას, — გეიგე შენე? — დღე და მოსწრება ქვის კოდვა გერჩიოთ!

— მე რაც მიბრძანეს, იმას ვიმეორებ: ბატონმა ვინმე დიდებულები შემოგზავნოს!

— თუ აგრეა და არ დაგიშლიათ, თავათ ეახელით ბატონ მეფეს და შესავედრებელი შეევედრეთ. პირობას ვდებთ მეფის სახელით, არავის არაფერი დოუშავდება. სწორს არ ვამბობ, ბიჭო, მა! არიკა?

— სწორია, სწორი! — დაემოწმა აჭაძდე გაჩუმებული ორი დანარჩენი მოლაშქრე.

— მოიცათ მანდ! — დაიძახა იანიჩარმა და, ალბათ, ციხისთავ უსეინის ბრის გასაგებად კარიბჭეში შევიდა.

— რას ამბობენ? — ჰკითხა სმენად გადაქცეულ რატიევს გრაფმა ტოტლებენმა.

— სიტყვიერად ეკენწლავებიან ერთმანეთს, თქვენო მაღალმტებულებავ. სოლომონს ულტიმატუმი მეუთვალია თავისი და ჩვენი სახელით. მოფიქრებისათვის ერთი საათის ვადას აძლევს!

— ბევრია! — შეაწყვეტინა გრაფმა. — აქ ხომ არ გამოვიზამთრებთ! მერე რას ამბობს უსეინი?

— მეფის მინისტრებს იწვევს ციხეში. ეტყობა, ციხის დაცლის პირობებზე უნდა მოელაპარაკოს.

— არავითარი პირობები, მაიორო, მხოლოდ ერთი პირობა: ციხე უნდა დასცალონ და ტყვედ დაგვნებდნენ!

— მაგაზე ვაითუ ვერ დავითანხმოთ, თქვენო მაღალმტებულებავ.

— ვერ დავითანხმებთ და სიტყვას ისევ ზარბაზნებს მივცემ!

კორპუსის სარდალი გრაფი ტოტლებენი და ჰუსართა პოლკის ოფიცერი მაიორი რ ტიევი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მეფე სოლომონისაგან მალემსრბოლი მოვიდა. ციხის დანებების თაობაზე უსეინის წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად მეფე ორ საათს ითხოვდა და იქვე დასძენდა, თუ თქვენი მაღალმტებულება საჭიროდ დაინახავს, შეუძლია, ციხისთავის მიერ გამოგზავნილი შუაკაცების მიღებას დაესწროსო.

სოლომონის მდაბალი შემონათვალი გრაფმა მოწყალედ მოისმინა. მისი პატივმოყვარეობა თითქმის უკვე დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად ადგილიდან ფეხის მოცვლა მაინც დამამცირებლად მიიჩნია და თავის მაგიერ მეფის ბანაკში მაიორი რატიევი და ადიუტანტი დე გრაი დე ფუა გაგზავნა.

ოსმალთა მხარეს დიდხანს არ ულოდინებია. ბაჭუა სოფრომაძემ და სარეკელმა ჭიტაძეებმა, ხრესილის ომის მონაწილე თმაჭაღარა გოგიტამ, ეკლესიის კედლიდან ჩამოსულ ქრისტეს რომ ამგვანებდნენ, და ახლადწვერულვაშწამოშლილმა მახარიკამ, რომელიც მეფის განკარგულებით ქეშიკთა

გუნდში ჩაირიცხა, სოლომონის კარავში ორი გათათრებული მესხი — აწყურელი მუეძინის ერთადერთი ვაჟიშვილი მუსტაფა მინაძე და ინით წვერშეღებილი ოლთისელი მოლა მოიყვანეს.

— რა ამბავი მოგაქვთ, გვნებდებით თუ არა? — კარავში შემოსვლის უმალვე შეაგება მათ მეფემ. — რუსს, იცოდეთ, ჩვენ ვეღარ გავაჩერებთ. დათქმული დრო გავა და ციხეს ცეცხლს წაუკიდებენ. გამოდით, სანამ გვიან არ არის, იარაღი დაყარეთ და შეუდექით კაკასხიდის გზას. ზეკარზე გადასვლა ჯერ კიდევ შეიძლება. პატიოსანი სიტყვა მოგვიცია, ხელს არავინ გაბლებთ, ოღონდ თქვენც შემოგვფიცეთ, რომ დღეის ამას იქით იმერეთს არც სიტყვით და არც საქმით აღარაფერს ავნებთ. ბატონებო, რას იტყვით? — სოლომონმა კარავში რამდენიმე წუთით ადრე შემოსულ რატიევსა და დე გრაი დე ფუას გადახედა.

მაიორმა პასუხი შეაყოვნა. მას არ უნდოდა გაემხილა, რომ გენერალი ციხის გარნიზონის ტყვედ დანებებას მოითხოვდა, რათა ამით მშვიდობიანი შეთანხმებისათვის უნებლიეთ ძირი არ გამოეთხარა, მაგრამ არც მთლად უპასუხობა ივარგებდა და ოსმალთა წარმოგზავნილებს რაიმე ეჭვი რომ არ დაჰბადებოდათ, ნიშნად თანხმობისა თავი უსიტყვოდ დახარა.

— რას დადუმებულხართ? — მამაშვილური ლმობიერებით მიმართა მტრის ბანაკიდან მოსულთ ქვემომხრის სარდალმა ბერი ლორთქიფანიძემ. — უპასუხეთ მის უმაღლესობას, გვნებდებით თუ არა?

მოლა ძალზე შეშინებული იყო, რისამე თქმის თავი აღარა ჰქონდა, რაღაც ლოცვებს ბუტბუტებდა და დროდადრო თვალი ცისკენ გაექცეოდა ხოლმე. ნაკლებად შეშინებული არც მუეძინის შვილი მუსტაფა მინაძე ჩანდა, მაგრამ როცა შეატყო, შიშისაგან მთლად წამხდარი მოლა ამ ქვეყნისა აღარ არისო, მხრები ჩამოყარა და მეფეს, რომლის საკუთარი თვალით ნახვა ასე სწყუროდა, მიკნავებული ხმით მოახსენა:

— ჩვენ ყველა პირობაზე ყაბულს ვიქნებოდით, აქ მარტო თქვენ რომ გვეგულებოდეთ. ციხისთავი გიაურ რუსებს ვერ ენდობა. ამბობს, სიტყვის გატეხა იციანო...

— როგორ თუ რუსებს ვერ ენდობა, როგორ თუ სიტყვის გატეხა იციან! — გულწრფელად იწყინა სოლომონმა და აენთო. — აქ ჩვენ ვართ, რუსი ჩვენს შესაწევნად მოვიწვიეთ და პირობასაც ჩვენ ვიძლევით!

— კი, კი ბატონო, მეფე, — საწყლად დაეთანხმა იანიჩარი, რომელსაც ოსმალოსი ისევე არაფერი ეცხო, როგორც აქლემს ფრთოსნისა, ჩვეულებრივი ქართველი კაცი იყო, ბედის უკულმართობით გზას აცდენილი და მტრის ბანაკში ძალად მოხვედრილი. — უსეინი თქვენს დიდებულებასაც კეთილი გულით უთვლის, რუსებს ნურც თქვენ მიენდობით, მაგათ თავს ისევე ჩვენი თავი გერჩივნოთ, მაგათ ხელში ათწილ უარესი დღე დაგადგებათ და მომიგონებთო.

— შეწყვიტე ლაყბობა, ძაღლისშვილო, — კბილებს შუა გამოსცრა სოლომონმა. — თუ არ გინდა, ახლავე ჯალათს მოვუხმო და ეგ მყრალი ენა ძირიანად ამოვაძრობინო! — და ხმას აუწია. — ცლით თუ არა ციხეს?

მინაძე კატის კნუტივით მოიკუნტა, კიდევ უფრო შესაბრალისი გახდა.

— ციხეს დღესვე ჩაგაბარებდით, მწყალობელო, ვის რა ოხრად უნდა, ოღონდ შენი სიტყვა გვეჭირვება, რომ რუსები არაფერს მოგვწევენ და ჩვენს გზაზე მშვიდობიანად გაგვიშვებენ.

— თქვენც იძლევით სიტყვას, რომ, როგორც არ უნდა დაგაძალონ, ჩვენს და დიდი რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის წინააღმდეგ ხელში თოფს აღარ აიღებთ?

— ალლაჰ! — ცას შეჰღაღადა იანიჩარმა, ორივე ხელისგული ერთმანეთს მიატყუპა, თვალები ზეაღაპყრო და დაიჩოქა. — შენი რისხვა მომეწიოს, თუ აქეთ კიდევ პირი მოვიბრუნო და აჩიკბაშის მეფის საწყენი საქმე ვქნა!..

— ეგ? ეგ რატომ გაჩუმებულა, ქართული არ იცის?

მოლა გონს მოეგო, ახლა-ღა მიხვდა, ბატონი მეფე ჩემზე უთითებსო, ციწაზე მორჩილად დაემხო და იგივე მოკლე ფიცი გაიმეორა, წუთის წინ მუსტაფა მინაძისაგან რომ გაიგონა.

— ჩვენი სიტყვა სიტყვაა, — ბრძანა სოლომონმა. — წადით და გადაეცით უსეინს: ერთ საათში ციხე დაგვიცალოს. ზედმეტი სისხლისღვრა და მსხვერპლი არც ჩვენს ქრისტეს გაეხარდება და არც თქვენს ალაჰს!

იანიჩარს კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი. წვალობდა, თქმა ვერ გაებედა. ბოლოს გადაწყვიტა, ვეტყვი, რაც მომივა, მომივაო და გულხელდაკრეფილმა მეფეს მუდარით მიმართა:

— დედოფალმა მარიამმა და ბატონიშვილმა ალექსანდრემ ინებონ და შემობრძანდნენ ციხეში. ჩვენ მაშინ გულმაგრად ვიქნებით და ვფიცავთ მაღალ ალაჰს, უკან უიარაღოდ გამოვყვებით!..

სოლომონმა ყურებს ვერ დაუჯერა. სხვებიც განცვიფრდნენ და გაოგნდნენ. „რა თქვა? რას ითხოვს?“ — ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა. მეფე ვერასდროს ვერ წარმოიდგენდა, თუ ციხეში გამაგრებული მტერი, ციხის ჩაბარების თაობაზე შუაკაცებს რომ უგზავნიდა, ამგვარ პირობას წამოაყენებდა.

— გაიმეორე, რას ამბობ!

იანიჩარი მთლად მოიშალა, შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა.

— დედოფალი მარიამი და ბატონიშვილი ალექსანდრე რომ... შემინდე. ბატონო მეფე, საწყალი კაცის შვილი ვარ. ამას ჩემი ნებით რავა გაგიბედავდი. ციხისთავმა უსეინმა დაგვაბარა.

— კეთილი, მე თანახმა ვარ! — მოულოდნელად გადაწყვიტა სოლომონმა და თვალით ქაიხოსრო აგიაშვილი მოძებნა. — გაგზავნეთ კაცი, თავადო, და დედოფალი მარიამი და ბატონიშვილი ალექსანდრე ახლავე აქ დაიბარეთ!

აგიაშვილი ბატონს არ მოერიდა, პირში მიახალა:

— მაგას რას ბრძანებ, მეფეო, გვღუპავ, მტერს ციხეში მძევალს უგზავნი? გინდა, უბედურება შეგვამთხვიონ — ან საქმე ისე გაგვიხადონ, რომ საკუთარი ხორცი გვაგლეჯინონ?

სოლომონს მზერა გაეყინა. ეს წინააღმდეგობა, უცბად რომ წააწყდა, მისთვის სავსებით მოულოდნელი და გაუგებარი იყო.

— შეასრულე, რასაც ვბრძანებ, ეს გადაწყვეტილია!

— ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს რაღას ერჩი, შე დალოცვილო, დედოფალი, თუ გინდა, ჰე...

სოლომონი გაბრისხდა, სახეზე ცეცხლი წაეკიდა, მარჯვენა თვალის ქუთუთო ავად აუთამაშდა.

— სისხლს ნუ ამიმღვრევ, თავადო ქაიხოსრო, იმისთანა რამეს ნუ ჩამადენინებ. მართლა საკუთარი ხორცი ვიგლეჯო. ახლავე გაგზავნი კაცებს და დედოფალ მარიამსა და ბატონიშვილ ალექსანდრეს, ჩემს ძეს, აქ მოაყვანინებ! ნუ იფიქრებ, ტახტის სამსახურში შეუცვლელი ვარო და უკადრებელს ნუ მაკადრებ. იცოდე, მოიძებნება კაცი, თანაც მარტო ერთი და ორი კი არა, ვინც იმდენ გონიერებას გამოიჩენს, რომ ჩემს ბრძანებას წინ არ აღუდგება!

— აღსრულდეს შენი ნება, მეფეო, — აგიაშვილი მოტყდა, რბილი და დამყოლი გახდა. — მე მარტო ის მსურდა, კურთხეულო, რომ დღესავით ნათელი საქმე არ დამებნელებინა!

— შენ მაინც შენსას გაიძახი! ვიცი, კეთილი განზრახვა გამოძრავებს და ეს ერთხელ მიპატიებია. ვაჟბატონები, — სოლომონმა მოლაზე და იანიჩარზე აჩვენა. — ბანაკს გააცილეთ და თვალები მერე აუხსენით. იარანალს შენ თავად ეახლი და ჩვენი სახელით შეუთანხმდი, რომ ციხის იერიში, თუ ღმერთი გაუწყრათ და მანამდე არ დაგვიცალეს, სახვალიოდ, მზის ამოსვლის დროისათვის გადაიდოს! ერთი დღე გინდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ, ეგ არაფერს შეცვლის!

სამხრობა გადასული იყო, ვარციხიდან მცირე ამალით წამოსულმა დედო-

ფალმა მარიამმა და ბატონიშვილმა ალექსანდრემ მეფის ბანაკს რომ მოაწიეს. სოლომონი დიდებულების თანხლებით მიეგება რამდენიმე თვის განმავლობაში საგრძნობლად შეცვლილ თანამეცხედრეს და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილს, რომელიც იმ სამახსოვრო უსიამოვნების შემდეგ, მეფესა და დედოფალს შორის სხვათა და სხვათა მეცადინეობით რომ მოხდა, სასახლიდან ფეხს აღარ იცვლიდა და შინაურ პატიმრობაში მყოფ დედას გვერდიდან აღარ შორდებოდა.

სოლომონი ცხენიდან პირველი ჩამოხდა, დედოფალს ხელი შეაშველა და იმის დასტურად, რომ წყენას გაევლო და უკვე აღარ უწყრებოდა, ჯანმრთელობის ამბავი ჰკითხა.

— შენ რას შვრები, ბატონო? — გადატანილი ავადმყოფობითა და ჯავრით დასუსტებული მარიამი ადვილად მიუხვდა, ამით რის თქმაც უნდოდა, ზედმეტი მომდურავობა არც მას გამოუჩენია. რადგან გულის სიღრმეში მეფეს დამნაშავედ არ თვლიდა, თუმცა რას არ გაიმეტებდა, ოღონდ ეს საერთოდ არ მომხდარიყო, და კითხვას კითხვითვე უპასუხა. — დაღალული და შეწუხებული მეჩვენები!

— დასვენების და სიხარულის დრო მაქვს? — მეფემ ნაღვლიანად გაიღიმა და თავისდა სამარცხვინოდ იგრძნო, რომ ცოლთან საუბარს გადაჩვეული იყო. — აი, შენ და ალექსანდრეს დახმარებაც დამჭირდა!

— ეიცი, ყველაფერი წვრილად მიამბეს.

— თუ შენც იტყვი, რომ ხაფანგში გაბმული უსეინი სანდო არ არის და უფრო საშიშ ხაფანგს აქეთ გვიგებს, მე არ დაგაძალებთ!

— როგორც გვიბრძანებ, სოლომონ.

— შენ, მამა? —მეფე ბატონიშვილს მიუტრიალდა. სურვილი სწვავდა, მიხვეოდა, გულში ჩაეკრა, მოალერსებოდა, მაგრამ საამისოდ ალექსანდრე უკვე დიდი ეჩვენა. აღარც ის ინდომა, თავის მშობლიური გრძნობები საქვეყნოდ გამოეფინა და უკვე წამოზრდილ საფიცარ პირმშოსათვის მხარზე ხელის დადებით დაკმაყოფილდა. — ზრდ არ გეშინია, შვილო? თუ გეშინია, ახლავე უარს შეეუთვლი უსეინს!

— ნუ შეარცხვენ ამდენ ხალხში, სოლომონ, ჩვენ ორივე, დედაც და შვილიც, მზად ვართ შენი ბრძანების შესასრულებლად. საშიში მანდ ვგონებ არაფერია. მე და ალექსანდრეს უსეინი ვერაფერს გაგვიბედავს!

სულ ბოლო წუთებში სოლომონი მტანჯველმა ყოყმანმა შეიპყრო. ყურში ქაიხოსრო აგიაშვილის მოურიდებელი საყვედური უდგა. საჭირო იყო და ღირდა კი ამოდენა მსხვერპლის გაღება, ტახტისათვის თავდადებული და მრავალ ჭირგამოვლილი თანამეცხედრისა და სამეფოს იმედის, ბატონიშვილ ალექსანდრეს, ხიფათში ჩაგდება?

თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, მიუხედავად ციხის არასაიმედო კედლებისა, ციხისთავ უსეინს მოალყეებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მოყენება ძალუძდა. გარნიზონი რამდენიმე ასეული იანიჩრისა და ასკერისაგან შესდგებოდა. მეციხოვნეთა უმეტესობა აქ ოჯახურად ცხოვრობდა და ქალები და ბალღებიც თან ახლდა. ციხეში სხვადასხვა მხარეს მიმართული ოცდახუთი მსხვილყალიბიანი ზარბაზანი და ორი ამდენი ზამბულაკი ჰქონდათ, სხვა იარაღ-საჭურველი და ნუზლიც არ აკლდათ და თხმელისციხე, ამგვარად, მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ბრძოლა შეუპოვარ და ყოვლისმომცველ სახეს მიიღებდა, რასაც, უპირატესად მოიერიშეთა მხრიდან, დიდძალი მსხვერპლი მოჰყვებოდა. მსხვერპლს რომ დაინახავდა, ადვილი გამარჯვების მოიმედე გრაფს ვაითუ ისევ გული აჰყროდა, თავისი ჯარის ნაშთები მოეკრიბა, იმერეთიდან გაეყვანა და განუწყვეტელი ომებით სისხლისაგან დაცლილი სამეფო კვლავ პირგამეხებული ურჯულო მტრის წინაშე დაეტოვებინა.

„არა! — გაიფიქრა მეფემ. — არ შეიძლება ამ გადამწყვეტი წუთის ფუ-

ჭად დაკარგვა! უსეინს, ეტყობა, ყალბი და გაზვიადებული ცნობები მიაწოდეს. მას გაცილებით მეტი და უკეთ შეიარაღებული ვგონივართ, ვიდრე ნამდვილად ვართ. ეს რომ ასე არ იყოს, წარბსაც არ შეიხრიდა და ომს გაგვიმართავდა. ციხისთავის საბედისწერო გადაწყვეტილების მიზეზი უთუოდ იარანალსაც უნდა შევაგნებინოთ და მაღალ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ მტრის მსტოვრებმა უნებლიეთ ჩვენი საქმე გააკეთეს და ურჯულოს გულში შიში და ძრწოლა ჩაუნერგეს!"

დედოფალმა მარიამმა და ბატონიშვილმა ალექსანდრემ ღამე ბანაკში გაათიეს, დილას კი, მზე ამოსული არც კი იყო, ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქეს, საქმის წარმატებას გულმხურვალედ შეევედრნენ, მეფესა და დიდებულებს უსიტყვოდ დაემშვიდობნენ და მოკირწყლული ფართო გზით, მდინარის პირიდან მთავარი კარიბჭისაკენ რომ მიიკლაკნებოდა, მრისხანედ დადუმებულ ციხისაკენ გაემართნენ. იქ უკვე მოლოდინი ჰქონდათ და მოუთმენლობისაგან, ალბათ, მთელი ღამე არ ეძინათ. გოდოლებზე შუბოსანი მეციხოვნეები იდგნენ და თვალს უშიშრად ადევნებდნენ, რაც ხეობის ყელსა და ციხის გარეშემო ხდებოდა.

ტოტლებენმა დურბინდი მოიმარჯვა. რა იყო ეს, მართლა სიკვდილთან თამაში, თუ წუხელ სოლომონი მტერს ფარულად დაუკავშირდა და ტრაგიკომედიას გრაფისა და მისი მხედრობის განსაცვიფრებლად მართავდა? ვეღარ მოითმინა, თავადი მოურავოვი და რწმუნებული ლვოვი დააძახებინა და თავისი ეჭვი გაუზიარა.

— როგორ გეკადრებათ, — ერთხმად უპასუხა ორივემ. — ეგ აზრი როგორ დაგებადათ!

— აბა, ყველაფერი ეს მართლა ხდება? — ტოტლებენი კიდევ უფრო დაეჭვდა და სუფთად გაპარსული მსუქანი კისერი წამოუჭარხლდა.

ლვოვმა ხელმწიფის კარის მრჩეველს შეხედა. მოურავოვი ისე იყო აღშფოთებული, არაფრის თქმას აღარ აპირებდა. მაშინ ლვოვი გრაფს, თავად შეესიტყვა:

— მეფემ იცის, თქვენო მაღალიმატებულებავ, რომ თუ ცოლისა და შვილის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩააგდო და ამით ციხისთავის პირობა არ შეასრულა, ისე ის დანებებაზე უარს იტყვის და ჩვენ დიდი ზარალი გვემუქრება. შეიძლება, ნახევარი ჯარი მარტო ამ ციხეს შევაჟლიტოთ და ის მაინც აუღებელი დაგვრჩეს!

— გულუბრყვილო კაცი ბრძანებულხართ, კაპიტანო. უმჯობესი იქნებოდა, ეგ ზღაპრები, ახლა ჩვილი ბავშვიც რომ აღარ დაიჯერებს, ვინმე სხვისთვის მოგეთხროთ და არა ჩემთვის! რა ხდება იქ? ესენი ვინ არიან?

— თათრებმა კარიბჭე გახსნეს, თქვენო მაღალიმატებულებავ, და დედოფალს და ბატონიშვილს მოეგებნენ. ამით პატივს მიაგებენ. მათ შორის ჩადრით პირახვეულ ქალებსა და ბავშვებსაც ვხედავ. ახლა ორივეს ციხეში შეიყვანენ...

ტოტლებენმა დურბინდი მოირგო, ლვოვის ნათქვამის სისწორე შეამოწმა.

— და თქვენ გულწრფელად გჯერათ, კაპიტანო, რომ, თუ ეს ყველაფერი მართლა ხდება და არა ჩვენს განსაცვიფრებლად, ან ერთი ან მეორე ცოცხალი გადარჩება? პრინც სოლომონს, თქვენ რომ ამოჩემებულად მეფეს ეძახით, რით შეუძლია უპასუხოს, თუ უსეინი დედა-შვილს თავებს დააყრევინებს და გასისხლიანებულ გვამებს ჩვენს თვალწინ ციხის კედლიდან გადმოჰყრის?

— მაგ უპირულობას ყველაზე ნაკლებ უნდა მოველოდეთ, გრაფ. აქ აღმოსავლეთია! ოსმალო, მართალია, ჯერ კიდევ ველურის დონეზეა, ჯერ ცივილიზაცია მის ტვინსა და გულს არ შეჰხებია, მაგრამ პირადი ღირსების გრძნობა ძალზე განვითარებული აქვს. თავის სიტყვას არასგზით არ გადავა, დადებულ პირობას არ უღალატებს!

ტოტლებენს მედიდურად გაეღიმა.

— როგორც ჩანს, ამდენი ხნის სამ-

სახურს კავკასიაში უქმად არ ჩაუვლია, კაპიტანო, თქვენ უკვე ნახევრად ბუსურმანი ხართ. არ გამიკვირდება, თუ ამის შემდეგ კანიბალიზმის ქება-დიდებას დაიწყებთ!

— ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ, გრაფ, — გენერლისა და კაპიტნის გამწვავებულ კამათში, კიდევ უფრო რომ არ გამწვავებულიყო, თავადი მოურავოვი ჩაერია. — ცივილიზებულ ადამიანებს რად უნდა გვიკვირდეს, თუ ჩვენს მტერში რაიმე ადამიანურს და ჩვენთვის მოსაწონს აღმოვაჩენთ? ისიც ხომ ჩვენსავით ღვთის შვილია, ჩვენგან თქმის არაფრით განსხვავდება!

ტოტლებენმა ხელი ჩაიქნია, თავისთვის ჩაიქირქილა, აბა, თქვენ რა უნდა გელაპარაკოთ, გზადაბნეული ლიბერალების ფეხს აყოლილებს ვინ რას შეგაგნებინებთო და ისევ დურბინდი მოიმარჯვა, ციხის ჩაგმანულ კარიბჭეს დაუმიზნა.

თავი ოცდამეთვრამეტე

კეთილმა განწყობილებამ და სრულმა ურთიერთგაგებამ იმერთა მეფესა და საექსპედიციო კორპუსის სარდალს შორის დიდხანს ვერ იბოგინა. ახალი უკმაყოფილების ჩამოვარდნის მიზეზი ისევ თხმელისციხის გარნიზონის შემდგომი ბედის გადაწყვეტა გახდა. როგორც კი ციხის კარიბჭე გაიღო და დედოფალ მარიამისა და ბატონიშვილ ალექსანდრეს კვალდაკვალ იქიდან ჯერ შიშისაგან მუხლმოკვეთილი ჩადრიანი ქალები და ბალღები, ხოლო შემდეგ იარაღაყრილი ასკერები და იანიჩრები გამოვიდნენ, გრაფ ტოტლებენის ბრძანებისამებრ, პლასტუნების ორმა ასეულმა მაიორ რემენიკოვის მეთაურობით, მათ ალყა შემოარტყა, კარიბჭე სასწრაფოდ დაკეტა, რათა უკან შებრუნება ვეღარავის მოეხერხებინა და გენერლის მსჯავრის მოსასმენად ყველას ძირს, სოფლის მოედანზე ჩასვლა უბრძანა.

ეს უკვე ის აღარ იყო, რასაც მეფე სოლომონი და დედოფალი მარიამი მეციხოვნეებსა და მათს ოჯახებს პირდებოდნენ. ოსმალებმა გაიბრძოლეს, ხან აქეთ ეცნენ, ხან იქით, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ხიშტიანი თოფებით შეიარაღებული პლასტუნები იარაღაყრილთ გარს მჭიდრო რკალად შემოერტყნენ და თოფის კონდახები დაატრიალეს.

—მაშ, მოგვატყუეთ, გიაურებო, გვიღალატეთ? ეს არის თქვენი პატიოსანი სიტყვა? — გაისმა ერთად შეჯგუფებული და ერთიმეორეში არეული ხალხის შუაგულში. — მარიამს მაინც მიწვდით, მართლმორწმუნენო, არსად გაგექცეთ თავისი ლეკვით, უხსენებელივით გასრისეთ დედა-შვილი, სანამ ყველას წესს აგვიგებდნენ!..

მაგრამ თმაგაწეწილ, გალომებულ დედოფალს, რომელსაც ცალ ხელში შვილის ხელი ეჭირა, მეორეთი კი პირველივე მიწევ-მოწევის დროს ჩამოგლეჯილ გულისპირს იფარავდა, ახლოს მიკარება ვერავინ გაუბედა. იგი წინ უშიშრად გადაეღობა რემენიკოვის პლასტუნებს და არაადამიანური ხმით შესძახა:

— უკან დაიხიეთ, უბედურებო, სინდის-ნამუსი სად დაკარგეთ, ღმერთი აღარ არის თქვენში?

ხიშტმოღერებულმა სალდათებმა, რასაკვირველია, ვერ გაიგეს, რას ეუბნებოდათ დედოფალი, მაგრამ მონოზნური თალხებით შემოსილი ქალის ხმის კილო და სახის გამომეტყველება იმას მოასწავებდა, რომ მარიამი მის პატიოსან სიტყვას მონდობილ მტერს იცავდა, ბავშვებსა და ქალებს ზედ ეფოფრებოდა და პლასტუნებს ვათი ხელყოფის უფლებას არ აძლევდა.

პლასტუნები, თვალუწვდენელი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან მორეკილი, სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას ჩვეული უბირო გლეხის შვილები, უპირატესად კი ყუბანელი კაზაკები, ერთი შედრკომა შედრკნენ, აღარ იცოდნენ, რა მოემოქმედათ, წინ წასულიყვენ, თუ ამ ძუ ვეფხვივით გაავებული დედაკაცის შეუვალ ნებას დაჰყოლოდნენ, მაგრამ უკანა რიგებიდან უფროსების ბრძანება მოესმათ და ამან ყველაფერი ტოტლებენის სურვილის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი, მომხვდური და დამხვდური, სუსტი და ძლიერი ერთმანეთში აირია. ვეღარ გაიგებდი, ვინ ვის სცემდა, ვინ ვის შველოდა, ვინ ვის თმით მოათრევდა და ყურისწამღებ წივილ-კივილში სხვებთან ერთად ზედახორაზე გადადიოდა.

— თქვენო მაღალღმატებულებავ, თქვენო მაღალღმატებულებავ, — მიმართა აღელვებულმა კაპიტანმა ლვოვმა ამ უთავბოლო სოდომ-გომორას ჭვრეტით გართულ გენერალ ტოტლებენს. — პრინცი სოლომონი მობრძანდება თავისი ამალით, ჩვენ გვიახლოვდება!

გრაფი ისე ღრმად შეეპყრო სანახაობას, კარგა ხანს ვერ გაიგონა, რასაც კაპიტანი ლვოვი ეუბნებოდა, ხოლო როდესაც გაიგონა, ცხენიდან ჩამომხდარი, მრისხანედ კოპებშეკრული სოლომონი უკვე მის წინ იდგა, მათრახის ტარს შიგ თვალებში სჩრიდა და მთელი ხმით უყვიროდა:

—თქვენ იცით, რას სჩადით? ახლავე შეწყვიტეთ ეს უწესობა! არა და, ჩემს ჯარს ვუბრძანებ, ალყა შემოგარტყათ. მაცხოვრის სახელს ვფიცავ, ნახევარ საათში აღგვილი იქნებით პირისაგან მიწისა!

ტოტლებენმა თვითონაც ვერ შენიშნა, უკან როგორ დაიწია და სახეზე დაბნეულობა გამოეხატა. მეფე ისე იყო გაოფთრებული, პირიდან ცეცხლს ჰყრიდა და შემდგომ მოქმედებაზე პასუხს უკვე აღარ აგებდა. გრაფი გულწრფელად ვერ მიმხვდარიყო მისი ეგზომ აღშფოთების მიზეზს, მაგრამ იმას კი ხედავდა, რომ საფრთხეში ყოფილიყო ჩაყარდნილი და თავის დაცვაზე ნრუნვა მართებდა.

— პრინცი მოითხოვს, წესრიგი აღადგინოთ, გარნიზონს გზა მისცეთ, რომ დაუბრკოლებლივ აქედან წავიდესო, — ლვოვმა მოახერხა და გრაფს უთარგმნა, რის თარგმნაც ამ ცხელ გულზე საჭიროდ მიიჩნია.

— როგორ თუ გზა მივცე? — მოთხოვნა იმდენად უაზროდ მოეჩვენა, გენერალს თანდათან გაუარა წუთიერმა შეცბუნებამ, მან ძალა მოიკრიბა და ჩვეული რიხი დაიბრუნა. — პრინცი სრულ ჭკუაზეა? მტერი ხელიდან გავუშვა? ჰმ, ეს რომელ არტიკულში წერია? იქნებ ეგ მასწავლის ომში მოქცევის წესებს? როგორ მიბედავს ცხენდაცხენ მოხტომას და მხეცურ ყვირილს, მე მისი გუდამშიერი აზნაური ხომ არა ვგონივარ? ახლავე აქედან გამეცალოს და მინდობილ საქმეს მიხედოს. მე ვიცი, ამისთანა თავგასულებს რა პასუხიც ეკუთვნით და დიდხანს არც დავაყოვნებ!

— პრინცი თავის ქვეყანაშია და ადგილობრივ მიღებული ადათ-წესების შესაბამისად მოქმედებს, — აქამდე განზე მდგომმა თავადმა მოურავოვმა, რომელსაც გენერლის საქციელი თავიდან ბოლომდე უგუნურ თავნებობად მიაჩნდა, მაგრამ მასთან ხელახლა წაკიდებას ისევ დუმილს არჩევდა, ვეღარ მოითმინა და საქმეში ჩაერია. — თქვენ არა გაქვთ ხელმწიფისაგან მონიჭებული უფლება, ის არაფრად ჩააგდოთ და მხოლოდ პირადად თქვენი შეხედულებით იხელმძღვანელოთ. ამას, დამერწმუნეთ, პეტერბურგი არ მოგიწონებთ!

ყელში მოწოლილმა ბოღმამ ტოტლებენს სუნთქვა შეუხუთა.

— მაშ, თქვენც მირჩევთ, მტერი უვნებლად გავუშვა და აქ გულხელდაკრეფილი ვიყო?

მოურავოვმა გვერდზე გაიხედა, გრაფს თვალი მოარიდა.

— კი არ გირჩევთ, გენერალო, მო-

ვითხოვ. მტერი, ყველა მოწმეა, ციხიდან თქვენ არ გამოგიყვანიათ, თქვენი მოლოდინის წინააღმდეგ პრინცმა გამოიყვანა და ამით დიდი მსხვერპლი აგვაცილა. არტიკულები და ომის წესები, რომელთა ცოდნით თქვენ ამაყობთ, აქ არაფერ შუაშია. გთხოვთ, უბრძანოთ მაიორ რემენიკოვს თავის პირვანდელ პოზიციებზე დაიხიოს და ციხის გარნიზონს ბაღდათიდან მშვიდობიანად გასვლის საშუალება მისცეს.

— მაგრამ იცოდეთ, თავადო, თქვენ პასუხს აგებთ მაგ სიტყვების გამო. მე ყველაფერს დაწვრილებით მივწერ, სადაც ჯერ არს და თქვენს პასუხისგებაში მიცემას მოვითხოვ!

მოურავოვს კინაღამ ხმამაღლა გაეცინა. ვის ვის და მას ყველაზე უკეთ მოეხსენებოდა, რის მიმწერი და მომთხოვნიც იყო ტოტლებენი.

— კეთილი, მისწერეთ და მოითხოვეთ, ჩვენც მივწერთ და მოვითხოვთ!..

— უარზეა? — უმისამართოდ იკითხა სოლომონმა, რომელსაც ამასობაში ოდნავი დამშვიდება მოესწრო, მაგრამ გენერალს მაინც თვალებით ჭამდა და მუქარიდან საქმეზე გადასვლას ბევრი აღარაფერი უკლდა.

— გრაფი თავის სიტყვას უკან იღებს, ბატონო, — შეუბორძიკებლად, ზემოიმერულ კილოზე უპასუხა კაპიტანმა ლვოვმა და ეს ისე დაბეჯითებით, ისე სარწმუნოდ თქვა, ძნელი იყო ეჭვი შეგპარვოდა და არ დაგეჯერებინა. — გენერალი მწუხარებას გამოთქვამს, რომ აქაური ადათების უცდინარობის გამო გადაწყვეტილების მიღების დროს ცოტაოდენი შეცდომა მოუვიდა.

სოლომონი აღარც კი მოელოდა თუ გრაფს დაითანხმებდა. ახლა საკუთარი ყურებისათვის ვეღარ დაეჯერებინა. რწმუნებულის ამ სიტყვებმა ისე გააცარა, რომ კინაღამ თავადაც ბოდიში მოიხადა, ზედმეტად გავფიცხდიო, მაგრამ შინაგანი ალღოს კარნახით ეს არა ჰქნა, ლვოვს თავი დაუკრა, უხმოდ გატრიალდა. ნიკოლოზა ნაფიჩვაძის მიერ მორთმეულ ცხენს წინიდან შემოუარა, ზედ შეჯდა და ამალითურთ დაბლა, ბაღდათისაკენ დაეშვა, სადაც ციხეში-ბული ქალებითა და ბავშვებით გარეშემორტყმული დედოფალი მარიამი და ბატონიშვილი ალექსანდრე ელოდებოდნენ.

საერთო საქმისათვის ზიანის მომტანმა უმძრახობამ სამ თვეზე მეტს გასტანა. ნათლისღების მომდევნო კვირაში, როდესაც რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორისა და იმერეთის მეფის გაერთიანებული ლაშქარი ქუთაისის ციხის ალყაში იდგა და მამედ-ალი კიკიანფაშას გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ ყველა ხვრელს უგმანავდა, მეფე და გენერალი ნაძალადევად შეარიგეს. შერიგებას საქმე მოითხოვდა. ფორტიფიკაციის ყველა წესისა და რიგის მიხედვით გამაგრებული, გამართული, სამი მხრიდან კაცისაგან მიუდგომელი, ათობით ზარბაზნითა და ზამბულაკით აღჭურვილი ციხე, რომლის მტკიცე კედლებსაც ხუთასზე მეტი მეციხოვნე იანიჩარი და ასკერი იცავდა, თავდამსხმელთა მხრივ ურთიერთშეთანხმებისა და გონივრული დაჯგუფების გარეშე ვერ აიღებოდა.

ალყა დაურწყებამდე გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოფნა და არყოფნა სასწორზე ეკიდა, კიკიანფაშა არც შუამავლებს გზავნიდა მოლაპარაკების გასამართავად და არც დანებებაზე ფიქრობდა.

ქალაქში საშინელი, აქამდე გაუგონარი სიძვირე და შიმშილი ჩამოვარდა. ქვეყანას ჯერ რა ებადა, რომ ქუთაისის ბაზარზე გასაყიდად გამოეტანა და დღეს ამ უქონელობას შიშიანობაც ზედ დაერთო. გახშირდა ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა. ნახევარი ჭადის ან კვანჩხი ღომის გულისათვის კაცი კაცს აღარ ინდობდა. დღე ისე არ გაივლიდა, ვისიმე დუქანი, სარდაფი ან სახლი არ გაეტეხათ და ერთიანად არ გაეწმინდათ.

გაფაციცებული სოლომონი ყოველ ღონეს ხმარობდა, საგანგებოდ დაგზავნილი შეიარაღებული რაზმების მეშვეობით ვაკე იმერეთისა და არგვეთის

სოფლებში ლუკმა ეშოვნა და ქალაქში დამშეული მოსახლეობის დასაპურებლად შემოეტანა, მაგრამ რომელ ერთს აუხვიდოდი, ან უამისოდაც გაძვალტყავებულ ქვეყანაში იმდენს რას იშოვნიდი, რომ რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი მოალყე ჯარიც შეგენახა და მოქალაქეებისთვისაც შემწეობა აღმოგეჩინა.

ციტადელის ალყა მეფეს ძვირზე ძვირი უჯდებოდა და, თუ აგარიანები თავს ორ-სამ თვეს კიდევ შეინახავდნენ, სოლომონს ან ალყა უნდა მოეხსნა და სატახტო ქალაქი საუკუნოდ აგარიანებისათვის დაეთმო, ანდა სამკვდრო-სასიცოცხლო იერიში წამოეწყო და გაუმართლებელ მსხვერპლს, ამ იერიშს უეჭველად რომ მოჰყვებოდა, წინასწარ შერიგებოდა.

— ტყვეს არ ავიყვანთ, არავითარ შემთხვევაში! — არწმუნებდა და მოძღვრავდა თავის ხელქვეით ოფიცრებს გრაფი ტოტლებენი. — თათარს ტყვიის მეტი არაფერი გაასწორებს. ქუთაისის ციხე ოსმალების სასაფლაოდ უნდა გადაიქცეს. თუ ვინმე ცოცხალი წაგვივიდა, ეს ჩვენი სირცხვილია. აქ ისინი საკუთარ ტყავზე გამოსცდიან, რა ძალა აქვს რუსულ ხიშტს!

მაგრამ სანამ მოწინააღმდეგეს ხიშტზე წამოაგებდე, ხომ საჭიროა, იგი სიმაგრიდან გამოიყვანო და პირისპირ შეხვდე!

სოლომონმა რამდენჯერმე მოაყვანინა საარაკო ხმის პატრონი ურახუნე და კიკიან-ფაშა სალაპარაკოდ გამოიწვია. ყველა ამ ცდას, ორივე მხრივ სისხლი დაეზოგათ, ციხიდან ტყვიით უპასუხეს და ერთ-ერთი გასროლის დროს მთლად გაჭაღარავებული და ტანადაც თითქოს დადაბლებული ურახუნე კინაღამ სამუდამოდ დაადუმეს.

ციხეში ვისიმე შეგზავნა მით უფრო უაზრობა იყო. აგარიანები არავის დაინდობდნენ. ჩანდა, თავის თმედი ჰქონდათ და მოწინააღმდეგეს ჩირადაც არ აგდებდნენ.

ბოლოსდაბოლოს, არჩევანი ისევ იერიშზე შეჩერდა.

გენერალი ტოტლებენი სამი ოფიცრის თანხლებით გამოცხადდა მეფის ბანაკში, რომელიც ციხის პირდაპირ, რიონის მარცხენა ნაპირზე, მოწამეთას მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე იდგა და სოლომონს მაიორ რატიევის პირით განუცხადა, რომ მეტი ლოდინი უკვე აღარ შეეძლო, ციხე ან უნდა აეღოთ ან აქაურობას უნდა გასცლოდნენ, რომ დაბალ ჩინებს შორის უკმაყოფილო ბუზღუნი ისმოდა და არცთუ უსაფუძვლოდ...

— ვახსენოთ ღმერთი, ბატონო მეფე, რაღაი ეს დალოცვილიც ამ ჭკუაზეა. მართლა ხომ არ შეიძლება აქ გაუთავებლად დგომა და ლოდინი! ჯარს მუხლებში წყალი ჩაუდგა. ყველას ოჯახისაკენ უჭირავს თვალი! — შეაგულიანეს ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდებში გახლართული სოლომონი თავისიანებმაც, რომელთაც რუსებზე ნაკლებ როდი დაუფლებოდათ მოუთმენლობა და გენერალ ტოტლებენის მსგავსად ერთადერთ ხსნას ისინიც ციხის იერიშში ხედავდნენ.

— დიდმარხვამდე მაინც მოგვეცადა, — ამბობდა სოლომონი. — ნეტა ამდენი რა აოხრია კიკიან-ფაშას, რომ ხუთას კაცს მაძღრისად კვებავს და ხვალის იმედი ჯერ კიდევ არ დაკარგვია!

17 თებერვალს, ყველიერის ორშაბათს, მეფესთან შეთანხმებით, ტოტლებენის არტილერისტებმა ციტადელს ზარბაზნები დაუშინეს. ქალაქი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. აქა-იქ ხანძარმაც იფეთქა და თანდათან გავრცელება იწყო. ქუთაისში იშვიათად თუ მოიძევდი ქვითკირის მკვიდრ სახლებს. ქვითკირით აქ მხოლოდ ციხე-გალავნებს, სასახლეებსა და ეკლესიებს აშენებდნენ. ხის ოდებსა და ერთიმეორეზე მიჭუჭკულ ქოხმახებს ცეცხლი კვარივით ეკიდებოდა და თუ ის ერთ რომელიმე უბანში გაჩნდებოდა, ისიც მშრალ, ქარიან ამინდში, ძნელი იყო, ყოვლის

შთანმთქმელი ხანძრისაგან თავი გადაგერჩინა.

შუაღამემ მოატანა, ზარბაზნები კი ისევ ისროდნენ. ისროდნენ მწვანეყვავილას მონასტრის გალავნიდან, კათოლიკური მისიონის ეკლესიის მოედნიდან, ბაზრის ქულბაქებიდან, საფიჩხიიდან, ბალახვნიდან, ლეჩხუმის გზიდან...

რუსის არტილერისტებს, შეიძლება ითქვას, ზარალი არ მოსვლიათ, თუ ზარალად არ ჩავთვლით იმას, რომ უამრავი ჭურვი დაიხარჯა. ციხის ზარბაზნები რატომღაც კანტიკუნტად პასუხობდნენ და მიზანსაც მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მოახვედრეს. სამაგიეროდ, ციხის კედლები ალაგ-ალაგ ჩამოინგრა, ალაგ-ალაგ კედლებში ბზარები და ნაპრალებიც გაჩნდა. ძველი ჩვეულება — ზარბაზნები ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისაკენ მიემართათ და ისედაც უმოწყალოდ დანგრეული ტაძრის შემდგომი ნგრევა განეგრძოთ, ოსმალო თოფჩებს აღარ გახსენებიათ. ბაგრატის ტაძარი ამჯერად განზე აღმოჩნდა. წყალგაღმა, ციხის კედლებს შიგნით, დენთის საწყობმა იფეთქა, მინარეთს მწვანე ფიქალით დახურული თავი წააცალა და აფეთქების ტალღამ მოწამეთას მთის კალთამდეც კი მოაწია.

სოლომონი და გენერალი ტოტლებენი გვერდი-გვერდ იდგნენ და არტილერიის მოქმედებას თვალს აქედან ადევნებდნენ.

— ჩემი მისია ამოიწურა, თქვენო ბრწყინვალებავ, — ისევ მაიორ რატიევის პირით განუცხადა მეფეს ტოტლებენმა, ხავსიან ლოდზე ჩამოჯდა და მუხლი მუხლზე გადაიდო. — ხომ დაანთეს ჯოჯოხეთის ცეცხლი ჩემმა არწივებმა!

— ჭეშმარიტად, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ჭეშმარიტად! — დაეთანხმა ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული და ოდნავ გულაჩუყებული სოლომონი. რატომღაც მამა გაახსენდა, მისი წიგნი იმპერატორ ელისაბედისადმი, რომელშიაც მეფე ალექსანდრე რუსეთის ხელმწიფეს თავისი სამეფოს ოსმალთაგან უმაგალითო შევიწროებას და სარწმუნოების შერყვნას შეესჩივოდა.

— უნდა გამოგიტყდეთ, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს და არც გამიგონია!

— მე რას ვამბობდი? — თავი მოიწონა გრაფმა, თუმცა თავადაც არ ახსოვდა, ეს როდის თქვა. — უარტილერიოდ დღეს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამ. ჭირი მოგვპამა ხმლისა და შუბის ხანამ! დღეს მოწინააღმდეგე ისე უნდა გაანადგურო, ახლოსაც არ უნდა მოუშვა. არა გაქვს არტილერია, მაშასადამე, არაფერიც არა ხარ! რაღას უცდით? — მან ჯიბიდან ვეება ვერცხლის საათი ამოიღო და ხუფი ახადა. — უკვე დროა, იერიში დავიწყოთ!

— მე უკვე გავეცი ბრძანება. ჩემი ჯარები სამი მხრიდან მიადგებიან ციხის კედლებს. რიონის მხარეს, როგორც დათქმული იყო, თქვენ გიტოვებთ. აწი აღარც მე მეგვიანება. იმერნო, აღმართეთ სეფე-დროშა და მომყევით! ეი, ნიკოლოზა! დაყრუვდი, კაცო? ცხენი!

— მზად გახლავს, ბატონო!

— მოიყვანე მერე, შე დაბდურო, რაღას მომჩერებიხარ, მე ვეახლო ცხენს თუ ცხენი უნდა მეახლოს მე?!

— როგორ, თქვენ თავად მიბრძანდებით? — გაიკვირვა ტოტლებენმა, როდესაც მეფემ ზარნიშიან უზანგში ფეხი შეჰყო და თვალის დახამხამებაში ცხენს უნაგირზე მოექცა. — არტიკული მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იძლევა ამის ნებას. ხომ შეიძლება, სიკეთის დროს ხიფათი შეგემთხვეთ!

სოლომონს გაეცინა და მაიორ რატიევს უთხრა:

— გადაეცით მის მაღალაღმატებულებას, რომ ხიფათი ყველგან მოგვეღის, აქაც, თქვენ წარმოიდგინეთ. ღვთის განგებას ვერსად დავემალებით. ჩვენს პოეტს უთქვამს, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანიო.

მზე ის იყო გადაიხარა, ციხეზე რომ იერიში მიიტანეს. თითქოს მიწიდან

ამომძვრალი და მაღალ კედლებზე მიდგმული კიბეები უმალვე ხალხით აიხუნძლა. მოსალოდნელი იყო, რომ ზემოდან ქასრებით გამდნარ კუპრს გადმოასხამდნენ და გრძელი ჭოკებით კიბეების გადაბრუნებას შეეცდებოდნენ. მოიერიშეთ წინასწარ გაითვალისწინეს ეს შესაძლებლობა. კიბეები მიყუდებისთანავე დაამაგრეს კედლებში სახელდახელოდ ჩასობილ რკინის პალოებზე, ხოლო თავზე წყალში გაქღენთილი ნაბდები წაიხურეს, რათა გამდნარი კუპრისაგან ზიანი არაფერი მოსვლოდათ.

— ვინც ციხეში პირველი შევა და სხვებს გზას გაუკვალავს, აზნაურს — თავადობა და ყმა-მამული, თავადს — სახელო, გლეხს — აზნაურობა! — დაიძახა სოლომონმა, მოკლე ხმალი ქარქაშიდან იძრო და წინ გაიწვდინა.

მეფის ხმის გაგონებამ და მის მხარმარჯვნივ აფრიალებულმა სეფე-დროშამ, რომელიც კვლავ მომღერალ ძმებს, საყვარელიძეებს, ეპყრა, საერთო სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია. ციხეს პირველნი არჩილ ბატონიშვილის მარგველები და ღალაკო გოცირიძის ზემორაჭველი მხედრები ეკვეთნენ. ბანოჯის მხრიდან ციტადელის კედლებზე ქვემომხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცები“ მიცოცავდნენ, ჯაჭვის ხიდისაკენ მიქცეული ლეჩხუმის კარიბჭე და ჩრდილო კედელი კი წილად ქაიხოსრო აგიაშვილის ოკრიბელ მოლაშქრეთ ხვდა. მარგველებმა და ზემორაჭველებმა იმარჯვეს, კედლებში დატანებულ სათოფურებს მშვიდობით ასცილდნენ და ციხის დაკბილულ კედელს სხვებზე ადრე გადაბიჯეს. კედლის გასწვრივ გაყოლებულ ვიწრო ტალანში კაცის ჭაჭანება არ იყო. იმის მაგიერ, გზა ხმლითა და სატევრით გაეკაფათ, დაწინაურებულნი ტალანს ყიჟინითა და ვაშას ძახილით მიჰყვნენ, ქვის კიბის ბაქანზე მცირედ შეყოვნდნენ, აქედან საით წავიდეთო და მალე თავი ციხის შიგაეზოში ამოჰყვეს. მათდა გასაოცრად არც აქ დაუხვდათ ვინმე აგარიანთაგანი. შიგაეზო სავსე იყო კედლებიდან ჩამოყრილი ბათქაშით, აგურისა და მწვანე ფიქალის ნამსხვრევებით. კიკიან-ფაშას ჰარამხანის წინ, სადაც ურჯულო ციხისთავი მრავალრიცხოვან ცოლებთან ერთად მთელი დღეობით, ხშირად კვირაობითაც კი იკეტებოდა და გარდა რჩეული ცოლებისა, ახლოს აღარავის იკარებდა, წააწყდნენ ერთადერთ უსულო გვამს. გადმოაბრუნეს და მაშინვე იცნეს სულთნის სამსახურში დაბერებული, სახედამჭკნარი ქოსა მეჰმედი, იანიჩარ-აღა, მაბეზღარობისა და დედაბრული სიმხდალის გამო მამედ-ალი კიკიანს თვალით რომ არ დაენახვებოდა და აქედან უკვალოდ გაქრობის წინ, აჩიკ-ბაშებს დაბრალდებათო, ვინ იცის, კიდევაც მოაკვლევინა.

რიონზე ჩასასვლელი ციცაბო და მიხვეულ-მოხვეული კიბე სანახევროდ აყრილი იყო. საფეხურების ადგილზე კიდეებშერუჯულ მყრალ ორმოებს დაეღოთ ხახა. არტილერიის ნამოქმედარი აქ ყოველ ნაბიჯზე ჩანდა, არ ჩანდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ციხე სულ უკანასკნელ წუთამდე ეკავა და ქალაქზე დამიზნებული ზარბაზნებითა და ზამბულაკებით ყოველ ცოცხალ არსებას შიშის ზარს სცემდა. ციტადელის ტალანები, ბინძური სადგომები, კაზემატები, ათასი ხარახურით გამოტენილი სათავსოები და შიგაეზო მოიერიშე ჯარით აივსო. სამივე კარიბჭე ყურთამდე გაიღო და გარეთ მოდარაჯე ჩამოკონკილმა ბრბომაც იხუვლა. ახლა ყველას შეეძლო, შიგნით დაუბრკოლებლივ შემოსულიყო, აქამდე საიდუმლოებით მოცული ციხე-სიმაგრე საკუთარი თვალით ეხილა და ბევრი თუ არა, ცოტა რამ მაინც აეწაპნა.

საბრძოლო ყიჟინა თანდათან ცხრებოდა. თოფი აქა-იქ თუ დაიჭექებდა ხოლმე და ისიც მხოლოდ იმის აღსანიშნავად, რომ აგარიანთა ასწლოვან ბატონობას ღვთის შეწევნით ბოლო მოეღო და სატახტო ქალაქი ქუთაისი თავისი მამაპაპური ციხითა და სამეფო

პალატებით კვლავ კანონიერი მემკვიდრის ხელში გადავიდა.

— ე, ბიჭო, გადავრჩით, გონია, მოგვეხმარა ღმერთი!..

— რავა ხელსა და ხელს შუა გაქრნენ ეს პატრონსაკვდავები, აქანა არ ყურყუტობდნენ გუშინ ამ დროს? მიქელ-გაბრიელმა ხომ არ წეიყვანა ნეტა?

— გუშინ კი არა, ამ დილას, ა, ზარბაზნებს არ ისროდნენ?

— აქანა რაცხა ფარცაგი ამბავია, ბიჭებო, დამიჯერეთ მე, ურჯულო რისი ურჯულოა, თუ თავისი ნებით ეიბარგა და ციხე ხელში შემოგვატოვა? შემოგვიტყუა ნამდვილად და აგერ ნახეთ, ყოფის დღე თუ არ გვიტიროს!

— მეც აგრე მითქვამს გული, ხო იცი. წუხელი გლახა სიზმარი ვნახე. სულ სიმწრის ოფლში ვცურავდი. ვითამ ჩემი ნიკორა მოზვერი დამეკლა და იმის ხორცს ვჭამდი! ახალი გახედნილი მყავს. იმისთანა არი, ავის თვალს არ დაენახვება!..

— შეგარგოს ღმერთმა! ხომ გუნებიერად მიაძეხი. თავი ნუ მოგიკვდება? ვერ დაგვპატიჟე ჩვენე? თავ ღვინოსაც შემოგაწევდით!..

ოქროს ჩარდახის მთავარ კარიბჭეში, წყალგადმოღმა, სადაც მენაპირე თავად ზურაბ მიქელაძის კაცებმა ოდესღაც ტყვისმსყიდველი ქაჯაია და მისი მხრისამბმელები შეიპყრეს, სოლომონს ძმა, ბატონიშვილი არჩილი, ცხენდაცხენ მოეგება და თვალი ჰკიდა თუ არა ამალის წინ მომავალს, ჩამოქვეითდა და სიხარულით მეცხრე ცაზე აფრენილმა მოაძახა:

— მოგილოცავ, მეფეო! იდიდოს შენი სახელი! — და მუხლზე მოეხვია. — სასახლის გუმბათიდან ოსმალური ნახევარმთვარე ჩამოვაგდეთ და შენი დიდებული დროშა ავაფრიალეთ! აგარიანს, როგორც ჩანს, ციხე წუხელ ან ამ დილას დაუცლია: როგორია ახალი განკარგულება?

სოლომონი შეფიქრიანებული და დაღვრემილი იყო. სიხარულის მაგიერ სახეზე ჭმუნვა უფრო ემჩნეოდა. ბატონიშვილმა არჩილმა არ იცოდა, რომ ნახევარი საათის წინ მის გვარგვინოსან ძმას კიდევ ერთი უსიამოვნება მოუვიდა გრაფ ტოტლებენთან, რასაც საბოლოო განხეთქილება და გენერლის ფოთისაკენ წასვლა მოჰყვა. ტოტლებენი საშინლად აღშფოთდა, როდესაც თავისმა მზირებმა ციხის საიდუმლოდ დაცლისა და მეციხოვნე ჯარის ალყიდან უვნებლად გაპარვის ამბავი შეატყობინეს. მას იმედი ჰქონდა, რომ სისხლის მღვრელი ბრძოლის შემდეგ, რასაც ციტადელის აღება და ოსმალური გარნიზონის დატყვევება მოჰყვებოდა, უზენაესი ბრძანებულებით თავის გვარს „კუტაისსკის“ ტიტულს მიუმატებდა და ამიერიდან დაუძინებელი მტრებიც კი იძულებული გახდებოდნენ, „გრაფ ტოტლებენ-კუტაისსკად“ მოეხსენებინათ. ვერაგმა კიკიან-ფაშამ თავს ლაფი დაასხა. ტიტულის ბოძების ნაცვლად ხელმწიფის კარზე სასაცილოდ აიგდებდნენ. ნახევარი დღის განმავლობაში ზარბაზნებს ესროდა ციხეს, რომელიც უკვე ცარიელი იყო და ჭურვების თითქმის მთელი მარაგი ამ ცარიელი ციხის აღებას შეალია!

მოისმინა თუ არა, რაც მის ძილში მომხდარიყო, ტოტლებენმა ტყვიანაკრავ მარტორქასავით დაიღმუვლა, ცხენი მოითხოვა. მაშინვე სოლომონს მიაშურა და უშვერი სიტყვებით გამოლანძღა.

თავადი მოურავოვი, მაიორი რატიევი, კაპიტანი ლვოვი და სხვა ოფიცრები ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ სოლომონს ამ გამოტვინებული სალდაფონის რუსული არ ესმოდა და ახლომახლო არც ვინმე თავისიანი ჰყავდა, ვისაც შეეძლო პირზე დუქმომდგარი გენერლის უშვერი ლანძღვა-გინება მართლად და შეულამაზებლად გადაეთარგმნა.

ტოტლებენი ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნებული იყო და საწინააღმდეგოს მტკიცებას ვერც ვერავინ გაუბედავდა, რომ ქუთაისის ციხისთავი კი-

კიან-ფაშა სოლომონის ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა. სოლომონის დახმარება და ხელისშეწყობა რომ არა, ოსმალები ალყაშემორტყმული ციხიდან შეუმჩნევლად ვერ გავიდოდნენ და რუსხელმწიფის ძლევამოსილ მხედრობას პირში ჩალაგამოვლებულს ვერ დასტოვებდნენ!

ბოლმისაგან გასიებული მოხუცებული გრაფი, თითქოს დამდუღრულიაო, აქეთ-იქით აწყდებოდა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ამ საქმეს ასე დავტოვებ, გგონიათ? ან მე ვიქნები ან ეგ! სამართალში მივცემ! გავაციმბირებ! მშიერი ქვეშევრდომების თვალწინ ღირსებას ავყრი! სიკვდილს მოვანატრებ!..

გენერალი ამაზე არ შეჩერდებოდა და რაღაც შეუფერებელს ჩაიდენდა, წინ ისევ თავადი მოურავოვი, მაიორი რატიევი და კაპიტანი ლვოვი რომ არ გადასდგომოდნენ.

სოლომონი განცვიფრებული და გაოგნებული იდგა. ვერაფერი გაეგო, გარდა იმისა, რომ „იარანალი“ კიკიან-ფაშას ხელიდან გასხლტომის გამო უკმაყოფილო იყო და მას, მეფეს, რატომღაც ბრალს სდებდა, რაზედაც მოურავოვი, რატიევი და ლვოვი არ ეთანხმებოდნენ.

— თქვენს სიმაღლეს მოეხსენება გრაფის ახირებული ხასიათი, — კრძალვით შეჰბედა მეფეს კაპიტანმა ლვოვმა მას შემდეგ, რაც გენერალი რის ვაივაგლახით დააშოშმინეს და დაარწმუნეს, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ თავის სამართლიან გულისწყრომას ხელმწიფის კარს წერილობით აახლებდა, თავად კი, ვიდრე პეტერბურგიდან შემდგომი მოქმედების ინსტრუქცია არ მოუვიდოდა, დაკისრებული მოვალეობის შესრულებას გააგრძელებდა. — ვიღაცა უსვინდისომ და უკულმართმა ყურში ჩააწვეთა, თითქოს თქვენს სიმაღლეს წილი მიუძღოდეს კიკიან-ფაშასა და მისი გარნიზონის გაპარებაში. უმორჩილესად გთხოვთ, მოურავოვიც შემოგეხვეწათ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. სულაც არ გვინდოდა, ეს თქვენი სიმაღლისათვის გაგვემხილა, მაგრამ გაუმხელობაც უხერხულად ვცანით. რაც სათქმელი იყო, გრაფს ჩვენ უკვე ვუთხარით და ფოთის ციხისათვის ალყის შემოსარტყმელად წასვლა ვურჩიეთ. ვფიქრობთ, თქვენი სიმაღლე ამის წინააღმდეგი არ იქნება...

სოლომონმა, ისე იყო აღელვებული, ძლივს გახსნა კრიჭა:

— თუ შეიძლებოდეს, გამაგებინეთ, კაპიტანო: მე ჩემი სამეფოს, ერისა და სარწმუნოების მოსისხლე მტრის გაპარება და ფარული მხარდაჭერა მედება ბრალად? ღმერთო, იესო მაცხოვარო, — მან პირჯვარი გადაიწერა. — ნუ გადამრევ! ნუთუ გრაფს გონება ისე დაუბნელა სიძულვილმა, რომ ვერც კი გრძნობს ამ სიტყვებში ჩაქსოვილ უაზრობას?

— ამას ვინ არა გრძნობს, თქვენო სიმაღლევ, და ამიტომაც გიბედავთ გთხოვთ, რომ გრაფის ახირებულ ხასიათსა და საქციელს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ერწმუნეთ ჩვენს ალღოს, — ლვოვმა გულზე ხელი მიიდო, რათა მტკიცებისათვის კიდევ მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა. — გაივლის სულ ცოტა ხანი და ის აქ აღარ იქნება!..

— სხვა გზა რომ გამაჩნდეს, რასაკვირველია, სხვაგვარად მოვიქცეოდი, ჩირქს სისხლით ჩამოვირეცხდი, მაგრამ თქვენ მოგეხსენებათ, კაპიტანო, რომ არა გვაქვს სხვა გზა და მე იძულებული ვხდები, ამაზე მეტი გაჭირვება გადავიტანო.

სოლომონს თვალწინ კვლავ ეს საუბარი ედგა, როდესაც კარიბჭეში სიხარულისაგან გაცისკროვნებული ძმა არჩილი შემოეგება და მამა-პაპის ნატვრის კეთილად ახდომა, ქუთაისის ციხის აღება მოულოცა.

სოლომონისათვის ენით აუწერელი ბედნიერება იყო, დამფრთხალმა აგარიანმა იგი თავისი ნებით რომ მიატოვა და სისხლისმღვრელი იერიშით ციხის აღება საჭირო აღარ გახდა. ძალა რომ არ დასდგომია, მიუვალ კედლებს

უკან ჩასაფრებული ურჯულო ამას არ იზამდა და ბრძოლას, ვინ მოსთვლის, რამდენი ლეჩაქის გაშავება, რამდენი ცოლის დაქვრივება და რამდენი ბალღის დაობლება მოჰყვებოდა!

მეფე და ცხრა მთას იქიდან აქ სახელისა და ჯილდოების საშოვნელად მოსული უცხოელი სარდალი ამ საქმეს სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა თვალით უყურებდნენ და ამიტომაც ასე ძნელი და თითქმის შეუძლებელი შეიქნა მათი ერთხელ და სამუდამოდ შერიგება.

სოლომონი ხიდზე შეჩერდა და ცხენიდან ჩამობრძანება ინება.

აქედან უკეთ ჩანდა ასწლოვან ჭადრებს შორის გამომზირალი ოქროს ჩარდახი — რიონის ქარაფოვან ნაპირზე აღმართული ქვითკირის სასახლეების რიგი, რომელთა ზღრუბლზე ბოლო დროის ქრისტიან მეფეთაგან, მაჰმადიანი მხოლოდ მუხურის ციხეში მეხდაცემული ბატონიშვილი თეიმურაზი იყო, აღარავის გადაებიჯებინა და, მიუხედავად ზღვად დაღვრილი სისხლისა, იგი კვლავ მომხვდური მტრის ხელშეუხებელ საკუთრებად რჩებოდა.

„გმადლობ შენ, ღმერთო, რომ შემეწიე, მშველელი მომივლინე და იმის გაკეთება, რაც მაშვრალმა მამა-პაპამ ვერ შესძლო, მე ერთს მარგუნე!“ — გულში შეჰღაღადა ზენაარსს სოლომონმა, თავსარქმელი მოიხადა და ერთხანს ასე დარჩა. არ შეუნიშნავს, როგორ გადმოუგორდა ცხელი კურცხალი და ჭაღარაგამორეულ ხეშეშ ულვაშზე დაეკიდა. ეს სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი იყო. მეფე თავისი საბატონო ქვეყნის გულს მოსისხლე მტრის უღლისაგან გამოხსნილს ხედავდა და წამიერ თავდავიწყებას ეძლეოდა.

სასახლეები სულ ერთფრად — ყვითლად იყო შეღებილი. ქვის ფილების სახურავი თუნუქის ფურცლებით შეეცვალათ და ის კი მწვანედ შეეღებათ. მწვანედ იყო შეღებილი ოდესღაც ბაჯაღლო ოქროსფრად მბზინვარე დიდი გუმბათიც, სატახტო დარბაზს რომ აგვრიგვინებდა. სოლომონს, ისევე როგორც მის წინამორბედ მეფეებს, თხმელისციხეში აბაშიძის მსახურების მიერ ვერაგულად მოკლულ გიორგის და ალექსანდრეს, არც ერთხელ არ ენახა ეს ბრწყინვალე დარბაზი, რომლის გუმბათზე ჩამომჯდარი ნახევარმთვარე შორიდანაც კარგად ჩანდა და გულღვიძლში ლახვარივით ესობოდა.

„მართლა, ალექსანდრე? სად არის ბატონიშვილი?“ — გაიფიქრა მეფემ და გვერდში ამომდგარ არჩილს ისე გაკვირვებულმა შეხედა, თითქოს ეს არის, პირველად დაენახოს.

— გნებავს რამე, ბატონო? — ჰკითხა არჩილმა და რკალად შემორტყმულმა დიდებულებმა და უბრალო ხალხმა, თვალებით მეფეს რომ დაეძებდნენ, რათა თავისი გაჭირვება შეეჩივლათ, კისრები დაიგრძელეს.

— მეფე ბატონიშვილ ალექსანდრეს კითხულობს! — უკან შემობრუნდა და ხმამაღლა დაიძახა არჩილმა. — მოგვგვარეთ ბატონიშვილი ალექსანდრე!

— ალექსანდრე! ალექსანდრე! — გაისმა ხალხში.

რამდენიმე წუთის შემდეგ წრე შუაზე გაიპო და ღაწვებაყირმიზებული ახალგაზრდა ბატონიშვილი, თხმელისციხის გმირი, მამასა და ბიძას წარუდგა.

— მოდი, შვილო, აგრე რატომ ჩამოგვრჩი? — მიეხალისა ვაჟს სოლომონი და, როგორც ადრე სჩვეოდა, ხელში აყვანა მოუნდომა, მაგრამ გაახსენდა, რომ საამისოდ ის უკვე დიდი იყო და მხარზე ხელი გადასდო, ოდნავ მიიზიდა, სასახლის გუმბათზე აფრიალებულ ალმისაკენ გაახედა. — ეს უკვე სრული გამარჯვებაა, ალექსანდრე. ბევრი სისხლი გამოვიდინეთ, სანამ ამ გამარჯვების ღირსი გავხდებოდით და ღვთისაგან ბოძებულ სატახტო ქალაქს კვლავ ჩვენს სატახტოდ ვაქცევდით. იცოდე და გულში ღრმად ჩაიბეჭდე, მამა: ერთმორწმუნე რუსეთთან ჩვენმა მხარდამხარ დგომამ, დიდ ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს წყალობამ ურ-

ჯულო აგარიანს ქედი მოადრეკინა და აქედან უკანმოუხედავად გააქცია. მუდამ გულის ფიცარზე გეწეროს ჩემი ნაანდერძევი: რაც არ უნდა მოხდეს, რა უსიამოვნებაც არ უნდა შეგახვედრონ და გული აგიყარონ, რუსეთს იქით ჩვენ გზა არა გვაქვს, რუსეთთან ჩვენი ერთობა სამშობლოს ხსნაა და ერისა და სარწმუნოების დამღუპველი იქნება ის მეფე, ვინც ამ მხსნელი გზიდან გადაუხვევს და წვრილმან მითქმა-მოთქმას აჰყვება. ხომ გესმის ჩემი?

— მესმის, ბატონო მამა, — მკვირცხლად უპასუხა ყურადღებად გადაქცეულმა ბატონიშვილმა.

— მაშ, მუხლი მოვიყაროთ სამშობლოს წმინდა დროშის წინაშე, რომელიც სატახტო დარბაზის გუმბათზე ბიძაშენმა არჩილმა დააფუძნა და მაღალ ღმერთს, იესო მაცხოვარს, შევავედროთ ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი საწყალი ქვეყანა!..

ამას რომ ამბობდა, სოლომონს ტუჩები აუთრთოლდა და თვალები ცრემლით აევსო. სამშობლოსათვის ყველაზე უფრო ბედნიერ წუთებში მას დიდი ხნის დავიწყებული, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც ცოცხლად შენახული თინათის სახე გაახსენდა და საშინელი ტკივილისაგან, მთელ სხეულში რომ დაუარა, მწარე კვნესა აღმოხდა. ცალ მუხლზე დაიჩოქა, თითქოს ერთგულების ფიცს აძლევსო, პირჯვარი სამგზის გადაისახა და თავი დახარა. პირჯვრის წერით დაიჩოქეს ალექსანდრემ და არჩილმაც, დაიჩოქა მეფის მთელმა ამალამ და ხიდზე ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვედრილმა უბრალო ხალხმა და სწორედ ამ დროს ბაგრატის ტაძრის ნახევრადდანგრეულ სამრეკლოზე ზარების საზეიმო რეკვა გაისმა. არ გაუვლია წუთსაც, ზარების საზეიმო რეკვამ გელათიდანაც მოატანა, რასაც სხვა დიდი და მცირე ეკლესიების სამრეკლოებიც ზარების სხვადასხვა ხმაზე რეკვით გამოეპასუხნენ.

— დიდება მეფეს!..

— გაუმარჯოს მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს!..

— გაუმარჯოს ტახტის მემკვიდრე ალექსანდრეს!..

ეს ხმები ზარების სადღესასწაულო გუგუნში მალე მთელ ქალაქს მოედო, მოედნიდან მოედანზე გადავიდა, ყველა ქოხსა და სასახლეში შეაღწია. ჯოჯოხეთურმა გაჭირვებამ, შიმშილმა და ვაებამ წუთით თითქოს უკან დაიხია, მნიშვნელობა დაჰკარგა და სამშობლოს ცაზე გამოდარებას მშიერი და მაძღარი, დიდებული და გლახაკი ერთად ზეიმობდა.

მეფე სოლომონის მოკლე სიტყვამ, რომლითაც მან ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ ალექსანდრეს მიმართა და თითქოს ქვეყნის შორეულ მომავალსაც გადასწვდა, დამსწრეებზე, მეტადრე დიდებულებზე, საქმის ქიციც რომ იცოდნენ და ქიცმაცურიც, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

აქამდე სოლომონს ხმამაღლა და ყველას გასაგონად არ უბრძანებია, რა გეზს აირჩევდა იმის შემდეგ, რაც საბატონო ქვეყნის მიწა-წყალს თავს მოუყრიდა, აგარიანს დედაქალაქიდანაც განდევნიდა და სამეფოში ერთადერთი უზენაესი მბრძანებელი გახდებოდა. გააგრძელებდა თუ არა მეგობრულ ურთიერთობას რუსეთთან, თუ თვით ქართლ-კახეთის სამეფო ტახტისგანაც თავს შორს დაიჭერდა და დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგებოდა?

რუსეთთან საუკუნო კავშირის და ხელმწიფე-იმპერატორის მფარველობაში შესვლის მოწინააღმდეგენი თავს უწმიდეს კათალიკოს მაქსიმეს გარეშემო იყრიდნენ და მარჯვე შემთხვევას-ღელოდნენ, რომ გულისნადები თვით მეფისათვის გაემჟღავნებინათ და რუსეთთან, ამ მეორე ბიზანტიონთან, მიუხედავად იმისა, რომ ის ქრისტეს მცნების აღმსარებელი იყო, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ. რუსეთი — მადააღძრული გოლიათი, სვავის სიხარბით ნთქავდა მასზე მინდობილ ქვეყნებს და ადვილადაც ინელებდა. ამის ბევრი მაგალითი იყო. თავისივე თხოვ-

ნით ხელფეხშებორკილ ქვეყნებს ის-ღა დარჩენოდათ, იმპერიის ვეებერთელა სტომაქში უკვალოდ ჩანთქმულიყვნენ, ანდა საბოლოო დაღუპვისათვის განწირულებს ხელში იარაღი აეღოთ და ყველას თვალწინ თავისი მუხანათური უმადურობა დაემტკიცებინათ.

ესენი, რუსეთთან კავშირის ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგენი, თვალს კვლავაც დასავლეთს მიაპყრობდნენ და რომის სამოციქულო ეკლესიას, რომის პაპს, კათოლიკურ ევროპასთან დაკავშირების ერთადერთ საიმედო ბურჯად თვლიდნენ.

მაქსიმესათვის უბრალოდ არ ჩაევლო რუსეთში გატარებულ წლებს და იქაური გავლენიანი პირების კარზე ტალახის აყენებას. რუსული ენისა და სიტყვიერების საკმაო ცოდნა წმიდა მამას საშუალებას აძლევდა იმგვარი რამეებიც ცოდნოდა, რაც სხვა მისი თანამემამულეებისათვის მიუწვდომელი იყო. კათალიკოს მაქსიმეს დაკვირვებით, რუსეთის ხელმწიფის კარის სამოქმედო გეგმები ახლო აღმოსავლეთში ერთმორწმუნე იმერეთისა და მთლიანად საქართველოს უანგარო მფარველობით არ ამოიწურებოდა. რუსი დიპლომატები და ომებში გამობრძმედილი ბრწყინვალე სამხედრო წოდება დედამიწის ზურგზე გასაბატონებლად ამზადებდნენ ნიადაგს და ეს არცთუ შორეული მიზანი საფუძვლად ედო ყოველ მათს ცდასა და მოწადინებას. იმერეთი და მთელი საქართველო რუსეთს ისევე სჭირდებოდა, როგორც წყალი და ჰაერი. აქ შემოუსვლელად და დაუმკვიდრებლად ის საკუთარ თავს შეზღუდავდა, შემოსვლითა და დამკვიდრებით კი, ჯერ ერთი, ქვეყნიერებას დაანახვებდა, სიმართლის როგორი წარბშეუხრელი მიმდევარი იყო, როგორ უჭერდა მხარს სუსტს ძლიერის წინააღმდეგ და ამავე დროს აღმოსავლეთის ორივე პირდაღრჭენილ ლომს, ირანს და თურქეთს, რომელთა უკან ზღაპრული ინდოეთი და სხვა საარაკო სიმდიდრით განთქმული მიწები მოჩანდა, სამუდამოდ უმეზობლდებოდა. ჩვენ ან იმპერიის განაპირა კუთხედ, ხმალჩაუგებელ სამხედრო ბანაკად ვიქცევით, სჯიდა კათალიკოსი ანდა იმ ქვეყნად, რომლის მიწაწყალი ორი ძლიერი მეტოქის გამუდმებული ქიშპის ასპარეზი გახდება და რაც აქამდე უვნებლად შემოგვინახავს, ისიც ძირფესვიანად მოითხრება.

ეკლესიის საჭეთმპყრობლის გულში გაუმხელელი სურვილი ღვიოდა: სოლომონისათვის როგორმე თვალი აეხილა, საქმეში უფრო ღრმად ჩაეხედებინა და მეფე, საექსპედიციო კორპუსის იმერეთში მოსვლით ამდენი შეწუხება და ღირსების შელახვა რომ გადახდა, ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა.

ბატონის მძაფრმა, ყოველგვარ ორაზროვნებას მოკლებულმა სიტყვებმა ბევრი ვინმე შეაშფოთა და დააფიქრა. მეფე უბრალოდ არ ამბობდა ამას და სხვათა გასაგონად შვილს უბრალოდ არ მოძღვრავდა. მან სარწმუნო წყაროებით იცოდა, რომ იმერეთში რუსეთის სამოყვრო შემოსვლას, რასაც ურჯულო აგარიანთაგან ერთხელ და სამუდამოდ თავის დახსნა უნდა უზრუნველეყო, ძლიერი მოწინააღმდეგეები ყავდა. მოწინააღმდეგეთა რიცხვი განსაკუთრებით მას შემდეგ მომრავლდა, რაც გრაფმა ტოტლებენმა სამცხეში თავი შეირცხვინა, ხოლო შიდა ქართლში მთლად თავსლაფი დაისხა. მეფეს მიაჩნდა, რომ გრაფ ტოტლებენის რუსეთთან გაიგივება, რასაც ზოგიერთები სჩადიოდნენ, დიდი და უპატიებელი შეცდომა იყო. მისი სიტყვები მკაცრ შეგონებად გახმიანდა იმათ მიმართ, ვინც დღემდე სხვანაირად ფიქრობდა და ყველას ამთავითვე აფრთხილებდა, ღია კარის მტვრევა არავის დაეწყო, მეტი შორსმჭვრეტელობა გამოეჩინათ და ის, რაც დროისა და ვითარების მისადაგებით გადაწყდა, საეჭვოდ და სათოლოდ აღარ გადაექციათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მტყუანს და მართალს მართლმსაჯულება გაარჩევდა!..

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ყურაშვილი

მ უ ტ ი

აქ დავიწყების მტვერი ბრწყინავს,
იქ კი მოლია, არ დავიწყების...
რა გენატრება:
თოვლი თუ წვიმა;
რა გიხარია:
ცა თუ მიწები.

შორს ბეუტავს შენი სანთელი—მინა...
უდასასრულო და მოჭიქული,
ზესკნელი გიხმობს,
ზესკნელთა შინა
მომწყვდეულია ცხრა მოციქული.

აკლდამებიდან ნისლურ ფენებით,
სუსტი ნათელის ბაცი სუდარით,
მართლა მოდიხართ,
თუ მეჩვენებით,
აწ გარდასულო ყმანო გუდანის!

ახლოს, სიპებზე, ქარი ქარისა
ადგა, აშალა ნისლის კარავი;
ჩამომაშალა თმა ნაწნავისა,
მოუსხეპი და მოუღალავი...

თეთრი ხარითა,
თეთრი ცხვარითა,
თეთრი ცხენითა,
თეთრი ქალითა
რად სტირ უფალო,
ტანად ტურფაო,
ამოარიდე თვალს მარგალიტი!

ხევსა მხვივანსა,
ღრესა მხვივანსა
მაუღლე მუხლი,
მუხლი მარადი;
სად დაივანე,
სად დაიარსე,
დატკბი,
დაშაქრდი და დამანანდი!

მთების ზამბახით არე წერილი,
შემომეზავთე,
შემომეშალე;
მოუხილავი და დამტვერილი
ბრუნავ თუ ელი რაღაც მესამეს...

თეთრი ხარითა,
თეთრი ცხვარითა,
თეთრი ცხენითა,
თეთრი ქალითა
დასტკბი უფალო!
ცრემლით ცხარითა, —
თვალს არ გვიყვავებს
სხვა მარგალიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესე

გლეხო,
გლეხი გქვია ვიდრე,
სიტყვა არა უხუჯური,
უპირველეს შენ მამდიდრებ
ენით,
ვაზით,
ხატით,
რჯულით;

საუკუნე უშურველად
მაძლევ ცეცხლს და მიგზნებ კერას...
მიწა ერთი ნაბდის ხელა
მკერდს მიკრული დაგაქვს ჯერაც;

ჰქსოვ საწუთროს, წამიერეთს,
სამზეოს და სამთვარისოს...

ვერ დაიკრებ გულზე ხელებს,
ხელებს შენსას მიწა ითხოვს;

ვინც იყო და აღარ არის, —
მაინც შენთან სახლობს, ვიცი.
ავენახდა მისი ტანი,
ღვინოდ გვექცა მისი სისხლი.

სესე, საყვარელო ძმაო,
ანგელოზის გულისაო,
მკვდარსაც უნდა დაუყვაო
ზედაშით და პურითაო;

ასკილებით მღუარ თვეში
მზე გიღარავს უღლის კოფოს...
ღმერთსა შევსთხოვ, გული შენი
შეუცვლელი რომ მიმყოფოს.

ო, ქალბატონო!

ეშმაკმა იცის საიდან მოველ,
უფრო არ ვიცი, საითკენ მივალ...
ვერ შევიყვარე თოვლი და თოვა,
ვერ დავივიწყე თიბვა და თივა.

გზაარეული და სახიჩარი
ვეღარ გისწორებ ჩემს უნდო მზერას;
ო, ქალბატონო, რა ვქნა, მითხარი,
ვერ ვეგუები თქვენს მეფურ ენას...

ვერც გიერთგულებ, ვერც გიმიჯნურებ,
არ დამიკლია თუმცა მცდელობა;
რა დავიფიცო, ღმერთი თუ რჯული...
მზაკვართ ტრფიალი
არ მქონია ჯერაც ხელობად.

მე კარგად მახსოვს აღთქმანი თქვენი,
მე კარგად მახსოვს ჩვენი პირობა,
შეკაზმული მყავს ძვირფასო ცხენი,
თქვენგან გაცლაა ახლა გმირობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲠᲤᲘ

ᲡᲐᲠᲤᲘ ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲔᲠᲡ ᲨᲔᲤᲔᲜᲘᲐ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲤᲘ, ᲘᲥᲘᲗᲐ ᲡᲐᲠᲤᲘᲪ ᲡᲔᲠᲡ ᲨᲔᲤᲔᲜᲘᲐ;

ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲐᲥᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲤᲡ, ᲘᲥᲘᲗᲐ ᲡᲐᲠᲤᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲙᲝᲞᲬᲘᲐ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲒᲘᲐᲗ; ᲐᲥᲔᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲨᲔᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲘᲥᲘᲗᲐᲪ ᲬᲘᲕᲘᲚ-ᲙᲘᲕᲘᲚᲡ ᲐᲡᲢᲔᲮᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲔᲜᲘ; ᲐᲥᲔᲗ ᲗᲣ ᲥᲔᲘᲤᲝᲑᲔᲜ, ᲘᲥᲘᲗᲐᲪ ᲕᲐᲠᲮᲐᲚᲐᲚᲝᲡ ᲓᲐᲡᲫᲐᲮᲔᲑᲔᲜᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲙᲐᲪᲔᲑᲘ.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲡᲐᲠᲤᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲤᲔᲚᲔᲑᲘ;

ᲐᲛ ᲣᲮᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲔᲑᲐᲛ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲛᲐᲫᲠᲬᲣᲜ-ᲨᲔᲛᲐᲚᲝᲜᲐ, ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲧᲕᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲐᲔᲠᲗᲔᲑᲡ ᲐᲛ ᲝᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲝᲤᲘᲚ ᲡᲝᲤᲔᲚ-ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲗᲝ, ᲛᲔᲪ ᲣᲧᲝᲧᲛᲐᲜᲝᲓ ᲛᲘᲕᲘᲢᲐᲜᲓᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲗᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲖᲔ.

ᲰᲔ, ᲛᲐᲛᲣᲚᲝ! ᲓᲐᲕᲗᲛᲔᲗ ᲠᲐᲘᲪ,
ᲦᲘᲠᲡ ᲙᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ...
ᲐᲥᲔᲗ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲭᲔᲠᲐᲘ,
ᲘᲥᲘᲗ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲜᲐᲭᲔᲠᲐᲘ,
ᲜᲐᲭᲔᲠᲐᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲖᲦᲕᲐᲗᲐ;

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐᲗ,
ᲐᲥᲔᲗ ᲛᲔ ᲓᲐ
ᲘᲥᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲰᲙᲘᲕᲘᲡ;
ᲕᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲔᲚ ᲖᲦᲕᲐᲠᲡᲐ ᲖᲔᲓᲐ,
ᲕᲔᲠᲪ ᲘᲡ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ ᲤᲔᲜᲘᲥᲡᲘᲕᲘᲗ.

ᲐᲦᲛᲐ-ᲓᲐᲦᲛᲐ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲨᲘ
ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲓᲜᲘ, ᲨᲔᲛᲔᲛᲪᲘᲠᲔ;
ᲨᲔ ᲝᲮᲔᲠᲝ!
ᲐᲒᲔᲧᲕᲐᲜᲔ,
ᲓᲐᲒᲔᲙᲐᲚ ᲓᲐ ᲨᲔᲒᲔᲬᲘᲠᲔ.

ᲡᲘᲜᲐᲰᲓᲕᲘᲚᲔ

ᲠᲝᲪᲐ ᲒᲘᲮᲘᲚᲔ, ᲑᲐᲒᲔ-ᲞᲘᲠᲘ ᲦᲘᲛᲛᲐ ᲨᲔᲒᲘᲛᲙᲝ;
ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, Ო, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲦᲘᲛᲔ,
ᲐᲜᲓᲐ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲦᲐ ᲩᲐᲘᲐᲠᲔ ᲐᲡᲔ ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲓ?!

ᲓᲔᲓᲝᲣᲤᲐᲚᲝ,
ᲓᲔᲓᲝᲣᲤᲐᲚᲝ!

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ,
ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ
ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲒᲝᲜᲘᲐ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲕᲔᲨᲣᲠᲔᲑᲘᲗ,
ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲦᲠᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲕᲥᲠᲘᲕᲐᲠᲗ ᲗᲣᲠᲛᲔ;

ᲓᲔᲓᲝᲣᲤᲐᲚᲝ,
ᲓᲔᲓᲝᲣᲤᲐᲚᲝ!

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ, —
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲪ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲚᲢᲝᲚᲕᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაალ ეგანოვიძე

ნასოფლარი

ეცისკროვნება მიყრუებულ ნაპარტახალზე
თვალს დარჩენილი ვრცელი მინდვრები...
რა დრო გასულა, ეს ლოდები რამ გადახავსა, —
საით წასულან შენი მკვიდრები?..

სოფელო, უნდა აიხადო დუმილის რაზა, —
მტყუანს და მართალს თავთავისი ერქვას სახელი
რომ ხელმეორედ შეიფარჩოს შენი ცა ვაზით
და გაიქარვო მოწოლილი გულზე ნაღველი.

■ ■ ■

აჰა, ესერა, მთესვარი თესვად
გამოვა ახლა ისეთი დღეა,
თოხისპირს უკვე მზის სხივი ლესავს
და ტყემლის ფიფქი მიჰყვება ნიავს.

ყველას თავისი მოუხმობს ყანა,
აგერა ერთი ღარიბი მზვარეც,
ვთოხნი და ვბარავ, ვთოხნი და ვბარავ,
დღეს-არა, ხვალე გადვიხდი ვალებს.

ამწყაზარდება სიმინდი ლურჯი,
სად ნოყიერ ხნულს მარცვალი ჰგიებს,
ამოაკელი შენს ღვთიურ ხურჯინს
მზრუნველი ხელით და მოაბნიე.

ზოგჯერ მარცვალი ქვიანზეც ღივის,
პირველად ღივის და მერე იწყენს,
და როცა ახლად შემჭკნარი თივის
სურნელი უკვე აჰყვება ფიწლებს,

„მკათათვე“! — ვამბობთ და სიტყვის ფარდას
თანდათან მაღლა ვეწევით ხელით,
და ფარდის მიღმა ჭირნახულს გარდა
ინათებს ცხადად კაცობა ჩვენი.

■ ■ ■

თუ უხილავთა მხილველი
თვალი შეგაბა ზენამა, —
იგრძენი — ჩირგვში ფრინველი
ვარდს რომ ჭიკჭიკით შენამავს.

თუ მოჩუმართა გამგები
ყური გარგუნა განგებამ, —
მთის იდუმალი ჰანგების
ჩქამი ნუ დაიკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იქნება ისე დალამდეს
თვალმა არ გაიღიმოსა,
როს ჭირსა ჩვენსა ვღალადებთ, —
სხვას ნუ ვივიწყებთ შვილოსა.

ნუ ვართ ცის უარმყოფელი, —
ცა საზიარო ჭერია;
თავს ნუ ვიმართლებთ: ბოროტ
რამეთუ ესე ჭრელია...

ჯვარი დავწეროთ ყოველთა,
ჯვარი — წყალთა და ღვინოთა;
რა ვუყოთ: თუ ვერ ვპოვეთ და
კვლავ უნდა ვიმარტვილოთა.

* * *

ისე **იდუმალი** და **ისე** რთული
არის ყოველივე, რასაც შენ უმზერ —
კრძალვით შეავედრებ განგებას სურვილს
და თუ ისინათლებს, გადიარს გულზე
შუქი მოჭიატე, — ნატრული ბევრის,
შუქი მოჭიატე, — სითბოს რომ გამოსცემს,
...ეჰა, წუთისოფლის ტრიალებს კევრი
და ჩვენ თავთავებად ვაწყვივართ კალოზე.

* * *

დასაბამიდან მემართა
ვალი შეღერილ ულოთა,
შენ, მამცნებელო მცნებათა,
სიტყვაო **უსხეულოთა.**

მეც მითქვამს ნადში ნადური,
ანდა უმთვარო ღამეში
მამაპაპური ფანდურით
ძარღვი გახსნილა **კაეშნის.**

რამეთუ სული მოკვდავის
შესამოსელით შესურე,
საყანეები მოვხანი
და ოფლი ვასათესურე.

დასაბამიდან მემართა
ვალი შეღერილ ულოთა.
შენ, مامცნებელო მცნებათა,
სიტყვაო უსხეულოთა.

* * *

ოდეს რამე **გეტკინება, —**
მალამოა მინდვრის ცვარი;
კვლავ სოფელზე ედინება
მდინარენი სიბრძნისანი.

მშობლიური ცა და ხმელის
გემო დაჰკრავს **წყალს** და ღვინოს;
სხვა ფასი **აქვს,** სოფლის ენით
სატირალს და **საღიღინოს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არც არასოდეს შემშლიხარ,
მზერა მაქვს შეუბღალავი:
მრავალმოწყალე მწყემსი ხარ
და ცაში გიდგას კარავი.

ჩემს მარადიულ მოლოდინს
თავზე შენი ხე ახურავს;
და როგორც ხედავ, ბოლომდი
ვრჩები მონად და მსახურად.

* * *

ლოდინის უღელს, ლოდინის უღელს
ამტანი ხარის სჭირდება ქედი, —
ჩემს ოდასახლში ვიჯექი წუხელ
და შენზე ლექსებს ვმლიდი და ვწერდი.

მე დღესაც ვხატავ, შენს ღიმილს ვხატავ,
ესაა დუმილს რაზა შევხსენი:
და ბუხრისპირთან ჩათვლემილ კატას
ჭრელი ბეწვიდან ფერს ვესესხები.

შორია გზები... შემომრჩა ფიქრი
ნუგეშად მარტო ამ გზების მოვლის
და ერთადერთი სიმდიდრე — ფიფქი,
კარზე მოშვებული დეკემბრის თოვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

რწმენა

რომანი

მრავალი გამარჯვებებით გათამამებული და გალაღებული ჰიტლერელთა დივიზიები კავკასიის მთებისწინეთში შეიჭრნენ, შემდეგ ზედიზედ დაიპყრეს მარუხის, ქლუხორის, სანჭარის და სხვა უღელტეხილები.

ჰიტლერელებმა ამ ყაჩაღურ ოპერაციას ფრიად პოეტური სახელი — „ედელვაისი" დაარქვეს. ედელვაისი მაღალი მთის ლამაზი ყვავილია, მაგრამ მათ ყვავილი არ იზიდავდათ, შორს იყვნენ პოეტური გრძნობისაგან, ბაქოს ნავთობისაკენ მიისწრაფოდნენ, იქიდან სპარსეთში შეჭრას აპირებდნენ, შემდეგ ინდოეთის დალაშქვრას.

„ედელვაისის" ოპერაციისათვის ევროპის ალპებში ნაწრთობი მთასვლელები ჰყავდათ შერჩეული. ისინი შესანიშნავად ფლობდნენ მყინვარწვერებზე და მთებზე მოძრაობის ტექნიკას. აღჭურვილნი იყვნენ თოკის გორგლებით, კლდისა და ყინულის პალოებით, კარაბინებით, წერაქვებით, წრიაპებით, საძილე ტომრებით.

ეცვათ ალპინისტური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ეხურათ თბილი ქუდები, პოლკებისა და ბატალიონის დროშებზე ტევტონების მტაცებლური სიმბოლოები, გამძვინვარებული დათვები, გადაჯვარედინებული დანები და თავის ქალები ეხატათ.

შეტევაზე წამოსულ მტერს ორმოცდამეექვსე არმია აღუდგა წინ. სწორედ იმ ხანებში უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით ამ არმიის სარდლად კონსტანტინე ლესელიძე დაინიშნა.

არმიის სარდალი მშვენივრად იცნობდა კავკასიონის უღელტეხილებს, იცოდა მთებში ბრძოლის წესი და რიგი. ჯერ კიდევ მესამე მსროლელი კორპუსის სარდლად ყოფნისას ამბობდა, — „ედელვაისის" ოპერაციისათვის ფაშისტები ჩინებულად არიან მომზადებულნი.

სარდლის ამოცანა მეტად რთული იყო. ორმოცდამეექვსე, არმიის პირველი რიგის ამოცანა მარუხის უღელტეხილის გაწმენდა იყო.

„ედელვაისის" ეგერთა მეხუთე ბატალიონს მარუხის უღელტეხილის მარცხენა მხარეს, უჟუმის მაღალი, ძნელად მისასვლელი ქედი ეკავა და ზედ დაყურებდა მის ყველა მისადგომს.

ვიდრე უჟუმზე მდგარ ბატალიონს არ მოსპობდნენ და ქედს მტრისაგან არ გასწმენდნენ, მარუხის უღელტეხილზე

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 9.

შეტევა შეუძლებელი, უაზრო იყო.

ეგერთა ბატალიონს უჟუმზე ტანკი არ აუტანია, თორემ ქვემეხიდან მოყოლებული ტყვიამფრქვევებით დამთავრებული, ყველა სახის სამთო იარაღი ჰქონდა აზიდული. მათი ლულები ქვევით იყო დამიზნული, უჟუმის მისადგომების — ხევხუვების, ღრანტეების, ქარაფების, ნაპრალებისა და კლდეებისაკენ, ყველა ციცაბოსაკენ, რაზედაც ჯარისკაცი ფეხს მოიკიდებდა.

კონსტანტინე ლესელიძემ გადაწყვიტა, ღამით მიეტანა იერიში უჟუმზე. დარწმუნებული იყო, თუ იქ გამაგრებულ მტრის ბატალიონს თავისი დივიზიის ნაწილები ვერ მიეშველებოდნენ, უეჭველად დაიპყრობდა ქედს.

გერმანელთა მაშველი ჯარებისათვის გზის ჩასაკეტად უჟუმის ზურგში ოცეული უნდა გაეგზავნა. ოცეული ჩაკეტავდა იქ ვიწრო, უსახელო ხეობას და ჰიტლერელები ვერ მიაღწევდნენ ეგერთა ბატალიონამდე. მაგრამ უჟუმის ქედის ზურგში მოქცევა ადვილი არ იყო. ღამეში გაუკვალავ თოვლში და ყინულზე ციცაბოებზე და ხრამებზე უნდა ევლოთ.

ზურგში გასაგზავნი ოცეულისათვის მამაცი და გამოცდილი მთასვლელები უნდა შეერჩიათ. მამაცი ჯარისკაცი ბევრი იყო კაპიტან როდიონოვის ბატალიონში, რომელსაც უჟუმის ქედი უნდა დაეპყრო, მაგრამ გამოცდილი მთასვლელი და ალპინისტი თითებზე ჩამოსათვლელი.

სარდალი, როდიონოვთან ერთად, სხვადასხვა ასეულიდან არჩევდა ჯარისკაცებს ოცეულისათვის.

კონსტანტინე ლესელიძეს ოცეულის მეთაურად ასეულის პოლიტხელი, უფროსი ლეიტენანტი კოჩა ყორშია ჰყავდა შერჩეული.

რამდენიმე კვირით ადრე კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონი შეებრძოლა ნაცისტთა პირველი სამთო-ეს როლელ დივიზიის პოლკს. უთანასწორო ბრძოლაში, პირველ შეტაკებისთანავე, ასეულის მეთაური, ლეიტენანტი ზაიცევი მძიმედ დაიჭრა. მისი ადგილი კოჩა ყორშიამ დაიკავა. მეთხელებულ ასეულს წარუძღვა და გერმანელთა პოლკს უკან დაახევინა.

სარდალმა იცოდა ეს. ასეთ უღელტეხილებზე თუ გვლიათ ომის დაწყებამდეო, ჰკითხა ყორშიას კონსტანტინე ლესელიძემ .მივლიაო, მოკლედ უპასუხა პოლიტხელმა. რაკი კოჩა ყორშიამ მტკიცედ, უყოყმანოდ უთხრა, მივლიაო, სარდალმა გადაწყვიტა, მეთაურის მაგივრად პოლიტხელი გაეყოლებინა ოცეულისათვის უჟუმის ზურგში მოსაქცევად.

შტაბში გაუკვირდათ, უფროსი ლეიტენანტის და ისიც პოლიტხელის ოცეულის მეთაურად დანიშვნა, მაგრამ ის ჩვეულებრივი ოცეული არ იყო, ჩვეულებრივი დავალების შესასრულებლად არ მიდიოდა.

მებრძოლთა შერჩევისას სარდალსა და კაპიტან ვლადიმერ როდიონოვს გვერდში კოჩა ყორშია ედგა. კონსტანტინე ლესელიძე მხოლოდ მაშინ შეჩერდებოდა არჩეულ ჯარისკაცზე, როცა პოლიტხელისა და კაპიტან როდიონოვის თანხმობას მიიღებდა.

უცებ სარდლის ყურადღება შორიახლო მდგარმა ჯმუხმა ჯარისკაცმა მიიქცია. შეატყო, რომ ჯარისკაცს მასთან ლაპარაკი უნდოდა და ვერ ბედავდა.

— სვანი ხარ, ბიჭო? — ჰკითხა კონსტანტინე ლესელიძემ.

— სვანი გახლავართ, ამხანაგო სარდალო. უშგულიდან, — ფიცხად მიუგო ჯარისკაცმა. — პოლიტხელ კოჩა ყორშიასთან ერთად კოლხეთის ზღვისპირა დაბლობებში ჭაობს ვაშრობდი. მაშინ ამხანაგი ყორშია იქ მშენებლობის პარტორგი იყო. ჯარში ერთად წამოვედით. ახლა აქაც მის ასეულში ვარ.

— კარგია, რომ აქაც ერთადა ხართ, — უთხრა სარდალმა სვანს.

— არ არის კარგი, ამხანაგო სარდალო, — თავი ჩაღუნა ჯარისკაცმა. შეწუხებული კილოთი უპასუხა.

— როგორ? — ჰკითხა კონსტანტინე ლესელიძემ.

— ერთად ვაშრობდით ჭაობს, ერთად წამოვედით ჯარში, ერთად ვართ ასეულში, — მიუგო საყვედურით სვანმა. — ოცეულში კი აღარა ვართ ერთად.

— ჰო, ეს მართლაც არ არის კარგი, — გაულიმა სარდალმა.

ჯარისკაცმა თავი ასწია. იმედით შეხედა სარდალს:

— ასეულში ჩემსავით არავინ იცის უქუმის გზა.

— მართლაც ვის ეცოდინება შენსავით. ეს ჩემი შეცდომაა, — თვითონ დაიბრალა სარდალმა კოჩა ყორშიას შეცდომა, რომ მან არ შესთავაზა სვანი ჯარისკაცის შეყვანა ოცეულში. — რა გვარი ხარ?

— ციოყ ავალიანი გახლავართ.

— უნდა წაიყვანოთ ავალიანი, — უთხრა კონსტანტინე ლესელიძემ პოლიტხელსა და კაპიტანს

— ციოყ ავალიანი ცის მანანასავით ელოდა, კოლხეთის დამშრალ მიწაზე დასახლებას. ამხანაგო სარდალო, — მიუგო კოჩა ყორშიამ სარდალს, — იმდენი ოფლი აქვს ჩაღვრილი იმ ჭაობებში...

— ჰოდა, უნდა დაიცვას ის მიწა, იმდენი ოფლი რომ აქვს ჩაღვრილი იმ ჭაობებში. რას იტყვით, კაპიტანო? — მიუბრუნდა სარდალი კაპიტან როდიონოვს.

ვლადიმერ როდიონოვმაც დაინახა ციოყის თხოვნით სავსე თვალები.

— ჯარისკაცი ციოყ ავალიანი საჭირო გახლავთ ოცეულისათვის, — უთხრა სარდალს კაპიტანმა, ისე, რომ არც დაფიქრებულა.

— მეც ამ აზრისა ვარ, — კმაყოფილებით თქვა კონსტანტინე ლესელიძემ. — ალბათ, ამხანაგი პოლიტხელი დაგვეთანხმება.

— გმადლობთ, ამხანაგო სარდალო, — კოჩა ყორშიას პასუხს არ დაუცადა, სიხარულით წამოიძახა ციოყმა.

კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონში უმრავლესობა ქართველი ჯარისკაცები იყვნენ. ბევრი მათგანი კარგად იცნობდა მთებსა და მის ზნეს. გარდა ამისა, ისინი ქერჩის ნახევარკუნძულზე სისხლისმღვრელი ბრძოლების მონაწილენი იყვნენ. სწორედ ასეთ ქართველებისაგან შეარჩიეს ოცეული...

შეღამდა თუ არა, სარდალი სალაშქროდ წასასვლელ ოცეულთან მივიდა, ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— აბა, თქვენ იცით, ძმებო, — უთხრა ჯარისკაცებს.

კოჩა ყორშიას და მის ოცეულის მეომრებს მაზარები და ჩექმები ეცვათ.

„ტყვიას რომ გადაურჩნენ, ყინვას ვერ გადურჩებიან“,— ტკივილით გაიფიქრა სარდალმა. სექტემბერი იწურებოდა. ულელტეხილზე ყინავდა. ჭექა-ქუხილი აზანზარებდა ხევ-ხევებს და, მისი ექო, ნამქერთან ერთად, ყინულოვან ჭიუხებში გადარბოდა.

— ნუღარ აყოვნებთ, — უთხრა სარდალმა კოჩა ყორშიას. თვალი შეავლო ელვით ცივად განათებულ ჯარისკაცთა, გაუპარსავ, დაქანცულ და შემცივნებულ სახეებს: — სახიფათო დავალების შესასრულებლად მიდიხართ, ამხანაგებო! ვალდებული ხართ შეასრულოთ და დაბრუნდეთ, — კონსტანტინე ლესელიძის ხმაში თხოვნა უფრო ისმოდა, ვიდრე ბრძანება: — დიახ, დაბრუნდეთ. უსათუოდ უნდა დაბრუნდეთ, — სარდალი უკიდურეს გასაჭირის ჟამსაც კი გარეგნულად მშვიდი და თავდაჭერილი იყო.

კოჩა ყორშიამ ელვის შუქზე ერთი წამით მაინც დაინახა სარდლის თაფლისფერ, დიდ თვალებში განშორების ფარული სევდა. ლესელიძემ მაშინვე იგრძნო, მიტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა ოცეულს.

ელვის შუქ-ჩრდილის შენაცვლებაში რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე პოლიტხელის წინ მკვეთრად ისახებოდა სარდლის მომცრო, მოქნილი, ღონიერი ტანი. კოჩა ყორშია იდგა და თვალს არ აშორებდა, ვიდრე კონსტანტინე ლე-

სელიძე კლდის კიდეს არ მიეფარა სიბნელეში.

სარდალს მიუხედავად იმისა, რომ ყინვებმა და განუწყვეტელმა ქარბუქმა სახსრების ტკივილი გაუხსენა და მოსვენებას არ აძლევდა, მოსვენებულს ვერ ნახავდი. მუდამ იქ იყო, სადაც საფრთხე უქადდა ჯარს, სადაც ჭირდა, თავდაცვა, თუ იერიში მზადდებოდა. ჯარისკაცთან და ოფიცერთან ერთნაირად უბრალოდ ეჭირა თავი, როგორც ახლობელთან, დიდი ხნის ნაცნობთან: თავაზიანი და პირდაპირი, ხოლო სადაც საჭირო იყო, იქ მოურიდებელი, მკაცრი.

კოჩა ყორშიამ სარდალი მაშინ გაიცნო, როცა სოხუმის ქვეითი სასწავლებლის კურსანტი იყო. ომის დაწყების შემდეგ ისევ შეხვდა ლესელიძეს, როცა იგი ორმოცდამეექვსე არმიის მესამე კორპუსის სარდლად დანიშნეს.

კორპუსში კოჩა ყორშია ლეიტენანტის წოდებით მივიდა. კონსტანტინე ლესელიძეს გამხდარი, აწოწილი ჭაბუკი ახსოვდა, საულვაშოზე ოდნავ ამოფეთქილი, მოშავო ღინღლით, მორიდებული და დაფიქრებული. ახლა კი დავაკაცებული, ჩაფსკვნილი იყო.

ხელი რომ ჩამოართვა სარდალმა და მოიკითხა, შეატყო, რა სიამაყითა და კმაყოფილებით გ-ებადრა ლეიტენანტს სახე. დიდი პატივისცემა იყო კოჩასათვის სარდლის ასეთი ყურადღება.

როცა კონსტანტინე ლესელიძემ გაიგო, რომ ყორშიას სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ავად გამხდარა, ჯარი მიუტოვებია და პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაემთავრებია, შემდეგ კოლხეთის ჭაობების დასაშრობად წასულა მშენებლობაზე და იქ პარტორგად აურჩევიათ, ასეულის პოლიტხელად დანიშნა. მალე სამაგალითო მუშაობისათვის უშიშარ ოფიცერს ბატალიონის კომისრად უპირებდა გადაყვანას, მაგრამ ამ გასაჭირის ჟამს სწორედ ის გაგზავნა საგანგებო ოცეულის მეთაურად.

პოლიტხელი სიცივისაგან მობუზული იდგა ოცეულის წინ. მაზარის საყელო ქუდამდე აეწია, მხოლოდ ჯუჯანასავი, ჩაშვებული, ყბებჩაცვენილი სახე მოუჩანდა საყელოდან და ქუდიდან. ყოველთვის ცოცხალი, შუქიანი თვალები კი, ახლა მინავებულივით უბეუტავდა...

ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონი ცოტა მოგვიანებით თვითონაც უნდა გადგომოდა უეუმის ქედის გზას. კაპიტანი მაინც მივიდა თავის ასეულის პოლიტხელთან. არც ისე დიდი ხანი იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფრონტზე ერთ დღეში გაიცნობ ადამიანს, ერთ დღეში შეიყვარებ, ან შეიძულებ. გადაეხვივნენ ერთმანეთს და უსიტყვოდ დაშორდნენ.

დაძრული ოცეულის წინ მიმავალი პოლიტხელი უცებ შეტრიალდა, გულისჯიბიდან სამკუთხად გაკეცილი ბარათი ამოიღო, თავის ადიუტანტთან მივიდა და ხელჩი ჩაუდო.

— ნიკოლაი, ეს ბარათი გამიგზავნე, — უთხრა ხმადაბლა, რომ სხვებს არ გაეგონათ.

ადიუტანტი ვერ მიხვდა, რატომ უთხრა პოლიტხელმა ხმადაბლა. ვისი, ან რისი ერიდებოდა. ისე იყო შეწუხებული, პოლიტხელს რომ არ მიჰყავდა უეუმზე, დანა პირს არ უხსნიდა. ავალიანს რომ არ უპირებდა წაყვანას, ეს არაფერია, მაგრამ მე, მის ადიუტანტს, არც კი შემხედაო.

ციოყივით ვერ გაუბედა სარდალს, მე პოლიტხელის ადიუტანტი ვარო ეთქვა. უფრო ის აწუხებდა და სწყენდა, რომ პოლიტხელმა არ წააყენა თავისი ადიუტანტი, თორემ სარდალი და კაპიტანი როდიონოვი უარს არ ეტყოდნენ. ნუთუ ყორშიამ მეც შემიბრალა იმ სვანივით?!

ადიუტანტი ოცი წლისა იყო, ფიცხი და ცოტა პატივმოყვარე. იდგა დამცირებული და დაუფარავი საყვედურით იყურებოდა გზისაკენ.

კოჩა ყორშია სიბნელეში არ ჩანდა. ადიუტანტს სიმწრის ცრემლი მოადგა თვალებზე. არა. ახლა პატივმოყვარეო-

ბისაგან არ გრძნობდა თავს დამცირებულად, შეურაცხყოფილად. გულადი იყო, იმ ოცეულის არც ერთ ჯარისკაცს ტოლს არაფერში დაუდებდა.

ბატალიონის სხვადასხვა ასეულებიდან შეარჩიეს ჯარისკაცები და პოლიტხელის ადიუტანტი დატოვეს. შემიბრალა, ნამდვილად შემიბრალა. კინაღამ დაიყვირა და შიშით მიმოიხედა. თვითონ გაუყვა სიკვდილის გზას, მე კი დამტოვა.

დაუცადა გაელვებას და ბარათს დახედა. დაინახა ბარათზე დაწერილი მისამართი: ფოთი. ლენინის ქუჩა. „კოლხიდმშენი". მხოლოდ ამ სიტყვების წაკითხვა მოასწრო. ისევ დაუცადა გაელვებას: ტარიელ ქარდას — ეწერა ბარათზე. ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პოლიტხელმა დაინდო. გადაწყვიტა, გამოვუდგები, ვთხოვ წამიყვანოსო, მაგრამ გაახსენდა, რომ პოლიტხელი სამხედრო დისციპლინის დღღვევას არ აპატიებდა და არც წაიყვანდა...

მთელი კილომეტრი ისე გაიარეს, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუციათ.

— რატომ უთხარი ჩემზე საყვედური, სარდალს?! — დაარღვია ბოლოს დუმილი ყორშიამ. იცოდა, ციოყ ავალიანს საყვედური არ უთქვამს, მაგრამ უკმაყოფილო იყო მისი, ძალით რომ წამოაყვანინა თავი.

— მე საყვედური არ მითქვამს, ამხანაგო პოლიტხელო!

— აბა, რა უთხარი?!

— ოცეულში არ მივყავარ-მეთქი.

— ოცეულს სარდალი ადგენდა.

—თქვენთან და კაპიტან როდიონოვთან ერთად.

— არ იცი, სად მივდივართ?!

— თქვენ რატომ უთხარით სარდალს, უღელტეხილებზე მივლიაო?! — ნიშნის მოგებით მიუგო ციოყ ავალიანმა.

— ასე იყო საჭირო, ციოყ!

— თქვენ უღელტეხილებზე არ გივლიათ.

— გამოგიტყდები, ციოყ, არ მივლია.

— სარდალს მართალი არ უთხარით.

— ასე იყო საჭირო, ციოყ, — გაიმეორა ყორშიამ.

— გასაგებია.

ციოყ ავალიანი კოლხეთის ჭაობების დედაარხს თხრიდა, მაგრამ სატვირთო მანქანის საჭესთან მიჯდომაზე ოცნებობდა. ამ წადილის ასრულებას კოჩა ყორშია პირდებოდა. პარტორგი საფიცარი კაცი იყო ციოყისათვის.

შოფრობაზე მალე აიცურა გული. ექსკავატორისაკენ გაუწია სულმა. უნდოდა მის ბერკეტებს დაუფლებოდა და ბარით კი არა, ექსკავატორის ციცხვით ეთხარა დედაარხი. უშგულში, ამ მაღალმთიან სოფელში დაბადებული და გაზრდილი, მანქანაზე, ტრაქტორზე და ექსკავატორზე ჭკუას კარგავდა.

პარტორგი დრაგერად მომზადებასაც პირდებოდა. ამ დროს ომი დაიწყო. კოჩა ყორშიასთან ერთად ციოყიც წავიდა ჯარში. როგორც სვანი, სამთო-მსროლელ ნაწილში განამწესეს.

ჰიტლერელთა პირველ სამთო-მსროლელ დივიზიის ბატალიონთან ხელჩართულ ბრძოლაში კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონის ასეულის მეთაური ვალენტინ ზაიცევი მძიმედ რომ დაიჭრა, შედრკა შეთხელებული ასეული.

მაშინ პოლიტხელი კოჩა ყორშია თვითონ წარუძღვა ჯარისკაცებს. პირველი ციოყ ავალიანი ამოუდგამ ხარში ყორშიას.

იბრძოდნენ ხიშტით, კონდახით, ავტომატით, დანით, მუშტით. სისხლით ირწყვებოდა მიწა. სანამ მტერმა უკან არ დაიხია, ციოყ ავალიანი არ მოშორებია პოლიტხელს.

არ მოშორებია მაშინაც, კოჩა ყორშიას გვერდით ყველა რომ დაეცა. არ მოშორებია მაშინაც, როცა დაიჭრა.

ტყვია წიოდა და ზუზუნებდა გარშემო.

„ჩვენ არ მოგვხვდება ტყვია, ჩვენ არ მოგვხვდება ტყვია", — ცდილობდა თავის დაჯერებას ციოყი. შეპყრობილი იყო ამ იმედით, ამ აზრით. მაგრამ

ტყვია მეორედაც მოხვდა. გიმნასტურა სისხლით შეეღება. მსუბუქად დავიჭერი. მესამე ტყვია ნამდვილად ამცდება. კვლავ იიმედებდა გულს, პოლიტხელის გვერდით მიდიოდა. ის მიდის. მას არ ხვდება ტყვია. მეც უნდა ვიარო. არ ეშლებოდა ფეხი, არ ღალატობდა გული.

ყორშია ხედავდა, გრძნობდა, ფეხდაფეხ რომ მიჰყვებოდა სვანი. ისიც დაინახა, ციოყის წაბაძვით, როგორ გამხნევდნენ სხვებიც.

მტერმა ველარ გაუძლო შეტევას. განერიდა ხელჩართულ ბრძოლას, დაიხია, სროლით იგერიებდა ასეულს.

პოლიტხელს არ გამოპარვია ციოყის მეორედ დაჭრა. გაბრუნდიო, ეუბნებოდა, მაგრამ სვანს, თითქოს არ ესმოდა მისი ხმა...

ნაპრალის ნაპირზე ახლაც ერთად მიდიოდნენ მხარდამხარ. გაიელვა. გრგვინვამ გაირბინა შავად ჩამოწოლილ ცაზე. თავზე გადაევლო ორივეს და ნაპრალში ჩაიჭრა.

ოცეულის სანისტრუქტორი, ცხრამეტი წლის ქალიშვილი ვერა ნედელკო მიჰყვებოდა. კრასნოდარის ბრძოლებში ჰქონდა მიღებული ნათლობა. ცეცხლის ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილები, ან იქვე უხვევდა ჭრილობას.

ბატალიონის ჯარისკაცები და მეთაურები მოხიბლული იყვნენ ნედელკოს სილამაზითა და სიმამაცით. ისე მოხდენილად ედგა ტანზე გიმნასტურა, ისე მჭიდროდ ერტყა წელზე ქამარი, ისე კოხტად ჰქონდა დალაგებული უკან გიმნასტურის კალთის ნაკეცები, თვალს ვერ მოაშორებდი. თეძოებზე ასევე კოხტად ჰქონდა შემოტმასნული ქვედა მოკლე კაბა. ქირზის დაბალყელიან ჩექმებიდან მაღალი წვივები მოუჩანდა.

ქალიშვილური სითამამით ცდილობდა ტანის გამოჩენას, იცოდა თავისი სილამაზის ფასი, ტანით უფრო იტაცებდა თვალს, ვიდრე სახით. თუმცა სახითაც ეშხიანი, მიმზიდველი იყო. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა ბატალიონში, პოლკშიც, ჯარისკაცებიცა და ოფიცრებიც, უმცროსი ლეიტენანტიდან დაწყებული, პოლკოვნიკით დამთავრებული. უხაროდა, თავი მოსწონდა, ეამაყებოდა, მაგრამ ამას არავის აგრძნობინებდა, ზედმეტ ქათინაურს არავის აბედვინებდა.

ამავე დროს, ყველასთან თავაზიანი და კეთილი იყო, ამის იქით მისი გულისაკენ ჯარისკაცსა და ოფიცერს, გადაკეტილი ჰქონდა გზა.

იმ ხელჩართულ ბრძოლაში პოლიტხელის მხარდამხარ მიმავალი ციოყ ავალიანი მეორედ რომ დაიჭრა, ვერა ნედელკომაც დაინახა. მაშინვე მიეჭრა და მხარში ამოუდგა...

ახლა პოლიტხელსა და ციოყ ავალიანს უკან მიჰყვებოდა უეუმისაკენ. ორივეზე უკმაყოფილო, განაწყენებული იყო. პოლიტხელზე იმიტომ, რომ სარდალს მართალი არ უთხრა. სვანზე კი იმიტომ, რომ ერთი თვის წინ, იმ ხელჩართულ ბრძოლაში ძლივს შეუნარჩუნა ორგან დაჭრილს სული, სვანს ჯერ კიდევ კარგად არ ჰქონდა მოშუშებული ჭრილობები და ასეთმა კაცმა, რომელსაც წესით სანბატიდან გამოწერის შემდეგ შვებულება უნდა აეღო, ძალით გააგზავნინა თავი უეუმზე.

ამ მოყინულზე და მოლიპულზე, ზედ რომ შავი ღრუბლები დაჰყურებდა, ჩექმით კი არა, ალპინისტური, დაჭედილი ფეხსაცმელით გაუჭირდებოდა გამოცდილ მთასვლელს ფეხის გადადგმა.

ამ უბედურებას, საჭურვლის სიმძიმეც ემატებოდა: ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარა, ნაღმსატყორცნი, ვაზნები, უძილობა, უჭმელობა, ყინვა, ქარი, სიბნელე, დაღლილობა, ვაი და უი.

ანდედ მიდიოდნენ. მიჩოჩავდნენ, ყინულზე მიბობღავდნენ, თოვლში მიაბოტებდნენ, ერთმანეთს აკავებდნენ, ამაგრებდნენ.

მოჩვენებებს ჰგავდნენ. ცივი, სიმწრის ოფლით დანამული საცვალი ტანზე ეწებებოდათ. არაქათგამოლეულებს,

თოვლ-ფიფქი სულში უძვრებოდათ, თვალები უცივდებოდათ.

უეუმის ქედი ერთი შეხედვით ორ ნაბიჯზე იყო. ხელის მისაწვდომბზე, მაგრამ იმდენი ასავალ-დასავალი, მისახვევ-მოსახვევი, ნაპრალი, ღრანტი და თხემი ედოთ წინ, რომ გზა ათწილ უგრძელდებოდათ.

შიშობდა პოლიტხელი, ვაითუ, უეუმის ზურგში გასვლა, კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონის იერიშის დაწყებამდე ვერ მოვასწროვო.

„უეუმზე მდგარ ეგერთა ბატალიონს, თავისი ნაწილები თუ მოეშველნენ, როდიონოვის ბატალიონს მუსრს გაავლებენ, — ზარივით რეკავდა პოლიტხელის გონებაში მღელვარე ფიქრი. — უნდა მოვასწრო გასვლა და ხეობის ჩაკეტვა“.

პოლიტხელი და სვანი კვლავ წინ მიდიოდნენ.

ვერა ნედელკო უკან მიჰყვებოდათ. წვიმების კუნთები სტკიოდა, სტკიოდა მხრები, წელი, კისერი. სიარული აღარ შეეძლო, მაგრამ პოლიტხელი მიდიოდა, ციოყ ავალიანი მიდიოდა, ჯარისკაცები მიდიოდნენ, მასაც უნდა ევლო.

ტკივილისაგან, სიცივისაგან, სიმწრისაგან ეტირებოდა და ვერ ტიროდა. ვერ ტიროდა იმიტომ, რომ იცოდა, ქვითინი წასკდებოდა. ქვითინი არ უნდა გაეგონათ ჯარისკაცებს. არ უნდა გაეგონა პოლიტხელსა და ციოყ ავალიანს.

თურმე შეიძლება ტირილის შეკავება, ქვითინის შეკავება. თურმე სიარულიც შეუძლია. აკი მიდის, სული უდგას, ფიქრობს, აზროვნებს, ტკივა, ცივა, იცის სად მიდის, რისთვის მიდის. უნდა აარ-ოს, უნდა მივიდეს.

მივლენ კი, გავლენ კი? უნდა გავიდნენ. როდის? შუაღამე გადავიდა. გზა არ ილევა. კინაღამ წამოიყვირა... ყვირილის შეკავებაც შეიძლება თურმე.

გონება ერეოდა, ქანაობდა, გზა და კვალიც ერეოდა. ირწეოდა. მასთან ერთად მთებიც ირწეოდა, ცაც ირწეოდა, ხეობაც ირწეოდა.

რა მემართება?! ხომ მივდივარ, ხომ მიმაქვს სული. ეს მას, პოლიტხელს მიაქვს ჩემი სული, იმ სვანს მიაქვს ჩემი სული, ჩემს უკან მომავალ ჯარისკაცებს მოაქვთ ჩემი სული. რატომ არ ჰგზავნის პოლიტხელი მზვერავებს?! თვითონ მიდის წინ მზვერავად...

გაცდნენ უეუმის ქედს.

პოლიტხელს ციოყ ავალიანი უწევდა მეგზურობას. შეუმჩნევლად, რომ ოცეულს არ დაეანახა. ჯარისკაცებს უნდა გონებოდათ, რომ მეთაური თვითონ უკვლევდათ გზას. ახლა კოჩა ყორშია მათთვის მეთაურიც იყო და პოლიტხელიც, მამაც და ძმაც. ოცეული მისი იმედით მიდიოდა ჯოჯოხეთისა და ეშმაკის გზაზე.

პოლიტხელს ენდობიან. იგი არ შეცდება. არ შეშინდება. არ დაიღლება. არ გაიყინება. ტყუილად კი არ დანიშნა სარდალმა უფროსი ლეიტენანტი, პოლიტხელი, ოცეულის მეთაურად.

„კარგი ქნა, ციოყმა, რომ სარდალს თხოვა, — ფიქრობდა კოჩა ყორშია კმაყოფილებით, — მე კი საყვედური ვთხარი. ციოყი რომ არა, სადმე გადავიჩეხებოდი. ოცეულსაც გადავჩეხავდი. შევცდი. არ უნდა მეთქვა სარდლისათვის უღელტეხილებზე ნავალი ვარო. ციოყმა მიხსნა. გამოუსწორებელ დანაშაულს ჩავიდენდი, უეუმის ზურგში რომ ვერ გავიდოდი. ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონს უკლებლივ ამოწყვეტდდა მტერი, ზურგიდან მოსული მაშველი ნაწილების დახმარებით“.

ქარმა ღრუბლები გადარეკა. ცა მოისარკა.

გამოჩნდა მთვარე.

გაანათა უეუმის ქედი.

ეგერთა ბატალიონს ეძინა, მხოლოდ გუშაგები იყვნენ ფხიზლად...

უეუმის ქედს ზურგში მოექცნენ.

ციოყ ავალიანი პოლიტხელს იმ ხეობისაკენ უკვლევდა გზას, რომელიც ეგერთა მეხუთე ბატალიონს თავის დივიზიასთან აერთებდა.

ხეობა ღრმა იყო. მდინარე პატარა, ვიწროკალაპოტიანი, მაგრამ მის გასწ-

ვრივ ახლად გაჭრილი გზა — ფართო. ხეობის კედლები — დაქანებული.

აქეთა კედელში ალაგ-ალაგ ძველი, პატარა გამოქვაბულები იყო გამოჭრილი. ისეთი მცირენი და დაბლები, ორი კაცი გაჭირვებით დაეტეოდა. გამოქვაბულებს შესასვლელთან ვიწრო შვერილი ეკრა.

იქითა კედელი დაბზარული იყო. ნაბზარი მსხვილ ძარღვებათ აჩნდა სიგრძე-სიგანეზე.

გაეხარდა კოჩა ყორშიას, იფიქრა, გამოქვაბულებში ჩავსხამო რამდენიმე ჯარისკაცს, დანარჩენებს კედლის თავზე ხაროებში და ოღროჩოღროებში... ზედ თავზე დავაჯდებით ხეობაში შემოსულ მტრის მაშველ ნაწილებს და ადვილად გამოვთოფავო.

წინა წამოშვერილი გამოქვაბულები შეარჩია.

პოლიტხელმა და სვანმა შუა გამოქვაბულები დაიკავეს. კოჩა ყორშიას იქიდან უნდა ეხელმძღვანელა ოცეულისათვის.

ვერა ნედელკო ზედ პოლიტხელისა და ციოყ ავალიანის გამოქვაბულის თავზე დარჩა ხაროში, რომ ჯარისკაცებზე თვალი სჭეროდა და დროზე მიხმარებოდა დაჭრილებს.

ოცეული ისვენებდა, სულს იბრუნებდა, გათოშილ ხელ-ფეხს იზილავდა, ხელისგულში მოქცეულ, გაზეთის ქაღალდში გახვეულ წეკოს აბოლებდა. ვისაც არაყი ჰქონდა, თითო-თითო ყლუპს სხვებს უნაწილებდა...

ეგერთა ბატალიონი უცებ წამოიშალა. აირ-დაირია. ეტყობოდა, გუშაგებმა გვიან შეამჩნიეს პირვით ამომავალი კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონი.

ორივე მხრიდან ერთდროულად ატყდა იარაღის ზათქი, ისროდნენ ქვემეხებიდან, ტყვიამფრქვევიდან. ქვევიდან, უჟუმის ქედიდან.

პოლიტხელი და სვანი გაფაციცებით უგდებდნენ ყურს სროლის ხმებს. უნდოდათ გაეგოთ, რა მანძილით იყო მიახლოვებული ვლადიმერ როდიონოვის ბატალიონი უჟუმის ქედის მისადგომებთან. მის ძირთან იყო მისულ-მოსული კალთაზე ადიოდა.

— შორს რომ იყვნენ, ჩვენები შეტევას არ დაიწყებდნენ, — უთხრა კოჩა ყორშიამ ციოყს.

სროლა მატულობდა, ძლიერდებოდა და ხშირდებოდა.

ცივ კედელს ზურგით მიკრული პოლიტხელი და სვანი გაითოშნენ. სიარულისას ისე ძლიერ არ გრძნობდნენ ყინვას, როგორც ახლა, უძრავად მჯდარნი. ძვალში, ძარღვებში ისე გაუჯდათ სიცივე, სუნთქვა უჭირდათ, კანკალს ძლივს იკავებდნენ.

სვანის ყური მიჩვეული იყო მთებისა და ხევხუვების ხმებს, ექოებს. ახლაც ნათლად გაარკვია სროლის ხმები, მათი მიმართულება, სიძლიერე — სისუსტე.

— სროლის ხმა უჟუმის კალთიდან ისმის, — უთხრა პოლიტხელს.

— ასეა, — დაუმოწმა კოჩა ყორშიამ. — იერიში დაიწყო, ბატალიონი ქედზე ადგის.

სროლა ადვილად გასარჩევი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ უჟუმის კალთაზე ამავალ კაპიტან როდიონოვის ბატალიონისა და გერმანელ ეგერთა მეხუთე ბატალიონის მხრიდან სროლის ხმები ერთმანეთს სწრაფად უახლოვდებოდა.

გამოჩნდა უჟუმის ქედზე თეთრი და შავი კვამლის ბოლქვები, აიწეწდაიწეწა, სხვადასხვა ფერი შეიკიდა მთვარის შუქით სხვადასხვა მხრიდან განათებულმა.

პოლიტხელი და ციოყ ავალიანი კარგად ხედავდნენ, როგორ აირ-დაირია მტრის ბატალიონი. ნამძინარევი ნაცისტები, არაფრით რომ არ ელოდნენ ამ შუაღამისას, ასეთ ამინდში ქედზე წითლების ამოსვლას. თავზარდაცემულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

თოვლიდან ატყორცნილი მთვარის შუქით გაბრწყინებული იყო მიდამო, მაგრამ ეგერები მაინც ისროდნენ გამანადგურებელ რაკეტებს, რომ დაენა-

ხათ საიდან უშენდნენ ნაღმებს, რა ბნელ ვიწროებითა და ხრამებით ამოდიოდნენ მოიერიშენი. რაკეტები კარგად ანათებდა იმ ვიწროებისა და ხრამების სიღრმესა და სიბნელეს, იქიდან ამომავალ ჯარისკაცებს.

ჰიტლერელები ამ შუქზე ადვილად პოულობდნენ კაპიტან ვლადიმერ როდიონოვის მებრძოლებს და მიზანში იღებდნენ. დაჭრილები და მოკლულები ზოგი იქვე ეცემოდა, ზოგი ვიწროებში და ხრამებში იჩეხებოდა, ზოგი ტრიალ-ტრიალით გორდებოდა ძირს, თან მოჰქონდა ღორღი და თოვლი.

ოცეულების მეთაურები თავის ჯარისკაცებს მიუძღოდნენ — ქართველებს, რუსებს, სომხებს, უზბეკებს, აზერბაიჯანელებს, ბელორუსებს, ყაზახებს.

— ჩვენები უჟუმის შუა კალთაზე არიან, — სიხარულს ვერ ფარავდა ციოყ ავალიანი. გამოქვაბულის მრუმეში ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაგრამ პოლიტხელი გრძნობდა, რა აღგზნებით უელავდა სვანს თვალები.

— ასე სწრაფ იერიშს არ ველოდი, ციოყ, — უთხრა კოჩა ყორშიამ. მის კილოში არ იგრძნობოდა ოფიცრის. უფროსის ოფიციალური კილო. სიხარულით გულანთებულმა უთხრა, როგორც თანატოლს, მეგობარს, ერთბედქვეშ მყოფს.

ცაზე ვარსკვლავები კაშკაშებდა. მთვარე თითქოს განგებ აგვიანებდა უჟუმის ქედიდან გადასვლას, რომ გზა გაენათებია კაპიტან ვლადიმერ როდიონოვისათვის, მისი ბატალიონისათვის.

გახშირდა ტყვიების წივილ-ზუზუნი და ნაღნების სკდომის ზათქი, ზედიზედ იჭრებოდა მაღლა აფეთქებებით ავარდნილი კლდის, ნამქრისა და კვამლის შავი ზვინები.

სანინსტრუქტორი ვერა ნედელკო ზევიდან დროდადრო აღტაცებით ჩამოძახებდა ხოლმე პოლიტხელსა და ციოყ ავალიანს — გესმით, რა ჯიქურად ამოდიან ჩვენებიო. ცხვირ-პირში ყინულივით ცივი ქარი სცემდა და არ იცოდა, ესმოდათ თუ არა მისი ხმა ქვევით. თავს მაინც ვერ იკავებდა, გაცივებისაგან დაბოხებული ხმით იძეორებდა, — გესმით, რა ჯიქურ ამოდიან ჩვენებიო.

ხაროებში ჩამჯდარი, ოღროჩოღროებში ჩამალული და გამოქვაბულებში შეფარებული ჯარისკაცები უყვიროდნენ ერთმანეთს, გესმის, ძმობილო, რა მალიად ამოდიან ჩვენი ბიჭებიო, მაგრამ გაცოფებული ქარი პირიდან სტაცებდათ სიტყვას და სროლის ზათქთან, წივილთან, ზუზუნთან და გრუხუნთან ერთად სადღაც ჯანაბაში მიაფრენდა. ჯარისკაცები კი ისე იყვნენ სიხარულით აღტაცებულნი, სჯეროდათ, რომ ესმოდათ ერთმანეთის.

გახარებულ ვერა ნედელკოს აღარ ახსოვდა, როდის დაიწყო იერიში და რამდენი ხანი გავიდა მას აქეთ. წარამარა ახედავდა მთვარეს, რომ მისი გადანაცვლებით გაეგო დრო.

ღამის მანათობელს აღარ შეეძლო მეტი დაყოვნება, ნელა გაუდგა თავის გრძელ გზას. ასე მოეჩვენა სანინსტრუქტორს. მთვარემ თავისი ვალი მოიხადა მამაცი მეომრების წინაშეო. კმაყოფილებით გაუღიმა ღამის მეუფეს, თუმცა იგრძნო, ღიმილი არ გამოუვიდა. სახე სიცივისაგან გაქვავებული ჰქონდა.

ის იყო მთვარე გადაიხარა და ჩრდილი უჟუმის იმ მხარეს დაეცა, საიდანაც ბატალიონი ამოდიოდა, რომ ხეობის დასაწყისში, ქედის უკან გერმანელთა მაშველი ჯარი შემოიჭრა.

— მოდიან, — წამოიძახა მოლოდინით გულგადალეულმა კოჩა ყორშიამ.

— დადგა ჩვენი ჯერი, — უთხრა სვანმა და გამოქვაბულის ზღურბლზე ავტომატი წინ დაიდო.

ეგერთა მეხუთე ბატალიონის კაპიტანმა ციგლერმა შეატყო, ვერ გაუმკლავდებოდა იერიშიზე ქაჯებივით ამომავალ მოწინააღმდეგეს და დივიზიის შტაბს დაუკავშირდა, არიქათ, მომეშველეთო.

მთვარე ახლა ხეობას ადგა.

კოჩა ყორშიას ოცეული კარგად ხე-

დავდა იქ შემოჭრილ მტერს. ჰიტლერელები, სადამდეც შესაძლებელი იყო, მანქანებით მოისწრაფოდნენ.

არავის აზრად არ მოსდიოდა, რომ თავზე მარტო მთვარე კი არ ადგათ, კედლის ზევით, ხაროებში, ოღროჩოღროებში და თვით კედლის გამოქვაბულებში ჩასაფრებული და შემამული საბჭოთა ჯარისკაცები დაცქეროდნენ და მათ მოახლოებას უცდიდნენ.

— ბევრნი არიან, ციოყ, — უთხრა კოჩა ყორშიამ სვანს.

— ჰო, ბევრნი არიან, მაგრამ თუ ტყვია და გრანატები გვეყო, არ გავუშვებთ უჟუმისაკენ, — მშვიდად და დარწმუნებით უთხრა სვანმა. გულში კი შიში ედგა, როგორ შევაკავებთ კბილებამდე შეიარაღებულ ამდენ ჯარისკაცსო, — დავიწყოთ.

— ჯერ არა. უფრო მოახლოვდნენ.

ძრავებსა და საბურავებს ხეობაში ისეთი გუგუნ-ზრიალი გაუდიოდა, ოცეულს ეგონა, კედლები ჩაინგრევა და თან წაგვიტანსო. ჯარისკაცებს ავტომატების სასხლეტზე ედოთ თითი. პოლიტხელის გასროლის ნიშანს ელოდნენ.

გუგუნ-ზრიალი მატულობდა, სწრაფად ახლოვდებოდა. როცა მთვარის შუქზე გარკვევით გამოჩდნენ რუხფარაჯიანი გერმანელები, კოჩა ყორშიას ავტომატის საკეტმა გაიტკაცუნა და მაშინვე აკაკანდა ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ტყვიები.

გადმოცვივდნენ მანქანებიდან ჰიტლერელები, ჩაიმსხვრა ქარსაცავი შუშები, აირია ყველაფერი, მანქანები ერთბაშად შედგა, უკანა წინას შეასკდა ზოგან, აფეთქდა და ცეცხლის ალში გაეხვია.

მტერი ერთბაშად ვერ მიხვდა, საიდან ესროდნენ; ჯარისკაცები ზაზე წვებოდნენ, კედლის ძირში; ვისაც ცეცხლი ეკიდა, მდინარეში შერბოდა, წყალში ეშვებოდნენ, ცეცხლს იქრობდნენ, მდინარეში ამართულ მაღალ ქვებს ეფარებოდნენ.

გადმოხტნენ კაბინებიდან ოფიცრები. წელში სამად მოხრილები წინ გაიქცნენ, რომ გაეგოთ, რა ხდებოდა, რატომ შეიკრა გზა, ვინ ესროდათ, საიდან ესროდათ, მაგრამ ტყვიების სეტყვაში მოხვდნენ და უკან დაიხიეს. იფიქრეს, უჟუმი აუღიათ წითლებს და იქიდან ჩამოსულები გვესვრიანო.

მაგრამ ეს ფიქრი მაშინვე უკუაგდეს. უჟუმზე გააფთრებით იგერიებდნენ ციგლერის ბატალიონის ეგერები ქედზე ამომავალ როდიონოვის ბატალიონის იერიშს. მიხვდნენ, უჟუმის შემოვლით ზურგში შემოპარული წითელარმიელები ესროდნენ. გადმოაღებინეს ჯარისკაცებს ნაღმსატყორცნები, დაზგის ტყვიამფრქვევები და ცეცხლი დაუშინეს კედელს.

დენთის მხრჩოლავი სუნით, ჭვარტლითა და კვამლით გაივსო ხეობა. ნაღმები წივილით მიქროდა კედლისაკენ, გრუხუნით სკდებოდა, ხრიალით ეშვებოდა ძირს კლდის ნახეთქები. კვამლი კვამლს, ჭვარტლი ჭვარტლს ემატებოდა, სქელდებოდა, შავდებოდა, ხეობას ფარავდა.

გერმანელები ვერ ხედავდნენ გამოქვაბულებს, ალალბედზე ისროდნენ ნაღმს იმ მიმართულებით, საიდანაც ტყვიას უშენდნენ.

ერთი ნაღმი კოჩა ყორშიას ზევით მაინც შევარდა გამოქვებულში და აფეთქდა. გამოქვაბულის წვრილი და მსხვილი ღორღი მძიმედ ჩამოცვივდა პოლიტხელისა და სვანის გამოქვაბულის წინ.

— ნაჭყებიას გამოქვაბულს მოხვდა, — შეიცხადა ციოყ ავალიანმა.

პოლიტხელს ეგონა, ჰიტლერელები მიზანში ისროდნენ, ზუსტად ახვედრებდნენ დამიზნულს და შეფიქრიანდა: ასე თუ გაგრძელდა, ყველა გამოქვაბულს აგვიფეთქებენო. არა. შეუძლებელია ასეთ თვალშეუდგამში მიზანს მოახვედრო. შემთხვევით მოხვდა ნაჭყებიას გამოქვაბულს ნაღმი, — დაიმშვიდა გული.

ნაღმტყორცნელთა ბატარეა უნდა მოესპოთ. რანაირად?! ვერ ხედავდნენ

მას. ცეცხლმოდებული მანქანების შუქი ვერ ატანდა კვამლსა და ჭვარტლში. გადაწყვიტეს ხელყუმბარები დაეშინათ ასევე ალალბედზე, როგორც გერმანელთა ბატარეა ესროდა ნაღმს. არ ჰქონდათ იმდენი ხელყუმბარა, რომ ათში ერთი მოეხვედრებინათ მიზანში.

ნაღმი კოჩა ყორშიას და სვანის გამოქვაბულის შესასვლელთან მოხვდა კედელს. მოცდის დრო აღარ იყო. სასწრაფოდ უნდა ჩაეჩუმებიათ ნაღმტყორცნელები, მაგრამ ბატარეა უცებ თვითონ გაჩუმდა, გზიდან გადავიდა.

გზაზე ტანკი მოჰქროდა. შეიჭრა ერთმანეთზე შემსკდარ, გადაბრუნებულ და ცეცხლმოდებულ მანქანებში, აქეთ-იქით მიყარ-მოყარა, მერე წინ გასწია. მუხლუხებით თელავდა, სრესდა, ჭყლეტდა ყველაფერს, რაც ქვეშ ხვდებოდა.

ტანკი უკან მომავალ ჯავშანტრანსპორტიორებს უწმენდდა გზას.

პოლიტხელი და სვანი ტანკს ვერ ხედავდნენ. გრძნობდნენ, ესმოდათ, რომ ხეობაში რაღაც შეიცვალა, გზაზე რაღაც წარმოუდგენელი დატრიალდა. ხეობა ძაგძაგებდა ქვემეხის ზათქით, ტანკის მუხლუხოების ხრჭიალით და დგან დგარით.

ვერ დაინახეს, როდის შემოვიდა ხეობაში ტანკი. ვერც ის დაინახეს, რომ მას ჯავშანტრანსპორტიორები მოჰყვებოდა.

უცებ ხეობის თავზე მანათობელი რაკეტა ავარდა და დღესავით გაანათა ყველაფერი, რასაც კვამლი, ჭვარტლი და ცეცხლი არ ფარავდა: ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორები, ჯარისკაცები და ოფიცრები.

მაშინვე აკაკანდა და აზუზუნდა გამოქვებულებში და კედლის თავზე ტყვიამფრქვევები, ავტომატები.

— იგორ კოჩურას რაკეტაა, — წამოიძახა ციოყმა. — მან გაგვინათა ხეობა.

პოლიტხელი და სვანი წელსზევით გადაეყუდნენ გამოქვაბულის შესასვლელს. კვამლში და ჭვარტლში ტანკის ჯავშანს შეჰკიდეს თვალი.

ტანკი პირით კედლისაკენ იდგა და გამოქვაბულებს ესროდა. მალე მოათავებდა თავის საქმეს, არც ერთ გამოქვაბულს არ დატოვებდა აუფეთქებელს, შეტრიალდებოდა და წინ გასწევდა, წაიყვანდა უკუმისაკენ ჯავშანტრანსპორტიორებს.

ოცეულიდან რამდენიმე ჯარისკაცი ისროდა. ზოგი გამოქვაბულიდან, ზოგი ხაროდან. სხვები ჩაჩუმდნენ. ან ტყვიები და ხელყუმბარები გაუთავდათ, ან ამოწყვიტეს.

„გაიჭრება ტანკი, გაიყვანს ჯავშანტრანსპორტიორებს. გზა უნდა ჩავუხერგოთ, — გამალებით ფიქრობდა პოლიტხელი და გაღმა კედელს გასცქეროდა.

კედელს ახლა რაკეტის მოციმციმე შუქზე გარკვევით აჩნდა განაბზარები, მსხვილ ძარღვებივით რომ გასდევდა სიგრძე-სიგანეზე. იგი გამოღმა კედელივით მტკიცე და სალი არ იყო.

— გაღმა კედელი უნდა ავაფეთქოთ, — უთხრა პოლიტხელმა სვანს. — მისი ნარღვევით გზა ჩავუხერგოთ ტანკს.

— რანაირად?!

— რამდენი ხელყუმბარა დაგრჩა?

— ოთხი.

— ხუთი მე მაქვს.

— მერე?! — ვერ მიხვდა ციოყი, რას აპირებდა პოლიტხელი.

— ერთად შევკრათ ოთხი, ერთად ხუთი და გაღმა კედელს ვტყორცნოთ. უსათუოდ ჩამოწვება. ბზარებს შეხედე. საკვირველია, რომ აქამდე არ ჩამოწვა.

სწრაფად შეკრეს ხელყუმბარები.

ტანკი კვლავ ესროდა გამოქვაბულებს. კედლის ნასკდომი ხათქა-ხუთქით ეშვებოდა ქვევით, მდინარეში და გზაზე ცვივოდა. მდინარე გუბდებოდა, გზა ვიწროვდებოდა. ნასკდომი გრუხუნით ეცემოდა ტანკის ჯავშანს.

ციოყი ხელყუმბარის კონით ხელში შვერილზე გავიდა.

□ გაგრძელება იქნება □

მირონ ხერბიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიელი თავისი სიტყვის პატრონია

„ცასთან ახლო მდებარე ქვეყანა“... ლამაზი და თვალგულისმომტაცი სვანეთი... კლდეთა ლოდებზე ნაძვები ყელყელობენ, ცადაწვდილი თეთრი მწვერვალები ისე ახლოს რიალებენ, გგონია ხელს მიაწვდენ და თავზე საყვარლად მოეფერები... ხოლო კოშკები რიხხვად შემართულ მუშტებს გაგონებენ: მირანგულას ხევდიანი აღსასრული თუ ჩაგაფიქრებს გარდასულ დღეებზე. ამ დროს კოშკებიც წელში იმართებიან, მათ არსებობას მეტი აზრი ეძლევა; ოსტატთა და ხელოვან-აღმშენებელთა მიმართ კი მადლიერების გრძნობით ივსები, და ეს უშველებელი საცხოვრისები, საქართველოს მთიანეთის მასშტაბური და ლამაზი ფორტიფიკაციული კომპლექსები, თავდაცვით დანიშნულებას იძენენ და კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ — თავისუფლებას უნდა შესწირო ყველაფერი, კოშკებიც უნდა დაუდგა და მაჩუბებიც...

და შენდებოდა ეს სისტემები, ეს კომპლექსები, სამალავები, მურყვამები... ჩვენდა საბედნიეროდ, მართლაცდა რა შორს წავსულვართ, რომ იმ ძველი შუღლის წარმოსახვაც კი გვიძნელდება, მტრობის საფუძველი გაუგებარიც კი არის. კავკასიონზე სამტრო ბილიკები და წავარნები ვეღარც კი წარმოგვიდგენია. სამეგობრო კი, მათ რა გამოლევს, სამეგობრო ბილიკები უშჭარია, უამრავია.

შეიძლება ითქვას, რომ სვანეთი ტურისტებისათვის და არა მარტო ტურისტებისათვის, მცირე მექა წარმოადგენს. აქ იკვეთება მაღალ ინტერესთა ნაირნაირი სფეროები, სხვადასხვა მუზეუმებში რჩება განუმეორებელი შთაბეჭდილებანი და კეთილრჩევათა ხურვილები...

მთათა ქვეყანა უმკაცრეს გამოცდას აბარებს დღევანდელობას. მას კვლავ უხდება მამაპაპური შემართებულობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მამულიშვილური მრწამსის ხმობა, ძველი შესანიშნავი ტრადიციების გახსენება, რათა პირნათელი წარსდგეს ერის წინაშე, ერთიანი საქართველოს წინაშე...

* * *

მთელს რესპუბლიკაში ფართოდ არის ცნობილი საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 აგვისტოს დადგენილება „მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“, თუ რა შედეგები გამოიღო ამ ღონისძიებამ, ამის თაობაზე მრავალჯერ დაიწერა ჟურნალ-გაზეთებში. 1974 წელს, პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ დადგენილებისადმი მიძღვნილ სხდომაზე რესპუბლიკის გეოლოგიურმა სამმართველომ, ისევე როგორც სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, ითავეს შეფობა მესტიის რაიონისადმი, მათ ივალდებულეს მესტიასა და ლენტეხში ვეძებისა და სახმელი წყაროების ახალი მარაგის გამოვლენა და არსებულთა კეთილმოწყობა. კოოპტირება. ხიტყვას ხაქმე მობყვა, ხვანეთს ხპეციალური ხაბურდი დანადგარებით აღჭურვილი მანქანები მოადგა, ჩამოვიდნენ ამ ხაქმის ხპეციალისტები და გაჩაღდა მუშაობა. ვერაფერს გეტყვით. კვლევა-ძიებითი ხამუშაოების შესახებ, როგორ წარმართა იგი გეოლოგიის ხამმართველომ და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა მათი გარჯა ამ მიმართებით, რაც შეეხება ამ „კოოპტირებას“, ხამწუხაროდ ვერ გამოიღო ხასურველი ნაყოფი, იხ კი არადა, უნდა ვალიაროთ, რომ მათი მცდელობა ძალიან ცუდი. ყოვლად გაუმართებელი შედეგებით დამთავრდა.

ერთი სიტყვით, მანქანები მოზღვავდნენ, უამრავი მილებიც მოაყარეს და მეხტაიში ისტორიულად ცნობილი ლეგაბის შესანიშნავი მყავე წყლის ბურღვას შეუდგნენ. ჩვენი საუკუნისათვის დამახასიათებელმა ტექნიკურმა რევოლუციამ, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მთიანეთის მოსახლეობაზე იქონია — პათ შედარებით გვიან ნახეს თვითმფრინავი, ავტომობილანა, მოუსმინეს რადიოს, იგებმეს ელექტროენერგიის, თხევადი თუ გაზის საწვავის სიკეთეს; მოსახლეობამ იწამა მეცნიერების მიღწევები, ქვეშეცნეულად ამ დარგს სასწაულმოქმედად მიიჩნევდა და ამ მიმართულებით ყოველ ახალ წამოწყებას, ყოველ ახალ ნაბიჯს მიესალმებოდა. მხარს უჭერდა. ასევე იყო ახლაც. ლეგაბის ცნობილი მყავეწყლის კეთილმოწყობის დროსაც — მეცნიერებმა თქვეს, აქ შადრევანი უნდა ამოგიყვანოთო. იმჟამად ყველა მყავეწყლის მოშაყალ შადრევანზე ლაპარაკობდა. ახამდე მეტრზე ჩაბურღეს იმ ადგილას, ბურღვისას ტონობით დამხმარე კომპონენტები, სხვადასხვა ხსნარები და ნივთიერებები ჩალექეს და ბოლოს, როგორც იქნა, მართლაც ამოაფრქვევინეს მყავეწყლის შადრევანს. ძველი, მამაპაპური დაშრა, ახალმა კი ძალუმად იხეულა. ხალხმაც მოწონების ნიშნად ვაშაო, დაიძახა, და მოთმინებით დაელოდა, ვიდრე წყალი ამოყოლილი მინარევებისაგან დაიწმინდებოდა და დაწკდებოდა. ეს მინარევები კი ნავთობის ფენასავით მოედებოდა ჭურჭელს და დოსავით უნდა შეგებერა, რომ პირში არ ჩაგყოლოდა. წყალმა პირვანდელი გემო დაკარგა. მაგრამ ნუგეში ნუგეშად რჩებოდა და ჯერ არავინ არაფერს არ ამბობდა. ამავე დროს, იქვე, ორას მეტრზე, გეოლოგებმა მეორე ბურღიც ჩააგდეს, სკოლისთვის სასმელი წყალი უნდა მიეწოდებინათ. მაგრამ მოხდა საოცრება, უბრალო წყლის ნაცვლად იქაც მყავეწყალმა ამოხეთქა, დასკვნა ერთი იყო — ამ ადგილას მყავეწყლის მიწისქვეშა ტბა მდებარეობდა.

შადრევნები იფრქვევოდნენ, იმ გავრცელებული ხუმრობისა არ იყოს, ერთ ტელეკომენტატორს რომ მიაწერენ — „ხალხი ჰაერშია, ბურთი ღელავსო“ — შადრევნები იფრქვევოდნენ, ხალხი მოლოდინში იყო. ის ქაფიც თანდათან დაცოტავდა თითქოს, მაგრამ შეხეთ ერთ უცნაურობას, ამასობაში ვეძამ მეცნიერების მიერ ჩაყრილი მილები გამოხრა და შეჭამა, ისინი თანდათან გაიქუცნენ, და ჟანგი, ბუნებრივია, სასმელ წყალს შეერია. თუ კი ასე გაგრძელდებოდა, და ამაში, უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა, მოსხმარებელი ორ ტონამდე ჟანგს მიიღებდა „ვადასამუშავებლად!“ როგორი ამბავია! მართალია, ეს ისეთი თვალთუხილავი, შეუგრძნობი პროცესია, რომ „მაინცდამაინც არ ყვირის“, მაგრამ ადრე თუ გვიან ავბედითად რომ იჩენს თავს, ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. მაინც რითი დასრულდა ყოველივე? — იკითხავთ თქვენ—მილები სულ შეჭამა ვეძამ და კვლავ ძველებურად დაიდგარა და ჩაიფონა მიწაში ეგ შენი მოწონებული ტექნიკისა და მეცნიერების ახალი სიტყვა — შადრევანი! ერთი სიტყვით, მყავეწყალმა ხომ გემო დაკარგა და დაკარგა. თვითონაც სადღაც მოუსავლეთში ჩაკარგა. მერე კი ატუდა ერთი ბუზღუნი და უკმაყოფილება — ეგ დალოცვილები, რიღას მეცნიერები არიან, თუკი ის ველარ გაითვალისწინეს, რომ ვეძა ამ რკინის მილებს გამოხრავდაო. უკანგავი მილები ხომ უნდა ჩაეყარათო!

იმ ვეძას კი გეოლოგების წასელის მერე მაინც ვამოუჩნდა ნადი გულშემატკივარი! ეს გასლავთ რაიონის მოძრავ-მექანიზებული საამშენებლო კოლონის დირექტორი, ახალგაზრდა ინჟინერი, მეზობელი ზუგდიდის რაიონიდან სასუშაოდ მოვლინებული ტარიელ ბოკუჩავა.

— რომ გითხრათ, მთელი დღეები არ მძინებიაო ამ მყავეწყლის კეთილმოწყობაზე მოფიქრალს, მართალი არ ვიქნები, არც რაიმე სპეციალური პროექტები და ნახაზები შემიდგენია მის აღსადგენად, ტერიტორიულად იგი ჩემს უწყებას ემეზობლებოდა, აყრილ-დაყრილი, გაფერანებული მიდამო თვალში არ მომდიოდა; გარდა ამისა, რაც არ უნდა ყოფილიყო, მეც იმ გეოლოგების „მოდგმას“ ვეკუთვნოდი, როგორც ტექნიკური დარგის წარმომადგენლები, ასე ვთქვათ, კოლეგები ვიყავით! რაღაც უნდა მეღონა, რათა საერთო საქმეს შველებოდა. საზოგადოებრივ საწყისებზე, ნელ-ნელა მივყავი ხელი იქაურობის მოსწორება-მოსუფთავებას, მოკალაპოტებას. ვეძას სხვადასხვა მხრით მივუტრიალდი, ხან რა ვცადე, ხან — რა. მილიც კი დავუყენე ახალი, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ გამოიღო — იმასაც ჟანგი მოეკიდა. მაშინ ავდექი და რკინა პლასტმასით შევცვალე, თანაც ვეძა ჩავაბეტონე და მკვიდრად გადავხურე. ამ ხიახლეებმა — ჩვენმა ექსპერიმენტებმა გაამართლა. რეზერვუარი პერმეტიზირებულია, გაბინძურებისაგან დაცულია, პლასტმასის მილში საამოდ და გულმოსასვლელად მოჩუხჩუხებს წყალი. არც დაჟანგვისა გეშინია და გამძლეობიცაა, თუ არავინ ხელყო, არ გაფუჭდება. — თქვა ჩემთან საუბარში ტარიელმა.

— აქაურობასაც მზრუნველი ხელი ეტყობა, ეს ტერასებიც თქვენი მოწყობილია? — ვკითხე ტარიელს.

— ტერასებიც ჩვენ მოვაწყეთ, გარდა ამისა, ცალკე გამოვიყვანეთ და მოვაწესრიგეთ ჩვეულებრივი სასმელი წყალი. ხომ ხედავთ, ჩამოსასვლელის მხარეს აზბესტის მილიდან რომ მოჩუხჩუხებს; ვეძა ერთია, მაგრამ მოსახლეობას ამ უბანზე ჯერჯეროობით ძალიან უჭირს წყალი, ვედროებით ეზიდებიან საშინაოდ. ჰო და, ეს რომ არ ყოფილიყო, ძალიან გაუჭირდებოდათ...

— ერთი სიტყვით, ხალხის მადლი მოგისხამთ...

ტარიელს უსერხულად ეღიმება, რაც თანხმობასაც ნიშნავს და თავმდაბალი ადამიანის შეცხადებასაც — ეგ რა სათქმელია.

ბოლოს ამბობს:

— მაგრამ ჩვენცა გვაქვს ზოგიერთის მიმართ სამდურავი — თქვენ რომ ახსენეთ ტერასები, ბეტონის საყრდენი კედლები ლამაზი რომ დაჩენილიყო, მთლიანად მოვაპირკეთეთ, მარმარილოს ფილებით დავამშვენეთ, მაგრამ ხედავთ, აწყამად აქაურობა გაძარცული და გაუვლეფილია. ვიდაც ხელმრუდებმა პირწმინდად აყარეს და მოიპარეს; არ ვიცი, ნაპარავით საფლავების კეთილმოწყობახ თუ აპირებენ... ან იქნებ სხვა რამისთვის უნდათ, ვერ გეტყვით...

გულდასაწყვეტია, როცა შენ ადამიანებისთვის ირჯები და ისინი კი წყალში გიყრიან ამაგს. ხელშეწყობის ნაცვლად თვალებში ნაცარს გაფრქვევენ... ჩამოსული კაცი ვარ და მინდა რომ ყველაფერი, ასე ვთქვათ, ორიათასი მეტრის, ხვანეთის ფიზიკური სიმაღლის, მსოფლიო სტანდარტების დონეზე იყოს, აქაური ხალხი იმსახურებს ყოველგვარ სიკეთეს, ამიტომაც რაიმე უმსგავსობის მცირეოდენი გამოვლინებაც კი თვალში მეცემა ხოლმე და უსიამოვნოდ მზარავს...

— თქვენი სამომავლო გეგმები?

— ლიტონ სიტყვებად ნუ ჩამომართმევთ და — შენება და კვლავ შენება! მესტიის რაიონი ამჟამად უშველებელ სამშენებლო პოლიგონად მესახება, სადაც გასულ წლებში გასაკეთებელ საქმეებს ამჟამად ებმება თავი, განსაკუთრებით ეს ეხება ჩვენს უბანს. საქმე იმაშია, რომ მესტია-ზუგდიდის სამანქანო გზის, ტელევიზიისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის აჟიოტაჟმა უკვე ჩაიარა, მთელი საქართველო მონაწილეობდა იმ პროცესში და ერთიანმა ფრონტმა თავისი დადებითი შედეგიც გამოიღო; დღეს კი მეორადი ფაზა დაიწყო, მე ვიტყოდი, კიდევ უფრო საშური და მნიშვნელოვანი, ვიდრე პირველი. ის თავდაპირველი პროცესი შეიძლება შევადაროთ სახლის მშენებლობას — გონიერმა პატრონმა ჯერ გზები გაიყვანა მშენებლობის ადგილამდე, მასალები მოიმარაგა და შერედა ნაპყო ხელი მთავარ საქმეს, კედლების ამოყვანას, სახლის შიდა კეთილმოწყობას. დიახ, ამ გაგებით. სახლი კიდევ ასაშენებელია მესტიის რაიონში, თანაც კარგი, მყუდრო და გამძლისი, ამ კოშკების ტოლფერი სამომავლო შენობა, ასე უნდა ვიგულისხმოთ ყოველმა ჩვენგანმა. სახლს კი, მოგეხსენებათ, ათასი რამ სჭირდება — კარგი წყალმომარაგება, საბაზანო, ცენტრალური გათბობა, კეთილმოწყობილი სამზარეულო, მისასვლელი გზები, ვიწრო შუკები კი არა, ფართო, ქალაქურად მოასფალტებული; ჯერ ხომ ეს არ გაკეთებულა ხვანეთში. აქამდე ლაპარაკი იყო მესტია-ზუგდიდის გზაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ რაიონს შიდა კომუნიკაციების კეთილმოწყობაც სჭირია. გასაყვანია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. უშგულში ორიათას ორასი მეტრის სიმაღლეზე დღის ნათელივით ელოდებიან ამ სიკეთეს; ასაშენებელია ბავა-ბაღები, პურსაცხობები, სკოლები, სამაცივრო ნაგებობანი, საწყობები. ამავე დროს, მისახედია ყოველივე გაკეთებულიც; მოგეხსენებათ, ხარისხი ყოველთვის როდი შეესაბამება ხოლმე ჩვენს მოთხოვნილებებს. და ათასი რამ.. მოხდა ისე, რომ იმ დიდი კამპანიის მერე აქ სხვადასხვა რაიონებიდან მოყრილი ტექნიკისა და მუშახელის დიდი ნაწილი შინ გაილალა; დავრჩით, ასე ვთქვათ, „შინაურები და ყველაზე ახლობლები", ეს მცირე არმია არც თუ ურიგოდ საქმიანობს იმდროინდელთან შედარებით აბსტრაქტულ და შეუმჩნეველ უბანზე — მაღალმთიანი ხვანეთის სინამდვილეში პირველად შეუტიეს ადამიანებმა სულიერ მისწრაფებათა სამყაროს. დღეს დიდი და პატარა ათადან და ბაბადან მომდინარე ამ განუხორციელებელი ოცნების ახრულებისათვის იბრძვის...

პირადად, მეცა და ჩემი კოლექტივიც, ამ ფერხულში ვართ ჩაბმულნი. ადამიანი სულისმიერი პრობლემებისათვის რომ მოიცლის, ეს კარგის ნიშანია, მიხარია, რომ ამ პროცესის მონაწილე ვარ; ჩემს პატრიოტულ მოვალეობად ვთვლი, რომ ჩემი აშენებული ნებისმიერი ობიექტი, რა დანიშნულებისაც არ უნდა იყოს ივი, თანამედროვე მოთხოვნილებას უნდა პასუხობდეს. შეესაბამებოდეს ჩვენი პარტიისა და მთავრობის, ქართველი მშენებლების წინაშე დასახულ ხადღეისო ამოცანებს. ბოლოსდაბოლოს, ცენტრი, ასე თუ ისე, საგრძნობლად დაგვიახლოვდა, მეტი თუ არა, ხუთი საათით ნაინც! მხედველობაში მაქვს მესტია-ზუგდიდის ახალი სამანქანო გზის მწყობრში ჩადგომა. ეს კი ბევრ რამეს გვავალდებულებს. მე, პირადად, ამ აზრს ვადგიეარ — ვერც სტუმარმა და ვერც შინაურმა ვერ უნდა დამიწუნოს ნასელავი. „ალპები" ყურისძირში გვაქვს და უნდა მოვუაროთ მას დარსეულად...

გარდა მოქალაქეობრივი და პროფესიული მოსაზრებისა, ჩემთვის არის კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი ნიუანსი — რაიონი ამჟამად ხელმძღვანელობს. ასე ვთქვათ, ჩემუბნელი ადამიანი, ცხაკაიის რაიონის წარმომადგენელი, სოსო კარტოზია; ყველაფერს რომ შეეფშვათ, მე არა მაქვს მორალური უფლება, სიკეთით გულადგზნებულ მეზობელს მხარი მოვტეხო თავისი წრფელი ზრახვებისა და ოცნებების განხორციელებაში...

* * *

მაღლიდან ბარლიანი ოთხმოცს მიტანებული კაცია. მის თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ჟამთახელის ლედელუდეზე და-

ნარჩენი არაფერი დაჰკლებია. როგორ მოატანეო ოთხმოცს, ამას, ბუნებრივია, ვერ შეჰბედავ მოხუცს, ეწყინება, რატომ ვერ უნდა მომეტანაო. ისეთ პასუხს მოგაგებთ, ისეთნაირად გაგაქილიკებთ, ინატრებთ, ნეტავი ხმა არ ამომეღოო. მაღედანი ხალისიანი ადამიანი გახლავთ, იქნებ მის ამ მხიარულ ხასიათშიც უნდა ვივარაუდოთ ხანგრძლივობისა და სულიერი მხნეობის საიდუმლო?

ერთხელ მაღედანს შევბედე — ყველაზე დიდი სიამოვნება რას მოუნიჭებია თქვენთვის-მეთქი. მიპასუხა — შრომასო. მთიელი და ისიც წლებმოყრილი არასოდეს არ იკადრებს უკადრებელს, მის გულწრფელობაში ვერავინ დაეჭვდება. თავის ცხოვრებაში ყველაფერს რწმენით აკეთებდა, გულწრფელად მოსწონდა ან არ მოსწონდა. პირმოთნეობა არავისთან და არაფერში არ დასჭირვებია, ამაებზე აქ წარმოდგენა არავის არა აქვს, მით უფრო მაღედანის თაობისათვის სულმდაბლობა ჩინურივით გაუგებარია.

— მართალია, მხიარული ხასიათიც დამყვა ბავშვობიდანვე, მაგრამ ჯანმრთელობისა და მხნეობისათვის მთავარი მაინც საქმიანობაა და თანაც საუკარელი საქმიანობა, მოუვახისათვის რომ სიკეთე მოაქვს. ანდა, ყოველშემთხვევაში, ხალხს რაღაცაში არგია. გლოცავს ამ დროს ხალხი, გლოცავს და გლოცავს... ზოგი ხაკლავებს რო ერეკება საუდრებში, იმათ ცოდვაში დგება და ღმერთს ეაჯება — შემეწიეო. იმას არა ხჯობია, კეთილი მოიმოქმედო და ხალხმა უმსხვერპლოდ, უდავიდარაბოდ გლოცოს და გლოცოს? ბოლოს ეს ლოცვა სჭირს! ცუდადაც რო იყო, კარგად გახდები მა რა იქნება... ამიტომაც კაცი სულ ჯანმრთელი და საღხალამათი ხარ, მხნეობაც გაქვს და სულიერი სიმშვიდეც, იცოცხლებ მა როგორღა, უსამართლობა არ იქნება ასეთმა კაცმა დიდხანს არ იცოცხლოს? — ამბობს მოხუცი.

მაღედანის ფილოსოფიაში ჩვენთვის უცხო არაფერია, ქვეშეცნეულად მასში დიდი სიბრძნე გამოსჭვივის. ლოცვა თავისთავად რა ბედენაა, და ეს ალბათ ესმის მოხუცსაც, მაგრამ საქმიანობა, შრომა რომ მართლაც ჯანმრთელობის, სულიერი მხნეობის საფუძველია. ამაში ალბათ ვერავინ შეედავება, იგი კი ლამაზად, მხატვრულად გამოხატავს გულისნადებს — მლოცავდნენ და ხალხის აჯა კიდეც შემეწიაო. თქვას ეგრე მოხუცმა, თქვან სხვა კეთილი საქმის მოთავეებმაც ოღონდ კი სჯეროდეთ და სწამდეთ, რომ კეთილმოთავეობა ის მთავარი ღერძია ჩვენი არსებობისა, ურომლისოდაც ბინდისფერი იქნებოდა წუთისოფელი.

მართლაც უცნაური კაცია მაღედანი, უცნაური გატაცება დაჰყვა თავიდანვე — სოფელ ლაღამიდან რაც კი ბილიკი გაედინება, ყველა იმისი მოვლილ-ნაპატრონებია, მოსწორებული და შეკეთებულია, იმისი დაქელილი და ნაფერები. მართლაც ცოცხალ არსებასავით იმედიანობა დაანათლეს ადამიანებმა [illegible] უცხო მგზავრს უდაბურ ტყეში [illegible] და აი, მშველელად ლამაზი, თბილი, ახლობელი ბილიკი მოდის. არ არსებობს უშინაარსო, უმიზნო და უაზრო ბილიკი დედამიწის ზურგზე. ყველა მათგანს თავისი კეთილი მიზანდასახულება, თავისი სწრაფვა, განსაკუთრებული მიმართულება, თავისი საშოქმედო არეალი აქვს მინეული, ყოველი მათგანი განსაკუთრებულ ამოცანას ასრულებს...

მთაში, სადაც რთული გეოგრაფიული და ბუნებრივი რელიეფის გამო ორიენტირება გაძნელებულია, ბილიკებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მითუმეტეს ისეთ ხალხმრავალ რეგიონში, როგორიც სვანეთის მაღალმთიანეთი გახლავთ, სადაც ათასი ჯურის მოგზაურებს უშველებელი აბლაბუდა დაუწნავთ სვანეთის კავკასიონზე....

ამ ადამიანთა ბილიკების შემოქმედი გახლავთ სწორედ მაღედან ბარლიანი. მილალავს დილაუთენია საქონელს მთაში და მისი თვალი და მზერა ადამიანთა ამ ერთგული თანამგზავრებისადმი — ბილიკებისადმია მიპყრობილი. ჩანზლვლეულს ეფერება, თავზე ხელს უსვამს, ნაპირს ფიქლის ქვებით უმაგრებს, მუჯრათი — რკინის წვეროიანი ხელჯოხით მიწას უშვავებს, ტკეპნის და ასწორებს. თუ ჩარეცხილია წვიმისაგან, ქვის ყორე ამოპყავს. გაზონებს აკეთებს და მიწით ავსებს. ბილიკიც მზად არის. „სარემონტო სამუშაოებს“ გულიანად ასრულებს, არც დაფინანსება სჭირდება, არც ნახაზების შედგენა და არც დიპლომი, აი, მურაკის ტოტი ბილიკზე ჩამოწოლილა, თუ გადააწვინა კარგია. მაგრამ ვინიცობაა ვაჯიუტდა, ხელცულა ამუშავდება, მისი მოკრა აუცილებელია. წინ მიიწევს მთებისაკენ ტყეების, ხეობების, ბუნების დასტაქარი და ამ უცნაური საქმიანობით გართულს საქონლის გონიერი ამობლავლება თუ გამოარკვევს მოსალამოვებულზე — შინ წასვლის ჟამიაო, თითქოს შეახსენებს ერთგული პიროტყვი თავის პატრონს და მაღედანის სამუშაო დღე იწურება...

დღე იწურება, მაგრამ საქმე კვლავ მრავალია, ახლა სხვა მხრითაც უნდა მიხედვა ბილიკებს, ვაბადევარი ათასია, მორიგეობით უნდა გალალოს მოხუცმა საქონელი, რომ იქაურობასაც მოუაროს თავის დროზე...

— რამდენჯერ გამიდევნებია ხოლმე ერილოში ჩამომჯდარს ჩრდილოეთიდან გაღმოსული ტურისტებისათვის ქმაუოფილებით აღსავსე მზერა — დაღლილ-დაქანცულნი წეროებივით ვაბაწრულები მიბლატუნობენ ბილიკზე და ალბათ გულში ლოცავენ მის შემოქმედს. უკრან ტყეებსა და ქანჩახებზე, ქარაფებსა და ხეობებზე გაედინება იგი, მაგრამ კარგად მოვლილი სამანქანო გზასავით უსაფრთხო და მიხანდოა. გულმისასვლელია არც ზურგჩანთა გამო-

ედება კლდეთაშვერილებს და არც საწვიმრები წამოეხევიან უშნოდ ჩამოფხლაშული ხეთა ტოტებზე, ღრიანკალივით ძრომიალი აღარ სჭირდებათ ადამიანებს, მიდიან თავისუფლად, წელში გამართულები. მიდიან და ლოცავენ... — ახლაც, ამ წუთშიაც ისეთი ბედნიერი შუქი ჩახდგომია თვალებში მაღედანს, როგორიც ალბათ მაშინ, იმ უცხო ადამიანების ლოცვა-ღაღადისს რომ აყურადებდა...

— ხანდახან გავეხუმრები ხოლმე ჩემს ძმისშვილს, ბიძინას, ხახლების ინჟინერია, და იმისი დაწესებულების ნებართვის გარეშე მშენებლობა ვერავის გაუბედავს, მეც გამომიყავით-მეთქი მცირეოდენი ხახხრები ჩემი შრომისათვის, მეუბნება — გაზომე ყველაფერი, მოგვიტანე და შევაფასებთო. გასაყიდი შეშა ხომ არ არი, რო გავზომო და მოგიტანო-მეთქი — ვპასუხობ; ერთ დღესაც მუხლი გამოშალეთ და თქვენ თვითონ დაპკვლიეთ იქაურობას-მეთქი, კარგიო, როდისმე წამოვალთო... გულში ვფიქრობ — არ ჩანან ესენი იქ წამომსვლელები, თორე ამდენი მიპატიჟება რაღაში დასჭირდებათ-მეთქი. მე ის მინდა, რომ ახალგაზრდებმა ჩემს გვერდით გაიარონ ამ ბურიანებში, თორე რომ აზომავ რაღაცას და აწონ-დაწონი, იმას რაღა მადლი აქვს. თუ დააყვედრი ვისმეს... მერე ვიღა დაგლოცავს, დაგლოცავს კი არა, იტყვის — თავისი ჯიბისათვის გაისარჯა, ჩემთვის არაფერი უკეთებიაო. ჩემი ბილიკები კი ხალხისთვის დავქელე, სამომავლოდ დავწანი, რათა გამვლელ-გამომვლელმა მადლობა თქვას და როცა ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, შეხანდობარიც გადამიქციოს, რათა ამ ბებრუხანა მთებსა და ბალაღებს მრევლი არასოდეს შემოაკლდეს, ადამიანის გარეშე ერთადერთი ადგილი ვიცი, ქვესკნელი და საიქიო და ყველა იმას გაურბის, ეს მადალი ბილიკები კი აშორებს ადამიანებს იქაურობიდან...

უცნაური კი ის არის, რომ მაღედან ბარლიანისთვის, ამ მოუსვენარი, მშრომელი ადამიანისათვის არასოდეს არავის დაუვალებია, გინდა თუ არა ასე მოიქეცი და ეს გააკეთეო.თავისი ანდე და გუმანი ჰკარნახობდა, შემართავდა სახიკეთოდ, წინაპართაგან გარდმოსული და გადმოცემული მაღალადამიანური გრძნობა-განცდანი მეურვეობდნენ და წარმართავდნენ მის ხულსა და გონებას; იგი ცხოვრებისეული კანონზომიერებით ხელმძღვანელობდა, წუთისოფლის უჩუმარ დადგენილებებს აყურადებდა და ისე მოდიოდა თავის გზაზე. მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სიკეთის ქმნა ქვეყანაზე, რათა ადამიანებს დაელოცათ მისი ნახელავიცა და თავადაც ამ ნაქმნარის შემოქმედი და ავანსავანი. ყველაზე მეტად იმისი სჯეროდა და სწამდა მაღედანს — რომ ეს მადლიერთა ლოცვა უშველიდა, შეეწეოდა მასა და მის შთამომავლობას. სამომავლო გზას გაუნათებდა და გაუციხროვნებდა მის საკვარეულოს სოფელ-ქვეყნად.

* * *

სანუკვარ გმირებზე სიმღერებს ამ ბოლო დროს ერთიც შეემატა — „კლდის ვეფხისადმი“ მიძღვნილი! სადღეგრძელოებიც დაბევრდნენ „კლდეზე, ჰაერში, გზასა და წყალში“ დაღუპული ჯილების, კარგი ვოუების — „ხოჩა ღვაეერეს“ მოსახსენიებლით, რომელთაც როგორც მთაში და მწვერვალებზე თავის ამხანაგებს, კვლავაც ყოველთვის მიხეილ ხერგიანი წინამძღოლობთ. ვაუას სტრიქონებს იმეორებენ ნაბდისჭუდიანები — „ათას ცოცხალსა ბევრჯელა, ასჯერ ხჯობს ერთი მკვდარია“ — ამ „ასჯერ მჯობთ“ ყანწით ადღეგრძელებენ ისინი. რათა მოყმეთა სახელი და დიდება ძირს არ დაეცეს. მიხეილ ხერგიანიც ცოცხალია აქაურ მკვიდრთა გულებში — მისი საქმენიც აციხროვნებენ მთათა გარეშემოს, ამ საქმეთა კეთილი ანაბზინი ახალიხებს თავისუფალი ხვანეთის კავკასიონს... ყოველივე ეს ყველაზე ნათლადაა გამოკვეთილი მესტიის რაიონში ახლახან დამკვიდრებულ თანამედროვე დღეობაში, „ხერგიანობა“ რომ ეწოდა და მიხეილის სახელთან არის დაკავშირებული. იგი ყოველწლიურად ივლისის თვეში, მიხეილის გარდაცვალების პერიოდში იმართება და მთელი რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბსაც კი იღებს, რადგან აქ ჩამოდიან მიხეილისა და საერთოდ ვაუკაცური სპორტის — მთამსვლელობის თაყვანისმცემლები. საქართველოსა და ხვანეთის ძველი და ახალი მეგობრები. ამიტომაც არის, რომ „ხერგიანობა“ ერთგვარი გამოცდაა, ჩვენება-გამოფენაა ყოველივე ხაუკეთესოხი, ძველისა და ახლის, და, ამავე დროს, უახლესისაც, ამ ბოლო წლის მანძილზე მიღწეულის და მომავალში მისაღწევისას. ამიტომაც დღეობა თავისი ხასიათით სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს. რაიონი ფართო აუდიტორიის წინაშე, ადგილობრივი მკვიდრნი კი საკუთარი სინდისისა და მოქალაქეობრიობის წინაშე, აჯამებენ თუ რა გაკეთდა, რა წვლილი გაიღო და რა გეგმები აქვს მომავლისათვის...

— ეს დღეობა არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ აღძრავს მაღალ იდეალებს კაცური კაცის ლამაზი, სწორედ რომ ხერგიანსეული აღსასრულიც კი, როგორ ადუღაბებს და ძნასავით კრავს იგი თანამოძმეთ, შემართავს მათ სახიკეთოდ, ხაგზირო ხაქმეებიან მოსაქმედებლად... — ამბობს ამ დღეობასთან დაკავშირებით პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი სოხო კარტოზია — გარდა ამისა, ჩვენ ხაშუალება გვეძლევა ამ დროს ფართო ანგარიშით წარვხდგეთ მთელი რესპუბლიკის წინაშე და ხალხსა მეურნეობის ყველა ხფეროში ახალი მიჯნები დავსახოთ და, ამავე დროს, საჭირო კო-

რეჭტივები შევიტანოთ ჩვენს საქმიანობაში, ჩვენი ხალდი სიტყვა ვუთხრათ ხალხს, იმისიც მოვისმენოთ და გავაანალიზოთ ჩვენი ძალები და საშუალებანი, სამომავლო გზები მოვინიშნოთ. აქ თქმული დაპირება უცილობლად შესრულდება — მთიელი ისედაც თავისი სიტყვის პატრონია, მაგრამ „კლდის ვეფხის“ დღეობაზე ნაქადნევს, მოკვდება და აღასრულებს. მსგავსი ნაშუალება ხალხთან თვითანგარიშსა დღემდე რაიონს ნამდვილად არ გააჩნდა...

იმ წელს პირველად ეყრებოდა საფუძველი „ხერგიანობას“. რაიონის მოსახლეობამ უსახყიდლოდ მოაასფალტა გზა მიხეილის სახლ-მუზეუმამდე. კეთილმოწყო იქაურობა, ყველა წვრილმანი გაითვალისწინა. ხოლო ერთი რამ გამორჩა ყველას — სახლ-მუზეუმს სჭირდებოდა შესაფერისი განათება. ხალხი გვიანობამდე დარჩებოდა აქ, მითუმეტეს რომ მიხეილისადმი მიძღვნილ კინოფილმების ჩვენებას აპირებდნენ, განათება: კი აუცილებელი იყო. ლამპიონები, სამწუხაროდ, რაიონში არ აღმოჩნდა, ზუგდიდშიაც სათუო იყო იმათი შოვნა, ისეთ კაცს უნდა ეთავა ამ საკითხის მოგვარება, ვინც კარგად იქნებოდა გარკვეული საქმის ავანჩავანში. მაგრამ ვინ იყო ასეთი?

და კვლავ ენთუზიასტი! — იგი აღმოჩნდა სვანეთის მემატიანის, დიდი ბესარიონ ნიკარაძის შთამომავალი, ამჟამად ცხაკაიას მკვიდრი გიგლა ნიკარაძე — ზუგდიდის მოძრავ-მექანიზებული სამონტაჟო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი. როცა გაიგო, რომ განათების პრობლემა იყო მოსაგვარებელი, არავის უთხოვნია, ისე მიეჭრა რაიონის ხელმძღვანელებს და თავისი დახმარება შესთავაზა — საღამოსთვის ყველაფერი წესრიგში იქნებაო. — დატოვა მან ამბავი და ზუგდიდისაკენ გაეშურა. ხალამოს მართლა ეშხი დაედო იქაურობას. არა და რა იქნებოდა მოსასფალტებული და კეთილმოწყობილი ეზო-კარი, მუზეუმის ხაგამოფენო დარბაზი და ვიტრინები ამ ნაირფერადი ლამპიონებისა და ლიფლიფების, — თანამედროვეობისათვის უცილობელი კომპონენტის გარეშე?

— ჩვენი მოძრავ-მექანიზებული უბანი აქ სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს. ასე ვთქვათ, ვეხმარებით მეზობლებს. როცა პირველად ეს საკითხი დადგა ჩვენს ტრესტში, ბუნებრივია ჩემი კანდიდატურა იქნა დასახელებული და შერჩეული. ეს დიდი პატივიც იყო და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაც. ემსახურებოდე მშობლიურ კუთხეს, დიასაც რომ ხაამაყო და სასახელოა, მაგრამ კარგად რომ მოემსახურო, ამისთვის მარტოოდენ ენთუზიაზმი როდი კმარა, — მადარდებდა მასალითა და საჭირო მანქანა-იარაღებით მომარაგების ამბავი. ვაი თუ შევფერხებულიყავით და დასახული მიზანი ვერ შეგვესრულებინა? რა იქნებოდა მაშინ? მოყვასის მომთხოვნელობა ყოველთვის მეტია ბოლმე და რას იტყოდნენ, თუ ცოტ ემედს ველარ გავუმართლებდი? ამ ფიქრებით [illegible] მესტიის რაიონს, მე და ჩემი ბიჭები ამ გრძნობით გამოვდივართ ყოველდილაუთენია სეტის მეავეწყალთან, ჩვენს სახელდახელო ბირეაზე, სადაც ასევე სახელდახელოდ ისახება საიმდღიანო გეგმები და ამოცანები და საიდანაც ობიექტების მიხედვით ვეწაწილდებით, რათა ხალამოს შესრულებულისა და გაკეთებულის, აგრეთვე მუშაობის პროცესში წამოჭრილი სიძნელეების შესახებ კვლავ ასევე ერთად მოვითათბიროთ და მათი დაძლევის გზები დავსახოთ.

— რას ატყობთ, როგორი პირი უჭირს წლევანდელ სეზონს? — ჩემს შეკითხვაზე გიგლას დიმილი გაუკრთა სახეზე — ჩემს ადრეულ განწყობილებაზე უკვე მოგახსენეთ. პასუხისმგებლობის გრძნობა მაშინებდა-მეთქი, მაგრამ შიშს დიდი თვალების გარდა შინაგანი გამოძახილიც ჰქონია... ღვთის წყალობით, ასე თუ ისე, მუშაობა უკვე ავაწყეთ, და ახლა თამამად შემიძლია იქით შევუცაცხანო აქაურ მშენებლებს — მომეცით სახლები, ობიექტები, დაწესებულებანი, რამდენიც გინდათ მომაყარეთ, შიდა კეთილმოწყობა და მონტაჟი ჩემი საქმე იყოს. თქვენი ხმალი და ჰა, ჩემი კისერი-მეთქი!

* * *

ილიკო გაბლიანი ერთ-ერთი იმათთაგანია — რომ ამბობენ — „ასჯერ სჯობს ერთი მკვდარიო“. დღეს ილიკო გაბლიანს — გამარჯვების პიკის მიხადგომებთან, შვიდი ათასი მეტრის სიმაღლეზე დაუდევს ბინა და იქიდან გადმოსცქერის დიად ხამყაროს უსასრულობას. იმის უკვდავსაყოფად მულახელმა ახალგაზრდებმა, მესტიის კომკავშირის რაიკომის მხარდაჭერით „შინმოუსვლელის“ მშობლიურ სოფელში გმირის სახელობის სპორტული კომპლექსის მშენებლობა განიზრახეს. მათი მთავარი, შეიძლება ითქვას, ერთადერთი იარაღი ენთუზიაზმი იყო. ამიტომაც პირველ ხანებში ამ საქმეს ყველა ეჭვით შესცქეროდა, მაგრამ ეს პირველ ხანებში, მერე და მერე კი როცა შენობა დაპროექტდა, ხაძირკველი გაითხარა, და მშენებლობისათვის გამზადდა ყველაფერი, ჯიუტი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა მთელი რაიონი. ყველა მიხვდა, რომ კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ბორის კახიანი წამოწყებულ სვრელს მაინც გაიტანდა ბოლოში. სულის გამართვა კი ხამშენებლო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ეხებოდათ პირველ რიგში, იმათ ვისაც ფონდებიცა და ხახსრებიც მოეძებნებოდათ და დახმარების რაიმე ფორმით გაწევაც ძალუძდათ ბორისი მართლა სასწაულებს ახდენდა რაიონში და არა მარტო რაიონში, მთელს რესპუბლიკაში იყო ცნობილი მესტიის ახალგაზრდების სახახელო საქმეები, მათ საკუთარი ინიციატივით იმუ-

შავეს დედაქალაქში ოპერის თეატრის აღდგენაზე, ააშენეს მიხეილ ხერგიანის სახელობის კლუბი — „ბეთქილი" მელხურას ულამაზეს სანაპიროზე, მესტიაში; აშენებდნენ გურამ თიკანაძის სახელობის სპორტულ კომპლექსს სოფელ ლატალში, კომკავშირულ ქალაქს ბორის ძნელაძეში, ლენტეხელ თანამოძმეებთან ერთად შექმნეს შესანიშნავი სვანური საცხოვრებელი კომპლექსი მურუყვამითურთ — ყველაფერი ეს ბორისსა, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ საწყისებზე შეძლო. იმჟამად კი ჯერი ილიკო გაბლიანის კომპლექსის მშენებლობაზე მიმდგარიყო. არის ხოლმე პერიოდები, როცა რაიონებში საამშენებლო მასალების დეფიციტი იქმნება, ამ დროს დამარების ხელს გარედან თუ ვინმე გაგიწვდენს, მაგრამ თუ კი „გარეთაც" გამძაფრებულია სიტუაცია? მსგავსი სიტუაცია სუფევდა იმ სეზონშიაც ჩვენს რესპუბლიკაში, დედაქალაქით დაწყებული და რაიონებით დამთავრებული მთელი საქართველო ერთ ხაამშენებლო ობიექტად გადაქცეულიყო, განახლების სიომ ძალუმად დაპბერა ყოველგნით, სანახევროდ შესრულებული, წინა ხუთწლედებით გათვალისწინებული გეგმები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში ახლაღა ხორციელდებოდა, ხარაჩოები ცისკენ მიიწევდნენ, ყოველი აგური, სამშენებლო ბლოკი და მუშტა ქვა, ცემენტის ყოველი ტონა სანატრელი გამხდარიყო ამ საქმის მესვეურთათვის, ყველას თავისი გეგმები ჰქონდა, გულში წინა წლებში დაკარგულის ანაზღაურება ეწადა და მკლავებს იკაპიწებდა, რათა ამ საერთო-სახალხო მოძრაობის ფონზე თვითონაც გამოჩენილიყო...

მეტად ძნელი პერიოდი დასდგომოდათ ახალგაზრდა მშენებლებს. მესტიის პარტიის რაიკომის სხდომაზე ხელმძღვანელები შეახსენებდნენ ხოლმე სამშენებლო ორგანიზაციათა მესვეურებს, რომ მულახელ ახალგაზრდობის წამოწყებულ საქმეს მათის მხრიდან ერთგულება და თვალის მიდევნება სჭირდებოდა, მაგრამ ამაზე შორს ვერ მიდიოდა მათი ხმამაღალი გულისთქმა — ყველამ უწყოდა, რომ თვით ამ ორგანიზაციებსაც მძიმედ აწვათ მხრებზე საკუთარი გეგმები, იმათი შესრულებისათვის აგებდნენ უპირველესად პასუხს და რაიმე ახალი თაოსნობა შორეულ ოცნებად ესახებოდათ.

საჭილდაო ქვა კი გამომწვევად იდო მოედანზე!

პირველი მასთან მისვლა მიხეილ ქალდანმა გაბედა — მულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა პირველმა დაარღვია გამეფებული მდუმარება...

— ეს იყო პრესტიჟის საქმე, — ამბობს ახლა იგი, — მართალია, ამ საქმეში პირველ რიგში სამშენებლო ორგანიზაციებს მართებდათ ხელის გამოღება, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, საერთო საქმე ვინ დაანწევრა, ყველას ერთნაირად ეხება იგი ამ ქვეყანაზე. საშური ხანრუნავები ზვინებივით გველაგა თვალწინ, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. საკუთარი მუსლების იმედზე ვრჩებოდით. გულში ვფიქრობდი, ჩვენებური კაცისათვის მუხლებს არასოდეს უმტყუნებიათ და რაღა მაინცდამაინც ეხლა მოირღვევიან-მეთქი. მეურნეობის საერთო კრებაზე ყველამ დაუჭირა მხარი ამ გადაწყვეტილებას — სპორტული კლუბის მშენებლობის საქმეში ყველას ერთნაირად უნდა გამოგვეღო ხელი. გამოვყავით ცემენტი. მანქანებით მივზიდეთ ლამი და ქვა, დავხერხეთ ხე-მასალა... ახალგაზრდობას მხარში ამოუდგნენ ჩვენი მეურნეობის გამოცდილი მშენებლები და საქმე წინ წავიდა...

ხხვა რომ არა ყოფილიყო რა, ილიკო გაბლიანი ჩვენსოფლელი გახლდათ. ესეც გვავალდებულებდა პირველობას...

— პირველობას საერთოდ თუ ეხოლოდა ამ საქმეში? — შევაწყვეტინე საუბარი მასპინძელს.

— საერთოდაც, რა თქმა უნდა! ისეთი სახელები, როგორიცაა ილიკო გაბლიანი. გურამ თიკანაძე, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და სხვები, აღარას ვამბობ ამჯერად „კლდის ვეფხვზე" დღენიადაგ მეწინავეობას გვიკიჟინებენ, მეწინავეობას ქვეყნისა და ხალხის ჩამსახურში, ერის სიყვარულში, და ჩვენ არა გვაქვს უფლება გულთან არ მივიტანოთ იმათა ღაღდინი, და შრომით მწვერვალებს იმათსავით გულაღზნებით არ შევუტიოთ, ჩვენი გრძნობა და გონება არ მივაყოლოთ... მე მხოლოდ ერთ ფაქტს მოვიყვან ჩემი ნათქვამის საილუსტრაციოდ — გასული 1979 და მიმდინარე წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკურ-სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ რაიონებს შორის მულახის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაც არის დასახელებული. ჩემი მუშაობის თოთხმეტი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა როდია, შეიძლება ითქვას, მეწინავეობა ტრადიციად ვაქციეთ. ამაში კი ზემოთ რომ ჩამოვთვალე იმ ადამიანებს ცოტა წვლილი როდი მიუძღვით...

* * *

ლატალის თემის სოფელ ლახუშდში, რომელიც მძვინვარე ენგურის გაღმა ნაპირზე, ულამაზესი ტყეებისა და პირმზითების უბეში მდებარეობს, უცნაურ მოვლენას აკვირდებოდნენ აქაური მკვიდრნი. აქაფებული მდინარის თავზე გადებული ხიდი დაძველდა, ადამის ეამინდრო-ინდელი საყრდენი მორები, რა ხანია, დალპა. მცირედი დაუდევრობა, უზუსტობა, მოუზომლობა და ადვილი შესაძლებელი იყო მდინარეს ერთ წუთში ჩაებრძანებინე მოუსავლეთიხკენ... მაგრამ ხიდი ყოველთვის საჭირო იყო, რათა სოფელს ჩვეულებრივი სასიცოცხლო კავშირ-

ურთიერთობა ხქონოდა გარესამყაროსთან. ერთი სიტყვით, ამ ხიდს ლახუშდელებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა. და როგორც კი ძველი საყრდენი ბორები ჩალეპებოდა, საქმის გამაიოლებელნი ახლებს დაწყობდნენ მაღლიდან, დაკოჟავდნენ, დაფიცრავდნენ და აი ახალი, გარეგნულად უზადო ხიდიც მზად იყო. ასე უცნაურად ამაღლდა ჩვენი ხიდი. მან ახალი განზომილება, ახალი, მეტად უცნაური პარამეტრიც შეიძინა — სიგრძე საგანესთან ერთად გუჩნდა სიმაღლეც! ასე წარმოიქმნა ზემოთ ჩვენს მიერ ხსენებული დამპალ-დაყანთრებული ფიცრების რამდენიმე შრეც. კეთილი და პატიოსანი, ახალი ხიდის წინაღმდეგი ვინ იქნება, მაგრამ ბოლოს დგება ერთი მომენტი, როცა საქმის გამაიოლებელთა შედეგი არასასურველ ასპექტში იჩენს თავს — ხიდი, როგორც უკვე ითქვა, სიმაღლეში იზრდება, ძირდამპალი ხეები ადგება სამანებსა და გზათა ნაპირებს, სადღაც ჰაერში დაკიდებული, თავის დედა-საძირკველს გარიდებული ავბედითად ყანყალებს ციხიერეთში...

ასეთი სურათის მოწმენი შეიქმნენ ამ რამდენიმე ხნის წინათ ლახუშდელები, ისინი უსაძირკვლო, ჰაერში ჰამაკივით მოთამაშე ხიდზე სიკვდილ-სიცოცხლეს ეთამაშებოდნენ. შინაგანად ყველა გრძნობდა, რომ აქ რაღაც ცუდი ამბავი დატრიალდებოდა, და ეს გრძნობა დღითიდღე ცხოველდებოდა და მძაფრდებოდა. რაიონის- ხელმძღვანელობის ყურამდეც მიაღწია ლახუშელთა გასაჭირმა, თანაც შემოდგომის სეზონი, მოსავლის აღება-დაბინავების ჟამი ახლოვდებოდა, ვინ სულელი ენდობოდა, შეშითა თუ თივა-ანეულით დატვირთულ ხარებს ვინ უღვთო გალალავდა გაღმა ნაპირზე. აქაც თავი კვლავ სოფლის ენთუზიასტებმა გამოიჩინეს მარლენ რატიანის ხელმძღვანელობით. მისმა ძმამ ზოსიმემ, ბიძაშვილებმა — ტრისტან, ბოჯოლ და ელგუჯა რატიანებმა საჭილდაო ქვისკენ წაიწიეს... იმჟამად ყველას პირზე ეკერა იმ ხიდის ამბავი, და მშენებელთა საქმიანობას მწვერვალთ დამპყრობთა ამბავივით კითხულობდნენ, ყველას აინტერესებდა საქმის ვითარება და ხალამოობით შინ მობრუნებულ ხალხალამათ მშენებლებს რომ დაინახავდნენ, „თქვენი ჭირიმეო“ — ლოცავდნენ გულში.

— მართლაც რომ ბენეზე მივუსწარით ლახუშდელებს, თორემ ის წინასწარგრძნობა, ყველა რომ თავისთვის ფიქრობდა გულში, აქ უბედურება დატრიალდებაო, მართლაც ახდებოდა, — მიამბობს ჯგუფის ხელმძღვანელი მარლენ რატიანი. — ჩვენ რომ სამუშაოდ გამოვცხადდით, იმ დღეს სამგლოვიარო პროცესიამ, ის-ის იყო, გაიარა ხიდზე, უკან ჩამორჩენილებს კი რაღაც ბედად ჩვენ თვითონ ავაჭარებინეთ ნაბიჯი, ალბათ გული გვიგრძნობდა ბოსახდენს, თორემ ახლაც ვერ გაგვიგია, რა გუმანმა გვიკარნახა იმათი დაცაცხანება; ხო და, ეს შენი აკოკოლავებული, რამდენიმე წყებად ჩამპალი და აყროლებული ხიდი, ამ ხალხს და ჩვენს თვალწინ, თითქოს საგანგებოდო, ერთიანად ჩაიალეწა ენგურში, ხერხით რომ ჩაგეჭრა კიდეები და თანაც ერთდროულად, ისე მოწყვეტით ჩავარდა, ჩაექანა და ჩაიხვეტა აქაფებულ მდინარეში. არ არსებობს ვარიანტი, ასიდან მეასედი პროცენტის იმედიც კი, რომ იქ ჩავარდნილმა ადამიანმა ნაპირზე გამოაღწიოს... შევუდექით საქმეს, ბიჭებმა მოვითათბირეთ და ჩვენი გადაწყვეტილება ბალხსა და ხელმძღვანელობაა ვამცნეთ.

— ლახუშდის ხიდის მშენებლობა პირველი არ იქნება ალბათ თქვენთვის... — შევაწყვეტინე მარლენს საუბარი. მან მომიგო:

— სვანეთში რამდენი სოფელი და მდინარეცაა, მეტი თუ არა, იმდენი ხიდი მაინც არის. ყარდა ამისა ძრავლად გვხვდება ბოგირები, უფრო ხშირად მდინარეთა სათავეებში, სადაც იგი მონადირეების, მეთევზეების, მწყემსებისა და მოგზაურებისათვის არის განკუთვნილი. მთის მდინარეები კი, მოგეხსენებათ, ერთნაირად საშიშნი არიან სათავეშიაც და შუაწელშიც. ლახუშდისა კი თავისი რელიეფური მდგომარეობით განსაკუთრებულად რთული გახლავთ, მაგრამ არც სხვა ხიდები ჩამორჩებიან მაინცდამაინც...

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხიდების მშენებელ ინჟინრებს ამზადებენ თურმე. კარგი იქნებოდა, რომ სვანეთში გამოეშვათ ისინი ბლომად, იქნებ ის ძველი, ბის მოფამფალებული ხიდები უფრო თანამედროვე, ფართო და უსაფრთხო რკინის ხიდებით შეეცვალათ. მაშინ ამდენი გაწამაწია, უბედურება და ყოველ ოთხხუთ წელიწადში ერთხელ სახსრების ფლანგვაც აგვცდებოდა, ასცდებოდა ჩვენს სახელმწიფოს, ადამიანები კი სხვა საქმეებით დაიტვირთებოდნენ, მუშახელი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებს მიაშურებდა.

მშრომელი კაცის ფილოსოფია ყოველთვის ჯანსაღია. მისი თვალსაწიერი კი ყოველისმომცველი და მრავლისმეტყველი, ათასგზის შეჯერებული საერთო სატკივარსა და აზრთან, შეწონასწორებული სინამდვილესთან — მარლენ რატიანის მსჯელობა ამ შემთხვევაში სწორედ ასეთად მესახებოდა. იგი ხალხის საერთო სატკივარს გამოხატავდა, ქვეყნის ბედ-იღბალზე დაფიქრებული ადამიანი საქმითა და სიტყვით განმტკიცებდა თავის დამოკიდებულებას საწუთროსადმი.

— ჩვენ, შეიძლება ითქვას, ამ საქმეში პროფესიონალები ვართ. — განაგრძო მარლენმა, — მაგრამ ნასწავლთან მაინც რას მივალთ, თუმცა, რა ვიცი, იქნებ ლახუშდში ჩვენზე უკეთ ვერც იმას ევარგა, იქ ყველაფერი ანდე-გუმანზე იყო დამოკიდებული; მაგრამ, რაც შეეხება რკინის ხიდებს, მთიელებისათვის ასეთი ფუფუნება

ნამდვილად უცხო ხილია და მეტად სანატრელი ხილიც. იქ კი ინჟინრების გარეშე ვერავინ ვერაფერს გახდება...

იმას ვამბობდი, პროფესიონალები ვართ-მეთქი, ხელობის ცოდნასთან ერთად ჩვენს საქმეში მთავარია გამბედაობა და ძალგულოვნება, და ერთი უმთავრესიც — მთამსვლელური ალღოიანობა! ჩვენს ჯგუფში არა ერთი და ორია მიხელ ხერგიანის თანამებრძოლი შედარებით მცირე ასვლებში, მაგრამ მაინც ლაშქრობებში, აი, მაგალითად, ელგუჯა რატიანი თანრიგოსანი გახლავთ, ჩვენაც ასევე, დანარჩენებს აკვანი არ დარწევიათ კავკასიონზე, თორემ ისე თავისი დღე და მოსწრება ამ გადასახვლელების შეკრებაში აქვთ გატარებული... მხედველობაში მაქვს ნადირობის სიყვარული. ეს არ გეგონოთ ბარული მწყერზე ნადირობა. ჩვენებური ნადირობა და იქაური ჭალისპირებში ნებივრობა ცა და მიწასავით განსხვავებული რამაა, ერთი სიტყვით, ხიდების მშენებელმა პირველ რიგში სიმაღლისა და საერთოდ შიშის გრძნობა უნდა დათრგუნოს, თუ უნდა რომ გამოუვიდეს რამე... უფსკრულთა თავზე სამშვიდობო ხიდები ძალისხმევას ითხოვენ ადამიანებისაგან. უეკლოდ აქაც ვერავინ გავა ფონს, ასეთია მთების კანონები... ასე იყო და ასეა დღესაც.

* * *

საქართველოს მთიანეთში, სადაც ჯერ კიდევ ელექტრო-წისქვილებსა და კომბაინებს, ინდუსტრიული ცენტრებისათვის დამახასიათებელ ტექნიკურ საშუალებებს ვერ შეუღწევიათ და მამაპაპური ტრადიციები კვლავ მკვიდრობენ, ალოობას ვინც შესწრებია, დამეთანხმება, საოცრად ლამაზი, ეგზოტიკური და განუმეორებელია შრომის ფერხულში ჩაბმული ქართული სოფლის პანორამა. ყველა ეშურება მზიან ამინდებს, წვიმების სეზონის დადგომამდე მოსავალი უნდა გაილეწოს და დაბინავდეს, თორემ მთელი წლის ნაშრომ-ნაჯაფი წყალში ჩაიყრება — ანეული დაობდება, დანესტიანდება, დაალაოვდება და გაუფასურდება. „ოჯახი საუკუნოდ დაითარსება!" — ასეთი ცრურწმენა არსებობს მთაში. მაგრამ მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი — რწმენა ხალხს მოუწოდებს წესრიგისაკენ, მუყაითობისა და შრომისაკენ... „ღუუზა, ღუუზა, მუშაი მარე ქორს..." — გაღუზღუზდი, გაივსე და გაჩახჩახდი, ხვავითა და ბარაქით დაიტენე მშრომელი კაცის ოჯახიო! — უცაცხანებენ ალოებზე ნიშა ხარებს კევრზე შემოსაუბულნი მლეწავები თუ არნადით ბზე-ჩალის მხვეტავები, გამნიავებლები და მარცვლის მრჩეველი ქალები — „ღუუზა, ღუუზა, გუშგვეი ლირდეს!"—ჩვენს ცხოვრებას გაუმარჯოსო — შესთხოვენ ისინი მამაზეციერს და შუბლდაცვარულნი, მოყიყინენი და ძარღვებში ძალუმად ხისხლმოდგაფუნენი ეშურებიან სალამოსუამამდე მოახწრონ მოსახწრები, ერთი თავთავიც არ უნდა დაიკარგოს... ერთი მარცვალიც არ უნდა დაიბნეს.

ეზო — ეზოს ეჯიბრებაო თითქოს. უბანი უბანს და სოფელი — სოფელს, თემი — თემსა და ყველა ერთიანად კი მძვინვარე ზამთარს. არც ერთი უსაქმური სოფელში, არც ერთი საერთო ფერხულს გარიდებული ადამიანი!

ჩვენი ყოფიერების პანორამაც თითქოს ამ ალოობას მოგვაგონებს. ვეება სამყაროს იმ მლეწავებივით გულაღგზნებული ადამიანები ამშვენებენ და ალამაზებენ.

ჩვენი ვალია, ქება ვუთხრათ მკლავებდაკაპიწებულთ, ძალგულოვანთ, საერთო საქმისათვის თავდადებულთ, საკუთარი სიცოცხლ·ს გამმეტებელთაც კი. შეუშიშარ მებრძოლთ, სახვალიოზე მოფიქრალთ, ქვეყნა გრძნობებზე ამაღლებულთ, მართლაც რომ ერის საჯილდაო ქვათა ფალავნებს, ზურგებით რომ შესდგომიან ქვეყნის აწმყოსა და მომავალს, მის წარსულს. ერთმანეთზე შეუპოვარ გმირთა-გმირებს, ერთურთის მჯობთა და მაინც სახელიანებს, როგორც ეს ერთ ხალხურ ლექსშია ნათქვამი:

მითხოს ალდი სჯობს მამცად,
ფშავეთად — ხოშარაული,
თუშეთ სჯობ ხვავის ანთაი,
ხევსურეთ — კუკუმაური,
გუდამაყარ ჯობ დიდება,
მეხეეთ — ღუდუშაური,
ხმლის ქნევით, ფარის ფარებით —
ბერდია მამიკაური!

სოფელსაც ეს უხარის — ფალავანთა შორის მჯობის მჯობნი რომ არ გამოილევა!

სწორედ ამაზე უთქვამთ ჩვენს წინაპრებს — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო..."

დავით გურამიშვილი

სარგის ცაიშვილი

დავით გურამიშვილის პოეტური სამყაროში

გულზედ მქონდა მოხაზული
ცხოვრებისა წყაროს დარი...

დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში. გურამიშვილის მრავალფეროვანი პოეზია სულიერი ძიებებით არის აღსავსე და ღრმა ეპოქალურ ტკივილებს გამოხატავს. მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობები ისევე დამახასიათებელია მისთვის, როგორც მშობლიური ქვეყნის იმ ხანად ჯერ კიდევ გაურკვეველი ისტორიული პერსპექტივა.

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ხან მარტოდმთენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადამიანია, ხან კი „ქართლის ჭირზე" მწარედ დაფიქრებული პიროვნება, რომელიც მთელი არსებითაა შეძრული თავისი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედიის გამო. მაგრამ „დავითიანში" პიროვნული და საზოგადო ისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება როგორც ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ტილო, თუმცა რეალურად ის სხვადასხვა დროს შექმნილ რამდენიმე პოემისა და ლექსთა კრებულისაგან შედგება.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დავით გურამიშვილი მე-17, მე-18 საუკუნის პირველ ქართველ განმანათლებელთა (სულხან-საბა, ვახტანგ VI და სხვ.) ტრადიციებზე აღზრდილი პიროვნებაა და მის „დავითიანში" აშკარადაა აღბეჭდილი ეს სულისკვეთება. ამას მოწმობს გურამიშვილის შემოქმედებაში დიდი დოზით გამოვლენილი დიდაქტიკური ნაკადი, ფოლკლორისადმი განსაკუთრებული ინტერესი და საერთოდ მიდრეკილება ქართული მხატვრული სიტყვის დემოკრატიზაციისაკენ. ქართული შუასაუკუნეების უდიდესი პოეტი ამ თვალსაზრისით ახალი ქართული პოეზიის ერთი პირველი წინამორბედთაგანია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ასეთი თვალთახედვით აფასებდნენ თავიანთი „უძვირფასესი პაპის", გურამიშვილის შემოქმედებას ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა.

ქვემოთ, რასაკვირველია, ძირითად ხაზებში იმ კონკრეტულ თავისებურებებზეა საუბარი, რამაც დავით გურამიშვილს განსაკუთრებული ადგილი არგუნა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გურამიშვილი და ქართული ქრისტიანული კულტურა.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე ქრისტიანულმა კულტურამ განუზომლად დიდი როლი შეასრულა. ჩვენი ხალხის ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც სხვა სულიერი ფაქტორებიც კვებავდა, წარმოუდგენელია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებული ზნეობრივი თუ ეთიკური იდეალების ცხოველმყოფელი ნაკადის გარეშე. ისევე როგორც სხვაგან (აქ მეტწილად იგულისხმება დასავლური სამყარო) ქართული შუა საუკუნეებიც ქრისტიანული აღმსარებლობის ნიშნით ვითარდებოდა. მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოსავლური" წარმოშობისა, ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდან არასოდეს გამრუდებულა ქართული კულტურის ე. წ. „დასავლური" ხაზი. ეს ცხადად ემჩნევა ქართულ შუა საუკუნეებში შექმნილ როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის ძეგლებს. ასეთი ფართო მასშტაბურობის გარეშე წარმოუდგენელია ისეთ ქმნილებათა აღმოცენება როგორიცაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და „ვეფხისტყაოსანი", ან მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, ქართული კედლის მხატვრობა და მრავალი სხვა. „ქართული მზერა", როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა, უკვე ამ ხანებიდანვე თავისთავში ითავსებს ძველ, ანტიკურ ტრადიციებთან ერთად მშვენიერების იმ ახალ ეთიკურ საწყისებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული, ეს უკანასკნელი მომენტი კი ჩვენი კულტურის ფართო სარბიელზე გასვლას გულისხმობდა.

დავით გურამიშვილი ქართული გვიანი შუა საუკუნეების ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია და, ბუნებრივია, გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხებს უფრო არსებითად შევეხებოდეთ, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

შუა საუკუნეები, როგორც კაცობრიობის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ერთ დროს ფაქტიურად მიჩქმალული იყო. თითქოს ანტიკურობიდან რენესანსულ კულტურამდე რაღაც ამოუვსებელი უფსკრული იყო აღმართული. ეს თვალსაზრისი, სამწუხაროდ, თითქმის ბოლო ხანებამდე განსაკუთრებულად იყო გავრცელებული ჩვენში, რაც ადრე აღმოცენებულ ვულგარიზატორულ შეხედულებათა ინერციის აშკარა შედეგი ჩანს. ქრისტიანული რელიგიის ტოტალურ კრიტიკასთან ერთად ფაქტიურად უარყოფილი იყო შუა საუკუნეთა ყოველგვარი სულიერი ფასეულობანი. და ეს მაშინ, როცა თვით მარქსიზმის კლასიკოსებიც უარყოფდნენ ასეთ ცალმხრივ თვალსაზრისს. თავის ცნობილ ნაშრომში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული" ფრიდრიხ ენგელსი, ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „შუა საუკუნეებს ისტორიის მსვლელობაში თვლიდნენ როგორც უბრალო შესვენებას, რომელიც თითქოს გამოწვეული იყო ათასწლოვანი საყოველთაო ბარბაროსობით. არავინ აქცევდა ყურადღებას უდიდეს წარმატებებს, რომლებიც განხორციელდა სწორედ შუა საუკუნეთა მანძილზე".

შუა საუკუნეებზე ანალოგიურმა შეხედულებამ კარგა ხანია მოიკიდა ფეხი მსოფლიო მედიევისტურ მეცნიერებაში. შუა საუკუნეთა მაღალ სულიერ ფასეულობათა გამო მოხდენილად შენიშნავდა ცნობილი ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსი გუსტავ ლანსონი, რომ „კაცობრიობის ისტორიის ეს მონაკვეთი არამარტო თავისთავად იყო ნაყოფიერი, არამედ იგი ამზადებდა მომავალს, ქმნიდა ტრადიციას" (იხილე მისი „ფრანგული ლიტერატურის ისტორია", რუს. თარგმ., 1896 წ.).

მართლაც, შუა საუკუნეები, რომე-

ლიც ძირითადად ქრისტიანული კულტურის ნიშნით ვითარდებოდა, მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

სანიმუშოდ იკმარებდა მრავალფეროვანი დარგებით წარმოდგენილი ქრისტიანული სასულიერო მწერლობა, რომელიც თავისთავადი მოვლენაა და კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპს ქმნის (როგორც სიძველით, ისე სიმდიდრით უნიკალურია ამ თვალსაზრისით ქართული სასულიერო მწერლობაც).

ანტიკურობასთან შედარებით, დღეს ეს ურყევი დებულებაა, ქრისტიანულმა კულტურამ იმთავითვე ადამიანთა პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოსწია წინ და ზნეობრიობის ახალი კატეგორიები აღმოაჩინა. სასულიერო მწერლობაც სწორედ ამ გზით ვითარდებოდა და ადამიანის თავისებურ ესთეტიკურ იდეალს უყრიდა საფუძველს, მხატვრული აზროვნების ახალ სიმაღლეებს ეუფლებოდა.

ეს დებულება თანაბრად ეხება არა მხოლოდ ზნეობრივს თუ ეთიკურ კატეგორიებს, არამედ მიღწევებს მხატვრული აზროვნების სფეროშიც. ისევე როგორც ახალი იყო ქრისტიანული მწერლობის მიერ შემუშავებული იდეალურ გმირთა სახეები, რომლთა წარმოსახვაში სიმძიმის ცენტრი სულიერ საწყისებზე იყო გადატანილი, ასევე თვისობრივად განსხვავებული იყო ქრისტიანული მწერლობის პოეტიკაც (დიდძალი დაკვირვებებია ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი ს. ავერინცევის წიგნში „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა", რუს. ენაზე, 1977 წ.).

მე აქ მხოლოდ ქრისტიანული მწერლობის ერთ ძირითად მხატვრულ ხერხზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, რადგან შემდეგ ვნახავთ, რომ ეგევე ხერხი უხვადაა წარმოდგენილი დავით გურამიშვილის პოეზიაშიც.

სხვა სპეციფიკურ მხატვრულ ხერხთაგან სასულიერო მწერლობა განსაკუთრებით ხშირად მიმართავს აზროვნების ისეთ წესს, რომელიც მოვლენათა სიმბოლიზაციას ეყრდნობა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მონოთეისტურ, ამ შემთხვევაში ქრისტიანობის საფუძველზე აღმოცენებული მწერლობის ძირითად მხატვრულ ამოცანას: მატერიალურში განჭვრიტოს სულიერი, წარმავალში ამოიცნოს მარადიული. ყოველ მოვლენაში ორმაგი აზრის ძიება თავისთავად ბადებდა მიდრეკილებას სიმბოლოებით აზროვნებისაკენ. ანტიკისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში შედარებით უკანა პლანზე გადადის, მაგალითად, მითის გამოყენება (ისევე როგორც ნაკლებად გვხვდება ანტიკური მწერლობის ზოგი სხვა მხატვრული ელემენტი).

სახელგანთქმული გერმანელი ფსიქოლოგი ვილჰელმ ვუნდტი თავის ცნობილ ნაშრომში: „მითი და რელიგია" ზუსტად განსაზღვრავს ამ გარემოებას: მიუხედავად ვარეგნული მსგავსებისა, უდიდესი შეცდომა იქნება მითისა და სიმბოლოს გაიგივება (რის არაერთ ფაქტს, სამწუხაროდ, ახლაც ხშირად ვაწყდებით). მითი სინამდვილის უშუალო აღქმის, ხოლო სიმბოლო ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია და ისინი რელიგიის სხვადასხვა საფეხურზე დგანან — ერთი თავში, მეორე — ბოლოში.

მართლაც, თუ, მაგალითად ძველი ქართული მითი, ვთქვათ, ტყის დედოფლის დალის შესახებ, ბუნებასთან პრაქტიკული დამოკიდებულების უშუალო უკუფენაა, როცა ადამიანი ბუნების მოვლენათა გამოცნობისას თავს ახვევდა მას თავის ანტროპომორფისტულ შეხედულებებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მისთვის. არც მეტი, არც ნაკლები, რეალური სინამდვილის დონეზე აღიქმებოდა, სიმბოლო უკვე ბუნებასთან აზროვნებითი ან, უკეთ შემოქმედებითი მიმართების გამოხატულებაა (შდრ. მ. ი. სტებლინ-კამენსკი, მითი, 1976 წ. ლენინგრ. რუსულ ენაზე. ავტორი მართებულად შენიშნავს, როცა ეხება მი-

თის ბუნებაზე არსებულ სხვადასხვა და ხშირად უცნაურ თეორიებს: „მითთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი რამ ჩანს უდავო. მითი არის ისეთი ამბავი, მონათხრობი, რომელიც სინამდვილედ მიიჩნდათ იმ გარემოში, სადაც იგი აღმოცენდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფანტასტიკურ ხილვებს ეყრდნობოდა ეს მონათხრობი". გვ. 4; მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უფრო მნიშვნელოვანია ავტორის შემდეგი დებულება, რომელიც ეხება მითების ადგილს შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში, კერძოდ კი მითისა და სიმბოლოს ურთიერთმიმართებას. მითის დეგრადირების პროცესთან დაკავშირებით ახალ საუკუნეებში წიგნის ავტორი წერს: „მითის თანდათანობითი კვდომის ეს პროცესი ცხადად გამოიკვეთება შუა საუკუნეთა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. მასში არა მხოლოდ რელიგიური მითები, არამედ მთელი ობიექტური სამყარო სიმბოლურადაა ახსნილ-განმარტებული. ეს კი დიამეტრულად ცვლის ვითარებას. სიმბოლურად გააზრებული მითი ჰკარგავს სწორედ იმ თვისებას, რის გამოც არის იგი მითი და არა სხვა რამ"... გვ. 9).

სიმბოლური აზროვნება, მართლაც, კატეგორიების შემდგომი განვითარების ახალ საფეხურს მოასწავებს და ამასთან ადამიანის გარესამყაროსთან დამოკიდებულების თავისებური შემოქმედებითი აქტის ნაყოფია (ჰეგელი). სწორედ ამ ნიშნით რელიგიური სიმბოლოები ზოგჯერ ემთხვევიან მხატვრულ სიმბოლოებს. ანდრეი ბელი თავის წიგნში „სიმბოლიზმი" მართებულად შენიშნავდა ამის გამო, რომ სიმბოლო ბუნებიდან აღებული და გარდაქმნილი სახეა. იგი თავის თავში შეიცავს ავტორისეულ განცდასა და ბუნების იმ ნიშანს, რომელიც ამ შემთხვევაში მასშია გამოხატული.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ამ თვალსაზრისით ამოურწყველი არსენალია, სადაც უხვად ვპოულობთ სიპბოლური აზროვნების დიდებულ ნიმუშებს და მათი, ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობი, ავტორები მხატვრული მეტყველების ჭეშმარიტ სიმაღლეებს აღწევენ.

მხოლოდ ერთი მაგალითი ქართული მწერლობიდან: „...და ვითარ შემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტეანი შვენივრად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთაგან მათგან, და მე ვითარ დამითმო გულმან ვტიროდე ფრიად". ეს მცირე ნაწყვეტი მოტანილია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლიდან. მე-5 საუკუნის გამოჩენილი ქართველი ავტორი იაკობ ხუცესი ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით აღწერს ეპიზოდს, რომელშიც ფიზიკურად დაუძლურებული, მაგრამ სულიერად მხნე დედოფლის მდგომარეობაა გადმოცემული. როგორც „ტარიგი", ისე „სძალი" აქ ბიბლიური სიმბოლიკიდან არის ნასესხები და გამოყენებულია დედოფლის მოწამებრივი აღმაფრენის წარმოსაჩენად (შდრ. „აჰა, ქრისტე ტარიგი ღმრთისაჲ". ი. I, 36: „რომელსა აქუს სძალი, სიძეჲ არს", ი. 3, 29 და სხვ.). ქრისტიანული მწერლობის სახისმეტყველება უხვ მასალას გვაწვდის ამ მიმართულებით და მე-5 საუკუნიდან მოკიდებული ყალიბდება უწყვეტი ტრადიცია. ნიკო მარი, რომელიც ერთი პირველთაგანი ჩაუღრმავდა აღნიშნული ტრადიციის მნიშვნელობას, დაბეჯითებით ადასტურებდა ქართული სასულიერო მწერლობის დიდ მნიშვნელობას საზოგადოდ, კონკრეტულად კი მხატვრული ენის შემუშავების საქმეში. იგი წერდა: „ქართულმა სასულიერო მწერლობამ აამაღლა მეტყველების კულტურა... შეიმუშავა ლიტერატურული ენა, რომელმაც თავის სრულყოფას მიაღწია ბევრად ადრე, ვიდრე დადგებოდა ჩვენში მე-12 საუკუნე. ეს იყო შესაშური მემკვიდრეობა, ძვირფასი განძი, რომელიც მემკვიდრეობად გადმოეცა მომდევნო ხანის სასულიერო

თუ საერო მწერლობას“ ЖМНП 1899 წ., რუსულ ენაზე).

როგორც ცნობილია, ეს შეხედულება კიდევ უფრო გააღრმავა და მას მწყობრი კონცეფციის სახე მიანიჭა ძველი ქართული და, კერძოდ, სასულიერო მწერლობის აღიარებულმა მკვლევარმა აკად. კ. კეკელიძემ. ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობის პრობლემა მის ნაშრომებში არ იფარგლება მარტო ლიტერატურული ფორმისა თუ ენის საკითხებით. იგი ამ ორ მიმართულებას შორის სტრუქტურულ კავშირებს ჭვრეტდა, მანვე დასვა საკითხი ევოლუციისა სასულიერო მწერლობიდან საერო მწერლობისაკენ (ეტიუდები, ტ. II, 1945, გვ. 3-63).

თუმცა აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთმოტანილი თვალსაზრისი შეუძლებელია ვაღიაროთ უნივერსალურად. ქართულ კლასიკურ საერო მწერლობას, რომლის გვირგვინსაც შოთა რუსთაველის პოემა წარმოადგენს, გენეტიკურად სხვა სოციალური თუ იდეოლოგიური ნაკადებიც კვებავდა (საკითხის მიმოხილვა იხ. ალ. ბარამიძე, საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება, წიგნში „ქართ. ლიტ. ისტორია“, ავტორთა კოლექტივი, ტ. II, 1966. გვ. 5-25).

ასე თუ ისე, სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი წვლილი თვისობრივად ახალი საერო მწერლობის შემუშავებაში (როგორც სალიტერატურო სტილის, მხატვრული გემოვნების, გარკვეული ჟანრების და ა. შ.) დღეს დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. უფრო მეტიც, მიუხედავად მოსალოდნელი შინაგანი წინააღმდეგობისა, სასულიერო მწერლობა ნაყოფიერ გავლენას ახდენდა საერო მიმართულებაზე არა მხოლოდ კლასიკურ ხანაში (მე-12 ს.), არამედ შემდეგაც, მთელ შუა საუკუნეთა ვრცელ მონაკვეთზე, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის თითქმის უკანასკნელი პერიოდის წარმომადგენელი დავით გურამიშვილის შემოქმედებაც (აქ საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ სასულიერო მწერლობის ნაყოფიერი გავლენა აშკარად შეიმჩნევა, შემდეგაც, რის საგულისხმო ნიმუშებს გვაწვდის ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაც).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძველ-ქართული სასულიერო მწერლობის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, სასულიერო პოეზია, რომელიც ჰიმნოგრაფიის სახელითაა ცნობილი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პირველი საფეხურის, ფსალმუნური ელემენტიდან მოკიდებული, ქართული ჰიმნოგრაფია მჭიდრო კავშირშია ბიზანტიურ სასულიერო ლექსთან და მის ნაყოფიერ გავლენას განიცდის. სხვა საკითხია თვით ბიზანტიური ჰიმნების ძირების კვლევა-ძიება, რაც არის კიდევ ჩატარებული სათანადო სპეციალისტების მიერ (ბიზანტიურ ჰიმნებს, როგორც ცნობილია, სირიულ ეკლესიის მამათა ჰიმნოგრაფიას უკავშირებს ზოგი მკვლევარი), მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ერთი მომენტი უეჭველად ცხადი ჩანს: ქართული ჰიმნოგრაფია თანდათან თვითონვე აღწევს თავს უცხოური ელემენტების გავლენას. როგორც სასულიერო სიმღერა-გალობამ თავისივე წიაღში იპოვა საკუთარი განვითარების გზები, ისევე სასულიერო ჰიმნებიც, რომელიც არსებითად ამ სიმღერა-გალობათა დაქვემდებარებულ (ე. ი. სიმღერისათვის შეწყობილ) ტექსტებს წარმოადგენდნენ, თანდათან თვითმყოფ კილოებს პოულობენ.

ისევე, როგორც სხვა ენებზე არსებული ჰიმნოგრაფიული პოეზია, ქართული ჰიმნოგრაფიაც რიტმული პროზიდან (რომელიც ფაქტიურად სალექსო საზომთა გარეშე იყო წარმოდგენილი სწორედ სასულიერო სიმღერა-გალობის ზეგავლენით საკუთარი ენის წიაღში ეძიებს პოეტური მეტყველების საშუალებებს, კერძოდ, მოწესრიგებული ხასიათის სალექსო საზომებს. ეს იყო

სრულიად ბუნებრივი პროცესი საერთოდ და, ამ მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფიაც გამონაკლისი არ ყოფილა. სასულიერო პოეზიის ცნობილი სპეციალისტების (მაგალითად, კრისტი, მეიერი, ბიკელი, კარდინალი პიტრა, ვასილიევი) მიერ ერთხმადაა აღიარებული, რომ ისევე როგორც ანტიკურ ხანაში ხალხურმა სიმღერებმა შეუწყო ხელი პოეტური საზომების წარმოშობას, რომლებიც შემდეგ წიგნურ პოეზიაში რაფინირებულ საზომებად გადაიქცა, ასევე სასულიერო გალობა შეიქმნა ბიძგის მიმცემი ჰიმნოგრაფიის ვერსიფიკაციისათვის.

გ. იმედაშვილი ასე გადმოგვცემს დასკვნებს, რომელიც ჰიმნოგრაფიის ცნობილი სპეციალისტების მიერ ერთხმადაა აღიარებული: „მელოდიამ ბუნებრივად გადაწყვიტა საგალობლის პოეტურ საფუძველზე აგების აუცილებლობა, რითაც განასხვავა ის პროზაული მეტყველებისაგან. ამით განმეორდა ის პროცესი, რომელიც ანტიკურ პერიოდში გაიარა პოეტური მეტყველებისა და პოეტური საზომების წარმოშობის ისტორიამ... ხალხურ სიმღერამ წარმოშვა საზომები, რომელთაგან შემდგომ განვითარდა წიგნური პოეზიის ფორმები თითქმის ყველა ხალხისა. ერთი სიტყვით, ვერსიფიკაციული ფორმების შემუშავების იმპულსი იყო მუსიკალური ფრაზეოლოგია. ჰიმნური პოეზიაც მთლიანად გალობის სპეციფიკას დაეყრდნო. რიტმის თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიმნის ტექსტის გარკვეულ საზომის გარეშე დალაგება კომპენსირებული ხდებოდა მელოდიის ფორმით, რომელიც ტექსტს ანიჭებდა საზომს“ (დაწვრ. იხ. „ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები“, ლიტ. ძიებანი, XII, გვ. 184).

მაგრამ ამ დებულების ქართულ ნიადაგზე მექანიკურ გადმოტანა ფაქტებზე ძალდატანება იქნებოდა, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით ქართულ საერო ლირიკაზე ჰიმნოგრაფიას არ მოუხდენია სერიოზული გავლენა. ჰიმნოგრაფიამ ჩვენში ვერ მოგვცა ლექსწყობის მრავალფეროვანი საზომები და მხოლოდ აკორნტიხითა და ქართული პროსოდიული ბუნებისათვის უცხო იამბიკოთი (7 + 5) ამოიწურა. და თუ კლასიკურ ჰიმნოგრაფიაში გვხვდება გადახვევები, აქ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართული ხალხური საზომები პოეზიის გზით, ან უშუალოდ, გზას იკაფავდა თვით ჰიმნოგრაფიის წიაღშიც და ეს არის მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტი.

მართლაც, საერო ლექსწყობის ნიმუშები უკვე დასტურდება მე-10 საუკ. ჰიმნოგრაფებთან. მაგალითად, 16 მარცვლოვანი დაბალი შაირის ნიმუში მიქელ მოდრეკილთან: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მაღალნი ძალითურთ“. მაღალი შაირითაა დაწერილი ფილიპეს ცნობილი საგალობელი: „ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ ქალწულო...“ და ა. შ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთივე გზა აირჩია შემდგომში დავით გურამიშვილმა და საერო საზომებით ქმნიდა სასულიერო ხასიათის ჰიმნებს.

მაგრამ რაც ჩვენ სალექსო საზომებზე აღვნიშნეთ, უფრო მეტად ეხება ჰიმნოგრაფიის პოეტურ ენას. ამ უკანასკნელმა დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე. განსაკუთრებით კი ქართულ ლირიკულ ლექსებზე. აღიარებულ ფაქტად უნდა ვცნოთ, რომ ჰიმნოგრაფიამ ამ შემთხვევაში ერთგვარი გარდამავალი როლი ითამაშა. მან აითვისა საერო მეტყველების (პირველ რიგში ფოლკლორული წარმოშობის) გარკვეული პოეტური მარაგი და ახლად გადამუშავებული გადასცა კლასიკურ და მომდევნო ხანის ქართულ საერო პოეზიას. მაგალითად, უნდა ვიფიქროთ, რომ სასულიერო მწერლობამ წარმართობისაგან (საერთოდ ადრეული რელიგიური პოეზიიდან) აითვისა ასტრალური სამყაროს მხატვრული წარმოსახვის ფორმები, რამაც შექმნა სპეციფიკური პოეტური ხერხები.

სულ მალე კი თვით ჰიმნოგრაფიამ წარმოშვა პოეტური აზროვნების ბრწყინვალე შედევრები. უკვე აქ, მის წიაღში დამუშავდა ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ღრმად სუბიექტურ გრძნობათა გამოთქმის საშუალებას იძლევა და მედიტაციის ნიშნებითაა აღბეჭდილი. რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა. პოეტური ენა მეტ მოქნილობასა და გამომხატველობას აღწევდა:

ცხორებაჲ ესა წარვალს განილევის,
შვენიერებაჲ და დიდებაჲ დაჴნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების.
რასა ცუდად ვმაღლობ, ოდეს ყოველნი
მოკვდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!
მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებაჲ და ხდომაჲ,
სადა არს ძვირის ხსენებაჲ და ზვაობაჲ
და ხორცთა გულის-თქმანი, აჰა ესერა
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი.

ეს ლექსი, რომლის სათაურია „გალობანი სულისანი“, როგორც ამას პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ეკუთვნის მე-10 საუკუნის უცნობ პოეტს ოპიზიდან (ხელნაწერი A — 93). იგი ძალზე წააგავს იოანე დამასკელის (VIII საუკ.) ამავე ხასიათის ლექსებს. შესაძლოა თარგმანიც იყოს. ყურადღებას ეს ჰიმნი იპყრობს სადა, გამჭვირვალე პოეტური ენით და ამ ქვეყნიური ამაოების ძველი ბიბლიური თემის ზუსტი დამუშავებით.

ჰიმნოგრაფიულმა პოეზიამ, და ესეც ხაზგასმით არის აღსანიშნავი, განსაკუთრებულად დახვეწა ლირიკული ლექსის კომპოზიციური მხარე. ეს მომენტი განაპირობა თვით ჰიმნოგრაფიის ძირითადმა თემამ, რომელიც ღვთაებასთან მიმართებით გამოიხატება. ყველა ქვეყნის ჰიმნოგრაფთა უნივერსალური თემა უმაღლეს ნათელთან ანუ ღვთაებასთან ეგზალტირებული წვდომის პოეტური ცდაა. რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს სასულიერო პოეზიის აღნიშნული თემა: ღმერთი არის უმაღლესი ცნება, რომელიც შეიცავს ყველა დადებითს (დამტკიცებითს) ნიშნებს, რომელთა გაფიქრებაც კი კაცს შეუძლია. ღვთისადმი მიმართული ლოცვითი აღმაფრენით კაცის სული მიისწრაფვის სიცოცხლის წყაროსაკენ (და სიცოცხლე — ესაა ნათელი! გავიხსენოთ იოანეს სახარების პირველი მუხლნი და მისი სიმბოლიკა ნათელისა და წყვდიადის შესახებ). მაგრამ ადამიანურ სულს არ შეუძლია შეიცნოს, გაიგოს თვითონ არსება ღმერთისა, არამედ მხოლოდ ის, რაც „მასთან არის ახლო“, ხოლო „მის ახლოს“ არიან ღვთიურნი ენერგიანი („ანგელოზნი“), რომელნიც გამოშუქდებიან, ძენი ნათელისა. მაგრამ ამ დამაბრმავებელი ნათლის უკან არის თვითონ ღმერთი, რომელიც ცხოვრობს „მიუწვდომელ ნათელში“. ოღონდ როგორ გამოვთქვათ ჩვენი უსუსური ადამიანური ენით „მიუწვდომელობა ნათლისა?“ რა მხარეა ეს? — ესაა რაღაც, რომელსაც ჩვენი მზერა ვერ უძლებს, რომელს თვალი ვერ უსწორდება, ესაა რაღაც უქმნელი, რომელიც ჩვენს წარმოდგენითს ძალებს არ შეუძლია შეიგნოს (შდრ. „მზისმეტყველება“, გვ. 194-195).

ამ ერთი მთლიანის თემამ, როგორც ითქვა, საოცრად შეკრა ჰიმნოგრაფიული ლექსის კომპოზიცია და ყველა სხვა მხატვრული ელემენტი დაუქვემდებარა მას. ამიტომაა ჰიმნურ პოეზიაში ფერთა და სახეთა განაწილება ასეთი მკაცრი ზომიერებით მოცემული და მიმართულია ერთის, უმაღლესის გამოხატვისაკენ.

ქართული ჰიმნოგრაფიაც ამ გზით ვითარდებოდა. მაგრამ მწყობრ კომპოზიციასთან ერთად ახალ საერო პოეზიას მან (ისევე როგორც საერთოდ სასულიერო მწერლობამ) უანდერძა დახვეწილი პოეტური მეტყველება, რომელიც გამოირჩეოდა ისეთი საინტერესო პოეტური ხერხებით, როგორიცაა სიმბოლო, მეტაფორა და მხატვრული ეპითეტი, ჰიპერბოლა და ა. შ. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა მრავალფეროვანი

ვარიაციებით გვხვდება „სინათლის“, „ნათელის“ მისტიკური სიმბოლოები, რომელიც ღვთაების ბრწყინვალების გამოსახატავად სჭირდებათ ჰიმნოგრაფებს. შედარებისა და მეტაფორის თუ რაოდენ ოსტატურ შერწყმას ახერხებენ ქართველი ჰიმნოგრაფები, მოვიტან მხოლოდ ერთ ცნობილ მაგალითს.

„ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“... ეს მხატვრული შედარება მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფს იოანე მინჩხს ეკუთვნის. მასში წარმოსახულია ქრისტეს მიცვალების ზებუნებრივი სურათი.

შედარებას აქ მეტაფორა-სიმბოლოები ერწყმის: ლომი — ქრისტეს ძლიერების სიმბოლოა, ხოლო მაცხოვრის გარდაცვალება დიადი მიძინების მხატვრული სახითაა გადმოცემული. მართლაც, ქრისტიანული სახისმეტყველების მშვენიერი ნიმუშია და, რაც მთავარია, ასეთი ტიპის მხატვრულ სახეებს ჩვენ უხვად ვიპოვით ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში.

მე აქ არ შევჩერდები იმ რთულ ლექსიკურ სიმბოლიკაზე, რომელიც შექმნა საერთოდ ქრისტიანულმა მწერლობამ. მაგალითად, სხვადასხვა მეტაფორებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით დაპირისპირებული ხასიათის სიმბოლოებს, როგორიცაა, ერთი მხრით, წყვდიადი, ღვარძლი, ღრუბელი, ხოლო მეორე მხრით, ნათელი, მზე სიმართლისა, სიკეთე და ა. შ.

ასევე ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება ჰიმნოგრაფიული პოეზიის გავლენა ქართულ კლასიკურ საერო მწერლობაზე, კერძოდ კი ამ მწერლობის გვირგვინზე — შოთა რუსთაველზე, რომელმაც მთელ რიგ შემთხვევებში სრულიად ახლებური გააზრება მისცა ადრე შემუშავებულ მზამზარეულ პოეტურ ფორმულებს (მაგ. ნათლის ტროპიკა და ა. შ.).

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზიის ზემოქმედებამ ახალი ჟალით იფეთქა ე. წ. აღორძინების ეპოქაში (XVII-XVIII ს.ს). უფრო მეტიც, თუ სასულიერო პოეზიის გავლენა კლასიკური ხანის მწერლობაზე უფრო მხატვრული ფორმის ასპექტში გამოვლინდა, აღორძინების ეპოქის მწერლობაში იგი იდეურ-თემატიკურ სფეროებს შეეხო. ღრმა რელიგიური განწყობილებები მძლავრი იდეოლოგიური ნაკადის სახით იჩენს თავს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (ე. წ. „სოფლის მდურვის“ მოტივები და ა. შ.), როგორც ზემოთაც ითქვა, როცა საუბარი იყო გურამიშვილის ეპოქაზე, გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ კრიზისთან ერთად ასეთ განწყობილებათა გაბატონებას ეროვნული კატასტროფის მუდმივ მიჯნაზე ყოფნაც აძლევდა ბიძგს.

მართლაც, სხვა სასულიერო პრობლემატიკასთან ერთად, როგორც ეს უკვე შენიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სწორედ ამ ხანებში საფუძვლიანად აღორძინდა ე. წ. მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის პოეზია, რომლის ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენლები არიან ვახტანგ მეექვსე და დავით გურამიშვილი.

ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით ვახტანგ მეექვსის პოეზიის ამგვარ ხასიათზე, მხოლოდ გავიხსენებთ იმ ცნობილ გარემოებას, რომ ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური კონცეფციაც სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას დაუკავშირა (დაწვრ. იხ. სარგის ცაიშვილი, „ვახტანგ მეექვსე რუსთველური მიჯნურობის შესახებ“, წიგნში „ლიტერატურული წერილები, 1966, გვ. 59-73). ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა რუსთაველის პოემაზე ასეთივე შეხედულებას იზიარებდა დავით გურამიშვილიც, როცა თავისი დიდი წინამორბედის შემოქმედებას სასულიერო და საერო სიბრძნის სალაროდ თვლიდა („ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა“ — გვ. 22, სტრ. 4).

სამწუხაროდ, ზოგი ეს დებულება (ვგულისხმობთ გურამიშვილის მიმართებას ქრისტიანულ იდეოლოგიასთან)

უგულვებელყოფილი იყო ერთ დროს; დავით გურამიშვილის შემოქმედების შეფასებისას, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაკლები ყურადღება ექცეოდა პოეტის ღრმა კავშირებს ქრისტიანულ კულტურასთან, კერძოდ, კი ქართულ სასულიერო მწერლობასთან. რის გარეშე კი, მართლაც გამორიცხულია გურამიშვილის პოეზიის სიღრმისეულ პლასტებში გარკვევა (უფრო მეტიც, პოეტის ზოგი აშკარად მისტიკურ ხილვებზე დაფუძნებული ლექსი პატრიოტული ლირიკის ნიმუშებად იყო მიჩნეული; სამწუხაროდ, ასეთმა მცდარმა თვალსაზრისმა გურამიშვილის სხვა ენებზე თარგმანების საქმეშიც იჩინა თავი, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გასწორდეს).

დავით გურამიშვილი საგულდაგულოდ ამუშავებდა ბიბლიურ მოტივებს (ზოგჯერ ლექსით სახეს აძლევდა ამა თუ იმ ბიბლიურ ეპიზოდს. იხ. სარგის ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი", 1974, გვ. 221-222). როგორც ჩანს, დავითი იცნობდა ქართულ ენაზე არსებულ მდიდარ თეოლოგიურ ლიტერატურას, მაგრამ მაინც ყველაზე დიდ სიახლოვეს, როგორც ითქვა, მისი ლექსების ერთი ნაწილი კლასიკურ ჰიმნოგრაფიასთან ამჟღავნებს.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსთაგან ზოგი ჩართულია „ქართლის ჭირის" სხვადასხვა მონაკვეთებს შორის, რომელთაც პოეტი ხან მოთქმას, ხან კი გოდებას უწოდებს. ასეთი წიაღსვლებით პოეტი გარკვეულ აქცენტებს ანიჭებს პოემაში გადმოცემულ ისტორიულ მოვლენებს: ქართლისა თუ კახეთის აქ აღწერილი ძნელბედობა არ არის შემთხვევითი, სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია სულიერი თუ ზნეობრივი დაცემა. ავტორის აზრით, ადამიანმა დაივიწყა თავისი უწმინდესი მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამიტომ ჩერდება პოეტი ასე დაწვრილებით ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაზე. გოლგოთის მისტერიის მარადიული თემით ავტორის განზრახვაა, რომ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ზნეობრივი დაცემის სავალალო შედეგი, როცა მათ „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო". ხოლო სხვა ჰიმნებში სასოებით მიმართავს ხან სამების რომელიმე წევრს, ხან კი ღვთისმშობელს.

როგორც თვით „ქართლის ჭირში", რომელშიც ამავე ეპოქის საქართველოს ისტორიულ ქრონიკებთან ერთად გადმოცემულია პოეტისავე ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები, ისევე მთელ „დავითიანში" აქა-იქ მოთავსებულია ისეთი ხასიათის სასულიერო ჰიმნებიც, რომლებიც თვით ავტორის პირად განცდებს გამოხატავს (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

პოეტის მაღალ სასულიერო განათლებას ამხელს ისიც, რომ მას ღრმადა აქვს ნაგრძნობი ძველსა და ახალი აღთქმის შინაგანი კავშირი, როგორც ეს პირველთაგან გაშიფრული ჰქონდათ ჯერ კიდევ ეკლესიის წმინდა მამებს (გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინე: „რაჲ არს ძველი აღთქმა, თუ არა ახლის დაფარვა, ხოლო რაჲ არს ახალი — თუ არ გამოცხადება ძველის"). გურამიშვილიც ხშირად გადმოგვცემს ასეთ გარდასახვას ბიბლიიდანვე აღებული სიმბოლოებით ანუ ვით გარდამოვიდა ძველი დღე (მამა ღმერთი) ახალ დღეში (ახალი დღე ძე ღვთისაა, ქრისტეა), ხოლო სხვა ჰიმნებში დავით წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მიმართება წარმოსახულია ერთი ცხოვრების ხისაგან აღმოცენებულ შტოთა (მორჩთა) სიმბოლიკით, რითაც ასევე ძველი და ახალი აღთქმის ძირითად იდეათა უწყვეტობაა გადმოცემული.

პირველყოფილი ცოდვის, ადამიანური მიუსაფრობის და „ორგემაგე" (ცვალებადი) სოფლისადმი მდურვის ქრისტიანული მოტივები მძლავრი ნაკადის სახითაა შეჭრილი გურამიშვილის პოეზიაში. ფანტასტიკურია პოეტის მისტიკური ხილვები, ამასთან,

ყველა მათგანი ღრმად ორიგინალური მხატვრული აზროვნების ნაყოფია. პოეტი თითქმის ყველა შემთხვევაში ახერხებს ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის საუკუნეთა მანძილზე ტრაფარეტად ქცეული სახეებისაგან თავის დაღწევას, ან ამავე სახეებს განსხვავებული მიზანდასახულებით იყენებს. იგი, როგორც ამას ქვევითაც ვნახავთ, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებს სასულიერო შინაარსის პოეტურ სათქმელს, რაც აშკარად უნიკალური მოვლენაა აღნიშნული ტიპის პოეზიის ისტორიაში.

მართლაც, გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური ქართული ჰიმნოგრაფიის სრულიად ახალი სახესხვაობაა. პირველ რიგში, ამას განსაკუთრებით გვაგრძნობინებს ენობრივი ფაქტორა, რომელშიც ასე მძლავრადაა შეჭრილი უბრალო ხალხური ყოფის გამომხატველი ელემენტები და ფოლკლორული ნაკადი. მაგრამ შინაარსობრივად მისი ლექსები, როგორც ითქვა, მეტად უახლოვდებიან ძველ ჰიმნოგრაფიას. გურამიშვილის ამ ლექსების პერსონაჟი ცისკენ სასოებით მზირალი ადამიანია, რომელსაც უპირველეს სიკეთედ ღვთაებასთან მიახლოება მიუჩნევია. ჩვენ ზევით შეგნებულად არ ჩამოვთვალეთ ის ეპითეტები, რომლებიც გამოიყენა ძველმა ჰიმნოგრაფიამ ღვთაების სრულყოფილი გამოსახვისათვის, რადგან გურამიშვილთან კიდევ ერთხელ მოგვიხდებოდა მათი გამეორება. ვინ არის გურამიშვილის ერთ-ერთ სახელგანთქმულ ჰიმნში (კა, ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს სახე და სურათი ვეღარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან) მოხსენიებული: „ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო“? ახალი აღთქმისა და ჰიმნოგრაფიის უბრალო გაცნობა ამ გამოთქმის მრავალ პარალელს აღმოგვიჩენდა: ტკბილი ცხოვრების წყარო ქრისტე-ღმერთია, რომელიც მარადი და ტკბილი ცხოვრების განსახიერებაა. იმავე ლექსში მრავალფეროვან სიმბოლო-მეტაფორებს მიმართავს პოეტი ქრისტეს შესაფერი გამოსახვისათვის: ქრისტე — უმანკო ტრედი, გვრიტი, რომელმაც ვერაგობას უსაზღვრო სათნოება დაუპირისპირა, ქრისტე — უცნაური მზე, ე. ი. რომლის შეცნობა ადამიანის გონებას არ ძალუძს და იგი მზე, თვით პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირისპირდება მატერიალურს — „საცნაურ მზეს“, თინათინს, რომელიც ამავე დროს „უცნაური მზის“ გამოსახვევაა. ქრისტე — „ნათელია“, „მზეა“ (უცნაური მზე), მარადი დღე, და გამოუთქმელი ნათელია. ქრისტეს მრავალი სხვა სახელიც მოეპოვება: იგი „მეხია“, „ქუხილის ისარი“ და ა. შ. ქრისტიანული სიმბოლიკა აძლევს პოეტს მასალას, რომ ასეთი მშვენიერი სიმბოლო-მეტაფორით განგვაცდევინოს ქრისტეს ძლიერების და ღვთაებრივი ბუნების სიდიადე: „გამოუთქმელად ნათქვამო, მთით ლოდო გამოკვეთილო“ (სტრ. 417. შდრ. „ვიდრე არა გამოეკვეთა ლოდი მთისაგან“, დანიელის წინასწარმ. II, 34, სადაც ქრისტეს მოვლინებაა განჩინებული). გურამიშვილის ჰიმნი დატვირთულია ქრისტიანული კატაფატიკით (ღმერთი დადებითს ცნებებში: ნათელი, ყოვლად ძლიერი და ა. შ.) და აპოფატიკით (უარყოფითი ცნებებით გამოხატვა: უცნაური, გამოუთქმელი და ა. შ.).

უფრო მეტიც, გურამიშვილი თავის მხრივ ამდიდრებს და ახალი ცნებები შეაქვს აღნიშნულ სიმბოლურ სახეთა სალაროში. მაგალითად, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საფუძველზე ცხადი შეიქმნა, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებული მ ზ ე თ ა-მ ზ ი ს სახე, როგორც მამა ღმერთის, უფალთა-უფლის საბაოთის გამომხატველი, გურამიშვილმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიმნებში. ჩვენი აზრით, იგი უეჭველად ხალხური პოეზიის საუნჯიდან უნდა იყოს ამოზიდული, აკი თვითონ გურამიშვილიც აცხადებს, რომ ამ სახეს გა-

რეგნული მსგავსება აქვს ხალხურ მეტყველებაში, ფოლკლორში გავრცელებულ სახეგამოთქმასთან „ქალთა მზე“.

მზეთა-მზეს, სხვათა შორის, რუსთაველიც ახსენებს რამდენიმე ადგილას, მაგრამ მასში არსად არ არის ჩადებული აღნიშნული მისტიკური შინაარსი („თაყვანისცა ლომთა-ლომმან მზეთა-მზესა“ — სტრ. 685. მზეთა-მზე აქ თინათინია) და ა. შ. ასევე მეტაფორულად, ყოველგვარი მისტიკური შინაარსის გარეშე, გვხვდება ეს სახე „ისტორია და აზმანში“ (თამარს მიემართება), თეიმურაზ I-ის „ლეილ-მაჯნუნიანში“ და სხვ.

მზეთა-მზე გურამიშვილის უსაყვარლესი მისტიკური სახეა და პოეტი არა ერთგზის მიმართავს მის ვარირებას. მზისადმი აღვლენილი წარმართული ჰიმნებივით ეღერს გურამიშვილის სიტყვები:

სჯობს ვეტრფიალო მ ზ ე თ ა-მ ზ ე ს
მ ზ ი ს ა თ ვ ი ნ თავი ვახელო,
ნათლისა გავხდე მიჯნური,
რადგან თვალებსა ვახელო,
მის უკეთესი მოყვარე,
სად ვპოვო, სადა ვახელო?
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ
თ ი ნ ა თ ი ნ ს ხელი ვახელო (სტრ. 340)
განთიადისა ვარსკვლავო,
მის მ ზ ე თ ა-მ ზ ი ს ა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა,
დღეგ, რად არ მომიძიებ! (სტრ. 346).

მზეთა-მზე აქ უფალთა-უფალი, მამა ღმერთია, რომლის ტრფიალება აქვს ჰიმნოგრაფს გულში დასახული: სჯობს მის ვეტრფოდე და მზისთვის, ე. ი. ქრისტე-ღმერთისათვის ხელად ვიქცე, ვიყო გაგიჟებული; სანამდი სული მიდგას (თვალებს ვიდრე ვახელ), ნათლის (ქრისტეს) მიჯნური მინდა შევიქმნე; მასზე უკეთესი მოყვარე, სად უნდა ვპოვო, სად მოვნახო (ვახელო), (თანაც) იგი მზე (ქრისტე) მიწყენს, მის სანაცვლოდ თინათინს (სხივს ანუ ამქვეყნიურ მზეს) მივუახლოვდე, შევეხო (ხელი ვახლო)... განთიადის ვარსკვლავო, ცისკარო, მზეთა-მზის მნათობო, ამქვეყნიურ წყვდიადში (ბნელ ღამეში) ვიკარგები და მიხსენი (მომძებნე). შენ, რომელიც მარადიული დღე (უფალი) ხარ.

ერთმანეთზე მშვენიერ სახე-სიმბოლოებს, მეტაფორებს იპოვის კაცი გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ჰიმნებში, მაგრამ მათი მხატვრული ღირსებანი ჩვენ სხვა თვალით უნდა განვსაჯოთ.

გურამიშვილის მისტიკური ხილვები და ზეცისაკენ მიმართული ღაღადისი არაა მხოლოდ მისტიკური ქვეყნის ეგზალტირებული ჭვრეტის შედეგი ან ცდა მასთან (ღვთაებასთან) მიახლოებით (მისკენ სწრაფვით) თავის გაქრობისა. გურამიშვილის ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება და მისი შემოქმედების მთლიანობაში განჭვრეტა, ჩემი აზრით, უფლებას გვანიჭებს ასეთი დასკვნისათვის.

მიუხედავად ღრმად სასულიერო შინაარსისა, გურამიშვილის ჰიმნებიც გამონაკლისი არ ჩანს მთელი მისი შემოქმედების ფონზე. მათში თვალნათლივ გამოსჭვივის პირადი უბედურებითა და საკუთარი ქვეყნის უკეთესობით შეძრწუნებული კაცის ჩივილი, რომელსაც სამყაროს შემოქმედისაკენ აქვს მიმართული მსახოებელი მზერა.

თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც მე აქ მოვიტან. პოეტური სახეების ერთი რიგი ამკარად სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები (მეტწილად კი „ახალი აღთქმიდან“), მაგრამ მისი ქვეტექსტი აშკარად გამოსჭვივის სტრიქონთა შორის. სამოთხიდან გამოძევებული, ცოდვისმოქმედი ადამიანის ზოგად ბიბლიურ მოტივს აქ ბუნებრივად ერწყმის კონკრეტული პიროვნების, ამ შემთხვევაში ავტორისეული, ღრმა სულიერი ტკივილები. მკვეთრად მოისმის „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული“... ადამიანის გოდება.

გურამიშვილის მედიტაციურ ლექსს, რომელიც პირველ რიგში საკუთარი სულიერი გამოცდილებიდან იღებს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავეს, სწორედ ეს თვისება ანიჭებს არაჩვეულებრივ ემოციურ ელერადობას:

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი,
მგელთ წარსატაცად ფარეხთა გარე,
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

გავხდი გლახაკი და დავრდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე,
ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,
საუნჯისაგან კარს გარე მდგარე.

როგორ თანამედროვედ ელერს ეს ლექსი, თუმცა, როგორც ითქვა, მისი თემაც და სახეთა სისტემაც აშკარად აახლოებს მას სასულიერო პოეზიასთან.

ასევე შემზარავადაა წარმოსახული გურამიშვილის კიდევ ერთ შედევრში წუთისოფლის სიმუხთლე და ამაოება. ლექსი საგულისხმოა იმითაც, რომ აქ აშკარად ქრისტიანულ წარმოდგენებს ერწყმის ხალხური, ეთნოფოლკლორული სალაროდან ამოღებული სახეები, რაც საერთოდ დამახასიათებელია გურამიშვილისათვის (მაგალ., სიკვდილის პერსონიფიცირება მჭლე კაცის სახით და ა. შ.):

მიდის-მოდის ეს სოფელი,
ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს,
უკან დასდევს დრო და ქამი,
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს;
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავს?!
ამად ვსწუნობ საწუთროსა,
სულ ბნელია, რასაც ელავს.

აქაც ზემოთმოტანილი ჰიმნის მსგავსად წარმოსახულია სიკვდილის ზოგადადამიანური თემა, რომელსაც სიმძაფრეს მატებს კონკრეტული განცდის, ამ შემთხვევაში პიროვნული პროტესტის აშკარა კვალი („ამად ვსწუნობ საწუთროსა"...).

უფრო მეტიც, გურამიშვილის ზოგ ჰიმნში იჭვის ძირმწარე შხამი ყონავს, საცა იგი ორთოდოქსალური სასულიერო ჰიმნოგრაფიის ფარგლებს აშკარად სცილდება. იგი ჩაძიებით იკვლევს საწუთროს ორჭოფულ თვისებებს, რომელსაც საბოლოოდ „მიზეზთა-მიზეზისაკენ" მივყავართ. ამ თვალსაზრისით თავისი მძიმე განწყობილებათა ტონით დამახასიათებელია „გოდება დავითისა. საწუთროს სოფლის გამო ტირილი". პოეტი სახეთა კონტრასტებზე აგებს თავის სათქმელს მხატვრულად უძლიერეს სტრიქონებში, რომლებშიც დაფარული, მაგრამ თავისი არსებით მეამბოხე სული ბობოქრობს:

თუ ხარ ღვიძლი, რალა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არის შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არის სიკვდილი?!
ეყავ ერთ-ერთი, ეწამე ღმერთი!

მაგრამ იმისათვის რომ უკეთ გავერკვეთ ზემონათქვამში, აქ საჭიროა აღინიშნოს ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, რომელიც მკვეთრად განასხვავებს გურამიშვილის ჰიმნებს საერთოდ სასულიერო და, კერძოდ ძველი ქართული სასულიერო პოეზიისაგან. აქ მე მინდა მკვითხველის ყურადღება მივაქციო გურამიშვილის პოეტიკის ერთ თავისებურებაზე, რომელსაც ზოგჯერ განსხვავებულად ხსნიან.

გურამიშვილს, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, განსაკუთრებით ამშვენებს სინამდვილის ცოცხალი, კონკრეტული წარმოსახვის მძლავრი ტალანტი, რომლის ნაყოფია, სხვას რომ თავი დავანებოთ, „ქართლის ჭირის" საოცრად რეალისტური ხედვით ნაწერი ეპიზოდები.

ეს მისი პოეტური ბუნებაა და მხატვრისათვის ამ, მართლაც, იშვიათ თვისებას იგი არაჩვეულებრივი წარმატებით იყენებს სასულიერო ჰიმნებშიც და ძალზე თავისებურ იერს ანიჭებს მათ.

იგი ამ თვალსაზრისით ჰიმნოგრაფიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოდერნიზაციის გზაზე დგას და სასულიერო ლექსის სრულიად ახალ სახეობას ქმნის არამარტო ფორმით (გურამიშვილმა ხალხური ინტონაციები შეიტანა თავის ჰიმნებში), არამედ არსებითი ნიშ-

ნებითაც. ნაცვლად პოეტური აბსტრაქციებისა, რაც სასულიერო ჰიმნთა ძირითადი თავისებურებაა, გურამიშვილი ცოცხალი, სინამდვილიდან აღებული კონკრეტული შთაბეჭდილებებით ამდიდრებს თავის ჰიმნებს.

როგორ არის აგებული გურამიშვილის ჰიმნთა უმრავლესობა? თითქმის ყოველ მათგანს საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტი, პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება თუ ესა თუ ის მნიშვნელოვანი შემთხვევა მისივე პერიპეტიებით აღსავსე ბიოგრაფიიდან, მაგრამ ლექსში გადმოცემული პოეტური სურათი სრულდება განზოგადებით. წარმავალში დანახულია მარადიული, რაც, როგორც წესი, მისტიკურ-ალეგორიული ხერხითაა გადმოცემული.

საკმარისია აქ გავიხსენოთ დავით გურამიშვილის ცნობილი ლექსი, რომლის სათაურშივე ავტორი აღნიშნავს: „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შეხმა". თითქოს ყველაფერი ნათელია, ავტორი გვიყვება მეორედ დატყვევების ამბავს პრუსიელებთან ომში, რომელიც, სხვათა შორის, მან ასევე გადმოგვცა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისადმი წარდგენილ სათხოვრის წერილში („ჩელობიტნიე"), როცა იგი ჯარიდან განთავისუფლებას ითხოვდა: „იმ ბატალიის დასასრულს, — წერს დავით გურამიშვილი, — კისტრინის მახლობლად მტერს მივდევდი და მოულოდნელად ცხენითურთ ჭაობში ჩავეფალ". ამ დროს მოწინააღმდეგემ დამატყვევაო.

აი, პოეტის ცხოვრებაში ასეთ მნიშვნელოვან ფაქტზეა აგებული ეს ლექსი, რომელიც ამასთან ღვთისმშობლისადმი აღვლენილ შესხმას წარმოადგენს. ლია ანუ ჭაობი გააზრებულია როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა, საიდანაც დახსნას ითხოვს პოეტი. „ცხოვრების წყლის ღარი" ანუ მარიამ ღვთისმშობელი ეგულება მას შემწედ ღვთაებისაკენ მარადიულ სწრაფვაში. მატერიალურიდან სულიერამდე ამაღლების, სუბლიმირების ასეთი გზა დამახასიათებელია გურამიშვილის ჰიმნების დიდი უმრავლესობისათვის.

ტიპიურია ამ თვალსაზრისით აგრეთვე დავით გურამიშვილის ერთ-ერთი ლირიკული შედევრი „ზუბოვკა". შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, რომ აქ ლექსის მამოძრავებელია ცოცხალი შთაბეჭდილება, რეალური ქალის ტრფიალით გამოწვეული განცდა:

ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მასზე დამრჩა თვალი.
შაგ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასდა შავი ხალი,
მისმა ეშხმან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი.

კონკრეტული და პოეტურად სრულყოფილი სურათია. ქალის სილამაზით გამოწვეული მძლავრი განცდა გადმოცემულია დიდი დინამიზმით, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი მოხდენილი ეპითეტები გასრულებულია მშვენიერი მეტაფორული სახეებით: „მისმან ეშხმან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი" (პოეტურ ეფექტს აძლიერებს არქაულად გაწყობილი ტმესი: „და-ცა-მლეწა", შდრ. რუსთველთან: „სიხარულმან ამაჩქარა, ამათრთოლა, და-ცა-მლეწა"), ლექსის მანძილზე გურამიშვილი თანდათან დრამატული ელემენტებით აძლიერებს შეხვედრის ეპიზოდს და, უცებ, ერთი შეხედვით, მართლაც, მოულოდნელი გრადაცია... რეალური ქალი ღვთიურ ძალად (ამ შემთხვევაში ქრისტედ) წარმოგვიდგება, მიწიერი სიყვარული მისტიკურ-ალეგორიულ ტრფიალებაში გადადის, ცეცხლოვანი ვნების ნაცვლად ისმის მსასოებელი ღაღადი:

აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვეყანეთსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულება ცადა,
გეაჯვბი, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

„ალამაზი ქალი" აქ საწუთროს, ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნიურ ცთუნებათა პერსონიფიცირებული სახეა, ხოლო ლექსის შინაარსი ცთუნებათაგან თავის დაღწევისა და ჭაცრი გამოცდის გზით ღვთაებისაკენ სწრაფვას გამოხატავს (შდრ. აგრეთვე ლექსი „სიმღერა“: „საყვარელმან სიტყვა ავი...“ და სხვ.).

ჰიმნების დიდი უმრავლესობა ასეთი პოეტური ხერხითაა დამუშავებული (ტექსტი და ქვეტექსტი, რეალური და მისტიკური პლანის მონაცვლეობა), ხოლო ყოველივე ეს მისი შემოქმედების ერთი ისეთი სპეციფიკური ნიშანია, რომელიც დავით გურამიშვილს გამორჩეულ ადგილს ანიჭებს შუასაუკუნეთა ქრისტიანული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის.

გურამიშვილის შემოქმედებითი მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან, რასაკვირველია, სხვა ასპექტებსაც მოიცავს და მომავალში ამ მიმართულებით ჩაღრმავებული კვლევა ახალ-ახალი პლასტების აღმოჩენას გვპირდება.

მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ერთი რამ ცხადად გამოიკვეთა. ისევე, როგორც ყოველ დიდ შემოქმედს შეჰფერის, გურამიშვილისთვის ეს მიმართება არ იყო ცალმხრივი. ტიპიური ჰიმნოგრაფების კვალობაზე პოეტს მიზნად არ დაუსახავს წმინდა ქრისტიანული თემების თუნდაც ახლებური გადამუშავება.

გურამიშვილმა ქრისტიანული პოეზიის ეს დიდი სულიერი გამოცდილება შემოქმედებითად აითვისა და საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა. მან, როგორც ითქვა, სასულიერო ჰიმნებშიც ცოცხალი ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა, ჰიმნოგრაფიული ლექსის სრულიად განსხვავებულ სახეობას მისცა დასაბამი.

ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ჭვრეტისა და მარადიული სასუფევლის ოდენ უშფოთველი მოლოდინისა, იგი მართლაც, ცხოვრებისეული ცეცხლით იწვოდა. გურამიშვილმა ეს დიდი გულისტკივილი გაგვიმჟღავნა კიდეც საკუთარი შვილივით საყვარელ სიმღერებში, რომლებსაც მომავალში ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის მეგობრებად იგულვებდა:

ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა,
ვამე, ვინ მომიფონებსა?
თუ არ შევკრებ და არ უძღვნი
ყრმათ ია-ვარდის კონებსა“.

დავით გურამიშვილის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები

ერთი აშკარა მაჩვენებელი იმისა, რომ დავით გურამიშვილი არ არის ტიპიური შუა საუკუნეების პოეტი (მიუხედავად რელიგიური აზროვნების დიდი ნაკადისა), არის არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურამიშვილის პოეზიის დიდი სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან და საერთოდ ხალხურ მეტყველებასთან. მანვე უშურველად გაუღო კარი თავის პოეზიაში ხალხურ თემატიკასა თუ ხალხური ყოფის ამსახველ ძალზე ნიშანდობლივ ეპიზოდებს. მაგრამ აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ გურამიშვილი ამ შემთხვევაში განცალკევებით არ დგას ქართული აღორძინების ხანის მწერლობაში (XVII-XVIII ს. ს.). ამ ხანის ქართველმა განმანათლებლებმა ასეთი მიმართება პრინციპულ დონემდე აიყვანეს (ამ შემთხვევაში სამაგალითოდ მარტო სულხანსაბას ლექსიკონი იკმარებდა, სადაც მწიგნობრულის გვერდით დიდი ხვედრითი წონა ჰპოვა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველების სალაროდან აღებულმა ლექსიკამ).

მართლაც, დავით გურამიშვილის შემოქმედება მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორისა და მწერლობის პირმშოა და ამასთან, რასაკვირველია, სრულიად ახალ თავისებურ საფეხურს წარმოადგენს.

გურამიშვილის პოეზიაში ძლიერ ნაკადადაა შეჭრილი ქართული ხალხური ლექსი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გურამიშვილის პოეტური სი-

ტყვის ძირითად სტილურ ნიშანს სწორედ ეს ნაკადი ქმნის. გავიხსენოთ თუნდაც ის ლექსები, რომელთა შესახებ თვითონ პოეტი გვაცნობს მინაწერებში, რომლებიც ერთვიან ლექსთა სათაურებს:

1. „ხარებობის დღის შესხმა: „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცვლოდ სამღერალი“.

2. „სიტყვა ესე ღვთისა სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა. ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სამღერლად — „ეეო, მეო, ქალო, ქალთა მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“.

3. „სიმღერა ფერხისული“, „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“.

4. „სიმღერა ქა(ლ) -კახეთის ჯვარობას სანაცვლოდ სათქმელი“.

5. „დინარი“, „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერალი“.

6. „სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობიდამ გამოსვლის დროს, დავითის შესხმა“, „ჩემო ყურშაო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“.

თითქოს ნათელია ყველაფერი, მაგრამ აქ საჭიროა დამატებით აღინიშნოს შემდეგი: რა მიზანს ისახავდა პოეტი, როცა ლექსებთან თვითონვე მიუთითებდა პროტოტიპებად შერჩეული ხალხური სიმღერების სათაურებს, ხოლო ზოგჯერ დასაწყის სტრიქონს?

ამ შემთხვევაში ოდნავ უკან უნდა დავიხიოთ და გავიხსენოთ სასულიერო პოეზიის ერთი უნივერსალური წესი.

სასულიერო ჰიმნი, რომელთა ზოგიერთ მხატვრულ თავისებურებებზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, პირველ რიგში, სიმღერა-გალობისათვის იყო განკუთვნილი და მას შესაფერისი ტექსტიც ჰქონდა შეწყობილი. აქ მთავარი წესი ის იყო, რომ უკვე პირველი სტროფისათვის (საეკლესიო ტერმინოლოგიით „ტროპარისათვის“) იყო შერჩეული რიტმულ-მელოდიური მოდელი, რომელიც მეორდებოდა მომდევნო სტროფებშიც. სხვანაირად, ახალი კილო ანუ მელოდია აღინიშნებოდა პირველი სტროფით, ე. ი. მიუთითებდა საგალობლის კილოსა ანუ მელოდიაზე, რაც სავალდებულო იყო მთელი საგალობლის მანძილზე. ასეთ მანიშნებელ პირველ ტროპარს ძველ-ქართულად „ძლისპირი“, ხოლო ბერძნულად „ირმოსი“ ეწოდებოდა, ე. ი. საგალობელი გამართული იყო იმ ძლისპირის ნიმუშზე, წესზე, რომელიც ამავე საგალობლის თავში აღინიშნებოდა (აქვე შევნიშნავთ, რომ კილო ძველი ქართულით აღინიშნებოდა ტერმინით „ავაჯი“, ხოლო თუ იგი ორიგინალური იყო მაშინ მას „თვითავაჯი“ ეწოდებოდა).

მაგრამ იყო შემთხვევები და ძალზე ხშირიც, როცა ჰიმნოგრაფები თხზავდნენ ახალი შინაარსის სასულიერო ტექსტებს და მათ შეუწყობდნენ, მიუსადაგებდნენ მანამდე უკვე ცნობილ მელოდიას. ამისათვის ისინი იყენებდნენ სწორედ უკვე ცნობილი ჰიმნის პირველი სტროფის (ტროპარის), ანუ „ძლისპირის“ დასაწყის სიტყვებს, რითაც ნათელი იყო, თუ როგორი კილოთი და საზომით (მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში) უნდა შეესრულებინათ ეს ახალი ჰიმნიც.

როგორც ჩანს, დაახლოებით ამავე მეთოდს მიმართავ. დავით გურამიშვილმაც. ყველამ იცოდა პოეტის თანამედროვეთა შორის, თუ რა კილოზე იმღერებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხური სიმღერები. პოეტი მიუთითებდა, როგორც ითქვა, მათ სათაურებს ან დასაწყისის სიტყვებს, რითაც ნათელი იყო, თუ როგორი წესით უნდა ემღერათ მათ უკვე თვით გურამიშვილისეული ტექსტები, რომელთა შინაარსი, როგორც ვნახეთ, მეტწილად ჰიმნოგრაფიული თემების ფარგლებშია წარმოდგენილი. აქვე შევნიშნავთ, რომ (როგორც ცნობილია, ადრე არსებულ „ხმებზე“ მითითებას როგორც ჩანს, ამავე მიზნებით მიმართავდნენ აგრეთვე მამუკა ბარათაშვილი და ამავე ეპოქის სხვა პოეტებიც).

მართლაც, უბრალო შედარებაც ცხადყოფს, რომ გურამიშვილი პოე-

ტურად ამუშავებს ხალხურ ლექს-სიმღერებს, რიგ შემთხვევაში ძველ სასიმღერო მელოდიებს ახალ, სასულიერო შინაარსის ტექსტებს. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ზემოთ მე-5 ნომრით დასახელებული ლექსი „დინარი", „პატარა ქალო თინაო"-ს სანაცვლოდ სამღერალი", რომელიც პოეტური წყობითაც კი აშკარად ახლოს დგას ხალხურ პროტოტიპთან:

ხალხური:

მოხევის (ან პატარა) ქალო თინაო;
რამ დაგაბერა შინაო;
შენი ტოლები გათხოვდნენ,
შენ რაღას უცდი შინაო.

გურამიშვილი:

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო? —
ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა,
ღამე დღედ განაპრწყინაო!

მაგრამ უფრო ძნელი შეიქნა ზემოთმოტანილ ხალხურ ლექსთა პროტოტიპების ძიება (შდრ. მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955). ერთი შეხედვით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, კერძოდ, ზემოთ დასახელებული პირველი ოთხი ლექსი შესრულებულია თოთხმეტმარცვლოვანი საზომით, რაც შედარებით იშვიათ მოვლენაა ქართულ ხალხურ პოეზიაში. მაგრამ, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ყველა ეს ლექსი საწესჩვეულებო უნდა იყოს. ამასთან, ეს ლექსები სრულდებოდა, როგორც გუნდური, ფერხისული საცეკვაო სიმღერები. ცნობილია, რომ სწორედ ასეთი ხასიათის სიმღერები თოთხმეტმარცვლიან საზომს, კარგად ეგუებოდნენ საცეკვაო რიტმს. საკმარისია დავასახელოთ გავრცელებული ფერხისული — საცეკვაო „ცანგალა და გოგონა", რომელიც თავისი საზომითა და რიტმული წყობით ასე ახლოს დგას გურამიშვილის ლექსთან: „სიმღერა ფერხისული" „აგერ მიღმარ ახოს" სანაცვლოდ სამღერალი". როგორც ვხედავთ, თვით გურამიშვილიც გვამცნობს აღნიშნული რიტმის საცეკვაო-ფერხისულ ხასიათს. მკვლევართა ყურადღებას იპყრობს მეორე გარემოება. თითქმის ყველა ამ ლექსის პროტოტიპი, რომელთა სათაურებზეც ასეთი მინაწერები გააკეთა პოეტმა, საწესჩვეულებო ხასიათს ატარებს. კ. კეკელიძე ამ მოვლენას ხსნის იმ გარემოებით, თითქოს აქაც ისეთივე ვითარებაა, როგორც ეს ახალფეხადგმული ქრისტიანობის დროს: „მან (გურამიშვილმა) მოინდომა პოპულარიზაცია გაეკეთებინა ამ იდეოლოგიისათვის, ხალხში გაევრცელებინა რელიგიური შეგნება და ცოდნა. ამისთვის მან ობიექტურად მიმართა იმ მეთოდს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პირველი ქრისტიანები: ხალხის მოსაზიდავად და ახალ რელიგიაში გადასვლის გასაადვილებლად ისინი ეპატრონებოდნენ იმ ადგილებს, სადაც ლოცულობდნენ წარმართები: ეკლესიებს აშენებდნენ იმ ადგილებზე, სადაც იყო წარმართთა სამლოცველოები, ანდა მათ სამლოცველო შენობებს გადაკეთებდნენ ხოლმე ქრისტიანულ ეკლესიად. წარმართთა დღეს აწესებდნენ თავიანთ ქრისტიანულ დღესასწაულებს (ქრისტეს შობა, წმინდა გიორგობა, წმინდანების სახელობითი დღესასწაულები). წარმართები თავიანთი ღმერთებისა და რელიგიური დღესასწაულების შესამკობად თხზავდნენ ხოლმე ლექსად საგანგებო ჰიმნებს. მათი გავლენის შესანელებლად და მათი მიბაძვით ქრისტიანებიც თხზავდნენ ხოლმე თავიანთ ქრისტიანულ ჰიმნებს. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მხრივ ცნობილმა ეფრემ ასურმა (V ს.), რომელიც იმავე კილოზე წერდა თავის პოეტურ ჰიმნებს, რომელსაც ხმარობდნენ წარმართები და მწვალებლები. ეს უკანასკნელი მეთოდი, — დასძენს კ. კეკელიძე, — გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც".

სხვათა შორის, ამ მოსაზრებას ერთგვარად ადასტურებს პოეტიც, როცა ერთ თავის ლექსში აცხადებს: „არანანინას, თარანანინას ესე სჯობია,

ღვთის სამკობია: ალილუია". მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ასეთი განსაკუთრებული კავშირი ძველ საწესჩვეულებო პოეზიასთან თვით გურამიშვილის პოეზიის ბუნებაშიც უნდა დავინახოთ. გურამიშვილის ღრმად რელიგიური განწყობილებისათვის სწორედ ამ ტიპის ხალხური სასულიერო პოეზია იქნებოდა მახლობელი. გურამიშვილი, რომელიც თავისი განწყობილებითა და ზოგი მხატვრული ხერხით ასე ახლოს დგას სასულიერო ჰიმნოგრაფიასთან, იღებს მზამზარეულ ხალხურ ფორმებს ასეთივე ლექსებიდან და ქმნის სრულიად ახალი ტიპის რელიგიურ ჰიმნებს. სადა, ხალხური ფორმებით უფრო ადვილი იყო მკითხველის გულთან მისვლა და სწორედ ეს აზრია გამოხატული დავით გურამიშვილის სიტყვებში.

ქრთილის პურის ქერქშია
შიგ თათუხი ჩავდეო;
ქერქი გაფრცვენ, განიგდე,
შიგნით გულს კი სჭამდეთ.

მძლავრი ლტოლვა დიდი პოეტისა ხალხური ფორმებისა და საერთოდ ხალხური პოეზიისადმი კარგად ჩანს სხვა მხრივაც. მსგავსად მამუკა ბარათაშვილისა და „აღორძინების ხანის" ზოგი სხვა პოეტისა, გურამიშვილი უხვად დასესხებია რუსულ და უკრაინულ ფოლკლორს. სწორად შენიშნავენ, რომ გურამიშვილი თვითონ გვეხმარება საკუთარ ნაწარმოებთა რუსული და უკრაინული წყაროების მონახვაში. პოეტი ქართული ტრანსკრიპციით ხშირად ასახელებს იმ ხალხურ ხმას, სასიმღერო მოტივს, რომელიც გამოიყენა მაღალი ხელოვნებით შესრულებულ ნაწარმოებთა შექმნის დროს (იხ. მინაწერები ზოგი ლექსის სათაურის ქვემოთ).

ამასთან, როგორც ცნობილია, რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიას გურამიშვილი სხვაგვარად იყენებდა. თუ ქართული ხალხური ლექსის ფორმა, რიტმი, საზომი (ზოგჯერ რითმაც) უცვლელად გადმოდიოდა გურამიშვილის ჰიმნებში, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იგი მარტო ხმას, მელოდიას უგდებდა ყურს, რაც ეთვგვარი ბიძგის მიმცემი იყო და ქმნიდა როგორც ფორმით, ისე, მით უფრო შინაარსით განსხვავებულ ნაწარმოებებს (მეტწილად რელიგიური ხასიათის ჰიმნებს). მ. ჩიქოვანმა ცნობილი რუსი ფოლკლორისტის — ჩულკოვის ჩანაწერებში (1770 წლის გამოცემა) შენიშნა ზოგი ლექსის პროტოტიპი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მათი მხოლოდ შორეული გამოძახილი ისმის გურამიშვილის ლექსებში, ისიც დასაწყისი სტრიქონების სახით (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 24–27).

ასეთი დასკვნების შემდეგ, რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი ჩანს იმის მტკიცება, რომ გურამიშვილი მწიგნობრული გზით ითვისებდა რუსულ-უკრაინულ ფოლკლორულ მასალებს.

ასეთი მოსაზრებაა გატარებული მიხეილ ჩიქოვანის ზემოთდასახელებულ წიგნში. იგი ამასთან ეკამათება ალექსანდრე ბარამიძეს და სხვებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერებას უკავშირებენ პოეტის აღნიშნულ ლექსებს. აქ დამატებით შევნიშნავ, რომ სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, ნუ დავივიწყებთ, რომ გურამიშვილი თავის ლექსთა პროტოტიპებად ასახელებდა არამარტო რუსულ-უკრაინულ სიმღერებს, არამედ პოლონურსა და სომხურ ლექსთა ხმებსაც, რაზეც უფრო დაწვრილებით ცნობებს მკითხველი იპოვის თვით პოეტის მიერ „დავითიანზე" დართულ „ზანდუკში". სხვათა შორის, ჩვენს ამ მოსაზრებას უჭერს მხარს მამუკა ბარათაშვილის შემოქმედებითი პრაქტიკაც. იგი ბევრად ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა რუსულად ფოლკლორულ ჩანაწერთა ანალოგიური კრებულები, ასევე ზეპირი გზით ითვისებდა და იყენებდა რუსულ-უკრაინულ ფოლკლორულ ნიმუშებს.

დიახ, სწორედ რუსულ-უკრაინულმა სიმღერებმა, გუნდურმა თუ კობზარების მიერ შესრულებულმა მელოდიებ-

მა მიიპყრო პოეტის ყურადღება და არა მწიგნობრულმა მშრალმა მასალამ, რომლებშიც ხალხურ სასიმღერო ლექსებს დაკარგული აქვთ უმთავრესი ატრიბუტი — სიმღერა, მელოდია. უეჭველია, დავით გურამიშვილის ლექსზე სერიოზული კვალი დაამჩნია რუსულ-უკრაინულ ფოლკლორთან სიახლოვემ და ეს, რასაკვირველია, მარტო მელოდიის ან ზოგჯერ განწყობილების გადმოტანით არ ამოიწურება. რუსულ-უკრაინული ლექსის გავლენათა შემოსული გურამიშვილთან ზოგი ისეთი ელემენტი, რომელიც ტონური ლექსის კუთვნილებაა: მაგალითად, სწორედ გურამიშვილმა იხმარა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმები, რომელიც აშკარად სცილდება კლასიკური ქართული ლექსის ჩარჩოებს. როგორც ცნობილია, ქართულ ლექსში დომინანტობს სამმარცვლიანი და ორმარცვლიანი რითმები. თავის მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი" აკ. გაწერელია მართებულად შენიშნავს, რომ მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების ზეგავლენით გურამიშვილი მარჯვედ იყენებს ხოლმე ვაჟურ ანუ ერთლმარცვლიან რითმებს. მაგალითად:

მე გასმევდი, მე გაჭმევდი,
მე გაცმევდი ტანთ,
შენ დახარბდი მცირის ძღვენით,
სხვისგან მონატანთ.

როგორც ცნობილია, ეს პროცესი, კერძოდ, ქართულ კლასიკურ ლექსში ამ ტიპის რითმების გაძლიერება, თანდათან უფრო ხელშესახები ხდება მე-19 საუკუნის (რომანტიკოსებთან) და მე-20 საუკუნის ქართულ ლექსში.

ქართული ფოლკლორის ცხოველმყოფელი ნაკადი იგრძნობა არა მარტო იმ მიმართულებით, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად სამკვიდროდან მოწყვეტისა გურამიშვილის ლექსთა კრებულის თითქმის ყოველ სტრიქონში ბრწყინავს ხალხური ლექსის ფრთიანი ფრაზა, სახე — აფორიზმი და სხვა მხატვრული საშუალებები. აქ შოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ერთ, თავის დიდაქტიკურ ლექსში „საქონლის შეკრებისათვის" პოეტი გვირჩევს, რომ ძნელია ბედზე დანდობა, ბედი ბრმაა და უკუღმართად იხედებაო. ხალხური აფორისტიკის აშკარა გამოძახილია პოეტის სიტყვები:

ბედს საქოჩრითგან თვალთ უჩანს,
ქალის სახე აქვს ბრმისაო.

ნდომა, სიხარბე და თავშეუკავებლობა სიკეთის მტერია და ბნელი გზებით მიაქცევს ადამიანს, ხოლო ნდობამორეული კაცი ვერც სწავლა-დარიგებას შეიცნობს. და პოეტი კვლავ სხარტი, ხალხურ თქმაზე დამყარებული სიტყვით მოგმართავთ: „ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა". გურამიშვილის პოეტურ ენაში ფოლკლორთან ერთად ბუნებრივად შემოდის ხალხური ყოფის ელემენტებიც და სათანადო ადგილს იკავებს ამა თუ იმ პოეტურ სახე-თქმაში.

საგულისხმოა აგრეთვე ამ თვალსაზრისით რუსთაველისა და გურამიშვილის ერთი შეხვედრა. „ვეფხისტყაოსნიდან" გავიხსენოთ ის ეპიზოდი, როცა ტარიელისაგან გაწბილებული სამი ყმა შეხვდა ავთანდილს და უამბობენ უცხო მოყმესთან შეტაკების ამბავს:

ბროლმან ლალსა გარეულმან,
ვარდნი თხელნი ანატიფნა,
ოგი ტკბილნი გონებანი
ჩვენთვის მეტად გაამყიფნა:
არ აგვიხვნა, არცა დაგვსხნა,
ყოლა არად ამოგვკრიფნა,
მისი მკვახედ მოუბარნი
მათრახითა შეგვამწყიფნა!

მეოთხე სტრიქონში ჩვენ აშკარად ხალხურ თქმაზე დაყრდნობილი ფრაზა გვაქვს კონსტრასტული პარალელიზმის ფორმით გაშლილი. როგორც მკვახე ხილს არბილებს და ამწიფებს დარტყმა, დაბეჟვა, ჩვენც ასევე შეგვარბილა უცხო მოყმის მათრახმაო. როგორც აღვ-

ნიშნეთ, ასეთივე ფრაზა, მსგავს ხალხურსავე თქმაზე დაყრდნობით, რამდენიმეჯერ გამოუყენებია გურამიშვილსაც. „ქართლის ჭირის“ იმ თავში, სადაც ვახტანგი მსჯელობს კახთა მეფე კონსტანტინესთან მორიგებაზე, არის ასეთი ადგილი (იე): ვახტანგი ამბობს, მოვიპატიჟოთ კონსტანტინე და ვნახოთ, თავს როგორ დაიჭერსო. პოეტმა ზემოთ ნახსენები ხასიათის ხალხური სახე-თქმა მოიშველია:

ხილთა ტკბილთა და მწარეთა
შაეტყობის გემოს ნახვით.
თუ ვერა ვსჭამ ხილს სიმკვახით,
დავარბილებ, დავბეე ქვა-ხით.

თავის მხატვრული საშუალებებით და საერთო აგებულებით თუ რა ახლოს დგას ხალხურთან გურამიშვილის ლექსი, ნათელია რამდენიმე ნიმუშითაც. რუსეთში გადასულ ვახტანგ მეექვსეს უიღბლობა გადაჰყვა თან და პოლიტიკურ არეულობას რუს ხელმწიფეთა სიკვდილიც დაერთო. გულშიჩამწვდომი სიტყვებით გადმოგვცემს გურამიშვილი ვახტანგის უბედურებას:

ამიზედ იყო მგლოვარე,
ტრემლი ამისთვის ზღიოდა:
სამი ხელმწიფე ზედიზედ მოკვდენო,
გული სტკიოდა;
თავისას, თავის ქვეყნისას
უბედურების ნიოდა.

ძნელი არ არის აქ დავინახოთ ფორმალური გავლენა ერთი ბრწყინვალე ხალხური ლექსისა, რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა ჩვენამდე მოღწეული:

ჩვენ მონადირე გვეგონა,
თურმე მას გული სტკიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა,
ათი მოეკლა გზადაგზა,
უომრობასა ნიოდა.

უფრო დახვეწილია ამავე ლექსის ხხვა ვარიანტი, რომელიც მოთავსებულია ექვთ. თაყაიშვილის კრებულში:

მთიდან მოსული ვაეკაცი
გეზელ-ქორივით კიოდა,
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.
სამოცი ლეკი მოეკლა,
უვაეკაცობას ჩიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა, რომ ეს ლექსი, ისევე როგორც გურამიშვილის პოემის ზემოთ მოტანილი ადგილი, თავისი აღნაგობით მკითხველს მოაგონებს ცნობილ ეპიზოდს რუსთაველის პოემიდან, როცა ტარიელი შემოეგებება დაჭრილ ფრიდონს:

ზახილი მესმა, შევხედენ,
მოყმე ამაყად ყიოდა,
შემოირბევდა ზღვის პირ-პირ,
მას თურე წყლული სტკიოდა;
ხმლისა ნატეხი დასვრილი
აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა, წყრებოდა,
ოგინებოდა, ჩიოდა.

დასასრულ მოვიტან ორიოდე მაგალითსაც, თუ ხალხური ლექსის კილო რა ორგანულადაა შესული გურამიშვილის ლექსში: დოდორქელ ბერს ასე მიმართავს იესე, ვახტანგის ძმა:

რადგან მადლის მოლვაწე ხარ,
სამთბ ამ სოფლის ცხოვრებასა,
შენ ის სიკვდილს მოარჩინე,
ღმერთი მოგცემს ცხონებასა.

ან სასულიერო ჰიმნი (რომელ არს გოდება), რომელიც ასე გვაგონებს ხალხური დატირების ჟანრის ლექსებს:

ვაი, ჩემს თვალთა ჩენასო,
შემს უკან ჩემს დარჩენასო!
ვაი, მე ამ დღის დამსწრესა,
შენს გულზე ხელის დამკრებსა.

ხალხურ პოეზიასთან გურამიშვილის არაჩვეულებრივ სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე მისი სიცოცხლითა და სიჯანსაღით აღსავსე მხიარული პოემა „ქაცვია მწყემსი“. ავტორი ამ უკანასკნელს თვითონ უსვამს ხაზს სათაურშივე: „წიგნი ეს მხიარული ზაფხული“. გურამიშვილი (ბესიკთან ერთად) ერთ-ერთი პირველია, ვინც თავისი პოეზიის საგნად უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრება გაიხადა. თუ გავიხსენებთ შუა ხუკუნეთა მსოფლიო მწერლობის პოე-

ტიკის ძირითად კანონებს, როცა ალმაცერად უყურებენ ხალხის შემოყვანას პოეზიის სამეფოში, ნათელი გახდება გურამიშვილის აშკარად დემოკრატიული პოზიცია ამავე საკითხებშიც.

„ქაცვია მწყემსი" ჰეშმარიტი უბრალოებისა და სისადავის ბრწყინვალე პოეტური ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში საკმაოდ გვხვდება ქრისტიანულ მორალისტიკაზე აგებული დარიგება-სენტენციები და ზოგჯერ რიგორისტური ხასიათის მკაცრი შეხედულებები, პოემაში მაინც დომინანტობს მძლავრი ნაკადი ხალხური წარმოდგენებისა. ამასთან, „ქაცვია მწყემსი" როგორც ცალკეული მოტივები, ისე ძირითადი სიუჟეტური ხაზითაც აშკარად ხალხური, ყოფა-ცხოვრებითი ჟანრის პოემაა. სიუჟეტურ საყრდენს ქმნის ხალხური წარმოდგენები ბუნების გამოღვიძებაზე, როცა ჯანმრთელი სიცოცხლე მთელი ძალით იფეთქებს. ყველაფერი პაწაწკინტელა ბალახიდან ადამიანებამდე, სიცოცხლის სიხარულს მოუცავს; ბუნების განახლებას ახალი ლხენა და სიყვარული მოაქვს: „მსგავსად-მსგავსადმან იპოვა ტოლი".

თბილი იუმორით, მხიარული ფერებით ავტორი მოგვითხრობს ბუნებრივი სიყვარულით შეკავშირებული ახალი ოჯახის შექმნის თავგადასავალს. ლაღი, პირველყოფილი გულუბრყვილობის შეურყვნელად მატარებელი უბრალო მწყემსები მთელი არსებით უერთდებიან ბუნების მორიგ გამოღვიძებას, ამასთან თავისი იდილიური სულისკვეთებით პოემა აშკარად მოგვაგონებს ბუკოლიკური ტიპის თხზულებებს.

შუა საუკუნეთა მწერლობისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, დამახასიათებელი „პირველყოფილი ცოდვით" დატვირთული ადამიანის სულიერ ძიებათა ნაცვლად, პოემაში უფრო ფიზიკური სიჯანსაღის ანტიკური საწყისები ფეთქავს: ადამიანი ბუნების შვილია და იგი წუთითაც არ უნდა მოსწყდეს მას. ბუნებასთან ერთიანობა, ბუნებრივი კანონებით ცხოვრება ისევე უკვდავად აქცევს ადამიანთა მოდგმას, როგორც მუდმივ განახლებათა გამო მარადიულია თვით ბუნება, მთელი გარე სამყარო. აი, პოემის ძირითადი პათოსი. ასეთ დროს გურამიშვილი თითქოს წამიერად ივიწყებს მისსავე ლირიკაში გამოვლენილ ღრმა სევდას მარტოდ შთენილ ადამიანთა მიუსაფრობაზე.

პოეტი ხალხური მოტივების დამუშავებასთან ერთად ტექსტში ურთავს მორალურ-დიდაქტიკურ შეგონებებს და ხშირად იშველიებს ბიბლიურ თემებს, აქაც კარგად ჩანს პოეტის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც საერთოდ მისი პოეზიის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა: „ქაცვია მწყემსთან" დაკავშირებით სწორია გიორგი ნატროშვილის შენიშვნა, რომ პოემაში ფრიად მძაფრი წინააღმდეგობანი გვხვდება: მასში არის ისეთი ვნებიანი სურათები, რომელსაც აპულეოსი და ლონგისიც მოაწერდნენ ხელს და, ამასთან, აქვეა ისეთი მკაცრი სულისგამყინავი ასკეტიზმი, რომელიც ისო ზირაქის წიგნის ბნელ აზრებს შეედრება. სხვას რომ თავი დავანებოთ, პოემის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ჩვენ შევუდარეთ სათანადო ადგილები შესაქმეთა წიგნიდან, ფსალმუნიდან და სხვ., და ირკვევა, რომ პოეტი თითქმის პარაფრაზის სიზუსტით ამუშავებს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს; მაგრამ გურამიშვილი აქაც ერთგულია თავისი მეთოდისა და ცალი თვალი მაინც ხალხური წარმოდგენებისაკენ უჭირავს. მ. ჩიქოვანმა შენიშნა თავის დროზე, რომ ნოეს კიდობანის ამბის თხრობის დროს პოეტს ხალხური თქმულებაც ჩაურთავს შიგ. მაგრამ შემდეგში ზედმეტად უცვნია კანონიკურ კონტექსტში მისი მოთავსება და ასეთი შენიშვნა დაურთავს: „ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევ მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს ამისათვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი". ამის გამო მკვლევარი შენიშნავს, რომ

გურამიშვილს ეს ლეგენდა ქართლში უნდა ჰქონდეს გაგონილი. ჩვენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გაგვიგონია გადმოცემა „რატომ იძახის კამეჩი ნოეს". ეს ეტიმოლოგიური ლეგენდა პოეტს ბიბლიისად მიუჩნევია და გაულექსავს, მაგრამ როცა შეუმოწმებია, საამისო რამ ბიბლიაში ვერ უნახავს და ხელნაწერში ეს ადგილი წაუშლია. გურამიშვილის მიერ გალექსილი „კამეჩის ამბავი", სამწუხაროდ, დღემდე ჩაწერილი არ არის. ამის გამო შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რით განსხვავდება სტილიზებული ტექსტი ფოლკლორულისაგანო. (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 40-41).

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ მართლაც არსებულა ასეთი ხასიათის ხალხური ლექსები, რომელიც არსებითად ბიბლიის აპოკრიფულ ციკლს განეკუთვნებიან. პეტრე უმიკაშვილის კრებულში ჩვენ დავადასტურეთ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ასეთი ხასიათის ხალხურ აპოკრიფს წარმოადგენს:

წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჯდა თალა
კიდობანი,
შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ
ააყვავა,
შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მაგრა
გაუყარა.
კამეჩი მოდის, მოყვირის: მეცა შიგა
შემიყვანე!

ამ შემთხვევაში ნათელია, რომ ამ ტიპის ხალხური ლეგენდით უსარგებლია დავით გურამიშვილს, ამასთან ისიც შეუნიშნავს, რომ იგი არ ეკუთვნის ბიბლიის კანონიკურ ტექსტს.

სწორედ ხალხური პოეზიის წყაროსთვალთან სიახლოვემ შეუწყო ხელი გურამიშვილის ფორმის უბრალოებას. გურამიშვილმა საბოლოოდ უკუაგდო პოეტური მეტყველების მეტაფორულ-ამაღლებული სტილი, რომელიც ე. წ. აღორძინების ხანაში მზამზარეული და გაყინული პოეტური ფორმულების გროვად გადაიქცა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტაფორას საერთოდ არ იყენებდეს გურამიშვილი. ზოგი მისი მეტაფორა ნამდვილი აღმოჩენაა და პირველთქმულის მშვენიერებით ბრწყინავს. მაგრამ მისი პოეზიის უმთავრესი ხალხური ხერხი მაინც შედარებაა (სახეთა პარალელიზმთან ერთად) და ეს მომენტი მას განსაკუთრებით აახლოებს ხალხურ პოეტურ მეტყველებასთან. თუ რა ბუნებრივად ერწყმის გურამიშვილის მეტაფორა და შედარება ერთმანეთს, ამის ნიმუშად საკმარისია ერთი საინტერესო მხატვრული სახე. თავისი დიდი სიხარული ტყვეობიდან სამშვიდობოზე გამოსვლის დროს გურამიშვილმა შეუდარებელი მხატვრული სიძლიერით გამოხატა:

რუსულად „ხლება" პურს ერქვა,
უწინვე გამეგონაო;
სანამდის ის არ ახსენეს,
მე რუსი არ მეგონაო,
რა რომ თქვეს პურის სახელი,
მე იმან მომიფონაო;
ამ სიხარულმან დამშალა
ჯავრით შეკრული კონაო.

„ჯავრით შეკრული კონა" ტყვეობაში განაწამები პოეტის სახე — მეტაფორაა, ხოლო აზრი შედარების გზითაა გამოხატული. სიხარულისაგან ისე დავიშალე, როგორც კონა, რომელიც საკვრელის (ე. ი. აქ — ჯავრის) გარეშე დარჩაო.

დავით გურამიშვილი თავის ლექსებში ზოგჯერ ჩივის და ერთგვარ შიშსაც გამოთქვამს. ვაი, თუ მის ლექსებს „მირონი" აკლია და „ქართულიც" — ამღვრეულია „სამკვიდროდან მოწყვეტის" გამო. ალბათ, მხოლოდ შემოქმედის დიდი პასუხისმგებლობა იწვევდა ასეთ შიშს. დავით გურამიშვილმა გააღრმავა და ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინა ქართული სიტყვის უმდიდრეს საგანძურში და აქაც მისი ერთი უპირველესი შემწე ქართული ფოლკლორი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი და ქართული ლიტერატურის ტრადიციები

„დავითიანის“ ავტორის ენციკლოპედიურ განათლებას ამხელს არაერთი ფაქტი მისივე შემოქმედებიდან. პირველ რიგში, რასაკვირველია, ისიც, რომ იგი ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა როგორც კლასიკურ, ისე მისივე თანამედროვე მწერლობის შემოქმედებით მიღწევებს. სხვათაშორის ეს კარგად ჩანს თუნდაც „დავითიანის“ შესავალი სტროფებით (იხ. სტრ. 4, აგრეთვე, მომდევნო თავის 16-19 სტრ. და სხვ.), სადაც პოეტური სიტყვით, ქართული მწერლობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მცირე მიმოხილვაა“ წარმოდგენილი. ქართული მწერლობით დაინტერესებას, როგორც მოსალოდნელია, კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ის წლები, რომელიც მან განათლებული და დიდად განსწავლილი მეფე-პოეტის ვახტანგ მეექვსის კარზე გაატარა.

საინტერესო დაკვირვებებია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დავით გურამიშვილის შემოქმედებით ურთიერთობებზე მის თანამედროვე და წინამორბედ ქართულ საერო მწერლობასთან. სამართლიანად შენიშნავს ალ. ბარამიძე, რომ მიუხედავად თეიმურაზ პირველისა და გურამიშვილის პოეტურ თვალსაზრისთა პრინციპული სხვაობისა, ამ უკანასკნელს მაინც გარკვეული ინტერესი გამოუჩენია თეიმურაზ პირველისადმი. კერძოდ კი მის შემოქმედებაში აშკარად ჩანს კვალი თეიმურაზისეული ტიპის „მაჯამებისა“. მკვლევარი გვაწვდის ერთ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ მაგალითს:

თეიმურაზი:

> გძლათ მატირა საწუთრომან,
> ცრემლთა ღვარი დამელია,
> მიჯობდა თუ სიკვდილისა —
> გლახ სასმელი დამელია.
> მომაძულა თვისთა ტომთა,
> ძმა არ მიძმო, და მელია,
> აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად
> მოვალ, რადგან დამე ლია.

გურამიშვილი:

> ნაღვლით დღენი შემიმოკლდა,
> აღარა მაქვს, დამელია,
> ყველა მწარედ გარდამექცა,
> რაც რამ ტკბილად დამელია.
> მძორთა ჩემთა შესაჭმელად
> მზა არს ტურა და მელია,
> აწ, წამოვალ მეც თქვენთანა,
> სად ძმა მიცდის და მელია.

კ. კეკელიძეს რამდენიმე საგულისხმო მაგალითი მოაქვს, როცა ადარებს ერთმანეთს არჩილსა და გურამიშვილს. აქ სიტყვიერ ფაქტურასთან ერთად, ზოგჯერ განწყობილებათა სიახლოვეც შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე დიდაქტიკური მოტივები, რომლებშიც დავითი აშკარად თანხვდება არჩილს. მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა „ქართლის ჭირის“ 32-ე სტროფი:

> სწავლა სიკვდიმდე შენია,
> მუდამ შენთანა **მყოფელი,**
> **მას** გეცილებ**ის ეერავინ,**
> არ არის **გასაყოფელი,**
> სხვას ყველას **ზიხვ უდია,**
> თავისა **გასაყოფელი,**
> თუ კაცსა **ცოდნა არი** აქვს,
> **გასტანჯავს წუთისოფელი.**

ამავე მოტივს ავითარებს **არჩილიც:**

> სიბრძნეს ვერ **სწორავს ეერარა,**
> არც ისე **მოსახმარია,**
> **მისი** ნაყოფი ბევრია,
> **ძირი** აქვს **არ** გამხმარია,
> სად წახვალ, **თან** გამოგყვებათ,
> **საგრძლადაც, მგონ, სახმარია,**
> **სხვა** დაგრჩება **და** ის **არა,**
> **გვერდთ** გახლავს **ცათა** კმარია.
> („საქართველოს ზნეობანი“, სტრ. 73).

კიდევ უფრო მეტი მასალა მოგვეპოვება **გურამიშვილსა და ვახტანგ** VI, გურამიშვილისა და საბას, გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის და სხვა მის თანამედროვეთა ლიტერატურული ურთიერთობიდან. ამაზე საუბარს ჩვენ დავამთავრებთ რამდენიმე ნიმუშით, სადაც ნათლად ჩანს ვახტანგ VI გავლენა დავით გურამიშვილის დი-

დაქტიკურ მოწოდებებზე.
ვახტანგი:

სწავლის ძირი მწარე არის,
ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა.
(„სიბრძნე მალაღობელი")

დავითი:

სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების.
ვახტანგი:
სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას,
სწავლითა გამდიდრებანი,
არც ქურდი რასმე მოჰპარავს,
არც გზირისაგან ვნებანი,
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა
მისი მოდება, კლებანი...
(„სიბრძნე მალაღობელი")

დავითი:

ცოდნა თან დასდევს მცოდნეთა,
რაზომცა დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე,
ხელი არ შეეკარების,
არც ცხადის ძალით წაერთმის,
არც მალვით მოიპარების...

თავის მხრით, როგორც ცნობილია, „სიბრძნე მალაღობელი" მსოფლიოში გავრცელებული გონივრულ შეგონებათა კრებულია. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა მან განმანათლებლურ წრეებში. არსებობს ქართულად ამ ტიპის კრებულთა ე. წ. „აპოფთეგმატების" თარგმანები. მათ შორის ერთ-ერთი ვახტანგისავე მითითებით რუსული კრებულებიდან თარგმნა მე-18 საუკუნის მოღვაწემ ერასტი თურქესტანიშვილმა, რომელიც შემდეგ გადაუმუშავებია და გაულექსავს თვით ვახტანგ მეექვსეს სწორედ იმ ხანებში, როცა გურამიშვილი იმყოფებოდა მასთან მოსკოვში.

რაც შეეხება მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას, რომელიც ყველაზე მკვეთრად ვახტანგ VI წამოაყენა და კანონის სახე მიიღო მამუკას „ჭაშნიკში", როგორც ითქვა, ჩვენში ამაზე სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა. გურამიშვილი თუმცა ძირითადში იღებს ამ თეორიას, მაგრამ ამასთან ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურ გადაწყვეტას გვთავაზობს (ზოგი ამის მაგალითი გაკვრით ზევითაც ვნახეთ).

მაგრამ, პირველ რიგში, როგორც ეს უკვე ითქვა, გურამიშვილი შოთა რუსთაველის ყველაზე ღირსეული მემკვიდრეა ძველ საქართველოში. ეს არის ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი მიმართება, რადგან სწორედ დავით გურამიშვილია ის პოეტი, რომელიც ე. წ. აღორძინების ხანის მწერლობაში ახალ გზებს კაფავს და ქმნის სრულიად ორიგინალურ პოეტურ სამყაროს. თუ რითაა ახლოს გურამიშვილი თავის დიდ წინამორბედთან და რით დაშორდა მას, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ეს პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს და აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხით შემოვიფარგლებით.

დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიასთან რუსთაველისა და გურამიშვილის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და იმავე დროს, აქ ნათლად ჩანს მათი მსოფლშეგრძნების მსგავსება-განსხვავებანი. ახლა უკვე განვლილი ეტაპია, როცა რუსთაველის რელიგიურ მრწამსის საფუძვლებს ხან ისლამში და ხან კი მანიქეველთა ტიპის ერეტიკულ მოძღვრებაში ეძებდნენ. ერთადერთი რელიგია, რომელთანაც რუსთაველი აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს, ეს არის ქრისტიანობა. ამისათვის, რასაკვირველია, არ იქნებოდა საკმარისი ის ფაქტი, რომ ერთ ადგილას „ვეფხისტყაოსანში" ნაჩვენებია ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დღესასწაული — აღვსება. პირველი და გადამწყვეტი ის არის, რომ რუსთაველისეული ღვთაების ცნება, გარკვეული სიტყვიური კონტექსტები. ზუსტად ემთხვევა ქრისტიანულ მწერლობის მეტყველებას. საკმარისია ამისთვის რამდენიმე ადგილის მოტანა:

ილოცავს, იტყვის: მადალო,
ღმერთო, ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა,
ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო,
უფალო უფლებათაო,

მომეც დათმობა სურვილთა,
მფლობელო გულის — თქმათაო!

ან კიდევ:

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი
არ ითქმი კაცთა ენითა,
შენ ხარ სავსება ყოველთა,
აღგვავსებ მზეებრ ფენითა,
გაქო, ვით გაქო, რა გაქო,
არ-საქებელო სმენითა,
დიდება შენდა, არ მომკალ.,
ამათთვის ცრემლთა დენითა!

ან კიდევ:

იტყვი: „ჰე, მზეო, ვინ ხატად
გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა,
მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი
ერთის იოტის წამისად.
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე,
შეყრამდის ჩემად და მისად.
ვის ხატად ღმერთისად გიტყვიან
ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა,
ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!
ბროლ-ბალახშისა მძებნელმან
სათნი დავკარგე, მინანი,
მაშინ ვერ გავსძელ სიახლე,
აწ სიშორესა ვინანი.

ახლა კი ამ ლოცვებიდან ამოვკრიფოთ ღვთაების ის ატრიბუტები ან ეპითეტები ან, როგორც თეოლოგები იტყვიან, კათაფატიკური და აპოფატიკური სიმბოლოები და ჩვენ დავინახავთ, თუ რომელი რელიგიის ღმერთთან გვაქვს საქმე: მაღალი ღმერთი, უცნაური, უთქმელი, უფლება უფლებათა, გულის-თქმის მფლობელი, კაცთა ენით უთქმელი, ყოველთა სავსება, არსაქებელი სმენითა, ერთარსება ერთისა, რაც თავის თავში იგივეა, რაც სამება, მზიანი ღამე, უჟამო ჟამი და ა. შ. მართებულად შენიშნავდა მ. გოგიბერიძე, რომ ლოცვების ენა და ცნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის. ღმერთი დახასიათებულია, როგორც უცნაური, უთქმელი, უფლებათა უფალი (მ. გოგიბერიძე — რუსთაველი, პეტრიწი... 1961, გვ. 37), ჩვენ ვნახეთ, რომ საეკლესიო მწერლობის ტიპიურ დარგში, ჰიმნოგრაფიაში ღმერთი შემოსულია ანალოგიური ეპითეტებით და, რაც აღსანიშნავია, იგივე მხატვრული სახეებით მეტყველებს თავის ჰიმნებში დავით გურამიშვილი. აქ აშკარად ხვდებიან ერთმანეთს რუსთაველი და გურამიშვილი. მე აქ ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთ თითქოსდა ოქსიმორონის ტიპის ფიგურაზე, რომლის გარშემო რუსთველოგიაში საკმაო ლიტერატურა შეიქმნა. მსჯელობა ეხება ცნობილ შესიტყვებას „მზიანი ღამე". ერთ-ერთმა პირველთაგანმა და შეიძლება ითქვას, საკმაო სისრულითაც აღნიშნული ადგილი განმარტა თეიმურაზ ბაგრატიონმა; გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან მთლიან განმარტებას: „იტყვის, ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვის მზიანისა ღამისა — ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი, ხატი და სახე არს მზიანისა ღამისად, ესე იგი, განმანათლებელი არს ღამისა ე. ი. ღამე უმეცრების ნიშნავს და მზე ნათელსა ცნობისა ღმრთისასა. ღამე მიუწთომელობა არის ღმრთისა და მზიანი ღამე ის არის, რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან ვიცნობდეთ და აღვიარებდეთ ღმერთსა, როგორათაც იოანე მოციქული ღმრთისმეტყველი და მახარებელი იტყვის სახარების პირველ თავში — ნათელი ბნელთა შინა სჩანს. ე. ი. გონება კაცისა თუმცა ღმერთს ვერ მისწვდება ბუნებითა და არსებით, რომ ესრეთ იცნას, როგორითაც სხვა ადვილად საცნობი ნივთები..." („განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა", 1960, გვ. 123-124).

აქ ძირითადად სწორადაა მიგნებული თვით საკითხის არსი რომ „მზიანი ღამე" აშკარად ღვთაების სახელია, მაგრამ არ ჩანს თვით ამ სიმბოლოს საყრდენი, თუ რამ დააკავშირა ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება, ამ საკითხს შემდეგში რამდენიმე მკვლევარი შეეხო და წინასწარ აღებული კონცეფციების საფუძველზე ახალი გაგების დასაბუთებას შეეცადა. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, შენიშნავდა ამის გამო „რუს-

თაველის ესთეტიკის“ ავტორი გ. ნადირაძე, რომ ყველა ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა (იგულისხმება იუსტ. აბულაძის, მ. წერეთლისა და სხვათა მოსაზრებები). საინტერესო მოსაზრება აქვს ამ საკითხზე გ. იმედაშვილს, როცა იგი ეძებს ამ სიმბოლური გამოთქმის საყრდენს, კერძოდ, იგი ვარაუდობს, რომ „მზიანი ღამე“ რეალურად არსებული მოვლენაა და იგი შეიძლება ნიშნავდეს ან პოლარულ „ოთხთვიან ღამეს“, ან კი „ჩრდილოეთის ნათებას“. მაგრამ შემდგომი დაკვირვება ამხელს, რომ „მზიანი ღამე“ ირეალური, მისტიკური სახეა, რომელიც დამყარებულია არა რეალურ, არამედ რელიგიურ ხილვებზე. სპეციალური თავი ეძღვნება ამ საკითხს აგრეთვე წიგნში „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“. „მზიანი ღამის“ აქ წარმოდგენილი გაგება, ჩემი აზრით, ძალზე საგულისხმოა და ახალი დაკვირვებებით ამდიდრებს თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთმოტანილ დებულებას. მართლაც, აქ ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის დებულება „მზიანი ღამის“ შესახებ ქრისტიანულ დებულებად მიმაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ მზე არის ხატი ერთისა, მზე არის ხატი „მზიანი ღამისა“, და მზე არის ხატი ერთარსებისა ერთისა. ეს „ერთარსება ერთი“ არის ქრისტიანული სამება, და ამგვარად, „მზიანი ღამე“, — ღმერთიც არის ქრისტიანული“ (გვ. 193). მაგრამ როცა მკვლევარი ამ სიმბოლოს ახსნას ცდილობს, იგი მაშინდელი ასტროლოგიური წარმოდგენებიდან გამოჰყავს. კერძოდ, „ღამის მზე არის ის მზე, რომელიც ჰორიზონტის ქვემოთ, ცის მეორე, უხილავ ნახევარზე მოძრაობს. ცხადია, ღამის მზე კაცის თვალისათვის დასანახი არაა, რადგან ამ დროს მზე მხოლოდ ჩვენ, ქვეშაა. და ჩვენ ქვეშ კი ჩვენთვის ღამეა. თუმცა იქ მზე ანათებს! ის არის აგრეთვე მზიანი ღამე. მზიან ღამეზე წარმოდგენამ შორეულ წარსულში ბევრი საიდუმლო მოძღვრება წარმოშვა“ (გვ. 190).

ამის დაშვება უეჭველად შეიძლება, მაგრამ ირკვევა, რომ თვით ქრისტიანული წიგნები იძლევიან გასაღებს ამ მისტიკური ხილვის ამოსახსნელად. „მზიანი ღამე“ არ არის ღვთის ატრიბუტი, ან რაიმე შემთხვევითი ეპითეტი, იგი, როგორც ვთქვით, თვითონ ღვთაებაა და მას საფუძვლად უდევს თითქოს პირველი ადამიანების მიერ წარმოდგენილი კოსმიური სურათი. გ. ნადირაძე ამ პოეტური სურათის განხორციელებას ხედავს ბიბლიის პირველივე სტრიქონებში. იგი აღნიშნავს: ქრისტიანული მითოლოგიის კოსმოგონიურ სიმბოლოდ უნდა ჩაითვალოს „მზიანი ღამე“. იგი გრანდიოზული პოეტური სურათის სახით წარმოგვიდგენს ბიბლიის იმ პირველ აბზაცებს, სადაც მოთხრობილია ღვთაების მიერ სამყაროს შექმნის მითიური ამბავი... ეს ადგილი ბიბლიაში: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა. ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ. ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქვა ღმერთმან: იქმნენინ ნათელი და იქმნა ნათელი“ — (შესაქმეთა, 1-2); რუსთაველის „მზიან ღამეში“ ისევე, როგორც მიქელანჯელოს ფრესკაში, დაჭერილია კოსმიური შემოქმედების პირველი აქტი, სახელდობრ — მნათობის წყვდიადში ანთება. აქ ნათელი და წყვდიადი ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისაგან გათიშულნი. მათი „განწვალება“ ანუ გაყოფა კოსმიური შემოქმედების მეორე აქტს წარმოადგენს...“ („ვეფხისტყაოსნის ესთეტიკა“, გვ. 390-391).

გ. ნადირაძე ეთანხმება იმ მკვლევართ (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე), რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „მზიანი ღამე“... რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ფიგურალურ თქმად უნდა ჩაითვალოს“ და დასძენს: „როგორც ირკვევა, „მზიანი ღამე“ თვითონ რუსთაველის მიერ შექმნილი პოეტური სიმბოლოა. ჯერ არავის არ უნახავს ეს სახე სხვა პოეტურ ნაწარმოებში და, ვფიქრობ, „ვეფ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხისტყაოსნის“ გარდა იგი არც არსად მოიპოვება. „მზიანი ღამის“ რუსთაველისეული ორიგინალობა დღესდღეობით სავსებით უეჭველია“ (იქვე).

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ამ უკანასკნელ დებულებას ჯერ შემოწმება სჭირდება, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად შესაძლებელია, რუსთაველს ეს სახე-სიმბოლო არა უშუალოდ დაბადების აღნიშნული გაზრეებით, არამედ მზამზარეული ფორმულის სახით მიეღო ნეოპლატონური ან, უფრო ზუსტად, ქრისტიანულ-ფილოსოფიური მწერლობიდან. დანტეს „სამოთხის“ 28-ე ქება, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერტილზე (პირველი რკალი), რომელიც მზერას უხშობს ადამიანს ბრწყინვალებისაგან, აშკარად ამ ტიპის თეოსოფიურ წარმოდგენათა გამოძახილია. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ სახის გამოთქმა, ქართულ საეკლესიო მწერლობაში და, კერძოდ ჰიმნოგრაფიაშიც არსებულიყო. ამას მაფიქრებინებს შემდეგი მომენტი. ირკვევა, რომ სახე — სიმბოლო „მზიანი ღამე“, როგორც ღვთის სახელი, გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც, რაც ჩვენ ჯერ კიდევ 1961 წელს აღვნიშნეთ სპეციალურ წერილში.

მართლაც, ერთ ლექსში, რომელიც ტიპიურ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნს წარმოადგენს (იზ — ამიცანად იგავი, ასახსნელად ადვილი) გურამიშვილი პირდაპირ ასახელებს ღვთაების აღნიშნულ სახელს. გარკვეული ინტერესის გამო მთლიანად მოვიტან ამ იგავს:

ვიდრემდის განახლდებოდა
ძველი დღე-ღამე მზიანი,
იფქლი კალოზედ ეყარა
განურჩეველი ბზიანი;
ახალმა დღემან განწმინდა
ღვარძლიან ნაკმაზიანი,
მის დღითგან მოჩანს გარჩევით
სარგებელი და ზიანი.
სანამ დღე ძველი დღეს ახალს
ჩვენ დღედ არ გაგვითენდება,
მანამდის ჩვენსა დაშლილსა
ვერავინ აღაშენებდა;
რა დღე გათენდა ახალი,
ქვეყანას დანამშვენებდა,
ყურითაც კარგსა გვასმენდა,
თვალითაც კარგს გიჩვენებდა.

ალეგორია ადვილი გასახსნელი, ძველი ღამე მამა ღმერთია, რომელმაც მოგვივლინა ახალი დღე. ძე უფლისა, ქრისტე ღმერთი. ძველი დღე გარდამოვიდა ახალ დღეში: რათა იფქლი ღვარძლისაგან განერჩია და ახალი ცხოვრება მოენიჭებინა ადამიანთათვის, რომელთაც ვერ განერჩიათ კეთილი და ბოროტი. თუ დავაკვირდებით, ეს არის ტიპიური ჰიმნოგრაფიული თემა და გურამიშვილი ანალოგიური პოეტური ხერხებით ამუშავებს მას. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ იოანე მტბევარის ჰიმნი ბასილისადმი: „ვითარცა ღრუბელმან, აღმოივსე სოფლისა იგი ბრძენთა მეცნიერება და განარჩიე იფქლი ღვარძლისაგან და შეჰკრიბე საუნჯეთა“. მაგრამ ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გურამიშვილი, რომელიც სხვაგან ღმერთს ძველ დღეს უწოდებს (გაიხსენეთ აგრეთვე ლექსი კდ. „მზეთა-მზის შესხმა...“ „მიუწვდომელო ნათელო, გრძელო ძველო დღეო“) ახალ კონტექსტში ახსენებს ღვთაების ჩვენთვის ნაცნობ სახელებს (კატაფატიკა და აპოფატიკა), რომელშიაც ორივე მომენტია ჩაქსოვილი. ღმერთი არის ძველი დღე-ღამე მზიანი, ე. ი. ცალ-ცალკე რომ დავშალოთ, იგი არის ძველი დღე მზიანი და ღამე მზიანი. როგორც ვხედავთ, „მზიანი ღამის“ სიმბოლიკა გურამიშვილისათვის კარგად არის ცნობილი და იგი მას სრულიად შესაფერ კონტექსტში იყენებს. ჩემის აზრით, გურამიშვილი, ისევე როგორც რუსთაველი, დავალებულია ძველი საეკლესიო მწერლობისაგან და ამ შემთხვევაშიც ისინი (რუსთაველი და გურამიშვილი) კიდევ ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს (შდრ. გ. ნატროშვილის „ვითა დავღამდი...“, გვ. 86).

აქვე შევნიშნავთ, რომ „მზიანი ღამის“ ანალოგიური აზრით გამოყენება

შემდგომში დადასტურდა აგრეთვე სხვა ძეგლებშიც. მაგალითად, გარდამავალი ხანის პოეტის პეტრე ლარაძის ლექსის ერთ სტროფში, რომელიც დავით აღმაშენებელს მიემართება, ნათქვამია: „უჟამო ჟამის მეტრფე და მზიანი ღამით სვიანი“ (იხ. მ. გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსანში და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრებული „ძველი ქართ. მწერლ. საკითხები, III, გვ. 44). ასევე დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ გარდა, რომელიც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, მ. გიგინეიშვილის აღნიშნულ ნაშრომში მოტანილია „მზიანი ღამისა“ თუ „შუაღამის მზის“ ხსენების არაერთი მაგალითი როგორც წინარე ქრისტიანობის, ისე ქრისტიანი ავტორების შრომებში.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მცდარია გ. ნადირაძის დაკვირვება, თითქოს მსგავსი სახე-სიმბოლო არ დასტურდებოდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ თეორიულ ლიტერატურაში.

მცდარია აგრეთვე მკვლევარის ერთი ძირითადი დებულებაც, რომ თითქოს „მზიან ღამეში“ წარმოდგენილია ე. წ. „პირველი კოსმიური აქტი“ ანუ წყვდიადში მზის ამობრწყინების ბიბლიური სურათი.

„მზიანი ღამე“ აშკარად მისტიკურ ჰვრეტაზე დამყარებული სახე-სიმბოლოა და ღვთის სიდიადის, როგორც ძველი ქართველი ავტორები იტყოდნენ „გამოუთქმელობის“ მაჩვენებელი სახელია, ხოლო აღნაგობით იგი ისეთივე დაპირისპირებულ ცნებებზე აგებული სახეა, როგორც „უჟამო ჟამი“ (ე. ი. უდრო დრო ანუ დრო, რომელიც მარადია, არ ვითარდება და არა აქვს არც საწყისი და არც სასრული), რაც ასევე ქრისტიანული ღმერთის ერთ-ერთი სახელია (შდრ. რუსთველთან: „ჰე, მზე ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ-არსების ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...“).

მანანა გიგინეიშვილი ზემოთაღნიშნულ ნაშრომში ვრცლად მიმოიხილავს „მზიან ღამესთან“ დაკავშირებულ ლიტერატურას და აღნიშნული შესატყვების გაგებას უკავშირებს საიდუმლო მოძღვრებებს, ამ შემთხვევაში კი ეზოტერიულ ქრისტიანობას (მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის აქ გამოთქმულ ზოგიერთ დებულებას, კერძოდ, კი „მზიანი ღამის“ ოდენ ქრისტესთან დაკავშირების საკითხში. სწორედ დავით გურამიშვილის მაგალითზე ჩანს, რომ ამ სახე-სიმბოლოში შესაძლოა იგულისხმებოდეს მამა-ღმერთი, რადგან იგია „ძველი დღე-ღამე მზიანი“, რომელიც გარდამოვიდა ახალ დღეში. ანუ ძე ღვთისაში, ქრისტეში, რათა ადამიანებს განერჩიათ კეთილი ბოროტისაგან. დაწვრ. იხ. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, 1974, გვ. 314-315).

ასეთი შეხვედრები ბევრის მთქმელია და კარგად გვიმხელს თუ რა ახლოდგანან რუსთაველი და გურამიშვილი ზოგიერთი ქრისტიანულ-თეოლოგიური ცნების გაგებაში. მაგრამ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ეს არ ითქმის საერთოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დამოკიდებულებაზე. რუსთაველისათვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომელიც მსჭვალავს ქრისტიანობას: მაცხოვრობის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვისა და ამქვეყნიური არარაობის მძიმე განცდა რუსთაველისათვის გადალახული პრობლემაა. თუმცა რუსთაველისათვის მაინც ამოსავალი ქრისტიანული რელიგიაა, ან უკეთ, პოეტის რელიგია ქრისტიანობის მაღალი საფეხურია და იგი ამ შემთხვევაში გარკვეულად ამეღავნებს დამოკიდებულებას ეკლესიის „წმინდა მამათა“ წიგნებში დამუშავებულ ქრისტოლოგიურ წარმოდგენებთან. საკმარისია გავიხსენოთ ნესტანის მიერ წარმოდგენილი მარადიული ქვეყანა, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს შეხედულება:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა
დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა
ჰაერთა თანა ძრომასა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცნეს ფრთენი და ავფრინდე,
მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვიდე
მზისა ელვათა კრთომასა.

ეს არ არის მხოლოდ ბიბლიური ქრისტიანობის სამოთხე, არამედ იგი წარმოადგენს მაღალი რანგის ფილოსოფიის მიერ შექმნილ მისტიკურ სამყაროს, როგორც დღეს გარკვეულია, „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად დასტურდება მისი ავტორის ღრმა განსწავლულობა შუა საუკუნეებში შემუშავებულ მისტიკურ მოძღვრებებში, რუსთაველი ბრწყინვალედ იცნობს როგორც ნეოპლატონურ, ისე ქრისტიანულ თეოლოგიურ მოძღვრებებს და ყოველივე ეს მისი მსოფლმხედველობის შემადგენელი ელემენტებია (დაწვრ. იხ. ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 76, აგრეთვე მ. გიგინეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 48).

მაგრამ იმ პრობლემის დასაძლევად, რომელიც დასვა ქრისტიანობამ და რომლის გადალახვასაც არსებითად წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, ბევრს არაფერს მისცემდა თუნდაც ნეოპლატონიზმის მოძღვრება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ სიკვდილის ფილოსოფიას (მ. გოგიბერიძე). რუსთაველმა გაბედულად დასვა შუა საუკუნეებისათვის სრულიად მოულოდნელი პრობლემა, ადამიანის ადგილისა, მისი ხვედრის გამო ამქვეყნიურ სამყაროში და შესძლო ამ პრობლემის ჭეშმარიტად რენესანსული გადაწყვეტა. ამაში რუსთაველს უწინარეს გზას უნათებდა საკუთარი მსოფლშეგრძნება, რომელიც დაფუძნებული იყო გენიალური პოეტის მიმართებაზე მე-12 საუკუნის ქართულ სინამდვილესთან. ეს საკითხები ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდან უკვე კარგად ჩანს, რომ გურამიშვილი გარკვეულად შორდება რუსთაველს და თუ მკაცრი ანალოგია არ იქნება, განსხვავდება ისევე, როგორც რუსთველის ეპოქა ე. წ. აღორძინების ეპოქისაგან (მე-16 — მე-18 საუკ.).

გურამიშვილის მსოფლშეგრძნება ჭარბათაა გაჟღენთილი ქრისტიანული სულით და, რაც აღსანიშნავია, იგი კვლავ იყურება ბიბლიური სამყაროსაკენ, თითქოს ჩვენ კლასიკურ ხანაში ქრისტიანობას არ მიეღწიოს იმ მაღალი საფეხურისათვის, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდით რუსთაველთან დაკავშირებით. ეს არც არის გასაკვირი. მძიმე ქარტეხილების შემდგომ ქართულმა აზროვნებამ უეჭველად დაკარგა ის ძაფები, რომელიც მას მსოფლიო კულტურის უმაღლეს მწვერვალებთან აკავშირებდა. შ. ნუცუბიძე თავის ქართული ფილოსოფიის II ტომში მართებულად შენიშნავს, რომ ამ საუკუნეთა გამოღვიძება თითქოს უკაცრიელ მინდორზე დაწყებულა და სულხან-საბა ორბელიანივით ფხიზელი აზროვნების მოღვაწეები თუ ამჩნევდნენ აქა-იქ ნაცარწაყრილ ნაღვერდალს. ერთ-ერთი მათგანი გურამიშვილიც იყო და იგი ნაწილობრივ მივიდა კიდეც ამ ნაღვერდალთან, როცა ასე დაეწაფა ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიას. თუმცა კლასიკურ სიმაღლემდე მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. ბიბლიური ქრისტიანობა ორგანულად შეერწყა გურამიშვილის მსოფლმხედველობას და ამიტომ გვაგონებს პოეტის მუხთალი „საწუთრო“ და მარადიული „სამოთხე“ პირველ ქრისტიანულ წიგნებში გადმოცემულ სამყაროს. ამ შემთხვევაში დ. გურამიშვილი ერთგვარად შორდება რუსთაველს და ქრისტიანული რელიგიის ყოვლისმომცველ გავლენას განიცდის.

მაგრამ, როგორც ითქვა, გურამიშვილი არასდროს შემოფარგლულა ერთი განზომილებით. მისი პოეზიის მაცოცხლებელი ფესვები ღრმად იყო გადგმული ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რაც მდიდარ საფანელს უქმნიდა მის ბრწყინვალე პოეტურ ტალანტს. ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომე-

ლიც აგრე რიგად იყო გადაჯაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეარყია და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა ადამიანთა მოდგმის უკვდავებისა და გაგვიმეღავნა კიდეც იგი „დავითიანის“ უჭკნობ სტრიქონებში.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს მხატვრული მატიანე

ყოველ ჭეშმარიტ პოეტში ეროვნულ სულისკვეთებას ერწყმის მისი პირადი ბედი. მხატვრულად ტრანსფორმირებული ეროვნული სატკივარი მხოლოდ მაშინ იძენს დიდ მხატვრულ ძალას, როცა იგი გაშინაგნებულია პოეტის სულიერ სამყაროში და კონკრეტული ხილვებითაა განათებული. ეს კი ისეთი იდეალია, რომლის განხორციელება დიდი მასშტაბის პოეტურ გმირობას მოითხოვს. მხოლოდ „შინაგანი სიმართლის ხმის“ ერთგული პოეზია (ეს გამოთქმა ტომას ელიოტს მიეკუთვნება) ინარჩუნებს იმ მარადიულ მომხიბვლელობას, რომელსაც ვერ აქარწყლებს საუკუნეების წელთა სიმძიმე.

მე კი ვეფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს;
მეტად მწარედ გული მტკივა,
მაჟრეოლებს და ტანში მზარავს!
ვკრ მოვითმენ, რომ არ დავგმო,
აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია
ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

დავით გურამიშვილის ამ, მართლაც, გულისშემძვრელ სტრიქონებში თითქოსდა მხოლოდ პირადი, ღრმა სულიერი ტკივილებია გამოხატული, მაგრამ მთლიანობაში იგი აღიქმება, როგორც სამშობლოს ბედზე თუ უბედობაზე დაფიქრებული „პოეტის მწარე აღსარება. „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა“ — ეს სიტყვები პოემაში ვახტანგ მეექვსეზეა ნათქვამი, მაგრამ უწინარეს იგი დავით გურამიშვილის სულიერ კრედოს გამოხატავს. მაღალი რწმენა, რომ ჭეშმარიტმა პატრიოტმა და მოქალაქემ უანგაროდ უნდა იტვირთოს თავისივე ქვეყნის მძიმე ხვედრი, თავითბოლომდე მსჭვალავს ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე „დავითიანის“ სტრიქონებს.

ასეთი სულისკვეთება „ერთის იოტის წამისად“ არ აკლია მის სპირიტუალისტური ძიებებით აღსავსე სასულიერო შინაარსის ჰიმნებსაც, მაგრამ იგი უფრო ხელშესახებად იგრძნობა „დავითიანის“ ეპიკურ ნაწილში, რომელშიც პოეტისავე ბიოგრაფიასთან ერთად წარმოსახულია მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრება.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სხვა მარადუჭკნობ ღირსებებთან ერთად ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში აღიქმება, როგორც ყოვლისმომცველი ნაციონალური ეპოსი.

მაგრამ იგი მაინც განსხვავდება ისეთი ტიპის ნაციონალურ ეპოსთაგან, სადაც მხატვრული ასახვის საგნად არჩეულია ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული ისტორია (რის კლასიკური ნიმუშია „შაჰ-ნამეს“ ისტორიული ნაწილი და სხვ.).

მე-17, მე-18 საუკუნეებში ამ მიმართულებით საინტერესო ცდები წამოიწყეს თეიმურაზ პირველმა, განსაკუთრებით არჩილმა და მის გარშემო შემოკრებილმა პოეტების მთელმა ხომლმა („ქეთევანის წამება“, „თეიმურაზიანი“, „დიდმოურავიანი“ და მრავალი სხვა).

გურამიშვილის „დავითიანი“ განსაკუთრებული ღირსებებით ბრწყინავს მათ შორის და, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის ჭეშმარიტად მხატვრულ მატიანეს წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრით „დავითიანის“ პირველი ნაწილი, რომელიც „ქართლის ჭირის“ სახელი-

თაა ცნობილი (ეს სათაური, როგორც ცნობილია, პირობითია და ეყრდნობა თვით პოეტისავე ფიგურალურ თქმას „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“, რითაც ჩვენი ქვეყნის უკიდურესი ძნელბედობა იყო გამოხატული).

მხატვრული თვალსაზრისით კი „ქართლის ჭირის“ უპირველესი თავისებურება სწორედ ის არის, რომ გურამიშვილი საქართველოს ისტორიული სურათის გადმოცემისას საკუთარ თავგადასავალსაც მოგვითხრობს.

საქართველოს განსაცდელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან საკუთარი ჭირიც დაურთო და ამით საოცარი უშუალობა მიანიჭა „ქართლის ჭირის“ მოელვარე სტრიქონებს. აქ ეპოსი და ლირიკა თითქოს ერთმანეთს ენაცვლება და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავ მხატვრულ გარემოს ქმნის (მართებულად შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით სიმონ ჩიქოვანი, რომ „ქართლის ჭირი“ წინამორბედი ჩანს იმ პოემებისა, რომლებიც შეიქმნა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. პირველ რიგში, რასაკვირველია, იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკისა და ილიას პოემები).

მართლაც, „დავითიანი“ თავისი პოეტური ფორმით ეპოსისა და ლირიკის მიჯნაზე დგას. საქართველოს ისტორიული პანორამის გადმოცემისას ცალკეულ ეპიზოდებს გზადაგზა ლირიკული წიაღსვლები ენაცვლება, რაც ინტიმური ელფერით მოსავს პოემაში წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს.

გულზედ მქონდა მოხაზული
ცხოვრებისა წყაროს ღარი,
ვიტირე და გარდვადინე
მე იმაზე ცრემლთა ღვარი.

პოემაში ჩართული ასეთი სტრიქონები, მიუხედავად სასულიერო პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკისა, აშკარად გვაგრძნობინებენ, თუ როგორ გაუთიშველად თანაარსებობენ მის სულში პირადული თუ საქვეყნო ტკივილები. პოემის მთავარი გმირიც ფაქტიურად ავტორი, თავისი მშობლიური ქვეყნის მძიმე ხვედრზე დაფიქრებული პიროვნებას განასახიერებს. „ქართლის ჭირის“ ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტი-მოქალაქის დიდი პასუხისმგებლობა. იგი პირუთვნელი მსაჯულიც არის და ამასთან მისი ხალხის „წყლულების მოზარე“. მოვლენათა შეფასების მკაცრი კრიტერიუმის ფონზე ჩვენ თვალწინ წარმოდგება საქვეყნო საქმეებში მკაცრი და შეუვალი პოეტი — მამულიშვილის სახე.

სიმართლეს, რა გინდ მწარეც არ უნდა გვეჩვენოს იგი, თვალებში უნდა შევხედოთ. სიმართლის ღალატი ქვეყნისა და ხალხის ღალატია. გურამიშვილთან სიმართლის კულტი, მართლაც, რწმენის სიმაღლემდეა აზიდული.

ძველი შეგონებისა არ იყოს, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, მართლის აღიარება ძნელია და საშიშიც. ამისათვის დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებაა საჭირო, რის გარეშეც ზედმეტია საუბარი საქვეყნო წყლულთა განკურნებაზე:

მართალს ვიტყვი, შევიქნები
ტყუილისა მოამბე რად?
ვერას ვუქებ საძაგელთა,
უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან
ტანი გახდეს გასაბერად,
ვინ არა ჰგავს კახაბერსა,
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

პოეტი ამხილებს, ამხილებს დაუნდობლად ყველას, შინაურსა თუ გარეულს, ერსა თუ ბერს, დიდსა თუ პატარას, იმის მიხედვით, თუ ვის რა წილი მიუძღვის საქვეყნო საქმის წახდენაში. თქმულის ნიმუშად იკმარებდა „ქართლის ჭირის“ ის ეპიზოდები, რომლებშიც წარმოსახულია თვით პოეტისავე მოძღვრისა და სათაყვანებელი პიროვნების ვახტანგ მეექვსის ტრაგიკული ფიგურა. ვახტანგის მოღვაწეობის ნათელი მხარეების ჩვენებასთან ერთად, იგი მკაცრი ლოგიკით აფასებს მეფის პოლიტიკის აშკარად ორჭოფულ ნაბი-

ჯებს, რაც იმთავითვე კარგს არას უქადდა ჩვენს ქვეყანას.

„ქართლის ჭირის“ ფურცლებზე ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს დიდი მხატვარი და პირუთვნელი მემატიანე. „დავითიანის“ ადრეული გამოცემის ერთ-ერთი მესვეური პეტრე უმიკაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ „მასავით ნათლად და სიმართლით არცერთს მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი“ („დავითიანის“ 1881 წ. გამოც., გვ. V). მართლაც, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუსახავს, როგორც დავით გურამიშვილს. მთელი „დავითიანი“ ამ უწმინდესი თემის დრამატული განცდის ნაყოფია. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ „ქართლის ჭირის“ ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს. მის სადა და ამასთან ჭარბი კოლორიტით აღსავსე თხრობაში მახვილი მემატიანის თვალით აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა, როცა პოეტისავე სიტყვით: „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი“.

დავით გურამიშვილის დიდ პოეტურ შთაგონებას კვებავდა, მართლაც, არაჩვეულებრივი მეხსიერება. ეს მხოლოდ დიდი ტალანტის შემოქმედთა უძვირფასესი თვისებაა. პოეტმა ათეული წლების მანძილზე ხელუხლებლად შემოინახა მისი ყრმობისა და სიჭაბუკის დღეთა მოგონებები. ისევე არ მოსდებია მათ დროის მსახვრალი ჟანგი, როგორც პოეტის თავანკარა ქართულს სხივი და მადლი მშობლიური მხარისა.

„ქართლის ჭირის“ აღწერისას აქ ისეთი დეტალებია გადმოცემული, რომ ცოცხლად წარმოგვიდგენს მთელი ეპოქის ხასიათს, გვიხატავს დაღუპვის პირამდე მისული ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სურათს:

აღარვინ იყვის ღვინითა
აღმავსებელი ჭურისა,
შემცირდის ხართა ნახნავი,
მოსწყდის ნაწველი ფურისა.

ტოტალური სიგლახაკის, „სიყმილის“ გადმოსაცემად პოეტი დასძენს, რომ „შეიმუსრაო ძალი პურისა“. ეს მხატვრული ფრაზა ალბათ თავისი შთაბეჭდილებით ტოლს არ დაუდებდა ცნობილ ბიბლიურ გამოთქმას „არსობის პურის“ შესახებ.

საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი კი, მართლაც, ბეწვზე ეკიდა. ფეოდალური წინააღმდეგობანი შიგნიდანვე ღრღნიდნენ ქვეყანას. ქართველმა კაცმა აღარც იცოდა სად შეეფარებინა თავი. უკულმართი მებატონეებისაგან შეწუხებული მშრომელი მოსახლეობა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გაქცევით შველოდა თავს, თუმცა ამაოდ. ერთ მებატონეს უბრალოდ მეორე ცვლიდა, ან კი ძველი მოაგნებდა და იძულებით აბრუნებდა უკან (ე. წ. მასიური „მყრელობა“ სწორედ ამ ეპოქის დამახასიათებელი ტერმინია, რაც ასახულია კიდეც ვახტანგ მეექვსის სამართალში).

სწორედ ამ ხანებში ჭირივით მოედო ქვეყანას სხვა სოციალური სენიც. შემზარავი ხასიათი მიიღო „ტყვეებით ვაჭრობამ“. მეურნეობის მოშლის გამო მატერიალურ დანაკლისს ფეოდალები „ცოცხალი საქონლის“ ყიდვა-გაყიდვით ინაზღაურებდნენ და გარეშე მომხდურთ „ეცილებოდნენ“ ამ სამარცხვინო საქმეში.

კიდევ უფრო გახშირდა ფეოდალური ხასიათის ძმათა სისხლისმღვრელი ომები. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება უძლური იყო აელაგმა განუწყვეტელი კინკლაობა დიდგვაროვანთა შორის. აღზევების მოსურნე ფეოდალები ცალკ-ცალკე უკავშირდებოდნენ უცხო ძალებს და ურცხვად თავაზობდნენ სამსახურს საკუთარი ქვეყნის დასათრგუნავად.

ამასთან კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამ ხანებში რამდენად იყო გამძაფრებული პოლიტიკურად საერ-

თიშორისო ვითარება. რამდენიმე დიდი ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს დასუსტებული ქართული სამთავროების ხელყოფაში (გურამიშვილის მხატვრულ შედარებით „სამი ვეშაპი“ იბრძოდა ერთი მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად). საბოლოოდ აიშვეს თავი დაღესტნელმა აბრაგებმა, რომლებიც „მკალივით“ მოედვნენ ქართლ-კახეთის სანახებს. მეტატიანის სიზუსტით და ამასთან მხატვრული ექსპრესიითაა გადმოცემული „ქართლის ჭირის“ შემზარავი ამბავი:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს,
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ბახვილად შერჩეული ფაქტების სიუხვე და მათი ანალიზის შესაშური უნარი საშუალებას აძლევს პოეტს წარმოაჩინოს ღრმა სოციალური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც ქვეყანა დალუპვის პირას მიიყვანა.

დავით გურამიშვილი ამ შემთხვევაშიც ერთგვარად იზიარებს შუასაუკუნეთა იდეოლოგიის ძირითად თემას „მიზეზთა მიზეზის“ შესახებ, რასაც საბოლოოდ „უზენაესი მსაჯულისაკენ“ მივყავართ: „ღვთის რისხვა“ ისევ და ისევ კაცობრიობის მიერ არჩეული „მრუდი გზის“ შედეგია. ავტორის აზრით, საქართველოში დატრიალებული ცოდვის კითხვაც „საღმრთო საქმეთა“ ღალატმა გამოიწვია.

მაგრამ როცა კონკრეტულ მოვლენათა ანალიზზე მიდგება საქმე, აქ ავტორი ფაქტებიდან ამოდის. დასკვნებიც ზუსტი და დამაჯერებელია. სხვათაშორის, ამავე ეპოქას რამდენიმე ისტორიული თხზულება ეძღვნება, რომლებიც ასევე თანამედროვეთა მიერაა დაწერილი. აქ პირველ რიგში ვგულისხმობ სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის მატიანეებს. ეგევე ეპოქა განხილულია ვახუშტის ვრცელ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ისტორიულ მოვლენათა სწორი კვალიფიკაციებით და განზოგადების ძალით „დავითიანი“ ყველა მათგანს აღემატება.

იგი ყურადღებას იპყრობს სხვა მხრითაც. ისტორიკოსმა ვარლამ დონდუამ ამასთან არაერთი მაგალითი წარმოადგინა, როცა თვით ფაქტების გადმოცემის სიზუსტეშიც გურამიშვილი მეტწილ შემთხვევაში უფრო სანდო და ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის (იხ. მისი „დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია“, 1956 წ.).

მაგრამ მაინც სხვა რიგის ღირსებები განაპირობებენ „ქართლის ჭირის“ დიდ ზემოქმედების ძალას. მემატიანის „ცივ განსჯას“ პოემაში ცვლის ემოციური დაძაბულობა, აქ დომინანტობს მხატვრის „თვალი“, რომელიც ყოველთვის ხედავს უმთავრესს, ხოლო ცალკეულ ფაქტში აღმოაჩენს დაფარულ აზრს. პლასტიკურად დახატულ სურათებს, რომლებშიც ყოველი დეტალი ცხოვრებისეული სიმართლითაა ნაწერი, ენაცვლება ფართო განზოგადოების მხატვრული სახეები, მოულოდნელი და გაბედული მეტაფორები.

სწორედ გურამიშვილს ეკუთვნის აწ, ალბათ, უკვე დაუვიწყარი ფიგურალური თქმა, რომ მისი დროის საქართველო ჰგავდა უკუღმართად გადახნულ მინდორს. ხოლო შემდეგ პოეტი გვიხატავს გუთნისდედასა და მფარცხველს, რომლებიც ასევე უკუღმართად ირჯებიან: პირველი ხნულს აღმართში ავლებს, ხოლო მეორე ნახნავს ზემოდან ქვემოთ ფარცხავს. მხატვრულ შედარებას შესაფერი მკაცრი დასკვნები ახლავს:

ვინც რომ ისრე უკუღმართად,
მრუდათ ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნულარ მაჭმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს...“
უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ
ეს ნაყოფი გამოიღო:

მოგვითხარა ქაროლ-კახეთი,
ძირ-ფესვიან ამოიღო...

ასეთივე, მართლაც, გურამიშვილისეული პოეტური სახეა, როცა იგი ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დაუსრულებელ შეტაკებებს მამლების ბრძოლაობას ადარებს, რითაც ასე მარჯვედ სარგებლობდა კარს მომდგარი ათასი ჯურის მტერი და გადამთიელი.

და მაინც „ქართლის ჭირის“ მხატვრული შთამბეჭდაობის ძალას უზომოდ აღვივებს ის, რომ ყველაფერი ეს პიროვნულადაა განცდილი და დაკავშირებული პოეტისავე სულიერ ბიოგრაფიასთან. როგორც ითქვა, „ქართლის ჭირი“ ავტორის საკუთარ „ჭირადაა“ წარმოდგენილი, ხოლო მისი პირადი ტრაგიკული ხვედრი ცხოვრების იმავე „ძირმწარე“ ბალახითაა ნასაზრდოები, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორგემაგე წუთისოფლის“ მუდმივი თანამგზავრია.

ამიტომაც, „ქართლის ჭირის“ ღრმა ფილოსოფიური დასკვნები არ იფარგლება მარტო მე-18 საუკუნის გარკვეული მონაკვეთით და „საქართველოს „ცხოვრების“ ბევრად უფრო ფართო სივრცეებს სწვდება. ჩვენი ხალხის სულიერი ავ-კარგის წარმოჩენის გზაზე დავით გურამიშვილმა ქართულ მწერლობაში მანამდე უცნობ მწვერვალებს მიაღწია და შეუპოვარ ძიებათა შედეგი სამარადისოდ აღბეჭდა კიდეც „დავითიანის“ ფურცლებზე.

* * *

დავით გურამიშვილის ეპოქის კულტურული მოძრაობა, როგორც ზემოთაც ითქვა, განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა. ქართველი მწერლები, სწავლული მწიგნობარნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ისტორიული უკულმართობის გამო კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იმდროინდელ ცივილიზაციას ზიარებოდა.

მე-16, მე-18 საუკუნეებში კვლავ აღორძინდა ჩვენში უცხოურ თხზულებათა გადმოქართულებისა თუ თარგმნის ხელოვნება, რაც, ბუნებრივია, უწყობდა ხელს ჩვენი ხალხის კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას, მხატვრული გემოვნების ზრდა-განვითარებას (რასაკვირველია, აქ მათი ჩამოთვლა ზედმეტი იქნებოდა).

განსაკუთრებული ყურადღების საგანი აღმოჩნდა, ასევე სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დიდაქტიკური მიმართულების მწერლობა. ითარგმნა არაერთი დიდაქტიკური შინაარსის თხზულება, როგორც აღმოსავლური ლიტერატურიდან, ისე დასავლური. კერძოდ, ანტიკური მწერლობიდან. როგორც უკვე მოვიხსენიე, თვით ვახტანგ მეექვსის ხელშეწყობითა და მონაწილეობით ითარგმნებოდა რუსული ენიდან მსოფლიოში გავრცელებული დიდაქტიკურ მოძღვრებათა კრებულები (ე. წ. „აპოფთეგმატა“). ჩვენშიც შეიქმნა რამდენიმე ორიგინალური დიდაქტიკური ხასიათის თხზულებაც. ნიმუშად მარტო სულხან-საბას დიდებული „წიგნი სიბრძნე-სიცრუის“ იკმარებდა, რომლის მთავარი თემა სწორედ სწავლა-აღზრდის საკითხებია.

ქართველ განმანათლებელთა მიზანი ნათელი და სავსებით კონკრეტული იყო. ალბათ არაფერი ისე არ სჭირდებოდა შინაური თუ გარეული მტრებისაგან გულშეწუხებულ ქვეყანას, როგორც ჭეშმარიტ საწყისებზე აღზრდილი ადამიანები, რომლებიც გონივრულად იბრძოლებდნენ ქვეყნის განახლებისათვის.

დავით გურამიშვილმაც ასევე დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნულ დარგს. ისევე როგორც სულხან-საბამ, დავითმაც გადაამუშავა და საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა მორალური შეგონებანი, სხვადასხვა ტიპის მოძღვრებანი, მართლაც „დავითიანის“ პირველი თავები ფაქტიურად სწავლა აღზრდის საკითხებს ეხება („სწავლა მოსწავლეთა“) და კარგად წარმოაჩენს მისი ავტორის ჰუმანიზმსა და დემოკრატიულ სულისკვეთებას. აქ ზნეობათა მთელი კოდექსია გადმოცემული და სიბრძნის დაუ-

ფლებისაკენ მიმართავს ახალგაზრდა მკითხველს, (აქაც იგი, ისევე როგორც მისი მოძღვარი ვახტანგ მეექვსე, ორმაგი სიბრძნის, ე. ი. საერო და სასულიეროს შეთვისებისაკენ მოუწოდებს მათ).

გასაგებია პოეტის მეტაფორაც, რომ სწავლა სინათლეა და როგორც მზეს ეტანება ბუნების ყოველი ქმნილება, ადამიანიც მთელი თავისი არსებით სწავლა-განათლებისაკენ უნდა ისწრაფვოდეს. იგი უსწავლელ ადამიანს ხან უხორთუმო სპილოს, ხან უკლანჭებო ვეფხვს ადარებს და სრულყოფილი ადამიანობის უპირველეს კრიტერიუმად მისი განათლების დონეს მიიჩნევს. შუასაუკუნეებისათვის აქსიომად ქცეული ბიბლიური მოტივი „ადამიანი ტანჯვისათვის არის მოვლინებული ამ ქვეყნად", აქ მოდიფიცირებულია დებულებით, რომ სწავლა-განათლებისათვის გაწეული გარჯა დიდი, მარადიული სიკეთისაკენ მიმართავს ადამიანს...

„სწავლა მოსწავლეთას" ავტორმა კარგად იცის, რომ შიშველი სახით მოწოდებული მორალისტიკა კედელზე შეყრილი ცერცვივით დაეფანტება მის მკითხველს. პოეტმა იზრუნა კიდეც შესაფერი მხატვრული ფორმისათვის. ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებები აქ წარმოდგენილია მოულოდნელი მეტაფორებით, სხარტი, ფრთიანი ფრაზებით. ამიტომაა, რომ პოეტის სამშობლოში ძნელად იპოვნით კაცს რომელმაც არ იცოდეს გურამიშვილის ბრძნული შეგონებები, ზეპირად არ ახსოვდეს ლაპიდარული სტილით გადმოცემული გონივრული აზრები. კანონიერი სიამაყით წერდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე, რომ „დავით გურამიშვილის დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდაც ლუკრეციუსის, ვერგილიუსისა და ჰორაციუსის დიდაქტიკურ პოეზიას დავუყენოთ პირისპირ".

* * *

ქართულმა მწერლობამ მე-18 საუკუნემდე, ვიდრე გურამიშვილი და მისი თანამედროვენი გამოვიდოდნენ პოეტურ ასპარეზზე, განვითარების დიდი და მრავალსაფეხურიანი გზა განვლო. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შესაბამისად მას ჰქონდა როგორც აღზევების, ისე დაქვეითების აშკარა მაჩვენებელი სიპტომები. იყო ისეთი ჟამიც, როცა დადუმდა ქართული პოეზიის დიდებული ქნარი. დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა ზუსტად აღნიშნულ ეპოქასთან დაკავშირებით: რომ არ ვიცოდეთ რა მოხდა შემდგომში, იქმნებოდა სრული შთაბეჭდილება, რომ ამ ხანებში ქართული პოეზიის დიდ ქურაში სამუდამოდ დაიფერფლა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ცეცხლი (ისტორიკოსი პირველ რიგში გულისხმობდა მონგოლთა შემოსევების მომდევნო ხანას, კერძოდ, მე-15, მე-16 საუკუნეებს).

მაგრამ, მიუხედავად არც თუ ხელსაყრელი ვითარებისა (მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ არც მე-17, მე-18 საუკუნეებში იდგა საქართველოსათვის ნებიერი დღეები), ბრძოლა აღორძინებისათვის მაინც დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართველი მწერლები და საერთოდ „წიგნის კაცნი" (თეიმურაზ პირველი, არჩილი, იოსებ თბილელი და სხვ.), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართველ განმანათლებელთა მოღვაწეობა (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი და სხვ.), რომელთა რიგებს ამშვენებდა დიდი პოეტი და მამულიშვილი დავით გურამიშვილიც.

ბუნებრივია, რომ აღორძინებისათვის ბრძოლა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს დაყრდნობოდა, უწინარეს კი რუსთველის დიდ მემკვიდრეობას.

კვლავ დაიწყო პოლიტიკური შეუთავსებლობის გამო აღმოსავლეთთან დარღვეული კულტურული კონტაქტების აღდგენა. სწორედ ამ ხანებში ითარგმნა სპარსული პოეზიის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, ხოლო პირველ რიგში სპარსული ნაციონალური ეპოსი

„შაჰ-ნამე“. მოსინჯულ იქნა ნიადაგი დასავლეთ-ევროპულ და რუსულ მწერლობასთან ლიტერატურული ურთიერთობის განსამტკიცებლად. როგორც ცნობილია, ამ მხრით დიდი როლი ითამაშა მოსკოვის ქართულმა კოლონიამ, რომლის ერთი წევრიც დავით გურამიშვილი იყო. ამ საკითხების შესანიშნავი მცოდნე ვ. დონდუა მართებულად შენიშნავდა ამის გამო, რომ რუსეთში დიდი რაოდენობით ლტოლვილ ქართველობას „უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენი განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“ (იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ მეექვსის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, მიმომხილველი, III, 1953, გვ. 45-46). თითქოს ამ შეუქცევად პროცესზეა ნათქვამი შემდგომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები: „ქამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო, მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“.

ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთ ურთულეს ხანაში დავით გურამიშვილი ძალზე განსხვავებულ გზას ირჩევს. პირველ რიგში აქ იგულისხმება შემდეგი: მე-16, მე-18 საუკუნეთა ქართულ მწერლობაში ლიტერატურული ატმოსფეროს გამოცოცხლებასთან ერთად აშკარად შეიმჩნევა ეპიგონიზმის დიდი ნაკადი. ხშირ შემთხვევაში კლასიკური ტრადიციების შემოქმედებითად ათვისების ნაცვლად აქ მიბაძვა-გავლენებს უფრო ვხედავთ. ბუნებრივია, მიბაძვის ობიექტი პირველ რიგში იყო შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ეპიგონურ მწერლობას სჩვევია, ბაძავდნენ ფორმას, ხოლო თვით „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად განხორციელებული ესთეტიკური ფასეულობანი მათთვის ფაქტიურად შეუმჩნეველი რჩებოდა.

გურამიშვილი პირველთაგანი მოწყდა აგრე რიგად მომძლავრებულ ეპიგონურ ბირთვს (ეს აზრი შესანიშნავად გამოხატა შემდეგში აკაკი წერეთელმა). სწორედ რუსთველთან გურამიშვილის მიმართება არის ნიმუში შემოქმედებითი მემკვიდრეობისა. ეს არის ტრადიციისა და ნოვატორულ ძიებათა იმ უნივერსალური პროცესის კიდევ ერთი მეტყველი მაგალითი, რის გარეშეც მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ერთ ადგილზე ტკეპნას დაემსგავსებოდა.

დავით გურამიშვილი ახალი ისტორიული ამოცანების წინაშე იდგა და შესაბამისად მის პოეზიაში თავი იჩინა ბევრმა მანამდე უცნობმა თემებმა და მოტივებმა, რომელთა გადმოსაცემად პოეტმა გამონახა პოეტური მეტყველების სრულიად ახალ-ახალი ფორმები.

მართლაც, მის პოეზიაში მინიმუმამდეა დაყვანილი კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი ზოგი პირობითობა, ხოლო სიმძიმის ცენტრი გადახრილია პოეტური სათქმელის უშუალოდ გამოხატვისაკენ. გურამიშვილმა, პირველ რიგში, საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად მასსავით მრავალტანჯული საკუთარი ქვეყნის მხატვრული მატიანის შექმნა დაისახა მიზნად და ჭარბ მხატვრულ სამკაულთაგან თავისუფალი, ძალზე კონკრეტული დეტალებით დატვირთული პოეტური თხრობის იშვიათ ოსტატად მოგვევლინა. სწორედ ამის გამოც, უნდა ვიფიქროთ, მანვე ერთმა პირველთაგანმა ქართულ პოეზიაში ფართოდ გაუღო კარი ქართულ ფოლკლორს, სადა, ხალხურ ფრაზეოლოგიზმებზე დამყარებულ მეტყველებას (როგორც ვნახეთ, ამავე მეთოდს იყენებდა იგი სპეციფიკურ სასულიერო ჰიმნებშიც). პოეტის მიერ არჩეული ეს გზა, როგორც ცნობილია, კეთილისმყოფელი აღმოჩნდა ქართული მწერლობის განვითარების შემდგომ ეპოქებშიც.

ბუნებრივია, რომ ასეთი არჩევანის

შემდეგ გურამიშვილისეული მხატვრული მიჯნების მიღმა რჩებოდა აღმოსავლური პოეზიის ზედმეტად „ყვავილოვანი“ სტილი, რომელიც განსაკუთრებულად იყო მოძალებული მე-16, მე-18 საუკუნის ქართულ მწერლობაში. ასეთი ორიენტაციის გამო დავით გურამიშვილი უნდა ვაღიაროთ ახალი ქართული პოეზიის, პირველ რიგში მე-19 საუკუნის პოეზიის, ერთ უშუალო წინამორბედად.

ილია ჭავჭავაძე ასეთი ტიპის კულტურულ მოძრაობას უკავშირებდა სწრაფვას ახალი ცივილიზაციის ქვეყნებისაკენ და როგორც ცნობილია, მის სათავეებთან სწორედ დავით გურამიშვილს იგულვებდა.

გურამიშვილის შემოქმედება კიდევ მრავალ ასპექტს შეიცავს, რომელთა შესახებ საუბარი ამჯერად სცილდება ჩვენი წერილის ფარგლებს (აქ ვგულისხმობ გურამიშვილის სახელთან დაკავშირებულ ზოგიერთ მხატვრულ აღმოჩენასა თუ ვერსიფიკაციულ ძიებებს, რაზედაც დაკვირვებები წარმოდგენილია ნაშრომის სხვა თავებში). მაგრამ, ვფიქრობ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ზოგიერთი დაკვირვება მაინც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მის პოეტურ პროფილზე, გურამიშვილის ადგილზე ქართული მწერლობის ისტორიაში.

დასასრულ კი, ცხადია ისიც, რომ დავით გურამიშვილმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაასრულა ქართული მწერლობის ერთი დიდი მონაკვეთი (იგულისხმება ძველი, ანუ შუა საუკუნეების ქართული მწერლობა), რომლის არაერთი ნიშანთვისება აშკარად ატყვია სპირიტუალისტური მიდრეკილებების მქონე მის მრავალფეროვან პოეზიას. მაგრამ ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ დავით გურამიშვილმა თავისი ღრმა ნოვატორული ძიებებით ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა ქართული პოეზიის ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც სრულიად ახალი ჰორიზონტების დაუფლებისაკენ მიმართავდნენ მომავალში ქართულ მწერლობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა მარკოზაშვილი

გურამიშვილის ნაკვალევზე

საუკუნეზე მეტ ხანს საქართველოში ძალზე მცირე რამ იცოდნენ შორს, უკრაინაში სამუდამოდ თვალებამოღამებული შვილის, დიდი პოეტის დავით გურამიშვილის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ. სამწუხაროდ, არ იცოდნენ მისი გარდაცვალების დრო და დასაფლავების ადგილი.

1874 წლის 19 ნოემბერს ილია ჭავჭავაძე უკრაინიდან მეუღლეს სწერდა, რომ მან პოლტავაში ექვსი დღე ეძება დავით გურამიშვილის საფლავი, მაგრამ ვერ მიაკვლია. 1896 წლის პირველ იანვარს აკაკი წერეთელი უკრაინიდან იაკობ გოგებაშვილს ატყობინებდა: „არ ვიცი. რამდენ ხანს დავრჩები აქ და თუ დიდხანს დავრჩი და საშუალება ჩავიგდე ხელში, მინდა აქაური არქივიდან, რაც კი რამ ცნობაა ვახტანგის დროის გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ ამოვიწერო და თანაც ის ქართული ოჯახები პოლტავის გუბერნიაში, სულ მოვიარო.

ამბობენ, რომ ზოგიერთებს კიდევ აქვსო ოჯახში, როგორც საოჯახო რამ ნივთი, ქართული ხელნაწერებიო და ეგების დ. გურამიშვილის საფლავს წავაწყდე. სხვა რაღა მოგწერო, ჩვენი სიცოცხლე სულ ცარიელი სურვილია“...

აკ. წერეთლის ალღო სწორი იყო, მას მირგოროდი და სოფელი ზუბოვკა მიაჩნდა გურამიშვილის საფლავის ადგილად.

უკრაინაში დ. გურამიშვილის ცხოვრებით, განსაკუთრებით კი პოეტის საფლავის მიკვლევით დაინტერესებული იყო აგრეთვე ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილიც, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

მე-20 საუკუნის დამდეგს ხარკოვის ძველი აქტების არქივის თანამშრომელმა მიხ. პლოხინსკიმ მალოროსიის (ასე უწოდებდნენ მაშინ უკრაინას) კოლეგიის ფონდებში მიაკვლია მთელი რიგ საქმეებს ქართველთა პოლტავშჩინაში დასახლების შესახებ. იმ ქართული საქმეების გაცნობის შედეგები მან გამოაქვეყნა „ისტორიულ მოამბეში“ და „ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ კრებულში“.

პლოხინსკის წერილები ადრე თითქმის ერთადერთ ბეჭდურ წყაროს წარმოადგენდა საერთოდ ქართველებისა, და მათ შორის დ. გურამიშვილის უკრაინაში დასახლების შესახებ. ამ წერილებში დ. გურამიშვილი მოხსენიებულია მხოლოდ ერთხელ და ისიც, როგორც ქართული პოლკის პრაპორშჩიკი.

1837 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენება წაიკითხა აკადემიკოსმა მარი ბროსემ, მან აღნიშნა, რომ დიდი ინტერესით იკვლევდა „დავითიანის“ ავტორის გარდაცვალებისა და დასაფლავების ადგილს, მაგრამ ვერ იპოვნა.

ჩვენი ერის ღირსეულ წინაპართა დაფასება მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში გახდა შესაძლებელი და დავით გურამიშვილის შესახებაც აქამდე რომ ცოტა ვიცოდით, ახლა ბევრი რამ ნათელი გახდა.

უკრაინელმა პოეტ-აკადემიკოსმა პავლო ტიჩინამ თავის დრამატულ ნაწარმოებში პირველად გამოხატა ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის სახე, იქვე გვიჩვენა ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა პოლტავშჩინაში.

1929 წლის აგვისტოში პავლო ტიჩინა და პეტრო პანჩი სპეციალურად გაემგზავრნენ მირგოროდში, რომ მიეკვლიათ დ. გურამიშვილის საფლავისათვის. მართალია, იმ ხანად მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ მისი პოვნის იმედი არ დაუკარგავთ.

1937 წელს საქართველოში მიმდინარეობდა მზადება გენიალური პოეტის შოთა რუსთაველ-

ლის ხაიუბილეოდ. ამ მნიშვნელოვანი თარიღის შესახვედრად ემზადებოდნენ მოძმე რესპუბლიკების მშრომელებიც.

უკრაინის მწერალთა კავშირში რუსთაველის ხაიუბილეოდ დაისახა სათანადო ღონისძიება. იქვე გადაწყდა, რომ კვლავ დაწყებულიყო კვლევა-ძიება მე-18 საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის საფლავის აღმოსაჩენად.

უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ლიტერატურის მკვლევარს დმიტრო კოსარიკს დაავალა არქივებში დაეწყო ძებნა გურამიშვილის შესახებ უცნობი მახალების გამოვლინების მიზნით. კოსარიკმა ეს საპატიო, მაგრამ მეტად საპასუხისმგებლო დავალება გულთან მიიტანა, მაშინვე შეიმუშავა გეგმა თუ სად რა უნდა გაეკეთებინა.

იმავე წლის 9 დეკემბერს დ. კოსარიკს ბედმა გაუღიმა, პოლტავის სახელმწიფო არქივში მიაკვლია ცნობებს 1782-1783 წლებში დ. გურამიშვილის, მისი მეუღლის ტატიანა ვასილის ასულ ავალიშვილისა და მათი კუთვნილი გლეხების მირგოროდში ცხოვრების შესახებ.

1938-1940 წლების მანძილზე დმიტრო მუყაითად მუშაობდა უკრაინისა და მოსკოვის არქივებში. 1940 წლის 21 ივნისს აღმოაჩინა გურამიშვილის გარდაცვალების მეტრიკული ჩანაწერი, რითაც მიაკვლია პოეტის დასაფლავების ადგილს მირგოროდში, მიძინების ეკლესიის სასაფლაოზე, სოროჩინის გზის გასწვრივ.

სასაფლაოს მოხუც დარაჯებს — ნ. გავრიშს, პ. პედჩენკოსა და ი. გავრიშს კარგად ახსოვდათ, რომ ორი საფლავის ფილა, რომელთაგან ერთი გრანიტისა იყო წარწერით „პოდპოლკოვნიკი დავით რატიევი" და მეორე კი — თუჯისა, წარწერით „თავადი დავით გურამოვი" ომის წლებში გერმანულმა ყუმბარებმა მოსპო; სასაფლაოზე დარჩენილი თუჯის ნატეხები კი სადღაც გაქრა, მაგრამ დარაჯებს მაინც ახსოვდათ თელებს ქვეშ, აღმოსავლეთისკენ თავმიქცეული გურამიშვილის სამუდამო განსასვენებელი.

დ. კოსარიკმა სულ ცოტა ორმოციოდე ადგილობრივ მკვიდრს გამოკითხა, რომ დაეზუსტებინა გურამიშვილის დაკრძალვის ადგილი. მათაც დარაჯების ნათქვამი დაადასტურეს.

1948 წლის თებერვალში მიკვლეული საბუთებისა და მირგოროდის მოქალაქეთა მოწმობის საფუძველზე უკრაინის საბჭოთა მწერალთა კომისიამ და მირგოროდის საქალაქო საბჭომ აქტით დაადგინა ქართველი პოეტის საფლავის ადგილი.

როგორც ცნობილია, ქ. მირგოროდი დ. გურამიშვილის დროს სამხედრო დანიშნულების ქალაქი ყოფილა. იქ იმყოფებოდა პირველი და მეორე ასეულების მმართველობა, ხოლო პოლკის ადმინისტრაციული ცენტრი და პოლკოვნიკის რეზიდენცია მდინარე პსიოლის ლამაზ ნაპირზე მდებარე დაბა ველიკი სოროჩინში იყო. სოროჩინიც კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. იქ ძლიერ განვითარებული ყოფილა სამღებრო ხელოვნება. იგი უკრაინის სხვა ქალაქებთან შედარებით გამოირჩეოდა აგრეთვე არქიტექტურის სილამაზით, მუსიკითა და გუნდური სიმღერის ხელოვნებით.

დავით გურამიშვილი მირგოროდში ასეულის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მისი მეურნეობის მეორე ნაწილი იყო სოფელ ზუბოვკაში, სადაც პოეტი დროდადრო დაიარებოდა სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლად. დადგენილია ისიც, რომ დავითს ჰყოლია ოცი კომლი ყმა გლეხი, მათგან ათი — მირგოროდში და ათი — ზუბოვკაში. პოეტის ოჯახის წევრები იყვნენ მეუღლე ტატიანა ვასილის ასული და მოხუცი ბიძა მერაბ გურამიშვილი. 1

ლიტერატურული წყაროებიდან და ხალხური გადმოცემებითაც დადგენილია, რომ დ. გურამიშვილს შეუსწავლია უკრაინული ენა, დაახლოვებული ყოფილა იქაურ მშრომელებთან. ინტერესით ეცნობოდა მათ ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას. შემთხვევითი არ იყო, რომ პოემა „ქაცვია მწყემსს" და მთელ რიგ ლექსებს გარკვევით ემჩნევა უკრაინული სინამდვილის ელფერი.

როგორც რუსი პოეტი ნ. ტიხონოვი აღნიშნავს, დავითი უკრაინელ ხალხს ადარებდა ქართველებს და ბევრ საერთოს პოულობდა ორივე ხალხების გულღია და დაუდგრომელ ხასიათში.

დავით გურამიშვილი უკრაინაში ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდში ხშირად ფიქრობდა სამშობლოზე, თვალყურს ადევნებდა იმას, თუ რას განიცდიდა „ხახით სიტყვა შვენიერი" საქართველო, რომლის ერთი ნაწილი ირანის შაჰის უღელქვეშ გმინავდა, ხოლო მეორე ნაწილს თურქი დამპყრობლები თელავდნენ. იგი გონების თვალით ჭვრეტდა სამშობლოს ნათელ მომავალს და მტკიცედ სჯეროდა, რომ მხოლოდ რუსეთთან შეერთებით თავისუფლად ამოისუნთქებდა მისი ჭირნახული ქვეყანა.

დ. გურამიშვილის „პოეზია — ესაა ფიქრი თავის ხალხზე, თავის სამშობლოზე. სამშობლოს სიყვარული მისი პოეზიის ლეიტმოტივია. გურამიშვილის პოეტური შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს მისი ეპოპეა „ქართლის ჭირი" — დიდი იდეურ-პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოები".2

დ. კოსარიკის გამოკვლევით, დავით გურამიშვილის დროინდელი ქართველების შთამომავლები — საგენაძე ანუ საგანაძე — უკრაი-

---

1 დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1957 წ. გვ. 78.

2 გ. ლეონიძე, დავით გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, 1956, გვ. 13.

ნულად საგანაზ, ოდიშელიძე და სხვები დღეს აც ცხოვრობენ მირგოროდში. მართალია, მათ ქართული ენა არ იციან, მაგრამ თავს ქართველებად სთვლიან, ისინი სიამოვნებით უჩვენებენ დაინტერესებულ პირებს პაპისა და პაპისპაპის ხაცხოვრებელ ადგილებს და იხსენებენ წინაპრების ნაამბობს ძველ ქართველებზე.

ზუბოვკელმა მოხუცმა კოლმეურნემ გრიგოლ ვასილის ძე მასჩენკომ დ. კოსარიკს საინტერესო ცნობა მისცა თავის მშობლიურ სოფელში გურამიშვილის დროინდელი ქართველების შესახებ. მისი ნაამბობიდან ცნობილი გახდა, რომ ექვსი ათეული წლის წინათ ზუბოვკაში დაარღვიეს ძველი ეკლესია. იქაურმა მღვდელმა ეკლესიის ქაღალდებში იპოვა ორი ხია, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ წინათ ზუბოვკის მოსახლეობა ორ ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენდა და ორ საზოგადოებადაც იყოფოდა. ერთს ეკუთვნოდნენ ქართველები, მეორეს — კაზაკები.

მდინარე ხოროლის პირას ხანდაზმულმა უკრაინელებმა დმიტროს უჩვენეს წიხქვილის ნანგრევები, რომლისგანაც წყალში დარჩენილიყო ძველი, გაშავებული სვეტები. იქვე, მდინარის პირას ამაღლებული ბექობია. მოხუცებულების აზრით, იქ თავადის სახლი უნდა ყოფილიყო, ახლა კი ცარიელი ადგილია, ძველი კრამიტის ნამტვრევებით მოფენილი. მისი დათვალიერების შემდეგ დმიტრომ გლეხებთან განაცხადა: იქნება სწორედ ეს არის გურამიშვილის ნაფუძვარი, ხალხის მეხსიერებაში უკვე წაშლილი და წაფერფლილიო!

დმიტრომ მირგოროდის რაიონში, მასწავლებლის ოჯახში ჩაიწერა საინტერესო მოგონება მათ მიწაზე მცხოვრები ქართველების ღირსეულ წინაპარზე; „ამას წინათ, — მოგვითხრობს კოსარიკი — ღამის გასათევად შევჩერდი სახალხო მასწავლებლის ოჯახში. მე დავინტერესდი ოჯახის უფროსის ბიოგრაფიით. ჭაღარამოსილმა ხანდაზმულმა პედაგოგმა მიამბო თავის ოჯახში შემონახული ერთი ფრიად საგულისხმო გადმოცემა. — მასწავლებელი იყო მამაჩემი, — მითხრა ჩემმა მასპინძელმა, — მასწავლებლობდა ჩემი პაპაც, ხოლო უფრო შორეული წინაპარი — ყმა გლეხი ჯარისკაცი ყოფილა. მას მონაწილეობა მიუღია რუსეთ-პრუსიის ომში. ერთი ფიცხელი ბრძოლის შემდეგ იგი გერმანელთა ტყვეობაში ჩავარდნილა. ზიგ თურმე ტყვეობაში და თავისი ოჯახის დარდი ჰკლავს, სურს ხმა მიაწვდინოს სამშობლოში თავისიანებს, პატარა ბარათი გაუგზავნოს თავის ოჯახს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წერა-კითხვა არ იცის არც მან, არც მასთან ერთად ტყვეობაში მყოფმა თანამემამულეებმა. მისი გულისტკივილი შეუტყვია რუსეთის არმიის ერთ ტყვე ოფიცერს — ქართველ პორუჩიკს. მიხულა მასთან, ძმურად გამოლაპარაკებია, გაუგია, რომ იგი მირგოროდის მკვიდრია. ქართველი ოფიცერი გვერდში მოჯდომია მირგოროდელ ჯარისკაცს და რამდენიმე დღის განმავლობაში უსწავლებია მისთვის წერა-კითხვა. ამის შემდეგ მას გაღვიძებია წიგნის კითხვის დაუცხრომელი წყურვილი, დასწაფებია კითხვას, როგორც მაცოცხლებელ წყაროს. შემდეგ, როცა იგი ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულა, მოუძებნია თავისი მასწავლებელი ოფიცერი, კვლავ დიდი მადლობა მოუხსენებია და უთქვამს, რით და როგორ შემიძლია თქვენო კეთილშობილებავ, გადაგიხადოთ მადლობა იმ კეთილი საქმისათვის, რაც თქვენ მიყავით? — მადლობას შენ იმით გადამიხდი, თუ შენც ასწავლი წერა-კითხვას ერთ ადამიანს მაინც; თუ შვილი შეგეძინება, ასწავლე მას წერა-კითხვა და დაავალე, რომ ისიც ასე მოიქცეს.

ქართველი ოფიცრის ეს რჩევა-ლარიგება ჩვენს ოჯახში თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ოჯახის შვილთაგანი არცერთი ძალლონეს არ იშურებდა შეესრულებინა თავისი ოჯახის ეს ტრადიციული ანდერძი. მეც, ამ ოჯახის შვილი ხაბჭოთა მთავრობამ მაღალ პოსტზე დამაყენა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის ქართველი ოფიცერი — მირგოროდელი მკვიდრი დავით გურამიშვილი იყო.

ეს ხალხური ამბავი ძალიან ჰგავს სინამდვილეს“.

დ. კოსარიკმა სამამულო ომის წინ დაწყებული კვლევა-ძიება ომის შემდეგ უფრო მეტად გააფართოვა. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ფაშისტებმა ჩვენს ხიძველეთხაცავებში ბევრი რამ გაანადგურეს და მათ შორის დ. გურამიშვილის შესახებ უთუოდ მნიშვნელოვანი მასალებიც მოიხპოო.

დავით გურამიშვილის შესახებ უცნობი მასალების მიგნებისა და გამომზეურების საქმეში დმიტრომ არა მარტო უკრაინასა და რუსეთში აწარმოა კვლევა-ძიება, არამედ საქართველოშიც.

დ. კოსარიკი 1948 წლის ივლისში საქართველოში ჩამოვიდა და მწერალთა კრებაზე წაიკითხა მოხსენება დავით გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრების პერიოდზე, ბსმენელების ყურადღება გაამახვილა დიდი პოეტის შესახებ ახლადაღმოჩენილ მასალებზე.

ამავე თემაზე დ. კოსარიკმა მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე.

ქართველმა მასპინძლებმა: გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ალ. ბარამიძემ და სხვებმა ძვირფას უკრაინელ სტუმარს ბევრი რამ უამბეს გურამიშვილის დროინდელ საქართველოში ცხოვრების პირობებზე, გააცნეს ხალხური გადმოცემები.

იმ დღეს, როცა დ. კოსარიკმა ხელნაწერთა ინსტიტუტში ნახა დ. გურამიშვილის ავტოგრაფი, უამთა სიმრავლით გაყვითლებული „დავი-

თიანი", სიხარულით სახე გაუცისკროვნდა, მერე ხელნაწერი სათუთად გულზე მიიკრა და ცრემლები გადმოსცვივდა.

ხელნაწერი „დავითიანი" შეიცავს 283 გვერდს, გადაწერილია თვით ავტორის მიერ ლამაზი ხელით.

პოეტს ერთ-ერთ გვერდზე დაურთავს თავისი ავტოპორტრეტი: დავით გურამიშვილს გულზე ხელი დაუკრეფია, მას მწვანე მუნდირი აცვია, წითელი საყელოთი და სამაჯურებით. ყელტი და შარვალიც წითელია; ფეხზე ქართული ჩექმები აცვია. თავი მელოტი აქვს, მხოლოდ ყურების ზემოთ შერჩენია თმა, ლოყებზე ბაკენბარდები მოუჩანს.

უკრაინიდან გამოგზავნილი ხელნაწერი გზაზე რომ არ დაზიანებულიყო, ავტორს მუყაოს ყდაში შეუკინძავს და ზემოდან ტყავი გადაუკრავს. „დავითიანი" საქართველოში გამოგზავნილია 1787 წელს.

გ. ლეონიძის მეგზურობით, დ. კოსარიკმა ინახულა გურამიშვილის მშობლიური სოფელი საგურამო და როგორც დიდი ხნის ნაცნობი, ისე შეხვდა საგურამოელებს.

„მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორის უბანსა!" — შეახსენა გოგლამ უკრაინელ მეგობარს გურამიშვილის სიტყვები და ზედაზნის გორის ძირში უჩვენა ნანგრევები, რომელიც თითქმის მიწასთან გასწორებული და ქვითკირის გალავნით შემოფარგლული იყო. იქვე გააცნო საგურამოელი მოხუცებულების მიერ ადრე ჩაწერილი მოგონებები: „...გორის უბნის მდებარეობის გამოსარკვევად დავკითხე მოხუცი საგურამოელი გლეხები: 98 წლის ივანე ბედუკაძე, 85 წლის საბა ბიჩინიგაური და 75 წლის სოლოლა ფრიდონაშვილი. შეკითხვაზე, თუ სად უნდა ყოფილიყო „გორის უბანი" და სად უნდა ვეძიოთ გურამიშვილის ნასახლარი, ას წელს მიტანებულმა ი. ბედუკაძემ გვიპასუხა: „ჩემს ახალგაზრდობაში გამიგია მოხუცებულებისგან, ილიას სახლის ზემოთ რომ ნასოფლარია, იმას ერქვა „გორის უბანი" და გზის ზევით რომ წვრილმან ბურვილში ნანგრევებია, იქ ცხოვრობდა თურმე დავით გურამიშვილი. მე თვითონ მინახავს დავითის ნასახლარი, დიდი იყო, ჭერი აღარა ჰქონდა, მაგრამ ჩემს ბიჭობაში კედლები ნახევრად კიდევ იყო, შიგ ხბორები და საქონელი დაგვიდიოდა. შემდეგ აქაურებმა იმ სახლის კედლები დაანგრიეს და სულ იქ ქვით ააშენეს ბოსელი...

საბა ბიჩინიგაურმა გვიამბო: ჩემს ჯელოობაში გამიგია ძველი ხალხისგან, რომ ილია ჭავჭავაძის სახლის ზემოთ, ახლა რომ ნაგნრევებია, იქ თურმე დავით გურამიშვილი ცხოვრობდაო. სხვებმაც ასევე დაადასტურეს". [3]

კოსარიკთან ამ საინტერესო მოგონების გაცნობის შემდეგ გ. ლეონიძემ თავის მოსაზრებაც გამოთქვა: გურამიანთ სიძემ ილია ჭავჭავაძემ აქ ბინა დაიდო 1874 წელს, შესაძლოა ეიფიქროთ, რომ ილია წინასწარი განზრახვითაც დასახლდა დ. გურამიშვილის ნაფუძვარზე. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოსაზრება ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობსო.

დ. კოსარიკი დიდხანს ესაუბრებოდა საგურამოელ ხანდაზმულებს. მართალია, ხტუმარსა და მასპინძლებს შორის საუბარი თარჯიმნის საშუალებით მიმდინარეობდა, მაგრამ ორივე მხარე კმაყოფილი იყო დავით გურამიშვილის გახსენებით.

იოსებ ფრიდონაშვილმა ასე გაიხსენა წარსული:

„უმაწვილობაში გორის უბანში ხშირად ვყოფილვარ, იქ მიძოვებია ხბორები. მამაჩემს უთქვამს, იმ ურჯულო ლეკებს ბევრჯერ დაუწიოკებიათ ჩვენი წინაპრები და აქაც ყველაფრისთვის ცეცხლი წაუკიდებიათო, სახლი ნასახლარებად უქცევიათო.

გაბო ლაბაურმა დაუმატა:

„ბალღობის დროს გურამიანთ სახლის ნანგრევები შორიდანაც კარგად ჩანდა: სქელი კედლები ჰქონდა, რამდენგანმე ცეცხლით გარუჯული ჩარჩოები კიდევ შემორჩენოდა.

— თქვენ, საგურამოელებს უნდა გეამაყებოდეთ, რომ აქ დაიბადა დავით გურამიშვილი, — უთხრა ვამოთხოვების დროს დმიტრომ, — ის ხომ შესანიშნავი პოეტი და მოაზროვნე იყო, მის გონივრულ რჩევას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სიკეთისაკენ მოგვიწოდებს.

გ. ლეონიძესთან ერთად დმიტრომ დიდი ყურადღებით დაათვალიერა ზედაზნის ტაძარი — გურამიშვილის წინაპართა „ძვალთშესანახი", გახედა მცხეთას, საიდანაც მოსჩანს, თუ რა-გორ ერთვის არაგვი მტკვარს და თბილისისკენ მიისწრაფვის. გოგლამ ხტუმარი წარსულის ბურუსიდან გამოიყვანა:

— დმირტო მისეილის ძევ, შეხედეთ რა ლამაზია ბუნება აქედან. ამ წმინდა მიწაზე მდგარი ახალგაზრდა ქართველი სიამოვნებით გახარებოდა ქართლისა და კახეთის ველ-მინდვრებს, ზემოთ ზოგჯერ გაბმულვალე და ზოგჯერ ლრუბლიანცას, რა იცოდა მან, რომ ქვეყნის ავბედობა აქედან შორს გადატყორცნილა!

— მართლაც დიდებულია ეს ხასიათობა! — დაუმატა ხტუმარმა.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ლაპარაკ-ყანელ მშრომელებზე დმიტრო კოსარიკის ხტუმრობამ. დიდები და პატარები ყვავილების თაიგულებით შეხვდნენ ძვირფას უკრაინელ მწერალს. დმიტრომ პირველ რიგში ინახულა დავით გურამიშვილის წყარო, მკერდით დაეკონა მიწას, საიდანაც ძალით მოგვლიჯეს ახალგაზრდა ქართველი პოეტი საყვარელ სამშობლოს.

3. „კომუნისტი", 1955, № 240, გ. ლეონიძე, „პოეტის ნასახლარი საგურამოში".

დ. კოსარიკმა მასპინძლებისგან შეიტყო, რომ ლამისყანაში ახლაც ცხოვრობენ გურამიშვილის დროის გვარის ქართველები: ბეინიშვილები, ღვინიაშვილები, გარაყანიძეები, გვრიტიშვილები... იმ დღესვე დმიტრო სოფლის მშრომელებთან გამოვიდა საინტერესო მოხსენებით და პასუხი გასცა მსმენელებს გურამიშვილის შესახებ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მეორედ, ლამისყანაში გამგზავრების დროს დ. კოსარიკი მასწავლებელ ეკ. წუწუნაშვილის სახლში შეხვდა ხანდაზმულ კოლმეურნეებს, რომელთაც გაიხსენეს წინაპრების მიერ ნაამბობი გადმოცემები დავით გურამიშვილზე. დმიტროზე განსაკუთრებით მეტი შთაბეჭდილება მოუხდენია გრიგოლ ციციანაშვილისა და მიტო ბაიაშვილის ნაამბობს. გრ. ციციანაშვილმა დიდი პოეტი ასე გაიხსენა:

„დავითი საგურამოდან ლამისყანაში მოსულა. ცხოვრობდა თავისი ახლო ნათესავის — ორბელიანის სახლში, ეხმარებოდა მის ყმებს მკასა თუ თიბვაში. ლამისყანაში ყოფნის დროს დავითს შეყვარებია იასონ გარაყანიძის ახული და ქალიშვილიც ჭაბუკის სიყვარულს თანაგრძნობით შეხვედრია. ისინი დაინიშნენ და მალე ქორწილიც უნდა გადაეხადათ, მაგრამ დავითი დაატყვევეს და შორს წაიყვანეს. მისი საცოლე უმალვე გაჩენილა წყაროსთან, გაუგია რა დავითის გატაცება, მწარედ აქვითინებულა. დიდხანს უცდიდა თურმე მის დაბრუნებას, მაგრამ წადილი არ შესრულებია.

მიტო ბაიაშვილმა წინაპრების გადმოცემა ასე გაიხსენა:

„...დავითი შუა ტანის, ჩაფსკვნილი ვაჟკაცი ყოფილა ,ატარებდა ლურჯ ჩოხასა და კრავეულის ბოხოხ ქუდს. ფეხზე წაღები სცმია. მუდამ თან დაჰქონდა თოფი და წელზე მორგებული ხანჯალი. მრგვალი პირისახე ჰქონდა, როგორც ამ ჭაბუკსო, — თქვა მიტომ და იქვე გვერდით მდგომ ახალგაზრდა გურამზე მიუთითა“.

ლამისყანიდან დმიტრო კმაყოფილი გაემგზავრა, გლეხებს შეპირდა, სხვა დროსაც მოვალ, გინახულებთო.

მართლაც, მან თავისი დაპირება შეასრულა, კვლავ ეწვია საქართველოს და ისევ შეხვდა საგურამოელ და ლამისყანელ მშრომელებს.

საუკუნეს მიღწეულმა ლამისყანელმა ნიკა ბეგიაშვილმა კოსარიკთან საუბარში გაიხსენა პაპის ნაამბობი:

„გარაყანიანთ სახიძო გარეგნობითა და ზრდილობით თურმე სოფელში მისაბაძი ჯელილი ყოფილა, საპატარძლო ქეთევანის ბედს ბევრი შენატროდა, მაგრამ იმ ურჯულო ლეკებმა ბედნიერება არ აცალეს“.

ნიკამ სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე ჯამით ღვინო შესთავაზა სტუმარს და თხოვა, ჩვენი დავითის ხსოვნის მოსაგონარი მიირთვიო. დმიტრომ თხოვნა შეუსრულა და როცა ცარიელი ჯამი მაგიდაზე დადგა, მასპინძელმა შეაქო:

— შენ გაიხარე დმიტრი, რომ დიდი ქართველი პოეტი ხელმეორედ გაგვიცოცხლე!

— ეგ დიმიტრი კი არ არის, დმიტროაო! — შეუსწორა ცოლმა.

— რას ამბობ დედაკაცო, ეგ მეც კარგად ვიცი, რომ დმიტროა თავის ენაზე, აქ, ჩვენთან კი ქართულად დიმიტრი უნდა ვუწოდოთო.

მის ნათქვამზე ყველას გაეცინა. კოსარიკი დიდად კმაყოფილი დარჩა.

ერთ დღეს ილ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოელი მოხუცებული გორა ბიჩინგაური გიორგი ლეონიძეს შეხვდა და გულით სთხოვა, თქვენი მეგობარი უკრაინელი კოსარიკი თუ კიდევ მობრძანდება საქართველოში, წინასწარ საგურამოელები გაგვაფრთხილე, გვინდა მის შესახვედრად მოვემზადოთ და ღირსეულად დავხვდეთ ჩვენი დიდი დავითის ხსოვნის დაფასებისათვისო.

გ. ლეონიძეს ესიამოვნა მისი ნათქვამი და შეპირდა, რომ წადილს შეუსრულებდა.

1952 წელს დ. კოსარიკმა აგარის შაქრის ქარხანაში ჩაიწერა უკრაინული სიმღერა, რომელიც იწყება სიტყვებით:

მთების იქით მთები შავად მოჩანან,
მთების იქით ანთია მზე...

— ამ სიმღერაში აშკარად იგრძნობა ჩვენი დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს გავლენაო, — განაცხადა დმიტრომ. იმავე დღეს მან აგარელებთან წაიკითხა ლექცია გურამიშვილის შესახებ.

დ. კოსარიკის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს უკრაინელი და ქართველი მშრომელების უფრო მეტი დაახლოება. გახშირდა უკრაინელი მშრომელების სტუმრობა საქართველოში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც დაკავშირებულია დავით გურამიშვილისა და ლესია უკრაინკას სახელებთან.

— უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს და განმტკიცდეს საბჭოთა ხალხის მეგობრობა, უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმური კავშირი, ამას ხომ ჩვენი დიდი წინაპარი დავით გურამიშვილის მაგალითიც გვიკარნახებსო! — უთქვამს დმიტროს.

მის გულალალ ნათქვამში ეჭვი არავის ეპარება.

* * *

მადლიერი ქართველი ხალხი მუდამ გულთბილად ახსენებს უკრაინელ მკვლევარს დმიტრო კოსარიკს, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, კლასიკოსი პოეტის დავით გურამიშვილის ბიოგრაფიაში ბნელით მოცული საკითხების გამომზეურების საქმეში. ამ კეთილშობილურ შრომაში განსაკუთრებით აღსანიშნავია კოსარიკის ნარკვევები და მეცნიერულ-ლიტერატურული წერილები.

დავით გურამიშვილის დაკარგული საფლავის აღმოჩენასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის მიერ უკრაინაში სპეციალურად მივლინებულ იქნა დელეგაცია: შალვა დადიანის, ლევან ასათიანისა და ალექსანდრე ბარამიძის შემადგენლობით.

დელეგაციას, რომელსაც თან ახლდა ამაგდარი მკვლევარი დმიტრო კოსარიკი, ევალებოდა ენახა დ. გურამიშვილის საფლავი მირგოროდში და ის ადგილები, სადაც პოეტმა გაატარა ცხოვრების უკანასკნელი წლები.

თბილისის აეროდრომიდან დელეგაცია გაფრინდა 1948 წლის 29 ივლისს, დილის შვიდ საათზე და იმავე დღეს სამ საათზე უკვე მირგოროდში იმყოფებოდა.

უკრაინელი მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ ქართველ სტუმრებს, მიართვეს ყვავილები და თავიანთი წესის თანახმად პურ-მარილი. დელეგაციის წევრებმა იმ დღესვე დაფნის დიდი გვირგვინით შეამკეს გურამიშვილის საფლავი.

ხასაფლაოსთან მოზღვავდა ხალხი. იქვე აღმართულ ხალიჩებითა და ვარდ-ყვავილებით დამშვენებულ ტრიბუნაზე ავიდნენ სტუმრები და მასპინძლები. გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი გახსნა მირგოროდის რაიკომის მდივანმა მაიბოროდამ. მან ილაპარაკა უკრაინელი და ქართველი ხალხის ურღვევ მეგობრობაზე.

— გურამიშვილის შემოქმედება, — თქვა მან, — ამიერიდან შევა უკრაინული კულტურის საგანძურში, იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების უფრო მეტ დაახლოვებას... დავით გურამიშვილის შემოქმედება სამუდამო ბინას პოულობს უკრაინელი ხალხის გულში. თავისი მაღალი იდეებით, ნათელი გრძნობებით ის მუდამ აღძრავს ჩვენს საბჭოთა ხალხში სამართლიანობისა, ჰუმანიზმის და პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობებს.

საზოგადოება ტაშის ქუხილით შეხვდა დმიტრო კოსარიკის გამოსვლას. მან შეკრებილებს მოუთხრო ქართველი ხალხის დიდი აღფრთოვანების შესახებ, რომელიც გამოიწვია გურამიშვილის ბიოგრაფიაში უცნობი მასალების გამოვლინებამ. სიტყვის ბოლოს მან წაიკითხა ნაწყვეტები ს. ჩიქოვანის პოემიდან „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და გ. ლეონიძის ლექსი, მიძღვნილი გურამიშვილისადმი.

ამაღელვებელი იყო შალვა დადიანის გამოსვლა. მან მშობლიურ ენაზე მიმართა გურამიშვილის აჩრდილს:

— დიდო დავით, სამშობლომ დამავალა გადმოგცე შენ მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარული. ამიერიდან აღარა ხარ უპატრონო და მიტოვებული, შენს წმინდა საფლავს აფარია მოძმე ხალხის სათუთი კალთა.

შ. დადიანმა ათრთოლებული ხელით გახსნა პატარა პარკი, რომლითაც დელეგაციას მიტანილი ჰქონდა მთაწმინდიდან აღებული მიწა.

სამშობლოს მიწა, რომელზედაც მთელი სიცოცხლე ფიქრობდა პოეტი, ჩუმი შრიალით ეყრება მის საფლავს.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მწერალი ლ. ასათიანი. მან მადლობა მოახსენა ტარას შევჩენკოს ერის მშრომელებს ქართველი პოეტის ხსოვნის აღნიშვნისათვის, შემდეგ წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმად უკრაინელი მწერალი დმიტრო კოსარიკი დაჯილდოვდა საპატიო სიგელით ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით გურამიშვილის დაკრძალვის ადგილის დადგენისა და პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ახალი მასალების გამოვლენისათვის...

დ. კოსარიკის მეგზურობით ქართველმა სტუმრებმა ინახულეს სოფელი ზუბოვკა. გზადაგზა დმიტრო ოქროპირობდა, ხალისიანად იხსენებდა შეხვედრებს ხანდაზმულებთან და მათ საუბრებს გურამიშვილის შესახებ.

მგზავრები ზუბოვკის მიმართულებით გზაჯვარედინთან ახლოს ბალახით დაფარულ ყორღანთან შეჩერდნენ.

— იცით, მეგობრებო, — მიუთითა ყორღანზე დმიტრომ, — ვინ იცის, იქნებ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ზუბოვკიდან მიმავალი გურამიშვილი შეეყარა უკრაინელ ლამაზ გოგონას...

სოფლის შესავალში ზუბოვკელი ბავშვები ყვავილებითა და სიმღერებით შეეგებნენ სტუმრებს, მათ უკან უფროსებიც მოდიოდნენ.

— აბა, გვითხარით, რომელია თქვენს შორის ქართული წარმოშობის? — მიმართა კოსარიკმა. ზუბოვკელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— აი, ეს გოგონა ქართველია! — იძახის ერთი და გახარებული მკლავში ხელს ჰკიდებს თაფლისფერთმიან ჭროლათვალება გოგონას.

— რა გვარი ხარ, რა გქვიან, ჩემო კარგო? — ჰკითხა შალვა დადიანმა.

— ადეშელიძე, ლიდა ადეშელიძე! — უპასუხა მორცხვად გოგონამ.

შალვა მამობრივი ალერსით ულიმის და ჰკოცნის გოგონას. დელეგაციის სხვა წევრებიც ეალერსებიან უკრაინულ მიწაზე დაბადებულ ქართველ გოგონას.

ზუბოვკაშიც გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომლის დამთავრების შემდეგ კოსარიკმა დამსწრეებს დაურიგა ლია ბარათები, რომელიც გურამიშვილის სურათით იყო დამშვენებული.

ზუბოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სტუმრები ოჯახში მიიწვია და გაუმასპინძლდა უკრაინული პურ-მარილით.

დმიტრომ სტუმრების ყურადღება მიიქცია სუფრასთან მოკრძალებით მჯდომი უკრაინელი გოგონასაკენ და ღიმილით ხმამაღლა განაცხა-

და: დიდი ხნის ძებნის შემდეგ, აი, როგორც იქნა, აქ, ზუბოვკაში ვნახე პორტრეტი უკრაინელი ქალიშვილისა, რომელიც ზუბოვკიდან მომავალმა გურამიშვილმა ნახა გზაში და შეუყვარდა.

დმიტროს ხუმრობაზე გოგონა, მარინე ივანეს ასული მიშასტა გაწითლდა, უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ მალე ხითამამე მოემატა და მადლობა მოახსენა კოსარიკს იმ პატივისცემისათვის, რომელიც მას არგუნა გურამიშვილის სატრფოსთან შედარებით.

1948 წლის 18 ნოემბერს უკრაინის სსრ არქიტექტორთა კავშირისა და მხატვართა კავშირის მიერ გამოცხადდა ერთობლივი კონკურსი. დავით გურამიშვილის საფლავზე დასადგმელი ძეგლის პროექტის შესახებ.

ამ მნიშვნელოვან და მასთან ხაინტერესო, კეთილშობილურ საქმეს მრავალმა უკრაინელმა ხელოვანმა მოკიდა ხელი. კონკურსში გაიმარჯვეს მოქანდაკეებმა ანდრეი ნიმენკომ, ნიკოლოზ ობეზიუკმა და არქიტექტორმა ვალენტინ ეიგულინმა.

1949 წლის აგვისტოში უკრაინაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დავით გურამიშვილის ძეგლი. უკრაინელ ხალხს ეამაყება, რომ მათ მიწაწყალზე იყო დამკვიდრებული დავით გურამიშვილი, იქ გაშალა მან შემოქმედებითი ფრთები, იქვე აღესრულა და მიებარა უკრაინულ მიწას.

1969 წლის მაისში მირგოროდში გაიხსნა დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მისი ექსპოზიციის მოწყობაში თვალსაჩინო იყო დმიტრო კოსარიკის ღვაწლი.

უკრაინელი მეგობრები, ყოველი წლის პირველ აგვისტოს ზეიმით აღნიშნავენ გურამიშვილის ხსოვნის დღეს, რითაც გამოხატავენ სიყვარულს ქართველი ხალხისადმი.

დ. გურამიშვილის გარდაცვალების მრავალი წლის შემდეგ, პირველ აგვისტოს, ხურამში გარდაიცვალა უკრაინული ლიტერატურის მშვენება ლესია უკრაინკა. ამ კალენდარულ თარიღს პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს საბჭოთა საზოგადოებრიობა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1948-1954 წლებში, ერთსა და იმავე დღეს, პირველ აგვისტოს ხურამსა და მირგოროდში შეიკრიბნენ მადლიერი შთამომავლები, სიყვარულით გაიხსენეს დავითი და ლესია. ისინი ერთმანეთს დაუკავშირდნენ მისალოცი ელვა-დეპეშებით.

დმიტრო კოსარიკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1955 წელს უკრაინასა და საქართველოში დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის ხაიუბილეო ზეიმში და იქაც ნათლად გამოვლინდა მისი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ერის ღირსეული შვილის ხსოვნისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

„აჰა, მომაგო ესე საუნჯე"...

ანა კალანდაძის გამოჩენა ქართულ პოეზიაში არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი; პირიქით, იგი ლოგიკურიც იყო და აუცილებელიც; ლოგიკური იმიტომ, რომ ქართული პოეტური კულტურის დონე შინაგანად უკვე ამზადებდა ახლებური ლირიზმის გამოვლენის პირობებს; მისი დაბადების აუცილებლობას კი განაპირობებდა პოეტური ხელოვნების ის უნივერსარული წიაღი, რომელიც გალაკტიონის სახელს უკავშირებდა.

გალაკტიონის ტრადიციებზე საუბარი იმ დასკვნის უფლებასაც გვაძლევს, რომ ჯერჯერობით ჩვენი დროის გენიალური შემოქმედის სულიერ მემკვიდრედ, მისი კლასიკური მსოფლმხედველობისა და მსოფლშეგრძნების ყველაზე უფრო სრულყოფილ გაგრძელებად (რა თქმა უნდა, საკუთარი პერსონის სულიერი სიღრმიდან არეკლილს) სწორედ ანა კალანდაძის მედიტაციური ლირიკა წარმოვიდგინოთ. ორიგინალობა და საკუთარი სულიერი სამყაროს არსებობა, ბუნებრივია, არ უნდა გამორიცხავდეს იმ იდუმალი ძაფის, იმ მემკვიდრეობითობის არსებობას, რომელიც შთამომავალს თავის წინაპართან აკავშირებს. დიალოგი მათ შორის ფარულია, ხელშესახებ კონკრეტიზმს განრიდებული, მაგრამ განპირობებულია საერთო განწყობილებებით; ამ წარმოსახული დიალოგის თვალსაწიერი ზოგჯერ იბინდება, თითქოს თვალით სახილველ გარშემოწერილობას ჰკარგავს, თუმცა ამგვარი ეპიზოდები წარმავალი ხასიათისაა და დროდადრო კვლავ ხდება მიახლოება ბოლომდე განცდილ იდუმალებასთან.

გალაკტიონისა და ანა კალანდაძის პოეტურ წარმოსახვათა ასოციაციური სიახლოვე, (რაც გამორიცხავს განმეორების თვით უმნიშვნელოდოზას), ჩემი აზრით, ვლინდება ემბლემატური სიმბოლოების მიმართ განსაკუთრებულ თაყვანისცემაში; ამ სიმბოლოების დანიშნულებაა გადმოსცენ არა მარტო ლამაზად სახილველი, არამედ გვიჩვენონ სიღრმე და შინაგანი არსი მოვლენებისა. ისინი მოწოდებულნი არიან (ამას ისინი განსაკუთრებული ვნებიანობით ითხოვენ) სამყაროს გაანდონ პოეტის სულში დაუნჯებული იდუმალება, შინაგან სიღრმეთა ფარული შრეები. სულიერი ინფორმაციის გამომხატველი სახეები, მათი აზრობრივი სიღრმე აქ თითქმის ყოველთვის გადმოიცემა პლასტიკური მეტაფორით, რომელიც მკითხველისაგან ინტელექტუალურსა და ინტუიტურ დაძაბვას ითხოვს. მათ არასოდეს, ან თითქმის არასოდეს სწადიათ უშუალო შთაბეჭდილებათა გადმოცემა, თუ იმავე შთაბეჭდილებამ არ მიიღო პირველსახეთან შედარებით განსაკუთრებულად იდუმალი, გონებისა და გრძნობის მიერ გარდაქმნილ-გარდასახული ხილვის სახე.

და ბოლოს, ერთ ზოგადსა და უაღრესად ტევად ცნებაში მინდა გამოვხატო წინაპრისა და შთამომავლის დიალოგის საფუძველთა საფუძველი; ეს სიტყვაა — ორნამენტი. არის რაღაც საოცრად საერთო გალაკტიონისა და ანას სულიერ მოძრაობათა ორნამენტულ კონცეფციათა შორის. ფრაზის სახეობრივი გართულების შესაძლებლობები, მელოსის პლასტიკური სისტემა, აზრთა მდინარების პარალელური სტრუქტურები — სადა, ინფანტილური ფსიქოლოგიური სიმეტრიებიდან და კონტრასტებიდან ძაფიოდ გამოკვეთილ მეტაფიზიკურ ფორმულებამდე, მეტაფორამდე; სწორედ ეს მრავალსახოვანი მოდიფიკაცია შეადგენს ორნამენტალურ კონცეფციის და სულიერი დიალოგის არსებით წყაროს. გავა დრო და მათი ერთად წარმოდგენა ჩვეულებრივი და აუცილებელიც კი გახდება. დროის დინება უკეთ წარმოსახავს ამ დიდებული „ტენდემის" სულიერ სივრცეთა ერთმანეთში შეღწევის ზუსტ სურათს.

* * *

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს ანა კალანდაძის პოეზიის სრული ანალიზი, იმ მრავალსაინტერესო და ორიგინალურ ნიშანთვისებათა სრული ნუსხის წარმოჩენა და მათ შესახებ საუბარი (ეს ყოველივე ალბათ, ოდესმე შემდეგ). ჩემი სურვილია პოეტური ხელოვნების რამდენიმე ნიმუშზე შევაჩერო ყურადღება და ვცადო მხატვრის სულის სიღრმიდან წამოსული, ხშირად არაერთმნიშვნელოვანი აზრის და გრძნობის ამოხსნა:

...ოლეაფრაგრანსს, ოლეაფრაგრანსს,
ოლეაფრაგრანსს
ნაზი ფორთოხლის, ნაზი ფორთოხლის
სურნელი დაჰკრავს...
და არხევს ქარი ცინერეების
ვერცხლისფერ ფოთლებს...
და ცისფერ ზღვაზე, თვალუწვდენ ზღვაზე,
ზვირთი ზვირთს მოსდევს...
მზესაც და ზღვასაც ნაზი ფორთოხლის
სურნელი დაჰკრავს,
როგორც ამ ყვავილს — ოლეაფრაგრანსს,
ოლეაფრაგრანსს.

მელოდიური პრინციპითაა განპირობებული ლექსის ლირიკული განწყობილება. ფორთოხლის ნაზი სურნელით აღბეჭდილი იდილიური პეიზაჟი, სიმყუდროვეს მონატრებული სულიერი განწყობილების პლასტიკური ფორმულაა. რამდენიმეჯერ გამეორება ყვავილის ფრიად პოეტური (მუსიკალური) სახელწოდებისა, მისი, როგორც მაორგანიზებელი სიმბოლოს ძალმოსილებაზე მიანიშნებს. ყვავილთა გამაბრუებელ სურნელში დანთქმული ცნობიერება მთელი ძალით ამეღვნებს პოეტის სულიერ ორთოლვას.

ანა კალანდაძის პირველივე ლექსებიდან ნათელი ხდება ლტოლვა ემოციური ძაბვის მაქსიმალიზმისაკენ, გრძნობათა არაჩვეულებრივი გამხელისაკენ. ზეიმურ განწყობილებათა უმძლავრეს ტალღას ენაცვლება ტკივილებით გათანგული, დრამატიზმით აღბეჭდილი განწყობილებები .მთავარი კი მაინც ის იყო, რომ მისი პოეტური წარმოსახვა ვერაფრით ჭგუობდა ანემიურ, ბოლომდე გაუცნობიერებელ განწყობილებებს. ვრცელი თემატიკური რკალი მისი ადრინდელი შემოქმედებისა მშვენივრად ავლენდა პოეტის ინტერესთა ფართო სფეროს, საკუთარი სულიერი სამყაროს სწრაფვას ცისკენ, სიწმინდისაკენ. სწორედ ამ იდუმალებით მოსილ სახეთა წიაღში მიმოდიოდა მისი პოეტური სული. რომანტიკული შეფერილობით აღბეჭდილი მედიტაციები, სრულქმნილი მხატვრული ძალით ამკვიდრებდნენ პოეტის შინაგანი სამყაროს მშვენიერებას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უაღრესი ლირიზმით გამთბარი სტრიქონები ომის საშინელებებით გაუხეშებულ სულიერ განწყობილებებს შეენაცვლა, და რომ ტრაგიზმისა და საბრძოლო აღტყინების ციკლს მან თითქოს განმაცოცხლებელი წერტილი დაუსვა, გასაგები გახდება ქართველი მკითხველის აღფრთოვანებისა და განსაკუთრებული ესთეტიკური განცდის საიდუმლოება. ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს, თუ რას ნიშნავდა იმ დროს პოეტი-ქალის ლირიკული შედევრები და განსაკუთრებით:

რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა წუხელი,
გეძინა სადა?
თქვი ჭიამარია, სით მიგიხარია?
თქვი, ჭიამარია!
. . . .
დავდიავარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირი,
და ჭიამარია,
ვინ იცის, სად არი?...

ეს თითქოს ძალზე სადა, ძალზე უბრალო მონოლოგი, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებდა იმაში, რომ პოეტური ალქიმიის იდუმალ კანონებს ცნებათა ენაზე ამეტყველება ფრიად და ფრიად გაუჭირდებათ. მხატვრული წარმოსახვის კლასიკური უბრალოება, საკმაოდ რთულ სემანტიკურ იდუმალებას ითავსებს. შეცდომა იქნებოდა ამ პოეტური სახის ერთმნიშვნელოვანი ამოხსნა, მისი გამჭვირვალების მიღმა სიმბოლური შრეების უგულვებელყოფა. ლექსის გაცნობიერების ამგვარი ამოხსნა გააუბრალოებდა პოეტის გრძნობათა სიღრმეს და ბრწყინვალებას დაუკარგავდა უნაზეს ემოციებს. ჩემი აზრით, ეს არის ლექსი-მეტაფორა და მისი სრულყოფილი აღქმა, მხოლოდ ამ მეტაფორის სრული გაცნობიერებით შეიძლება. პოეტის სულისმიერი განწყობილებანი უინტიმესი თრთოლვით ეძიებენ ეთიკურსა და ესთეტიკურ ნავთსაყუდელს. ამ სივრცეში გამოსცემენ თითქოს წმინდა და უნაზეს ხმებს. ჭიამარია: აბსტრაჰირებული სიწმინდის პოეტური ხატი, ბუნების უსაზღვრო წიაღში ჩაკარგული უცოდველობაა, რომლის აღმოჩენა და ხილვა პირველარსის სიწმინდესთან, არაამქვეყნიურ ზნეობრივ ნირვანასთან აახლოებს ადამიანს. ამდენად ეს ლირიკული შედევრი — ზნეობრივი კათარზისის პლასტიკური მეტაფორაა — უმცირესისაკენ ლტოლვის, მისდამი მფარველობის მოტივით ფორმულირებული. ზეშთაგონებით ქმნილი ამ ლექსის „ამოთქმის" მიზეზთმიზეზი იმ იდუმალ საწყისებს უკავშირდება, რომელსაც მშვენივრად ხსნის მარინა ცვეტაევა თავის ერთ ლექსში:

Стихи растут, как звезды и как розы,
Как красота — ненужная в семье
А на венцы и на апофеозы —
Один ответ: — Откуда мне сие?
Мы спим — и вот, сквозь каменные плиты,
Небесный гость в четыре лепестка
О мир, поймн! Певцом — во сне — открыты
Закон звезды и формула цветка.

საოცარი ტკივილით აღბეჭდილი და პოეტურ წარმოსახვაში აღდგენილი „ქარნავალური მის-

ტერია“ (ლექსი „ჰექდა მაზურკა“) ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ქართული პოეტური კულტურისა. დედისადმი მიძღვნილი ეს ლექსი ერთგვარად სცილდება ეროვნული ტრადიციით შემუშავებულ საინტერესო ალმოჩენებს და ინტიმური ცხოვრების ახალ ასპექტთა წარმოჩენისაკენ განიზიდება. პოეტის ამგვარი ალმოჩენა საინტერესო კუთხით წარმოგვიდგენს სიყვარულისა და ტკივილის ერთარსებად ქცევის სურათს. ლექსის სტრუქტურული ანალიზი სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობასაც გადაშლის ჩვენს წინაშე. კერძოდ, ფერწერულად მკვეთრი საღებავების პაეროვნება და სიტყვათა ზუსტი განლაგება ვერ ჰფარავს ემოციური ტვირთვით დამძიმებული პოეტური გაცხადების ნერვიულ რიტმს, მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა შეკავებულ თრთოლვას. ლექსის მხატვრული ხელრთვა უმაღლესი ოსტატობით ავლენს ლირიკული მონოლოგის სწრაფვას მონუმენტალობისაკენ; საოცარია ლექსის მეტაფორული შედევრები, დახვეწილი პოეტური შედარებები:

როკვიდნენ წყვილნი, ვით გედები იისფერ
ტბაში...
ბრწყინვა კანდელთა ჰგავდა ბრწყინვას
ვარსკვლავთ მირიადთ...
შმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე
ბრილიანტს
და იაგუნდი ტიროდა თმაში...

ეს პოეტური სახეები ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ურთულესი ასოციაციის სადა და უპრეტენზიო ფორმულირება განუზომლად ზრდის მის ესთეტიკურ ღირებულებას. ამაღლებულ ხილვათა მშვენებით აღსავსე წარმოსახვას, — თანაგანცდის სევდა და მკაცრ რეალობასთან პირისპირ შეყრა ენაცვლება, გამოფხიზლების ჟამი მომხიბლავ „მირაჟს“ უკანასკნელ ფერადოვან შტრიხებს აცლის:

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან
და ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა
სუსამბრის...

* * *

ანა კალანდაძის პოეტური პალიტრა ეროვნული მოტივების ვრცელი დიაპაზონით ხასიათდება. მისთვის ეს ასპექტი უმთავრეს ხაზს წარმოადგენს და ამიტომაც უდიდესი კრძალვით მსახურებს რჩეულ თემატიკას. საინტერესოა თვალის მიდევნება იმ ტენდენციებზე, რომელთა როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც თვით პოეტის, ისე ქართული პოეზიისათვის. აღსანიშნავია, რომ მის წინაშე იშლებოდა ეროვნული მოტივის მრავალპლანიანი გაცნობიერების პერსპექტივა: საზოგადოებრივი ეღერადობის პეროიკული სახეებიდან, პირადული შეფერილობით აღბეჭდილ ნიმუშებამდე. ამ ალტერნატივას მინდობილი პოეტის ქმნილებებსაც ემოციური გადაწყვეტის საოცარი სიმდიდრე ახასიათებთ, ისინი ზოგჯერ დრამატული ენერგიით არიან აღვსილნი, ზოგჯერ კი — ლირიზმის უნაზეს ტონებში განსახიერდებიან. განწყობილებათა ამგვარი ვარიაციები ესთეტიკურ მრავალფეროვნებას და დამაჯერებლობას მატებენ ამ ტიპის ლექსებს.

დიდი დავითის „სინანული“ ისმოდა სიონს...
დიდებულ ტაძარს და ეკლესიას
თავს ევლებოდნენ შორნი ხმანი შუქთა
მფინარნი...
ამ ქვეყნად რაი გაანელებს მტანჯველ
სინანულს?
ტაძარსა ციურს,
დიდი დავითის „სინანული“ გრგვინავდა
სიონს...

ყოფიერების ტრაგიკული კოლიზია ამ სტრიქონებში წარმოსახულია როგორც მარადიული განცდა, როგორც ეროვნული მსოფლშეგრძნების მორალურ-ეთიკური „ასკეტიზმის“ უმყარესი არგუმენტი. „ვალობანის“ იმპოზანტური ხასიათის შეგონებანი ქორალის მუსიკალური პლასტიკით ხდება საცნაური. გენიალური აღსარების შინაგანი სიღრმე ეროვნული თვითშეგრძნების ნათელ წარმოსახვებთანაა წილნაყარი. ასე იქცევა დიდებული ილუზია, პოეზიის ღვთაებრივი „მირაჟი“, ეროვნული სულის მარადისობასთან შერთვის იმპულსად. პოეტის პატრიოტული მსოფლშეგრძნებისათვის არაორგანულია რიტორიკისა თუ დეკლამაციის პროვინციული პათეტიკა, ესთეტიკურად გაუაზრებელი და არაფორმადქმნილი „ლირიკულ-სენტიმენტალური“ სუროგატები (ასე რომ ემარჯვებათ ქართულ პოეზიაში ხელმოცარულთ). რა საოცრად გრაციოზულია, მაგრამ იმავ დროს, რა სულის შეძვრამდე გულწრფელია შინაგან ხილვად დაყუდებული პოეტის მედიტაციები:

შენ... ნათელი ხარ, დიდი ნათელი
მარადიული მწუხრის წინაშე...
გზა გეფინება წითელ ვარდებით:
ეს, დედოფალო, ნანობს შირაზი...
მას, ალავერდის დიდებულ ტაძარს,
ალაზნის პირად თეთრად ანთებულს,
კვლავ მოიხილავს, კვლავ მოიხილავს
მის, ქეთევანის, წმინდა ხატება...

პოეტის სული თითქოს განერიდება სინამდვილეს და კრძალვით მიეახლება უწმინდეს ეროვნულ აჩრდილებს. სამშობლოსადმი ლტოლვის ხვაშიადის დაცხრომის და სულიერი წონასწორობის აღდგენის წუთები უბედნიერესია მისთვის, რამეთუ სწორედ ამ დროს გაბრწყინდება მასში უმაღლესი ზეშთაგონების ნიჭი. მიწიერ ვნებათაგან განწმენდილი იგი საკუთარ ხმას უერთებს წინაპართა მიმართ თქმულ საგალობელს:

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით, ფეხი ყოველმან

წყალობა ჰყავით
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევები?

პოეზია თავის უმაღლეს გამოვლინებებში, უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე პროზა, მითუმეტეს ისტორია (ჯორჯ სანტაიანა). გრძნობათა ენაზე ამეტყველებული, აბსტრაბირებული ინფორმაციებით იგი უფრო მნიშვნელოვანისა და საყოველთაოს ალუზიას ქმნის, ვიდრე პროზაულ ნაწარმოებთა სივრცეში წაკითხული სამყარო. გრძნობათა და ემოციათა პრიმატი გონებისადმი და ასოციაციათა გრძნეულება — ლექსის, როგორც ესთეტიკური ფენომენის უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს. ანა კალანდაძის პოეტურ ემოციებს პირველქმნილი უბიწოების სურნელი დაჰკრავთ. წმინდა ზნეობრივი ემოციების ფონზე ამოკითხული ჩვენი წარსული ლირიკული ინტერპრეტაციის, საკუთარ სულიერ ხწრაფვათა გამოხატვის თავისუფლებასაც ანიჭებს პოეტს. მისი მრავალი ლექსი ეროვნული პრობლემატიკის ლირიკული ესთეტიზაციაა. ისტორიული წარსულის ტრაგიკული ხილვა, დღევანდელი თვალსაწიერიდან იძენს ფსიქოლოგიურ-ემოციურ დამაჯერებლობას. ამ ტიპის ლირიკული მონოლოგები, განსაკუთრებული ისტორიული პერსონაჟების მოწამეობრივ ცხოვრებასაც წარმოსახავენ. წარსულის სიღრმეების უხილავ ლაბირინთებში არიან ისინი დანთქმულნი. ეს „ინტრაისტორიული" (ესპანელი ფილოსოფოსისა და ბელეტრისტის მიგელ დე უნამუნოს მიერ დამკვიდრებული ცნება) გმირები ეროვნული ცოცხალი სულის, მისი ენერგიის გამომხატველნი არიან. უსახელონი, ისინი პოეტის რომანტიკული ძიების ობიექტებად ქცეულან:

— აქ რას აკეთებ, სამაკრიავ, ამ ძველს
ბილავანს,
ქარებისაგან დაუმსხვრევი და
ხელუხლები?
ვინ. ადიოდა სამრეკლოზე დევის მუხლებით,
ვინ შეჰყურებდა ამ ძველ ფრესკებს
ტკბილსასოებით?...

წარსულში ჩაძირული „ინტრაისტორიის" დადუმებული და უძრავი ხივრცე, ზოგჯერ უკიდურეს შინაგან ძაბვას და დრამატიზმს ალწევს:

არც ქვა უბრალო, ძეგლისებური
ამკობს ამ კაცის მყუდრო საფინეს,
ასკილით, ღვიით, ნარით შებურვილს
ერისთავიანთ ერთ-ერთ სამარეს.

უფრო ხშირად კი ლირიკულ სილბოს და ინტიმურ მშვენიერებას ანიჭებს პოეტი თავის მ ტიპის ლექსებს:

ხატთან ანთია სანთელი ორი,
ორივ პაწია და თანასწორი
სულის მეოხად შენი ერთასი...
. . . . . .
ან ვარ ბეთანში, ან თუ მცხეთაში,
ტაძრად სამთავროს...
მაგრამ შენ სად ხარ, ალვის საფარო?"

ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ანა კალანდაძის შემოქმედებითი რეპერტუარის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი არ ყოფილიყო სიყვარულისადმი მიძღვნილი. სიყვარულის თემა, ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვანი რამ ცხოვრებაში მისთვის ეთიკურ-ზნეობრივის ჭრილშია გადაწყვეტილი. ლირიკულ აღსარებათა ციკლი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ემოციურ გარემოზე. შინაგანი უბრალოებით აღბეჭდილი ლირიკული გმირი საოცარი მოკრძალებით, მინიშნებებითა და ნახევარტონებით ჰყვება სიყვარულის რომანტიკულ ისტორიას. პოეტური გამომხატველობის ეს ფორმა მოულოდნელი ეფექტებით ხასიათდება, და გაუცნობიერებელი ინტიმური მშვენიერების ილუზიას ქმნის. დახვეწილი და ჰაეროვანი პოეტური ნიმუშები არასოდეს კარგავენ ავტორის სულიერი არისტოკრატიზმისათვის დამახასიათებელ წონასწორობას.

ეს არ არის სიყვარულის კონკრეტული ისტორია, იგი რაღაც უფრო ვრცელი მრავალგანზომილებიანი ცნებაა მისთვის. სიყვარულის ერთადერთობის ტრადიციული ლოკალი, თუ არ ვცდები, ზზოლოდ მისი ერთი მშვენიერი ლექსისათვის უ:ლ: იყოს ნიშნეულ::

მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალქუქუნა, წაბლისფერი თმებით...
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ლრუბლებს გაჰყვა ცადა...
ლრუბლებს გაჰყვა... სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალქუქუნა, წაბლისფერი თმებით...

ლრუბლებში გაუჩინარებული სიყვარულის წილ, ანა კალანდაძის პოეტურ სამყაროს „ეახლა" ყველაფრის მომცველი, ღვთაებრივი უნარი სიყვარულის უნივერსალური განფენილობისა. მიმტევებელი და ყოვლის განმაცხლებელი ხმივები თანაბრად ათბობს და ეალერსება ხულიერსა და უსულოს, რადგან სულიერი გამოსხივების ამ განზომილებაში პოულობს იგი აბსოლუტური პიროვნული ჰარმონიის განცდას. სიყვარულის განცდა ფილოსოფიური ასპექტითაა მოდელირებული და მრავალსახოვანი ყოფიერების განმაკეთილშობილებელ ფუნქციებს ისახავს მიზნად.

მწამს ჩემი გულის, მე ჩემს გულს ვწურავ,
რათა ცხოვრების ტილოები ავაფერადო
იმედებით...
წითელი, ვარდისფერი ტონები... და იქცა
მცირენაპერი
ალისფერ ტანსაფარავად.

ეს სტრიქონები გენიალურ ჩილელი პოეტი-

ქალის — გაბრიელა მისტრალის პოეტური მონოლოგია. იგი სიყვარულის ეთიკური პრინციპის — თვითშეწირვის — ფერწერულ მეტაფორას წარმოადგენს. სულიერი თვითშეცნობიდან — უნივერსუმის იდუმალებათა შემეცნებისაკენ, სიყვარულის მისტერიალური განცდის გზით — ასეთია ამ ორი შემოქმედის ემოციურ-ესთეტიკური პოზიცია.

ძნელია მოიძიოს რომანტიკული სიმძიმლის იმგვარი რეგისტრი მიწიერ გრძნობათაგან განრიდებულ მშვენიერებისადმი, როგორსაც ანა კალანდაძე აღწევს თავის ლირიკულ წიაღსვლებში.

ის ისე ჩუმად წავიდა ჩემგან
ო, ისე უხმოდ,
როგორც მიდიან ყვავილებიდან
მთვარის სხივები...

საინტერესოა, რომ პოეტის ადრინდელ ლექსებში ბუნების ანიმისტური განცდა, იდუმალი სიყვარულის გრძნობითაა სურნელქმნილი, მის უნაზეს სხივებშია განბანილი. სულიერი ჰარმონია გარემომცველ სინამდვილესთან წარმოადგენს პოეტის მსოფლშეგრძნების კონცეპტუალურ საზრისს. რომანტიკულად შეფერილი ბუნების ხილვა ესთეტიკური ნიშნითაა პიროვნებადებული.

ლამაზ მინდორზე თრთის, კანკალებს
ჩრდილი ვაშლის ხის
და ველსა გარე ბზა მიმოდის მთვარის
არშიყი...
გუნდთა ვარსკვლავთა ცად ამოჰყრის ქარი
მაშრიყით,
მაღრიბს გასტყორცნის და ვარსკვლავნი
მკრთალის ციმციმით
გზას დაუთმობენ მდაბლად დაფიონს...
. . . . . .
ო, არის რაღაც
უსაზომოდ დამაფიქრალი...

სიყვარულის აბსტრაჰირებული უნივერსალური ხატი, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა, როგორც სულიერი ჰარმონიის უპირველესი საყრდენი, ანა კალანდაძის პოეტური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი თვისებაა. ბუნების წიაღის ზოგჯერ ვნებიანი და ლაღი ფერწერული „ტალღები“, ზოგჯერ კი იდუმალი შუქ-ჩრდილებით ხაზგასმული მელანქოლიური პეიზაჟები სიყვარულის უნაზესი სიოს ნებიერი ქროლვისა და მხარგაშლის ასპარეზს წარმოადგენს.

* * *

ანა კალანდაძეს აქვს რამდენიმე ლექსი, რომელთა თემატიკური ორიგინალობა და მხატვრული მოდელირების ხარისხი განსაკუთრებულ დაკვირვებასა და ახსნას ითხოვს. მისი შემოქმედების ძირითად თემებისა და სახეებისაგან განცალკავებულ ამ ტიპის ლექსებში პოეტი-ქალის სრულიად ახალი მსოფლშეგრძნება შეიმჩნევა. წარმართული საკრალურობით და ბოჰემური მელანქოლიით იქცევენ ინსინ-ყურადღებას. მხედველობაში მაქვს პოეტის ორი ლექსი: „ლოცულობს გველი“ და „ამ სურით სვამენ“. ფორმის მკაცრი და ლოგიკური სილამაზე საოცარი სიზუსტით წარმოსახავს სამყაროსთან მიმართების ორიგინალურ მოდუსს. ამ გზით პოეტის ინტუაცია განსაცვიფრებელი სახეებით ამდიდრებს ქართულ პოეზიას. „ლოცულობს გველი“ პოეტის მხატვრული ფანტაზიის ფრიად უნიკალური აღმოჩენაა. ტრადიციული წარმოდგენების ჩარჩოები თითქოს დარღვეულია და ეთიკურ-ესთეტიკური (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის) გრძნობების გამოწვევის იმპულსად წარმოსდგება ზიზღისა და შეძრწუნების სიმბოლიკა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა აირველი და აბსოლუტურად მოულოდნელი იყოს თვით ქართული პოეზიისათვისაც კი. ვაჟას „ბახტრიონი“ არღვევს ამგვარ წარმოდგენათა ჩარჩოებს, თუმცა სრულიადაც არ ამცირებს ანა კალანდაძის ლექსის განსაკუთრებულ ღირსებას. პოემაში გველის პერსონიფიცირებული სახე უკიდურეს ფსიქოლოგიური რეგისტრითაა მოტივირებული. მითოსური მხატვრულ-სემანტიკური მოდელი — ვაჟას გონითა და გრძნობით „შელამაზებული“ — ის ობიექტურად არსებული არქეტიპია, რომელიც შეიძლება უოფილიყო (ან, ადვილი შესაძლებელია, არც უოფილიყო) პოეტი-ქალის წარმოსახვის წყარო. ვაჟას პოემაში გველი პლასტიკური მეტაფორაა, ხალხისათვის თავდადებულ გმირზე, ანუ იდეაზე პროეცირებული. „გულჯავრიანი“ და „ჯაგარაშლილი“ ჩვეულებრიობიდან იგი სიკეთის ქმნამდე და თვით მწუხარებამდე მაღლდება. სულიერი წყობის ეს გრადაცია ლუხუმის უნივერსალური პიროვნული ღირებულების აღიარების გაცხადებაა. გველი, როგორც იდეის გამოხატვის საშუალება და გველი — როგორც ესთეტიკური ხილვის ობიექტი — აი ის ორი სხვადასხვა რაკურსი, რაც ობიექტის წარმოჩენისათვისაა გამოყენებული. მითოლოგიურ მოდელს ენაცვლება რეალურ წარმოდგენებიდან დაძრული სახე:

ზედ გადააწვა მკერდზედა,
წყლულსა ულოკდა ენითა,
თან მკერდს უსველებს მხედარსა
ცრემლების ჩამოდენითა,
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა.

ასეთია გველის განსულიერების უმაღლესი რეგისტრი. პოეტური ფანტაზია აქ გენიალური ჰიპერბოლიზაციის ნიმუშს იძლევა.

ტყის ბანოვანი ზანტი ზმორებით,
ტანმოხატული უცხო ზოლებით
მორჩება ლოცვას და შიშის მგვრელი
ხელში დაირით
ველებს დაივლის

და უზუნდარას იცეკვებს გველი...

ანა კალანდაძის ლექსის ესთეტიკური „ორნამენტაცია“ სწორედ ამ დეტალში აღწევს თავის მწვერვალს. ჩვენს წარმოდგენაში მეტ-ნაკლებად რეალურიდან დაძრული მხატვრული სახე (თვით ლოცვად შემდგარი გველის სახით), ირეალურ ხილვად გარდაისახება და ესთეტიკური „აღმოჩენის“ რანგში გაიაზრება.

რაც შეეხება მეორე ლექსს, „ამ სურით სვამენ“, იგი ჰედონისტური მსოფლშეგრძნებისა და ისტორიული რემინისცენციების შესანიშნავი შერწყმაა. განწყობილებათა მონაცვლეობა ლექსს არ უკარგავს მთლიანი და დასრულებული ეთიკური „შეგონების“ შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ რიტმული მოდულაციები ამკვეთრებენ ლექსის მელოდიურ გამომსახველობას და დინამიურს ხდიან მის აზრობრივ სტრუქტურას. მეტაფორული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშები ლექსის განწყობილებათა გაცხადების პლასტიკურ ვარიაციებს წარმოადგენენ — „ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაჩო“, „გული თელილი ბედის ფლოქვებით“, „შენი სუნთქვაა ლურჯი ბალახი“, „ხეები ხვამენ ღვინოს ფოთლებით და მთვრალ ყვავილებს გულზე გაყრიან“ და სხვა დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულების მატარებელნი არიან. ამ ორი ლექსის ავტორობა კიდევ უფრო განავრცობს პოეტის მსოფლშეგრძნების მასშტაბებს (ისედაც უაღრესად ვრცელს).

* * *

ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსი (ცალკე ადრეული შემოქმედების ნიმუშები მაქვს მხედველობაში) სულიერი გარდასახვის, საკუთარი პიროვნული სუბსტანციის დროსა და სივრცეში განფენს ორიგინალური სურათია. თვითწარმოსახვის პოეტური მხატვრული მოდელი პრეისტორიული წარსულის წარმართული მსოფლშეგრძნებით ხუნთქავს და გარდასული დროისა და სივრცის ილუზიას ქმნის:

ფეხზე მაცია ირმის ტყაეით შეკრული
ხამლი,
ეიდმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა
ჟრძნეულ ურარტუს ეფინება რძესფერი
კვამლი.

ან:

ფაფს მოვიკაბსავ ხირაქლემას ლამაზი
ფრთებით
და მზეს ვუმღერებ ოკეანით მონავალს
მძიმედ.

პოეტისათვის თავიდანვე ახლობელი იყო მთლიანი პოეტური სურათის ხატვის პრინციპი. პეიზაჟისა და სიტუაციის ლოკალური ნიშნების გამოცალკევებით იგი ქმნის განსაზღვრულ ისტორიულ-ფსიქოლოგიურ კოლორიტს. ბუნებრიობის უტყუარი ნიშნით წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე პოეტის წარმოსახვაში ფორმადქმნილი ლანდშაფტები:

აქ თავს იყრიან, ოაზისთან, ხეების ტომები,
აქ ჩაიმუხლებს ჩუმი მგზავრიც უდაბნოების,
მშვიდი აქლემი... და ლამაზი პალმის
რტოები

ესიტყვებიან ჩუმ ფიქრებს მისას...

წარმართული უშუალობითვე სუნთქავს პოეტის არა ერთი და ორი მონოლოგი. ლირიკული გმირი ამ ლექსებისა ბუნების სტიქიურ ძალისხმევას მიმსგავსებული და მასში ჩაძირული ძალაა. ექსტაზში შესული იგი თითქოს საკუთარი პიროვნული საზღვრების გარღვევას ცდილობს. მაქსიმალური ძაბვა და სიცოცხლისეულ ძალთა პირთამდე აღვსება საოცარ ექსპრესიას ანიჭებს პოეტის ვნებებს.

ეს სიხარულის ცრემლებია როდი
ვტირივარ?
ქარი ჩამბერავს, ავმღერდები; მე ხომ
სტვირი ვარ,
ქარში გაზრდილი, უგუნურთა
მოჭრილი მერე?
. . . . .
შთამბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!
. . . . . .

სიცოცხლე პოეტისათვის — უმაღლესი ღირებულებაა, ხოლო ვნება ყველაზე სრული და ნათელი გამოვლენა მისი. ლირიკულ ფორმებში გაბმიანებული სიცოცხლისეულ ძალთა აბობოქრება ამაღლებულისა და ზეიმურის განცდასთანაა წილნაყარი. პათეტიკური მონოლოგების ვრცელი ციკლი ამ მსოფლშეგრძნების ფერწერულ გამოხატვას წარმოადგენს:

და მე ვუმღერებ შენს წვრილ ყვავილებს,
ო, მე ვიმღერებ, ვიმღერებ, მხოლოდ!
ისე უსაზღვროდ მინდა სიმღერა,
როგორც ამ ლურჯ ცას არა აქვს ბოლო...
. . . . . .
ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოვფრინდები ოასამანო!...

ან:

და... მეც გაეგიედი... ო, მე კი არა,
ვული ხარხარებს, ვული ხარხარებს...
და შენ, ქუჩაში რომ გაიარო,
ფოთლები წაღმა შემომაყარე...

განსაცვიფრებელია პოეტის განწყობილებათა პლასტიკური მონაცვლეობა. ზეიმურ-პათეტიკურ ტონალობას ენაცვლება ელეგიური, სიცოცხლის წარმავლობის რომანტიკული განცდით და ჩურჩულის ინტონაციით აღსავსე განწყობილებები. დიდი ტკივილები ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო გამოვლინებებს უკავშირდებიან. სიხარულისა და სიმწუხარეს, ბუნების ზეიმური სულისკვეთებისა და სასაფლაოს მელანქოლიის ფილოსოფიურ განზოგადებას წარმოადგენს პოეტური სტრიქონები:

მათ სევდა მოაქვთ გაძრცვილ ტოტებით

და გაურბიან განმარტოებას.
ისინი სულში ქვიშას ტოვებენ
და ხშირად მძიმე ლოდებსაც ყრიან...
. . . . . .
მათ სხივი მოაქვთ მწვანე რტოებით
და... ეძიებენ განმარტოებას,
ისინი სულში ვარდებს ტოვებენ
და სიხარულის შადრევნებს ღვრიან...

პოეტის ბოლოდროინდელი ლექსები (მხედველობაში მაქვს 70-იანი წლები) განსაკუთრებულ დაკვირვებასა და განსჯას მოითხოვს. ამგვარი ფსიქოლოგიური შემზადების მიზეზი ის ვახლავთ, რომ ეს ლირიკული მონოლოგები პრინციპულად ახალ პოეტიკასა და, რაც მთავარია, თემატიკური დიაპაზონის ახალ სივრცეს ამკვიდრებენ მის შემოქმედებით რეპერტუარში. მინდა დავიწყო იქიდან, რომ, ჩემი აზრით, ლექსიკის არქაიზებული სტილი და მხატვრული სახეების ხაზგასმული ირეალობა თვისობრივად სრულიად ახალ პოეტურ წარმატებათა დაბადების მომასწავებელია. ამ ვრცელ ციკლში პოეტის ადრეულ ლექსებთან შედარებით, თითქოს ფერმკრთალდება სულისწარმტაცი სიმსუბუქე და ღვთაებრივი უბრალოება. შინაგანი ხილვების ემოციური ატმოსფერო ბიოგრაფიული ქვეტექსტების ძალზე შორეული გამოძახილია, ამიტომაც იგი ცოტას თუ გვეუბნება პოეტის ცხოვრების რეალურ გარემოებებზე (უფრო სწორად, რეალურად არსებულ იმპულსებზე). იგი სულისმიერი პოეზიაა და ამიტომ მის უწმინდეს წიაღთან მიახლოება ხელეწიფება განსაკუთრებული „გამოცდილებით“ აღჭურვილ მკითხველს. ლექსების ეს ციკლი მშვენიერი დასტურია იმისა, რომ არაჩვეულებრივად მდიდარია პოეტის სულიერი სამყარო და შემოქმედებითი პალიტრა. ის, რომ იგი თავის თავს არ იმეორებს და ისწრაფვის ახლის ძიებისაკენ, მისი, როგორც პოეტის უდიდესი ღირსებაა და, იმავე დროს, სხვა მის მრავალ თანამედროვეთაგან განმასხვავებელი ნიშანიც. აღსანიშნავია, რომ ლირიკულ-ფილოსოფიური ციკლის ინტერპრეტაცია, მხოლოდ მისი ერთ, მთლიან ჩანაფიქრად გააზრების შემთხვევაში ხდება შესაძლებელი. დამოუკიდებელი სახით, ინტროსპექტულ ხილვათა ცალკეული ნაწყვეტები ვერ იძლევიან სრულ წარმოდგენას პოეტის მსოფლშეგრძნების საზრისზე. ბიბლიის საკრალური სიმბოლიკის ხელშესახები რემინისცენციები და მასთან დაკავშირებული სულიერი განწყობილებების მკრთალი სილუეტები ვერ ჩრდილავენ პოეტის კონცეფციის უმთავრეს საზრისს — ზნეობრივი და ეთიკური მაქსიმალიზმის და მიწიერი ცხოვრების ალიარების პრინციპს. თუმც პოეტისათვის ისიც ნათელზე უნათლესია, რომ რეალური არსებობის „ჩვეულებრიობა“ ადამიანურ ღირებულებათა გაუფერულების და მისი პირველქმნილი სიწმინდის დაშრეტის საშიშროებასაც ქმნის. აქედან იღებს სათავეს ამ ციკლის ზოგიერთი ლექსისათვის დამახასიათებელი რომანტიკული თრთოლვა და სულიერი განზიდვა უბიწო, შეულახავი და იდუმალი საწყისით განპირობებული სიმბოლოებისაკენ.

მიჯნურმა ჩემმა ჩემს მტერს ბაღის კარი
გაუღო
და შემოუძღვა ჩემს წალკოტში მონურად,
მდაბლად...
დაჭკნა შროშანი, გახმა ვარდი, დამდაბლდა
დაფნა,
მოეღო ბოლო სულის ჩემის მბრწყინავ
ზეიმთა...
არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც
შევიდა...

სიყვარულის ლირიკულ-ფილოსოფიური ვარიაციები და მასთან ორგანულად დაკავშირებული სულიერი მოძრაობის ფიქსაცია, ამ ციკლის მეტ-ნაკლებად ყოველი ლექსის ძირითად თემას წარმოადგენს. ენობრივი ქსოვილის ხაზგასმული არქაიზაცია და სტილისტური დიაპაზონის სივრცე ლექსების ამ ციკლს განსაკუთრებულ კდემამოსილებას ჰმატებს და პოეტსაც ახლებური სახით წარმოაჩენს ჩვენს წინაშე. ანა კალანდაძის ამ ციკლის სემანტიკური და ინტონაციური სისტემა გზას უხსნის ავტორს „მაღალი“ სიტყვათხმარებისაკენ, არქაიზებული მეტყველებისაკენ.

გრძელდება პოეტის სულიერი ბიოგრაფიის ახალ-ახალ ფურცელთა შლა. გრძელდება იდუმალი დიალოგი დიდი წინაპრის ღვთაებრივ სულთან:

მთვარეულ შუქთა მკრთალი მძიეებით
აქ ყველაფერი ისევ სავსეა...
ის დაბრუნდება მთვარის სხივებით
ისევ, პირიმზეევ, ეს ხომ ასეა?
. . . . . .
უკვდავი სული მშვენიერების
საუფლოშია ლურჯა ცხენების,
მარადისობის ღრუბლად იფარვის
და იდუმალი არხევს კვიპაროსს...

„ჩემს ქვეყანაში, — წერდა პაბლო ნერუდა, — ბევრი პოეტია. ბევრი პოეტია მთელს ამერიკაში, მაგრამ ძნელია დაიჯერო, რომ შეიძლება, ოდესმე კიდევ დაიბადოს ჩვენთან ასეთი გრანდიოზული ტალანტისა და დიდი სულის პოეტესა“.

გაბრიელა მისტრალისადმია ეს სიტყვები ნათქვამი...

ანა კალანდაძისადმი მინდა გავიმეორო ოგი...

... დამდგარა ეამი მარადისობასთან წილნაყარი პოეზიით ტკბობისა და სულის ახალ გამობრწყინებათა მშვიდი მოლოდინისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუიზა ბოჩკოვა

საუბარი მზესთან

ნოდარ დუმბაძე უფრო მეტად ფერმწერალია.

ფორმის გამახვილებულ გრძნობაში კრისტალდება მთელი მისი მხატვრული ბუნება.

იგი მოწოდებულია მუდმივ მეტოქეობას უწევდეს ბუნებას შემოქმედების უნარში — მიაგნოს მოცემულ საგანს ჭეშმარიტი სახით, აიძულოს იგი სუნთქავდეს ცხოვრებით, ჩასწვდეს არსებობის ყველა ფორმას, ყოველგვარ ხასიათს.

საამისოდ მისთვის ზოგჯერ საკმარისია ერთი სიტყვა, თვალის ერთი გადავლება. ორი-სამი შტრიხი და ფანტაზია სიცოცხლეს ანიჭებს მიკვლეულ სამყაროს მისთვის დამახასიათებელი კოლორიტითა და ელფერით. მწერალი უპირატესად პოეტურ ინსტინქტს ეყრდნობა და არა ფაქტებს. მნიშვნელოვანია არა იმდენად საგანი, რამდენადაც საგნის აზრი.

რა არის ნ. დუმბაძის გულითადი აზრი? — აზრი ადამიანის ღირსებაზე, ადამიანობის ზოგად გვარეობით ცნებაზე, მისი მაღალი და უწმინდესი მნიშვნელობით.

მოთხრობა „მზის" იდეაა ადამიანისა და არსის ურთიერთდამოკიდებულება. მზეს აქვს ლოგიკა, თვით მისთვის გამართლებული, ჭეშმარიტების მიმართ კი — პარადოქსული, ხოლო ადამიანის ენით მეტყველებს არა თვითნებობა, არამედ გონივრული ნება.

„— ადამიანო,... მე მზე ვარ და შენთან ლაპარაკი მინდა... ამაყი ხარ შენ, ადამიანო!

— ვარ! ძლიერიც ვარ! — დაუმატა.

— მე ყველაფერი შემიძლია: ზღვის დაშრობა, ტრამალის გადაწყვეტა, ტყის უდაბნოდ ქცევა, სიცოცხლის ჩაქრობა.

— ყველაფერი ვარ მე, ადამიანი... მე შემიძლია, სულ გაგაქრო შენ, რადგან შენ ხარ ჩემში. მე შემიძლია, ისე გავაკეთო, რომ შენ ადარ იარსებო ჩემთვის... მე შემიძლია ლაეშალო, დაგაწიწილაქო, დაგაპატარავო, მე ვარ სამყარო და შენ მე მემსახურები".

მზისა და ადამიანის დიალოგი დისპუტი კი არა, მგზნებარე, დრამატული კამათია, სადაც ორივე მხარე თავის თავს ამყლავნებს, როგორც დამოუკიდებელი ხასიათი.

ცის მნათობმა — მზემ მთელი სამყარო შექმნა მოთხრობაში; ნაწარმოებში მზე მხოლოდ კი არ ათბობს და ანათებს დედამიწას და დედამიწაც მხოლოდ ღიმილით კი არ ეგებება მას; ამ ღიმილში გამოუთქმელი მშვენიერებაა, პოეზიაა, რაც ახარებს სიცოცხლეს დედამიწაზე. ადამიანისათვის მზის მარადიულ მოძრაობაში ჩაქსოვილია იდუმალი ბრწყინვალება, მას ესმის ცოცხალი ხმები, ხან სევდიანი, ხანაც მხიარული; „მზე ოდნავ აიწია, დისკო შარავანდედით შეიმოსა და უცებ იმდენი ნათელი დაღვარა, რომ მყინვარი შეტორტმანდა. ყინულის სალტემ გაიჭრიალა, მერე ნელ-ნელა დაიძაბა, დაიძაბა და უცებ გასკდა" და დაიწყო დაბადება შვილების, ბადიშების, კოდორის, ფსოუს, კელასურის, მოქვის, ღალიძგის, ჩალბაშის, ქეთევანას..."

ნ. დუმბაძემ მოთხრობაში „მზე" სამყარო მოათავსა არა როგორც მარჯვე ეპიზოდი, — ეს მეტისმეტად პროზაული იქნებოდა, — სამყაროს ცოცხალი სურათები დაუკავშირა მოთხრობის მოქმედებას. ამასთან, სტრიქონების მუსიკალობასა და თანხმიერებაში „იმედი და დუმილი ერთად იბადება".

მზის სხივების მწყობრ მსვლელობაში მწერალი ხედავს არა მარტო სურათს ფაქტის სახით, არამედ ისმენს კიდეც სამყაროს ჰარმონიას: „მზე ხატია მზიანი ღამისა... და იმდენად ნათელია, რომ უკუნია, ღამეა ადამიანის თვალისათვის. ამიტომ არის მზიანი ღამე".

სილამაზე ამ მოთხრობის თვისებაა და დამსახურება. ენა — მოქნილია, მაგარი და ძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, როგორც სმლის დაკვრა. და თუ ვიტყოდით, რომ ესაა პოეტური მოთხრობა, ამოვიცნობდით ამ ნაწარმოების პათოსის საიდუმლოებას.

მოთხრობის ემირების — მდვდლისა და მილიციელის დაპირისპირებაში კარგადაა ასახული ბათი ხასიათები. ერთი, უშფოთველი, სიმშვიდის იდეალია თავისი გონებისა და გულის სისადავით, როგორც წყნარი შუქი კანდელისა. მეორის, მილიციელის სიტყვებში, ყველაფერი ჭეშმარიტია, მაგრამ ყველაფერი უბრალო რიდია. ჭეშმარიტებასთან უბრალოების შეთავსება უმაღლესი სილამაზეა გრძნობისაც, საქმისაც, გამოხატვისაც.

მწერლის საიდუმლოებაა არა იმის ხელოვნება, რომ მორჩილი სიტყვები მწყობრად შეაჯერარს; ნ. დუმბაძის სულის დამახასიათებელია ის პროზა, რომელიც ბუნებაშია, ცხოვრებაშია. ამ მსრივ დამახასიათებელია მხატვრობა, რომლითაც აღბეჭდილია მოთხრობა „უმადური". გონება — ეს ცხოვრების სული, პოეზია, — ეს ცხოვრების ღიმილი, ნათელი შემოხედვა, რომელშიც მსწრაფლცვალებად შეგრძნებათა ყველა ფერი ციმციმებს, მოთხრობის ფენომენია. ეს ცხოვრებისეული სილამაზე წარმოშობს სიყვარულს ადამიანისადმი. სილამაზე, რომელსაც თან ახლავს სიყვარული, სავსეა პოეზიით.

მოთხრობაში მწერალს გაღმერთებული ჰყავს არა მარტო ჭეშმარიტება, ცოდნა, ძლიერება, სიბრძნე, სამართლიანობა, უმანკოება, არამედ სილამაზეც, რომელსაც თან ახლავს სიყვარული და ხურვილი.

შინაგანი თავისუფლებანი განვითარებული და ამაღლებულია ფორმით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, იმდენად აქვს შეთვისებული შემოქმედს, რომ მისი მეორე ბუნება გამხდარა.

თანაგრძნობითა და გულკეთილობით აგვიწერს ავტორი ქართველ გლეხს, გუდული ბერეჟიანს, პოეტური ბუნების ადამიანს, რომელსაც ასი წელი შესრულებია, მაგრამ არც ერთი ფესვი არ გახმობია, როგორც უწვრილეს სადინარამდე წვენით გაჟღენთილ ქართულ მუხას.

გუდულის სიცოცხლე კი არ ენანება, დრო ენანება, დრო, რომელიც სიკვდილზე ფიქრში ეხარჯება და აცახცახებული ემშვიდობება გაცვეთილ გუთანს, უუაზე დასულ ნაჯახს, თხელ და სიფრიფანა დანას. მადლობას უხდის დროს, ასი წელიწადი დაულალავად რომ დაჰქონდა მისი ძვალი და ხორცი შუკიდან შუკაში, ეზოდან ეზოში და სამეზობლოში; მზეს — ასი წლის ყველა ღამე რომ გაუთენა; ძროხას — ყოველ დილით თითო ჭიქა რძეს რომ აძლევდა; ჭურს — ასი წლის მანძილზე ყველა ჭირი და მწუხარება რომ გააცილებინა პატიოსნად; ხეს — სინედლე, ფილტვი და გული რომ იყო მისი სახლ-კარის. გულს ლოცავდა გუდული თავისას, მარჯვენას, თვალს, ყურსა და გონებას იმისათვის, რომ თვალი არ დაშრეტია, ყურს არ დაკლებია, მკლავი არ გახმობია, გონი არ დაუკარგავს.

ასი წლის ასაკშიც კვლავ დიდებულად და ურყევი რჩება გუდული ბერეჟიანის გონება, ისევე, როგორც მისი ნერვები და მყესები. მისი ქმედითი სული არასოდეს ისვენებს, არასოდეს თვლემს გულარხეინად ეს ფხიზელი და დაუდეგარი გონი. ასი წლის ასაკშიც ისე მორკინალენი, დაძაგრულნი, გაჭეჭილნი ჩანან გუდულის დისციპლინირებული გრძნობათა ორგანოები, რომ ოდნავი შეხებითაც იწყებენ მოძრაობას.

ნ. დუმბაძე გუდულის სახით მიუთითებს არსებულზე, როგორც წყაროზე მწუხარებისაც, ნუგეშისაც, და აიძულებს, განკურნება ეძიოს იმავე არსებულში, რომელიც საკუთარი ბუნების შინაგან სიმდიდრეს ემყარება. უფრო მეტია აქ განჭვრეტის რწმენა, მისი გზნების გამართლება, რაც გუდულის ფიქრებში გამოიხატება: „იდიდე, ბუნება, რა ბედნიერებაა, ყოველივე ეს რომ რჩება ქვეყანაზე და კაცთან ერთად არ კვდება".

ეს კაცი, თავად სამყარო სამყაროში, ურყევად დგას მშობლიურ ქართულ ნიადაგზე, ფართოდ განტოტვილი და ფესვგადგმული. იტყვით, ვერაფერი შეხძრავს მის მძლე ერისკაცობასო, მაგრამ, როცა გაახსენდება, რომ ასი წელი შეუსრულდა, უკვირს და ეშინია: „არ ამომივარდეს გული ბუდიდანო, და ხელი იტაცა მარცხენა ძუძუზე. ნახევარ წუთს იფათქალა გულმა. მთელმა ახალგაზრდობამ გაიარა გუდულის თვალწინ ამ ნახევარ წუთში თითქოს გასხლტა ხელიდანო, გაფრინდა უცებ გული, სუნთქვა შეეკრა გუდულის და ცივმა ოფლმა გამოუონა შუბლზე. ბუმბულივით მსუბუქი გახდა, თითქოს ჰაერს შეერიაო, მიილია, მიილია და უცებ ჩიტივით კვლავ მობრუნდა გული ბუდეში"...

თვალი უშტერდება, გრძნობა ღალატობს გუდულის ერთბაშად და ველარა უწამებია რა, ვინაიდან მის მხედველობის არეში რაღაც ისეთი შემოვიდა, რასაც არ შეუძლია ჩასწვდეს, სიხსნ-ხორციით შეიმეცნოს., რაღაც ისეთი, რაც სხეულის ხითბოსა და სიცოცხლის სიუხვის მიღმაა. გრძნობის კაცისათვის, გუდულასათვის, ეს მიწიერი ნივთი, მატერია კი არ არის, რომელსაც შეიწოვდა და აითვისებდა, არამედ, რაღაც მტრულად და მრუმედ დაქუფრული, ყოველივე იმის მიღმაა, რაც სიბარულს ანიჭებს და უშუალოდ გრძნობად აღქმაშია მოცემული; ისეთია, რასაც ხელს ვერ შეახებ, ვერ აწონ-დაწონი, ადგილს ვერ მიუჩენ მარად მწუურვალ კაცობრიულ გრძნობაში; ვერ შერიგებია გუდული აზრს, რომელიც ანაზდეულად შემოიჭრა მოვლენათა წრეში. როგორ უნდა შეეგუოს იმას, რომ ეს მჩქეფარე, მფეთქავი გრძნობები ოდესღაც უნდა დამუნჯდნენ და დაყრუვდნენ! ვერ შეგუებია, რომ მასაც უნ-

და დარიოს ხელი ამ პარადიულმა უაზრობამ. „გუდული მისდა, რომ ეს დასასრულის დასაწყისი იყო... ავი, ეუდული ბერეეიანო, ავი!“

გუდულის სული — სხეულის ეს იდუმალი მექანიზმი, სიკვდილის სამარისებური სიჩუმითაა გარეშოცული. მან ცხოვრების მეახე წელს პირველად გაუსწორა თავალი უკიდეგანო არარაობას, როგორც პირად ადამიანურ ხვედრს. სულის განტევებამდე მისი თვალი ამ ჯურღმულს ჩასჩერებია — ამ ამოუცნობ სამყაროს წიაღს საკუთარი ნყოფობის მიღმა.

გუდული ბერეეიანში ისევე ზეკაცურია სიკვდილის შიში, როგორც მისი სიცოცხლისუნარიანობა.

ნ. დუმბაძესთან სული, ფსიქე, კანის, კუნთების და ნერვების ქსელში დაკვირვებათა ათასთვლიანი ბადეთაა დაჭერილი და გათანგული.

ნ. დუმბაძის პროზის საერთო კოლორიტია ადამიანის შინაგანი სილამაზე, სულის ჰუმანურობა. მისი ბოლო პროზა უმთავრესად სამყაროს პოეტური ჭვრეტაა.

მწერალს ძალა შესწევს, შეიჭრას ცხოვრების ერავალ და ურთიერთსაწინააღმდეგო სფეროში. მის მოთხრობებში თავმოყრილია ენის სიმდიდრე, ძალა და მოქნილობა: „მზემ ოქროს ხელი ამოურია თევზით სავსე ბადეში, მერე ვერცხლის სურდასავით დაყარა თევზი სეინერის გემბანზე და სისხლიანი ხელი ზღვაში ჩაყო გასაბანად“, „ეს ცა ღვთის თვალია და ყველაფერს იტევს დალოცვილი, დღესაც და ღამესაც“.

თუ საჭიროა ითქვას იმ განსაკუთრებულ ღირსებებზე, რომლებიც ნ. დუმბაძის კუთვნილებას შეადგენენ, ესაა აღწერის სისწრაფე და საგნის რამდენიმე ნიშნით მოხაზვის ხელოვნება. ეპითეტი მკაფიოა, გაბედული, სადა, დიადი და ძლიერი: „— დაილოცოს შენი ძალა შეშოქმედელო! — აღმოხდა მეინვარს და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. მზეს გაელიმა და ლეთიური თვალის გარშემო უთვალავი ნაოჭი გაუჩნდა“, „ელვა ერთბაიად ოქროცურვილ შანდალივით იწყოდა ნაპირზე და ზღვის ტალღში ეანმეფილი ყველა ერთნაირად ბოლავდა. მაშინ მზემ ოქროს ტალავი გადმოზიდა და [illegible] ეიერე აღმოსავლეთამდე“, „მზემ [illegible]“.

[illegible] ეპიზოდი [illegible], [illegible] ჯურული დიალექტი, [illegible] ეფექტებია აქ:

— [illegible] ნაბიჯი [illegible] ბ მსხვილს, ეულუდა [illegible]?

— [illegible] თუ წელს ღა ნაკლს ერძნობს, უნა, [illegible] ეა, [illegible] ბეენი საქმე და ისაა, ტყუ[illegible]ლა ცდილობს მაშინ კაცი ცოდვების მონანიებას“. მოთხრობაში იუმორიც არის, მრისხანე და [illegible]ცხალი, სატირაც — მწვავე, შეუბრალებელი: „...მოიეეერა თავი ბაგ უმადურმა... არ ინ[illegible]ბა [illegible]ვენთან ცხოვრება, დედათქვენის საფლავს ვერ მივატოვებო. ძროხაო, ქათამიო... რა გახდა, ბატონო, ეს გაძვალტყავებული ძროხა, დაფეხვილი მამალი და წაბეეულ[illegible] [illegible]. კლებოდა მაინც რაღა. ამ ზაფხულს ჩემმა ცოლმა თბილი საცვალი ჩამოუტანა პარიზიდან... ვის ღირსებია ასეთი დასაფლავება ამ სოფელში... მაგრამ უმადური იყო...“

ლოგიკური კავშირი იგრძნობა ამ მოთხრობასა და „სისხლს“ შორის. აქ მწერალი არ ეპირფერება ცხოვრებას, მაგრამ არც არაფერს სწამებს. იგი ბევრ ისეთ რამეს შეეხო, რაც მხოლოდ ქართულ სამყაროს ეკუთვნის.

უცნაური იქნებოდა, აღტაცებაში მოვეყვანეთ მოთხრობას მხოლოდ სიმართლისა და ჭეშმარიტების წარმოსახვის უნარით. საოცარია, მნიშვნელობა და აზრი სიტყვებისა: „ქიშვარდი ლომჯარია მიხვდა, რომ მისი ბადეში ამ წუთში როკის სარი იყო, რკინის პალო, ხე და ნოღა, მიწაში ჩასობილი და ისე ღრმად იყო შიგ წასული, რომ ასე ფერებ-ფერებით ვერ ამოიღებდა, ვერ ამოგლეჯდა. საჭირო იყო ოფიცერებაზე რაღაც უფრო ძლიერი, რომ ბიეს ადგილიდან ფეხი მოეცვალა, მაგრამ რა?“

თითქოს თვითონ ავტორი მონაწილეობდა ქიშვარდი ლომჯარიას გულის კანონების შედგენაში, მისი ვეგმის მოხაზვაში, თითქოს მწერალი მიხვდა, რომ ქიშვარდის ბადეში ახლა ამ წრეში იდგა და ორი სისხლი ეჭაჩებოდა აქეთ-იქიდან და რომელიც უფრო ძლიერი იყო, ის გადაქაჩავდა. მაგრამ რომელი? ვიდრე ამას თავად სისხლი გაარკვევდა, ერთ-ერთს, ან მას, ან ბიეის ბებიას უნდა გადაეკეტა, გადაეკრა აჯანყებული სისხლის ძარღვი.

აზრისა და სიტყვის მოზაიკაა ამ სისხლის თამაშში.

ნ. დუმბაძე ყოველ გმირს ათასი წვრილმანიდან აწყობს, ყოველ წვრილმანს — უსასრულოდ მცირე ნაწილაკებიდან, ხასიათის თითოეულ სიმპტომს უტყუარი სამართლიანობით იკვლევს. ყოველი წვრილმანი ერთმანეთზეა მორგებული და ეს დაკვირვებანი — აკუსტიკური, ფონეტიკური, ოპტიკური — მწერლის ლაბორატორიაში ერთმანეთს შეხმატკბილებიან.

ნ. დუმბაძეს ხალხურს ხდის მისი ბუნება. თავდადებას, შრომას, მეცნიერებას აქვს ბუნების ნაბოძარის, ეანვითარებისა და გაუმჯობესების თვისება: ეს კეთილშექმედი წვიმაა, თესლს რომ ეპკურება, მაგრამ, თუ თესლი არ არის, წვიმა ქმნის არა ნაყოფიერებას, არამედ, მხოლოდ ტალახს.

მწერალმა გამოხატა ქართული სულის სალი, პრაქტიკული აზრი, ცხოვრების გამოცდილებითი სიბრძნე. მოთხრობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმაა. მნიშვნელოვანია ის სული, რომელიც ასევე გამოიხატებოდა სხვა ფორმაშიც.

აქ ნ. დუმბაძემ ეონებრივი ცხოვრების ფაქტის დანახვა შეძლო, დაგვაყენა ისეთ თვალსაზრისზე, რომ გვაგრძნობინა ქროლვა, სუნთქვა

იმ სიცოცხლისა, რომელიც ასულდგმულებს სამყაროს.

პაპისა და შვილიშვილის დიალოგში ქართული ნაციონალური სულია. ორივენი ერთი და იგივე სულის საკრავის სიმები არიან, სიმები სხვადასხვა მოცულობისა, თითოეული თავისი განსაკუთრებული ხმით და ამიტომაც, ჰარმონიულ აკორდს გამოსცემენ:

„— იცი, რამ მოგიყვანა, ბაბუა?

— არა!

— მე გეტყვი ამა: სისხლმა მოგიყვანა, ბაბუა, სასწაულია სისხლი!

ბაბუას და შვილიშვილს ტკბილად ეძინათ. მხოლოდ სისხლი ლაპარაკობდა და ფიქრობდა, ხოლო რას ლაპარაკობდა და რას ფიქრობდა სისხლი, ღმერთმა უწყის“.

როგორები არიან ნ. დუმბაძის პერსონაჟები? — სხეულით შემოსილი აზრები.

„თბილისის კეთილშობილო მოქალაქენო! გთხოვთ, გაიღოთ მოწყალება და შეუგროვოთ ფული ლოთს, ზნედაცემულ ნაძირალასა და სალახანა კაცს, რომელმაც ერთ ჭიქა არაყში გაცვალა კაცობა“, — ასე იწყება მოთხრობა „დედა“.

მათხოვარს სწყურია რწმენა, მრწამსი, იტანჯება ჭეშმარიტების წვდომის შიმშილით. მზად არის მიიღოს ცოცხალი აზრი, მაგრამ როდი მიისწრაფვის მის შესახვედრად. დამშვიდებით, აღუგზნებლად, გაუტაცებლად უცდის, როდის მივა იგი მასთან. ეშინია, ნაუცბათევად არ მოიხიბლოს. ეს სიცივე არის შინაგანი აღტაცების თავმოყრა, თავშეკავების ნაყოფი.

სევდა ერთ-ერთი ყღერაა ნ. დუმბაძის პროზის აკორდში. ამიტომაც იგი აძლევს პროზას გულწრფელობას, გულითადობას, სირბილეს, სინედლეს და არ ბატონობს მასზე. ესაა სევდა დიადი სულისა, რომელმაც იცის თავისი ძალა. მასში არაფერია საერთო უსასოო მჭმუნვარებასთან, უმწეო სულის სნეულებასთან. ნ. დუმბაძის პროზისათვის უცხოა მონოტონობა, ცალმხრიობა.

მწერალმა ცხოვრება აიღო ისე, როგორიც არის. არ გამოურჩევია მარტოოდენ პოეტური წამები. აიღო მთელი მისი პროზითა და უხამსობით: „უცებ რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ განცდილმა, გაურკვეველმა გრძნობამ შეაწუხა და წამით გული ატკინა, მაგრამ ეს გრძნობა იმდენად ბუნდოვანი იყო, სახელიც კი ვერ მოუნახა და როდესაც ვიღაც გამვლელმა ხელი მოკიდა და ფეხზე წამოაყენა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ გრძნობას ძალიან დიდი ხნის წინ გაგონილი სიტყვა „თავმოყვარეობა“ ერქვა“.

ამ ფაქტში ფსიქოლოგიურ კითხვას ვგრძნობთ. თვით მოვლენა კი არ გვაკვირვებს. ეულს თავისი კანონები აქვს, მაგრამ არა ისეთები, რომელთაგანაც სისტემატური კოდექსის შედგენა ადვილი იქნებოდა. ბუნებათა ნათესაობას, ზნეობრივ სიმპათიას, ცნებათა მსგავსებას ეშუქლია და კიდევაც უნდა შეასრულოს სპეციფიკისმგებელი როლი გონიერ არსებათა სიყვარულში. ვინც ამ მათხოვრის სიყვარულში უარყოფს წმინდა, უპუალო ელემენტს, ინსტინქტურ, უნებლიე მიდრეკილებას, გულის ყინს — მას სიყვარული არ ესმის.

ფანტასტიკური ნ. დუმბაძესთან ბუნებრივია, ისეთია, როგორიც სინამდვილე.

სევდანარევი ოცნება, ნაღვლიანი მელოდია, სიწრფელე და გულითადობა, თავისთავში ჩაძირული სულის განწყობილება შეადგენს მოთხრობა „მონატრების“ გმირის ხასიათს. მისთვის უმჯობესია ჩასვიდოს ხელი აჩრდილს, რომელიც უნდა გაუჩინარდეს, იცხოვროს სხვა პლანეტაზე უცაბა ხალხთა შორის, ოღონდაც გაუჩნდეს ადამიანის, საყვარელი არსების მონატრების გრძნობა. ეს არ არის სკეპტიციზმი. პირიქით, გაღმერთებაა გრძნობის ძალისა, რომელიც შეიძლება საშინელი იყოს ინდივიდუალური ადამიანის გონებისათვის, რაც თავისთავად მარადი სილამაზეა.

გმირის გონება ფანტაზიისა და გრძნობის გავლენის ქვეშაა. ამ ფანტასტიკურმა სინამდვილემ მოიგვარა მონატრების გრძნობა. მისი გონება ყველაფერში ეძებდა თავის თავს და მხოლოდ ის სცნო სინამდვილედ, სადაც საკუთარი თავი იპოვა.

„— მოენატრები, მოვა და წაგიყვანს! — თქვა უფროსმა გამქრალი ხმით.

— ჩვენ?!!! — ეს უმცროსმა იკითხა.

— თქვენ რა?

— მერე ჩვენ რა ვქნათ? — და რომ შევხედე, უზარმაზარი თაფლისფერი თვალები აუარება ცრემლით ჰქონდა სავსე, ქვედა ტუჩი მოპრანჭვოდა, ვეერდზე მოქცეოდა და ნიკაპი უკანკალებდა.

მარცხენა ძუძუს ქვეშ რაღაც ამეწვა. მივედი. მკლავები გავშალე და გულში ჩავიკარი. ჩავიკარი და გავიცდი, იგი თანდათან შემოვიდა ჩემს სხეულში და ახლა, როგორც სითბოს, ისე ვგრძნობდი ეულთან“.

ორიგინალურია მოთხრობა „ღიდრო“. მასში არ არის დასაწყისიც კი. უბრალოა და არაერთული ამბავთა ხლართებით. ხალხმა აიგდო ადამიანი, რომელსაც უყვარს ხალხი. დასცინეს მის ერძნობებს, შეარჭვეს უამრავი ზედმეტსახელი: დიდროია პორტ-არტურის შპიონი, დიდროია ბურძგლა, დიდროია ხაბაკა, დიდროია ქაფურა... ამ ადამიანმა კი მაინც არ შეიძულა ხალხი. არ ყოფილა შემთხვევა, დიდროიას მოღერებული ქვა ესროლა ბავშვებისათვის. მოიქნევს ხელს, მერე იმ მოქნეულ ხელს შუაგზაზე მოთოკავს, ისე დახედავს იმ რიყის ქვას, თითქოს ქვა კი არა, მარგალიტი იყოს და სახოებით ჩაიდებს დაკონკილი შარვლის ჯიბეში.

მოთხრობაში ვხედავთ ცხოველურ, მახინჯ, კარიკატურულ ადამიანს და, ამასთანავე, თანავუგრძნობთ. დასცინის ავტორი მას, მაგრამ არა ავად, გულშემატკივრობს კიდეც.

აქ არ არის ფაქტები, არ არის სცენები, არ არის საკვირველი ჩუქურთმები. ყველაფერი სადაა და ჩვეულებრივი.

როცა ნ. დუმბაძე მოგვითხრობს დიდროზე, იუმორისა და დრამატიზმის მონაცვლეობით ამ მოთხრობის დრამატული და კომიკური საწყისების სიძლიერეზე მიგვითითებს. აქ სრული სურათია ხალხის პატარა სიხარულისა, მისი პატარა დარდისა. ნ. დუმბაძემ ცხადყო, როგორ უნდა იმოქმედო საზოგადოებრივი ზნეობის სასარგებლოდ ისე, რომ არ რეზონიორობდე ზნეობის შესახებ. ვერც ერთ სიტყვაში ვერ შეამჩნევთ, რომ ავტორს მკითხველის გაცინების განზრახვა ჰქონდეს. ყველაფერი სერიოზული, დინჯი და ჭეშმარიტია... მოთხრობა „დიდროს“ ყველაზე უხეში გაგება იქნებოდა, იგი სატირად რომ მიგვეჩნია.

დიდროს სულიდან ამოხეთქილ მონოლოგში ჩანს მთელი პიროვნება: „— ბიჭო ნოდარა, განათდა! განათდა, ბიჭო, ყველაფერი და დაბრუნდა თავის ადგილას, დაბრუნდა და დალაგდა. ღმერთი გამოჩნდა, ღმერთი... ყველაფერს ვხედავ შიგნითაც და გარეთაც“. მისი სიტყვები ცარიელი ფრაზები არ არის, რადგან სჯერა თავისი აზრების.

ნ. დუმბაძემ სიყვარულში გამორჩევა არ იცის. მწერლის მოუსყიდველი მზერისათვის გუდული ბერეჟიანი, ან ქიშვარდი ლომჯარია უფრო მეტად როდია ადამიანი, ვიდრე დიდროია ხაბაკა, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უფრო მნიშვნელოვანი და არსებითი არ გახლავთ უპატრონო ძაღლზე.

„ძაღლი“ პოეტური ზნეაღწერილობითი მოთხრობაა. ელეგიური ტონით, თხრობის ქართული წყობით ნ. დუმბაძემ შეძლო საინტერესო გაეხადა ცხოვრება უპატრონო ძაღლისა, რომელიც მებუფეტემ დამდუღრა აქაფებული წყლით, მოხუცმა კი უპატრონა და მოარჩინა. სიკვდილსაც მოხუცმა გადაარჩინა, წინაღუდგა სოფელს, ძაღლი რომ ეხნა. მოხუცის სიკვდილის დღეს კი „ფართოდ გაღებულ ჭიშკარში ხოზიკით გაწკეპილი, წითელ ალიზა ტალახში ამოსვრილი, გაბანჯგლული, დაქანცული, ყურებჩამოყრილი და თავჩაქინდრული ძაღლი შემოვიდა... ბაბუას საწოლ ოთახში შევიდა და ცარიელ საწოლს დახედა, მერე ზალაში გამოვიდა. ტახტზე დასვენებულ კუბოს მიადგა. უკანა ფეხებზე შედგა, წინა თათები ტახტს დაებჯინა, კისერი წაიგრძელა და ბაბუას დახედა“.

ეს ზნეობრივი დისციპლინა, რომ არ ყოფილიყო, ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობაში საშინელი ანარქია იქნებოდა და არა ერთიანობა.

საოცარია ის გულთამხილაობა, რომლითაც ნ. დუმბაძე სწვდება და გვიხატავს უბრალო თვალისათვის მიუწვდომელ ურთიერთობასა და მიზეზებს. სადაც სხვა წვრილმანსა და უმნიშვნელოს დაინახავს და არ კი იცის, რომ ამ წვრილმანითა და უმნიშვნელოთი ამოიწურება ცხოვრების სფერო, იქ ნ. დუმბაძე ფსიქოლოგიურ სურათს ქმნის: „მე დავინახე, როგორ გამოეყონა თეთრ დოლბანდზე გახსნილი ჭრილობიდან სისხლმა ძაღლს და როგორ გამოუვიდა ჭკვიანი თვალებიდან ცრემლი, მაგრამ თუ გნებავთ, დავიფიცებ ხატზე, რომ იმ წუთში ძაღლი იცინოდა“.

ნ. დუმბაძის მოთხრობებში აღწერილია სხვადასხვაგვარი გაურა სულისა სხეულთან. რათა ამდენი სიკვდილი აღექვა მწერალს აზრის უწვრილეს ხვეულებამდე თავის აფორიაქებულ სულში, ჯერ უნდა წინასწარ დასწრებოდა, მოსწრებოდა, შესწრებოდა ამ სიკვდილს. სწორედ ეს სიცოცხლის თითქოსდა ანაზდეული ჩაქრობა აღანთებს ნ. დუმბაძეში ახალ სულისკვეთებას, ვინაიდან ყოველი გრძნობა მუდამ თანაგრძნობასაც გულისხმობს. განსხვავებას ვერ ხედავს უმუილითა და კრუნჩხვით სულთმობრძავ ძაღლსა და დიდროს ანდა გუდული ბერეჟიანის სიკვდილს შორის. მშვენიერსა და მახინჯს, ცხოველურსა და მცენარეულს, სუფთასა და უსუფთაოს, მაგიურსა და ადამიანურს — ყველაფერს ფერმწერლის, მაგრამ ამასთანავე სულისჩამდგმელი და სულში ჩამწვდომი თვალით ჭვრეტს. სიტყვათა ანტონიმებს იმიტომ მივმართავთ, რომ ერთი და იგივე ორმხრივად გამოვხატოთ და ეგებ განვასხვაოთ: ადამიანურს აბუნებრივებს თუ ბუნებას აადამიანებ.

მწერალი იდეას ჭვრეტს არა მხოლოდ გონებით, არა მხოლოდ ჭკუით, არა გრძნობით და არა თავისი არსების ერთი რომელიმე უნარით, არამედ ზნეობრივი ყოფიერების მთლიანობით. მწერლისათვის უმთავრესია სტილი — შემოქმედი ადამიანის დასაწყისი და დასასრული. ნ. დუმბაძის სტილი ინტიმური მეტყველებაა სულისა. სიტყვათა პოეზია ნ. დუმბაძის მიზანი კი არ არის, არსის თვისებაა.

დაე, იდინოს დრომ და თან მოიტანოს ახალი მოთხოვნილებანი, ახალი იდეები.

ფასი 80 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
7612.5

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ